



ფილიპ როთი

ამერიკული პასტორალი

დიდგუნეს
ბიბლიოთეკა



I სამოთხის მოგონება 1

შვედი. ომის დროს, როდესაც ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი, ეს სახელი მომნუსხველად ჟღერდა ჩვენს კვარტალში, ნიუარკში, თვით მოზრდილთათვისაც, რომელთა მამებიც პრინს-სტრიტის ძველი გეტოდან გადმოსახლდნენ და ჯერ იმდენად არ იყვნენ გაჟღენთილნი ამერიკული სულისკვეთებით, რომ აღტაცებით შეგუბებოდათ სული მოსწავლის სპორტული ოსტატობის გამო. შვედის სახელი ისევე გვაჯადოებდა, როგორც მისი უჩვეულო სახე. ჩვენს სკოლაში, რომელიც თითქმის მთლიანად ებრაელი ბავშვებით იყო შევსებული, რამდენიმე ქერა ებრაელიდან არც ერთი არ ჰგავდა ამ ქერათმიან ცისფერთვალა ვიკინგს, რომელსაც ძლიერი ნიკაპი და ნილბის მსგავსი განურჩეველი გამომეტყველება ჰქონდა. ის ჩვენი ტომის პირმშო იყო - სეიმურ ირვინგ ლევოვი ერქვა.

შვედი ბრწყინვალე თავდამსხმელი იყო ფეხბურთში, შესანიშნავი ცენტრალური მოთამაშე - კალათბურთში და პირველი ბაზის დამცველი - ბეისბოლში. ამათგან ვარგოდა მხოლოდ კალათბურთის გუნდი, რომელმაც ორჯერ გაიმარჯვა ქალაქის ჩემპიონატში და სწორედ შვედმა მოუპოვა მას ქულების ყველაზე მეტი რაოდენობა. სანამ შვედი ბევრად ჯობნიდა თავის მოწინააღმდეგეებს, გუნდის ბედ-ილბალი დიდად არ გვაღელვებდა: ჩვენ ვიყავით ნაშიერნი არასაკმარისად განათლებული და ჯაფით დაქანცული მშობლებისა, რომლებიც, პირველ რიგში, აკადემიურ წარმატებას აფასებდნენ. ფიზიკური აგრესია - თუნდაც სპორტული უნიფორმით შენიღბული და მკაცრი წესებით შეზღუდული, რომელიც, ამასთანავე, ებრაელების წინააღმდეგ არ იყო მიმართული - მათ განსაკუთრებულ სიამოვნებას სულაც არ ანიჭებდა, კარგნიშნები კი - ანიჭებდა. და მაინც, შვედის წყალობით, ჩვენი კვარტალის მცხოვრებნი გულშემატკივრების მიერ საკუთარი თავისა და გარემომცველთა შესახებ შექმნილ ფანტასტიკურ წარმოდგენებს ეზიარნენ: არაებრაელთა მსგავსად (როგორც მათ წარმოედგინათ არაებრაელები), ისინი დროებით ივიწყებდნენ რეალობას და იმედებს სპორტულ ბრძო-

ლებზე ამყარებდნენ. უპირველეს ყოვლისა, მათ შეეძლოთ დაევიწყებინათ ომი.

შვედ ლევოვის აღიარება უიკვეიკელ ებრაელ აპოლონად, ჩემი აზრით, აიხსნებოდა გერმანელებთან და იაპონელებთან ომით - შიშით, რომლითაც ეს ომი ავსებდა სულს. სანამ შვედ ლევოვი სპორტულ მოედანზე ბობოქრობდა, ცხოვრების უაზრო ზედაპირი გარდაისახებოდა უჩვეულო ილუზორულ სამყაროდ, სადაც თავდავიწყებით ეზიარებოდნენ შვედის სიწმინდეს ადამიანები, რომლებსაც გამუდმებით ეშინოდათ, რომ ველარასდროს იხილავდნენ ვაჟიშვილს, ძმას ან ქმარს.

მაგრამ რა იყო მისთვის ეს დიდება, იმ ზუსტი ნახტომების, პასების, მძლავრი დარტყმების ეს საკრალიზაცია, მეორე ბაზამდე მირბენის საშუალებას რომ აძლევდა? ამან ხომ არ ჩაუნერგა შვედს თავშეკავება? ამან ხომ არ მიაღსავსა ის ქვისგან გამოთლილ კერპს? ან იქნებ ის, რასაც მოზრდილთათვის დამახასიათებელ სიდარბაისლედ მივიჩნევდით, გამოწვეული იყო მხოლოდ შეუპოვარი შინაგანი ჭიდილით ნარცისიზმთან, რომელსაც მთელი საზოგადოება აღტაცებითა და სიყვარულით უღვივებდა?

სკოლის ჩირლიდერები აღტაცების შეძახილებით ხვდებოდნენ შვედს. მოთამაშეების გამამხნეველები ან მაყურებელთა აღმგზნები ჟივილ-ნივილისგან განსხვავებით, ეს იყო მხოლოდ შვედისთვის განკუთვნილი, განსაკუთრებული, რიტმული ფეხების ბაკუნი და მქუხარე შეძახილები, რომლებიც განადიდებდა მის უბადლო, სწორუპოვარ სრულყოფილებას. კალათბურთის თამაშის დროს ეს ყიჟინა მთელ დარბაზს აზანზარებდა, როდესაც შვედი პასს იღებდა ან ქულას მოიპოვებდა. ფეხბურთის მატჩის დროს ის ჩვენს თავზე გუგუნებდა (ქალაქის სტადიონის იმ ნაწილში, სადაც ვისხედით) ყოველთვის, როდესაც შვედი კარში ბურთს აგდებდა ან პასს იღებდა. თვით ბეისბოლის ნაკლებად პოპულარულ საშინაო მატჩებზეც ირვინგ-პარკში, სადაც ვერ ნახავდით სტადიონის განაპირას ჩაჩოქილ აღგზნებულ ჩირლიდერებს, ეს ყიჟინა გაისმოდა ხის სკამებზე მსხდარი უიკვეიკელი თავგადაკლული გულშემატკივრების თავზე არა მარტო მაშინ, როდესაც შვედი დასარტყმელად ემზადებოდა, არამედ მაშინაც, როდესაც ის ყველაზე იოლ სიტუაციაში ბურთს აწვდიდა პირველ ბაზას. ყიჟინაში გაისმოდა რვა მარცვალი, რომელთაგან სამი მისი სახელის მარცვლები იყო. ბა-ბაბა-ბა - გაისმოდა მოედნის თავზე - ყოველი განმეორებისას

სულ უფრო ხმამაღლა - სანამ, აზვირთებული აღტაცების ზენიტში, ჩვენი ათიოდე ჩირლიდერი გოგონას აფრიალებული კაბები და ნარინჯისფერი სპორტული შარვლები ფეიერვერკივით ფეთქდებოდა აღტაცებული მაყურებლების თვალწინ... ეს იყო არა ჩვენდამი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ შეუდარებელი შვედისადმი სიყვარულის გამოხატულება. „შვედ ლევოვი! სიყვარული! შვედ ლევოვი! სიყვარული! შვედ ლევოვი! სიყვარული!“

ღიახ, სადაც უნდა გამოჩენილიყო, მას სიყვარულით ხვდებოდნენ. ტკბილეულის მაღაზიათა მფლობელები, რომელთაც ჩვენ თავს ვაბეზრებდით, გვიყვიროდნენ: „ხელი არ ახლო!“ ან „აქედან მოუსვი!“, მაგრამ მას პატივისცემით შვედს ეძახდნენ. მშობლები უღიმოდნენ და ალერსიანად სეიმურს უწოდებდნენ. როდესაც ქუჩაში მოქალაქე გოგონათა ჯგუფს ჩაუვლიდა, ისინი ჩუმდებოდნენ, ხოლო ყველაზე გაბედულები უყვიროდნენ: „მოდო, მოდო, ჩემო სიცოცხლე, ლევოვ!“ მას კი ამგვარი დამოკიდებულება არ ალელვებდა. სიყვარულით გარემოცული დადიოდა ჩვენს კვარტალში და ისე იქცეოდა, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა. ჩვენ ვოცნებობდით იმ აღტაცებაზე, რომელსაც საყოველთაო, მგზნებარე და უსაზღვრო თაყვანისცემა მოგვანიჭებდა, ხოლო შვედი თითქოს განურჩევლად ეკიდებოდა თავსმოხვეულ სიყვარულს. ეს ბიჭი, რომელიც ამდენ ადამიანს იმედის სიმბოლოდ, ძალის, შეუპოვრობის, სიქველის განსახიერებად მიაჩნდა და რომლის წყალობითაც ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები უვნებლად უნდა დაბრუნებულიყვნენ მიდუეიდან, სალერნოდან, შერბურიდან, ტარავიდან, სოლომონისა და ალუტის კუნძულებიდან, ისე ატარებდა მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის ტვირთს, რომ მიხვედრის ან ირონიის ნასახიცი კი არ ეტყობოდა.

მაგრამ ღიმილი ან ირონია მხოლოდ შებლაღავდა ისეთი ყმაწვილის შინაგან სისრულეს, როგორც შვედი იყო. ირონია, რომელიც ადამიანისთვის თავდაცვის ხერხია, სრულიად გამოუსადეგარია, თუკი შენი გზა ღვთისკენ მიმავალი გზაა. შესაძლოა არსებობდა მისი პიროვნების კიდევ ერთი მხარე, მაგრამ შვედი მთლიანად ანშობდა მას თავის თავში, ან, შესაძლოა, ის ჯერ კიდევ არ გაღვიძებოდა, ან კიდევ - რაც უფრო სავარაუდოა - საერთოდ არ ჰქონდა. ყველასგან გაუცხოებული, საყოველთაო თაყვანისცემის მიმართ გულგრილი შვედი ჩვენთვის ღმერთი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, უფრო უზადო არსება მაინც

გახლდათ, ვიდრე სხვა მოკვდავნი, ჩვენი სკოლის მოსწავლეთა ჩათვლით. შვედს, რომელიც ისტორიის განუყოფელი ნაწილი, ისტორიის იარაღი იყო, მგზნებარედ სცემდნენ პატივს. ეს კი არ მოხდებოდა, მას უიკვეიკის საკალათბურთო რეკორდი - ოცდაშვიდი ქულა მატჩში „ბარინჯერის“ წინააღმდეგ - სხვა დროს რომ გადაელახა და არა - 1943 წლის იმ სევდიან დღეს, როდესაც ლუფტვაფეს გამანადგურებლებმა ორმოცდათვრამეტი „მფრინავი ციხესიმაგრე“ ჩამოაგდეს. მათგან ორს საზენიტო ქვემეხები დაუშინეს, ხუთი კი ინგლისის სანაპიროს თავზე დაილუპა, როდესაც გერმანიის დაბომბვის შემდეგ უკან ბრუნდებოდა.

შვედის უმცროსი ძმა, ჯერი ლევოვი, ჩემი თანაკლასელი იყო. ამ აწოწილ ბიჭს გამხდარი, თითქოს უძველო სხეული და პატარა თავი ჰქონდა. უჩვეულო მათემატიკური ნიჭით გამოირჩეოდა. სკოლა 1950 წლის იანვარში დაამთავრა. ჯერის, ქედმაღლობისა და სიფიცხის გამო, არც ერთი ახლო მეგობარი არ ჰყავდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ჩემით დაინტერესდა, რის შედეგადაც ათი წლის ასაკიდან რეგულარულად დავდიოდი მასთან და პინგ-პონგის პარტიას პარტიაზე ვაგებდი ლევოვების სახლის კეთილმოწყობილ სარდაფში, უინდმურ-ავენიუსა და ქიარ-ავენიუს კუთხეში. სიტყვა „კეთილმოწყობილი“ ნიშნავდა ფიჭვის უსწორმასწორო ფიცრებით აკრულ კედლებს და ვარგის (და არა, როგორც ჯერი ფიქრობდა, შესანიშნავ) ადგილს იმისათვის, რომ ერთ ბიჭს მეორე გაენადგურებინა.

აგრესიული ჯერი პინგ-პონგის მაგიდასთან კიდევ უფრო ფეთქებადი იყო, ვიდრე მისი ძმა - სპორტის ნებისმიერ სახეობაში. პინგ-პონგის ბურთულა ზომით და ფორმით ისეთია, რომ თვალს ვერ ამოგივლებს. სხვა შემთხვევაში, ჯერი ლევოვს სარდაფში არ ვეთამაშებოდი. თვით შესაძლებლობა იმისა, რომ მეტრაბახა, ლევოვების ოჯახში დავდივარ-მეთქი, მაქეზებდა ჩავსულიყავი სარდაფში, სადაც თავის დაცვა მხოლოდ ხის პატარა ჩოგნით შემეძლო. პინგ-პონგის ბურთულას წონა საშიშ იარაღად ვერ აქცევს, ჯერის კი ყოველი დარტყმისას თითქოს მკვლელობის ჩადენის სურვილი უჩნდებოდა. აზრადაც არ მომსვლია: თურმე ეს სიშმაგე იქიდან გამომდინარეობდა, რომ ჯერი შვედი ლევოვის უმცროსი ძმა გახლდათ. ვერ წარმომედგინა უკეთესი ხვედრი, ვიდრე შვედის ძმობა იყო - ამას მხოლოდ შვედის ადგილას ყოფნა თუ ემჯობინებოდა - და ვერ ვხვდებოდი, რომ ჯერის ეს ძალზე უმძიმდა.

შვედის საძინებელ ოთახში შესვლას ვერ ვბედავდი, თუმცა მასში ხშირად ვიჭყიტებოდი, როდესაც ჯერის ოთახის გავლით ტუალეტში მივდიოდი ხოლმე. ის სახურავის დამრეცი კალთის ქვეშ, სახლის სიღრმეში მდებარეობდა. დაქანებული ჭერი, მანსარდის სარკმლები და კედლებზე დაკიდებული უიკვეიკის ალმები მას ჩვეულებრივი ბიჭის ოთახს ამსგავსებდა. ორი სარკმლიდან, რომლებიც გაზონს გაჰყურებდა, მოჩანდა სახურავი გარაჟისა, რომელშიც ზამთრობით შვედი, დაწყებითი კლასების მოსწავლე, ზუსტი დარტყმების ხელოვნებას ჭერის კოჭზე ჩამოკიდებული ბეისბოლის ბურთის მეშვეობით ეუფლებოდა. ეს მეთოდი ალბათ ჯონ რ. ტიუნისის რომანიდან, „ტომკინსვილელი ბიჭიდან“ გადაიღო. ტიუნისის ამ და სხვა „ბეისბოლური“ წიგნების (რომელთა შორის იყო „რკინის დიუკი“, „დიუკი გადაწყვეტილებას იღებს“, „კეისტოუნელი ბიჭები“, „ახალბედა ჯარისკაცი“) შესახებ მაშინ გავიგე, როდესაც ისინი შვედის საწოლის თავთან მიმაგრებულ თაროზე ვიხილე. წიგნები ანბანური თანმიმდევრობით იყო ჩამწკრივებული, თაროს ბოლოებში კი იდგა როდენის „მოაზროვნის“ მინიატურული ასლები, რომლებიც შვედს ბარ-მიცვის აღსანიშნავად აჩუქეს. დაუყოვნებლივ წავედი ბიბლიოთეკაში, წამოვიღე ტიუნისის ყველა წიგნი და „ტომკინსვილელი ბიჭის“ კითხვა დავიწყე. ეს იყო სასტიკი და საინტერესო საყმაწვილო წიგნი, რომელიც დაწერილი იყო სადად, ზოგან - პრიმიტიულად, მაგრამ მთლიანად უშუალო და კეთილშობილური ნაწარმოები გახლდათ. მასში მოთხრობილი იყო უბრალო ბიჭის, სიმპათიური ბეისბოლისტის, როი თაკერის ამბავი. ბიჭი კონექტიკუტის მთიან სოფელში ცხოვრობდა. მამა მაშინ მოუკვდა, როდესაც ოთხი წლისა იყო, დედა კი - როდესაც თექვსმეტისა გახდა. ახლა ბებიას ეხმარებოდა და ამიტომ დღისით საკუთარ ფერმაში მუშაობდა, საღამოობით კი - მეზობელ ქალაქში, „მაკენზის აფთიაქში, რომელიც სამხრეთ მენისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა“.

1940 წელს გამოქვეყნებული წიგნი ილუსტრირებული იყო. შავ-თეთრი ნახატები ოდნავ შესამჩნევი ექსპრესიონისტული შტრიხებისა და ანატომიის კარგი ცოდნის მეშვეობით ააშკარავებდა, რა ძნელი იყო როის ცხოვრება იმ პერიოდში, როდესაც ბეისბოლი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა წინასწარ გათვლილი და მილიონების მომტანი ბიზნესის ნაწილს. ის გაცილებით მეტად უკავშირდებოდა ამქვეყნიური ცხოვრების ავ-კარგს, როდესაც სახელგანთქმული მოთამაშეები გამოიყურე-

ბოდნენ არა ზორბა, ჯან-ლონით აღსავსე ბავშვებივით, არამედ - გაძვალტყავებული და მშვიერი პროლეტარებივით. ილუსტრაციები თითქოს უშუალოდ დიდი დეპრესიის დროიდან მოგვევლინენ. ყოველმეათე გვერდზე ისინი ასახავდნენ ნაწარმოების რომელიმე დრამატულ მომენტს. მათ ახლდა წარწერები: „ის გამბედაობას იკრებს“, „ბურთი ლობის მიღმა გადავარდა“, „რაზლი კოჭლობით მივიდა სათადარიგო მოთამაშეთა სკამამდე“. მოშავო ლაქებით დაეხატათ ბეისბოლის მოთამაშის გამხდარი, დაჩრდილულსახიანი ფიგურა, რომელიც მკვეთრად გამოიყოფოდა თეთრ ფონზე და ისევე მარტო იყო, როგორც მარტობით ყველაზე მეტად გაწამებული, ბუნებისგან და ადამიანებისგან გარიყული სული. შტრიხებით მოენიშნათ ბალახი ბეისბოლის მოედანზე, სადაც მოთამაშის ჭიისმაგვარი ჩრდილი იკლაკნებოდა. მოთამაშეთვით ბეისბოლის ფორმაშიც კი შეუხედავი იყო. პიტჩერს ხელთათმანიანი ხელი ცხოველის თათს მიუგავდა და სურათები სულ უფრო მეტი სიცხადით ააშკარავებდა, რომ მაშინაც კი, როდესაც ის უმაღლეს ლიგაში თამაშობდა და გმირად მოგვევლინა, მძიმე შრომას ეწეოდა არცთუ სახარბიელო გასამრჯელოს ფასად. ტომკინსვილელი ბიჭისთვის შეიძლებოდა ასევე გვეწოდებინა „ტომკინსვილელი კრავი“ და თვით „დასაკლავად განწირული კრავი ტომკინსვილიდან“. იმ მომენტიდან, როდესაც ბრუკლინის წარუმატებელ „დოჯერ-კლუბში“ მოხვდა და აალების სანთლის როლი შეასრულა, მის ყოველ ტრიუმფს ან მძიმე იმედგაცრუება მოსდევდა, ან მძიმე ტრავმა. მარტოსული, სახლს მონატრებული ბიჭი დაუმეგობრდა დოჯერების ვეტერანს, კეტჩერ დეივ ლეონარდს, რომელმაც მას გასაგებად აუხსნა, რა წესები იყო გაბატონებული მსხვილ ლიგებში. დეივი, რომელსაც „ქუდის წინაფრის ქვემტკიცედ მომზირალი მუქი თაფლისფერი თვალები უელავდა“, ბიჭს ბურთის ტრაექტორიის შეუცდომლად განსაზღვრას ასწავლიდა. მაგრამ სეზონის დაწყებიდან ექვსი კვირის შემდეგ მათ მეგობრობას ულმობლად მოუღეს ბოლო: ხანდაზმული კაცი კლუბიდან გააძევეს. „ასე გამოვლინდა სისწრაფე, რომლის შესახებაც ხშირად როდი საუბრობენ ბეისბოლზე მსჯელობისას - სისწრაფე, რომლითაც მოთამაშე მწვერვალს აღწევს, შემდეგ კი დაბლა ეცემა“. როდესაც ბიჭი ზედიზედ იგებს მეთხუთმეტე თამაშს - როდესაც ეს ახალბედა ამყარებს რეკორდს, რომელიც აღემატება ნებისმიერი ლიგის პიტჩერთა მიღწევებს - მას სამხაპეში ხმაურით გარს ეხვევიან და შემთხვევით ძირს აგდებენ ამ შესა-

ნიშნავი გამარჯვებით აღზნებული თანაგუნდელები. დაცემისას დაზიანებული იდაყვის გამო ის ველარასოდეს იქნება პიტჩერი. წლის ბოლოს ბიჭი სათადარიგო მოთამაშეა, ბეტერია, შემდეგ კი, თოვლიანი ზამთრის დადგომისას, ბრუნდება კონექტიკუტში და კვლავ მუშაობს, დღისით - ფერმაში, სალამოობით - აფთიაქში. მიუხედავად იმისა, რომ უკვე სახელი აქვს განთქმული, მაინც ბებუის საყვარელი თანამემწეა. ბეჯითად ვარჯიშობს დეივ ლეონარდის მეთოდით სვინგის დასამუშავებლად („მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკლი ის იყო, რომ მარჯვენა მხარს ხრიდა და ბურთს ძალზე მაღლა ტყორცნიდა“). ზამთრის ყოველ ცივ დილას ის ფარდულის სახურავზე მიმაგრებულ თოვზე ჩამოკიდებულ ბურთს ურტყამს „თავის საყვარელ ჯოხს“, სანამ ერთიანად ოფლში არ გაიწუწება. „კრაკ...“ - გაისმის სასიამოვნო, წმინდა ხმა ჯოხისა, რომელიც ბურთს ხვდება“.

მომდევნო სეზონის დასაწყისში ის მზადაა დაბრუნდეს „დოჯერებთან“ მარჯვენა აუტფილდერად. როგორც ბეტერს, ეფექტიანობის 32,5%-იანი მაჩვენებელი აქვს და თავის გუნდს ჩემპიონის წოდების პრეტენდენტად აქცევს. სეზონის ბოლო დღეს „გიგანტებთან“ გამართული მატჩის დროს (ისინი „დოჯერებს“ მხოლოდ ნახევარი გეიმით უსწრებენ წინ) „დოჯერები“ გამმაგებულ იერიშზე გადადიან და მეთოთხმეტე ინინგის ბოლოს - ორი უილბლო მცდელობისა და ორი წარმატებული მცდელობის შემდეგ - ბიჭის თავგამეტებული სირბილით ფრთაშესხმულები დაჰქრიან მოედანზე. ის ბურთს მარჯვენა ცენტრალურ სექტორში იჭერს და, ამის წყალობით, მთელ მატჩს იგებს. ამ უმაგალითო, ზეადამიანურ გმირობას მისი გუნდი ჩემპიონატის ფინალში გაჰყავს, ხოლო ბიჭი „ტკივილისგან მოკრუნჩხულა მარჯვენა სექტორის კუთხეში, მწვანე ბალახზე“. ტიუნისი წიგნს ამგვარად ამთავრებს: „მწუხრი ეფინებოდა შეჯგუფებულ მოთამაშეებს, მინდორზე გადასულ მრავალრიცხოვან ბრბოს და, ასევე - ორ კაცს, რომლებსაც საკაცით მიჰქონდათ რალაც უძრავი. ისინი ხალხში გაჭირვებით მიიკვლევდნენ გზას... მეხმა დაიგრგვინა. პოლოს მოედანზე გაწვიმდა“. ნი-ალვარს სადინარი გაეხსნა და ჰეჟა-ქუხილს - გზა. ასე დამთავრდა ბიჭის „იობის წიგნი“.

ათი წლისა ვიყავი და მსგავსი არაფერი წამეკითხა. დავრწმუნდი, რომ ცხოვრება ულმოხელი ყოფილა. უსამართლო. ვერ დამეჯერებინა. ამ ბოროტებაზე პასუხისმგებელი იყო „დოჯერების“ გუნდის წევრი

რაზლ ნაჯენთი - შესანიშნავი პიტჩერი, მაგრამ ლოთი, ფიცხი, ღვარძლიანი და შფოთისთავი კაცი, რომელსაც ძალზე შურდა ბიჭისა. და მაინც, რაზლი კი არ იწვა „უძრავად“ საკაცეზე, არამედ საუკეთესო მოთამაშე, ობოლი გლეხი, რომელსაც „ბიჭს“ ეძახდნენ - თავმდაბალი, სერიოზული, წრფელი, ერთგული, გულუბრყვილო, შეუპოვარი, შრომისმოყვარე, თავმეკავებული, მამაცი, ბრწყინვალე სპორტსმენი, ლამაზი, გულჩათხრობილი ყმაწვილი. რა თქმა უნდა, ეს ბიჭი შვედად წარმომედგინა და ვფიქრობდი, რომ შვედს ალბათ მძიმე განცდები ალუძრა ამ წიგნმა, რომელმაც ამაცრემლა და ძილი გამიტენა. ვერ გავბედე, მისთვის მეკითხა, ყველაფერი დამთავრდა თუ არა ბიჭისთვის, ან შეეძლო თუ არა მას დაბრუნება. სიტყვა „უძრავი“ მაშინებდა. ნუთუ ბიჭი სეზონის ამ უკანასკნელ თამაშს შეეწირა? იცოდა თუ არა შვედმა რაიმე ამის შესახებ? ალელვებდა თუ არა ეს? ფიქრობდა თუ არა იმაზე, რომ თუკი უბედურება შეემთხვა ტომკინსვილელ ბიჭს, იგივე შეიძლებოდა დამართოდა მასაც - „დიდ“ შვედს? ან იქნებ წიგნი მკაცრად და უსამართლოდ დასჯილი შესანიშნავი მოთამაშის, ნიჭიერი და კეთილი ბიჭის შესახებ, რომელიც უნებურად ძირს სწევდა მარჯვენა მხარს და ბურთს ზედმეტად მაღლა ტყორცნიდა, ბოლოს კი მეხთამტყორცნელმა ზეცამ იმსხვერპლა, უბრალოდ, თაროზე ორ „მოაზროვნეს“ შორის ჩაჭეჭყილი ერთ-ერთი წიგნი იყო?

ქიარ-ავენიუსზე ცხოვრობდნენ მდიდარი ებრაელები, ან, უფრო ზუსტად, ისინი, ვინც მდიდარი ეგონათ ოჯახებს, რომლებიც ბინებს ქიარობდნენ ორ-, სამ-, ოთხბინიან სახლებში. ამ სახლების მაღალ აგურის კიბეებზე გაკვეთილების შემდეგ შესანიშნავად ვერთობოდით - ჯოხებს უთავბოლოდ ვუტყაპუნებდით რეზინის იაფფასიან ბურთს, რომელიც განსაკუთრებით მძლავრი დარტყმის შემდეგ საფეხურებზე ეხეთქებოდა და ტკაცანით სკდებოდა. პერპენდიკულარულად გაყვანილ გამწვანებულ ქუჩებზე, ლაიონსთა ოჯახის ყოფილი ფერმის ადგილას (რომელიც ოციანი წლების ბუმის დროს სამშენებლო ნაკვეთებად დაყვეს) დასახლებული ნიუარკელი ებრაელების პირველი პოსტიმიგრანტული თაობა სწრაფად გაიმსჭვალა ამერიკული ცხოვრების სულისკვეთებით და დაივიწყა პოლონური სოფლის ატმოსფერო, რომელიც იდნაშე მოლაპარაკე მშობლებმა შექმნეს პრინს-სტრიტის ირგვლივ გაშენებულ ლარიბულ „მესამე კვარტალში“. ქიარ-ავენიუს ებრაელები, მათი კეთილმოწყობილი სარდაფებით, შემინული სადარბაზოებით, ფილაქ-

ნიანი კიბეებით, ერთგვარ ავანგარდს წარმოადგენდნენ და, ძველი დროის უშიშარ პიონერთა მსგავსად, გზას იკვლევდნენ სტანდარტული ამერიკული კეთილმოწყობილი ცხოვრებისკენ. ამ ავანგარდს წინ მიუძღოდა ლევოვების ოჯახი, რომლის პირმშო იყო თვით შვედი. ეს ბიჭი უკვე ძალზე წააგავდა გოის, ჩვენ კი ვოცნებობდით, რომ ასეთივენი გავხდებოდით მომავალში.

თვით ლევოვები - ლუ და სილვია - უფრო მეტად როდი ჰგავდნენ ამერიკელებს, ვიდრე დედაჩემი და მამაჩემი - ნიუ-ჯერსიში დაბადებული ებრაელები. ისინი არ გამოირჩეოდნენ მათგან არც დახვეწილობით, არც მეტყველებით და არც აღზრდით, რაც მაკვირვებდა. ქიარ--ავენიუზე ლევოვების საკუთარი სახლი რომ არა, ჩემს მშობლებსა და მათ შორის არავითარი განსხვავება არ იქნებოდა - ისეთი განსხვავება, როგორც (ამის შესახებ სკოლაში გავიგე) არსებობს არისტოკრატებსა და გლეხებს შორის. მისის ლევოვი, დედაჩემის მსგავსად, შესანიშნავი დიასახლისი, კარგად აღზრდილი, სასიამოვნო გარეგნობის ქალი იყო. ის პატივს სცემდა სხვების გრძნობებს და თავის ვაჟებს ღირსების გრძნობა ჩაუნერგა. ერთი სიტყვით, ეს გახლდათ ქალი, რომელსაც არასოდეს უცდია, თავი აერიდებინა უამრავი საოჯახო მოვალეობისთვის, უმთავრესად მის შვილებს რომ უკავშირდებოდა. ლევოვების ვაჟებს დედისგან გამოჰყვათ გრძელი კიდურები და ქერა თმა, თუმცა, იმის გამო, რომ მისი თმა უფრო მოწითალო და ხვეული იყო, ხოლო კანი - ახალგაზრდულად ჭორფლიანი, მისის ლევოვი ნაკლებად „არიულად“ გამოიყურებოდა და ჩვენს ქუჩებში მისი გარეგნობა გენეტიკურ კურიოზად არ გეჩვენებოდათ.

შვედის მამა მხოლოდ ხუთი ფუტისა და შვიდი-რვა დუიმის სიმაღლისა გახლდათ. ეს კაფანდარა კაცი ყოველთვის იმაზე მეტად ფორიაქობდა, ვიდრე ათასგვარი საზრუნავით თავგაბეზრებული მამაჩემი. მისტერ ლევოვი გახლდათ წარმომადგენელი ჯურღმულებში გაზრდილი ებრაელი მამებისა, რომლებმაც წარმოშვეს უმაღლესი განათლების მქონე, მიზანსწრაფული ებრაელი შვილების თაობა. ეს იყო მამა, რომელიც მოვალეობას უზენაეს ფასეულობად მიიჩნევდა; რომლისთვისაც არსებობდა მხოლოდ კარგი საქციელი და ცუდი საქციელი, შუალედური კი - არა; მამა, რომლის მისწრაფებები, მიდრეკილებები და შეხედულებები იმდენად მტკიცე და საგულდაგულოდ გააზრებული იყო, რომ მისი გავლენისგან თავის დაღწევა გაცილებით ძნელი გახლდათ, ვიდრე

ეს ერთი შეხედვით გეგონებოდათ. ეს მამები შეზღუდული გონებითა და დაუოკებელი ენერჯით გამოირჩეოდნენ. ისინი სწრაფად უახლოვდებოდნენ ადამიანებს და სწრაფადვე უცივდებოდათ გული მათ მიმართ, ხოლო ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნდათ წინსვლა, ნებისმიერ ფასად. ჩვენ მათი ვაჟიშვილები ვიყავით. ჩვენი მოვალეობა მათი სიყვარული იყო.

ისე მოხდა, რომ მამაჩემი პედიკიურის ოსტატი იყო, ჩვენს სასტუმრო ოთახში იღებდა კლიენტებს და თავისი გასამრჯელოთი ოჯახს ძლივს არჩენდა, მისტერ ლევოვი კი ქალის ხელთათმანების მდიდარი მეწარმე გახლდათ. მისი მამა - შვედ ლევოვის ბაბუა - მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ევროპიდან ნიუარკში ჩამოვიდა და ცხვრის ტყავების გამოქნას მიჰყო ხელი. ეს მარტოხელა ებრაელი შეერია ნიუარკის ყველაზე ტლანქ იმიგრანტებს: სლავებს, ირლანდიელებსა და იტალიელებს, რომლებიც ნატმენ-სტრიტზე, ტყავის მაგნატის, ტ. პ. ჰაუელის ფაბრიკაში მუშაობდნენ. ჰაუელი ქალაქის უძველეს და უმსხვილეს ინდუსტრიაში - ტყავის დამუშავებასა და ტყავის საქონლის წარმოებაში - მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ. ტყავის დამუშავებისას ყველაზე მნიშვნელოვანი ინგრედიენტი წყალია. ტყავებს უზარმაზარ, წყლით ავსებულ ცილინდრებში აბრუნებენ, შემდეგ დაბინძურებულ წყალს ღვრიან და მილებით ტუმბავენ ახალ, ცივ და ცხელ წყალს. მთელ ამ პროცესს ასობით ათასი გალონი წყალი სჭირდება. თუ წყალი რბილი და ხარისხიანია, შეგიძლიათ ხარშოთ ლუდი და დაამუშაოთ ტყავი - ნიუარკში ორივე საქმიანობას მისდევდნენ. იქ იყო ლუდის სახარში ქარხნები, ტყავის დამმუშავებელი ფაბრიკები, ესე იგი, ბევრი სამუშაო - იმიგრანტებისთვის, რომლებიც გაუსაძლის პირობებში, ნესტსა და სიმყრალეში შრომობდნენ.

შვედ ლევოვის მამამ, ლუმ, რომელსაც ცხრაკაციანი ოჯახი უნდა ერჩინა, სკოლა თოთხმეტი წლის ასაკში მიატოვა. ის ტყავის დამმუშავებელ ფაბრიკაში მივიდა და ისწავლა არა მარტო ირმის ტყავის ღებვა - მასზე ბრტყელი, უხეში ფუნჯით საღებავის წასმა - არამედ ტყავების დახარისხებაც. ტყავის ფაბრიკა ისე ყარდა, როგორც სასაკლაო და ქიმიური ქარხანა ერთად. იქ ათასობით ტყავი უნდა დაეღობოთ, გამოეწვათ, მოეშორებინათ ბეწვი და ცხიმი, გაესუფთავებინათ და გაეშროთ ბინძურ, მყრალ, დაბალჭერიან საამქროში. ამ საამქროში ზაფხულობით ოცდაოთხი საათის განმავლობაში შრებოდა დაკიდებული ტყავე-

ბი, ტემპერატურა კი ას ოც გრადუსს აღწევდა. ურჩხულების მსგავსი, კაუჭებითა და ჯონებით შეიარაღებული, მძიმეწინსაფრიანი მუშები დატვირთულ ვაგონეტებს დაათრევდნენ, სველ ტყავებს წურავდნენ და ჰკიდებდნენ. ცხიმით მოლიპული იატაკი წითელი, შავი, მწვანე და ლურჯი გუბეებით იყო აჭრელებული, ყველგან ტყავის ნაგლეჯები, მარილის გროვები და განმაწავებლით სავსე კასრები ეყარა. ეს იყო ლუ ლევოვის სკოლაც და კოლეჯიც. გასაკვირი არ იყო, რომ ის გატლანქდა. გასაკვირი იყო, რომ დროდადრო ახერხებდა, ცივილიზებული ადამიანივით მოქცეულიყო.

როდესაც ოც წელს გადააბიჯა, ლუმ მიატოვა ფირმა „ჰაუელი და კომპანია“, სადაც ამგვარი განათლება მიიღო, და ორ ძმასთან ერთად დააარსა საწარმო, რომელშიც ქალის ხელჩანთებს ამზადებდნენ. მას ნიანგის ტყავით ამარაგებდა რ. გ. სალომონი - გამოქნილი კორდოვული ტყავისა და ნიანგის ტყავის მწარმოებელი ნიუარკელი „მეფე“. გარკვეული ხნის განმავლობაში საწარმო თითქოს მომგებიანი იყო, მაგრამ კრიზისმა მას საფუძველი შეურყია და სამი ენერგიული, გაბედული ლევოვი გაკოტრდა. როდესაც რამდენიმე წლის შემდეგ ნიუარკის ტყავის ნაწარმის კომპანია შეიქმნა, მის სათავეში იდგა მხოლოდ ლუ ლევოვი, რომელიც იმხანად ყიდულობდა ნახმარ იაფფასიან ტყავის ხელჩანთებს, ხელთათმანებს და ქამრებს, შემდეგ კი შაბათ-კვირაობით ურიკიდან ყიდდა, ხოლო სამუშაო დღეებში, სალამოობით, კარდაკარ დადიოდა და თავის საქონელს ნიუარკელებს სთავაზობდა.

დაუნ-ნეკი - ნიუარკის აღმოსავლეთით მდებარე, ნახევარკუნძულის მსგავსი შვერილი, სადაც იმიგრანტთა ყოველი ახალი ტალღა სახლდებოდა, ტაფობი იყო. ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მას ესაზღვრებოდა მდინარე პასაიკი, სამხრეთით კი - მლაშობი. აქ ცხოვრობდნენ იტალიელები, რომლებიც სამშობლოში ხელთათმანებს კერავდნენ, ნიუარკში კი ლუსთვის ნარდად მუშაობდნენ თავიანთ სახლებში. ლუს მიერ მიტანილი ტყავებისგან ისინი ჭრიდნენ და კერავდნენ ქალის ხელთათმანებს, რომლებითაც ის მთელ შტატში ვაჭრობდა. ომის დაწყებისას მას უკვე პატარა სახელოსნო ჰქონდა უესტ-მარკეტ-სტრიტზე. აქ იტალიელთა მთელი ოჯახები ჭრიდნენ და კერავდნენ ბავშვის ხელთათმანებს. ეს ნაკლებშემოსავლიანი ბიზნესი იყო, მაგრამ 1942 წელს ლუს ბედმა გაულიმა: მას შეუკვეთეს შავი ტყავის ხელთათმანები ქალთა საჯარისო შენაერთებისთვის. ამის შემდეგ მან სენტრალ-ავენიუსა

და მე-2 ქუჩის კუთხეში ქოლგების ძველი ფაბრიკის გაჭვარტლული ოთხსართულიანი შენობა დაიქირავა, მალე შეისყიდა კიდევ ის და ზედა სართული ელვა-შესაკრავების მწარმოებელ კომპანიას მიაქირავა. „ნიუარკ-მეიდის“ საამქროებში უამრავ ხელთათმანს ამზადებდნენ. ყოველ ორ-სამ დღეში უკანა კარიდან გაჰქონდათ მზა პროდუქცია, რომელიც სატვირთო მანქანას მიჰქონდა.

სამთავრობო დაკვეთაზე უფრო მომგებიანი იყო ბამბერგერის მაღაზიასთან დადებული გარიგება. ლუ ლევოვისა და ლუის ბამბერგერის მოულოდნელი და უჩვეულო შეხვედრის წყალობით, „ნიუარკ-მეიდმა“ „ბამბერგერში“ შეაღწია და ქალის თხელი ხელთათმანების მთავარ მწარმოებლად იქცა. მეიერ ელენსტაინის - 1933 წლიდან ქალაქის მსხვილი ფუნქციონერისა და ნიუარკის ისტორიაში ერთადერთი ებრაელი მერის - პატივსაცემად გამართულ საზეიმო სადილზე „ბამბერგერის“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა შეიტყო, რომ შვედ ლევოვის მამა სტუმართა შორის იმყოფებოდა, მივიდა მასთან და ახარა, „ნიუარკ ნიუსში“ შვედი ოლქის საუკეთესო ცენტრალურ მოთამაშედ არის აღიარებული კალათბურთში. ლუ ლევომ გაიაზრა, რომ უნიკალური შესაძლებლობა ეძლეოდა, დაეძლია ყველა დაბრკოლება და მყისიერად მწვერვალზე აღმოჩენილიყო. მან იმარჯვა და იქვე, სადილის დროს, წარუდგინა თავისი თავი ლეგენდარულ ლუის ბამბერგერს - ნიუარკის ყველაზე დიდი მაღაზიის დამაარსებელსა და ფილანტროპს, გავლენიან პიროვნებას, რომელმაც ქალაქს მუზეუმი აჩუქა. იქაურ ებრაელთა აზრით, ის ისეთივე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო, როგორც გახლდათ, ყველა ამერიკელი ებრაელის შეხედულებით, ბერნარდ ბარუხი - ფრანკლინ დელანო რუზველტის ახლო ნაცნობი. ნიუარკში ჭორობდნენ, რომ დიდმა ბამბერგერმა ხელი ჩამოართვა ლუს და ორი-სამი კითხვით მიმართა (შვედის შესახებ), რაც რამდენიმე წუთს გაგრძელდა, მაგრამ ესეც საკმარისი იყო, რომ ლუ ლევოს კადნიერად ეთქვა მისთვის: „მისტერ ბამბერგერ, უზადო ხარისხის დაბალფასიან პროდუქციას ვაწარმოებთ. იქნებ იყიდოთ ჩვენი ხელთათმანები?“ თვის ბოლოს ბამბერგერმა, პირველ ჯერზე, „ნიუარკ მეიდს“ დაახლოებით ხუთასი დუჟინი ხელთათმანი შეუკვეთა.

ომის დასასრულისთვის „ნიუარკ მეიდმა“ - და აქ შვედის სპორტულმა მიღწევებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა - ქალის ხელთათმანების მწარმოებელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაბ-

რიკის რეპუტაცია მოიპოვა გლოვერსვილიდან სამხრეთით, ნიუ-იორკის შტატში. იქ, ხელთათმანებით ვაჭრობის ცენტრში, სადაც ლუ ლევოვი ტყავებს რკინიგზით გზავნიდა (ფულტონვილის გავლით), მათ საუკეთესო საწარმოში თრიმლავენ. ათი წლის შემდეგ, 1958 წელს, ახალი ფაბრიკა გაიხსნა პუერტო-რიკოში და შვედი კომპანიის ახალგაზრდა პრეზიდენტი გახდა. ის ყოველ დილას სენტრალ-ავენიუზე მიდიოდა თავისი სახლიდან, რომელიც ქალაქის გარეუბნებიდან მოშორებით იდგა - დაახლოებით ოცდაათი მილის მანძილზე ნიუარკიდან დასავლეთით. შვედს ასე აკრის ფართობის ფერმა ჰქონდა მორისტაუნის მილმა, მეჩხერად დასახლებულ ბორცვებს შორის, მდიდართა სოფელ ოლდ-რიმროკში (ნიუ-ჯერსის შტატი). ის ერთგვარი პიონერი გახლდათ, რომელიც ძალზე შორს გასცდა ტყავის სათრიმლაგ სახელოსნოს. არადა, ბაბუა ლევოვი შრომითი გზა ამერიკაში სწორედ ამგვარ სახელოსნოში დაიწყო - უზარმაზარ ჭურჭლებში ჩამბალ ტყავებს ფხეკდა და ცდილობდა, ისინი ორჯერ გაეთხელებინა.

1945 წლის ივნისში შვედმა უიკვეიკის სკოლის ატესტატი აიღო და მეორე დღესვე ჩაეწერა საზღვაო ქვეით ჯარში. იმედი ჰქონდა, რომ მონაწილეობას მიიღებდა გადამწყვეტ ბრძოლებში, რომლებიც ომს ბოლოს მოუღებდა. ქალაქში ამბობდნენ, რომ განრისხებულ მშობლებს სურდათ ეხილათ თავიანთი ვაჟი არა საზღვაო ქვეით ჯარში, არამედ ფლოტში. კიდევ რომ გამკლავებოდა საზღვაო ქვეით ჯარში გავრცელებულ ანტისემიტიზმს, როგორ აიტანდა იაპონიაში შეჭრას? მაგრამ შვედი თავისას არ იშლიდა. პერლ-ჰარბორის შემდეგ, ყველასგან საიდუმლოდ, გადაწყვიტა მოქცეულიყო ისე, როგორც მამაკაცს და პატრიოტს შეეფერებოდა და წასულიყო იქ (ომის გავრცელების შემთხვევაში), სადაც ყველაზე მამაცები უნდა წასულიყვნენ. ის-ის იყო, დაასრულა სასწავლო კურსი პერის-აილენდის (ჩრდილოეთ კაროლინა) ბანაკში (სადაც ამბობდნენ, საზღვაო ქვეითი ჯარი 1946 წლის 1 მარტს უნდა გადასხან იაპონიაში), რომ ჰიროსიმაში ატომური ბომბი ჩამოაგდეს. ამის შედეგად შვედმა დარჩენილი დრო იქვე, პერის-აილენდზე გაატარა, როგორც „გართობის სპეციალისტმა“. ყოველ დილას, საუზმემდე, ნახევარი საათის განმავლობაში ავარჯიშებდა ბატალიონს, კვირაში ორჯერ კი, საღამოობით, ახალწვეულთათვის აწყობდა ორთაბრძოლებს კრივში. უმეტესწილად თავის გუნდში თამაშობდა, მთელი სამხრეთი მოიარა და სხვადასხვა სამხედრო გუნდს ეთამაშებო-

და: ზამთარში - კალათბურთს, ზაფხულში - ბეისბოლს. სამხრეთ კაროლინაში ერთი წელი გაატარა, ხოლო შემდეგ დაინიშნა ირლანდიელ კათოლიკე გოგონაზე, რომლის მამამ, საზღვაო ქვეითი ჯარის მაიორმა და ფეხბურთის გუნდის ყოფილმა მწვრთნელმა, სასიძოს ჯარის სამწყობრო მომზადების ინსტრუქტორის ადგილი უშოვა, რათა საუკეთესო სპორტსმენი რაც შეიძლება დიდხანს დაეტოვებინა პერის-აილენდზე. მაგრამ შვედის დემობილიზაციამდე რამდენიმე თვით ადრე მამამისი პერის-აილენდზე ჩავიდა, ერთი კვირა გაატარა სასტუმრო „ბოფორთში“, ბაზის მახლობლად, და მხოლოდ მას შემდეგ გაემგზავრა, რაც შვედისა და მის დანლივის ნიშნობა ჩაშალა. 1947 წელს შვედი შინ დაბრუნდა და ჩაეწერა უპსალა-კოლეჯში, ქალაქ ისტ-ორინჯში. მაშინ ოცი წლისა გახლდათ, ქრისტიან ქალზე დაქორწინების საფრთხე აღარ ემუქრებოდა და კიდევ უფრო ბრწყინვალე რეპუტაცია ჰქონდა, რადგან მან, ებრაელმა, საზღვაო ქვეით ჯარში სამწყობრო მომზადების ინსტრუქტორად იმსახურა, თანაც მსოფლიოში ყველაზე მკაცრ სამხედრო ბანაკში. საზღვაო ქვეით ჯარისკაცებს ბანაკებში ამზადებდნენ და სეიმურ ირვინგ ლევოვმა თავისი წვლილი შეიტანა ამ მნიშვნელოვან საქმეში.

ჩვენ ეს ყველაფერი ვიცოდით, რადგან შვედის ხატება კვლავინდებურად ცოცხალი იყო მისი სკოლის დერეფნებსა და კლასებში, სადაც მეც ვსწავლობდი. მახსოვს, გაზაფხულზე მეგობრები რამდენჯერმე გავემგზავრეთ ისტ-ორინჯში, „ვიკინგთა ველზე“, და დავესწარით უპსალელ ბეისბოლისტთა საშინაო მატჩებს, რომლებიც შაბათობით ტარდებოდა. შვედი უძლეველი თავდამსხმელი და ბრწყინვალე ბეისმენი იყო. ერთ-ერთ მატჩში (მულენბერგის წინააღმდეგ) მან სამჯერ გატყორცნა ბურთი მოედნის საზღვარს გარეთ. ამიტომ საკმარისი იყო, მაყურებელთა შორის თვალი მოგვეკრა კოსტიუმში გამოწყობილი ქუდიანი კაცისთვის, რომ ერთმანეთს ჩურჩულით ვეუბნებოდით: „კლუბის აგენტი, კლუბის აგენტი“. უკვე კოლეჯში ვსწავლობდი, როდესაც შინ დარჩენილმა მეგობარმა მაუწყა, შვედს შესთავაზეს, ხელი მოეწერა კონტრაქტზე ახალგაზრდულ (ა-2 ჯგუფის) კლუბთან, მაგრამ მან ამჯობინა, მამამისის ფაბრიკაში ემუშავა. მოგვიანებით მამაჩემისგან შევიტყვე, რომ შვედი „მის ნიუ-ჯერსიზე“ დაქორწინებულიყო. სანამ „მის ამერიკა-49“-ის კონკურსში მიიღებდა მონაწილეობას, გოგონას მოეპოვებინა „მის ოლქის“, ხოლო მანამდე - უპსალაში - „გაზაფხულის

დედოფლის“ ტიტული. ქალაქ ელიზაბეთიდან იყო. შიკსა გახლდათ. დოუნ დუაირი ერქვა. შვედმა თავისას მიაღწია.

1985 წლის ზაფხულის ერთ საღამოს ნიუ-იორკში რამდენიმე დღით ჩავედი და წავედი მატჩის სანახავად, რომელშიც „მეტები“ თამაშობდნენ „ასტროს“ წინააღმდეგ. როდესაც მეგობრებთან ერთად სტადიონს გარს ვუვლიდი და ჩვენს სექტორში გამავალ კარს ვეძებდი, შვედი დავინახე. ოცდათექვსმეტი წლით უფროსი იყო იმ ბიჭზე, უპსალის გუნდში რომ თამაშობდა. რუხი კოსტიუმი და თეთრი პერანგი ეცვა, ზოლიანი ყელსახვევი ეკეთა და კვლავინდებურად თვალისმომჭრელად ლამაზი იყო. ხშირი ოქროსფერი თმა ოდნავ გამუქებოდა; მოკლედ კი არ ჰქონდა შეჭრილი, არამედ ყურებს უფარავდა და საყელოზე ეფინებოდა. შესანიშნავად მორგებულ კოსტიუმში კიდევ უფრო მაღალი და მოხდენილი ჩანდა, ვიდრე ადრე, როდესაც სპორტული ფორმა ეცვა. ჩვენმა თანმხლებმა ქალმა ის პირველად იხილა.

- ვინ არის? - იკითხა მან. - ჯონ ლინდსეი ხომ არაა?

- არა, - ვუპასუხე. - ღმერთო ჩემო, იცით, ვინ არის? შვედ ლევოვია.

- და მეგობრებს მივუბრუნდი: - ეს შვედია!

შვედს შვიდი-რვა წლის გამხდარი ქერათმიანი ბიჭი ახლდა. ბიჭს „მეტების“ ნიშნიანი ბეისბოლის ქუდი ეხურა და ათამაშებდა კეტჩერის ხელთათმანს, რომელიც შვედივით მარცხენა ხელზე ეკეთა. აშკარა იყო, რომ მამა-შვილი იყვნენ. როდესაც მისასალმებლად მივედი, რალაცაზე საუბრობდნენ და იცინოდნენ.

- თქვენს ძმას ვიცნობდი უიკვეიკში.

- ცუკერმანი ხართ? - მკითხა მან და ღონივრად ჩამომართვა ხელი. - მწერალი?

- დიახ, მწერალი ცუკერმანი.

- ვიცი, ჯერის უახლოესი მეგობარი იყავით.

- ჯერის უახლოესი მეგობრები არ ჰყოლია. საამისოდ ძალიან გამორჩეული პიროვნება იყო. უბრალოდ, თქვენს სარდაფში პინგ-პონგს მეთამაშებოდა და ყოველთვის მიგებდა. ამას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

- ეს თქვენ იყავით? დედაჩემს ხშირად უთქვამს, რომ ძალიან საყვარელი, წყნარი ბავშვი იყავით. იცი, ვინ არის? - მიუბრუნდა შვედი თავის ვაჟიშვილს. - ნამდვილი მწერალია. ნათან ცუკერმანი.

- გამარჯობა, - წაიბურტყუნა დაბნეულმა ბიჭუნამ და შეიშმუნა.

- გაიცანით ჩემი შვილი, კრისი.
- ესენი ჩემი მეგობრები არიან, - ხელით ვანიშნე ჩემს თანმხლებ სამკაცზე და მერე მათ მივუბრუნდი: - ეს საუკეთესო სპორტსმენია, რომელსაც კი ოდესმე უსწავლია უიკვეიკის სკოლაში. ჭეშმარიტი ოსტატი სპორტის სამ სახეობაში. პირველი ბეისმენი იყო და ერნანდესივით გააზრებულად თამაშობდა. მძლავრად ურტყამდა და მეორე ბაზამდე მირბოდა. იცი, რომ მამაშენი ჩვენი ერნანდესი იყო? - ვკითხე ბიჭუნას.
- ერნანდესი ცაციაა, - მიპასუხა მან.
- ეს ერთადერთი განსხვავებაა მათ შორის, - ვუთხარი პატარა პურისტს და მამამისს კვლავ ხელი გავუწოდე: - გამიხარდა, რომ გნახე, შვედ.
- მეც გამიხარდა. მშვიდობით, ხტუნია.
- შენი ძმა მომიკითხე.
- შვედს გაეცინა. როდესაც დავცილდით, ვილაცამ მითხრა:
- გაიგონე? უიკვეიკის სკოლის საუკეთესო სპორტსმენმა ხტუნია გიწოდა.
- გავიგონე. და არც კი მჯერა.
- მართლაც, მეჩვენებოდა, რომ უმაღლესი ჯილდო მეღირსა და ეს გრძნობა თითქმის ისეთივე მძაფრი იყო, როგორც ათი წლის ასაკში განცდილი, როდესაც შვედმა პატივი დამლო - მიცნო და მეგობრების მიერ შერქმეული მეტსახელით მომმართა. ეს მეტსახელი იმიტომ შემარქვეს, რომ ჯერ კიდევ სწავლის დასაწყისში კლასს „გადავახტი“.
- პირველი იწინგის დასაწყისში მეგობარი ქალი მომიბრუნდა და მითხრა:
- უნდა გენახა, რა გამომეტყველება გქონდა! თითქოს ზევსი გაგვაცანი. ახლა მივხვდი, როგორი იქნებოდი ბავშვობაში.
- 1995 წელს, ხსოვნის დღემდე ორი კვირით ადრე, ჩემმა გამომცემელმა შვედის წერილი გამომიგზავნა:
- ძვირფასო ხტუნია ცუკერმან,
- მაპატიე, რომ გაწუხებ. არ ვიცი, გახსოვს თუ არა ჩვენი შეხვედრა სტადიონზე. მაშინ ჩემი უფროსი ვაჟი მახლდა (ახლა კოლეჯის პირველი კურსის სტუდენტია), შენ კი მეგობრებთან ერთად მოხვედი „მეტების“ მატჩზე. ეს იყო ათი წლის წინ, კარტერის, გუდენის, ერნანდესის ეპოქაში, როდესაც მატჩები „მეტების“ მონაწილეობით ჯერ კიდევ საინტერესო იყო. ახლა უკვე ასე აღარაა.

ხომ არ შემხვდებოდი სასაუბროდ? მოხარული ვიქნები, თუ ნიუ-იორკში ერთად ვისადილებთ.

თავს უფლება მივეცი, ამ თხოვნით მომემართა, რადგან მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ ერთი აზრი არ მასვენებს. მამა 96 წლის ასაკში გარდაიცვალა. ასაკის მიუხედავად, ბოლომდე მებრძოლი, შეუპოვარი დარჩა. ეს კიდევ უფრო მიმძიმებს დანაკარგის განცდას.

ძალიან მინდა გიამბო მისი ცხოვრების შესახებ. ვცდილობ დავწერო მისი ბიოგრაფია, რათა შემდეგ გამოვაქვეყნო პატარა ტირაჟით მეგობრებისთვის, ნათესავებისთვის, საქმიანი პარტნიორებისთვის. მათ უმრავლესობას მამაჩემი შეუვალ, უგრძნობელ, ფიცხ ადამიანად მიაჩნდა. სინამდვილეში კი ასეთი არ იყო. არავის ესმოდა, როგორ იტანჯებოდა იმ უბედურების გამო, რომელიც თავს დაატყდა მისთვის ძვირფას ადამიანებს.

დარწმუნებული იყავი, რომ არ მეწყინება, თუკი მოუცლელიობის გამო პასუხს არ გამცემ.

გულწრფელი პატივისცემით,
სეიმურ (შვედ) ლევოვი, 1945

სხვას რომ ეთხოვა, გარდაცვლილი მამის ბიოგრაფიის დაწერაში დამეხმარეო, ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინებას ვუსურვებდი და გავეცლებოდი. მაგრამ ახლა, გარკვეულ მიზეზთა ზეგავლენით, დაუყოვნებლივ მივწერე შვედს, რომ მის განკარგულებაში ვიმყოფებოდი. მთავარი ის იყო, რომ შვედ ლევოვს ჩემთან შეხვედრა სურდა. შეიძლება სასაცილოა, მაგრამ ახლა, სიბერის ზღურბლზე მყოფს, საკმარისი იყო, მეხილა შვედის ხელმოწერა წერილზე, რომ თვალნათლივ დამენახა ის ბეისბოლის მოედანზეც და მოედნის გარეთაც. ეს იყო მოგონებები ორმოცდაათი წლის წინ მომხდარი მოვლენებისა, რომლებსაც კვლავ შენარჩუნებული ჰქონდათ თავიანთი ხიბლი. გამახსენდა, რომ იმ წელიწადს, როდესაც შვედი ფეხბურთის გუნდის წევრი გახდა, ყოველდღე დავდიოდი სტადიონზე და ვუყურებდი, როგორ ვარჯიშობდა. შვედი უკვე ოსტატურად აგდებდა ბურთს კალათში და ქულებს აგროვებდა კალათბურთში, მაგრამ ვერავინ ივარაუდებდა, რომ ფეხბურთის ჯადოქარი გახდებოდა, სანამ ერთხელ მწვრთნელმა, სიტუაციის გადასარჩენად, მის მოვალეობის გრძნობაზე არ იმოქმედა. დამარცხების პირას მყოფი გუნდი ქალაქის ლიგის ბოლოში დარჩა, მაგრამ მაინც დაიწყო ყოველ თამაშში ერთი, ორი ან სამი გოლის გატანა. ყოველივე

ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ შვედის პასების წყალობით. ორმოცდაათი თუ სამოცი ყმაწვილი შეგროვდა მინდვრის პირას და აკვირდებოდა, როგორ ამუშავებდა ყავისფერ სავარჯიშო ფორმაში (რომელსაც ზურგზე ნარინჯისფერად ჰქონდა გამოყვანილი ციფრი 11) გამოწყობილი, ტყავისჩაფხუტიანი შვედი, თავის გუნდთან ერთად, რეზერვისტთა გუნდის წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკას. თავდამსხმელთა კაპიტანი, ლეფტი ლევენტალი პასს პასზე აწვდიდა თავისიანებს (ლე-ვენ-ტალ - ლე-ვო-ვი! ლე-ვე-ნტა-ლ - ლე-ვო-ვი! ეს ანაპესტი შვედის ზეობის დროს ყოველთვის აღგვაგზნებდა) და რეზერვისტები მთელი ძალ-ღონით ცდილობდნენ, შვედ ლევოვის ყოველი დარტყმისას ბურთი კარს არ მოხვედროდა. უკვე სამოც წელს გადავცდი და ჩემი მსოფლალქმა მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისგან, რაც სიყმაწვილისას მქონდა, მაგრამ ჯერ კიდევ განვიცდი იმ ყმაწვილით აღტაცებას. ახლაც მახსოვს, როგორ დინჯად წამოდგა ფეხზე ნახევარმცველების მიერ წაქცეული შვედი, ტანსაცმელი დაიბერტყა, საყვედურით აღსავსე მზერა ესროლა შემოდგომის მოქუფრულ ცას, ნალვლიანად ამოიოხრა და კვლავ შევარდა მოედანზე. როდესაც შვედი ქულას იგებდა - ეს ტრიუმფი იყო, ხოლო როდესაც ძირს აგდებდნენ და ზემოდან აწვებოდნენ, ის კი დგებოდა და უბრალოდ იბერტყავდა ტანსაცმელს - ესეც ტრიუმფი იყო, წამიერი მარცხის მიუხედავად.

დადგა დღე, როდესაც ამგვარ ტრიუმფს ვეზიარე. ათი წლისა ვიყავი. დიდების სხივი ჯერ არ შემხებოდა, და რომ არა ჯერი ლევოვი, მეც, მოედნის გასწვრივ ჩამწკრივებული სხვა ბიჭების მსგავსად, შვედის ყურადღებას ვერ მივიპყრობდი. მაგრამ ცოტა ხნის წინ ჯერიმ გამოაცხადა, რომ მისი მეგობარი ვიყავი. ჩემთვის ძნელად დასაჯერებელი იყო, მაგრამ შვედმა, როგორც ჩანს, შეამჩნია, რომ მათ სახლს ვსტუმრობდი ხოლმე. 1943 წლის შემოდგომის ერთ საღამოს, მას შემდეგ, რაც ლევენტალის ნატყორცილი ბურთი დაიჭირა, რეზერვისტები მისცვივდნენ და ძირს დააგდეს. მწვრთნელმა დაუსტვინა და ვარჯიში შეაჩერა. შვედმა სცადა, ხელი იდაყვში მოეხარა, შემდეგ კოჭლობით გაირბინა, ბიჭებში მდგარს თვალი ჩამიკრა და მითხრა: „კალათბურთში ასეთი რამ არასოდეს მომხდარა, ხტუნია“.

ამ სიტყვებით თექვსმეტი წლის ღმერთმა სპორტულ ოლიმპოზე ამიყვანა. სიყვარულის ობიექტმა თავისი თაყვანისმცემელი აღიარა. რა თქმა უნდა, ვარსკვლავის (კინოსი თუ სპორტის) ყოველი თაყვანის-

მცემელი ფიქრობს, რომ მას და თაყვანისცემის ობიექტს შორის იდუმალი კავშირი არსებობს, ამჯერად კი ყველაზე თავმდაბალმა ვარსკვლავმა აშკარად მალიარა ბიჭების მღუმარე, გაოგნებული ჯგუფის წინაშე, რასაც ვერაფერი შეედრებოდა. გავწითლდი, ავლელდი და რამდენიმე დღის განმავლობაში მეტზე ვერაფერზე ვფიქრობდი. დამცინავი, ირონიული დამოკიდებულება საკუთარი მარცხისადმი, ვაჟკაცური კეთილშობილება, არისტოკრატიული მოხდენილობა, სპორტსმენის ყოვლისშემძლეობის იმდენად მძაფრი შეგრძნება, რომ სავსებით შეიძლებოდა მისი ნაწილი ბრბოსთვის გაეზიარებინა - ამ უჩვეულო გულუხვობამ გამაოგნა და მომნუსხა. ეს, გარკვეულწილად, ჩემს მეტსახელსაც უკავშირდებოდა, მაგრამ იმასაც ვხვდებოდი, რომ შვედის ჭეშმარიტი ღირსება მხოლოდ მისი, როგორც სპორტსმენის, ნიჭიერებაში კი არ მდგომარეობდა, არამედ შინაგან სისავსეში, უჩვეულო ხიბლში, ლალ საუბარსა და სიცილში, რომელშიც თავმომწონეობის ნატამალიც არ ჩანდა. ეს ბუნებრივი თავმდაბლობა იყო პიროვნებისა, რომლისთვისაც არ არსებობდა დაბრკოლებები და რომელსაც არ სჭირდებოდა ბრძოლა საზოგადოებაში მისთვის შესაფერისი ადგილის დასაკავებლად. ალბათ ერთადერთი ებრაელი არ ვარ, ვინც ბიჭობისას, იმ პატრიოტულ ეპოქაში, ოცნებობდა ქცეულიყო ნამდვილ ამერიკელად, ხოლო შვედის მომჯადოებელი გარეგნობა თითქოს ალუთქვამდა ომის დასრულებასა და გამარჯვებას. მთელი სიცოცხლის განმავლობაში თან გვდევიდა ამ ნიჭიერი ყმაწვილის შეუდარებელი ხატება.

შვედი ისე ძალდაუტანებლად ატარებდა ებრაელობის ტვირთს, როგორც შეეფერებოდა მაღალ, ქერა, ძლევიანოსილ ათლეტს, ეს კი ჩვენთვის ალბათ იმედისმომცემი იყო. როდესაც შვედს ვაღმერთებდით და უნებურად ამერიკასთან ვაიგივებდით, ერთგვარ მსუბუქ სირცხვილს და არასრულფასოვნების გრძნობას განვიცდიდით.

ებრაელთა შინაგან გაორებულიობას - ამერიკელებისადმი დამსგავსების ჟინს და ამასთან, საკუთარი თვითმყოფადობის დაცვის სურვილს, „გამორჩეულობის“ განცდას და ამავე დროს „ჩვეულებრიობის“ წადილს - აქარწყლებდა ღვთაებრივი შვედი, რომელიც ჩვენი მეზობელი სეიმურების პირმშო იყო. მათი წინაპრები სოლომონები და საულები იყვნენ, შთამომავლები - სტივენები, მომდევნო თაობაში კი შონები იქნებოდნენ. რა იყო მასში ებრაული? ებრაული არაფერი ეცხო, მაგრამ, ამავე დროს, მასში ებრაული სული ფეთქავდა. განა აბ-

სურდული სურვილები ამოძრავებდა? განა ბედის დამდურება სჩვეოდა? განა მრავალფეროვანი ცდუნებებით იტანჯებოდა? სრულიად უემმაკო გახლდათ. ვინმესთვის მახის დაგების სურვილი აზრადაც არ მოუვიდოდა. ბოროტება მისთვის უცხო იყო. ეს ყველაფერი უგულვებელყო, რათა სრულყოფილებისთვის მიეღწია. არავითარი ორჭოფობა, არავითარი ფანდები - უბრალოდ, საკუთარი სტილი, ვარსკვლავის ბუნებრივი ფიზიკური სრულყოფილება. მაგრამ... რამდენად შეძლო პიროვნულობის შენარჩუნება? როგორი იყო შვედი იქ, შიგნით? მისი ჭეშმარიტი არსი იდუმალი რჩებოდა. ეს გახლდათ მეორე მიზეზი, რომლის გამოც საპასუხო ბარათი გავუგზავნე შვედს: მისი არსი. როგორი იყო მისი სულიერი ცხოვრება? რას შეეძლო - და შეეძლო თუ არა - დაერღვია შვედის ცხოვრების ტრაექტორია? ვერავინ აარიდებს თავს მწუხარებას, მარცხსა და დანაკარგს. ისინიც კი, ვისაც ეს არ განუცდია ბავშვობისას, ადრე თუ გვიან იგემებენ ტანჯვის გარკვეულ წილს, ზოგჯერ კი - დიდ ტანჯვასაც. თანდათან ვიაზრებთ ცხოვრების არსს, მის სასრულობას. მაგრამ რა ფორმით შეაღწია ყოველივე ამან შვედის სულში? მიჭირდა მისი წარმოდგენა მისივე სიმარტივის გარეშე: ნაწილობრივ შემორჩენილი ყმაწვილური წარმოსახვა ცხოვრების გზაზე ლაღად მავალი შვედის სურათს მიხატავდა. მაგრამ რაზე მიმანიშნებდა ის ფრთხილად და თავაზიანად წერილის ბოლოს, როდესაც წერდა მამამისის (რომელიც უგრძნობელი კაცი სულაც არ იყო, თუმცა ზოგიერთი ასე ფიქრობდა) შესახებ: „არავის ესმოდა, როგორ იტანჯებოდა იმ უბედურების გამო, რომელიც თავს დაატყდა მისთვის ძვირფას ადამიანებს“? არა, შვედმა იგემა, რა არის ტანჯვა. და ეს იყო ტანჯვა, რომლის შესახებაც მას ლაპარაკი არ სურდა. მამამისის ცხოვრების კი არა, საკუთარი ცხოვრების იდუმალეობათა გაცხადება სურდა.

ვცდებოდი.

ერთმანეთს იტალიურ რესტორანში შევხვდით, ქალაქის დასავლეთ ნაწილში. შვედი აქ წლების განმავლობაში სადილობდა, როდესაც ოჯახთან ერთად ჩამოდიოდა ნიუ-იორკში, ბროდვეის შოუს ან „მედისონ-სკუერ-გარდენის“ სტადიონზე „ნიკების“ მონაწილეობით გამართული მატჩის სანახავად. მაშინვე მივხვდი, რომ არსს ვერც კი მივუახლოვდებოდი. რესტორანში მას ყველა იცნობდა: მეპატრონე ვინსენტი, ვინსენტის ცოლი, მეტროლოგიური ლუი, ბარმენი კარლო და ოფიციალტი ბილი, რომელიც ჩვენ გვემსახურებოდა. ყველა იცნობდა

მისტერ ლევოს და ყველა კითხულობდა, როგორ არიან მისის ლევოვი და ბავშვებიო. აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ თავისი მშობლების სიცოცხლეში შვედს ისინი დაბადების დღის ან სხვა რამეების აღსანიშნავად მოჰყავდა ხოლმე. ვფიქრობდი, იმისთვის მომიწვია, რომ მაჩვენოს: 49-ე ქუჩაზე ის ისეთსავე აღტაცებას იწვევს, როგორც ჩენსელორ--ავენიუზე-მეთქი.

ვინსენტის იტალიური რესტორანი ერთ-ერთი უძველესია იმათგან, რომლებსაც ხშირად ნახავთ მედისონ-სკუერსა და „პლაზას“ შორის. ამ პატარა რესტორნებში მაგიდები სამ რიგადაა ჩამწკრივებული, სიღრმეში სამი ჭალი ანთია, ხოლო ინტერიერი და მენიუ მას შემდეგ არ შეცვლილა, რაც რუკოლა აღმოაჩინეს. იმ დღეს ტელევიზორში, ბარის მახლობლად, ფეხბურთის მატჩს აჩვენებდნენ. ერთ-ერთი კლიენტი ხშირ-ხშირად დგებოდა, თვალს შეავლებდა თამაშს, ბარმენს ჰკითხავდა, ანგარიში როგორია და მეტგინლი როგორ თამაშობსო, შემდეგ კი თავის მაგიდას უბრუნდებოდა ხოლმე. სკამებზე კაშკაშა ფირუზისფერი ხელოვნური ტყავი გადაეკრათ, იატაკზე დაწინწკლული ვარდისფერი ფილები დაეგოთ. კედელზე სარკე ეკიდა, ჭალები კი ხელოვნური ბრინჯაოსი გახლდათ. კუთხეში იდგა წიწაკის ხუთფუტიანი საფქვაავი, რომელიც ჯაკომეტის ქანდაკებას წააგავდა (შვედმა მითხრა, ვინსენტს იტალიაში, მშობლიურ ქალაქში აჩუქესო). საპირისპირო კუთხეში, ქანდაკების კვარცხლბეკის მსგავს სადგარზე „ბაროლოს“ უზარმაზარი ბოთლი იწონებდა თავს. პატარა მაგიდაზე, სალაროს მახლობლად (რომელთანაც მისის ვინსენტი იჯდა), პომიდვრისსაწებლიანი პაწია ქოთნები და პიტნის კანფეტებით გავსებული ლარნაკი ეწყო. დესერტად ჰქონდათ: ნაპოლეონი, ტირამისუ, ფენოვანი ნამცხვარი, ვაშლის ღვეზელი და დაშაქრული ხენდრო. ჩვენს მაგიდასთან, კედელზე ეკიდა სემი დეივის-უმცროსის, ჯო ნამათის, ლაიზა მინელის, ჯეკ კარტერის, კეი ბალარდის, ჯინ კელის, ფილ რიზუტოს და ჯონი და ჯოანა კარსონის ფოტოები ავტოგრაფებით („საუკეთესო სურვილებით - ვინსენტს და ენს“). გერმანელებთან და იაპონელებთან ომის დროს უიკვეიკის რომელიმე რესტორანში აუცილებლად აღმოჩნდებოდა შვედის ავტოგრაფიც. ოფიციალტ ბილის - ტანდაბალ, მელოტ, ჩაფსკვნილ კაცს, რომელსაც მოკრივესავით მიჰყულებილი ცხვირი ჰქონდა - არ დასჭირვებია იმის კითხვა, თუ რას მიირთმევდა შვედი. ოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში შვედი ყოველთვის უკვეთდა საფირმო კერძს, „ზიტი ა

ლა ვინსენტს“, მანამდე კი მოლუსკებს მიირთმევდა. „აქ ყველაზე გემრიელ ზიტის ამზადებენ“, - მითხრა შვედმა, მაგრამ მე შევუკვეთე ჩემი საყვარელი კერძი „წიწილა მონადირულად“. ძვლებს მოვაცილებო, შემომთავაზა ბილიმ. შეკვეთის ჩაწერისას შვედს უთხრა, გუშინ საღამოს ტონი ბენეტი გვესტუმრაო. ბილის ჩასხმული სხეული ააშკარავებდა, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ზიტის თეფშებზე უფრო მძიმე ტვირთის გადატანა უხდებოდა. მის გარეგნობას არ შეესაბამებოდა მაღალი, გამკივანი და შეკავებული განცდისგან დაძაბული ხმა, რომელშიც ტანჯვა იგრძნობოდა: „ხედავთ, სად ზის თქვენი მეგობარი, მისტერ ლევოვ? ხედავთ სკამს, რომელზეც ზის? ტონი ბენეტი სწორედ ამ სკამზე იჯდა“. მე კი მითხრა: „იცით, რას ამბობს ტონი ბენეტი, როდესაც მის მაგიდასთან მიდიან მისასაღმებლად? ის ამბობს, ძალზე სასიამოვნოაო. თქვენ კი მის სკამზე ზიხართ“. ამით დამთავრდა გასართობი ნაწილი, რომელსაც სამუშაო ნაწილი მოჰყვა.

შვედს თან ჰქონდა თავისი სამი ვაჟის ფოტოსურათები და საუზმეულით დაწყებული, დესერტით დამთავრებული, ფაქტობრივად, მთელი საუბარი თვრამეტი წლის კრისის, თექვსმეტი წლის სტივისა და თოთხმეტი წლის კენტის ირგვლივ ტრიალებდა. ერთი ბიჭი უფრო მეტი წარმატებით თამაშობდა ჩოგბურთს, ვიდრე ბეისბოლს, მაგრამ მწვრთნელმა დაარწმუნა... მეორე ერთნაირად კარგად თამაშობდა ფეხბურთსაც და კალათბურთსაც და, უბრალოდ, ვერ გადაეწყვიტა... მესამე წყალში ხტომაში ჩემპიონი იყო, ამავე დროს სკოლის რეკორდი დაამყარა ბატერფლაის სტილით და ზურგზე ცურვაში. სამივე ბეჯითად სწავლობდა. ერთი გატაცებული იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით, მეორე - უფრო საზოგადოებრივი მეცნიერებებით, მესამე კი... და ა. შ. მანახა ბიჭების ფოტოსურათი, რომელიც დედასთან, ორმოცს გადაცილებულ სანდომიან ქერათმიან ქალთან ერთად (რომელიც რეკლამის მენეჯერი იყო მორისის ოლქის ყოველკვირეულ გამოცემაში) გადაეღოთ. სწრაფად დასძინა, ცოლმა მუშაობა მაშინ დაიწყო, როდესაც უმცროსი ვაჟი მეორე კლასში გადავიდაო. ბიჭებს იღბალი ჰქონიათ: დედას ჯერ კიდევ ეგონა, რომ ოჯახი და შვილები უფრო მნიშვნელოვანი იყო...

კერძს კერძი ენაცვლებოდა და სულ უფრო მეტად მიკვირდა, როგორი თავდაჯერებით მიყვებოდა ამ ბანალურ ამბებს და როგორ ფარავდა მათ შვედის ხიბლი. ჯერ კიდევ ველოდი, როდის გამანდობდა რა-

ლაც უფრო საინტერესოს, ვიდრე ეს ბანალური ამბები იყო, მაგრამ ის, რაც ზედაპირზე ამოჰქონდა, სულ უფრო ზედაპირული იყო. როგორ აღაფრთოვანებს შვედს თავისი უფერული ცხოვრება-მეთქი, გავიფიქრე. თავდაპირველად ამჯობინა, ინკოგნიტო ყოფილიყო, მაგრამ გავიდა დრო და ინკოგნიტო მის არსად იქცა. რამდენჯერმე მომეჩვენა, რომ მოთმინების ფიალა ამევსო და თუ ოჯახის ქება-დიდება არ შეწყდებოდა, დესერტამდე ველარ გავძლებდი, მაგრამ შემდეგ ვივარაუდე, რომ შეიძლება ის ინკოგნიტო კი არაა, უბრალოდ, შეშლილი იყო.

რალაც თრგუნავდა და აკავებდა, ინდივიდუალობას უკარგავდა, აფრთხილებდა, საზღვარს არ გასცდევო.

შვედი ჩემზე ექვსი-შვიდი წლით უფროსი იყო და უკვე სამოცდაათს უახლოვდებოდა, მაგრამ, თუ არ ჩავთვლით ნაოჭებს თვალებთან და ყვრიმალეებთან (რომლებიც უფრო ამობურცული იყო, ვიდრე უნდა ყოფილიყო), შესანიშნავად გამოიყურებოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ მისი სიგამხდრე სპორტული სირბილით ან ჩოგბურთით იყო გამოწვეული, თუმცა სადილის ბოლოს გაირკვა, რომ ზამთარში პროსტატის ოპერაცია გადაეტანა და მხოლოდ ახლა იბრუნებდა უწინდელ წონას. არ ვიცი, რამ უფრო იმოქმედა ჩემზე - მისმა ავადმყოფობამ თუ იმან, რომ შვედმა ეს აღიარა. ისიც კი გავიფიქრე, იქნებ მისი არანორმალურობის შეგრძნება ამ ქირურგიულ ოპერაციას და მის შედეგებს უკავშირდება-მეთქი.

დუმილი ჩამოვარდა. ამით ვისარგებლე და ისე, რომ იმედგაცრუება არ დამტყობოდა, გამოვკითხე, რას საქმიანობდა ნიუარკის ფაბრიკაში. აი, ასე შევიტყვე, რომ სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან „ნიუარკ-მეიდი“ ნიუარკში აღარ იყო განთავსებული. ფაქტობრივად, მთელმა მრეწველობამ საზღვარგარეთ გადაინაცვლა. პროფკავშირები სულ უფრო მეტ დაბრკოლებას უქმნიდნენ მრეწველებს. სულ უფრო მეტად ძნელდებოდა ისეთი ადამიანების პოვნა, რომლებიც დათანხმდებოდნენ სანარდო სამუშაოზე და, ამასთან, კვლავ მაღალი ხარისხის პროდუქციას დაამზადებდნენ. სხვა ქვეყნებში კი უამრავი მუშახელი იყო, რომლებსაც შეეძლოთ მიეღწიათ იმ სტანდარტების შესაბამისი კვალიფიკაციისთვის, რომლებიც ორმოცი-ორმოცდაათი წლის წინ არსებობდა ხელთათმანების წარმოებაში. მისი ოჯახი სხვებზე მეტხანს ინარჩუნებდა ფაბრიკას ნიუარკში. შვედი ფიქრობდა, რომ გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ძველი მუშების, უმეტესად, შავკა-

ნიანების წინაშე და ამიტომ 1967 წლის მასობრივ არეულობათა შემდეგ ქალაქში კიდევ ექვსი წელი დაჰყო. დარგობრივ ეკონომიკურ ცვლილებებს და მამამისის წყევლა-კრულვას იმდენხანს გაუძლო, რამდენიც შეძლო. მაგრამ როდესაც ველარ შეაჩერა პროდუქციის ხარისხის დაცემის პროცესი, რაც მასობრივმა არეულობებმა გაამძაფრა, უკან დაიხია და მოახერხა, ქალაქის კოლაფსის მიუხედავად, მეტნაკლებად უმტკივნეულოდ ჩაეტარებინა ლიკვიდაცია. სახალხო მღელვარების დროს, რაც ოთხ დღეს გაგრძელდა, „ნიუარკ-მეიდის“ ფაბრიკაში მხოლოდ რამდენიმე ფანჯარა ჩაამსხვრიეს, თუმცა საწყობის ჭიმკრიდან ორმოცდაათი იარღის დაშორებით, უესტ-მარკეტზე, ორი ცეცხლწაკიდებული შენობა მთლიანად დაიწვა.

- გადასახადები, კორუფცია და რასობრივი პრობლემა. ჩემი მოხუცებული მამის ლიტანია, - ამბობდა შვედი. - მისთვის სულერთი იყო, ვინც უნდა ყოფილიყო მისი თანამოსაუბრე, თუნდაც ქვეყნის შორეული კუთხის მცხოვრები, რომლისთვისაც განურჩეველი იყო ნიუარკის ბედ-იღბალი. ყველგან - მაიამი-ბიჩის კონდომინიუმში თუ ლაინერზე, რომელიც კარიბის ზღვაში მიცურავდა - საუბრობდა თავისი საყვარელი ძველი ნიუარკის შესახებ, რომელსაც სულს უხუთავდა გადასახადები, კორუფცია და რასობრივი პრობლემები. მამაჩემი პრინს-სტრიტის ძირძველი მცხოვრები იყო და ეს ქალაქი მთელი სიცოცხლის განმავლობაში უყვარდა. იმან, რაც დაემართა ნიუარკს, გული ატკინა.

ეს ყველაზე უარესი ქალაქია დედამიწაზე, ხტუნია. ოდესღაც კი აქ ყველაფერს აწარმოებდნენ. ახლა ლიდერია მანქანების ქურდობის მხრივ. იცოდით? ყველაზე უარესი საქმიანობა როდია, მაგრამ საკმარისად ამაზრზენი რამაა. ჩვენს ქუჩებზე უმეტესად ქურდები სახლობენ. შავი ბიჭები. ყოველდღე ნიუარკში ორმოც მანქანას იპარავენ. ასეთია სტატისტიკა. განა ეს არაფერს ნიშნავს? თანაც, მოპარული მანქანებით, რომლებსაც რაკეტებივით სწრაფად დააქროლებენ, უამრავი ადამიანი დახოცეს. ამ მანქანებს შეიძლება ნებისმიერი გამგლევი ემსხვერპლოს: მოხუცები, ბავშვები. ჩვენი ფაბრიკის წინ მათ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ინდიანაპოლისის ავტომაგისტრალი მოაწყვეს. ესაა ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც ქალაქი დავტოვეთ. ფანჯრებიდან თავგამოყოფილი ოთხი-ხუთი ყმაწვილი საათში ოთხმოცი მილის სიჩქარით დაქრის ხოლმე სენტრალ-ავენიუზე. როდესაც მამაჩემმა ფაბ-

რიკა იყიდა, სენტრალ-ავენიუზე ტროლეიბუსები დადიოდნენ. შორიან-ლოს ავტომობილებით მოვაჭრეთა მალაზიები იყო. „კადილაკებით“ ვაჭრობდნენ. ყოველ შესახვევში ფაბრიკები იყო. ახლა იქ სპირტიანი სასმელებით და პიცით მოვაჭრეთა ფარდულებია. და კიდევ, ჩამოტყავებული ეკლესიები. ყველაფერი დანარჩენი დაინგრა ან აჭედეს. როდესაც მამაჩემმა ფაბრიკა იყიდა, ჩვენგან ხუთი წუთის სავალზე კაილერი თერმოსებს აწარმოებდა, ფორტგანგი - ხანძრის ჩამქრობებს, ლასკი - კორსეტებს, რობინსი - ბალიშებს, ჰონიგი - კალმებს. ღმერთო ჩემო! მამაჩემის ინტონაციით ვლაპარაკობ. „სიგიჟის ეპიდემია“ - ასე ამბობდა ხოლმე. ახლა მთავარი ინდუსტრია მანქანების ქურდობაა. დღისით-მზისით, ნიუარკის ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ ნაწილში, ყველგან. და ვერაფერს გააწყობ. მეც იგივე დამემართა ბერგენ-სტრიტზე, რომელიც ლაიონს კვეთს. გახსოვს ჰენრის საკონდიტრო, პარკის კინოთეატრის მახლობლად? სწორედ იქ დამესხნენ თავს. როდესაც ჩვენი სკოლის მოსწავლე გოგონას პირველად დაგუნიშნე პაემანი, სწორედ ჰენრისთან წავიყვანე გაზიანი წყლის დასალევად. არლენა დანციგერი. ჯერ კინოში წავედით, შემდეგ კი გაზიანი წყალი დავალევი ვინე შოკოლადითა და ვანილით; ამას „შავ-თეთრს“ ვუწოდებდით. ახლა კი ბერგენ-სტრიტზე „შავ-თეთრი“ გაზიან ტკბილ სასმელს კი არ აღნიშნავს, არამედ - უდიდეს სიძულვილს. ქუჩაზე ცალმხრივი მოძრაობაა, მაგრამ მათი ავტომანქანა ჩემს შესახვედრად მოძრაობდა და გამომიჭირეს. ოთხი ბიჭი იჯდა. ორი გადმოვიდა და სიცილით დამადეს ლულა საფეთქელზე. ავტომანქანის გასაღები მივეცი და ერთ-ერთი საჭეს მიუჯდა. ზუსტად ჰენრის ყოფილი საკონდიტროს პირდაპირ. საშინელება იყო. დღისით-მზისით პოლიციის ავტომანქანებსაც კი იპარავენ. პირდაპირ აჯახებენ მანქანებს, რათა საჰაერო ბალიშები წყობიდან გამოიყვანონ. „ღვეზელებს აცხობენ“. იცი, რა არის „ღვეზელების გამოცხობა“? არა? სწორედ ამისთვის იპარავენ ავტომანქანებს. უდიდესი სიჩქარით ძრავენ მანქანას, ჰედავენ მუხრუჭებს, ბოლომდე ატრიალებენ საჭეს და ავტომანქანა წრიულად მოძრაობას იწყებს. ასე ტრიალებენ, უზარმაზარი სიჩქარით. ფეხით მოსიარულეთა დახოცვა მათთვის არაფერს ნიშნავს, მოტოციკლისტთა დახოცვაც არაფერია. თვითონაც რომ დაილუპონ, ესეც არაფერია. მათი მანქანის ნაკვალევი რომ ნახო, თმა ყალყზე დაგიდგება. იმ კვირას, როდესაც მანქანა წამართვეს, ჩვენს სახლთან ქალი შემოაკვდათ. „ღვეზელებს აცხობდნენ“.

ჩემი თვალით ვნახე. სამსახურიდან ვბრუნდებოდი. უდიდესი სიჩქარით მოძრაობდნენ. ავტომანქანა ღმუოდა. შემზარავად ღრჭიალებდა. საშინელება იყო. ტანში გამცრა. მე-2 ქუჩიდან შემოუხვიეს და ეს ქალი, ახალგაზრდა შავკანიანი ქალი შეეჩხა. სამი შვილის დედა. ორი დღის შემდეგ იგივე მოუვიდა ჩვენს მუშას. ისიც შავკანიანი იყო. არ ენალვლებათ, შავკანიანს იმსხვერპლებენ თუ თეთრკანიანს. ყველას ხოცავენ. ჩვენს მუშას კლარკ ტაილერი ერქვა. სატვირთო მანქანის მძღოლი იყო. მათთვის არაფერი დაუშავებია. ჭიშკრიდან მანქანა გაჰყავდა, რომ შინ მისულიყო. თორმეტი საათი იწვა საოპერაციო მაგიდაზე, ოთხი თვე - საავადმყოფოში. სამუდამოდ ინვალიდად დარჩება. თავის ტრავმა, შინაგანი ორგანოების დაზიანება, დამსხვრეული მენჯი, მხრის ძვლის მოტეხილობა, გაზარული ხერხემალი. მიზეზი კი დიდი სიჩქარით მოძრავი ავტომანქანა იყო. ახალგაზრდა ქურდს პოლიციის ავტომანქანა დაედევნა. ყმაწვილი ტაილერის ავტომანქანას დაეჯახა, წინა კარი შეანგრია და კლარკი დაასახიჩრა. საათში ოთხმოცი მილის სიჩქარე სენტრალ-ავენიუზე. ქურდი თორმეტი წლისაა. იმისთვის, რომ საჭის თავზე რაიმე დაენახა, დახვეული ნოხები ამოიღო ქვეშ. ექვს თვეს გაატარებს ჯეიმსბურგის ციხეში და შემდეგ გაათავისუფლებენ, რათა კვლავ მიუჯდეს მოპარული ავტომანქანის საჭეს. არა, ეს ველარ ავიტანე. პისტოლეტის მეშვეობით წართმეული მანქანა, დასახიჩრებული კლარკი, დაღუპული ქალი - ეს ყველაფერი ერთი კვირის განმავლობაში. მოთმინება დაკარგე...

ხელთათმანების წარმოებამ ნიუარკიდან პუერტო-რიკოში გადაინაცვლა. ნიუარკის დატოვების შემდეგ შვედმა ხელშეკრულება დადო ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური მთავრობის წარმომადგენლებთან და სამუშაო პონსეში (პუერტო-რიკო) მდებარე საკუთარ ფაბრიკასა და ბრნოს ხელთათმანების ფაბრიკას შორის გაანაწილა. მაგრამ როდესაც გაიგო, რომ იყიდებოდა შენობა აგუადილაში (პუერტო-რიკო), მაიაგუესის მახლობლად, მან გაწყვიტა ურთიერთობა ჩეხებთან, რომლებიც იმთავითვე აღიზიანებდნენ თავიანთი ბიუროკრატიულობით და მთელ წარმოებას პუერტო-რიკოში მოუყარა თავი. კიდევ ერთი მსხვილი ფაბრიკა იყიდა, დაზგები შეიტანა, პერსონალის განსწავლას შეუდგა და კიდევ სამასი მუშა დაიჭირავა. მაგრამ 80-იანი წლებისთვის, როდესაც პუერტო-რიკოშიც გაძვირდა ყველაფერი, თითქმის ყველა საწარმომ, „ნიუარკ-მეიდის“ გარდა, გადაინაცვლა შორეული აღმოსავ-

ლეთის სხვადასხვა წერტილში, სადაც მუშახელი ბევრი და იაფი იყო. თავდაპირველად ფილიპინებზე დამკვიდრდნენ, შემდეგ - კორეაში და ტაივანზე, ახლა კი - ჩინეთშიც.

თვით ამერიკის სიმბოლოც - ბეისბოლის ხელთათმანები, რომლებსაც უწინ ჯონსტაუნში (ნიუ-იორკის შტატი), შვედის მამის მეგობრების, დენკერტების ფირმაში კერავდნენ, დიდი ხანია, კორეაში იკერება. როდესაც 1952 თუ 1953 წელს გლავერსვილის (ნიუ-იორკი) ფაბრიკის მეპატრონემ დახურა თავისი წარმოება და ხელთათმანების დასამზადებლად ფილიპინებს მიაშურა, ისე დასცინოდნენ, თითქოს მთვარეზე წასვლას აპირებდა, მაგრამ როდესაც გარდაიცვალა - დაახლოებით 1978 წელს - მის ფაბრიკაში დაახლოებით ოთხი ათასი მუშა შრომობდა და მთელმა დარგმა გლავერსვილიდან ფილიპინებზე გადაინაცვლა. მეორე მსოფლიო ომის წინ გლავერსვილში ოთხმოცდაათი მსხვილი და წვრილი ფაბრიკა იყო, სადაც ხელთათმანებს კერავდნენ. ახლა კი იქ ერთიც არაა - ყველა ლიკვიდირებულია ან იმპორტზე გადაერთო...

- და ხელთათმანების ფურშეტიც არაფერი გაეგებათ, - დასძინა შვედმა. - ისინი ბიზნესმენები ბრძანდებიან, შეუძლიათ გამოითვალონ, რომ სჭირდებათ გარკვეული ტიპის ასი ათასი ხელთათმანი და ორასი ათასი - სხვა ტიპის, აი, ამგვარი ტყავის, ასეთი ფერისა, მაგრამ როგორ იკერება ისინი, წარმოდგენა არა აქვთ.

- რა არის ფურშეტი? - ვკითხე მას.

- ხელთათმანის ნაწილია ორ თითს შორის, აი, ასეთი პაწაწინა მოგრძო ნაჭრები. ისევე მზადდება, როგორც - საცერე ნაწილი. ამჟამად ხშირად ნახავ უმეცარ მეწარმეებს, რომლებმაც ნახევარიც კი არ იციან იმისა, რაც ჯერ კიდევ ხუთი წლისამ ვიცოდი, მაგრამ მსხვილ გარიგებებს დებენ. ასეთი მეწარმე ყიდულობს ირმის ტყავებს, რომელთა ყოველი კვადრატული ფუტიდან სამი დოლარისა და ორმოცდაათი ცენტის მოგება რჩება და ამ შესანიშნავ მასალას იყენებს სათხილამურო ხელთათმანების ხელისგულების დასამზადებლად. ამასწინათ ერთ-ერთ ასეთ მეწარმეს ვესაუბრე. ზარალი ხუთი ცენტია დუიმზე. ის ფუტში სამ-ნახევარ დოლარს იხდის, თუმცა შეეძლო გადაეხადა ერთ-ნახევარი დოლარი და მოგებასაც ნახავდა. მსხვილი შეკვეთის შემთხვევაში ეს შეცდომა ასი ათას დოლარად დაუჯდება. ვერც კი ხვდება ამას, თუმცა შეეძლო ეს თანხა ჯიბეში ჩაედო.

შვედმა ამიხსნა, რომ იმავე მიზეზით არჩევდა პუერტო-რიკოში ცხოვრებას, რა მიზეზითაც უწინ ნიუარკში ცხოვრება ერჩია. აქ ჰყავდა უამრავი კარგად გაწვრთნილი ოსტატი, რომლებიც ბეჯითად და კეთილსინდისიერად მუშაობდნენ და უზრუნველყოფდნენ იმ ხარისხს, რომელსაც მამამისი მოითხოვდა „ნიუარკ-მეიდისგან“. გარდა ამისა, შვედის აღიარებით, მის ოჯახს უყვარდა აგარაკი, რომელიც თხუთმეტი წლის წინ ააშენა კარიბის ზღვის სანაპიროზე, პონსეს ფაბრიკის მახლობლად. მის ვაჟიშვილებს ძალიან მოსწონდათ იქაურობა.. და ის კვლავ დაუბრუნდა ძველ თემას: კრისი, სტივი, კენტი, წყლის თხილამურები, საიალქნო სპორტი, დაივინგი, აკვამარინები... მისი მონოლოგი მოწმობდა, რომ შეეძლო თხრობას გაეტაცა, მაგრამ არ შეეძლო იმის მიხვედრა, რა უფრო საინტერესო იყო თანამოსაუბრისთვის, ან, გაუგებარი მიზეზების გამო, თავს იკავებდა საინტერესო ამბების შესახებ საუბრისგან. ძალიან მინდოდა, კვლავ გადართულიყო კაილერზე, ფორტგანგზე, ლასკიზე, რობინსა და ჰონიგზე, ფურშეტსა და სხვა დეტალებზე, რომლებიც უზადო ხელთათმანების დამზადებას უკავშირდებოდა; იმ კაცის შეცდომებზეც კი, ტყავის ახალი პარტიის შესყიდვისას ზედმეტ სამ-ნახევარ დოლარს რომ იხდიდა. მაგრამ როგორც კი კვლავ დაადგა გაკვალულ ბილიკს, ველარ შევძელი მისი ყურადღება გადამეტანა იმ თემებზე, რომლებიც არ ეხებოდა მისი ვაჟიშვილების მიღწევებს ზღვასა და ხმელეთზე.

სანამ დესერტს ვუცდიდით, შვედმა სასხვათაშორისოდ შენიშნა, თავს უფლებას ვაძლევ, ზიტის შემდეგ ისეთი ცხიმოვანი ნუგბარი დავაგემოვნო, როგორიც ზაბაგლიონია, რადგან (თუმცა პროსტატა ორი თვის წინ ამომაჭრეს) ათი ფუნტით ნაკლებს ვიწონი, ვიდრე საჭიროაო.

- ოპერაციამ კარგად ჩაიარა?

- შესანიშნავად, - მიპასუხა მან.

- ჩემმა ორმა მეგობარმა ოპერაცია ისე კარგად ვერ გადაიტანა, როგორც იმედოვნებდნენ. ამ ოპერაციას შეიძლება კატასტროფული შედეგები მოჰყვეს, თუნდაც სიმსივნე პირწმინდად ამოჭრან.

- ჰო, ასე ხდება ხოლმე. ვიცი.

- ერთი იმპოტენტი გახდა. მეორე შარდის შეუკავებლობით იტანჯება. ასაკით ტოლები ვართ. ამან მათზე ძალიან იმოქმედა. ადამიანებთან ურთიერთობა უჭირთ. შესაძლოა ჰიგიენური საფენები დასჭირდეთ.

ეს „მეორე“ მე ვიყავი. ოპერაცია ბოსტონში გამიკეთეს. ამის შესახებ იცოდა მხოლოდ ერთმა ჩემმა ბოსტონელმა მეგობარმა, რომელმაც დახმარება გამიწია, სანამ შევძლებდი ფეხზე ავმდგარიყავი და დავბრუნებულიყავი სახლში, სადაც მარტო ვცხოვრობდი - ბერკშირში, ორ-ნახევარი საათის სავალზე ბოსტონიდან. სხვა არავისთვის მითქვამს სიმსივნისა და ოპერაციის სავალალო შედეგების შესახებ.

- როგორც ჩანს, - მითხრა შვედმა, - ილბალი მქონია.

- ალბათ, ასეა, - ვუპასუხე საკმაოდ გულწრფელად და გავიფიქრე, ამ თვითკმაყოფილმა არსებამ ცხოვრებისგან მიიღო ყველაფერი, რაზეც უოცნებია-მეთქი. პატივს სცემდა იმას, რასაც ყველა პატივს სცემს; არასოდეს დაეჭვებულა საყოველთაოდ აღიარებულ ღირებულებებში; არასოდეს უგრძნია გაუბედაობა; არასოდეს გაუწამებია აკვიატებულ აზრებს, არც - უმწეობის განცდას; მისი სული არასოდეს მოუწამლავს აღშფოთებას ან მრისხანებას... ცხოვრება შვედის წინაშე მატყლის ძაფის ფაფუკი გორგალივით ძალდაუტანებლად იშლებოდა.

ამ ფიქრებმა კვლავ გამახსენა მისი წერილი და თხოვნა, პროფესიული რჩევით დავხმარებოდი მამამისის ბიოგრაფიის დაწერაში. გადავწყვიტე, არ შევხებოდი ამ თემას, მაგრამ უნებურად ვფიქრობდი, რატომ არ მეუბნება არაფერს ამის თაობაზე-მეთქი. ერთადერთი, რაც ვივარაუდე - ახლა, როდესაც გარკვევით წარმოვიდგინე მისი ცხოვრება, რომელიც არც ისე მდიდარი იყო კონტრასტებით და არც ისე დამძიმებული - წინააღმდეგობებით - ის იყო, რომ წერილის დაწერის სურვილიც და მისი შინაარსიც უკავშირდებოდა გადატანილ ოპერაციას, იმ ახალ, მოულოდნელ და უჩვეულო განცდებს, რომლებიც დაეუფლა ამ ოპერაციის შემდეგ. დიახ, ვფიქრობდი მე, შვედ ლევოვმა იმიტომ მომწერა, რომ გვიან აღმოაჩინა: შეიძლება იყო არა ჯანმრთელი, არამედ სნეული; არა - ძლიერი, არამედ უძლური; შეიძლება დაკარგო ფიზიკური მიმზიდველობა, გრცხვენოდეს საკუთარი სხეულის, განიცდიდე დამცირებას, შიშს, გრძნობდე სიკვდილის მოახლოებას და ეკითხებოდე საკუთარ თავს: „რატომ?“ შვედს მოულოდნელად უღალატა დიდებულმა სხეულმა, რომელიც ყოველთვის ანიჭებდა თავდაჯერებას და უპირატესობის გრძნობას სხვებთან შედარებით. ამიტომ მყისვე დაკარგა სულიერი წონასწორობა და მე ჩამებლაუჭა იმ იმედით, რომ ჩემი მეშვეობით უკეთ გაუგებდა გარდაცვლილ მამას და მისი სულიერი სიძლიერის საფარქვეშ აღმოჩნდებოდა. გარკვეულ მომენტში ნერვებმა

უმტყუნა და თუმცა, ჩემი აზრით, ყოველთვის გულჩათხრობილი იყო, იქცა იმპულსურ და უსასოო არსებად, რომელსაც ნუგეშისცემა სჭირდებოდა. სიკვდილი შეიჭრა მისი ცხოვრების ტკბილ სიზმარში (ისევე, როგორც ბოლო ათი წლის განმავლობაში ორჯერ შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში) და ყოველივემ, რაც თავზარს სცემს ჩვენი ასაკის ადამიანებს, ისიც შეაკრთო.

აღბათ ახლა უკვე არ სურდა გაეხსენებინა საავადმყოფოს საწოლზე განცდილი უმწეობის გრძნობა, რომელმაც გარდაუვალი მოვლენები ისეთივე რეალურად აქცია, როგორიც მისი ოჯახური ცხოვრების მოვლენები იყო. არ სურდა გაეხსენებინა აჩრდილი, რომლის შემზარავმა სუსხმაც მისი კეთილდღეობის შრეებში შეაღწია. და მაინც, შვედი მოვიდა დათქმულ სადილზე. ნიშნავდა თუ არა ეს, რომ თავზარდამცემ განცდებს ჯერ კიდევ ვერ მორეოდა, რომ დამცველი მექანიზმები არ მოქმედებდა და რომ ნუგეშისცემას ჯერ კიდევ საჭიროებდა? ან იქნებ აქ მოსვლა და ლალი მასლაათი იმის შესახებ, რითაც ცოტა ხნის წინ იტანჯებოდა, ეხმარებოდა მას, დაეძლია გადატანილი ელდის მონარჩენი? რაც უფრო დიდხანს ვფიქრობდი ამ თითქოსდა გულდია კაცზე, რომელიც ჩემ წინ იჯდა, ზაბაგლიონეს მიირთმევდა და გულითადობის განსახიერება იყო, მით უფრო შორს მივყავდი ფიქრებს. მისი სიღრმისეული „მე“ ჩემთვის მიუწვდომელი იყო, ბუნდოვანი. ჩემს მცდელობებს, ჩავწვდომოდი შვედის არსს, წინ ელობებოდა მისი უცნაური თვისება: სრული უუნარობა, ესაუბრა იმ საკითხების შესახებ, რომლებიც ცხოვრების უფრო ღრმა შრეებს ეხებოდა. ვფიქრობდი, მის სულში ქექვა იმის გასააზრებლად, თუ როგორია სინამდვილეში, უბრალოდ, სასაცილოა-მეთქი. ეს იყო ქოთანი, რომელსაც თავს ვერ მოვხსნიდი. ამ კაცის გულის გახსნა შეუძლებელი გახლდათ. ეს მისი საიდუმლოს საიდუმლო იყო. მასში შეღწევის მცდელობას ისევე არ ჰქონდა აზრი, როგორც მიქელანჯელოს „დავითის“ არსის წვდომას.

წერილში ჩემი ტელეფონის ნომერი მივუთითე და თუკი სიკვდილის მოლოდინი აღარ აკრთობდა, რატომ არ დამირეკა და არ გააუქმა ჩვენი შეხვედრა? თუკი ცხოვრება ძველ კალაპოტს დაუბრუნდა და ის კვლავ აღსავსე იყო იმ სხივმოსილი ენერგიით, რომელიც ყოველთვის საშუალებას აძლევდა მიეღწია სასურველი მიზნებისთვის, რაღად დავჭირდი? გავიფიქრე, წერილში სრული სიმართლე არაა ნათქვამი - ასე რომ ყოფილიყო, შვედი აქ არ მოვიდოდა-მეთქი. დაძაბული ლტოლვა

ცვლილებებისკენ, რომელმაც საავადმყოფოში მოიცვა, ჯერ კიდევ არ ჩანავლებოდა. უდარდელი ცხოვრება აღარ აკმაყოფილებდა. სურდა, რაღაც გაეაზრებინა. აი, ამიტომ მოვიდა ჩემთან: გაეაზრებინა, რათა არ დავიწყებოდა. თუ არ გაიაზრებდა, დაავიწყდებოდა. რა უნდა ყოფილიყო ეს?

შესაძლოა, ის მხოლოდ იღბლიანი კაცი იყო. ამქვეყნად იღბლიანებიც ხომ არსებობენ. რატომ არ უნდა იყვნენ? ყველა სპონტანური ვარაუდი შვედის მოქმედების მოტივების შესახებ აიხსნებოდა მხოლოდ ჩემი პროფესიული მოლოდინით, ჩემი სურვილით, შვედ ლევოვის ქცევა ლოგიკურ ყალიბში მომექცია, ისე, როგორც ლევ ტოლსტოიმ აღწერა ივან ილიჩი ესოდენ უღმობელ მოთხრობაში, რომელშიც მიუკერძოებლად გააშიშვლა ჩვეულებრივი ადამიანის არსი. ივან ილიჩი მსახურობს სასამართლო უწყებაში, მალალ თანამდებობაზე, და ეწევა „რიგიან, საზოგადოებისთვის მოსაწონ ცხოვრებას“. სასიკვდილო სარეცელზე, უსასრულო აგონიის დროს ფიქრობს, შესაძლოა, ისე სულაც არ ვცხოვრობდი, როგორც უნდა მეცხოვრაო. ივან ილიჩის ცხოვრება, წერს ტოლსტოი მოთხრობის დასაწყისში სასამართლო პალატის წევრის შესახებ, რომელსაც ჰქონდა სახლი პეტერბურგში, იღებდა ხუთიათასმანეთიან ჯამაგირს და ჰყავდა საზოგადოებაში დაფასებული მეგობრები, მარტივი, ჩვეულებრივი და ამიტომ ძალზე შემზარავი გახლდათო. შესაძლოა, 1886 წლის რუსეთში ასეც იყო. მაგრამ ოლდ-რიმროკში (ნიუ-იორკის შტატი), 1995 წელს, ივან ილიჩები, რომლებიც დილაობით გოლფს თამაშობენ, შემდეგ კი მიემართებიან კლუბის რესტორანში სასაუზმოდ და ყვირიან: „უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებ, ძმაო!“, შეიძლება უფრო ახლოს იყვნენ ჰემმარიტებასთან, ვიდრე ოდესმე ყოფილა ლევ ტოლსტოი.

რამდენადაც ვიცოდი, შვედ ლევოვის ცხოვრება ძალზე მარტივი და ძალზე ჩვეულებრივი, ესე იგი, ამერიკული თვალსაზრისით, შესანიშნავი იყო.

- ჯერი გეია? - უეცრად ვკითხე.
- ჩემი ძმა? - გაეცინა შვედს. - ხუმრობ?

ალბათ მართლაც ვიხუმრე - განზრახ, რათა მოწყენილობა გამეფანტა. მაგრამ მოსვენებას არ მაძლევდა ფრაზა შვედის წერილიდან: „როგორ იტანჯებოდა იმ უბედურების გამო, რომელიც თავს დაატყდა მისთვის ძვირფას ადამიანებს“. მაინტერესებდა, რას გულისხმობდა შვედი.

მოულოდნელად გამახსენდა, როგორი დამცირება იწვნია ჯერიმ, როდესაც სცადა მოეგო ყველაზე შეუხედავი თანაკლასელი გოგოს გული, რომელსაც ალბათ ყოველგვარი საჩუქრების გარეშეც ადვილად დაიყოლიებდა კოცნაზე.

წმინდა ვალენტინის დღის აღსანიშნავად ჯერიმ მამამისის ფაბრიკიდან (სადაც ეს ყველაფერი მოაფიქრდა) წამოღებული მოკაუჭებული საკერავი ნემსით ამ გოგოს ას სამოცდათხუთმეტი მზეზე გამომშრალი ზაზუნის ტყავისგან ქურქი შეუკერა. ვილაცამ ბიოლოგიის კაბინეტს ცდებისთვის სამასი ზაზუნა გადასცა და ჯერიმ იეშმაკა - ისინი გამოართვა ყმაწვილებს, რომლებიც ბიოლოგიას სწავლობდნენ. ჯერის ნიჭიერი და ახირებული ყმაწვილის სახელი ჰქონდა. ამიტომ მოსწავლეებმა დაიჯერეს, რომ ზაზუნები სჭირდებოდა „მეცნიერული ექსპერიმენტისთვის“, რომელიც შინ უნდა ჩაეტარებინა. შემდეგ მან დააზუსტა, რა ზომის ტანსაცმელს ატარებდა გოგონა და თარგი გამოჭრა. როდესაც ტყავებს სიმყრალე მოაშორა - ან ფიქრობდა, რომ მოაშორა - ისინი გარაჟის სახურავზე, მზის სხივებქვეშ გამოაშრო და გულმოდგინედ შეკერა ქურქი. თეთრი აბრეშუმის სარჩულისთვის გამოიყენა წუნდებული პარაშუტი, რომელიც ძმამ სუვენირად გამოუგზავნა ჩერი პოინტის (ჩრდილოეთ კაროლინა) სამხედრო-საჰაერო ბაზიდან, სადაც პერის-აილენდის სპორტსმენებმა სეზონის გადამწყვეტი თამაში მოიგეს ბეისბოლში და, მაშასადამე, არმიის ჩემპიონატიც - საზღვაო ქვეითი ჯარის ქვედანაყოფებს შორის. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ჯერიმ ქურქის ამბავი გაანდო, ვიყავი მე - მისი მუდმივი პარტნიორი პინგ-პონგის თამაშების დროს. აპირებდა, საჩუქარი პრიალა ქალაქში გაეხვია, ხავერდის ლენტით შეეკრა, ჩაედო ბამბერგერის მაღაზიის კოლოფში, რომლითაც ოდესღაც დედამისს გამოუგზავნეს ქურქი და ამგვარად გაეგზავნა გოგონასთვის. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მზა ქურქი ძალზე უხეში იყო. ამიტომ მისი დაკეცვა და კოლოფში ჩადება ვერ შევძელით. მოგვიანებით მამამისმა აგვიხსნა, ჯერიმ ტყავები იდიოტურად გააშროო.

ვინსენტის რესტორანში შვედის წინ მჯდომს, უეცრად თვალნათლივ წარმომიდგა ის, რაც ოდესღაც სარდაფში ვიხილე: იატაკზე გაშლილი ვეება ქურქი აქეთ-იქით გაშვერილი სახელოებით. დღეს ის, ალბათ, უამრავ პრიზს დაიმსახურებდა უიტნის მუზეუმში, მაგრამ 1949 წელს, ნიუარკში, მე და ჯერის ერთი ამოცანა უნდა გადაგვეწყვიტა:

ქურქი როგორმე უნდა მოგვეთავსებინა კოლოფში. ჯერის აზრით, კოლოფი აუცილებელი იყო - საჩუქრის მიღებისას გოგონას ეგონებოდა, რომ კოლოფში მართლაც ბამბერგერის მაღაზიის ძვირადღირებული ქურქი იდო. მე კი თავს ვეკითხებოდი, რას იფიქრებს გოგო, როდესაც მიხვდება, რომ ქურქი მაღაზიაში ნაყიდი არ არის-მეთქი; და, საერთოდ, საჭიროა თუ არა ასეთი მძიმე შრომის გაწევა გარუმბული, ბუგრიანი გოგოს ყურადღების მისაპყრობად, რომელსაც ბიჭები არ ეკარებინან-მეთქი. მაგრამ მაინც ვეხმარებოდი ჯერის, რადგან ეს გულფიცხი ბიჭი ან ახლოს არ გიკარებდა, ან მთლიანად გიმორჩილებდა. გარდა ამისა, ის შვედ ლევოვის ძმა იყო, შვედ ლევოვის სახლში ვიმყოფებოდი და საითაც უნდა გაგეხედა, ყველგან მისი პრიზები ეწყო. საბოლოოდ, ჯერიმ ქურქი დაარღვია და ხელახლა შეკერა, ისე, რომ ნაწიბური შუაში აღმოჩნდა. ჩვენ ქურქის დაკეცვა და კოლოფში ჩადება შევძელით. მე ვეხმარებოდი და ასე მეგონა, რკინის პერანგს ვკერავდით. ქურქს ჯერიმ გულის ფორმის მუყაოს ნაჭერი დაადო და ზედ გოთიკური შრიფტით დააწერა თავისი სახელი. შემდეგ კოლოფი ფოსტაში წავიღეთ და გავგზავნეთ. გაბედული იდეის მშვენიერ რეალობად გადაქცევას სამი თვე დასჭირდა. ადამიანის ცხოვრების მასშტაბით, ეს არც ისე დიდი ხანი იყო.

გოგონამ წამოიყვირა, როდესაც კოლოფი გახსნა. კინალამ გული წაუვიდაო, ჰყვებოდნენ მისი მეგობრები. ჯერის მამასაც კინალამ გული წაუვიდა: „აი, თურმე რა უქენი პარაშუტს, რომელიც ძმამ გამოგიგზავნა! დაჭერი? პარაშუტი დაჭერი?“ გაწბილებული ჯერი ვერ გამოუტყდა მამას, რომ სურდა, გოგონა მკლავებში ჩავარდნოდა და ისე ეკოცნა, როგორც ლანა ტერნერმა აკოცა კლარკ გეიბლს. ერთხელ შევესწარი, როგორ გამოლანძღა მამამ ჯერი იმის გამო, რომ ბიჭმა ტყავები შუადლის მზეზე გამოაშრო: „ტყავი წესისამებრ უნდა დაამუშაო! წესისამებრ! წესი კი არ გულისხმობს მზეზე გამოშრობას - ტყავს ჩრდილში აშრობენ. ეშმაკმა დალახვროს, არ უნდა დაწვა ის! ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრე, ჯერომ, როგორ უნდა დამუშავდეს ტყავი!“ - და ასე უსასრულოდ. თავდაპირველად მრისხანებისგან ბობოქრობდა, გულისწყრომას ვერ მალავდა იმის გამო, რომ მისმა ვაჟმა არ იცოდა, როგორ ამუშავებენ ტყავს. ორივეს გვიხსნიდა, როგორ იქცევიან ეთიოპიაში, სანამ ცხვრის ტყავებს გემში ჩატვირთავენ და ნიუარკში, „ნიუარკ-მეიდის“ სათრიმლავ საამქროებში გაგზავნიან: „რა თქმა უნ-

და, შესაძლებელია მათი დამარილება. მაგრამ მარილი ძვირია. განსაკუთრებით აფრიკაში. იქ ის ძალიან, ძალიან ძვირია. მარილს იპარავენ. იქ მარილი არ იშოვება. შეიძლება, შხამი შეუურიო მარილში და ამგვარად აღკვეთო ქურდობა. მეორე ხერხია ტყავის გაჭიმვა და მიმაგრება ფიცარზე ან ჩარჩოზე. შემდეგ ის ადგილ-ადგილ უნდა ჩაჭრა და ჩრდილში გააშრო. ჩრდილში, ბიჭებო. ამას კაჟიან გაშრობას უწოდებენ. ტყავებს აყრიან დაფხვნილ კაჟს, რომელიც მათ დაზიანებისა და მწერებისგან იცავს“.

შვებით ამოვისუნთქე, როდესაც მისი რისხვა საოცრად მალე დაცხრა და ადგილი დაუთმო საკმაოდ მომაბეზრებელ ლექციას, რომელმაც, როგორც ჩანს, ჯერი უფრო მეტად გააღიზიანა, ვიდრე რისხვამ და ყვირილმა. სავსებით შესაძლებელია, რომ ჯერიმ სწორედ იმ დღეს დაიფიცა, მამაჩემის ფაბრიკას არასოდეს გავეკარებო.

სუნის მოსაცილებლად ჯერიმ ქურქს დედამისის სუნამო დააპკურა, მაგრამ იმ დროისთვის, როდესაც ფოსტალიონმა ქურქი გოგონას მიუტანა, სუნამო აორთქლებული იყო, სიმყრალე კი - კიდევ უფრო გამძაფრებული. როდესაც გოგონამ კოლოფი გახსნა, ისე აღშფოთდა, ისეთი შეურაცხყოფა და ზიზღი იგრძნო, რომ ჯერის აღარასოდეს დალაპარაკებია. მისმა თანაკლასელმა გოგონებმა გვიამბეს, ასე ჰგონია, რომ ჯერიმ პაწია ცხოველები დაიჭირა და დახოცა, შემდეგ კი იმის ნიშნად გაუგზავნა, რომ ცუდი კანი აქვსო. ამის შეტყობისას ჯერი გააფთრდა. პინგ-პონგის მომდევნო თამაშის დროს გოგონას ლანძღავდა და, საერთოდ, ყველა გოგოს უტვინო იდიოტს უწოდებდა. თუ ადრე პაემანის დანიშვნას ვერ ბედავდა, ახლა უკვე უარი თქვა ყოველგვარ მცდელობებზე და ერთ-ერთი იყო იმ სამი ბიჭიდან, რომლებიც კლასის გამოსაშვებ საღამოზე არ მოვიდნენ. დანარჩენ ორს „დაიკოებს“ ვეძახდით. სწორედ ამიტომ ვკითხე ახლა შვედს ჯერის შესახებ ის, რაც აზრადაც არ მომივიდოდა 1949 წელს, როდესაც ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა ჰომოსექსუალების შესახებ და ვერ წარმომედგინა, რომ შეიძლებოდა ჩემი რომელიმე ნაცნობი მათ შორის ყოფილიყო. იმ დროს ვფიქრობდი, რომ ჯერი, უბრალოდ, ჯერი იყო - გენიოსი, მაგრამ საოცრად გულუბრყვილო და უმეცარი იმ საკითხებში, რომლებიც გოგონებს ეხებოდა. ასეთი განმარტება სავსებით მაკმაყოფილებდა. შესაძლოა, ახლაც დაგკმაყოფილებულიყავი, მაგრამ ძალიან მინდოდა გამერკვია, არსებობდა თუ არა რაიმე, რაც შვედის მეფურ სიმშვიდეს

დაარღვევდა, და რომ არ ჩამძინებოდა მის ქლურტულში, ვკითხე: „ჯერი გეია?“

- ბავშვობისას გულჩათხრობილი იყო, - ვუთხარი შვედს, - გოგონებს არ ეკარებოდა, არც ახლო მეგობრები ჰყავდა. ნიჭიერების გარდა, კიდევ რაღაც აიძულებდა განაპირებოდა თანატოლებს...

შვედმა თავი დამიქნია და ისე შემომხედა, თითქოს ჩემი სიტყვების ღრმა საზრისი მისთვის უფრო გასაგები იყო, ვიდრე ნებისმიერი სხვა ადამიანისთვის. როდესაც თვალი თვალში გამიყარა - თუმცა, გეფიცებით, სინამდვილეში ვერაფერს ხედავდა - როდესაც შევიგრძენი ეს გულსხმიერება, რომელიც სინამდვილეში განურჩევლობა იყო, ვიგრძენი, რომ ვერ ვხვდებოდი, რას ფიქრობდა და ფიქრობდა თუ არა საერთოდ. როდესაც წამიერად გავჩუმდი, მაშინვე ვიგრძენი, რომ ჩემს სიტყვებს ჩემი თანამოსაუბრე ვერ აღიქვამდა, ეს სიტყვები არ უკავშირდებოდა არაფერს მის ცნობიერებაში - ისინი, უბრალოდ, შეიჭრნენ მასში და გაქრნენ. რაღაცამ მის მიამიტ თვალებში - ალბათ რწმენამ, რომ ის ყოველთვის მართებულად იქცეოდა - გამაღიზიანა და მაიძულა მეხსენებინა მისი წერილი, იმის ნაცვლად, რომ მდუმარედ დავლოდებოდი ანგარიშის მოტანას და დავშორებოდი კიდევ ნახევარი საუკუნით, რათა 2045 წელს კვლავ სიამოვნებით შევხვედროდი.

ებრძვი საკუთარ ზედაპირულობასა და შეზღუდულობას, არ ელოდები ადამიანებისგან არაფერს უჩვეულოს, თავს არიდებ აკვიატებულ თვალსაზრისებს, იმედებს ან ქედმაღლობას, შეძლებისდაგვარად, არ იყენებ ქვემეხებს, ავტომატებს და ნახევარი ფუტის სისქის ფოლადის ფარებს; ცდილობ, ფრთხილად იარო ფეხის წვერებზე და არ გადათელო ბალახი მძიმე მუხლუხნობით, გაუგო სხვას, როგორც ტოლმა ტოლს, როგორც (ჩვენი საყვარელი გამოთქმა რომ ვინმართ) კაცმა კაცს, და მაინც განწირული ხარ გაუგებრობისთვის, თითქოს ტანკთან გქონდეს საქმე. ადამიანისა არ გესმის, სანამ შეხვდები, ე. ი. როდესაც ელოდები შეხვედრას. გაუგებრობა გრძელდება შეხვედრის დროს და მყარდება, როდესაც შინ დაბრუნებისას ვინმეს უამბობ ამ შეხვედრის შესახებ. და ვინაიდან, როგორც წესი, სხვებიც ასეთ მდგომარეობაში იმყოფებიან, ნებისმიერი ურთიერთობა დამაბნეველი, უაზრო ილუზიაა, არასწორი ინტერპრეტაციების გამოგნებელი ფარსი. და მაინც, რა უნდა ვუყოთ ამ არაჩვეულებრივად მნიშვნელოვან ფენომენს, რომელსაც სხვა ადამიანები ჰქვია? იქნებ ამ ფენომენს სულ სხვა მნიშვნე-

ლობა აქვს და არა ის, რასაც მივაწერთ - ჩვენ ხომ არ შეგვიძლია ჩავწვდეთ ერთმანეთის შინაგან არსსა და უჩინარ აზრებს? ნუთუ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს, კარი ჩავკეტოთ და განვმარტოვდეთ, ისე, როგორც იქცევიან მარტოსული მწერლები, რომლებიც თავიანთ ყრუ კაბინეტებში იკეტებიან და სიტყვებისგან ადამიანებს ქმნიან, შემდეგ კი იჯერებენ, რომ ეს სიტყვა-ადამიანები უფრო ახლოს არიან რეალობასთან, ვიდრე რეალური ადამიანები, რომლებსაც ყოველდღე ვხვდებით და რომლებსაც არაფერი გვესმის? ცხადია, ადამიანების მართებულად გაგება ცხოვრება არაა. ცხოვრება მათი არასწორად გაგებაა, სულ უფრო მეტად არასწორად გაგება, საკუთარი გადაწყვეტილებების საგულდაგულოდ გადაფასება და კვლავ არასწორი დასკვნის გამოტანა. ჩვენი ცხოვრება განუწყვეტელი შეცდომებია. ალბათ სჯობს, თავი არ შევიწუხოთ იმაზე ფიქრით, ვცდებით თუ არა. უბრალოდ, უნდა ვიცხოვროთ. თუ ამას მოახერხებთ, გზა დამილოცნია.

- როდესაც იმ უბედურების შესახებ მომწერე, რომლის გამოც მამაშენი იტანჯებოდა, გავიფიქრე, შეიძლება ამის ერთ-ერთი მიზეზი ჯერი იყო-მეთქი. ალბათ მამაშენი, ისევე როგორც მამაჩემი, ვერ შეურიგდებოდა შვილის ჰომოსექსუალობას.

შვედს სახეზე აუთამაშდა ღიმილი, რომელშიც უპირატესობის გრძნობის ან პროტესტის ნატამალიც კი არ შეიმჩნეოდა. პირიქით, მიმანიშნებდა, რომ, მართალია, ის ყველასთვის საყვარელი ადამიანი გახლდათ, მაგრამ ჩემზე უკეთესი კი არა, შესაძლოა უარესიც იყო.

- ჰო, საბედნიეროდ, მამაჩემს ეს არ დასჭირვებია. ჯერის ასე მოიხსენიებდა ხოლმე: „ჩემი ექიმი შვილი“. ვერავინ იამაყებდა შვილით უფრო მეტად, ვიდრე მამაჩემი ამაყობდა ჯერით.

- ჯერი ექიმია?

- მაიამიში. კარდიოქირურგია. მისი ყოველწლიური შემოსავალი მილიონ დოლარს შეადგენს.

- დაცოლშვილდა? ჯერი დაცოლშვილდა?

კვლავ ღიმილი. საოცრად ნაზი ღიმილი. სიღბო ჩვენი რეკორდსმენი სპორტსმენისა, რომელიც პირისპირ შეხვედრია თვითგადარჩენისთვის აუცილებელ უხეშ ძალას. ეს იყო ღიმილი ადამიანისა, რომელიც არ აღიარებს და, მით უმეტეს, არასოდეს ამჟღავნებს ველურ აგრესიას, თუმცა ეს აუცილებელია იმისთვის, რომ შვიდი ათეული წელი იცოცხლო. ყველამ, ვისაც ათი წელი შეუსრულდა, იცის, რომ ვერავითარი

ღიმილით, თვით ასეთი ალერსიანი და თბილი ღიმილითაც კი ვერ შეძლებ დაიმორჩილო მტრული ძალა, ვერ შეძლებ შეაჩერო მძიმე მუშტი, რომელიც მზადაა, მოულოდნელად თავ-პირი დაგიმტვრიოს. კიდევ ერთხელ გავიფიქრე, რომ შვედს სულიერი დაავადება სჭირდა და ეს ღიმილი მის ფსიქიკურ აშლილობას ადასტურებდა. არ თვალთმაქცობდა და ეს ყველაზე უარესი იყო. გულწრფელი ღიმილი. არაფერი მოჩვენებითი. ამ უცნაურ მდგომარეობამდე თავისთავად მივიდა ცხოვრების ბოლოს, რომლის განმავლობაშიც სულ უფრო ღრმად ეფლობოდა... რაში? ნუთუ წარმოდგენამ საკუთარი თავის, როგორც უბნის ვარსკვლავის, შესახებ შვედის განვითარება შეაჩერა და სამუდამოდ ბიჭის მუმიად აქცია? როგორც ჩანს, შინაგანი სამყაროდან განდევნა არა მარტო მისთვის მიუღებელი სიცრუე, ძალადობა, დაცინვა და სისასტიკე, არამედ ყველაფერი, რაც ოდნავ მქისე იყო, ნებისმიერი შემთხვევითი საშიშროება, რომელიც უმწეობას უქადდა. განუწყვეტლივ ცდილობდა, ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება ისეთი მარტივი და გულწრფელი ყოფილიყო, როგორც იყო მისი დამოკიდებულება საკუთარ თავთან.

ან იქნებ... იქნებ მან, უბრალოდ, ბევრი რამ განიცადა და ისევე ჩაიკეტა თავის თავში, როგორც ბევრი სხვა? იქნებ ონკოლოგიური ოპერაციით გამოწვეული გრძნობები, რომლებმაც მოკლე ხნით დაურღვიეს კომფორტული ცხოვრება, ახლა, სრული გამოჯანსაღების შემდეგ, სამუდამოდ ჩაცხრა? იქნებ მას ჰქონდა შინაგანი სამყარო, მაგრამ არ სურდა მისი სააშკარაოზე გამოტანა - უბრალოდ, გონიერი ადამიანი იყო და ესმოდა, რომ თუ პატივს სცემდა საკუთარ თავსა და ახლობელთა ცხოვრებას, მაშინ საჭირო არ იყო გულის გადაშლა მწერალთან, რომანისტთან? ოჯახური ამბების გამომწვეურების ნაცვლად, ალერსიანად გაუღიმე რომანისტს, თავბრუ დაახვიე დახვეწილი თავაზიანობით, შემდეგ შეექცევი ზაბაგლიონეს და დაბრუნდი ოლდ-რიმროკში, ნიუ-ჯერსის შტატში, სადაც შენს ცხოვრებაში ცხვირს არავინ ჩაყოფს.

- ჯერის მეოთხე ცოლ-შვილი ჰყავს, - ღიმილით მითხრა შვედმა. - ოჯახური რეკორდია.

- შენ?

მისი სამი ვაჟის ასაკის გათვალისწინებით, ვივარაუდე, რომ ორმოც წელს გადაცილებული ქერა ქალი, რომელსაც გოლფის ყვანჭები ეჭირა, შვედის მეორე ან მესამე ცოლი უნდა ყოფილიყო. და მაინც, ვერ წარ-

მომედგინა, რომ შეიძლებოდა განქორწინებულის უფედი, რომელიც ცხოვრებაში ყოველივე ირაციონალურს უგულვებელყოფდა. თუ ცოლს გასცილდა, ინიციატივა, ალბათ, მის ნიუ-ჯერსისა იყო. ან, შესაძლოა, ქალი გარდაიცვალა. იქნებ ისეთ ადამიანთან ცხოვრებამ, რომელიც იდეალური ქორწინებისკენ მიისწრაფოდა და სტაბილურობის ილუზიის ერთგული იყო, აიძულა ის, თავი მოეკლა? შესაძლოა შოკის ზეგავლენით, რომელიც განიცადა... ჯიუტად ვცდილობდი მიმეკვლია ნაკლული ფრაგმენტისთვის, რომელიც საშუალებას მომცემდა, სრულად წარმომედგინა უფედის შინაგანი სამყარო. არაფერი არღვევდა ამ ასაკოვანი კაცის უნაკლოდ ლამაზი სახის ჰარმონიას. ვერ ვხვდებოდი, ეს სიცარიელე ერთგვარი თოვლის საფარი იყო თუ თოვლის ფენა არაფერს მალავდა.

- მე? ორი ცოლით დაგკმაყოფილდი. ჩემს ძმასთან შედარებით, ძალზე ფრთხილი ვარ. მისი ახლანდელი ცოლი ეს-ესაა ოცდაათს გადასცდა. ქმარზე ორჯერ ახალგაზრდაა. ჯერი იმ ექიმთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ექთნებზე ქორწინდებიან. მისი ოთხივე ცოლი ექთანის იყო. ექიმი ლევოვი. ეთაყვანებოდნენ. ოთხი ცოლი, ექვსი შვილი. მამაჩემს ეს აცოფებდა. მაგრამ ჯერი გამოჩენილი, ძლიერი პიროვნებაა, ქირურგთა მეფე - მისი გამოჩენა მთელ საავადმყოფოს შიშის ზარს სცემს - და ამიტომ მამაჩემი იძულებული გახდა, ბედს დამორჩილებოდა. სხვა გზა არ ჰქონდა. თუ ასე არ მოიქცეოდა, შვილს დაკარგავდა. ჩემს უმცროს ძმას ხუმრობა არ უყვარს. ყოველი განქორწინებისას მამაჩემი ყვიროდა და ფეხებს აბაკუნებდა, ასჯერ დაემუქრა, მოგკლავო, მაგრამ როგორც კი ჯერი ქორწინდებოდა, მისი ახალი ცოლი მამაჩემს კიდევ უფრო მეტად მოსწონდა, ვიდრე წინამორბედი. „თოჯინაა, მზე-თუნახავია!“ იმას, ვინც ჯერის ცოლებზე აუგს იტყოდა, მამაჩემი სასიკვდილოდ გაიმეტებდა. ჯერის შვილებს აღმერთებდა. ხუთი გოგონა, ერთი ბიჭუნა. მამაჩემს ბიჭუნა უყვარდა და გოგონების მზეს ფიცულობდა. ამ ბავშვებისთვის ქვას გახეთქავდა. ჩვენი ნებისმიერი შვილისთვის. როდესაც ბავშვებთან ერთად ვსტუმრობდით, სინარულით ცას ეწეოდა ხოლმე. ოთხმოცდათექვსმეტი წლისა ისე შესრულდა, ერთი დღეც არ უავადმყოფია. ინსულტის შემდეგ, ექვსი თვის განმავლობაში, ძალიან მძიმედ იყო. მაგრამ ღირსეულად იცხოვრა. შეუპოვარი იყო. ძლიერი ბუნებისა. შეუდრეკელი კაცი.

შვედის მსუბუქი, ნარნარი კილო, მისი ხმა, რომელშიც მამისადმი ღრმა სიყვარული გამოსჭვიოდა, ააშკარავებდა, რომ მისი ცხოვრების მთავარი მიზანი მამის იმედების გამართლება გახლდათ.

- დაიტანჯა?

- შეიძლებოდა, გაცილებით უარესად ყოფილიყო, - მიპასუხა შვედმა. - მისი ავადმყოფობა კი მხოლოდ ექვს თვეს გაგრძელდა და მაშინაც თითქმის ვერ გრძნობდა, რა ხდებოდა. უბრალოდ, ერთ ღამეს გაგვეპარა... და მამა დავკარგეთ.

როდესაც შვედს ეს შეკითხვა დავუსვი, ვგულისხმობდი მამამისის ტანჯვას, რომლის შესახებაც წერილში საუბრობდა და რომელიც გამოწვეული იყო „მისტვის ძვირფასი ადამიანების უბედურებით“. მაგრამ წერილი რომ მომეტანა და მეჩვენებინა მისტვის, მაინც ისე მომიშორებდა, როგორც ერთ შაბათს, ორმოცდაათი წლის წინ, ქალაქის სტადიონზე ჩამოიშორა „საუთ-საიდის“ გუნდის - ჩვენი ყველაზე სუსტი მოწინააღმდეგის - ნახევარმცველები და შტატის რეკორდი დაამყარა: ოთხჯერ ზედიზედ მოახვედრა ბურთი და ოთხი პასი დაიჭირა. გავიფიქრე: „რა თქმა უნდა, ჩემმა სურვილმა, აღმომეჩინა სუბსტრატი, ჩემმა მუდმივმა ეჭვმა, რომ ხილულის მიღმა რაღაც უხილავი იმალებოდა, აგრძნობინა, რომ შემეძლო უფრო ღრმად შემეღწია მასში, შემდეგ კი ამეხსნა, რომ ის ისეთი არ იყო, როგორადაც თავს გვაჩვენებს... მაგრამ რა საჭიროა, დავხარჯო მასზე ამდენი დრო? ასე ხარბად რატომ ვესწრაფვი ამ კაცის არსის წვდომას? ერთხელ მითხრა - სწორედ მე მითხრა: „კალათბურთში ასეთი რამ არასოდეს მომხდარა, ხტუნია“. რას ჩავაცივდი? რა მემართება? შვედი სწორედ ისეთია, როგორადაც გამოიყურება. ყოველთვის ასეთი იყო. ეს გულუბრყვილობა მოჩვენებითი არაა. იმ სიღრმეებში შეჭრა მინდა, რომლებიც, სინამდვილეში, არ არსებობს. ეს კაცი სულიერი სიცარიელის განსახიერებაა“.

ვცდებოდი. ასე ძლიერ არასოდეს შევმცდარვარ მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში.

გავიხსენოთ ენთუზიაზმის ეპოქა. ამერიკელები იმ დროს მართავენ არა მარტო თავიანთ ქვეყანას, არამედ ორას მილიონ კაცსაც - იტალიაში, ავსტრიაში, გერმანიაში და იაპონიაში. სამხედრო დამნაშავეთა გასამართლებამ დედამიწა ერთხელ და სამუდამოდ გაწმინდა ამ სატანებისგან. ატომური ენერჯია მთლიანად ჩვენს ხელთ იყო. ნორმირებული საკვების ხანა წარსულს ჩაბარდა. ფასების კონტროლი გაუქმდა. ზენიტს მიაღწია საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლამ. საავტომობილო, ქვანახშირის და ფოლადსადნობი მრეწველობის მუშები, ტრანსპორტის მუშაკები და მეზღვაურები - მილიონობით მშრომელი მოითხოვდა ხელფასების გაზრდას. მზად იყვნენ გაფიცულიყვნენ. ხოლო ბიჭები, რომლებიც უვნებლად დაბრუნდნენ ომიდან - ჩვენი მეზობლები, ნათესავები, უფროსი ძმები - კვირა დღეებში სოფტბოლს თამაშობდნენ მინდორზე, ჩენსელორ-ავენიუს უკან, კალათბურთს კი - სკოლის მოასფალტებულ მოედანზე. ჯიბეები სავსე ჰქონდათ დემობილიზებულთათვის განკუთვნილი ფულით; საგანგებო კანონი ისეთ პერსპექტივებს უსახავდა, როგორიც ომამდე მათთვის წარმოუდგენელი იყო. უფროს კლასებში სწავლა დავიწყეთ იაპონიის სრული და უპირობო კაპიტულაციიდან ექვსი თვის შემდეგ, ამერიკის ისტორიაში არნახული საყოველთაო აღტყინების მომენტში. საერთო ენთუზიაზმი გადამდები იყო. გარშემო ყველაფერი დულდა. თვინიერებისა და თვითშეზღუდვის დრო დასრულდა. დეპრესია თითქოს არც ყოფილა. ყველაფერი ამოძრავდა. შემაკავებელი ხუფი გადავარდა. ამერიკელებს ყველაფერი თავიდან უნდა დაგვეწყო, ერთობლივად. უზარმაზარი ეპოქის ძლევა მოსილი დასასრული, ისტორიის საათის ისრების ხელახლა ამოძრავება და წარსულის წნეხისგან ხალხის მიზნების გათავისუფლება - ეს ყველაფერი ჩვენთვის მეტად შთამაგონებელი იყო, მაგრამ ამასთანავე ჩვენს თემს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ბავშვებისთვის თავიდან აეცილებინა სიღარიბე, უმეცრება, ავადმყოფობები, სოციალური უსამართლობა, დაშინება და, რაც მთავარია, უშინაარსო ცხოვრება. მიზნები უნდა განახორციელო! კაცად უნდა იქცე!

ქვეშეცნეული მღელვარების მიუხედავად (რადგან გამუდმებით გვანსოვდა საფრთხე, რომლის გადალახვაც შესაძლებელია სიბეჯითის მეშვეობით), არაებრაული სამყაროსადმი საყოველთაო უნდობლობის მიუხედავად, მარცხის შიშის მიუხედავად, რომელიც დაეუფლა ბევრ ოჯახს დიდი დეპრესიის პერიოდში, ჩვენი თემი სულიერად არ დაცემულა. შრომისმოყვარეობა აცისკროვნებდა ყველაფერს. მომავლის რწმენა უსაზღვრო იყო და ჩვენც შეუპოვრად ვიკვალავდით გზას წარმატებისკენ: უკეთესი ცხოვრებისკენ. ჩვენი ამოცანა იყო ამოცანების დასახვა, ჩვენი მიზანი - მიზნების განსაზღვრა. ამ მოწოდებებში ხშირად ისტერია იგრძნობოდა - იმ ადამიანთა ისტერია, ვინც საკუთარი გამოცდილების საფუძველზე დარწმუნდნენ, რომ მცირე წინააღმდეგობა ზოგჯერ სამუდამოდ ანგრევს ცხოვრებას. და მაინც, სწორედ ამ მოწოდებებმა, რომლებიც დალდასმული იყო ჩვენი მშობლების გაუბედაობით, კარგად რომ აცნობიერებდნენ მათ წინააღმდეგ გაერთიანებული მტრული ძალების შესაძლებლობებს, მიანიჭა ჩვენს სამყაროს ერთიანობა. ჩვენ განუწყვეტლივ ჩაგვიჩინებდნენ, რომ დრო ფუქსავატურად არ უნდა დაგვეხარჯა და საქმე ბოლომდე უნდა მიგვეყვანა, არც ერთი შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა გაგვეშვა, ყველა უპირატესობა უნდა გამოგვეყენებინა, არ უნდა დაგვევიწყებინა, რა იყო მნიშვნელოვანი.

თაობები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ. ამიტომ უამრავი რამის შესახებ ვკამათობდით. უფროს თაობას ჰქონდა სამყაროს შესახებ საკუთარი წარმოდგენა, რომელსაც არ თმობდა; მათ მიერ აღიარებულ ნორმებს ჩვენ, ამერიკაში სულ რაღაც ორი ათეული წელი ცხოვრების შემდეგ, უაზრო წესებად მივიჩნევდით. მუდმივი გაუბედაობა დამახასიათებელი იყო მათთვის, მაგრამ არა - ჩვენთვის. ვერ გადაგვეწყვიტა, შევძლებდით თუ არა ამ კანონებისგან გათავისუფლებას. ეს შინაგანი ორჭოფობა გამაღიზიანებელი იყო. ზოგიერთი ჩვენგანი კადნიერდებოდა და ეწინააღმდეგებოდა მათ, თუმცა თაობათა შორის კონფლიქტი იმხანად ისეთი მძაფრი არ იყო, როგორც - ოცი წლის შემდეგ. ჩვენი ცხოვრება არ წარმოადგენდა ბრძოლის ველს, რომელზეც თაობათა დაპირისპირების მსხვერპლთა გვამები მიმოფანტულიყო. ჩვენს დასამორჩილებლად მჭევრმეტყველებას მიმართავდნენ; ახალგაზრდული ამბოხის ჩასახშობად გამოიყენებოდა ათასობით მოთხოვნა, პირობა, აკრძალვა, ესე იგი, შეზღუდვები, რომლებიც, საბოლოოდ, დაუძლევე-

ლი აღმოჩნდა. ამას ხელს უწყობდა ის, რომ კარგად გვესმოდა ჩვენივე ინტერესები. გარდა ამისა, იმ დროს საყოველთაოდ გავრცელებული იყო მტკიცე მორალური პრინციპები, რომელთა ურყეობა დედის რძესთან ერთად გავითავისეთ. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მშობელთა თავდადების იდეოლოგია, რომელიც აფერხებდა აშკარა ამბოხის ჩვენივე მცდელობებს და გვაიძულებდა, სულში ღრმად ჩაგვემარხა თითქმის ყველა შეუსაბამო სურვილი. მათ მგზნებარედ, მტკიცედ სწამდათ, რომ სრულყოფილნი ვიყავით. ამ რწმენის გასაფანტავად და აკრძალულ სფეროებში შესაღწევად გაცილებით მამაცნი - ან ბრიყვნი - უნდა ვყოფილიყავით, ვიდრე ჩვენი უმრავლესობა იყო. არ ვიცოდით, როგორ უნდა შევდავებოდით მათ მოსაზრებებს კანონმორჩილებისა და პირველობისკენ სწრაფვის აუცილებლობის შესახებ, ამდენად, თითქმის მთელი ძალაუფლება ნებაყოფლობით გადავეცით უფროსებს, რომლებიც ჩვენი მეშვეობით სულ უფრო წინ და მალა მიიწევდნენ. ამ შეთანხმების შედეგად, მოზარდი ზოგჯერ ერთგვარ ტრავმას იღებდა, მაგრამ ფსიქოზის შემთხვევები არ გამოვლენილა - ყოველ შემთხვევაში, იმ პერიოდში. იმედების ტვირთი, საბედნიეროდ, მომაკვდინებელი არ იყო. რა თქმა უნდა, ზოგიერთ ოჯახში მშობლები ზედმეტად უჭერდნენ შვილებს და უკეთესი იქნებოდა, ასე არ მოქცეულიყვნენ, მაგრამ, უმეტესად, თაობათა კონფლიქტები აუცილებელი იყო ჩვენი წინსვლისთვის.

შესაძლოა ვცდები და ჩვენ კმაყოფილნი ვიყავით ჩვენი ცხოვრებით. ყველაზე ხშირი შეცდომების საფუძველი ხანდაზმულობისთვის დამახასიათებელი ნოსტალგიაა. მაგრამ განა რენესანსის პერიოდში, მდიდარ ფლორენციულ ოჯახებში, ბავშვები უფრო ბედნიერნი იყვნენ, ვიდრე ჩვენ - იმ სივრცეში, რომელიც ერთიანად გაჟღენთილი იყო „ტაბაჩნიკის“ დუქნიდან გამომავალი მარინადების სურნელით? განა მაშინ, მოელვარე აწმყოში, ცხოვრების სისავსე ჩვენს განცდებს უჩვეულო სიმძაფრეს არ ანიჭებდა? განა შემდგომ ოდესმე ასე ჩავძირულვართ ცხოვრების მრავალფეროვანი ფრაგმენტების ოკეანეში? ფრაგმენტი, ფრაგმენტის უსაზღვროება, ფრაგმენტის ძალმოსილება, ფრაგმენტის წონა - სიყმაწვილის ხანაში უსასრულო ფრაგმენტებით ისე ხარ გარემოცული, როგორც ექვსი ფუტი მიწით, რომელსაც გარდაცვალების შემდეგ შენს კუბოს აყრიან.

ალბათ, თავისი არსით, უახლოესი გარემო ის ადგილია, რომელზეც ბავშვის მთელი ყურადღებაა მიპყრობილი. ის აქ უშუალოდ ეზიარება ჭეშმარიტ საზრისებს, მის წინაშე შიშვლდება საგანთა ფარული არსი. და მაინც, ახლა, ორმოცდაათი წლის შემდეგ, გეკითხებით: შეგიღწევიათ თუ არა ცხოვრებაში ისე ღრმად, როგორც იმ ქუჩებში, სადაც ყოველი ეზო, ყოველი სახლი, ყოველი სახლის ყოველი სართული, ყოველი ნაცნობი ბინის კედლები, ჭერი, კარები და ფანჯრები ასეთი განუმეორებელი იყო? შემდგომში ასე ზუსტად აღგიქვამთ თუ არა ირგვლივ მიმოფანტული საგნების ფორმათა ყველა ნიუანსი, სოციალური სტატუსის უმცირესი გრადაციები, რომლებიც თავს იჩენს ლინოლეუმსა და მუშამბაში, სადღესასწაულო დღეებში ანთებულ სანთლებში, კერძების სუნში, „რონსონის“ ფირმის სამაგიდო ნათურებსა და ქალუზებში? ჩვენ ყველაფერი ვიცოდით ერთმანეთის შესახებ - ვის რა საუზმე ელო პაკეტში, ვინ რომელი საწებელი მოასხა სიდთან ნაყიდ ჰოთ-დოგს. ისიც ვიცოდით, ვის რა ფიზიკური თავისებურება ახასიათებდა - ვინ იყო ფეხმრუდი და ვის ეზრდებოდა მკერდი, ვის ასდიოდა ბრილიანტინის სურნელი და ვინ ინერწყებოდა ლაპარაკის დროს; ვიცოდით, ვინ იყო ჩხუბისთავი და ვინ - თავაზიანი, ვინ იყო ჭკვიანი და ვინ - გონებაჩლუნგი, ვისი დედა მეტყველებდა აქცენტით და ვის მამას ჰქონდა ულვაში, ვისი დედა მუშაობდა და ვის მოუკვდა მამა. უცნაურია, მაგრამ ბუნდოვნად იმასაც ვგრძნობდი, როგორ იწვევდა ამა თუ იმ მოზარდის ოჯახური მდგომარეობა რთულ პრობლემებს.

ამ ყველაფერს ემატებოდა ბუნებრივი მოთხოვნილებებით, ტემპერამენტით, ფანტაზიით, ვნებებითა და გაწბილების შიშით გამოწვეული მძაფრი განცდები. საბოლოოდ და უიმედოდ მომწიფებული მოზარდები, მხოლოდ და მხოლოდ ყმაწვილური დაკვირვებების საფუძველზე, მარტოდმარტო, ფარულად ვცდილობდით ყოველივე ამასთან გამკლავებას - იმ ეპოქაში, როდესაც უბიწოება ჯერ კიდევ ერთ-ერთ უზენაეს ეროვნულ ფასეულობას წარმოადგენდა და მისი შენარჩუნება, თავისუფლებისა და დემოკრატიის მსგავსად, ახალგაზრდებისთვის დასახულ ამოცანად ითვლებოდა.

გასაოცარია, რომ ყველაფერი, რასაც ოდესღაც უშუალოდ ვხედავდით - მაგალითად, ჩვენი თანაკლასელების გარეგნობა - ასე დეტალურად გვახსოვს. გასაოცარია იმ გრძნობის სიმძაფრეც, რომელსაც განვიცდით, როდესაც ერთმანეთს ვხვდებით. მაგრამ ყველაზე მეტად გა-

საოცარია ის, რომ დაახლოებით იმ ასაკისა ვართ, რომლისაც იყვნენ ჩვენი ბებიები და ბაბუები 1946 წლის 1 თებერვალს, როდესაც პირველად შევიკრიბეთ. გასაოცარია აგრეთვე, რომ იმხანად არ ვიცოდით, როგორ წარიმართებოდა ჩვენი ცხოვრება, ახლა კი უკვე ზუსტად ვიცით, როგორ წარიმართა ის. და განა გასაოცარი არაა, რომ 1950 წლის კურსდამთავრებულთა ცხოვრებისეული მიღწევები საბოლოოდ განსაზღვრულია, შეუცნობელი შემეცნებულია, ხოლო მომავალი - ხორცშესხმული? ცხოვრების გზა გავლით - ამ ქვეყანაში, ჩვენს დროში, შეძლებისდაგვარად. გასაოცარია.

ასეთი იყო სიტყვა, რომელიც არ წარმომითქვამს ორმოცდახუთი წლის წინანდელ კურსდამთავრებულთა შეხვედრაზე. თითქოსდა სხვებისთვის განკუთვნილი სიტყვა, რომლითაც, არსებითად, საკუთარ თავს მივმართე. ის შეხვედრის შემდეგ შევთხზე, როდესაც ღამით ლოგინში ვიწექი და ვცდილობდი მივხვედრილიყავი ჩემი განცვიფრების მიზეზს. ამ სიტყვის დინჯი კილო არ შეესაბამებოდა ქალაქგარეთა კლუბის სამეჯლისო დარბაზს და იქ მოსალოდნელ დროსტარებას, მაგრამ სავსებით შეესაბამებოდა დროს ღამის სამსა და დილის ექვს საათს შორის, როდესაც, ჯერ კიდევ აღზნებული, ვცდილობდი მივმხვდარიყავი, რამ მოგვანდომა ერთმანეთთან შეხვედრა, და გამეაზრებინა მოწაფეობის წლებში შეძენილი საერთო გამოცდილება. სხვადასხვაგვარი მატერიალური მდგომარეობისა და ცხოვრებისეული გარემოებების, აგრეთვე, უამრავი პრობლემის მიუხედავად, რომლებსაც წარმოშობდა მრავალფეროვანი ოჯახური კონფლიქტები - მათ კი, საბედნიეროდ, გაცილებით ნაკლებად საბედისწერო შედეგები მოსდევდა, ვიდრე ჩვეულებრივ ხდება ხოლმე - რაღაც ძალიან მძლავრი გვაერთიანებდა. გვაერთიანებდა არა მარტო საერთო პირობები, რომლებშიც ჩამოვყალიბდით, არამედ საერთო მიზნები და მათი ხორცშესხმის გზებიც. ახლებური შესაძლებლობები, ახლებური ზრახვები, ახლებური მოვალეობები, ახლებური მისწრაფებები. უჩვეულო სილალეს ვგრძნობდით და ნაკლებად გვალეღვებდა ფიქრები ჩვენი განკერძოებული მდგომარეობის შესახებ, რომლის შენარჩუნებასაც გოები კვლავინდებურად ცდილობდნენ. როგორ მოხდა ეს ტრანსფორმაცია - რისგან ჩამოყალიბდა ისტორიული დრამა, რომელსაც პატარა პროტაგონისტები ქვეშეცნეულად თამაშობდნენ საკლასო ოთახებში, სამზარეულოებში, და რო-

მელიც არაფრით წააგავდა ცხოვრების დიად თეატრს? რა ძალების შეჯახებამ გამოკვესა ჩვენში ახალი ნაპერწკალი?

ჯერ კიდევ არ მეძინა და ვბორგავდი. გონებაში მიტრიალებდა ფიქრები, კითხვებისა და პასუხების ბუნდოვანი, უძილობით წარმოშობილი აჩრდილები. რვა საათის წინ დავბრუნდი ნიუ-ჯერსიდან, სადაც ოქტომბრის მზიან კვირადღეს, ებრაული გარეუბნის ელევანტურ კლუბში, ჩვენი ბავშვობის ქალაქის დაცარიელებული ქუჩებიდან მოშორებით, რომლებშიც ახლა ბოროტმოქმედები და ნარკომანები ბოგინობდნენ, ერთმანეთს შევხვდით - დილის თერთმეტი საათიდან საღამომდე იქ ყველაფერი დულდა.

სამეჯლისო დარბაზს, სადაც შეხვედრა გაიმართა, ქალაქგარეთა კლუბის გოლფის მოედნის კუთხე ეკავა. აქ შეიკრიბნენ ხანდაზმული ადამიანები, რომლებიც ოცდაათიან-ორმოციან წლებში უიკვეიკელი მოზარდები იყვნენ და ფიქრობდნენ, რომ „ყვანჭი“ (იმ დროს ასე უწოდებდნენ გოლფის სათამაშო რკინის ჯოხებს) ფეხის ნაწილი იყო. ვერ ვიძინებდი და უკანასკნელი, რაც გამახსენდა, იყო ერთი იქაური თანამშრომელი, რომელმაც ჩემი მანქანა პარმალის ქვეშ შეიყვანა, და აგრეთვე, ჩემი პასუხი დღესასწაულის მთავარი ორგანიზატორის, სელმა ბრესლოვის თავაზიან კითხვაზე, დრო როგორ გაატარეთო: „ისე, თითქოს იოძიმიდან დაბრუნებულმა ძველი საშინაო ტანსაცმელი ჩავიცვი“.

დაახლოებით ღამის სამ საათზე საწოლიდან ავდექი და მაგიდას მივუჯექი. აწეწილი ფიქრებისგან თავი მიხურდა. დილის ექვს საათამდე ვიმუშავე და შეხვედრაზე წარმოსათქმელი, ზემოთ მოყვანილი სიტყვა შევთხზე. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დავამატე ემოციური დასასრული, კულმინაციური სიტყვით „გასაოცარია“, იმდენად გავთავისუფლდი ამ „საოცრებისგან“, რომ ორიოდ საათი მეძინა, ან შესაძლოა ვთვლემდი. ნახევრად გავთავისუფლდი, მაგრამ ჩემივე ბიოგრაფია განუწყვეტლივ მიტრიალებდა თავში, მენსიერება კი ძვლებამდე მატანდა.

ისეთი უწყინარი დღესასწაულის შემდეგაც კი, როგორიც ყოფილ თანაკლასელთა შეხვედრაა, ძნელია, სწრაფად დაუბრუნდე ყოფას, რომელიც დაცულია დროის მონოტონური მდინარეებითა და რუტინით. ოცდაათი ან ორმოცი წლისა რომ ვყოფილიყავი, მოგონებები შეხვედრის შესახებ ჩემი გონებიდან აორთქლდებოდა იმ სამი საათის განმავლობაში, როდესაც შინისკენ მივემგზავრებოდი. მაგრამ სამოცდაორი წლისა გახლდით, თანაც მხოლოდ ერთი წლის წინ გადავიტანე ონკო-

ლოგიური ოპერაცია. ამიტომ წარსულში კი არ შევიჭერი, არამედ წარსული თავად დაეუფლა ჩემს აწინდელ ცხოვრებას. ერთგვარად დროიდან ამოვვარდი, სინამდვილეში კი დროის იდუმალი არსით გავიმსჭვალე.

ერთმანეთს ვეხვეოდით, ვკოცნიდით, ვხუმრობდით, ვიცინოდით, ვიხსენებდით პრობლემებსა და უსიამოვნებებს, რომლებიც ახლა უმნიშვნელოდ გვეჩვენებოდა და ვყვიროდით: „შეხე, ვინ ყოფილა აქ!“, „რამდენი ხანია, არ მინახავხარ“, „გახსოვარ? მე მახსოვხარ“; ერთმანეთს ვეკითხებოდით: „შენთან ერთად ხომ არ..?“, „ის ბიჭი ხომ არ ხარ?“, ვითხოვდით: „არ წახვიდე!“ - და ეს ორი სიტყვა მთელი საღამოს განმავლობაში ყველგან ისმოდა, რადგან თითოეული ჩვენგანი ერთდროულად უამრავ ვინმეს ესაუბრებოდა... და, რა თქმა უნდა, ჩახუტებულები ვცეკვავდით ძველმოდურ ცეკვებს მუსიკის თანხლებით, რომელსაც ასრულებდა „ადამიანი-ორკესტრი“ (წვეროსანი კაცი, რომელსაც სმოკინგი ეცვა, თავზე კი წითელი ბენდენა ჰქონდა შემოხვეული). ის, სულ ცოტა, ოცი წლის შემდეგ უნდა დაბადებულიყო იმ დღიდან, როდესაც საკლასო ოთახიდან „იოლანტას“ ენერგიული მარშის თანხლებით გამოვედით. ახლა სინთეზატორზე უკრავდა და ბაძავდა ნატ კინგ კოულს, ფრენკი ლეინსა და სინატრას. ამ რამდენიმე საათის განმავლობაში დროის ჯაჭვი, მთელი ეს წყეული ნაკადი, რომელსაც დროს ვუწოდებთ, ისეთივე საცნაური იყო, როგორც - ზომა იმ ღვეზელისა, ყავასთან ერთად რომ მივირთმევთ ხოლმე ყოველ დილას. ბენდენიანი „ადამიანი-ორკესტრი“ „მიულ ტრეინს“ უკრავდა, მე კი ვფიქრობდი: „დროის ანგელოზი ახლა ჩვენს თავს ზემოთ დაფრინავს და მის ყოველ სუნთქვაში მთელი ჩვენი ცხოვრების რიტმი ფეთქავს. დროის ანგელოზი ნამდვილად აქაა, სიდერ-ჰილის ქალაქგარეთა კლუბის სამეჯლისო დარბაზში, ისევე, როგორც ეს კაცი, რომელიც „მიულ ტრეინს“ უკრავს ფრენკი ლეინის მიბაძვით“. ვაკვირდებოდი ყველას და მეგონა, რომ 1959 წელი იდგა, ხოლო 1995 ამ მეჯლისზე ჩვენ მიერ წარმოდგენილი ერთგვარი ფუტურისტული ფანტაზია გახლდათ; პაპიემაშეს სასაცილო ნიღბები ააშკარავებდა, როგორები ვიქნებოდით მეოცე საუკუნის ბოლოს. საერთოდ, მთელი ეს საღამო ჩვენ მიერ საგანგებოდ მოწყობილი მისტიფიკაცია იყო.

როდესაც დაშლა დავაპირეთ, სელმამ სამახსოვრო კათხები დაგვირიგა. მათში ეწყო ნარინჯისფერ ცელოფანში გახვეული, ორფერი (ნა-

რინჯისფერი და ყავისფერი) ხვეული ლენტებით შეკრული ექვს-ექვსი პატარა ნამცხვარი „რუგელახი“. ეს ჩვენი სკოლის ფერები გახლდათ. „რუგელახებს“, რომელთაც გაკვეთილების შემდეგ შინ ვახრამუნებდი ხოლმე, დედაჩემი იმ რეცეპტით აცხობდა, მაჯონგის კლუბის ერთ-ერთმა წევრმა რომ მისცა. ახლა კი ისინი ჩვენს თანაკლასელ კონდიტერს დაემზადებინა. როგორც კი გავცილდი ჩვენი თავშეყრის ადგილს, ორმაგი სახვევი გავხიე და ექვსივე „რუგელახი“ გადავსანსლე - სპირალური ფორმის შაქარმოყრილი ნამცხვარი, დარიჩინით, ქიშმიშითა და დაჭრილი ნიგვზით. როდესაც ნამცეცებიანად ვნთქავდი ამ ნამცხვარს - კარაქის, არაქნის, ვანილის, კვერცხის გულის, ხაჭოსა და შაქრის ნაზავს - რომელიც ბავშვობიდანვე მიყვარდა, ალბათ ვიმედოვნებდი, რომ ნათანის ცხოვრებიდან გაქრებოდა ის, რაც (თუ პრუსტს დაუუჯერებთ) გაქრა მარსელის ცხოვრებიდან იმ წამს, როდესაც მან იგრძნო „მადლენის“ გემო. სიკვდილის შიში. „ეს გემო იგრძნო, - წერს პრუსტი, - და სიტყვამ „სიკვდილი“ [...] მისთვის ყოველგვარი აზრი დაკარგა“. მშიერი მგელივით ხარბად ვსანსლავდი ნამცხვარს, თავს ვერ ვიკავებდი, რომ წამით მაინც შემეწყვიტა ცხიმიანი სასუსნავით ტკბობის პროცესი, მაგრამ, საბოლოოდ, მარსელის ბედს ვერ ვეწიე.

განვაგრძოთ მსჯელობა სიკვდილისა და სურვილის შესახებ. ხანდაზმულობის ასაკში ბუნებრივად წარმოიშობა სიკვდილის გადავადების, მისი მოგერიების თავგანწირული სურვილი, ნებისმიერ, ნებისმიერ, ნებისმიერ ფასად მისი აჩრდილის გაბუნდოვანების და არა მკაფიოდ ხილვის წადილი.

ჩვენს თავყრილობაზე ერთი ბიჭი ფლორიდიდან ჩამოსულიყო - შეხვედრისთვის გამოცემული ბუკლეტის თანახმად, რომელიც კართან დაგვირიგეს, ას სამოცდათექვსმეტი კურსდამთავრებულიდან ოცდაექვსი ახლა ფლორიდაში ცხოვრობდა... ეს სასიკეთო ნიშანი მიუთითებდა, რომ ფლორიდაში მცხოვრებ თანაკლასელთა რაოდენობა ექვსით აღემატებოდა გარდაცვლილთა რაოდენობას. სიტყვამ მოიტანა და, მთელი საღამოს განმავლობაში ერთადერთი როდი გახლდით, ვინც მამაკაცებს ბიჭებად აღიქვამდა, ქალებს კი - გოგონებად. ჰო, ერთმა ბიჭმა მიამბო, რომ ნიუარკის აეროპორტიდან, სადაც ჩამოფრინდა და მანქანა დაიქირავა, ლივინგსტონამდე ისე ნერვიულობდა, რომ ორჯერ მოუხდა ბენზინგასამართ სადგურთან შეჩერება და ტუალეტის გასაღების თხოვნა. ეს მენდი გარლიკი იყო. 1950 წელს ის კლასის ყველაზე

ლამაზ ბიჭად აღიარეს. ფართო მხარბეჭი და გრძელი წამწამები ჰქონდა. ჯიტერბაგს ყველაზე უკეთ ცეკვავდა. მისი საყვარელი გამოთქმა იყო: „მშვიდად, ჯექსონ!“ ერთხელ უფროსმა ძმამ წაიყვანა ოგასტასტრიტზე, ფერადკანიანთა ბორდელში, რომლის მახლობლადაც სუტენიორები დაყიალობდნენ, ხოლო იქვე „ბრენდფორდის“ ღვინის მაღაზია იყო, რომლის მფლობელიც მათი მამა გახლდათ. და ეს მენდი, რომელმაც ბოლოს აღიარა, რომ ჩაცმული იჯდა ბორდელის ჰოლში და „მექენიქს ილასტრეიდს“ ფურცლავდა, სანამ მისი ძმა „იმ საქმით“ იყო დაკავებული, კლასში „რთულ მოზარდად“ ითვლებოდა. სწორედ მენდი გარლიკმა (ახლა გარიმ) წამიყვანა ადამსის თეატრში ილინოის ჯექეტის, ბადი ჯონსონისა და „ჩვენი“, ნიუარკელი სარა ვოენის მოსასმენად. მანვე იშოვა ბილეთები მეჩეთის წინ გამართულ კონცერტზე დასასწრებად, რომელშიც მისტერ ბი და ბილი ეკსტაინი მონაწილეობდნენ. 1949 წელს მენდიმ ჩვენთვის, ყველასთვის, იშოვა ბილეთები ლოურელ-პარკში გამართულ კონკურსზე („მის საუკეთესო ნამუშეური“) დასასწრებად. მანვე სამჯერ თუ ოთხჯერ წამიყვანა რადიოსტუდიაში იმის სანახავად, როგორ მიჰყავდა გადაცემა ბილ კუკს - შავკანიან დიჯეის „ვაატის“ ჯერსის სტუდიიდან. ბილ კუკის გადაცემას, რომელსაც „მუსიკალური ქარავანი“ ერქვა, ჩვეულებრივ, ჩემს ბნელ ოთახში ვუსმენდი ხოლმე შაბათობით. ეს გადაცემა იწყებოდა დიუკ ელინგტონის „ქარავნის“ ძალზე ეგზოტიკური, ძალზე დახვეწილი მელოდიით, რომელშიც აღმოსავლური და აფრიკული რიტმები ხმიანობდა - მუცლით ცეკვის თანმხლებ მუსიკას წააგავდა. „ქარავანი“, თვით დიუკის შესრულებით, აკრძალული ხილის დაგემოვნების მძაფრ გრძნობას მიქმნიდა, როდესაც დედაჩემის მიერ ახლადგარეცხილ ზეწარზე ვიწექი. თავდაპირველად გაისმოდა „ტომ-ტომ“, შემდეგ - ტრომბონის მომხიბვლელად ჩახლართული სუსტი მელოდია და ბოლოს - შემპარავი, გველივით მაცდუნებელი ფლეიტა. მენდი მას უწოდებდა „მუსიკას, რომელიც ძვალ-რბილში აღწევს“.

„ვაატამდე“, სადაც ბილ კუკის სტუდია მდებარეობდა, 14 ნომერი ავტობუსით მივედით. ეკლესიის მრევლის მსგავსად, წყნარად დავსხედით შემინული კაბინის ერთ-ერთი კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულ სკამებზე და ასე ვისხედით მანამ, სანამ ბილ კუკი არ მოსცილდა მიკროფონს და არ მოგვესალმა. ჩამწერი მოწყობილობა საგანგებო მაგიდაზე ტრიალებდა - იმ მსმენელთათვის, რომლებიც მშვიდად ისხდნენ თავი-

ანთ სახლებში. კუკმა გულითადად ჩამოართვა ხელი ორ აწოწილ თეთრკანიან თაღლითს, რომლებსაც „ამერიკულ მაღაზიაში“ ნაყიდი, ერთ ლილზე შეკრული, გადმოკეცილსაყელოიანი ჟაკეტები ეცვათ (მე კი იმ საღამოს მენდისგან ნათხოვარი კოსტიუმი მეცვა). „რის მოსმენას ინებებთ, ჯენტლმენებო?“ - გვკითხა კუკმა თავაზიანად. ტელეფონით საუბრისას მენდი ყოველთვის ბაძავდა ამ ხავერდოვან, მჟღერ ხმას. ვთხოვე დაეკრა მელოდიური მუსიკა მის დინა ვაშინგტონის ან მის სავანა ჩერჩილის რეპერტუარიდან. რაოდენ თავბრუდამხვევად ჟღერდა იმ დროს ეს ვნებიანი და გალანტური „მის“... მენდის კი გაცილებით დახვეწილი და ამბიციური გემოვნება აღმოაჩნდა: უხეირო სალონების პიანისტის, რუზველტ საიკის ან აივორი ჯო ჰანტერის მსგავსი მუსიკოსები („როდესაც... მივატოვე ჩემი გოგონააა... კინალამ შევიშალე“) და კვარტეტი, რომელსაც, ჩემი აზრით, ძალზე ამაყად უწოდებდა „the Ray-O-Vიცს-ს“, მახვილით პირველ მარცვალზე, ზუსტად ისე, როგორც საუთსაიდელი შავკანიანი ყმაწვილი ელვინ სმითი, რომელიც სამუშაო დღეებში მენდის მამის საქონელს დაატარებდა სახლებში (შაბათობით და კვირაობით ამ მოვალეობას მენდი და მისი ძმა ასრულებდნენ). ერთ საღამოს მენდიმ გაბედა და მეღვინთან ერთად წავიდა ბივონ-სტრიტზე ამ კვარტეტის მოსასმენად პავილიონში, კეგლის სათამაშო მოედნის მახლობლად - იქ, სადაც მუსიკოსთა მეგობრის, თავზეხელაღებული დეზდემონას გარდა, თეთრკანიანები გამოჩენას ვერ ბედავდნენ. სწორედ მენდი გარლიკმა მიმიყვანა პირველად რადიომაღაზიაში მარკეტ-სტრიტზე, სადაც ცხრამეტცენტიანი ჩამოფასებული დისკების გადაქექვის შემდეგ ჯერ ფირფიტებს ვუსმენდით, შემდეგ კი ვბჭობდით, რა გვეყიდა.

ომის დროს, როდესაც საბრძოლო სულისკვეთების შესანარჩუნებლად კვირაში ერთხელ - ივლისსა და აგვისტოში - ჩენსელორ-ავენიუს მახლობელ სპორტულ მოედანზე ცეკვები იმართებოდა, მენდი აღგზნებულ ბრბოს შეერეოდა ხოლმე. აქ იყვნენ უფროსები, მოზარდები და პატარები, რომლებიც მხიარულად დარბოდნენ თეთრად შეღებილი „ბაზების“ ირგვლივ, სადაც ჩვენ ზაფხულობით სოფტბოლს ვთამაშობდით. მენდი მსურველებს სთავაზობდა მოესმინათ უფრო უჩვეულო მუსიკა, ვიდრე გლენ მილერისა და ტომი დორსის რეპერტუარი იყო, რომლის თანხლებითაც, სკოლის ფანჯრებიდან გადმოღვრილ მქრქალ შუქზე, სიამოვნებით ცეკვავდა ჩვენი უმრავლესობა. მიუხედავად იმი-

სა, თუ რა სახის საცეკვაო მუსიკას უკრავდა ორკესტრი დროშებით დამშვენებულ ესტრადაზე, მენდი მთელი საღამოს განმავლობაში ქარივით დაქროდა და მღეროდა: „შოტლანდია, შოტლანდია, რამ გაგიქვავა თავი? კლდეებმა“. როგორც თავად აცხადებდა ბედნიერი გამომეტყველებით, ამას „სრულიად უფასოდ“ და ისეთივე გატაცებით მღეროდა, როგორც ლუის ჯორდანი და „ხუთი მედოლე“ - იმ ფირფიტაზე, ჩვენ რომ გვასმენინებდა ხოლმე. ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც „მამაცებს“ გარკვეული მიზნით („შვილი კარტის“ სათამაშოდ, როდესაც უმაღლესი ფსონი ერთი დოლარი იყო, ან იმ პორნოგრაფიული სურათების ასმეერთედ დასათვალისწინებლად, რომლებზეც ასახული იყო დაულალავი ტილი ტოილერი, ან, იშვიათად, ჯგუფური მასტურბაციისთვის) თავისთან გვპატიჟებდა. მის ულაზათო საწოლ ოთახში ვიკრიბებოდით, როდესაც ოჯახის სხვა წევრები შინ არ იმყოფებოდნენ.

და აი, როგორია მენდი 1995 წელს. ადრე ეს უიკვიკელი ბიჭი შესანიშნავად ახერხებდა ყოფილიყო კარგად აღზრდილი ბავშვის სრული ანტიპოდი და მერყეობდა ოდნავ გამომწვევ ქარაფშუტობასა და გაბედულ დევიანტურობას შორის, რაც ჩვენს შურს იწვევდა. ხან მომხიბვლელი იყო და ხან - თავხედი. ელეგანტური, ვულგარული, ახირებული მენდი გარლიკი ჩემ წინ იდგა. ის არ მოხვედრილა არც ციხეში (სადაც, ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა მოხვედრილიყო - ასე ვფიქრობდი, როდესაც ოთხ-ხუთ შარვალჩახდილ „მამაცს“ გვაიძულებდა, წრიულად დავმსხდარიყავით მისი საწოლი ოთახის იატაკზე და გავჯიბრებოდით ერთმანეთს, ორდოლარიანი პრიზის მოგების მიზნით, პირველი ვინ „გაისვრიდა“), არც - ჯოჯოხეთში (სადაც, ჩემი მტკიცე რწმენით, აუცილებლად უნდა მოხვედრილიყო სიკვდილის შემდეგ, რომლის მიზეზიც ალბათ იქნებოდა „მარიხუანისგან გამომტერებული“ - რასაც უნდა ნიშნავდეს ეს - ფერადკანიანი ყმაწვილის დანა). ის გადამდგარი რესტორატორი იყო, მეპატრონე სამი რესტორნისა (სახელწოდებით „გარის გრილი“) ლონგ-აილენდის სააგარაკო დასახლებაში და იმყოფებოდა ისეთ საპატრიო ღონისძიებაზე, როგორიც იყო კურსდამთავრებულთა შეხვედრა სკოლის დამთავრებიდან ორმოცდახუთი წლისთავის აღსანიშნავად.

- სადარდებელი არაფერი გაქვს, მენდ. ისეთივე წარმოსადეგი ხარ. სულაც არ შეცვლილხარ. მშვენივრად გამოიყურები. დიდებულად.

მართლაც ასე იყო: გარუჯული, მაღალი, მოხდენილი, ვიწრო სახით. ნიანგის ტყავის შავი ფეხსაცმელი, შავი აბრეშუმის პერანგი და ქიშმი-რის მწვანე პიჯაკი ეცვა. მხოლოდ ხშირი, შევერცხლილი თმა გამოიყურებოდა საეჭვოდ, თითქოს ბუნებრივი არ იყო და წინა ცხოვრებაში სკუნსის ბეწვი გახლდათ.

- თავს ვუფრთხილდები, ეს ჩემი პრინციპია. მუტის დავურეკე...

მარტი (მუტი) შეფერი იყო საუკეთესო გვერდითი პიტჩერი „მამაც-თა“ გუნდისა, რომელშიც ჩვენ სამნი ვთამაშობდით სოფტბოლის ლიგის მოედანზე და, ჩვენი ბუკლეტის ბიოგრაფიული ცნობების თანახმად - ფინანსური კონსულტანტი, აგრეთვე (რა უცნაურიც უნდა იყოს, გოგონებთან ავადმყოფურად მორიდებული, ბავშვურსახიანი მუტის გახსენებისას, რომლის მთავარი გატაცებაც ავტომატში მონეტების ჩაყრა იყო) სამი შვილის (36, 34 და 31 წლისა) მამა და ორი შვილიშვილის (2 და 1 წლისა) ბაბუა.

- მუტის ვუთხარი, - განაგრძო მენდიმ, - რომ თუ გვერდით არ მომიჯდებოდა, არსად წავიდოდი. ბიზნესში ზოგჯერ ნამდვილ ბანდიტებთან მიხდებოდა ურთიერთობა. მათ კი მოვერიე, მაგრამ დღეს ამას ველარ შევძლებდი. ხტუნია, ორჯერ კი არა, სამჯერ შევაჩერე მანქანა და ტუალეტის გასაღები ვითხოვე.

- მერე რა მოხდა... წლების განმავლობაში გულმოდგინედ ვინილბე-ბოდით, ახლა კი უეცრად გამჭვირვალეები აღმოვჩნდით.

- შენი აზრით, ასეა?

- შესაძლოა. ვინ იცის.

- ოცი თანაკლასელი მოგვიკვდა, - მენდიმ მიმითითა სიაზე „16 მემორიამ“, რომელიც ბუკლეტის ბოლო გვერდზე იყო განთავსებული. - თერთმეტი ბიჭი მოკვდა, - ამოიოხრა მან, - ორი - „მამაცებიდან“. ბერტ ბერგმანი. უტი ორპენსტაინი. ორივე - პროსტატის კიბოსგან. და ორივე - ბოლო სამი წლის განმავლობაში. ახლა სისხლის ანალიზებს ვიკეთებ. ყოველ მეექვსე თვეს, მას შემდეგ, რაც უტის ამბავი გავიგე. ამოწმებინებ ხოლმე სისხლს?

- კი.

რა თქმა უნდა, ამას აღარ ვაკეთებდი, რადგან პროსტატა უკვე აღარ მქონდა.

- რა სიხშირით?

- წელიწადში ერთხელ.

- საკმარისი არაა, - მითხრა მან. - ყოველ ექვს თვეში უნდა შეამოწ-
მო.
- კარგი. ასე მოვიქცევი.
- ამ მხრივ ხომ ყველაფერი წესრიგში გაქვს? - მკითხა და მხრებზე
ხელები დამადო.
- არაფერი მაწუხებს.
- ჰეი, ნძრევა მე გასწავლე, გახსოვს?
- ჰო, მენდელ. ოთხმოცდაათი დღის, ან, ყველაზე დიდი, ას ოცი
დღის შემდეგ დამოუკიდებლად ვისწავლიდი, მაგრამ შენ პირველმა წა-
მანალისე.
- ის კაცი ვარ, - თქვა მენდიმ და ხმამაღლა გადაიხარხარა, - ვინც
ხტუნია ცუკერმანს ნძრევა ასწავლა. ეს ჩემი დამსახურებაა.
- ერთმანეთს გადავეხვიეთ - მელოტი პირველი ბეისმენი და ჭალა-
რათმიანი მარცხენა ფლანგის მოთამაშე „მამაცების“ გამეჩხრებულ
სპორტული კლუბიდან. მკერდი, რომელსაც შევეხე, მოწმობდა, რომ ის
თავს მართლაც კარგად უვლიდა.
- ახლაც მზად ვარ ამისთვის, - თქვა მენდელმა სიხარულით, - ორ-
მოცდაათი წლის შემდეგ. ეს რეკორდია „მამაცთა“ შორის.
- ასეთი თავდაჯერებული ნუ ხარ. შეიძლება მუტიმ გაჯობოს.
- შევიტყვე, რომ გულის შეტევა გქონია, - მითხრა მან.
- მხოლოდ შუნტირება გამიკეთეს. რამდენიმე წლის წინ.
- შუნტირება საზიზღრობაა. მგონი, მილს ყელში გჩრიან.
- კი, ასე აკეთებენ.
- ჩემი ცოლისძმა ვნახე ასეთ მდგომარეობაში. ესლა მაკლია! - თქვა
მენდელმა. - იცი, საშინლად არ მინდოდა აქ მოსვლა, მაგრამ მუტი მი-
რეკავდა და მეკითხებოდა: „სამუდამოდ სიცოცხლეს ხომ არ აპირებ?“
მე კი ვპასუხობდი: „ვიცოცხლებ, მუტი. უნდა ვიცოცხლო!“ მერე ნების-
ყოფა არ მეყო და წამოვედი. პირველი, რაც დავინახე, აი, ეს ნეკრო-
ლოგი იყო ბუკლეტში.
- როდესაც მენდი დასაღევად და მუტის მოსაძებნად წავიდა, მისი
გვარი ვიპოვე ბუკლეტში: „ყოფილი რესტორატორი. შვილები - 36, 33,
28 წლისა, შვილიშვილები - 14. 12, 9, 5, 5, 3 წლისა“. გამიკვირდა: ნუთუ
მენდის ასე ეშინია სიკვდილის ექვსი შვილიშვილის გამო, რომელთაგან
ორი ტყუპია? ან იქნებ სხვა მიზეზი არსებობს? მაგალითად, ჯერ კიდევ

შენარჩუნებული ინტერესი ბოზებისადმი ან მოდური ტანსაცმლისადმი... უნდა მეკითხა მისთვის.

იმ სალამოს ბევრისთვის უნდა მეკითხა უამრავი რამ. ვნანობდი, რომ ასე არ მოვიქეცი. იმავდროულად, მესმოდა, რომ ნებისმიერი პასუხი კითხვაზე, რომელიც იწყებოდა სიტყვებით: „ისე რომ მომხდარიყო...“ ვერ განმარტავდა მიზეზს ჩემი აუხსნელი რწმენისა, რომ ფასადს მიღმა სწორედ ის იმალებოდა, რასაც მე განვჭვრეტდი. საკმარისი იყო, ერთ-ერთ გოგოს ეთქვა აპარატმომარჯვებული ფოტოგრაფისთვის: „გთხოვთ, ნაოჭები არ გამოაჩინოთ“, საკმარისი იყო, ყველასთან ერთად გამეცინა ამ მოსწრებულ ხუმრობაზე, რათა მეგრძნო, რომ ბედისწერა, ცივილიზებული სამყაროს ეს უძველესი საიდუმლო (და ჩვენი პირველი თხზულების თემა ბერძნული და რომაული მითოლოგიის შესწავლისას, რომელშიც დავწერე: „ბედისწერა - ესაა სამი ქალღმერთი, რომელთაც მოირებს უწოდებენ; კლოტო ართავს, ლაქესისი ზომავს სიგრძეს, ხოლო ატროპოსი ჭრის სიცოცხლის ძაფს“) სავსებით გასაგები რამ იყო. ამ დროს კი სრულიად აუხსნელად წარმომიდგა ყოფა - მაგალითად, ფოტოგრაფის წინ ვდგავარ მესამე რიგში, ერთი ხელი მარშალ გოლდსტაინის („შვილები - 39 და 37 წლისა; შვილიშვილები - 8 და 6 წლისა“) მხარზე მიდევს, ხოლო მეორე - სტენლი ვერნიკოფის („შვილები - 39 და 38 წლისა; შვილიშვილები - 5 და 2 წლისა, უმცროსი კი - 8 თვისა“) მხარზე.

ნიუ-იორკის კინოსკოლის ახალგაზრდა სტუდენტი და ფეხბურთის გუნდის მცველის, მილტონ ვასერბერგერის შვილიშვილი, ჯორდან ვასერი მილტონთან ერთად მოვიდა, რათა კურსდამთავრებულთა შეხვედრის შესახებ სასწავლო რეპორტაჟი მოემზადებინა. როდესაც დარბაზში დავდიოდით და მიმდინარე მოვლენებს ჩემთვის დამახასიათებელ ძველმოდურ ყაიდაზე ვიწერდი, დროდადრო ვაწყდებოდი ჯორდანს, რომელიც კამერით იღებდა ინტერვიუს შეხვედრის რომელიმე მონაწილესთან.

- ჩვენი სკოლა განსაკუთრებული იყო, - უთხრა მას სამოცდასამი წლის მერილინ კოპლიკმა. - შესანიშნავი ბავშვები, არაჩვეულებრივი მასწავლებლები. ყველაზე უარესი, რასაც ვაკეთებდით, საღებავების ღებვა იყო...

- საუკეთესო სკოლა იყო მთელ რაიონში, - თქვა სამოცდასამი წლის ჯორჯ კირშენბაუმმა. - საუკეთესო მასწავლებლები, საუკეთესო ბავ-

შვები...

- გულწრფელად რომ ვთქვა, - აღიარა სამოცდასამი წლის ლეონ გუტმანმა, - ასეთ ადამიანებს შორის აღარასოდეს მოვხვედრილვარ...

- სკოლა იმ დროს სხვაგვარი იყო, - აუწყა ჯორდანს სამოცდასამი წლის რონა ზიგლერმა და მომდევნო შეკითხვაზე სიცილით - სევდიანი სიცილით - უპასუხა: - ათას ცხრაას ორმოცდაათი? ასე მგონია, ჯორდან, თითქოს ეს გუშინ იყო.

- როდესაც მეკითხებიან, მართლაც ერთად ვსწავლობდით თუ არა, ყოველთვის ვყვები, რომ შენ დამიწერე თხზულება „სიმამაცის ალისფერი ნიშნის“ შესახებ უოლახისთვის... - მითხრა ვილაცამ.

- მე არ დამიწერია.

- შენ დაწერე.

- რა უნდა მცოდნოდა „სიმამაცის ალისფერი ნიშნის“ შესახებ? ეს წიგნი მხოლოდ კოლეჯში სწავლისას წავიკითხე.

- არა, თხზულება დამიწერე და საუკეთესო შეფასება მივიღე. ვადაზე ერთი კვირით გვიან ჩავაბარე, მაგრამ უოლახმა თქვა, ასეთი თხზულებისთვის ლოდინი ღირდაო.

ჩემი თანამოსაუბრე იყო ტანდაბალი სერიოზული კაცი, რომელსაც მოკლედ შეკრეჭილი თეთრი წვერი ჰქონდა, თვალის ქვეშ ამაზრზენი ნაიარევი ეტყობოდა და ორი სასმენი აპარატი ეკეთა. კურსდამთავრებულთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნებოდა, რომელთაც თავისი კვალი დააჩნია დრომ და კიდევ რაღაცამ - ზედმეტადაც კი. კოჭლობდა და როდესაც მელაპარაკებოდა, ხელჯოხს ეყრდნობოდა. მძიმედ სუნთქავდა. მაშინაც კი ვერ ვიცანი, როდესაც ექვსი დუიმის მანძილიდან შევათვალიერე. სახელი მის სამკერდე ნიშანზე ამოვიკითხე - აირა პოზნერი ერქვა. ვინ იყო აირა პოზნერი? და რატომ ვეცი პატივი მას, როდესაც შემეძლო, ასე არ მოვქცეულიყავი? ნუთუ თხზულება ისე დავწერე, რომ წიგნის წაკითხვისთვის თავი არ შემიწუხებია?

- მამაშენმა ჩემზე დიდი ზეგავლენა მოახდინა, - მითხრა აირამ.

- მართლა?

- იმ რამდენიმე წუთის განმავლობაში, რომლებიც მის გვერდით ვატარე, უფრო ბედნიერი ვიყავი, ვიდრე ოდესმე ვყოფილვარ მამაჩემის გვერდით.

- ამის შესახებ არაფერი ვიცი.

- საკუთარი მამა ჩემთვის თითქმის უცხო კაცი იყო.

- შემახსენე, ვინ იყო?

- ფულს იატაკების რეცხვით შოულობდა. მთელი ცხოვრების განმავლობაში იატაკებს რეცხავდა. მამაშენი ყოველთვის მოითხოვდა შენგან, რომ კარგად გესწავლა. მამაჩემი კი ფიქრობდა, რომ ფეხზე დამაყენებდა, თუ ფეხსაცმლის საწმენდ კომპლექტს მიყიდდა, გაზეთების კიოსკთან დამსვამდა და გამვლელ-გამომვლელის ფეხსაცმელს ოცდახუთ ცენტად გამაპრიალებინებდა. ასეთ მომავალს მიმზადებდა სკოლის დამთავრების შემდეგ, მაგის დედა ვატირე! მართლა ვიტანჯებოდი ოჯახში, ყეყეჩებს შორის, პირქუმ სახლში. შენ კი მამაშენი ყველაფრისგან გიცავდა, ნათან, და მგრძნობიარე ბიჭად გაიზარდე. მყავდა ძმა, რომელიც გონებრივად ჩამორჩენილთა თავშესაფარში უნდა მოგვეთავსებინა. შენ ეს არ იცოდი. არავინ იცოდა. ჩვენ მის სახელსაც კი არ ვახსენებდით. ელი ერქვა. ჩემზე ოთხი წლით უფროსი იყო. საშინელი მრისხანების შეტევები ჰქონდა და ხელებს მანამდე იკებინდა, სანამ არ დაისისხლიანებდა ხოლმე. კოიოტივით გაჰყვიროდა, სანამ მშობლები როგორღაც არ დააწყნარებდნენ. სკოლაში მკითხეს, მყავდა თუ არა და-ძმები და ვუპასუხე, არ მყავს-მეთქი. როდესაც კოლეჯში ვსწავლობდი, ჩემი მშობლები დათანხმდნენ, რომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მისთვის ლობოტომია გაეკეთებინათ. ოპერაციის შემდეგ კომაში ჩავარდა და მოკვდა. წარმოგიდგენია? ფეხსაცმელები უნდა გამეპრიალებინა მარკეტ-სტრიტზე, სასამართლოს შენობასთან! მამამ ასეთი რჩევა როგორ უნდა მისცეს შვილს?!

- ამის ნაცვლად რას მოკიდე ხელი?

- ფსიქოთერაპევტი ვარ. ამ გზას მამაშენის ზეგავლენით დავადექი. ის ხომ ექიმი იყო.

- არა. თეთრი ხალათი ეცვა ხოლმე, მაგრამ პედიკიურის ოსტატი იყო.

- როდესაც თქვენს სახლში მოვდიოდი, დედაშენი მაგიდაზე ხილით სავსე თასს დგამდა, მამაშენი კი მეკითხებოდა: „რას ფიქრობ ამის შესახებ, აირა?“ ატმები. ვაშლატამები. ქლიავები. ყურძნის მტევნები. ჩემს სახლში ვაშლიც არ მინახავს. დედაჩემი ოთხმოცდაჩვიდმეტი წლისაა. ახლახან მოხუცებულთა თავშესაფარში გავგზავნე. იქ მთელი დღე სავარძელში ზის და ტირის. მაგრამ არა მგონია, უფრო უარესად გრძნობდეს თავს, ვიდრე - მე, ბავშვობისას. მამაშენი ალბათ გარდაიცვალა.

- ჰო. მამაშენი?

- მამაჩემს ერთი სული ჰქონდა, მომკვდარიყო. უიღბლობამ სულიერად გატეხა.

მაინც ვერ ვიხსენებდი აირას და მისი ნაამბობიც არ მეცნაურებოდა. საერთოდ, როდესაც გარდასულ ამბებს ვიხსენებდი, ვხვდებოდი, რომ ბევრის გახსენება არ შემეძლო. ისინი თითქოს არასოდეს მომხდარა, რამდენიც უნდა ემტკიცებინათ საპირისპირო აირა პოზნერის ორეულებს. ჩემთვის ყველაზე დამაჯერებელი იქნებოდა ვარაუდი, რომ როდესაც აირა ჩემს სახლში იმყოფებოდა და მამაჩემი მას რალაცას შთააგონებდა, მე დაბადებული არ ვიყავი. ვერ ვიხსენებდი მამაჩემის შეკითხვებს იმის შესახებ, თუ რას ფიქრობდა აირა, როდესაც ხილს ჭამდა. მაგრამ იმან, რაც სრულიად არ მახსოვდა, ფესვი გაიდგა აირას სულში და მისი ცხოვრება შეცვალა.

ჩემი და აირას შეხვედრის ამბავი სრულიად საკმარისია იმის მისახვედრად, თუ რატომ გვჯერა, რომ მხოლოდ სხვები ცდებიან ხოლმე. ჩვენ ხომ არა მარტო უმნიშვნელო, არამედ ძალზე მნიშვნელოვან ამბებსაც ვივიწყებთ - თითოეული ჩვენგანის მიერ დამახსოვრებული და დავიწყებული მოვლენები ისეთ ნაყმს წარმოქმნის, რომლის ლაბირინთისმაგვარი ხვეულებიც თითების ანაბეჭდებივით განუმეორებელია. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ რეალობის ნამსხვრევებს ერთი ადამიანი უფრთხილდება, როგორც ჭეშმარიტ ბიოგრაფიას, ხოლო სხვა, რომელთან ერთად მას არაერთხელ უსაძილია ერთ მაგიდასთან, მათ ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნევს. საბოლოოდ კი აგზავნი ორმოცდაათ დოლარს, რაც აუცილებელია სკოლის დამთავრების ორმოცდახუთი წლის აღსანიშნავ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის, მაგრამ არა იმისთვის, რომ მოხვიდე და განაცხადო, ჩემს თანაკლასელს ყველაფერი ისე არ ახსოვს, როგორც სინამდვილეში იყო. მთავარი, რის გამოც ამ შეხვედრაში მონაწილეობ, ესაა: შენ მიერ განცდილი უდიდესი სიამოვნება უკავშირდება იმ ფაქტს, რომ შენი სახელი ჯერ კიდევ არაა მოხსენიებული 16 მემორიამ-ში დასახელებულ პირთა სიაში.

- როდის გარდაიცვალა მამაშენი? - მკითხა აირამ.

- სამოცდაცხრაში. დიდი ხანია. ოცდაექვსი წლის წინ.

- ვისთვის გავიდა დიდი ხანი? მისთვის? არა მგონია, - თქვა აირამ. - მიცვალებულებისთვის ეს ზღვაში წვეთია.

იმავე წუთს მომესმა, რომ მენდი გარლიკი ეკითხებოდა ვილაცას, ვინც ჩემს ზურგსუკან იდგა:

- მისმინე, ვისზე ანძრევდი?

- ლორენზე, - უპასუხა მეორე მამაკაცმა.

- რა თქმა უნდა. მაგაზე ყველას უდგებოდა. მეც მიდგებოდა. კიდეც ვისზე? - ჰკითხა მენდომ.

- დაიანაზე.

- სწორია. დაიანაზე. ნამდვილად. კიდეც?

- სელმაზე.

- სელმაზე? ვერასოდეს წარმოვიდგენდი, - თქვა მენდომ. - საოცარია. არასოდეს მდომებია სელმასთან სექსი. ძალიან დაბალია. მე კი ყოველთვის მაღალი და მოქნილი გოგოები მომწონდა. გაკვეთილების შემდეგ ვუყურებდი, როგორ ვარჯიშობდნენ მოედანზე, მერე შინისკენ მიდიოდნენ ტრაკის ქნევით. და კიდეც - პუდრი, კაკაოსფერი პუდრი. ფეხებზე. მაგიჟებდა... შეამჩნიე? ბიჭებს ჯერ კიდეც არა უშავთ, უმეტესობა ჯერ კიდეც გამოდგება საქმეში, ქალები კი... ორმოცდახუთი წლისთავის აღსანიშნავ შეხვედრაზე ლამაზ ტრაკს თვალს ვერ მოჰკრავ.

- მართალი ხარ, მართალი, - მისი თანამოსაუბრე წყნარად საუბრობდა და, როგორც ჩანს, მენდისგან განსხვავებით, წარსულის ნოსტალგიისგან არ იტანჯებოდა. - დრო ულმოებელია ქალების მიმართ.

- იცი, ვინ გარდაიცვალნენ? ბერტი და უტი, - თქვა მენდომ. - პროსტატის კიბოთი. მეტასტაზები ხერხემალზე გადაუვიდათ. მთელ სხეულზე მოედოთ. ორივეს. მადლობა ღმერთს, ტესტირებას ვიტარებ ხოლმე. შენ იტარებ ტესტირებას?

- რა ტესტირებას? - ჰკითხა მეორე მამაკაცმა.

- როგორ, არ იცი? ხტუნია! - მენდი შემობრუნდა და აირასგან გამათრია, - წარმოვიდგენია, მაიზნერი ტესტირებას არ იტარებს!

მაიზნერი ახლა უკვე მისტერ მაიზნერი იყო, ეიბ მაიზნერი. ტანდაბალი, შავგვრემანი, ჩაფსკვნილი კაცი. დამრეცი მხრები და დიდი თავი ჰქონდა. მას ეკუთვნოდა ქიმწმენდის სალონი სახელწოდებით „იდეალური წმენდა ხუთ საათში“, რომელიც მდებარეობდა ჩენსელორ-ავენიუზე, ფეხსაცმლის სახელოსნოს (სადაც ყოველთვის გაისმოდა იტალიური მუსიკა, ტრიალა კარის მიღმა მჯდარი რალოფი კი ქუსლებს აჭედებდა) და როლინის სილამაზის სალონს შორის (საიდანაც დედა-

ჩემმა ერთხელ მოიტანა „სილვერ სკრინის“ ნომერი სტატიით „ჯორჯ რაფტი მარტოხელა“, რომელმაც დიდად განმაცვიფრა). მისის მაიზნერი ისეთივე ტანდაბალი და ჩაფსკვნილი იყო, როგორც - მისი ქმარი. მაიზნერთან ერთად მუშაობდა მაღაზიაში. ერთ წელიწადს ის დედაჩემთან ერთად ყიდდა სამხედრო სესხის ობლიგაციებსა და მარკებს კიოსკში, პირდაპირ ჩენსელორ-ავენიუზე. მათი შვილი, ალანი, სკოლაში ჩემთან ერთად სწავლობდა. ჯერ საბავშვო ბაღში დავდიოდით, შემდეგ ერთდროულად ვახტებოდით დაწყებითი სკოლის ერთსა და იმავე კლასებს. როდესაც სკოლას სადღესასწაულო სპექტაკლისთვის პიესა სჭირდებოდა, მე და ალან მაიზნერს მასწავლებელი ერთ-ერთ საკლასო ოთახში გვსვამდა და, თითქოს გამოჩენილი დრამატურგები - ჯორჯ კაუფმანი და მოს ჰარტი - ვყოფილიყავით, გვაგალებდა, რამე მოგვეფიქრებინა. ომის შემდეგ, ორი სეზონის განმავლობაში, მისტერ მაიზნერის ქიმწმენდამ უჩვეულო შეკვეთა მიიღო - „ნიუარკის დათვებს“ ემსახურებოდა, რომელიც მესამე იყო ა-ლიგის ამერიკულ გუნდებს შორის. ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს - ჩემთვის ეს დიდებული დღე იყო - ალანმა ჩამართო იმათ სიაში, ვისაც „დათვებთან“ უნდა მიეტანა ახალგაწმენდილი უნიფორმები უილსონ-ავენიუზე. სამი ავტობუსის გამოცვლა მომიხდა, რათა კლუბის შენობაში მოვხვედრილიყავი რუპერტის სტადიონზე.

- ღმერთო ჩემო, ალან, - ვუთხარი მას, - მამაშენის ასლი ხარ.

- აბა, სხვისი მამის ასლი ხომ არ ვიქნები, - მიპასუხა მან, სახეზე ხელისგულები მომიჭირა და მაკოცა.

- ალ, - უთხრა მენდიმ, - უამბე ხტუნიას, რა უთხრა შრიმერმა თავის ცოლს. შრიმერს ახალი ცოლი ჰყავს. ექვსი ფუტის სიმაღლისაა. სამი წლის წინ შრიმერს ფსიქოთერაპევტმა ჰკითხა: „რას გაიფიქრებთ, თუკი, ჩემი თხოვნით, თქვენი ცოლის სხეულს წარმოიდგენთ?“ „რომ კარგი იქნებოდა, საკუთარი თავისთვის ყელი გამომეჭრა“, - მიუგო შრიმმა. ამის შემდეგ ცოლს დასცილდა და თავისი მდივანი შეირთო. შიკსა. ექვსი ფუტის სიმაღლისაა. ოცდათხუთმეტი წლისა. გრძელი ფეხები აქვს. ალ, უთხარი ხტუნიას, რა იკითხა იმ ქალმა, იმ აყლაყუდამ...

- შრიმს ჰკითხა... - დაიწყო ალანმა (თან ვიცინოდით და ერთმანეთს ხელებს ვუტყაპუნებდით ჩამომხმარ ბიცეფსებზე), - შრიმს ჰკითხა: „რატომ ეძახიან აქ ყველას მუტის, უტის, დუტის და ტუტის? თუ კაცს ჩარლზი ჰქვია, რატომ უნდა უწოდო ტუტი?“ „აქ არ უნდა მომეყვანე, -

უპასუხა შრიმმა, - ვიცოდი, რომ ეს საჭირო არ იყო. ამას ვერ ავხსნი და ვერც ვერავინ ახსნის. ეს ახსნადი მოვლენების სფეროს სცილდება. ასეა, მორჩა და გათავდა“.

ვინ იყო ახლა ალანი? ქიმწმენდის მეპატრონის ვაჟი, რომელიც გაკვეთილების შემდეგ მამამისს ეხმარებოდა და სრულიად არ ეხერხებოდა ეს საქმიანობა, ახლა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე გახლდათ პასადენაში. მამამისის ქიმწმენდის სალონის კედელზე, საუთოო დანადგარის თავზე, ქალაქის მერის, მეიერ ელენსტაინის წარწერიანი ფოტოსურათის გვერდით, ფრანკლინ დელანო რუზველტის ფოტოგრაფიურა ეკიდა. ეს ფოტოსურათი გამახსენდა, როდესაც ალანმა მითხრა, ორჯერ შემეყვანეს რესპუბლიკური პარტიის დელეგაციის შემადგენლობაში პრეზიდენტის კანდიდატურის შემუშავებელ ყრილობაზე დასასწრებადო. როდესაც მენდიმ ჰკითხა, ხომ ვერ მიმოვი ბილეთებს „როუზ ბოულზეო“, ალან მაიზნერმა, რომელთან ერთადაც ბრუკლინში „დოჯერების“ ორ საკვირაო წვრთნას დავესწარი (იმ წელიწადს, როდესაც გუნდში რობინსონი შეიყვანეს); რომელთან ერთადაც დილის რვა საათზე ჩვენი სახლის მახლობლად ვჯდებოდი ავტობუსში და პენსილვანიის სადგურზე მივემგზავრებოდი, შემდეგ კი მეტროთი მთელი ნიუ-იორკის გავლით ბრუკლინში მივდიოდი და ამ ყველაფერს იმისთვის ვაკეთებდი, რომ ებეტსის სტადიონზე მივსულიყავით და სანამ ვარჯიში დაიწყებოდა, ჩანთიდან ამოღებული სენდვიჩები შეგვესანსლა; ალან მაიზნერმა, რომელსაც მაყურებლები სიგიჟემდე მიჰყავდა ბურთის თითოეული დარტყმისას ხმამაღალი კომენტარით - აი, სწორედ ამ ალან მაიზნერმა დაუდევრად ამოიღო პიჯაკის ჯიბიდან ბლოკნოტი და რაღაც ჩაინიშნა. თვალი მოვკარი, როგორ ჩაიწერა: „ბილეთ. რ. ბ.-ზე მენდი გ-სთვის“.

უმნიშვნელო რამაა? ამაზე ლაპარაკიც არ ღირს? არაფერი უჩვეულო არ მომხდარა? ამ კითხვების პასუხები დამოკიდებულია იმაზე, თუ სად გაიზარდეთ და ცხოვრების როგორი გზა განვლეთ. ვერ ვიტყვი, რომ ალან მაიზნერის წინსვლა ნულიდან დაიწყო, მაგრამ როდესაც ვიხსენებ პატარა პროვინციელს, რომელიც თავდავიწყებით ყვიროდა და უსტვენდა ებეტსის სტადიონზე, როდესაც ვიგონებ, როგორ ურიგებდა კლიენტებს გაწმენდილ ტანსაცმელს - ზამთარში, სადამოობით, თავშიშველი, დათოვლილ ქურთუკში... შეიძლება მევარაუდა, რომ

ის „როუზ ბოულის“ ხშირი სტუმარი კი არ იქნებოდა, არამედ უფრო მოკრძალებული ხვედრი ელოდა.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემწვარ წიწილას შტრუდელი და ყავა დაგაყოლეთ - ეს კი მთელი დღე გაგრძელდა, რადგან ერთ ადგილას დიდხანს ჯდომა გვიჭირდა; მას შემდეგ, რაც მეიპლელი ბავშვები ესტრადაზე ავიდნენ და სკოლის ჰიმნი იმღერეს; მას შემდეგ, რაც კურსდამთავრებულები მიკროფონთან ჩამწკრივდნენ, რათა ეთქვათ: „შესანიშნავი ცხოვრება გვქონდა“ და „ვამაყობ თქვენით“; მას შემდეგ, რაც ისინი ერთმანეთს სულ უფრო იშვიათად უტყაპუნებდნენ ხელებს მხრებზე; მას შემდეგ, რაც ათკაციანი საორგანიზაციო კომიტეტის ხელხელჩაკიდებული წევრები საცეკვაო მოედანზე დადგნენ, „ადამიანი-ორკესტრი“ კი უკრავდა ბობ ჰოუპის სიმღერას „გმადლობ, რომ გახსოვარ“, ხოლო ჩვენ ოვაციით გამოვხატეთ მადლიერება მათ მიერ ჩატარებული უზარმაზარი სამუშაოს გამო; მას შემდეგ, რაც მარვინ ლეიბმა (მისმა მამამ მამაჩემს „პონტიაკი“ მიჰყიდა და როდესაც მარვინს ვსტუმრობდით, ყოველთვის გვიმასპინძლებოდა დიდი სიგარებით) ალიმენტების გადახდასთან დაკავშირებული პრობლემის შესახებ მიაჩნო: „ეს ბიჭი იმდენ ფულს მართმევს, რომ აშკარად უფრო სხარტად აზროვნებს, ვიდრე მე - ჩემი ორივე ქორწინების დროს“; მას შემდეგ, რაც ჯულიუს პინკუსმა - ოდესღაც ყველაზე კეთილმა ბიჭმა ჩვენ შორის, რომელიც ახლა ვეღარ ასრულებდა ექიმი-ოკულისტის მოვალეობებს „ციკლოსპორინით“ (გადანერგილი ტრანსპლანტატის ხანგრძლივი ფუნქციონირებისთვის საჭირო მედიკამენტით) გამოწვეული ტრემორის გამო, სევდიანად მიაჩნო, როგორ გადაუნერგეს ახალი თირკმელი: „შარშან, ოქტომბერში, თოთხმეტი წლის გოგონას ტვინში სისხლი რომ არ ჩაჰქცეოდა, ახლა ცოცხალი არ ვიქნებოდი“; მას შემდეგ, რაც შრიმერის აყლაყუდა ახალგაზრდა ცოლმა მითხრა: „თქვენ შესანიშნავი მწერალი ხართ და იქნებ ამიხსნათ, რატომ ეძახიან მათ უტის, დუტის, მუტის და ტუტის?"; მას შემდეგ, რაც გავაოგნე კიდევ ერთი „მამაცი“ - შელი მინსკოვი იმით, რომ თავი დავუქნიე, როდესაც მკითხა, „მართალია თუ არა, რაც მიკროფონთან თქვი - რომ შვილები არა გყავს?"; და მას შემდეგ, რაც შელიმ თანაგრძნობით ჩამომართვა ხელი და ჩაილაპარაკა: „საწყალი ხტუნია“ - მხოლოდ ამ ყველაფრის შემდეგ შევამჩნიე, რომ ჩვენ შორის იმყოფებოდა დაგვიანებით მოსული ჯერი ლევოვი.

3

აზრადაც არ მომსვლია, რომ ის ჩვენ შორის მეძებნა. შვედისგან ვიცოდი, რომ ჯერი ფლორიდაში იმყოფებოდა. ყოველთვის ძალზე გულჩათხრობილი ბიჭი იყო, საკუთარი იდუმალი მიზნების გარდა არაფერი აინტერესებდა და ძნელად წარმოსადგენი იყო, რომ მოისურვებდა, ყოფილი თანაკლასელების „ბრძნული“ გამონათქვამები მოესმინა. მაგრამ როგორც კი შელი მინსკოვს დავემშვიდობე, ჯერი დავინახე - ჩემსავით ორბორტიანი ლურჯი პიჯაკი ეცვა, მკერდი ჩიტების გალიასავით გამოზნექოდა, მოტვლეპილ თავზე კი ჭალარა თმა ზოლებად გადმოეპარცხნა. უცნაური ფორმის სხეული ჰქონდა: მოუხეშავი ბიჭის ბრტყელი ტანი მძლავრ ტორსად ქცეულიყო, მაგრამ ეყრდნობოდა კვლავინდებურად გაკნაჭულ ფეხებს, რომელთა გამო სკოლაში დასცინოდნენ. ისეთივე თხელი და გალუნული ფეხები ჰქონდა, როგორც - ოლივ ოილს კომიქსში „პოპ-აი“. მისი სახე მყისვე მეცნო: სალამოობით, როდესაც პინგ-პონგს ვთამაშობდით, ჩემი სახე მისი მრისხანების სამიზნე იყო, პინგ-პონგის მაგიდის ზემოთ თავს გიჟივით აქნევდა, ალექსილ სახეზე კი აგრესია და მოწინააღმდეგის დამარცხების ყინი ემჩნეოდა. დიახ, სუსტფეხებიანი ჯერის სახის ნაკვთებს ვერასოდეს დავივიწყებდი - პატარა დაღმეჭილ სახეს, ნილაბს მზაკვარი მტაცებელი ნადირისა, რომელიც არ დაწყნარდება, სანამ სოროდან არ გამოგიტყუებს. თითქოს ამბობდა: „კომპრომისი არ მიხსენო! ჩემთვის კომპრომისი არ არსებობს!“ ახლა ამ სახეზე აღბეჭდილიყო შეუპოვრობა ადამიანისა, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ცდილობდა, მოწინააღმდეგის ხახაში ბურთი ჩაეჩარა. აშკარა იყო, რომ ხალხის პატივისცემის მოსაპოვებლად ჯერი სხვა ხერხებს იყენებდა და არა ისეთებს, როგორც - მისი ძმა.

- არ მეგონა, რომ აქ გნახავდი, - მითხრა ჯერიმ.
- მეც არ მეგონა.
- ეს სცენა არ გეპატარავება? - ჩაიციხა მან. - მეგონა, სენტიმენტალურობისგან გათავისუფლდი.
- სწორედ ეს გავიფიქრე შენზე.

- შენ ხომ თავს არიდებ ჭარბ ემოციებს. ცხოველივით ჯიუტად კი არ მიისწრაფვი საკუთარი სოროსკენ. ვერ იტან უმნიშვნელო განცდებს. დროს მხოლოდ იმას უთმობ, რაც აუცილებელია. ის, რასაც აქ მყოფნი „წარსულს“ უწოდებენ, წარსულის ნაწილის ნაწილიც კი არაა. ეს მხოლოდ წარსულის აჩრდილია. ვერაფერს დავიბრუნებთ, ვერაფერს. ეს ნოსტალგიაა! ეს აბსურდია!

რამდენიმე წინადადება, რომლებშიც ჯერიმ საკუთარი თვალსაზრისი ჩამოაყალიბა ჩემ შესახებ და, საერთოდ, ყველაფრის შესახებ, ადასტურებდა, რომ მას შეეძლო გამოეცვალა არა მარტო ოთხი, არამედ რვა, ათი, თექვსმეტი ცოლი. ნარცისიზმი შეხვედრაზე მოსულ ყველა ადამიანს ახასიათებდა, მაგრამ ეს სხვა მასშტაბის გრძნობა იყო. შესაძლოა, ჯერის ჩაფსკვნილ სხეულს რაღაც შემორჩენოდა კაფანდარა ბიჭისა, მაგრამ ხასიათში გაორება არ ემჩნეოდა - ეს ძლიერი პიროვნება მყარად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ყველა უნდა დამორჩილებოდა. როგორი ევოლუცია განიცადა: ახირებული ბიჭი ველურივით თავდაჯერებულ კაცად გარდაისახა; თავაწყვეტილი ყმაწვილური იმპულსები, როგორც ჩანს, ჰარმონიულად შეერწყა მძლავრ ინტელექტსა და ურყევ ნებისყოფას; ამის შედეგად ჩამოყალიბდა პიროვნება, რომელიც არა მარტო მითითებებს იძლეოდა და არასოდეს ეგუებოდა სხვის ბრძანებებს, არამედ, დარწმუნებული ბრძანებოდეთ, არასოდეს კარგავდა სულიერ წონასწორობას. ახლა უფრო ადვილად, ვიდრე ბავშვობისას, დაიჯერებდით, რომ თუ ჯერი რაიმეს - თუნდაც შეუძლებელს - მოინდომებდა, შთამბეჭდავ შედეგს მიაღწევდა. მივხვდი, რა მიზიდავდა ოდესღაც მასში ასე ძლიერად: ჩემი გატაცება აიხსნებოდა არა მარტო იმით, რომ ჯერი შვედის ძმა იყო, არამედ იმითაც, რომ შვედის ძმა ასეთი უჩვეულო გახლდათ - ჯერის ვაჟკაცობა უჩვეულო იყო საერთო ფონზე და სრულიად განსხვავდებოდა მისი სახელგანთქმული ძმის ვაჟკაცობისგან.

- რატომ ჩამოხვედი? - მკითხა ჯერიმ.

არაფერი მითქვამს არც შარშან განცდილ შიშზე კიბოს წინაშე და არც იმ გავლენაზე, რომელიც პროსტატაზე ჩატარებულმა ოპერაციამ მოახდინა ჩემს შარდსასქესო ფუნქციებზე. მხოლოდ ის ვუთხარი, რაც აუცილებელი იყო - შესაძლოა, არა მარტო ჩემთვის, არამედ თანამოსაუბრისთვისაც:

- იმიტომ, რომ სამოცდაორი წლისა ვარ. და ვიფიქრე, რომ სულელური ნოსტალგიის ყველა ფორმიდან ეს ყველაზე მეტ უსიამოვნო სიურპრიზს მიქადდა.

ესიამოვნა.

- მოგწონს უსიამოვნო სიურპრიზები?

- შესაძლოა. შენ რატომღა ჩამოხვედი?

- აქ საქმე მქონდა. შაბათ-კვირა აქ უნდა გამეტარებინა, ამიტომაც მოვედი, - ჯერიმ გამიღიმა და დასძინა: - ალბათ არავინ ელოდა, რომ ცნობილი მწერალი ასეთი ლაკონიური იქნებოდა. არა მგონია, რომ ასეთ თავმდაბლობას მოელოდა ვინმე.

როდესაც ვახშმის დასრულებისას წამყვანმა (ერვინ ლევინი, შვილები: 43, 41, 39 წლისა, შვილიშვილები: 9, 3 და 1 წლისა, უმცროსი კი - 6 კვირისა) მიკროფონთან მიმიხმო, მეგონა, რომ სწორად აღვიქვი შეხვედრის სულისკვეთება და ვთქვი: „მე ნათან ცუკერმანი ვარ. მე-4 კლასში მამასახლისი და სასკოლო მეჯლისის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი ვიყავი. შვილები და შვილიშვილები არ მყავს, მაგრამ ათი წლის წინ შუნტირების ოპერაცია გამიკეთეს, რითაც ვამაყობ. გმადლობთ ყურადღებისთვის“. აი, ასეთი ამბავი ვუამბე, სამედიცინო კომპონენტის ჩართვით - რაც საკმარისი იყო მათ გასართობად - და ჩემს ადგილას დავჯექი.

- რას ელოდებოდი? - ვკითხე ჯერის.

- ამას. ზუსტად ამას. თავმდაბლობას. რიგითი უიკვეიკელი კაცი ხარ. მეტი რა უნდათ?! ყოველთვის იმის საპირისპიროდ იქცევი, რასაც შენგან მოელიან. სკოლაშიც ასეთი იყავი. ყოველთვის იცოდი, როგორ მოქცეულიყავი, რომ შენთვის თავი დაენებებინათ.

- ჩემი აზრით, ეს შენ უფრო განასიათებს, ჯერ.

- არა, არა. მე რთული მეთოდით ვმოქმედებდი. ძალიან თავაშვებული ვიყავი. გიჟივით. თუკი რაიმე ჩემი ნება-სურვილის შესაბამისად არ ხდებოდა, ჭკუიდან ვიშლებოდი და ყვირილს ვიწყებდი. შენ კი უფრო ფართო თვალთახედვა გქონდა. ჩვენგან განსხვავებით, თეორეტიკოსი იყავი. უკვე იმხანად ცდილობდი, მოვლენებს შორის კავშირი მოგეძებნა, სიტუაცია შეგეფასებინა, დასკვნები გამოგეტანა. მკაცრად აკონტროლებდი საკუთარ თავს. არავითარი ახირება არ გჩვეოდა. გონიერი ბიჭი იყავი. არა, მე ასეთი სულაც არ ვარ.

- და ორივენი ვცდილობდით დაგვემტკიცებინა, რომ მართალი ვიყავით.
- ჰო, ვერ ვიტანდი, როდესაც ვცდებოდი, - თქვა ჯერიმ. - სრულიად ვერ ვიტანდი.
- ახლა უფრო გიადვილდება?
- ეს აღარ მაწუხებს. საოპერაციო ოთახი ისეთ ადამიანად გაქცევს, რომელიც არასოდეს ცდება. მწერლობას წააგავს.
- მწერლობა ისეთ ადამიანად გაქცევს, რომელიც ყოველთვის ცდება. და მხოლოდ იმიტომ არ წყვეტ მუშაობას, რომ გჯერა, ოდესმე არ შეცდები. რა უნდა ქნა? საბედნიეროდ, მწერლობა, ისევე, როგორც სხვა პათოლოგიები, ბოლომდე არ გირღვევს ცხოვრებას.
- როგორ ცხოვრობ? სად? წიგნის გარეკანზე წავიკითხე, რომ ინგლისში ცხოვრობ არისტოკრატი ქალთან ერთად.
- ამჟამად ახალ ინგლისში ვცხოვრობ არისტოკრატი ქალის გარეშე.
- ვისთან ერთად?
- არავისთან.
- არ მჯერა. ვისთან ერთად ვახშობ ხოლმე?
- არ ვვახშობ.
- ეს დროებითია. შუნტირებული ადამიანის სიბრძნე. ჩემი გამოცდილების საფუძველზე გეტყვი, რომ ეგრეთ წოდებული ფილოსოფიური სისტემების ვარგისიანობის დრო ორი კვირაა. ყველაფერი შეიცვლება.
- ასეთია ჩემი ცხოვრება. თითქმის არავის ვხვდები. დასავლეთ მასაჩუსეტსში ვცხოვრობ, მთავორიან ადგილას, პატარა სოფელში. ერთადერთი მალაზიის მეპატრონეს ველაპარაკები და კიდევ - ქალს საფოსტო განყოფილებაში. საფოსტო განყოფილების უფროსს. ესაა და ეს.
- რა ჰქვია სოფელს?
- მისი სახელი არ გეცოდინება. ტყეშია. ათი მილის დაშორებით ქალაქ ათენიდან, სადაც კოლეჯია. როდესაც დამწყები ლიტერატორი ვიყავი, იქ ცნობილ მწერალს შევხვდი. ახლა მას აღარავინ ახსენებს. თანამედროვე მკითხველთა თვალსაზრისით, მისი წარმოდგენა ზნეობრიობის შესახებ ძალზე შეზღუდულია, მაგრამ უწინ ამ კაცს პატივს სცემდნენ. განდეგილივით ცხოვრობდა. მე კი, ახალგაზრდას, განდეგილობა აუტანელი რამ მეგონა. ის ამტკიცებდა, რომ ამ გზით გადაწყვიტა თავისი პრობლემები. ახლა ამ გზით ვწყვეტ ჩემს პრობლემებს.
- რა პრობლემებია?

- ერთ-ერთი პრობლემა ისაა, რომ თითქმის ყველა პრობლემა თავიდან ავირიდე. ჩემი სოციალური ურთიერთობა იმით ამოიწურება, რომ მაღაზიაში „რედ სოქსის“ შესახებ ვსაუბრობ და ფოსტაში - ამინდის შესახებ. ვიმსახურებთ თუ არა ამა თუ იმ ამინდს... როდესაც წერილების წასაღებად მივდივარ და მზიანი ამინდია, საფოსტო განყოფილების გამგე მეუბნება: „ჩვენ არ ვიმსახურებთ ამ ამინდს“. რა უნდა ვუპასუხო?!

- ქალები?

- ქალები წარსულს ჩაბარდა. ვახშამზეც უარი ვთქვი და სექსზეც.

- სოკრატე ხარ? ვერ შეედრები. მხოლოდ და მხოლოდ მწერალი ხარ.

- მხოლოდ მწერალი რომ ვყოფილიყავი, ბევრ საზრუნავს ავიცილებდი თავიდან. საერთოდ, წერა საზიზღრობისგან თავის დახსნის საშუალებას გაძლევს.

- რა საზიზღრობისგან?

- ჩვენი წარმოდგენისგან ერთმანეთის შესახებ. გაუგებრობისგან. ჩვენი წარმოდგენისგან საკუთარი თავის შესახებ, რაც ასეთი გაზვიადებულია. არაადეკვატური. მაგრამ ასე ვაგრძელებთ და ამ წარმოდგენებით ვხელმძღვანელობთ. „ის კაცი ასეთია, ის ქალი ასეთია, მე ასეთი ვარ. აი, ეს მოხდა, ამიტომ მოხდა...“ გვეყო. აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი. იცი, ვის შევხვდი ორი თვის წინ? შენს ძმას. შეგატყობინა?

- არაფერი უთქვამს.

- წერილი მომწერა და სასადილოდ მიმიწვია ნიუ-იორკში. გულთბილი წერილი იყო, მოულოდნელი. შევხვდი. მამათქვენის შესახებ მოგონებებს წერდა. მთხოვა დავხმარებოდი. დავინტერესდი, რა ჰქონდა ჩაფიქრებული. დავინტერესდი, რატომ შემატყობინა, რომ რალაცის დაწერას აპირებდა. შენთვის ის უბრალოდ ძმაა, ჩემთვის კი - შვედი. ასეთ ადამიანებს თითქოს არასოდეს სცილდები. არ შემეძლო არ წავსულიყავი. მაგრამ სადილობისას ერთი სიტყვაც არ უთქვამს წარსულის შესახებ. მხოლოდ სასიამოვნოდ ვისაუბრეთ ვინსენტის რესტორანში. როგორც ყოველთვის, არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა.

- გარდაიცვალა.

- შენი ძმა გარდაიცვალა?

- ოთხშაბათს გარდაიცვალა. ორი დღის წინ დავკრძალებთ. პარასკევს. ამიტომაც აღმოვჩნდი ნიუ-ჯერსიში. ვნახე, როგორ მოკვდა ჩემი

ძმა.

- რისგან? როგორ?

- კიბოსგან.

- მას ხომ პროსტატის ოპერაცია გაუკეთეს. მითხრა, სიმსივნე ამო-
მაჭრესო.

ჯერი გაღიზიანდა:

- აბა, რა უნდა ეთქვა?!

- მხოლოდ და მხოლოდ გამხდარი მომეჩვენა.

- მხოლოდ ეს არ ყოფილა...

ესე იგი, შვედიც... ესე იგი, იმან, რამაც მენდი გარლიკი დააფრთხო და ცხოვრების შუა გზაზე მოცელა „მამაცები“; რამაც, ჩემდა საუბედუროდ, ერთი წლის წინ „მხოლოდ და მხოლოდ მწერლად“ გადამაქცია; რამაც მარტოობაში ჩამკეტა და ყველაფერი წამართვა, მათ შორის - საკუთარი თავიც, და დასუსტებულს, დამიტოვა ერთადერთი ურყევი მიზანი: მინდოდა თუ არა, ნუგეში მხოლოდ და მხოლოდ სიტყვებში მეძებნა, ამის შემდეგ ყველაზე საზარელი რამ ჩაიდინა - წაგვართვა ომისდროინდელი უიკვეიკის უძლეველი გმირი, ჩვენი რაიონის ავგაროზი, ლეგენდარული შვედი.

- იცოდა? - ვკითხე. - როდესაც შევხვდი, იცოდა, რომ განწირული იყო?

- გადარჩენის იმედი ჰქონდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, იცოდა. მეტასტაზები მოდებული ჰქონდა.

- რა ცუდი ამბავია!

- მომდევნო თვეში მისი თანაკლასელების ორმოცდამეათე შეხვედრა ჩატარდება. იცი, რა გვითხრა მე და თავის ვაჟებს სამშაბათს, სიკვდილამდე ერთი დღით ადრე, საავადმყოფოში? უმეტესად უგრძნობლად იყო, მაგრამ ორჯერ გაგვიმეორა, ისე, რომ გაგვეგო: „შეხვედრაზე წავალ“. თანაკლასელები განუწყვეტლივ მეკითხებოდნენ, შვედი ხომ მოვაო. მას კი არ სურდა, რომ მათი იმედები გაეცრუებინა. ნამდვილი ვაჟკაცი იყო. იუმორის გრძნობა არ ჰქონდა. არც ვნებები სტანჯავდა. მხოლოდ და მხოლოდ კარგი ადამიანი იყო, რომელიც გიჟებს შეეწირა. ერთი მხრივ, შეიძლება მიგეჩნია უბრალო, ჩვეულებრივ ადამიანად, რომელსაც ბოროტება არ შეჰხებია. ასე აღზარდეს. სიტყვაძუნწი იყო, არაფრით გამორჩეული. ცხოვრობდა ჩვეულებრივი, წესიერი ცხოვრებით, როგორითაც ყველა ცხოვრობს. ესაა და ეს. სოციალურ ნორმებს

იცავდა. კეთილი კაცი იყო. მაგრამ ცდილობდა, თავიც გადაერჩინა და თავისი გუნდიც - უვნებლად გასულიყო სამშვიდობოს, ისე, თითქოს ომში იმყოფებოდა. მისი ცხოვრება ხომ, არსებითად, ომი იყო. ასეთი კეთილშობილი ბუნება ჰქონდა. მთელი სიცოცხლის განმავლობაში იტანჯებოდა, რადგან ბევრ რამეზე უარის თქმა უხდებოდა. იმ ომში მოხვდა, რომელიც თვითონ არ წამოუწყია, და იბრძოდა იმისთვის, რომ ნგრევა თავიდან აეცილებინა. და დაილუბა. ჩვეულებრივად, ბანა-ლურად. შეიძლება ასე იყო, შეიძლება - არა. ზოგიერთის აზრით - არა. არ მინდა განვსაჯო. ჩემი ძმა საუკეთესო იყო იმათგან, ვინც კი დაბადებულია ამ ქვეყანაში. საუკეთესო იყო.

ის ლაპარაკობდა, მე კი ვფიქრობდი: ასეთად მიიჩნევდა ჯერი შვედს, როდესაც ძმა ცოცხალი ჰყავდა, თუ ეს გრძნობები მისი გარდაცვალების ზეგავლენით გაუჩნდა? შესაძლოა, ეს მკაცრი კაცი ნანობდა, რომ უწინ სათანადოდ არ აფასებდა თავის მომხიბვლელ, ჯანმრთელ, თავშეკავებულ, წყნარ, ნორმალურ უფროს ძმას, რომელსაც ყველა ეთაყვანებოდა - რაიონის კერძს, ნიმუშს. უმცროს ლევოს ხომ ყოველთვის ძმას ადარებდნენ და აიძულებდნენ, მისი ერთგვარი სუროგატი ყოფილიყო. იქნებ ჯერის შვედის შესახებ ეს თვალსაზრისი ჩამოუყალიბდა სულ ახლახან, რამდენიმე საათის წინ, სინანულის ზეგავლენით? როდესაც ვინმე კვდება, ქრება დაპირისპირებაც და ის, ვისაც სიცოცხლეში ზნედაცემულ ადამიანად მიიჩნევდით, ვისთან ერთად სუნთქვაც გიძნელდებოდათ, ახლა უკვე მიმზიდველი გეჩვენებათ. მისი ბევრი საქციელი, გუშინწინ რომ გაღიზიანებდათ, კატაფალკს ადევნებულ ლიმუზინში, მხოლოდ თანაგრძნობით აღსავსე ლიმილს კი არა, აღტაცებასაც იწვევს. ძნელად სათქმელია, რომელი შეფასებაა უფრო ადეკვატური: მკაცრი, რომელიც დასაშვებია ადამიანის დაკრძალვამდე და თანდათან ყალიბდება ყოველდღიური ცხოვრების ბატალიებში, თუ ის, რომელიც სევდით გვავსებს ოჯახურ ქელებზე. იმ კუბოს დანახვამ, რომელსაც საფლავში უშვებენ, შეიძლება უდიდესი ზეგავლენა მოახდინოს ადამიანის გრძნობებზე: უეცრად გრძნობთ, რომ არც ისე ცუდი აზრისა ხართ მიცვალებულის შესახებ. მაგრამ რა ხდება ჰეშმარიტების მაძიებელ სულში კუბოს დანახვისას? ამის შესახებ არაფერი ვიცი.

- მამაჩემი აუტანელი კაცი იყო, - განაგრძობდა ჯერი, - ძალაუფლებისმოყვარე. ყველა საქმე თვითონ უნდა მოეგვარებინა. წარმომიდგე-

ნია, როგორ უჭირდათ მასთან მუშაობა ადამიანებს. როდესაც ფაბრიკა სენტრალ-ავენიუზე გადავიდა, თავისი მაგიდა შემინულ კაბინეტში კი არ დადგა, არამედ - საამქროს შუაგულში, რათა ყველასთვის თვალყურის დევნება შეძლებოდა. საამქროში საშინელი ხმაური იყო: საკერავი მანქანები - გუგუნით, სამოქლონეები კაკუნით მუშაობდნენ. ასობით მანქანა ერთდროულად ხმაურობდა და ამ ყველაფრის ცენტრში იდგა მისი მაგიდა, ტელეფონი... იქვე იმყოფებოდა თვით მისი უდიდებულესობაც.

ხელთათმანების ფაბრიკის მეპატრონე იყო, მაგრამ საამქროში იატაკს ყოველთვის თვითონ გვიდა; განსაკუთრებით საგულდაგულოდ - ტყავის გამომჭრელ მანქანებთან - სურდა, ჩამონაჭრების ზომების მიხედვით განესაზღვრა, ვინმე ხომ არ აზარალებდა. მაშინ სეიმურს ვურჩიე, ამისთვის ყურადღება არ მიექცია, მაგრამ სეიმური მე როდი მგავდა. დიდსულოვანი, კეთილშობილური ბუნება ჰქონდა და იმ საზიზღრებმა მართლაც გაანადგურეს ჩემი ძმა. ხარბი მამა, ხარბი ცოლები და საძაგელი ქალიშვილი - მომხიბვლელი ურჩხული. ერთ დროს როგორი მტკიცე ადამიანი იყო სეიმური! „ნიუარკ-მეიდში“ აბსოლუტურ, ჭეშმარიტ წარმატებას მიაღწია. ადამიანებს იმდენად ხიბლავდა, რომ ისინი მუშაობისას ძალ-ღონეს არ იშურებდნენ. ძალიან მარჯვე საქმოსანი იყო. ოსტატურად კერავდა ხელთათმანებს, მარჯვედ დებდა ხელშეკრულებებს. მეშვიდე ავენიუზე დიზაინერები თავიანთ ჩანაფიქრებს უზიარებდნენ. ამიტომ ყველას წინ უსწრებდა. ნიუ-იორკში ყოველთვის შედიოდა კონკურენტთა მალაზიებში, აკვირდებოდა განსაკუთრებულ ნაწარმს, ათვალიერებდა ტყავს, ჰიმავდა ხელთათმანებს - ისე იქცეოდა, როგორც მამამ ასწავლა. უმთავრესად, თვითონ ყიდდა ხელთათმანებს. მსხვილი მოვაჭრეების შეკვეთებს პირადად აფორმებდა. მდიდარი კლიენტი ქალები სეიმურის გამო ჭკუას კარგავდნენ. წარმოგიდგენია? ნიუ-იორკში ჩამოდიოდა და მდიდარ ებრაელ ქალბატონებს რესტორანში პატიჟებდა ხოლმე - მყიდველებს, რომელთაც ადამიანის გამდიდრება ან გაკოტრება შეეძლოთ. ასმევდა, აჭმევდა და ისინიც მზად იყვნენ, მისთვის თავდაყირა დამდგარიყვნენ. და უკვე თვითონ კი არ ევლებოდა თავს ამ ქალებს, არამედ ისინი ელოლიავებოდნენ. საშობაოდ ჩემს ძმას თეატრის ბილეთებს უგზავნიდნენ ერთ ყუთვისკისთან ერთად. ასეთი ადამიანების ნდობას, უბრალოდ, იმით იმსახურებდა, რომ თავის ჭეშმარიტ ბუნებას ამჟღავნებდა. იგებდა, რომელ

საქველმოქმედო ორგანიზაციასთან თანამშრომლობდა კლიენტი, შოულობდა ბილეთს ამ ფონდის ყოველწლიურ სადილზე დასასწრებად „უოლდორფ-ასტორიაში“, იქ სმოკინგში გამოწყობილი ცხადდებოდა და მსხვილ თანხას სწირავდა კიბოსა და კუნთების დისტროფიის მკურნალობის საქმეს, „გაერთიანებულ ებრაელთა ლიგას“ და ა. შ. და აი, „ნიუარკ-მეიდი“ შეკვეთას იღებდა. იცოდა ყველაფერი: რა ფერი იქნებოდა მოდაში მომავალ სეზონზე, დაგრძელდებოდა თუ დამოკლდებოდა ხელთათმანები. მიმზიდველი, საიმედო, შრომისმოყვარე კაცი იყო. სამოციან წლებში, ორიოდ უსიამოვნო გაფიცვის შემდეგ, ბიზნესში ვითარება დაიძაბა. შვედის მუშეებიც გავიდნენ პიკეტზე, მაგრამ როდესაც სეიმური მათთან ავტომანქანით მივიდა, ხელთათმანების მკერავმა ქალებმა ბოდში მოუხადეს იმის გამო, რომ ამ დროს სამუშაოზე არ იმყოფებოდნენ. ჩემი ძმის მიმართ ისინი უფრო ლოიალურები იყვნენ, ვიდრე პროფკავშირის მიმართ. ყველას უყვარდა ეს ღირსეული პიროვნება, რომელსაც შეეძლო მთელი ცხოვრება ეცხოვრა ისე, რომ დანაშაულის სულელური გრძნობა არ განეცადა. შეეძლო, ხელთათმანების ბიზნესის გარდა, არაფრით დაინტერესებულყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიცოცხლის ბოლომდე აწამებდა სირცხვილი, გაუბედაობა და გულისტკივილი. მოწიფულობის ასაკს ისე მიაღწია, რომ თავი არ აუტკივებია უსასრულო შეკითხვებით ცხოვრების საზრისის შესახებ; ცხოვრების საზრისს სხვა გზით სწვდებოდა. არა მგონია, მარტივი პიროვნება ყოფილიყო. ზოგიერთი ფიქრობდა, რომ ის მარტივი იყო, რადგან მთელი ცხოვრების განმავლობაში ასეთი კეთილი გახლდათ. მაგრამ სეიმური არასოდეს ყოფილა მარტივი. სრული სიმარტივე არც არსებობს. საქმე ისაა, რომ რთული საკითხების გააზრებისთვის გარკვეული დროა საჭირო. ცუდია, როდესაც მათზე ძალიან ადრე დაფიქრდები, მაგრამ კიდევ უფრო უარესია, როდესაც ეს ძალიან გვიან ხდება. იმ ბომბმა სიცოცხლე დაუნგრია. აფეთქების ჭეშმარიტ მსხვერპლად თვითონ იქცა.

- რომელმა ბომბმა?
- პატარა მერის საყვარელმა ბომბმა.
- რა არის „მერის საყვარელი ბომბი“?
- მერედით ლევოვი. სეიმურის ქალიშვილი. „რიმროკელი ტერორისტი“ სეიმურის ქალიშვილი იყო. სკოლის მოსწავლე, რომელმაც ფოსტა ააფეთქა და ექიმი იმსხვერპლა. ბავშვი, რომელიც ცდილობდა შეეჩერებინა ომი ვიეტნამში და ამ მიზნით მოკლა კაცი, დილის ხუთ საათზე

საფოსტო ყუთში წერილს რომ აგდებდა. ექიმი, რომელიც საავადმყოფოში მიდიოდა. საყვარელი ბავშვი, - ჯერის დამცინავი ხმა თითქოს ვერ იტევდა ზიზლსა და სიძულვილს. - საფოსტო განყოფილების აფეთქებით ის შინაომს უცხადებდა ლინდონ ჯონსონს. ქალაქი იმდენად პატარა იყო, რომ საფოსტო განყოფილება მალაზიაში განათავსეს - ეს, უბრალოდ, ფანჯარა და ორ რიგად ჩამწკრივებული ბოქლომებიანი ყუთები იყო დარბაზის სიღრმეში. მარკებს სარეცხ ფხვნილ „რინსოსთან“, მაშველ რგოლთან და ნათურასთან ერთად ყიდულობ - ეს ამერიკის ექსცენტრიკულობის გამოხატულებაა. სეიმური შეეგუა ამგვარ ამერიკას, მისი ქალიშვილი კი - არა. სეიმური ცდილობდა დაეცვა გოგონა რეალობისგან, გოგონამ კი ის რეალობაში დააბრუნა. ჩემს ძმას ეგონა, ოჯახს თავიდან ააცილებდა ცხოვრებისეულ პრობლემებს, თუ ოლდ-რიმროკში დაასახლებდა, გოგონამ კი ამ პრობლემების გულისგულში მოაქცია. დიახ, ბომბი ფოსტის ფანჯრის ქვემოთ დადო, და როდესაც ის აფეთქდა, მთელი მალაზიაც აფეთქდა. იმსხვერპლა ექიმი, რომელიც საფოსტო ყუთებთან შეჩერდა, რათა წერილი ჩაეგდო. ნახვამდის, ამერიკა! გამარჯობა, რეალური ცხოვრება!

- ეს როგორღაც გამომრჩა. არაფერი გამიგია.

- ყველაფერი ნმ წელს მოხდა, როდესაც ამგვარი ველური ქცევა ჩვენთვის ჯერ კიდევ უცხო იყო. ადამიანები სიგიჟის ზღვარზე აღმოჩნდნენ. ეს დემონსტრაციები! მართლაც რომ აიწყვიტეს. ხელისუფლება უძლური იყო. ახალგაზრდები გადაირივნენ. ყველას ეშინოდა მათი. უფროსებს გზა-კვალი აერიათ. ეს ცალკეული აქტი იყო? რევოლუცია რეალური საფრთხეა თუ თამაში? პოლიციელობანაა? ბავშვები ქვეყანას ატრიალებდნენ, უფროსები კი ჭკუიდან იშლებოდნენ. მაგრამ სეიმური მათ რიცხვს არ მიეკუთვნებოდა. თავისი გზა ჰქონდა. ესმოდა, რომ რაღაც ცუდი ხდებოდა, მაგრამ ჰომიმინის გზას არ დაადგა, რომელიც მისმა საყვარელმა ქალიშვილმა აირჩია. ლიბერალურად მოაზროვნე მამა იყო. ყოველდღიური ცხოვრების მეფე-ფილოსოფოსი. გონივრული აღზრდის ყველა თანამედროვე იდეა გაითავისა. ყველაფრის ნებას რთავდა, ყველაფერს პატიობდა და სწორედ ეს არ აპატია მისმა ქალიშვილმა. ადამიანები არ აღიარებენ, როგორ აღიზიანებთ სხვების შვილები, მაგრამ ამ შემთხვევაში პატარა მაიმუნი უბრალოდ გამაღიზიანებელი როდი იყო. ეს საზიზღარი, თვითკმაყოფილი არსება - ეს პატარა ჭინკა დაბადებიდანვე აუტანელი იყო. მისმინე, მეც მყავს შვილე-

ბი - ბევრი შვილი. ვიცი, როგორები არიან ისინი მოზარდობის ხანაში. უსაზღვროდ ეგოცენტრულები! მაგრამ ერთია, როდესაც სუქლები და თმას იზრდი, ან როკ-ენ-როლს უსმენ ბოლო ხმაზე, და სხვა საქმეა, როდესაც ზღვარს გადასცდები და ბომბს ისვრი. ასეთი დანაშაული არავის ეპატიება. იმ აფეთქების შემდეგ ჩემს ძმას ცხოვრება დაენგრა. ბომბმა მისი ცხოვრება ააფეთქა. მისი უშფოთველი არსებობა დამთავრდა. შვედის ქალიშვილსაც სწორედ ეს უნდოდა. ასე იძიეს შური მასზე ქალიშვილმა და ქალიშვილის მეგობრებმა. სეიმური ისე ამაყობდა თავისი ილბლიანობით, მათ კი სწორედ ამიტომ სძულდათ ის. ერთხელ, მადლიერების დღეს, მათთან შევიკრიბეთ: მისი სიდედრი, დოუნის უმცროსი ძმა დენი, დენის ცოლი, ყველა ლევოვი, ჩვენი შვილები. სეიმური ადგა, ჭიქა ასწია და თქვა: „მორწმუნე ადამიანი არა ვარ, მაგრამ როდესაც ჩვენს სუფრასთან სხედხართ, ასე მგონია, ციდან შუქი მელვრება თავზე“. ჰოდა, მათ მოინდომეს, ბოლო მოეღოთ შვედისთვის. ასეც მოიქცნენ: ბოლო მოუღეს. ბომბი თითქოს სასტუმრო ოთახში აუფეთქეს. საშინლად მოუღეს ბოლო. მას არასოდეს უკითხავს თავისი თავისთვის: „რატომ ვითარდება მოვლენები ასე და არა - სხვაგვარად?“ ან რატომ უნდა დაფიქრებულიყო ამაზე, როდესაც ცხოვრება აწყობილი ჰქონდა? რატომ ვითარდება მოვლენები ასე და არა - სხვაგვარად? ამ კითხვას პასუხი არა აქვს. მაგრამ იმ დღემდე ნეტარმა სეიმურმა ისიც კი არ იცოდა, რომ ასეთი კითხვა შეიძლება დაისვას.

ულაპარაკია თუ არა ჯერის ოდესმე ამდენი და ასე შთაგონებულად თავისი ძმის შესახებ? ვფიქრობ, მთელი არაადამიანური სიმტკიცე, რომელიც მის უცნაურ გონებაში იყო კონცენტრირებული, საშუალებას არ აძლევდა, ყურადღება გაეფანტა და ბევრ საკითხზე დაფიქრებულიყო. ჩვეულებრივ, ახლობლის სიკვდილი უფრო აძლიერებს საკუთარ თავზე კონცენტრაციას: „მე რა ბედი მეწევა? ნუთუ მეც მოვკვდები?“

- რამე გითხრა ამ საშინელების შესახებ?

- მხოლოდ ერთხელ, - მიპასუხა ჯერიმ. - სეიმური შეეგუა ამ ყველაფერს. როგორი ტვირთიც უნდა აგეკიდებინა მისთვის, იტანდა, - ჯერიმ მწარედ ჩაიციხა. - საწყალი. ასეთი ბედი ჰქონდა - სიმძიმე უნდა ეტარებინა და ნაგავი ექექა.

გამახსენდა, რომ მოედანზე შვედი, ბურთით ხელში, ყოველთვის მარჯვედ აღწევდა თავს მოწინააღმდეგეთა გუნდის მოთამაშეებს. როგორ მიყვარდა ის იმ შემოდგომის საღამოს, როდესაც ათი წლის ბიჭმა

თითქოს ფერისცვალება განვიცადე იმის გამო, რომ სხვებში გამომარჩია და სეიმურ ლევოვის ზღაპრულ ცხოვრებას მაზიარა. მაშინ წამიერად მომეჩვენა, რომ მეც მოწოდებული ვიყავი დიადი საქმეებისთვის და წინ ვერაფერი გადამელობებოდა, რადგან ჩვენი ღვთაების კეთილგანწყობის სხივი მხოლოდ მე დამეცა. „კალათბურთში ასეთი რამ არასოდეს მომხდარა, ხტუნია“. რა მომაჯადოებელი იყო მისი უმანკობა, რომელიც ჩემსას ეხმიანებოდა! როგორი მნიშვნელობა მომანიჭა! ეს იყო ყველაფერი, რაც შეიძლებოდა ენატრა ბიჭს 1943 წელს.

- არასოდეს ყრიდა ფარ-ხმალს. შეეძლო მკაცრი ყოფილიყო. გახსოვს, ჩვენ რომ ბავშვები ვიყავით, ის საზღვაო ქვეით ჯარში ჩაეწერა იაპონელებთან საომრად... არაჩვეულებრივად მამაცი მეზღვაური იყო. მხოლოდ ერთხელ გატყდა სულიერად - ჩვენთან, ფლორიდაში. უბრალოდ, თავი ვერ შეიკავა. ორი წლის წინ ჩამოვიდა ოჯახთან - ვაჟიშვილებთან და დიდებულ, ამპარტავან მეორე მისის ლევოვთან ერთად. რესტორანში წავედით კიბორჩხალების საჭმელად. თორმეტნი ვიყავით. ხმაური, ბავშვების მეტიჩრობა და სიცილი. სეიმურს უყვარდა ასეთი რამ: ყველანი ერთად ვართ, ყველაფერი შესანიშნავადაა. სწორედ ესაა ნამდვილი ცხოვრება. მაგრამ როდესაც ღვეზელი და ყავა მოიტანეს, ადგა და გავიდა. დიდხანს არ დაბრუნებულა. მის საძებრად წავედი. მანქანაში იჯდა. ტიროდა. თრთოდა. ასეთი არასოდეს მინახავს. ჩემი კაჟივით გაუტეხელი ძმა. მითხრა, ჩემი გოგონა მენატრებაო. ვკითხე, სად არის-მეთქი. ვიცოდი, რომ ყოველთვის იცოდა, სად იმყოფებოდა მერი. მის სანახავად მიდიოდა ხოლმე - მერი წლების განმავლობაში იმალებოდა. დარწმუნებული ვარ, ხშირად ნახულობდა. ასე მითხრა: „მოკვდა, ჯერი“. არ დაუჯერე: მეგონა, გზა-კვალის არევა უნდოდა. გავიფიქრე, ალბათ ახლახან შეხვდა-მეთქი. სადაც უნდა იმყოფებოდეს მერი, სეიმური ყველგან ნახულობს და კვლავინდებურად უყვარს ეს ავაზაკი - ეს მკვლელი, რომელიც ახლა ორმოცზე მეტისაა, ხოლო ისინი, ვინც მოკლა, სამუდამოდ მკვდრები არიან-მეთქი. მაგრამ შვედმა ხელები მომხვია და ისევ ატირდა, მე კი ვფიქრობდი: ნუთუ მართალია, რომ ოჯახის შემარცხვენელი ურჩხული მოკვდა? მაგრამ რატომ ტირის სეიმური, თუ მერი მოკვდა? ტვინის ნატამალი რომ ჰქონოდა, მიხვდებოდა, რომ ოჯახისთვის მძიმე ტვირთია ამგვარი ქალიშვილის ყოლა; ტვინის ნატამალი რომ ჰქონოდა, განრისხდებოდა თავის ქალიშვილზე და დიდი ხნის წინ მოიცილებდა თავიდან. ბოროტი გოგო,

რომელიც სულ უფრო მეტად იშლებოდა ჰკუიდან, კეთილშობილური ლოზუნგებით ნილბავდა თავის შეშლილობას. რატომ უნდა ეტირა მის გამო? არა, ეს არ მომეწონა. სეიმურს ვუთხარი: „ვერ გამიგია, მატყუებ თუ სიმართლეს ამბობ? მაგრამ თუ არ ტყუი - ესე იგი, თუ ის მართლა მოკვდა - ეს ყველაზე სასიამოვნო ამბავია, რაც კი ოდესმე გამიგონია. ჩემ გარდა, ამას არავინ გეტყვის. ყველა თანაგრძნობას გამოგიცხადებს. მაგრამ ჩვენ ერთად გავიზარდეთ. პირდაპირ გეტყვი: კარგია, რომ ის მოკვდა. შენთვისაა კარგი. შენი არაფერი გამოჰყვა. შენს ცხოვრებასთან არაფერი ჰქონდა საერთო. არც შენს და არც არავის ცხოვრებასთან. შენ საკუთარ მოედანზე თამაშობდი ბურთს. ის მოედანზე არ იმყოფებოდა, ახლომანლოც კი არ იყო. რას იზამ, ასეა. ბუნების შეცდომა, გადაგვარებული არსება იყო. გეყო მისი გლოვა. ეს ჭრილობა ოცდახუთი წლის განმავლობაში გტკიოდა. ოცდახუთი წელი სრულიად საკმარისია. სიგიჟის პირას ხარ. ასე თუ გააგრძელებ, ვერ გადარჩები. მოკვდა? ნულარ ფიქრობ მასზე. თორემ ის შენში ლპობას დაიწყებს და მოგკლავს“. ასე ვუთხარი. მეგონა გააფთრდებოდა და ტკივილი დაუამდებოდა, მაგრამ ის მხოლოდ ტიროდა. ტკივილი სულში ჩარჩა. ვუთხარი, რომ ეს მას სიცოცხლეს მოუსწრაფებდა და ასეც მოხდა.

ჯერიმ ასე თქვა და მისი ნათქვამი ახდა. ჯერის აზრით, შვედი მგრძნობიარე იყო, ანუ პასიური პიროვნება, რომელიც ყოველთვის ცდილობდა, მართებულად მოქცეულიყო; თავშეკავებული კაცი, რომელსაც არ შეეძლო განრისხებულიყო. ჯერის აზრით, რისხვის შეკავება, საბოლოოდ, მომაკვდინებელია, მაშინ, როცა აგრესია წმენდს და კურნავს სულს.

როგორც ჩანს, თვით ჯერის ჰქონდა რისხვის საგანგებო ნიჭი და კიდეც - უნარი, არ ეფიქრა წარსულზე, რაც მას საშუალებას აძლევდა, მერყეობის ან სინდისის ქენჯნის გარეშე ეცხოვრა, ეჭვი არ შეჰპარვოდა თავის სიმართლეში. ჩემი აზრით, საერთოდ არ ფიქრობდა წარსულზე. მოგონებებმა არავითარი კვალი არ დააჩნია. მისთვის წარსულზე ფიქრი სხვა არაფერი იყო, თუ არა სულელური ნოსტალგია. სისულელედ მიაჩნდა ისიც, რომ შვედი აფეთქებიდან ოცდახუთი წლის შემდეგ იგონებდა თავის ქალიშვილს - ისეთს, როგორც ბომბის აფეთქებამდე იყო; იგონებდა და უმწეოდ დასტიროდა ყველაფერს, რაც ამ აფეთქების შედეგად განადგურდა. ქალიშვილის მიმართ სამართლიანი რისხვა? რა თქმა უნდა, შვებას აგრძნობინებდა. უდავოა, რომ სამართლიანი რის-

ხვა ძალას მატებს ადამიანს. მაგრამ, ყველა გარემოების გათვალისწინებით, როგორ უნდა მოეთხოვა ძმისგან იმ საზღვრების გარღვევა, რომლებიც შვედს იმად აქცევდნენ, ვინც იყო? როგორც ჩანს, ადამიანები მთელი სიცოცხლის განმავლობაში მოელოდნენ მისგან ამ ნაბიჯის გადადგმას, რადგან ვარაუდობდნენ, რომ ლეგენდარული შვედისთვის არავითარი საზღვრები არ არსებობდა. რალაც ამგვარი მეც შემემთხვა რესტორანში: ყმაწვილურად ვოცნებობდი, კვლავ თაყვანი მეცა ღვთაებისთვის, მაგრამ ჩვეულებრივ მოკვდავს წავაწყდი. თუ ღვთაებად მიგიჩნევენ, სამწუხაროდ, თაყვანისმცემელთა ბრმა ილუზიებს უნდა შეეგუო.

- იცი, რა დაუძლეველი ლტოლვა ჰქონდა სეიმურს? - მკითხა ჯერიმ.
- დაუძლეველი ლტოლვა ჰქონდა მოვალეობის მიმართ. დაუძლეველი ლტოლვა პასუხისმგებლობის მიმართ. შეეძლო ყველგან ეთამაშა ბეისბოლი, მაგრამ უპსალას მიაშურა, რადგან მამაჩემს სურდა, მშობლიურ სახლთან ახლოს ყოფილიყო. „გიგანტები“ ორმაგ ანაზღაურებას სთავაზობდნენ, შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ვილი მეისტან ეთამაშა - ამის ნაცვლად კი სენტრალ-ავენიუზე, „ნიუარკ-მეიდში“ მუშაობა დაიწყო. თავდაპირველად მამაჩემმა სათრიმლავ საამქროში გაამწესა. ექვსი თვის განმავლობაში აიძულებდა ემუშავა მთრიმლავად ფრელინგისენ-ავენიუზე. კვირაში ექვსი დღე დილის ხუთ საათზე დგებოდა. წარმოგიდგენია სათრიმლავი საამქრო? ნამდვილი სანაგვეა. გახსოვს, როგორი სიმყრალე ეფინებოდა მთელ ჩვენს რაიონს და უიკ-ვეიკის პარკს ზაფხულობით, როდესაც აღმოსავლეთის ქარი ქროდა? მოკლედ, ხარივით ღონიერი სეიმური თავს ართმევს სათრიმლავ საამქროში მუშაობას, შემდეგ კი მამაჩემი ექვსი თვის განმავლობაში საკერავ მანქანასთან სვამს - ის ხმასაც არ იღებს. რომ მოენდომებინა, ნებისმიერი მზეთუნახავი წაჰყვებოდა ცოლად, მაგრამ ის მშვეყეენიიერი მის დუაირი შეირთო. ერთი გენახა ისინი. გასაგიჟებელი წყვილი იყო. როგორ უბრწყინავდათ სახეები, როდესაც უცხოეთიდან დაბრუნდნენ. ცოლი - ყოფილი კათოლიკე, ქმარი - ყოფილი ებრაელი. ერთად გაემგზავრნენ ოლდ-რიმროკში პატარა ანგელოზების გასამრავლებლად და ამის ნაცვლად ურჩხული გაუჩნდათ.

- რატომ არ მოგწონდა მის დუაირი?

- არ ეპიტნავებოდა არც ერთი სახლი, სადაც ცხოვრობდნენ. არ აკმაყოფილებდა თანხა, რომელიც ბანკში ჰქონდათ შენახული. შვედმა

მისთვის მსხვილი რქოსანი პირუტყვის ბიზნესი წამოიწყო. არაფერი გამოვიდა. წაიყვანა შვეიცარიაში, მსოფლიოს საუკეთესო კლინიკაში პლასტიკური ოპერაციის გასაკეთებლად. ჯერ ორმოცდაათი წლისაც არ იყო, მაგრამ ასე მოეპრიანა. ჟენევაში გაემგზავრნენ ქირურგთან, რომელიც პრინცესა გრეისს ემსახურებოდა. სჯობდა, შვედს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ბეისბოლი ეთამაშა. სჯობდა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ფენიქსელ ოფიციალტ გოგოებთან წოლილიყო და „მადჰენის“ გუნდის პირველ ბაზაში ეთამაშა. და კიდევ ეს წყეული გოგო! ენა ებმებოდა, გესმის? და ყველასთვის სამაგიერო რომ გადაეხადა თავისი ენაბლუობის გამო, ბომბი ააფეთქა. სეიმურს ექიმებთან დაჰყავდა - კლინიკებში, ფსიქიატრებთან. რაც კი შეეძლო, ყველაფერი იღონა. და რა მიიღო სანაცვლოდ? აფეთქება! რატომ სძულდა ამ გოგოს მამამისი? ეს შესანიშნავი მამა, ეს მართლაც შესანიშნავი მამა! ლამაზი, კეთილი, გულუხვი! მხოლოდ თავისი ოჯახით რომ სულდგმულობდა... რატომ სძულდა მამამისი? როგორ გაუჩნდა ახირებულ მამჩვენს ასეთი ბრწყინვალე შვილი, სეიმურს კი - ასეთი ურჩხული? გამაგებინეთ, როგორ მოხდა ეს? გენების განაწილების გამო? ამიტომ უნდა მიეტოვებინა სეიმურ ლევოვი და ჩე გევარასთან გაქცეულიყო? არა, არა! რამ მოუწამლა სული? რა ძალამ ამოაგდო ჩემი საწყალი ძმა ცხოვრების კალაპოტიდან და აიძულა, მთელი დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში გარედან დაკვირვებოდა საკუთარ ცხოვრებას? მთელი სიცოცხლის განმავლობაში ცდილობდა დაესამარებინა ეს საშინელება, მაგრამ განა შეეძლო? აბა, როგორ? როგორ უნდა გამკლავებოდა ბომბს ისეთი დიდსულოვანი, მგრძნობიარე, საყვარელი ბრიყვი, როგორიც ჩემი ძმა იყო? ერთ მშვენიერ დღეს ცხოვრებამ გადაქელა და ეს პროცესი აღარ შეჩერებულა.

ამაზე შევჩერდით. ჯერის მეტი არაფერი უთქვამს - დანარჩენს თვითონ უნდა მივმხვდარიყავი. ჭალარათმიანი, ყავისფერკაბიანი, დაბალი ქალი მოგვიახლოვდა და ჯერიმ, რომელსაც არ შეეძლო ხუთ წამზე მეტხანს აეტანა, თუ ყურადღებას სხვას დაუთმობდი, ხელი დამიქნია და გაუჩინარდა. როდესაც მოგვიანებით მოვინდომე მომექებნა, მითხრეს, უკვე წავიდაო - მაიამის რეისზე ეჩქარებოდა.

მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში მისი ძმის შესახებ ვწერდი და ვფიქრობდი ექვსი, რვა, ზოგჯერ ათი საათის განმავლობაში. ჩემი მარტოობა მისას შევაჯერე. ვცდილობდი ჩავწვდომოდი ამ პიროვ-

ნებას, რომელიც სულაც არ მგავდა. ჩავიძირე მის შინაგან სამყაროში. დღედაღამ ვცდილობდი ამომეცნო ეს გარეგნულად მარტივი, მიაბიტი და სადა ადამიანი. ვაანალიზებდი მის მარცხს, თანდათან ვქმნიდი მისგან ყველაზე მნიშვნელოვან პიროვნებას ჩემს ცხოვრებაში, და როდესაც უკვე შევცვალე სახელები და შევნიღბე ყველაზე დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, ახალბედა მოყვარულის მსგავსად მომიჩნდა, ჯერისთვის ხელნაწერის ასლი გამეგზავნა და გამეგო, რას ფიქრობდა. ამ ცდუნებას გავუმკლავდი: მე ხომ დაახლოებით ორმოცი წლის განმავლობაში ვწერდი და ვაქვეყნებდი ჩემს ნაწერებს. ვიცოდი, რომ ჯერი მეტყოდა: „ეს არაა ჩემი ძმა. სულაც არ ჰგავს. ვერ გიცვნია შვედი. ჩემი ძმა სხვაგვარად ლაპარაკობდა და აზროვნებდა“... და ასე შემდეგ.

დიახ, ახლა ჯერის ალბათ დაუბრუნდებოდა ობიექტურად მსჯელობის უნარი, რომელიც ძმის დაკრძალვის შემდეგ დაკარგა, და მასთან ერთად დაუბრუნდებოდა ჩვეული შარიანობაც, რომლის გამოც საავადმყოფოს მთელ პერსონალს ეშინოდა მასთან შეკამათებისა - ჯერი ხომ არასოდეს ცდებოდა. იმასაც ვფიქრობ, რომ ჯერი ლევოვი, განსხვავებით ადამიანთა უმრავლესობისგან, რომელთაც ახლობლები მენატურებდნენ წარმოუდგენიან, კი არ აღშფოთდებოდა, არამედ გაიხარებდა იმით, რომ სეიმურის ტრაგედიის სათანადოდ გააზრება ვერ შეეძელი. კიდევ ერთხელ მოიწონებდა თავს საკუთარი გამჭრიახობით. ნამდვილად ასე მოხდებოდა: ჯერი ირონიული ღიმილით გადაფურცლავდა ჩემს ხელნაწერს და ერთიანად გააცამტვერებდა. „ცოლი ასეთი სულაც არაა, ქალიშვილიც სხვაგვარია. მამაჩემიც კი არაა ასეთი, რომ არაფერი ვთქვათ ჩემზე. მამაჩემი, ბიჭო, საერთოდ არ ჰგავს თავის თავს. ლუ ლევოვი ნამდვილი მხეცი იყო. შენ კი უნიათო ადამიანად დაგიხატავს. შენთან ის მიმზიდველია, დამთმობია. არადა, სრულიად სხვაგვარი იყო. მუდამ ხმალამოწვდილი. თუ განრისხდებოდა, უსიტყვოდ უნდა დავმორჩილებოდი, მორჩა და გათავდა. არა, ოდნავადაც არ ჰგავს... შენი აზრით, ჩემი ძმა გონიერია, მგრძნობიარე. შენი გმირი შეგნებულად რეაგირებს თავის დანაკარგზე. მაგრამ ჩემს ძმას აღქმასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა - ყველაფერს თავისებურად აღიქვამდა. ვერ გაგიგია, როგორ აზროვნებდა. ღმერთო, შენს ნაწერში მას საყვარელიც ჰყავს... ეს სრულიად წარმოუდგენელია. აბსოლუტურად. შენ, გამოჩენილმა მწერალმა, ასეთი სისულელე დაწერე?“

ამგვარი თვალსაზრისი რომ გამოეთქვა, ჯერის არ შევეკამათებოდი. მე, უბრალოდ, ნიუარკში გავემგზავრე და მიტოვებული ფაბრიკა „ნიუარკ-მეიდი“ მოვძებნე სენტრალ-ავენიუს ბოლოს, უშენ ადგილას. უიკვეიკის კვარტალში მივედი და თვალი შევაავლე მათ ძველ სახლსა და კერ-ავენიუს. მანქანიდან არ გადმოვსულვარ გარაჟთან, სადაც შვედი ზამთრობით სვინგს სრულყოფდა. კიბის საფეხურებზე მჯდარმა სამმა შავკანიანმა ბიჭმა შემათვალაიერა. ვუთხარი, აქ ადრე ჩემი მეგობარი ცხოვრობდა-მეთქი. როდესაც პასუხი ვერ მივიღე, დავძინე: „ორმოციან წლებში“. შემდეგ მანქანა დავძარი. მორისტაუნში გავემგზავრე მერის სკოლის სანახავად. არკადი-ჰილ-როუდზე ვიპოვე ქვის დიდი სახლი, რომელშიც ლევოვების ოჯახი ოდესღაც ცხოვრობდა. მერე ქალაქი გადავჭერი და ყავა დავლიე ძველი (ჰემლინის) მალაზიის ადგილას აშენებულ ახალ (მაკფერსონის) მალაზიაში, სადაც საფოსტო განყოფილება ააფეთქა ლევოვის ქალიშვილმა, რათა „ერვნებინა ამერიკისთვის, რა არის ომი“. მოვინახულე ქალაქი ელიზაბეთი, სადაც დაიბადა და გაიზარდა შვედის მშვენიერი ცოლი - დოუნი, მოვიარე ელმორის ლამაზი რაიონი; მივედი სენტ-ჯენევიევის ეკლესიაში, რომელშიც დოუნის ოჯახის წევრები დადიოდნენ, იქიდან კი გავემართე მდინარე ელიზაბეთის ძველი ნავსადგურის რაიონში, საიდანაც სამოციან წლებში კუბელმა ემიგრანტებმა და მათმა შთამომავლებმა საბოლოოდ გამოდევნეს ირლანდიელი ემიგრანტები და მათი შთამომავლები. იმის ენერჯიაც კი მეყო, რომ სილამაზის კონკურსის ორგანიზატორთა ოფისამდე მიმეღწია ნიუ-ჯერსიში და მომეძებნა პრიალა ფოტოსურათი 22 წლის მერი დოუნ დუაირისა, რომელსაც 1949 წლის მაისში „მის ნიუ-ჯერსის“ გვირგვინი დაადგეს. ვიპოვე მისი მეორე ფოტოსურათიც მორისის ოლქის ყოველკვირეულ ჟურნალში. თავაწეული დოუნი ბუნხართან იდგა. ქვედაკაბა, პიჯაკი და მალაღყელიანი სვიტერი ეცვა. ფოტოსურათის ქვემოთ ეწერა: „1949 წლის მის ნიუ-ჯერსის, აწ მისის ლევოვს, მოსწონს 170 წლის წინ აშენებული თავისი სახლი და მისი ავეჯი, რომელიც, მისივე თქმით, ლევოვების ოჯახის სულიერ ფასეულობებს ასახავს“. ნიუარკის ბიბლიოთეკაში დავათვალაიერე „ნიუარკ-ნიუსის“ (რომელმაც არსებობა 1972 წელს დაასრულა) სპორტული გვერდების მიკროფილმები, იმ სატურნირო ცხრილებისა და მატჩების ანგარიშების სანახავად, რომლებშიც შვედი ბრწყინვალედ თამაშობდა უიკვეიკის სკოლის (რომელიც 1995 წელს დაიხურა) და უპ-

სალის კოლეჯის (რომელიც 1995 წლიდან აღარ არსებობს) სახელით. გადავიკითხე (50 წლის შემდეგ) ჯონ ტიუნისის წიგნები ბეისბოლის შესახებ და ისიც კი ვიფიქრე, ხომ არ მეწოდებინა ჩემი წიგნისთვის „ბიჭი კერ-ავენიუდან“, ტიუნისის მოთხრობის კვალობაზე. ამ მოთხრობაში საუბარი იყო ტომკინსვილელი (კონექტიკუტის შტატი) ობოლი ბიჭის შესახებ, რომელიც უმაღლესი ლიგის მოთამაშე გახდა და ერთადერთი ნაკლი ჰქონდა: „მარჯვენა მხარს დაბლა სწევდა და ბურთს ძალზე მაღლა ისროდა“. ეს ნაკლი, სამწუხაროდ, საკმარისი იყო, რათა განრისხებულ ღმერთებს ბიჭი სიკვდილით დაესაჯათ. გარდა ამისა, ვცადე, კიდევ ბევრი რამ შემეტყო შვედისა და მისი შინაგანი სამყაროს შესახებ, მაგრამ მაინც მზად ვარ ვაღიარო, რომ ჩემი შვედი „ნამდვილი“ არაა. რა თქმა უნდა, მე მხოლოდ ნაკვალევს მივყვებოდი; რა თქმა უნდა, იმ ნიშან-თვისებებს, რომლებსაც მასში ჯერი ხედავდა, ჩემ მიერ დახატულ პორტრეტში ვერ ნახავთ - რადგან ისინი ვერ შევამჩნიე ან არაარსებითად ჩავთვალე; რა თქმა უნდა, ჩემი წიგნის ფურცლებზე შვედი ისეთი არაა, როგორც სიცოცხლეში იყო. მაგრამ განა სრულიად ფანტასტიკური არსება გამოვიგონე, რომელიც სულაც არ წააგავს უნიკალურ რეალურ ადამიანს? განა შვედის ჩემეული ხედვა უფრო ილუზორულია, ვიდრე ჯერის (რომელიც, რა თქმა უნდა, არ დამთანხმდებოდა, რომ მისი წარმოდგენა ილუზორული იყო) ცნობიერებაში ჩარჩენილი ხატი? განა ჩემ მიერ გაცოცხლებული შვედი და მისი ოჯახი ნაკლებად დამაჯერებელია, ვიდრე ის, ჯერის რომ ახსოვდა? ვინ იცის! ვის შეუძლია იცოდეს?! როცა შვედის გაუმჭვირვალე ფიგურას აშუქებ და ცდილობ ჩაწვდე მის მსგავს ჩვეულებრივ, ყველასთვის მიმზიდველ ადამიანებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად ინკოგნიტოდ ცხოვრობენ ჩვენ შორის, ძნელად სათქმელია, ვისი ვარაუდი უფრო მართებულია.

- არ გახსოვარ? - მკითხა ქალმა, რომლის გამოჩენამაც ჯერი გააქცია. მან გულლიად გამიღიმა და ხელები ხელებში ჩამჭიდა. მოკლედ თმაშეკრეჭილი, მოზრდილი, კუთხოვანი თავი რომის იმპერატორისას მიუგავდა. მართალია, შუბლი და ლოყები თითქოს გრაფიორის საჭრისით ჰქონდა დაღარული, მაგრამ ვარდისფერი ფერუმარლით დაფარულ კანზე მსხვილი ნაოჭები მხოლოდ ტუჩებთან ეტყობოდა. ექვსსაათიანი მეგობრული ხვევნა-კოცნის შემდეგ ამ ადგილას საცხი თითქმის მთლიანად გადასცლოდა. საერთოდ, ბავშვივით ნაზი სახე

ჰქონდა - ალბათ თავი აარიდა ყველა იმ განსაცდელს, რომლებიც ქალებს წილად ხვდებოდათ ხოლმე.

- არ შეხედო ჩემს სახელს ბარათზე. აბა, ვინ ვარ?

- თვითონ მითხარი.

- ჯოისი. ჯოის ჰელპერნი. ანგორის ვარდისფერი სვიტერი მეცვა. ჩემმა ბიძაშვილმა, ესტელმა მათხოვა. ესტელმა გაგვასწრო - გარდაიცვალა, ნათან. უკვე სამი წელია, მიწაში ასვენია. ჩემი მზეთუნახავი ბიძაშვილი! სიგარეტს ეწეოდა და უფროს ბიჭებს უნიშნავდა პაემანს. უფროს კლასებში სწავლისას ხვდებოდა ბიჭს, რომელიც წვერს დღეში ორჯერ იპარსავდა. ტანსაცმლის მაღაზია „გროსმანი“ ჩენსელორ-ავენიუზე მისი მშობლებისა იყო. დედაჩემი იქ მუშაობდა. შენ კი ერთხელ თივიან ურიკაზე შემსვი და ასე მარბენინე საკლასო შეჯიბრებისას. გინდ დაიჯერე, გინდ არა, ოდესღაც მართლაც ჯოი ჰელპერნი ვიყავი.

ჯოი - პატარა ცქვიტი წითურთმიანი გოგონა. დაჭორფლილი მრგვალი სახე ჰქონდა. მაცდუნებლად ჩამრგვალებული იყო, რაც ესპანური ენის მასწავლებელმა, ჩასუქებულმა, წითელცხვირა მისტერ როსკომ შენიშნა. იმ დღებში, როდესაც ჯოის სვიტერი ეცვა, გოგონას დაფასთან იძახებდა და აიძულებდა, გაკვეთილი მოეყოლა. მისტერ როსკო „ფუნთუშას“ ეძახდა. გასაოცარია, რა ხდებოდა მალულად იმ დროს, როდესაც დაფარული თითქოს არაფერი იყო.

იმ ასოციაციების წყალობით, რომელთაც არცთუ უსაფუძვლოდ იწვევდა სიტყვათა თამაში, ჯოისის ხატება მაწამებდა (არანაკლებ ვიდრე - მისტერ როსკოს) კიდევ დიდი ხნის შემდეგ იმ დღიდან, რაც უკანასკნელად ვიხილე ეს გოგონა, რომელიც ხტუნვა-ხტუნვით არბოდა ჩენსელორ-ავენიუზე, სკოლისაკენ. დიდი სასაცილო კალოშები ეცვა, რომლებიც, როგორც ჩანს, უფროსი ძმისგან ერგო, ისევე, როგორც ანგორის სვიტერი - ბიძაშვილისგან. და როდესაც ამა თუ იმ მიზეზით მახსენდებოდა ჯონ კიტსის ცნობილი სტრიქონები, მაშინვე ვიგონებდი ჩვენს მგზავრობას თივიანი ურიკით, აგრეთვე - ჯოისის ფაფუკი სხეულის სილბოსა და მოქნილობას, რომელიც ჩემმა ბიჭურმა რადარმა პალტოს სქელი ქსოვილის მიუხედავად შეიგრძნო. სტრიქონებია ლექსიდან „ოდა მელანქოლიას“: „...him whose strenuous tongue / Can burst Joy's grape against his palate fine“.

- მახსოვს ის თივიანი ურიკა, ჯოი ჰელპერნ. მაშინ ბევრი არაფერი გაიმეტე ჩემთვის.

- ახლა კი სპენსერ ტრეისის ვგავარ, - თქვა მან და გაიცინა. - ალარაფრის მეშინია, მაგრამ უკვე გვიანაა. მაშინ მორცხვი ვიყავი, ახლა აღარ ვარ. ოპ, ნათან, რა ცუდია სიბერე, - წამოიძახა და ჩვენ ერთმანეთს გადავხვით. - სიბერე, სიბერე. რა უცნაურია... გინდოდა, შიმველ ძუძუებზე მომფერებოდი.

- რას არ მივცემდი ამისთვის!

- ჰო, ნორჩი ძუძუები მქონდა.

- თოთხმეტი წლისა იყავი, ისინი კი ერთი წლისა თუ იქნებოდნენ.

- ეს გარდაუვალი განსხვავებაა ცამეტი წლის ასაკში. მაშინ ჩემს ძუძუებზე ცამეტი წლით უფროსი ვიყავი, ახლა კი ისინი არიან ჩემზე ცამეტი წლით უფროსი. მაგრამ ჩვენ ხომ ვკოცნიდით ერთმანეთს, საყვარელო?

- ძალიან ხშირად.

- საგანგებოდ ვივარჯიშე. მთელი დღე ვვარჯიშობდი.

- ვისზე?

- საკუთარ თითებზე. ნება უნდა მომეცა, რომ ლიფი გავეხადა ჩემთვის. იქნებ ახლა გინდა გამხადო?

- ვშიშობ, ახლა გამბედაობა არ მეყოფა, ქალს მთელი კლასის წინაშე ლიფი გავხადო.

- სამწუხაროა. მე თანახმა ვარ, ნათანს კი ეს აღარ შეუძლია.

ხელიხელგადახვეულები ვხუმრობდით და თან ვათვალთვლებდით ერთმანეთს - იმ გარეგნულ ფორმას, რომელიც ორმოცდაათი წლის შემდეგ მივიღეთ.

დიახ, უდიდესი ლტოლვა, რომელსაც ფიზიკურად განვიცდიდით ერთმანეთის მიმართ - და ამას მაშინ, თივიანი ურიკის ტარებისას მივხვდი - შესაძლოა, ყველაზე სერიოზული რამაა, რასაც კი ადამიანი ცხოვრების განმავლობაში განიცდის. სხეული, რომელსაც თავს ვერ დააღწევს, როგორც უნდა ეცადოს, და რომლისგანაც ვერ გათავისუფლდება, სანამ სიკვდილის გამოღმა მხარეს იმყოფება. ცოტათი ადრე, როდესაც აღან მაიზნერს ვუყურებდი, ვხედავდი მამამისს, ახლა კი ვხედავდი ჯოის დედას - ჩათქვირებულ მკერავ ქალს მუხლებამდე ჩამოჩაჩული წინდებით, გროსმანის ტანსაცმლის მაღაზიის უკანა ოთახში რომ იჯდა ხოლმე... მაგრამ კვლავ შვედზე ვფიქრობდი, შვედზე და

იმაზე, რომ მისი სხეული ტირანულად წარმართავდა მისსავე ცხოვრებას; ძლიერ, მომხიბვლელ, მარტოხელა შვედზე, რომელსაც ცხოვრებამ არ ასწავლა სისასტიკე; რომელსაც არ სურდა, მთელი ცხოვრების განმავლობაში მხოლოდ ლამაზი ყმაწვილი და ბეისბოლის ვარსკვლავი ყოფილიყო. იმის ნაცვლად, რომ დარჩენილიყო დიდ ბავშვად, რომელიც დარწმუნებულია, ეს უზარმაზარი სამყარო მხოლოდ ჩემი სიამოვნებისთვისაა შექმნილი, არჩია ყოფილიყო სერიოზული მამაკაცი, სხვების ინტერესებს საკუთარზე მალლა რომ აყენებს. შვედი ესწრაფვოდა უფრო მეტს, ვიდრე ფიზიკური სრულყოფილება. თითქოს ღვთის ამგვარი წყალობა საკმარისი არ იყო! იმისკენ მიიღტვოდა, რაც უზენაეს დანიშნულებად მიაჩნდა და, საუბედუროდ, მიაგნო კიდეც მას. ახალგაზრდების გმირის როლი მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაჰყვა. *Noblesse oblige*. თუ გმირი ხარ, შესაბამისად მოიქეცი, ეს ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყო. იყავი თავმდაბალი, თავდაჭერილი, ყურადღებიანი, გულისხმიერი. ასე დაიწყო ყველაფერი: გმირულიდეალისტური სწრაფვა, ეს უცნაური სტრატეგიული სურვილი, მოვალეობისა და ზნეობრიობის ბურჯი ყოფილიყო - ომისა და ომით გამოწვეული საშინელი დაბნეულობის გამო; იმის გამო, რომ აღგზნებულ საზოგადოებას, რომლის საყვარელი შვილებიც სადღაც შორს სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოდნენ, ასე ძალიან უყვარდა ეს მოზარდი - გამხდარი, დაკუნთული, მკაცრი ბიჭი, რომელსაც ყველას მონუსხვის უნარი ჰქონდა, ვინც და რაც უნდა აღმოჩენილიყო მის გვერდით. ეს ყველაფერი შვედისთვის აბსურდული შემთხვევითობით დაიწყო. განა ყველაფერი ასე არ იწყება?!

და სხვაგვარად დამთავრდა. ბომბით.

როდესაც ერთმანეთს ვინსენტის რესტორანში შევხვდით, ალბათ, იმიტომ მელაპარაკებოდა ამდენს ვაჟიშვილების წარმატებებზე, რომ ეგონა, ყველაფერი ვიცოდი აფეთქებისა და მისი ქალიშვილის, „რიმროკელი ტერორისტის“ შესახებ; ფიქრობდა, რომ ბევრი სხვა ადამიანის მსგავსად, ვკიცხავდი მას, მამას. განა შეიძლებოდა ვინმეს არაფერი არ სცოდნოდა ასეთი სენსაციური - შვედისთვის უეჭველად ყველაზე სენსაციური (ოცდაშვიდი წლის შემდეგაც კი) - მოვლენის შესახებ, ან დაევიწყებინა ის? ალბათ ამიტომაც იყო, რომ უსასრულოდ მიმეორებდა, რა წარმატებებს მიაღწიეს სხვადასხვა მშვიდობიან სარბიელზე კრისმა, სტივმა და კენტმა. შესაძლოა, პირველ რიგში, სწორედ

ამის შესახებ საუბარი სურდა. „უბედურება, რომელიც თავს დაატყდა მისთვის ძვირფას ადამიანებს“, რა თქმა უნდა, სეიმურის ქალიშვილი იყო. ამაზე სასაუბროდ მიმიწვია. ამის აღწერა სურდა და ჩემი დახმარების იმედი ჰქონდა. მე კი ვერ მივუხვდი: მე, რომელიც ამაყად მივიჩნევ თავს ბრძენკაცად, გაცილებით გულუბრყვილო აღმოვჩნდი, ვიდრე ჩემი თანამოსაუბრე. იქ, ვინსენტის რესტორანში, მდუმარედ ვადაწაშაულებდი შვედს უკიდურეს ზედაპირულობაში, ის კი მიყვებოდა ამბავს, რომელიც შუქს ჰფენდა მის ფარულ და შეუცნობელ შინაგან ცხოვრებას. ეს იყო ტრაგიკული, სულისშემძვრელი ამბავი, აღსარება სამუდამო განშორების წინ - მე კი სრულიად ვერ მივუხვდი.

მოგონებები მამის შესახებ მხოლოდ საბაბი იყო, არსებითად კი შვედს ქალიშვილზე საუბარი სურდა. ჰქონდა თუ არა ეს გაცნობიერებული? ჰქონდა. ყველაფერი ესმოდა - მე აქაც შევცდი. ზედაპირული პიროვნება სწორედ მე აღმოვჩნდი. იცოდა, რომ სიკვდილის პირას იყო და საშინელება, რომელიც შეემთხვა, რომლის დავიწყება და დაძლევა მრავალწლიანი მცდელობების შედეგად შეძლო, კვლავ გაცოცხლდა მის ცნობიერებაში და კიდევ უფრო შემზარავად ეჩვენა, ვიდრე - ოდესმე. დიდხანს ცდილობდა, ღრმად ჩაემარხა ეს ყველაფერი, მეორე ცოლი შეირთო, სამი შესანიშნავი ბიჭუნას მამა გახდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ 1985 წლის იმ საღამოს, როდესაც მას და პატარა კრისს სტადიონზე შევხვდი, ეს მტანჯველი განცდები უკვე დაძლეული ჰქონდა. შვედი წელში გაიმართა: მეორე ქორწინება, მეორე მცდელობა, ეცხოვრა გონივრულად აწყობილი, სათანადოდ დაცული ცხოვრებით. კიდევ ერთხელ ამოქმედდა ზოგადი წესები, რომლებიც განსაზღვრავს ყველაფერს, დიდსა თუ მცირეს, და, ამასთან, წარმოუდგენელი, უჩვეულო მოვლენებისგან დამცავ ბარიერს წარმოადგენს. მეორე მცდელობა, ყოფილიყო ჩვეულებრივი, ერთგული ქმარი და მამა, კვლავ დაედო დადგენილი ნორმებისა და კანონებისადმი - ოჯახური მოწყობის საფუძვლისადმი - ერთგულების ფიცი... მას უნარი შესწევდა, თავიდან აერიდებინა გაფანტულობა, ყოველივე უჩვეულო და საძრახისი - ის, რისი შეფასება და გაცნობიერებაც საძნელოა. მაგრამ თვით შვედმაც კი, რომელიც გაჩენილი იყო ჩვეულებრივი, ბანალური ცხოვრებისთვის, ვერ შეძლო (ჯერის მკაცრი რჩევების მიუხედავად), თავიდან ამოეგდო ფიქრები ამ გოგონაზე, გამოეჩინა სიმტკიცე და დაევიწყებინა მამის პასუხისმგებლობა, წრეს გადასული სიყვარული დაკარგული შვი-

ლისადმი, წარსული და, საერთოდ, შვილთან დაკავშირებული მთელი ეს ისტერია. ნეტავ შვილის ხატება სამუდამოდ განზავებულიყო არა-რაში. მაგრამ ეს თვით შვედსაც კი არ შეეძლო.

ეს იყო მწარე ცხოვრებისეული გაკვეთილი - შვედი მიხვდა, რომ ცხოვრება აზრსმოკლებული იყო. როდესაც ეს ხდება, ადამიანი სტიქიური ბედნიერების განცდის უნარს კარგავს. ბედნიერება მან უკვე ხელოვნურად უნდა შექმნას. ამის საზღაურია გაუცხოება საკუთარი თავისა და საკუთარი ისტორიისგან. მომნიბვლელი, კეთილშობილი ადამიანი, რომელიც უმტკივნეულოდ აგვარებდა კონფლიქტებს, თავდაჯერებული ყოფილი სპორტსმენი, რომელიც კეთილგონივრულად და მარჯვედ უმკლავდებოდა პატიოსან მოწინააღმდეგეს, უეცრად წააწყდა უპატიოსნო მტერს: ბოროტებას, რომელიც განუყოფელია ადამიანების საქმეებისგან - და ფარ-ხმალი დაყარა. ის, ვისი თანდაყოლილი კეთილშობილებაც ესოდენ ბუნებრივი იყო, ახლა იმდენად დატანჯული გახლდათ, რომ ბუნებრივ მთლიანობას ვეღარ იბრუნებდა. ვეღარასოდეს გაიხარებდა სიცოცხლით ისე, როგორც ტკბებოდა უწინდელი შვედი, რომელსაც ის, ახლანდელი, თავდაუზოგავად განასახიერებდა მეორე ცოლისა და სამი ვაჟიშვილის წინაშე, რათა მათთვის მაინც შეენარჩუნებინა შინაგანი მთლიანობა. სტოიკურად ებრძოდა შიშს. ნანგრევებზე გათამაშებული სპექტაკლი. შვედ ლევოვის გაორებული ცხოვრება.

სიკვდილი უახლოვდებოდა და იმან, რაც გაორებული ცხოვრების საშუალებას აძლევდა, ძალა დაკარგა. შიშის გრძნობა კი, რომელსაც ნახევრად, ორი მესამედით, ზოგჯერ კი ცხრა მეათედითაც სძლევდა, კვლავ გაუმძაფრდა, მიუხედავად იმისა, რომ მეორედ დაქორწინდა და შესანიშნავი ბიჭების მამა გახდა. კიბოთი დაავადებულს სიცოცხლის ბოლო თვეებში შიში კიდევ უფრო გაუძლიერდა. სულ უფრო მტანჯველი იყო ფიქრები პირველ შვილზე, რომელმაც ყველაფერი დაანგრია. ერთ უძილო ღამეს კი, როდესაც გაფანტული აზრების მოკრება გაუჭირდა, სევდით დაძაბუნებულმა გაიფიქრა: „ჩემი ძმის ერთ-ერთი თანაკლასელი მწერალია; იქნებ ვუამბო?..“ განა ეს უშველიდა? არაფერში არ იყო დარწმუნებული. „წერილს მივწერ. ვიცი, რომ მამებსა და ვაჟიშვილებზე წერს. მამაჩემის შესახებ მივწერ - იქნებ დაინტერესდეს? იქნებ წამოეგოს ამაზე?“ ამ ანკესით სურდა ჩემი დაჭერა. მე კი

იმიტომ ვუპასუხე, რომ ის შვედი იყო. სხვა ანკესი არ მჭირდებოდა. ის თვითონ იყო ანკესი.

ღიახ, ეს ისტორია უფრო მტკივნეული იყო, ვიდრე ადრე, და მან გაიფიქრა: „თუ პროფესიონალ მწერალს ვუამბობ...“ მაგრამ როდესაც შემხვდა, ღუმილი ამჯობინა. რაკი ჩემი ყურადღება იგრძნო, მოყოლის სურვილი გაუქრა. არც შემცდარა. ეს მე არ მეხებოდა. რას მიიღებდა ჩემგან? არაფერს. ვილაცასთან მიდიხარ და ფიქრობ, ვუამბობო, მაგრამ რისთვის? იმისთვის, რომ ტკივილი დაიამო? თავს საშინლად გრძნობ - ტკივილი დაგიამდა, მაგრამ თუკი ყველაფერი, რაც მოყევი, მართლაც ტრაგიკული და საშინელია, თავს უკეთ კი არა, უარესად იგრძნობ: აღსარება - სულის გაშიშვლება - მხოლოდ ამძაფრებს ტანჯვას. შვედი მიხვდა ამას. არც ისეთი მიაშიტი იყო, როგორც მეგონა. ადვილად წარმოიდგინა ყველაფერი. მიხვდა, რომ ჩემთან შეხვედრა არაფერს მისცემდა. ჩემთან წუწუნის არ სურდა - ჯერისგან განსხვავებით, მე მისი ძმა არ ვიყავი. გარეშე პირი გახლდით - აი, რას მიხვდა, როდესაც შევხვდით. ამიტომ, უბრალოდ, თავისი ვაჟიშვილების ამბავი მიაშობ და დამემშვიდობა. უთქმელი ისტორია სამარეში წაიღო. მე კი ეს ვერ შევამჩნიე. მან მე მიხმო და არა - სხვა ვინმე. კარგად იცოდა, რას აკეთებდა, მე კი ვერაფერს მივხვდი.

ახლა კრისი, სტივი, კენტი და მათი დედა, ალბათ, ოლდ-რიმროკში, თავიანთ სახლში იმყოფებიან. შესაძლოა, შვედის მოხუცებული დედაც - მისის ლევოვიც - იქაა. ალბათ, მალე ოთხმოცდაათს მიუკაკუნებს. ეს ოთხმოცდაათი წლის ქალი შვიდი დღის განმავლობაში იცავს „შივას“ წესს თავისი სათაყვანებელი სეიმურის გარდაცვალების გამო, ხოლო ქალიშვილი, მერედითი, მერი... დაკრძალვას არ დაესწრო. რა თქმა უნდა, ეშინია თავისი გარუმბული ბიძისა, რომელსაც სულის სიღრმემდე სძაგს ძმისშვილი და შურისძიების მიზნით შეიძლება გასცეს კიდევ ის. მაგრამ ახლა ჯერი აქ აღარაა. მერის შეუძლია გამოვიდეს თავშესაფრიდან და მგლოვიარეებს შეუერთდეს. შეუძლია გარეგნობა შეიცვალოს, ოლდ-რიმროკში ჩამოვიდეს და ნახევარძმებთან, დედინაცვალთან და ბებიასთან ერთად დაიტიროს მამა... თუმცა, არა. მერიც მკვდარია. თუკი შვედმა ჯერის სიმართლე უთხრა, მაშინ მისი დამალული ქალიშვილიც მკვდარია - შესაძლებელია, ფარულ თავშესაფარში მოკლეს, ან თავი მოიკლა. ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო - მაგრამ „ყველაფერი“ შვედს არ უნდა შემთხვეოდა.

უძლიერესი პიროვნების უღმობელი განადგურება. შვედ ლევოს წარმოუდგენელი რამ შეემთხვა - ის, რაც ტომკინსვილელ ბიჭს არ უნდა შემთხვეოდა. ბავშვობაშიც კი ვხვდებოდით, რომ მისი ცხოვრება იმდენად მარტივი არ იყო, როგორც გარეგნულად ჩანდა; რომ აქ მისტიკური ძალები იყო ჩარეული. მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ ცხოვრება ასე საზარლად დაენგრეოდა? ამერიკულ ქაოსში გაელვებული კომეტისგან მოწყვეტილმა ნაპერწკალმა ოლდ-რიმროკამდე მიაღწია და შვედი დაწვა. მისი დიდებული გარეგნობა, უდიდესი სასიცოცხლო ძალა, პატივი და დიდება, ჩვენი რწმენა იმისა, რომ გმირისთვის უცნობი იყო ყოველგვარი ორჭოფობა - ამ ყველაფერმა გარკვეულწილად განაპირობა პოლიტიკური მკვლელობა, რომლის გამოც შვედის ბედ-იღბალი მაგონებს არა ჯონ. რ. ტიუნისის მიერ აღწერილი თავგანწირული ტომკინსვილელი ბიჭის ბედს, არამედ კენედის ხვედრს. ჯონ ფ. კენედი მხოლოდ ათი წლით უფროსი იყო შვედზე, ფორტუნის ასეთივე ნებიერი, ამერიკის ასეთივე ბრწყინვალე განსახიერება გახლდათ. მისი მოღალატური მკვლელობა ხუთი წლით ადრე მოხდა იმ დღემდე, როდესაც შვედის ქალიშვილმა მრისხანე პროტესტი გამოხატა კენედი-ჯონსონის ომის წინააღმდეგ და მამამისის ცხოვრება გააცამტვერა. გავიფიქრე, რა თქმა უნდა, ის ჩვენი კენედი იყო-მეთქი.

ამასობაში ჯოი მიყვებოდა თავისი ცხოვრების შესახებ იმას, რაც არ ვიცოდი, როდესაც ბავშვობაში მიზანსწრაფულად ვეძებდი ჩვენს რაიონში „ყურძნის ტკაცუნა მარცვლებს“. მოგონებების მდულარე ქვაბში - სახელწოდებით „მეგობრების შეხვედრა“ - ჯოი ყრიდა იმ ფაქტებს, რომლებიც არავინ იცოდა და არც უნდა სცოდნოდა ჩვენი გულუბრყვილო საუბრების შორეულ ეპოქაში. მიაბზო, რომ მამამისი გულის შეტევით გარდაიცვალა, როდესაც თვითონ ცხრა წლისა იყო. მისი ოჯახი იმხანად ბრუკლინში ცხოვრობდა, მაგრამ მამის სიკვდილის შემდეგ დედა და ჰაროლდი, ჯოის უფროსი ძმა ნიუარკში გადასახლდნენ და გროსმანის ტანსაცმლის მაღაზიას შეაფარეს თავი. მაღაზიის სხვენში ცხოვრობდნენ. ჯოის დედამისთან ერთად ეძინა ორადგილიან საწოლში, რომელიც ერთადერთ ოთახში იდგა, ჰაროლდს კი სამზარეულოში, დივანზე ეძინა: ყოველ საღამოს შლიდა ლოგინს, დილას კი კეცავდა, რათა სკოლაში წასვლამდე საუზმობა შეძლებოდათ. მკითხვა, მახსოვდა თუ არა ჰაროლდი, რომელიც ახლა პენსიაზე გასული ფარმაცევტი იყო და სკოჩ-პლეინსში ცხოვრობდა. მითხრა, ერთი კვი-

რის წინ ეწვია ბრუკლინს მამის საფლავის მოსანახულებლადო. ბრუკლინში თვეში ერთხელ მივემგზავრები ხოლმეო, დასძინა - თითქოს თვითონვე უკვირდა, რაოდენ ძვირფასი იყო მისთვის ეს საფლავი.

- სასაფლაოზე რას აკეთებ? - ვკითხე.

- ყველაფერს ვუყვები. ეს ახლა უფრო მიაღვილდება, ვიდრე მაშინ, ათი წლის რომ ვიყავი. იმხანად მიკვირდა კიდეც, რომ სხვებს ორი მშობელი ჰყავდათ. ის, რომ სამნი ვიყავით, არ მეხამუშებოდა.

- ეს ყველაფერი არ ვიცოდი, - ვუთხარი მას. იმ სიმღერის რიტმს აყოლილნი ვირწეოდით, რომელსაც საკუთარი აკომპანემენტის თანხლებით ასრულებდა ჩვენი შეხვედრის დასასრულს „ადამიანი--ორკესტრი“: „იოცნებე, როდესაც სევდა მოგაწვება... ეს აუცილებელია... იოცნებე“.

- არ ვიცოდი ეს ყველაფერი, როდესაც... 1948 წლის ოქტომბერში თივის ასაკრეფად მივდიოდით.

- არც მინდოდა, რომ გცოდნოდა. ან ვინმეს სცოდნოდა. არავის არ უნდა შეეტყო, რომ ჰაროლდს სამზარეულოში ეძინა. აი, რატომ არ დაგრთე ნება, ჩემთვის ლიფი გაგეხადა. არ მინდოდა, ჩემი შეყვარებული ყოფილიყავი, ჩვენთან გევლო და გენახა, სად ეძინა ჩემს ძმას. ასე რომ, შენ არაფერ შუაში ხარ, საყვარელო.

- გამიხარდა, რომ საქმე ასე ყოფილა. ნეტავ ადრე მცოდნოდა.

- ჰო, დასანანია, - თქვა ჯოიმ და ჯერ გაიცინა, შემდეგ კი მოულოდნელად ატირდა - შესაძლოა, იმ წყეული სიმღერის გამო, რომლის თანხლებითაც ოდესღაც ნახევრად ბნელ სარდაფებში ვცეკვავდით. იმ დროს ჯო სტაფორდი ჯერ კიდევ მღეროდა „პაიდ პაიპერსში“ და მისი შესრულებით ეს სიმღერა სწორედ ისე ჟღერდა, როგორც საჭირო იყო: ჰარმონიულად, ორმოციან წლებში მოდაში შემოსული არათანაბარი რიტმით, რომელსაც ქსილოფონის ღვთაებრივი წკარუნი არღვევდა. შესაძლოა, ჯოი იმის გამო ტიროდა, ალან მაიზნერი რესპუბლიკელი რომ გახდა, მეორე ბეისმენმა, ბერტ ბერგმანმა კი წუთისოფელი მოჭამა; ან იმის გამო, რომ აირა პოზნერი ფეხსაცმელებს არ აპრიალებდა ესექსის სასამართლოს შესასვლელთან - თავი დააღწია „დოსტოევსკისებურ“ ოჯახს და ფსიქიატრი გახდა; ან იმის გამო, რომ ჯულიუს პინკუსი იმ წამლით გამოწვეული ტრემორით იტანჯებოდა, რომელიც მის ორგანიზმს საშუალებას აძლევდა შეგუებოდა თოთხმეტი წლის გოგონას თირკმელს და სააქაოში აკავებდა; ან იმის გამო, რომ მენდი გარ-

ლიკი ჯერ კიდევ სექსუალური პრობლემებით დაინტერესებული ჩვიდ-მეტი წლის ბიჭი იყო; ან იმის გამო, რომ მის ძმას, ჰაროლდს, ათი წლის განმავლობაში სამზარეულოში ეძინა, შრიმერმა კი ცოლად თითქმის ორჯერ უმცროსი ქალი შეირთო, რომლის სხეულიც ყელის გამოჭრისკენ არ უბიძგებდა, მაგრამ ყველაფერი, რაც წარსულს ეხებოდა, ცოლისთვის საგულდაგულოდ უნდა განემარტა. შესაძლებელია, იმიტომ ატირდა ჯოი, რომ შეკრებილთაგან მხოლოდ მე არ მყავდა შვილები და შვილიშვილები; ან შეიძლება, იმის გამო, რომ ამდენი წლის შემდეგ ერთმანეთისთვის უცხო ადამიანების შეხვედრა ძალზე დიდხანს გაგრძელდა. უმართავი ემოციების სიმძიმემ მეც შემაწუხა და კვლავ დავიწყე ფიქრი შვედისა და იმ გახმაურებული სკანდალის შესახებ, რომელიც მისმა კანონდამრღვევმა ქალიშვილმა მოუწყო საკუთარ თავსა და ოჯახს ვიეტნამის ომის წლებში. ადამიანმა, რომლისთვისაც უცნობი იყო საკუთარი თავით უკმაყოფილება, შუახნის ასაკში აღმოაჩინა თვითანალიზის ჯოჯოხეთი. ცხოვრების ნორმალური დინება მკვლელობამ დაარღვია. ოჯახურ ცხოვრებაში წამოჭრილმა წვრილმანმა, იოლად მოსაგვარებელმა პრობლემებმა იმდენად გაზვიადებული მნიშვნელობა შეიძინა, რომ მათი გადაჭრა შეუძლებელი გახდა. განადგურდა საოცნებო ამერიკული მომავალი, რომელიც უნდა ჩანაცვლებოდა ჯანსაღ ამერიკულ წარსულს. თითოეული მომდევნო თაობა ხომ წინამორბედზე უფრო ჭკვიანი იყო - საკმარისად ჭკვიანი, რათა შეეგნო წინამორბედი თაობების ნაკლოვანებები და შეზღუდულობა, მიახლოებოდა უფლებათა იმ სპექტრს, რომლითაც ამერიკა გვაჯილდოებს, ჩამოეყალიბებინა იდეალური მოქალაქე, რომელიც თავს დააღწევდა ტრადიციულ ებრაულ მანერებსა და ჩვეულებებს, გათავისუფლდებოდა ოდინდელი შიშებისგან და ძველი, სავალდებულო წარმოდგენებისგან, რათა ლაღად ეცხოვრა, როგორც თანასწორს თანასწორთა შორის.

და უეცრად შვედი კარგავს ქალიშვილს, მეოთხე ამერიკული თაობის წარმომადგენელს; ქალიშვილს, რომელიც მამის გაუმჯობესებული ხატი უნდა ყოფილიყო, ისევე, როგორც შვედი იყო გაუმჯობესებული ხატი მამამისისა, მამამისი კი - გაუმჯობესებული ხატი მისი მშობლისა... კარგავს ჭირვეულ, ღვარძლიან და ქედმაღალ ქალიშვილს, რომელმაც არ მოინდომა, ლევოვების მომდევნო თაობის წარმატებული წარმომადგენელი ყოფილიყო და მამამისი მყუდრო თავშესაფრიდან გამოდევნა სრულიად უცნობ ამერიკაში. ქალიშვილმა და 60-იანმა

წლებმა შვედის უტოპია გააცამტვერეს. ამერიკული შავი ჭირი შვედის ციხესიმაგრეში შეიჭრა და ყველა დააავადა. ქალიშვილმა მამა გამო-
დევნა სანუკვარი ამერიკული პასტორალიდან ანტიპასტორალურ,
მრისხანე, თავაწყვეტილ, სასოწარკვეთილ სამყაროში - ადგილობრივ
ამერიკულ საგიჟეში.

ისტორიული სამშობლოდან მემკვიდრეობით მიღებული ურთიერ-
თდათმობის ტრადიცია თაობათა შორის, რომელთაგან თითოეულმა
იცოდა თავისი ადგილი და განუხრელად ასრულებდა ყველა წესს,
ადაპტაცია ახალ კულტურასთან, რომლის წიაღშიც ვიზრდებოდით
ყველანი, რიტუალივით აუცილებელი იმიგრანტული ბრძოლა წარმა-
ტებისთვის - ყოველივე ამას პათოლოგიის ნიშნები დაეტყო, და თანაც
სწორედ ფერმერი ჯენტლმენის, თავისი ორდინარულობით გამორ-
ჩეული შვედის ციხესიმაგრეში. ბანქოს ქალაქები, რომლებიც ჩვენს
გმირს ერგო, სხვაგვარი უნდა ყოფილიყო. არაფერი მოასწავებდა უბე-
დურებას, რომელიც მას თავს დაატყდა. შვედმა, რომელსაც მკაფიოდ
ჩამოყალიბებული თვალსაზრისი ჰქონდა ზნეობრივი ცხოვრების შესა-
ხებ, არ იცოდა, რომ „წესიერი ცხოვრება“ ასეთი ძვირი ღირდა. ლამაზი
ცოლი. ლამაზი სახლი. მომგებიანი ბიზნესი. კარგი დამოკიდებულება
მამასთან. ის მართლაც პირად სამოთხეში ცხოვრობდა. ასე ცხოვრობენ
წარმატებული ადამიანები. რიგიანი მოქალაქეები. იღბლიანები.
ღვთის მადლიერნი. თუ პრობლემები ექმნებათ, აგვარებენ. და უეცრად
ყველაფერი იცვლება და ეს შეუძლებელი ხდება. ღვთის წყალობას ვე-
ლარ გრძნობ. როგორ უნდა იცხოვრო? განა ვინმეს შეუძლია გაუმკლავ-
დეს უბედურებას? ვინ გაუძლებს ტრაგედიებს და უსამართლო ტან-
ჯვას? ვერავინ. ტრაგედია ადამიანისა, რომელიც გაჩენილი არაა ტრა-
გედიისთვის - ეს ყოველი ადამიანის ტრაგედიაა.

ის თითქოს გარედან აკვირდებოდა საკუთარ ცხოვრებას. და ცდი-
ლობდა დაევიწყებინა ყველაფერი, მაგრამ შეეძლო კი?

ადრე არასოდეს უკითხავს საკუთარი თავისთვის: „რატომ ხდება ასე
და არა - სხვაგვარად?“ ან კი რატომ უნდა ეკითხა, როდესაც ცხოვრება
საათივით აწყობილი ჰქონდა? რატომ ხდება ასე და არა - სხვაგვარად?
ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს, მაგრამ შვედი იმდენად „ნეტარი“
იყო, რომ არც კი იცოდა, ამგვარი კითხვა თუ არსებობდა.

ჩვენს სკოლაში ნახევარი საუკუნის წინ არსებული განწყობილების
შექმნის თავგამოდებული მცდელობების შემდეგ - როდესაც ასი ხან-

დაზმული ადამიანი ერთობლივად ცდილობდა, საათის ისარი დაებრუნებინა უკან, იმ წერტილში, როდესაც დროის მსვლელობას სრულიად გულგრილად აღვიქვამდით - მხიარულებამ იკლო. მოულოდნელად დაგფიქრდი იმაზე, თუ რას ფიქრობდა შვედი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე: როგორ იქცა ის ისტორიის სათამაშოდ? ისტორიამ, ამერიკის ისტორიამ, რომელსაც წიგნებში ეცნობი და სკოლაში სწავლობ, გზა გაიკაფა წყნარ, უშფოთველ ოლდ-რიმროკამდე - პატარა ქალაქამდე, სადაც მას შემდეგ არ გამოჩენილა, რაც ვაშინგტონის არმიამ ორი ზამთარი გაატარა მორისტაუნის მიმდებარე ზეგანზე. ისტორია, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრება აღარ შეუშფოთებია დამოუკიდებლობისთვის ომის შემდეგ, უეცრად კვლავ მიუახლოვდა ამ განმარტოებულ ბორცვებს და, მოსალოდნელი მოულოდნელობის კანონების თანახმად, სეიმურ ლევოვის წყნარ ოჯახში შეიჭრა და ყველაფერი გააცამტვერა. ჩვეულებრივ, ისტორიას ძალზე ხანგრძლივ პროცესად წარმოიდგენენ ხოლმე, სინამდვილეში კი ის მყისიერია.

როდესაც ჯოისთან ერთად ამ მოძველებული მელოდიის რიტმში ვირწეოდი, დაგფიქრდი იმაზე, თუ სახელდობრ რამ განსაზღვრა სახელგანთქმული უიკვეიკელი სპორტსმენის განსაკუთრებული ბედი იმ დროს, როდესაც ეს მუსიკა და მისი ნაზი მოწოდება ასე ეხმიანებოდა ჩვენს სულებს; როდესაც შვედი, მისი მეზობლები, მისი ქალაქი, მისი ქვეყანა ყვაოდნენ, იმედით შეჰყურებდნენ მომავალს და სწამდათ იმედით წარმოშობილი ილუზიებისა. ახლა, როდესაც კვლავ ვეხვეოდი ჩუმი მტირალ ჯოის, მესმოდა, როგორი დაჟინებით გვირჩევდა ოდინდელი სიმღერა ჩვენ, სამოცი წლის ადამიანებს: „იოცნებე... და შეიძლება აგისრულდეს ოცნებები“ - შვედი წარმოვიდგინე და ყურადღებით დავაკვირდი. იმ საღამოს, ვინსენტის რესტორანში, ათასობით მიზეზის გამო, მან არაფერი მთხოვა. ვფიქრობ, არც აპირებდა ეთხოვა. იმისთვის არ მიმიყვანა, რომ მასზე რამე დამეწერა. თუმცა მე სწორედ ამისთვის მივედი იქ. კალათბურთში ასეთი რამ არასოდეს მომხდარა.

მან აღმიძრა მე, ბიჭს - ისევე, როგორც ასობით სხვა ბიჭს - ძალზე მაცდუნებელი სურვილი: ვყოფილიყავი სხვა ვინმე. მაგრამ სხვისი - ბიჭის თუ მამაკაცის - დიდების მოპოვება შეუძლებელია. თუ მწერალი არ ხარ, ფსიქოლოგიური დაბრკოლებები წარმოიშობა, თუ მწერალი ხარ - ესთეტიკური ხასიათის შეფერხებები. თუმცა შენს გმირთან შერწყმა მისი განსაცდელის ჟამს, მისი ცხოვრებით ცხოვრება, როდესაც ის

დამცირებული და გაუბედურებულია; წარმოდგენა იმისა, რომ მის წილ უბედურებებს განიცდი; გაზიარება არა მისი უზრუნველი აღმასვლისა, როდესაც ის შენი აღფრთოვანების ობიექტია, არამედ ტრაგიკული, თავზარდამცემი დაცემისა - ამაზე დაფიქრება უდავოდ ღირს.

ჰოდა, ვდგავარ ჯოისთან და ვფიქრობ შვედზე და იმაზეც, თუ რა მოხდა ამ ქვეყანაში ოცდახუთი წლის განმავლობაში: უიკვეიკის სკოლაში გატარებული სახელოვანი წლებით დაწყებული - 1968 წლით დამთავრებული, როდესაც შვედის ქალიშვილმა ბომბი ააფეთქა. ეს იყო იდუმალი, ამაღელვებელი, უჩვეულო ისტორიული ცვლილება. ვფიქრობ 60-იან წლებსა და იმ არეულობაზე, რომელიც ვიეტნამის ომს მოჰყვა; იმაზე, რომ ზოგიერთმა ოჯახმა იქ შვილები დაკარგა, სხვებმა კი - არა, ხოლო სეიმურ ლევოვის ოჯახი იმათ რიცხვს მიეკუთვნებოდა, ვინც დაკარგა. ეს ოჯახები გამოირჩეოდნენ შემწყნარებლობითა და სიკეთით, კეთილგონივრული ლიბერალური სულისკვეთებითა და კეთილმოსურნეობით, მაგრამ მათში აღიზარდნენ ახალგაზრდები, რომლებიც ძალადობისკენ იყვნენ მიდრეკილნი: ან ციხეში მოხვდნენ, ან არალეგალებად იქცნენ, ან კიდევ კანადასა თუ შვედეთს შეაფარეს თავი. ვფიქრობ შვედის უდიდეს კატასტროფაზე და იმაზეც, რომ ის ალბათ ამის მიზეზად საკუთარ უპასუხისმგებლობას მიიჩნევდა. აი, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი. მნიშვნელობა არა აქვს, მიუძღოდა თუ არა ბრალი რაიმეში. პასუხისმგებლობა თავის თავს დააკისრა. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ასეთი იყო: წარმოუდგენლად დიდ პასუხისმგებლობას იღებდა თავის თავზე, აკონტროლებდა არა მარტო საკუთარ თავს, არამედ ყველაფერს, რაც კი შეიძლებოდა უმართავი გამხდარიყო; ყოველნაირად ცდილობდა, თავისი სამყაროს მთლიანობა შეენარჩუნებინა. შვედის აზრით, მისი ცხოვრებისეული კატასტროფის მიზეზი მხოლოდ ზნეობრივი ნორმების დარღვევა შეიძლებოდა ყოფილიყო. სხვაგვარად როგორ უნდა აეხსნა შვედს? დიახ, ეს იყო დანაშაული ზნეობრიობის წინააღმდეგ, თუნდაც ასეთი რამ მხოლოდ შვედს მიეჩნია დანაშაულად. იმ უბედურების სათავე, რომელიც მას შეემთხვა, პასუხისმგებლობის შესუსტება იყო. ასე ფიქრობდა შვედი.

მაგრამ რა უნდა მომხდარიყო?

შევეცადე, აღარ მეფიქრა ვინსენტის რესტორანზე, სადაც ნაადრევად გამოვიტანე უგუნური დასკვნა - ყველაფერი უფრო მარტივი მეგონა, ვიდრე სინამდვილეში იყო. მთელი ყურადღება მივაპყარი იმ

ბიჭს, რომლის კვალად ჩვენც ვაპირებდით შეგვეღწია ჭეშმარიტ ამერი-
 კაში და რომელიც ჩვენი მეგზური იყო ხელახალი დაბადების პროცეს-
 ში. ყოველ ჩვენგანს - ნებისმიერი თეთრკანიანი პროტესტანტის მსგავ-
 სად - თავი ნამდვილ ამერიკელად უნდა ეგრძნო და არა, უბრალოდ,
 ებრაელად, რომელმაც ეს წოდება დაიმსახურა, რადგან შეძლო აღ-
 მოეჩინა ვაქცინა, ან გამხდარიყო უზენაესი სასამართლოს წევრი, ან
 ყველაზე გამოჩენილ პიროვნებად ქცეულიყო. არა, თეთრკანიან პრო-
 ტესტანტთა სამყაროში შვედმა ამას მიაღწია ჩვეულებრივი, ბუნებრი-
 ვი გზით, თითოეული ამერიკელი ყმაწვილისთვის ჩვეული გზით. „ოც-
 ნების“ მელოდიით დამტკბარს დამავიწყდა საკუთარი თავიც და კურ-
 სდამთავრებულთა შეხვედრაც... ოცნებამ გამიტაცა... და აბსოლუტუ-
 რად რეალისტური სურათი დამიხატა. ჩავუკვირდი მის ცხოვრებას -
 არა როგორც ღმერთის ან ღმერთკაცის ცხოვრებას, რომლის მიღწევე-
 ბიც მოზარდებს ხიბლავს, არამედ ჩვეულებრივი მოკვდავის ცხოვრე-
 ბას, და მოულოდნელად, ისე, თითქოს ვიღაცამ ჩამჩურჩულა, შეხედეო,
 ვიხილე ის დილში (ნიუ-ჯერსის შტატი), ზღვისპირა კოტეჯში, იმ ზაფ-
 ხულს, როდესაც მის ქალიშვილს თერთმეტი წელი შეუსრულდა და მა-
 მას გამუდმებით მუხლებზე ეჯდა, მისთვის სულ ახალ-ახალ სააღერსო
 სახელებს იგონებდა და ამბობდა, რომ თავს ვერ იკავებდა: ძალიან უნ-
 დოდა, კვლავ და კვლავ მოფერებოდა მამის ყურებს, რომლებიც მჭიდ-
 როდ ეკვროდა თავის ქალას. პირსახოცში გახვეული გოგონა სახლში
 დარბოდა, მშრალ საცურაო კოსტიუმს თოკიდან ხსნიდა და ხმამაღლა
 ყვიროდა: „არ შემომხედოთ!“, სალამოობით კი რამდენჯერმე შერბოდა
 სააბაზანოში, როდესაც მამამისი ბანაობდა და მამის დანახვისას წა-
 მოიკივლებდა ხოლმე: „Oh, pardonnez-moi - j'ai pens e que...“ „მო-
 უსვი აქედან! - პასუხობდა შვედი. - დამეკარგე!“ ერთხელ, როდესაც
 პლაჟიდან მანქანით ბრუნდებოდნენ, მზისგან მოთენთილი გოგონა მა-
 მას შიშველ მხარზე მიეყრდნო, ქვემოდან ახედა და დიდი ქალივით
 უთხრა: „მამიკო, მაკოცე. ისე, როგორც ღედას კოც-ც-ც-ცნი“. მზისგან
 გათანგულმა, ზღვის მოქცევისას შვილთან ერთად ბანაობით მოქან-
 ცულმა შვედმა ალმაცერად გადახედა გოგონას და დაინახა, რომ საცუ-
 რაო კოსტიუმის ბრეტელი ჩამოსცურებოდა და ძუძუსთავი მოუჩანდა.
 ფუტკრის ნაკბენივით წითელი, მკვრივი ძუძუსთავი. „არ-რ-რ-რა“, -
 უთხრა მას და ამან ორივე გამოაფხიზლა. შვედმა წყნარად დასძინა:
 „ბრეტელი გაისწორე“. გოგონა უხმოდ დაემორჩილა. „მაპატიე, პატა-

რა“. „ღირსი ვარ, - გოგონა მთელი ძალით ცდილობდა, ცრემლები შეეკავებინა და კვლავ მამიკოს ჩიტუნა გამხდარიყო. - სკოლაშიც ასე მემართება. მეგობრებთანაც. როგორც კი დავიწყებ, ველარ ვჩერდები. მე, უბრალოდ, უ-უ-უ-უ...“

დიდი ხანია, შვედს შვილის სახე ასეთი ფერმკრთალი არ ენახა, არც ასეთი ტანჯვა ეხილა მის სახეზე. გოგონა უფრო დიდხანს ებრძოდა სიტყვას, ვიდრე შვედს იმ დღეს ამის ატანა შეეძლო. „უ-უ...“ და მაინც, შვედმა სხვებზე უკეთ იცოდა, როგორ არ უნდა მოქცეულიყო, როდესაც მერის ეს ემართებოდა. გოგონას შეეძლო მამის იმედი ჰქონოდა - შვედი არასოდეს ღიზიანდებოდა, როდესაც მერი ლაპარაკს იწყებდა. „ნუ ღელავ, - ეუბნებოდა ხოლმე დოუნს, - დამშვიდდი, თავი დაანებე“. მაგრამ დოუნი თავს ვერ ერეოდა. როდესაც მერის ენა ებმოდა, დოინჯშემოყრილი დოუნი დაჟინებით აცქერდებოდა გოგონას ტუჩებს. მზერით ამხნევებდა: „ვიცი, რომ შეძლებ ამას!“ ხმამაღლა კი ამბობდა, არაფერი გამოგივაო. შვილის ეს ნაკლი დედას სულიერად ანადგურებდა, დედის რეაქცია კი მერის ანადგურებდა. „ამაში ბრალი მე კი არა, დედაჩემს მიუძღვის!“ ბრალი მიუძღოდა მასწავლებელსაც, რომელიც მერის დანდობას ცდილობდა და დაფასთან არ იძახებდა. ბრალი მიუძღოდათ იმათაც, ვისაც გოგონა ებრალებოდა. და მერის ყველაზე მეტად სძაგდა, როდესაც დაუბრკოლებელი ლაპარაკის გამო ვინმეს შექებას იმსახურებდა. როცა აქებდნენ, ცოფდებოდა. საკმარისი იყო შეექოთ, რომ ყოველ სიტყვაზე ბორძიკს იწყებდა - ამბობდა, ახლა ენა სამუდამოდ ჩამივარდებაო. საოცარია, რომ მას - საყვარელ, მხიარულ გოგონას - შეეძლო ეხუმრა ამის თაობაზე! დოუნსაც რომ გადასდებოდა ეს მხიარულება! მაგრამ მხოლოდ შვედს შეეძლო მოეძებნა საჭირო კილო, თუმცა ზოგჯერ ისიც ძლივს იკავებდა თავს, რომ გამწარებით არ ეღრიალა: „ღმერთო ჩემო, ნუთუ არ შეგიძლია ნორმალურად ილაპარაკო, რისი გეშინია?“ გაღიზიანებას არასოდეს ამჟღავნებდა: დოუნივით არ კრავდა მუშტებს, როდესაც გოგონა ჯახირობდა, არ აშტერდებოდა მის ტუჩებს, არ კარნახობდა საჭირო ბგერებს, არ აქცევდა მას საყოველთაო ყურადღების ობიექტად არა მარტო აქ, ოთახში, არამედ მთელ სამყაროშიც; ცდილობდა, ამ ნაკლის გამო გოგონას აინშტაინად არ მიეჩნია თავი. შვედის თვალები დამაჯერებლად მეტყველებდნენ: არაფერს დაიშურებდა შვილის დასახმარებლად და სანამ გოგონა მასთან ცხოვრობდა, არ უნდა შერცხვენოდა იმისა, რომ ენა ებმებოდა. და მა-

ინც, შვედმა უთხრა: „არ-რ-რ-რა“. ისე მოიქცა, როგორც დოუნის არასოდეს მოიქცეოდა - დასცინა შვილს.

- რ-რ-რ-რ...

- ოჰ, საყვარელო, - უთხრა შვედმა და იმავე წამს მიხვდა, რომ ეს უწყინარი საზაფხულო თამაშები - ოდნავ ინტიმური ალერსი იმდენად სასიამოვნო იყო ორივესთვის, რომ დასანანი იქნებოდა მასზე უარის თქმა, და ამავე დროს იმდენად არასერიოზული და ზედაპირული იყო, იმდენად არ უკავშირდებოდა ხორციელ ლტოლვას, რომ დავიწყებას მიეცემოდა, როგორც კი არდადეგები დამთავრდებოდა, გოგონა მთელი დღეების განმავლობაში სკოლაში იქნებოდა, შვედი კი - სამსახურში, და ისინი ადვილად დაივიწყებდნენ ყველაფერს, იოლად დაუბრუნდებოდნენ ძველ ურთიერთობებს... და სწორედ იმ წამს, როდესაც შვედი მიხვდა, რომ ეს საზაფხულო რომანი მაინც მოითხოვდა დაფიქრებას, თავშეკავებამ უღალატა, ცალი ხელით თავისკენ მიიზიდა შვილი და ზუსტად ისეთი ვნებით დაეწაფა ამ ენაბრგვნილ პირს, როგორსაც გოგონა მთელი თვის განმავლობაში მოელოდა მისგან, თუმცა ძალიან ბუნდოვნად წარმოედგინა, თუ რას მოელოდა.

იყო თუ არა ეს გრძნობის გამოვლინება? ეს ყველაფერი ძალზე სწრაფად მოხდა. გოგონა მხოლოდ თერთმეტი წლისა იყო. შვედი წამიერად შეძრწუნდა. ეს იყო ის, რაზეც არასოდეს დაფიქრებულა. ეს იყო ტაბუ, რომელზეც არც კი ვფიქრობთ, რაც აკრძალულია და, სრულიად ბუნებრივად, დაუშვებლად მივიჩნევთ. ასეთი რამ არ უნდა მომხდარიყო - და აი, უეცრად მოხდა. როგორც შვილს, მეუღლეს, მამას თუ ფაბრიკის მეპატრონეს, არასდროს ჩაუდენია ზნეობრივ კოდექსთან ამაზე მეტად შეუთავსებელი რამ. და შემდგომში შვედი ხშირად ფიქრობდა, ხომ არ იქცა მისი, როგორც მამის, ეს უჩვეულო ნაბიჯი მისივე პასუხისმგებლობის ხარვეზად, რომლის საზღაურიც მთელი დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში უნდა ეხადა. ეს არ იყო სერიოზული კოცნა, რომელიც რალაცის იმიტაციას წარმოადგენდა. კოცნა არ განმეორებულა, მხოლოდ ხუთი ან ათი წამის განმავლობაში გაგრძელდა, მაგრამ კატასტროფის შემდეგ, თავსდატეხილი უბედურების მიზეზის ძიებისას, შვედს მხოლოდ ეს ანომალური წამი აგონდებოდა - როდესაც მერი თერთმეტი წლისა იყო, თვითონ კი - ოცდათექვსმეტისა, და როდესაც ისინი, ზღვითა და თავარა მზით გათანგულნი, ბედნიერნი, პლაჟიდან შინ ბრუნდებოდნენ.

შემდგომში შვედი იმასაც ფიქრობდა, რომ შესაძლოა, იმ დღის შემდეგ ძალზე მკვეთრად ჩამოშორდა მერის, ფიზიკურად უფრო მეტად გაემიჯნა, ვიდრე საჭირო იყო. სურდა ეგრძნობინებინა შვილისთვის, რომ ყველაფერი წესრიგში იყო, ის უკვე აღარ დაკარგავდა წონასწორობას და მერისაც არ უნდა ეგრძნო სინდისის ქენჯნა ამ საკმაოდ ბუნებრივი ლტოლვის გამო. შედეგად კი, შვედმა გააზვიადა კოცნის, მისი გამომწვევი მიზეზის მნიშვნელობა, დაანგრია მამა-შვილის შემაკავშირებელი აბსოლუტურად უწყინარი ბუნებრივი კავშირი და არასრულფასოვნების კომპლექსი გაუმძაფრა ენაბრგვნილ ბავშვს. მხოლოდ ის სურდა, რომ შვილს დახმარებოდა, ხელი შეეწყო მისი გამოჯანმრთელებისთვის.

რაში მდგომარეობდა სულიერი ტკივილი? რამ მიაყენა ტკივილი მერის? გამოუსწორებელმა ნაკლმა თუ იმ ადამიანებმა, რომელთა მიზეზითაც გაუჩნდა ეს ნაკლი? კი მაგრამ, რით, როგორ გამოიწვიეს? რა ჩაიდინეს, გარდა იმისა, რომ უყვარდათ, ზრუნავდნენ, ამხნევებდნენ, ეხმარებოდნენ და, მათი აზრით, საჭირო თავისუფლებას აძლევდნენ? და მაინც, მერი გზას ასცდა! დაიბნა! შეიშალა! რატომ? ათასობით ბავშვს ებმება ენა, მაგრამ როდესაც იზრდებიან, ბომბებს როდი აფეთქებენ! რა მოუვიდა მერის? რით აწყენინა მამამ? კოცნით? იმ კოცნით? ეს სისაძაგლე იყო? განა კოცნა ადამიანს ბოროტმოქმედად აქცევს? კოცნის შედეგებით? იმით, რომ გაუნაპირდა? ამაში მდგომარეობდა სისაძაგლე? მაგრამ შვედი ხომ ისევ ეხებოდა, ეხვეოდა, კოცნიდა - მას უყვარდა შვილი. მერიმ ეს იცოდა.

მას შემდეგ, რაც უცნაური მოვლენები დაიწყო, მტანჯველი თვითნაღიზი არ შეუწყვეტია. დასკვნები დამაჯერებელი არ იყო, ახალ კითხვებს იწვევდა. შვედის წინაშე აქამდე არასოდეს წამოჭრილა ჭეშმარიტად არსებითი კითხვა. ბომბის აფეთქების შემდეგ შვედი ცხოვრებას ისე ველარ აღიქვამდა, როგორც ადრე; აღარ სჯეროდა, რომ მისი ცხოვრება სწორედ ისეთი იყო, როგორიც წარმოედგინა. როდესაც თავის ბედნიერ ბავშვობას და მოზარდობისდროინდელ წარმატებებს იხსენებდა, ფიქრობდა, რომ ეს ყველაფერი უბედურების მიზეზად ექცა. ახლა ეჩვენებოდა, რომ ტრიუმფი ძალზე უმნიშვნელო იყო და, რაც კიდევ უფრო საოცარია, საკუთარი ღირსებები ნაკლოვანებებად წარმოუდგებოდა. წარსულის მოგონებები სიმარტივისგან განიძარცვა. შვედი უეცრად მიხვდა, რომ სიტყვები უფრო მეტს ან ნაკლებს ნიშნავს, ვიდ-

რე მოსაუბრე ვარაუდობს; ხოლო საქმის შედეგი ან მეტია, ან ნაკლები, თავდაპირველ მიზანთან შედარებით. რა თქმა უნდა, არსებობს განსხვავება სიტყვასა და საქმეს შორის, მაგრამ ეს ის განსხვავება არაა, რომელიც ჩაფიქრებული გქონდა.

შვედი, ისეთი, როგორადაც საკუთარი თავი წარმოედგინა - გულკეთილი, ზნეობრივი, მოწესრიგებული შვედ ლევოვი - აორთქლდა და მისი ადგილი თვითანალიზმა დაიკავა. გათავისუფლება იმ აზრისგან, რომ მთელი პასუხისმგებლობა მას ეკისრებოდა, უფრო ადვილი როდი იყო, ვიდრე უარის თქმა ძალზე მაცდუნებელ წარმოდგენაზე, რომ ყველაფერს შემთხვევითობა განსაზღვრავდა. ის კიდევ უფრო დამაბნეველმა საიდუმლომ ჩაითრია, ვიდრე მერის ენაბრგვნილობა იყო: ნორმალურად არავინ მეტყველებდა, ენას ყველა უკიდებდა. ღამლამობით, საწოლში, შვედს საკუთარი ცხოვრება წარმოუდგებოდა, როგორც ენაბრგვნილი პირი და დამანჭული სახე - არსად ჩანდა საზრისი, მიზეზი ან ლოგიკა. აღარ იცოდა, რა იყო წესრიგი. არავითარი წესრიგი არ არსებობდა. არავითარი. საკუთარი ცხოვრება წარმოუდგებოდა, როგორც ენაბრგვნილი კაცის აბნეული, უმართავი აზროვნება.

იმ წელიწადს მერის, მამამისის გარდა, მეორე გატაცება ჰქონდა - ოდრი ჰეპბერნი. ოდრი ჰეპბერნამდე იყო ასტრონომია, ასტრონომიამდე - კლუბი „მარჯვე ხელები - კეთილი გული“, პარალელურად კი - რაც მამამისს თრგუნავდა - კათოლიციზმით გატაცება. ბებია დუაირს სენტ-ჯენევიევის ეკლესიაში წირვაზე დაჰყავდა, როდესაც მერი ელიზაბეთში სტუმრობდა. მერის ოთახი ნელ-ნელა გაივსო კათოლიკური ნივთებით - და მანამ, სანამ შვედი მათ სამშვენისებად მიიჩნევდა, სანამ მერის გატაცება გარკვეულ ზღვარს არ გადასცდებოდა, ყველაფერი კარგად იყო. თავდაპირველად ბებიამ ჯვრის ფორმის ბზის ტოტი აჩუქა ბზობის დღესასწაულზე. ამაში ცუდი არაფერი იყო. ბავშვებს მოსწონთ, როდესაც ამგვარი ნივთები კედელზე უკიდიათ. ამას მოჰყვა ერთი ფუტის სიგრძის (სქელშუშიან ჭიქაში ჩადგმული) სანთელი, უქრობი კანდელი და ბარათი იესოს წმინდა გულის გამოსახულებითა და ლოცვით, რომელიც ასე იწყებოდა: „ო, წმინდა გულო მაცხოვრისა, რომელიც ამბობდა: ითხოვე და მოგეცემა...“ მდგომარეობა თითქოს გართულდა, მაგრამ მერიმ კანდელი კი არ აანთო, არამედ, როგორც ღამაზი ნივთი, უბრალოდ, კომოდზე დადგა. საგანგაშო ჯერ კიდევ არაფერი იყო. შემდეგ მის სასთუმალთან გაჩნდა იესოს გამოსახულება პროფილ-

ში, მლოცველის პოზაში. ეს კი უკვე სრულიად ზედმეტი იყო, თუმცა შვედს მაშინაც არაფერი უთქვამს არც შვილისთვის, არც დოუნისთვის, არც ბებია დუაირისთვის. თავს იმშვიდებდა: „ეს არაფერს ნიშნავს, მხოლოდ სურათია. მისთვის, უბრალოდ, ლამაზი სურათია, რომელზეც სასიამოვნო გარეგნობის ადამიანია დახატული. რა მნიშვნელობა აქვს, ვინაა ის?“

მაგრამ შვედი შეფიქრიანდა, როდესაც მერის ოთახში ღვთისმშობლის სტატუეტი დაინახა - მომცრო ასლი იმ თაბაშირის სტატუეტებისა, რომლებიც ბებია დუაირს სასადილო ოთახსა და საძინებელ ოთახში ედგა. შვედმა შვილს სთხოვა, ჩამოეხსნა კედლიდან სურათები და ბზის ჯვარი, სტატუეტი და კანდელი კი შეენახა, სანამ მათთან სტუმრად ჩამოსული ბებია და ბაბუა ლევოვები იმყოფებოდნენ. შვედმა ძალზე მშვიდად აუხსნა შვილს, რომ ბებია და ბაბუა ებრაელები იყვნენ, თვითონაც ებრაელი იყო, ხოლო ებრაელები... და ასე შემდეგ. მერი თვინიერი გოგონა იყო, არ სურდა, გული ეტკინა ადამიანებისთვის, ყველაზე მეტად კი - მამიკოსთვის, და ამიტომ შეეცადა, რომ ბებია დუაირის ნაჩუქარი ნივთები ბებია და ბაბუა ლევოვებს არ ენახათ. ერთ მშვენიერ დღეს კი ყველაფერი კათოლიკური საერთოდ გაქრა კედლიდანაც და კომოდიდანაც. მერის ასეთი ხასიათი ჰქონდა - სიახლე იტაცებდა, შემდეგ ეს გატაცება უეცრად ქრებოდა და ყველაფერს ნაგვის ყუთში ყრიდა და ცხოვრებას აგრძელებდა.

მორიგი გატაცება ოდრი ჰეპბერნი იყო. კინოვარსკვლავის ფოტოსურათების ან მასზე დაწერილი სტატიების მოსაძებნად ყველა გაზეთსა და ჟურნალს ქეჩავდა. თვით კინოსეანების განრიგიც - „საუზმე ტიფანისთან“: 2, 4, 6, 8, 10 - გაზეთიდან ამოჭრა და საგანგებო ალბომში ჩააწება. რამდენიმე თვის განმავლობაში გულმოდგინედ ცდილობდა გარდასახულიყო „ანც გოგონად“, სახლში ტყის ფერიასავით დაგოგმანებდა, მრავალმნიშვნელოვნად უღიმოდა ყველა სარკისებრ ზედაპირს, ეგრეთ წოდებული „გადამდეები“ სიცილით პასუხობდა მამის ყოველ რეპლიკას, იყიდა „ტიფანის“ ფონოგრამა და საათობით უსმენდა თავის საძინებელში. შვედს კარიდან ესმოდა, როგორ მღეროდა მერი „მთვარის მდინარეს“ ოდრი ჰეპბერნის მომხიბვლელი მანერით, ისე, რომ ენა ერთხელაც არ დაბმია. ამიტომ, როგორი ხელოვნური და ტლანქიც უნდა ყოფილიყო ეს მსახიობობანა, არავის უთქვამს, რომ მომაბეზრებელი და სასაცილო იყო მისი ოცნება განკურნებაზე. თუკი ოდრი ჰეპბერ-

ნი შეძლებს დაეხმაროს მას, დაე, იმანჭოს ეს გოგონა, რომელსაც ოქროსფერი თმა და ლოგიკური აზროვნება, ინტელექტის მაღალი მაჩვენებელი და იუმორის (თვითირონიის ჩათვლით) განვითარებული გრძნობა აქვს, გრძელი, ნატიფი ფეხები ამშვენებს, მდიდარი ოჯახი ჰყავს და შეუპოვრობით გამოირჩევა - ერთი სიტყვით, არაფერი აკლია, მწყობრად მეტყველების უნარის გარდა. უსაფრთხოება, ჯანმრთელობა, სიყვარული, ყოველგვარი შესაძლო უპირატესობა... მხოლოდ ჰამბურგერის შეკვეთა არ შეეძლო ისე, რომ თავი დამცირებულად არ ეგრძნო.

როგორ წვალობდა! კვირაში ორ დღეს, გაკვეთილების შემდეგ, ბალეტზე დადიოდა. კვირაში ორჯერ დოუნს ლოგოპედთან დაჰყავდა მორისტაუნში. შაბათობით მერი ადრე დგებოდა, თვითონ იმზადებდა საუზმეს და ველოსიპედით ხუთ მილს გადიოდა მთავორიან გზაზე, რათა ოლდ-რიმროკში, ადგილობრივი ფსიქიატრის პაწაწინა კაბინეტში მისულიყო. ფსიქიატრის მცდელობათა შედეგად მდგომარეობა კიდევ უფრო დაუმძიმდა, რამაც შვედი გააცოფა. ფსიქიატრმა გოგონა დაარწმუნა, განზრახ დაიწყე ბორძიკით მეტყველება, რათა სხვებისგან გამორჩეული ყოფილიყავი, შემდეგ კი, როდესაც მიხვდი, რომ ეს მეთოდი კარგად „მუშაობს“, შექენილი ჩვევა გაამყარეო. მერის ეკითხებოდა: „შენი აზრით, როგორი დამოკიდებულება ექნებოდა შენ მიმართ მამაშენს, ენას რომ არ უკიდებდე? როგორი დამოკიდებულება ექნებოდა დედას?“ და კიდევ: „რაიმე სარგებლობა ხომ არ მოაქვს შენთვის ამ ნაკლს?“ შვედს არ ესმოდა, როგორ შეიძლება ბავშვს პასუხისმგებლობა დააკისრო იმ ნაკლის გამო, რომელსაც ის, უბრალოდ, ვერ სძლევს. ექიმის გასაცნობად წავიდა. საუბრის ბოლოს ამ კაცის მოკვლის სურვილი გაუჩნდა.

ფსიქიატრის აზრით, მერის დაავადება მშობლების სილამაზემ და წარმატებულობამ გამოიწვია. დედ-მამის ბედნიერი ცხოვრება გოგონას თრგუნავდა და დედის, როგორც მეტოქის, დასამარცხებლად, მისი ყურადღების მისაპყრობად, მის გასაწამებლად და სიკვდილის პირას მისაყვანად, და კიდევ იმისთვის, რომ მამამისი მშვენიერი ცოლისთვის წაერთმია, მოკლედ, ახლობლებზე ზეგავლენის მოსახდენად მერიმ არჩია, ენის ბორძიკით დატანჯულიყო.

- მერის ხომ თავისი დაავადება აწამებს, - შეახსენა ექიმს შვედმა. - ამიტომაც მოგმართეთ.

- სარგებელი ზარალს გადაწონის.

შვედმა უცებ ვერ გაიაზრა ექიმის სიტყვები და მიუგო:

- არა, არა, მისმა მდგომარეობამ კინალამ გადაიყოლა ჩემი ცოლი.

- შესაძლოა, მერისთვის ეს სარგებელია. ძალზე საზრიანი გოგონაა და მანიპულირებაც ეხერხება. ასე რომ არ იყოს, არ გაგალიზიანებდათ ჩემი სიტყვები. მე კი გეუბნებით: ენის მოკიდება ხშირად შედის იმ ქცევით მოდელში, რომელიც მანიპულირებას გულისხმობს. ბავშვისთვის ეს მოდელი უალრესად მომგებიანია, ეს, თუ გნებავთ, „შურისძიების მოდელია“.

„ამ ექიმს ვძულვარ, - გაიფიქრა შვედმა. - ჩემი გარეგნობის გამო ვძულვარ. და, კიდევ, დოუნის გარეგნობის გამო. ჩვენი გარეგნობა მოსვენებას არ აძლევს. ვძულვართ იმის გამო, რომ მასავით ტანდაბალი და მახინჯი არ ვართ“.

- გოგონასთვის ძნელია იყოს ისეთი ქალის შვილი, რომელიც ყველას ყურადღების ცენტრშია, თანაც იმ მიზეზით, მეტად სულელურად რომ ეჩვენება. ძნელია აიტანო არა მარტო დედის ბუნებრივი მეტოქეობა, არამედ გარემომცველთა შეკითხვებიც: „როდესაც გაიზრდები, დედაშენივით, „მის ნიუ-ჯერსი“ გახდები?“

- ასეთ შეკითხვებს არავინ უსვამს. ვინ ეკითხება ამას? ჩვენ არასოდეს გვიკითხავს. ამაზე არასოდეს ვლაპარაკობთ. ჩემი ცოლი „მის ნიუ-ჯერსი“ არაა. უბრალოდ, დედამისია.

- სხვები ეკითხებიან, მისტერ ლევოვ.

- ბავშვებს ყოველთვის სულელურ შეკითხვებს უსვამენ! რა მნიშვნელობა აქვს ამას? არა, პრობლემა ეს არაა.

- მაგრამ აღიარეთ, რომ გოგონამ, რომელიც გრძნობს, რომ დედას ვერ შეედრება, ახლოსაც კი ვერ მივა მასთან, შეიძლება არჩიოს...

- არავითარი არჩევანი არ გაუკეთებია. მე მგონი, სწორი არაა, რომ ჩემს შვილს ასეთი ტვირთი აჰკიდოთ - დაარწმუნოთ, რომ თვითონ აირჩია ბორძიკით მეტყველება. მას ეს არ აურჩევია. მისთვის ეს ნამდვილი ჯოჯოხეთია.

- თუ მისი ნალაპარაკევის მიხედვით ვიმსჯელებთ, ასე არაა. გასულ შაბათს პირდაპირ ვკითხე: „მერი, რატომ გებმის ენა?“ მან კი მიპასუხა: „როდესაც ენა მებმის, ცხოვრება მიაღვილდება“.

- განა არ გესმით, რას გულისხმობდა? ეს ხომ აშკარაა. გულისხმობდა, რომ თავს არიდებს იმას, რისი ატანაც უხდება, როდესაც სწორად

ლაპარაკს ცდილობს.

- ჩემი აზრით, მხოლოდ ამას როდი გულისხმობდა. მერი გრძნობს, რომ თუ ენა აღარ დაეხმება, ყველა მიხვდება, რა არის მისი რეალური პრობლემა. განსაკუთრებით, ისეთ ოჯახში, სადაც პერფექციონიზმია გაბატონებული და მეტად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ მის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა. „თუკი ენა აღარ დამეხმება, დედაჩემი საყვედურებით ამავსებს და ჩემი ნამდვილი საიდუმლოებების გაგებას შეეცდება“.

- ვინ გითხრათ, რომ ჩვენი ოჯახი პერფექციონისტულია? ღმერთო ჩემო, სრულიად ჩვეულებრივი ოჯახი გვაქვს. მერის სიტყვებს იმეორებთ? ეს გითხრათ დედამისის შესახებ? რომ დედამისი საყვედურებით აავსებს?

- დიახ, ოღონდ უფრო მოკლედ.

- ეს ასე არაა, - თქვა შვედმა. - ზოგჯერ ვფიქრობ, რომ მას ზედმეტად სწრაფი გონება აქვს, რომელსაც ენა ვერ ეწევა.

„ოჰ, როგორი სიბრალულით მიყურებს და ისმენს ჩემს პათეტიკურ განმარტებებს. ნამდვილი ნაბიჭვარია, გულცივი, უსულგულო ნაბიჭვარი. უტვინო კრეტინი. ყველაზე საშინელი მისი უტვინობაა, რაც გამოწვეულია მისი გარეგნობით, იმით, რომ გარეგნულად განსხვავდება ჩემგან და დოუნისგან, და კიდევ...“

- ჩვენ ხშირად ვხვდებით მამებს, რომლებიც თვალს ვერ უსწორებენ სიმართლეს... ვერ იჯერებენ...

„რაში გვჭირდებიან ეს ფსიქიატრები? ზიანის მოტანის მეტი არაფერი შეუძლიათ. რაში გვჭირდებოდა ეს ყეყეჩი ფსიქიატრი?“

- სულაც არ ვაპირებ, რაიმე „დავიჯერო“. უბრალოდ, მივქარე და შვილი მოგიყვანეთ, - უთხრა შვედმა. - ყველაფერს ვასრულებ, რაც, პროფესიონალების აზრით, დაეხმარება, თავის ნაკლს მოერიოს. მითხარით, რა სარგებლობას მოუტანს, როდესაც სახე ემანჭება, კრუნჩხვები ეწყება, ფეხები უთრთის, მაგიდაზე მუშტებს უბაგუნებს და ფითრდება... რა სარგებლობას მოუტანს იმის შეგნება, რომ მისი მიზანი დედ-მამაზე ზეგავლენის მოხდენაა?

- ვის მიუძღვის ბრალი იმაში, რომ მერი ფითრდება და მუშტებს უბაგუნებს მაგიდაზე? ვინ წარმართავს ყველაფერს?

- რა თქმა უნდა, თავად ის - არა, - გააფთრდა შვედი.

- გგონიათ, რომ დაუნდობლად ვექცევი? - ჰკითხა ექიმმა.

- დიახ... თითქოს მისი მამა იყო. არასოდეს გიფიქრიათ, რომ ამ ყველაფერს შესაძლოა ფიზიოლოგიური საფუძველი ჰქონდეს?

- არა მგონია. მისტერ ლევოვ, თუ გნებავთ, შემიძლია კლინიკური განმარტება შემოგთავაზოთ. მაგრამ მისი დახმარებით შორს ვერ წავალთ.

მერის დღიური. ვახშმის შემდეგ გოგონა სამზარეულოს მაგიდასთან ჯდებოდა და დღიურში ანგარიშს წერდა. შვედი მზად იყო, მიეხრჩო ფსიქიატრი. ამ უკანასკნელმა ბოლოს აცნობა შვედს - ისეთ მამას, რომელიც „თვალს ვერ უსწორებს, ვერ იჯერებს“ სიმართლეს - რომ მერი მაშინ განიკურნებოდა, როდესაც ენის მოკიდების საჭიროება აღარ იქნებოდა... მოკლედ, როდესაც მანიპულირების სხვა საშუალებას მოძებნიდა. დღიურში - ლითონის სამი რგოლით აკინძულ წითელ ბლოკნოტში - გოგონა, ლოგოპედის რჩევით, აღწერდა სიტუაციებს, როდესაც ენას უკიდებდა. მისი სიძულვილი ამ ნაკლის მიმართ ყველაზე მძლავრად ვლინდებოდა სწორედ მაშინ, როდესაც დღიურში დაწვრილებით იხსენებდა და აღწერდა ენაბრგვნილობის სხვადასხვაგვარ გამოვლინებებს დღის განმავლობაში; რა შემთხვევებში უკიდებდა ენას ყველაზე ნაკლებადშესამჩნევად, როდის და ვისი თანდასწრებით - ძალზე ძლიერად. შვედისთვის არაფერს უტკენია გული ისე, როგორც ამ დღიურის წაკითხვამ ატკინა. ერთ პარასკევ საღამოს, როდესაც მერი მეგობრებთან ერთად კინოში წავიდა, გადაშლილი ბლოკნოტი მაგიდაზე დარჩა. „როდის მებმის ენა? ყველაზე ხშირად მაშინ, როდესაც მეკითხებიან ისეთ რამეს, რაც დაუყოვნებელ პასუხს მოითხოვს. და მაშინ, როდესაც მიყურებენ. განსაკუთრებით - როდესაც მიყურებენ ადამიანები, რომლებმაც იციან, რომ ენა მებმის. თუმცა ზოგჯერ უარესია, როდესაც უცნობთა გარემოცვაში ვიმყოფები...“ და ასე შემდეგ - საოცრად მკაფიო ხელწერით. აშკარა იყო, რომ ენა ყველა სიტუაციაში ებმებოდა. მერი წერდა: „როდის მიხვდება, რომ ენაბლუ ვარ? მეშინია, რომ ბორძიკს დავიწყებ და ყველაფერს წავახდენ“. და მაინც, ამდენი იმედგაცრუების მიუხედავად, ყოველ საღამოს, შაბათ-კვირის ჩათვლით, მშობლების თვალწინ ჯდებოდა და წერდა თავის დღიურს. ლოგოპედთან ერთად შეიმუშავა სხვადასხვაგვარი სტრატეგიები, რომლებიც უნდა გამოეყენებინა უცნობ ადამიანებთან, მალაზიის გამყიდველებთან, შემთხვევით თანამოსაუბრეებთან. საგანგებო სტრატეგიები უნდა გამოეყენებინა იმ ადამიანებთან, რომლებთანაც ახლო ურთიერთობა

ჰქონდა: მასწავლებლებთან, მეგობარ გოგო-ბიჭებთან, ბოლოს - ბაბუ-
ებთან და ბებიებთან, მამასთან და დედასთან. ყველა სტრატეგიას მერი
დღიურში იწერდა. ჩამოთვლილი ჰქონდა სავარაუდო თემები, რომ-
ლებზეც უნდა ესაუბრა ამა თუ იმ ადამიანთან. საგულდაგულოდ აღ-
ნიშნავდა, როგორ უნდა მოქცეულიყო იმგვარ სიტუაციებში, როდესაც
მოსალოდნელი იყო მეტყველების შეფერხება და გულმოდგინედ ემზა-
დებოდა ამისთვის. როგორ უძლებდა ამგვარ დაძაბულ თვითანალიზს?
დაგეგმვა ხომ სპონტანურ აქტს იძულებით აქტად აქცევდა. ჯიუტად
ასრულებდა ამ მოსაწყენ დავალებებს. ის ქედმაღალი ძაღლისმგვილი
კი მათ „შურისძიების ფორმებს“ უწოდებდა. ასე თვით შვედსაც კი არ
გაუწირავს თავი იმ შემოდგომაზე, როდესაც აიძულეს, ფეხბურთი ეთა-
მაშა და მართალია, არ მოსწონდა ამ თამაშის სისასტიკე და მოთამა-
შეთა მუჯლუგუნები, მაინც წარმატებას მიაღწია ამ სპორტში „სკოლის
სასიკეთოდ“. მერის შეუპოვარი მცდელობები კი სასიკეთოდ არ იყო.

ლოგოპედის კაბინეტში - ამ წყნარ და უხიფათო თავშესაფარში - ის
მთელ სამყაროს ემიჯნებოდა და, ექიმის თქმით, თავს სრულიად ლა-
ლად გრძნობდა: დაუბრკოლებლად ლაპარაკობდა, ხუმრობდა, ვილა-
ცებს ბაძავდა, მღეროდა. მაგრამ ამ კაბინეტიდან გასვლისას ყველაფე-
რი თავიდან იწყებოდა და რას არ გაიმეტებდა, რომ თავი აერიდებინა
„ბ“-თი დაწყებული სიტყვებისთვის. და აი, უკვე იღორბლებოდა, ხო-
ლო მომდევნო შაბათს ფსიქიატრი აანალიზებდა ამ „ბ“-ს და იმას, თუ
„რას ნიშნავდა ის მერისთვის არაცნობიერად“. „რას ნიშნავდა „მ“, „კ“
ან „გ“ არაცნობიერად“. მაგრამ ფსიქიატრის არც ერთი ვარაუდი არა-
ფერს ნიშნავდა. მისმა ვერც ერთმა დიადმა იდეამ ვერ დაძლია მერის
პრობლემები. ვისაც რა უნდა ეთქვა, ეს არაფერს ნიშნავდა და არავი-
თარი საზრისი არ ჰქონდა. ფსიქიატრი ვერ დაეხმარა, ლოგოპედი ვერ
დაეხმარა. დღიური ვერ დაეხმარა. შვედი ვერ დაეხმარა. დოუნის ვერ
დაეხმარა და თვით ოდრი ჰეპბერნის მკაფიო დიქციამაც არავითარი
შედეგი არ გამოიღო. მერი რალაციით იყო შეპყრობილი და თავს ვერ
ითავისუფლებდა. შემდეგ კი უკვე გვიანი იყო: ზღაპრის გულუბრყვი-
ლო პერსონაჟივით, რომელსაც მოტყუებით დააღვინეს შხამი, აკრო-
ბატის შავ ტრიკოში ჩაცმული გოგონა, რომელიც კალიასავით ძალ-
დაუტანებლად დაფრინავდა სკამიდან სკამზე და მუხლებიდან მუხ-
ლებზე, უეცრად გაიზარდა, მშობლებს ხელიდან დაუძვრა, გასუქდა
(განსაკუთრებით ზურგი და კისერი გაუსუქდა). კბილების ხეხვასა და

თმის ვარცხნაზე ხელი აიღო. შინ თითქმის არაფერს ჭამდა, მაგრამ სკოლასა და ქუჩაში, ფაქტობრივად, განუწყვეტლივ შეექცეოდა ჩიზ-ბურგერებს, შემწვარ კარტოფილს, პიცას, სენდვიჩებს, შემწვარ ხახვს, აყოლებდა ვანილიანი რძის კოქტეილებს და შუმხუნა ლიმონათს, ბადაგმოსხმულ ნაყინს და უამრავ ნამცხვარს, ისე, რომ თვალის დახამხამებაში გადაიქცა თექვსმეტი წლის ტლანქ ქალიშვილად, რომელიც თითქმის ექვსი ფუტის სიმაღლისა იყო და ფართო ნაბიჯებით დაალაჯებდა. სკოლაში მას „ჰო ში ლევოვი“ შეარქვეს.

თავისი ნაკლი მან აქცია მაჩეტედ, რომელსაც ყველა ნაბიჭვარი მატყუარას წინააღმდეგ იყენებდა. „ნაბ-ბ-ბოზარი! მ-მ-მაიმუნი!“ - ბუზღუნებდა ყოველთვის, როდესაც ლინდონ ჯონსონს აჩვენებდნენ სალამოს საინფორმაციო გადაცემაში. ტელევიზორის ეკრანზე ვიცე-პრეზიდენტ ჰამფრის დანახვისას კი ყვიროდა: „ეს ყ-ყ-ყეჩ-ჩ-ჩი! ლაჩ-ჩ-ჩარი, ბინძური კ-კოლაბორაციონისტი!“ ერთხელ მამამისი, როგორც წევრი საზოგადოებისა „ნიუ-ჯერსის ბიზნესმენები ომის წინააღმდეგ“, მმართველ კომიტეტთან ერთად ვაშინგტონში გაემგზავრა სენატორთან შესახვედრად. მერიმ არ მოინდომა, მამას გაჰყოლოდა. „კი მაგრამ, შენ ხომ შეძლებ შენი შეხედულებები გამოთქვა სენატორ კეისთან. შეძლებ შეეკამათო მას. ეს არ გინდოდა?“ - უთხრა შვედმა, რომელიც არასოდეს მიეკუთვნებოდა რომელიმე პოლიტიკურ დაჯგუფებას, ამ დაჯგუფების კომიტეტში კი ნებაყოფლობით შევიდა და ათასი დოლარი გადაიხადა საპროტესტო განცხადების გამოქვეყნებისთვის „ნიუარკ-ნიუსში“, რადგან იმედოვნებდა, რომ ეს ნაბიჯები ცოტათი მაინც შეარბილებდა შვილის რისხვას მის მიმართ. „მერი, - უთხრა დედამაც, რომელიც ქვემოდან უცქერდა ზორბა, დაბღვერილ ქალიშვილს, - იქნებ ზეგავლენაც კი მოახდინო სენატორ კეისზე“. „კ-კ-კეისზე?“ - დაიღრიალა მერიმ და მშობლების გასაოცრად, რამდენჯერმე დააფურთხა სამზარეულოს კაფელის იატაკზე.

ეს ბავშვი, რომელიც უწინ „სატელეფონო საუბრების სტრატეგიის“ მემკვიდრით არწმუნებდა საკუთარ თავს, რომ ყურმილის ალების შემდეგ „ალოს“ ოცდაათ წამზე ნაკლები დროის განმავლობაში ამოღებულა, ახლა განუწყვეტლივ ლაპარაკობდა ტელეფონით. ენაბრგვნილობის სატანჯველი დაძლია, მაგრამ ისე არა, როგორც მშობლები და ლოგოპედი იმედოვნებდნენ. მერიმ დაასკვნა, რომ ცხოვრებას უმწარებდა არა თვით ენაბრგვნილობა, არამედ მასთან ამო ბრძოლა. უაზ-

რო ბრძოლა. უბრალოდ, სულელურად იქცეოდა, როდესაც ოლდრიმ-როკელთა - მშობლების, მასწავლებლების, მეგობრების - მოლოდინის გასამართლებლად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ისეთ მეორეხარისხოვან მოვლენას, როგორც ენის მოკიდება იყო. მათთვის მნიშვნელოვანი იყო არა ის, თუ რას ლაპარაკობდა, არამედ - როგორ ლაპარაკობდა. თავისუფლების მოსაპოვებლად ყურადღება აღარ უნდა მიექცია მათი რეაქციისთვის, როდესაც ბგერა „ბ“-ს წარმოთქვამდა. თავს აღარ იწუნებდა იმ უფსკრულზე ფიქრით, რომელიც თანამოსაუბრის ფეხქვეშ ალებდა პირს, როდესაც თავად ენა ებმოდა; ენაბრგვნილობა მისი ცხოვრების ცენტრს აღარ წარმოადგენდა და მან მტკიცედ ირწმუნა, რომ ამას სხვებიც არ ანიჭებდნენ მნიშვნელობას. გადაჭრით თქვა უარი „კარგი გოგონას“ გარეგნობასა და მანერებზე, მთელი ძალ-ღონით აღარ ცდილობდა, სხვა კარგი გოგონებივით საყვარელი და მომხიბვლელი ყოფილიყო, უარი თქვა უაზრო თავაზიანობაზე. ანგარიშს აღარ უწევდა უბადრუკ საზოგადოებრივ აზრს და თავისი ოჯახის „ბურჟუაზიულ“ ფასეულობებს. ისედაც ბევრი დრო დახარჯა თავის თავზე. „არ ვაპირებ, მთელი ცხოვრება ამ იდიოტურ ენაბრგვნილობასთან ბრძოლაში გავატარო, როდესაც ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბ-ბავშვებს ცოცხლად წვავენ ამ წ-წ-წ-წყეული ლინდონ ჯ-ჯ-ჯ-ჯ-ჯ-ჯონსონის გამო!“

ახლა მთელი მისი ენერგია დაუბრკოლებლად იღვრებოდა გარეთ და განამტკიცებდა წინააღმდეგობის უნარს, რომელიც უწინ სხვა მიზნებს ხმარდებოდა. ახლა, როდესაც აღარ წუნდა შეფერხებული მეტყველების გამო, სიცოცხლეში პირველად განიცდიდა არა მარტო სრულ თავისუფლებას, არამედ აბსოლუტურ, დამათრობელ თავდაჯერებასაც. ეს იყო სრულიად ახალი მერი, რომელმაც ამ „ს-ს-საზიზღარი ომისადმი“ წინააღმდეგობაში, ბოლოს და ბოლოს, აღმოაჩინა მიზანი, რომლისთვის ბრძოლასაც მისი მართლაც საოცარი ძალა სჭირდებოდა. ჩრდილოეთ ვიეტნამს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას უწოდებდა და ამ ქვეყნის შესახებ ისეთი პატრიოტული აღტყინებით საუბრობდა, თითქოს (დოუნის თქმით) ნიუარკის „ბეთ ისრაელში“ კი არ დაიბადა, არამედ - ჰანოის „ბეთ ისრაელში“.

- გეფიცები, თუ კიდევ ერთხელ გავიგონებ, როგორ ლაპარაკობს „ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის“ შესახებ, გავგიჟდები, სეიმურ!

შვედი ცდილობდა დაერწმუნებინა ცოლი, რომ ეს ყველაფერი არც ისე საშიში იყო.

- მერის თავისი მრწამსი აქვს, დოუნ. პოლიტიკური პოზიცია აქვს. შეიძლება, დახვეწილობა აკლია, შეიძლება, ჯერჯერობით ვერ პოულობს სწორ ფორმულირებებს, მაგრამ ბევრს ფიქრობს, განიცდის და თანაუგრძნობს...

ქალიშვილთან ყოველ საუბარს დოუნი სასოწარკვეთილებამდე თუ არ მიჰყავდა, ყოველ შემთხვევაში, აიძულებდა, სახლიდან გაქცეულიყო და ბოსლისთვის შეეფარებინა თავი. შვედს ესმოდა, როგორ კინკლაობდნენ დოუნი და მერი, როდესაც ცოტა ხნით მაინც მარტონი რჩებოდნენ. „ბევრი ადამიანი ბედნიერი იქნებოდა, - ეუბნებოდა დედა, - საშუალო ფენის შეძლებული მშობლები რომ ჰყოლოდა“. „მაპატიე, მაგრამ ჩემთვის ჯერ ასე არ გამოურეცხავთ ტვინი“, - პასუხობდა მერი. „თექვსმეტი წლისა ხარ და ჯერ კიდევ შემოიძლია ჭკუა გასწავლო“, - ამბობდა დოუნი. „სწორედ იმიტომ, რომ თ-თ-თექვსმეტი წლისა ვარ, ბ-ბ-ბავშვივით ნუ მელაპარაკები! როგორც მინდა, ისე მოვიქცევი!“ „შენ ომის წინააღმდეგი კი არა, ყველაფრის წინააღმდეგი ხარ“, - ეუბნებოდა დოუნი. „შ-შ-შენ ვის ემხრობი, დედა? ძ-ძ-ძროხებს?“

დოუნი ყოველ საღამოს ტიროდა.

- რა სჭირს? რა ხდება? - ეკითხებოდა ის შვედს. - თუ ადამიანი პატივს აღარ გცემს, რა უნდა ქნა? სეიმურ, გონს ვერ მოვსულვარ. როგორ მოხდა ეს?

- ხდება ხოლმე, - პასუხობდა შვედი. - გოგონას ძლიერი ნებისყოფა აქვს. საკუთარი იდეები. საკუთარი მიზანი.

- საიდან დაიწყო ეს? გაუგებარია. ცუდი დედა ვარ? ასეა?

- კარგი დედა ხარ. შესანიშნავი დედა ხარ. საქმე ეს არაა.

- არ მესმის, რატომ ვძულვარ. ვერ გამიგია, რა დავუშავე ან რა უნდა ჩემგან. არ მესმის, რა მოხდა. რა არის ეს? რატომაა ასეთი? ველარ ვაკონტროლებ. ველარ ვცნობ. ჭკვიანი გოგო მეგონა. ჭკვიანი სულაც არაა. გამოსულელდა, სეიმურ. ამ ჩვენი საუბრების დროს, თითოეულ ჯერზე სულ უფრო სულელი ჩანს.

- არა, ეს უბრალოდ აგრესიულობაა. დრო უნდა გავიდეს, რომ დაწყნარდეს. ისე კი, ჭკვიანია. ძალიან ჭკვიანია. უბრალოდ, გარდატეხის ასაკი აქვს. მოზარდები ასეთები არიან. მოზარდები ასე ბობოქრობენ ხოლმე. ვერაფერს გავაწყობთ, განურჩევლად ყველაფერს უარყოფენ.

- ეს შეფერხებული მეტყველების შედეგია, არა?

- ჩვენ არაფერს ვიშურებთ, რომ განიკურნოს. ყოველთვის ასე ვიქცეოდით.
- იმიტომ ღიზიანდება, რომ ენა ებმის. მეგობრებიც ამიტომ არ ჰყავს.
- მეგობრები ყოველთვის ჰყავდა, ბევრი მეგობარი ჰყავს. გარდა ამისა, ენის მოკიდების შიში დაძლია. ასე რომ, ეს მიზეზი არაა.
- არა, მიზეზი სწორედ ესაა. ამ შიშის დაძლევა შეუძლებელია. ეს მუდმივი შიშია.
- ამით ვერ ახსნი იმას, რაც ხდება, დოუნ.
- თექვსმეტი წლისაა - მიზეზი ესაა? - ჰკითხა დოუნმა.
- თუ ასეა - შესაძლოა, მართლაც ასეა - სანამ თექვსმეტი წლისაა, უნდა გავუძლოთ.
- მერე? თექვსმეტისა რომ აღარ იქნება და ჩვიდმეტისა შესრულდება?
- ჩვიდმეტისა რომ გახდება, შეიცვლება. თვრამეტი წლის რომ გახდება - მაშინაც. ყველაფერი იცვლება. სხვა ინტერესები გაუჩნდება. კოლეჯში დაიწყებს სწავლას. პრობლემაც გადაწყდება. მთავარია, მასთან კონტაქტი არ დაგკარგოთ.
- აღარ შემიძლია. ველარ ველაპარაკები. ახლა ძროხებიც კი სძულს. რა სიგიჟეა!
- მაშინ მე დაველაპარაკები ხოლმე. მთავარია, ბედის ანაბარა არ მივატოვოთ. მაგრამ კაპიტულაციაც დაუშვებელია. განუწყვეტლივ უნდა ველაპარაკოთ, თუნდაც ერთი და იმავე სიტყვების ასჯერ გამეორება მოგვიხდეს. თუნდაც მოგვეჩვენოს, რომ ეს უსარგებლოა. იმის იმედინუ გექნება, რომ ჩვენი შეგონებები დაუყოვნებლივ იმოქმედებს მასზე.
- ჩემზე ის მოქმედებს, რასაც საპასუხოდ მეუბნება.
- მნიშვნელობა არა აქვს, რას გპასუხობს. ჩვენი სათქმელი უნდა ვუთხრათ. თუნდაც ეს უსარგებლოდ მოგვეჩვენოს. ჩვენი პოზიცია უნდა გამოვხატოთ. თუ ასე არ მოვიქცევით, არასოდეს დაგვიჯერებს. თუ ჩვენს პოზიციას გამოვხატავთ, 50%-იანი ალბათობა მაინც იქნება, რომ დაგვიჯერებს.
- თუ ასე არ მოხდა?
- დოუნ, არაფერი დაგვრჩენია იმის გარდა, რომ კეთილგონიერება და სიმტკიცე შევინარჩუნოთ, იმედი და მოთმინება არ დაგკარგოთ.

ერთ მშვენიერ დღეს მერის ყველაფრის უარყოფის სურვილი გაუქრება.

- არ უნდა, რომ თავს მოერიოს.

- ჯერჯერობით. მაგრამ ხვალინდელი დღეც მოვა. მყარი კავშირები გვაერთიანებს. თუ მასთან კონტაქტს შევინარჩუნებთ, თუ კვლავ და კვლავ დავარიგებთ, მაშინ ხვალინდელი დღეც მოვა. რა თქმა უნდა, შეიძლება სიგიჟემდე მიგიყვანოს. მეც ველარ ვცნობ. მაგრამ თუ მოთმინებით ვიქნებით, თუ არ შევწყვეტთ მასთან საუბრებს და ფარხმალს არ დავყრით, ის, საბოლოოდ, ისევ ჩვენი გოგონა გახდება.

ამიტომ, როგორი უიმედოც უნდა ყოფილიყო პერსპექტივა, შვედი ელაპარაკებოდა, უსმენდა, კეთილგონიერებას ინარჩუნებდა. ამ უსასრულო ბრძოლის დროს მოთმინებას არ კარგავდა და როგორც უნდა გააფთრებულიყო მერი, შვედი მაინც თავისას არ იშლიდა. როგორი გამაღიზიანებელიც უნდა ყოფილიყო შვილის პასუხი, როგორი სარკასტული, შხამიანი, ნართაული ან ცრუ პასუხებიც უნდა გაეცა, მამა კვლავ ეკითხებოდა მისი პოლიტიკური საქმიანობის შესახებ, იმის შესახებ, თუ სად მიდიოდა გაკვეთილების შემდეგ, მისი ახალი მეგობრების შესახებ. ეს ალერსიანი დაჟინება გოგონას აცოფებდა, როცა შვედი შაბათობით ნიუ-იორკში მგზავრობების შესახებ ეკითხებოდა. შინ ყოფნისას მერის შექცეული ეყვირა, მაგრამ მაინც ოლდრიმროკელ ბავშვად რჩებოდა. შვედს აშფოთებდა, რომ არ იცოდა, ვის ხვდებოდა გოგონა ნიუ-იორკში.

საუბარი ნიუ-იორკის შესახებ # 1.

- რას აკეთებ, როდესაც ნიუ-იორკში მიემგზავრები? ვის ხვდები ნიუ-იორკში?

- რას ვაკეთებ? ნიუ-იორკს ვათვალიერებ. აი, რას ვაკეთებ.

- იქ რას აკეთებ, მერი?

- იმას, რასაც ყველა აკეთებს. ვიტრინებს ვუყურებ, როგორც ყველა გოგო.

- იმ ადამიანებს ხვდები, რომლებიც პოლიტიკურ საქმიანობას ეწევიან.

- არ ვიცი, რას გულისხმობ. ახლა ყველაფერი პოლიტიკაა. კბილების გახეხვაც პოლიტიკაა.

- იმ ადამიანებს ხვდები, რომლებიც ვიეტნამის ომის წინააღმდეგნი არიან. მათთან შესახვედრად მიემგზავრები ხოლმე? ჰო თუ არა?

- დიახ, ისინი ადამიანები არიან. თავიანთი იდეები აქვთ და ზოგიერთი მ-მ-მათვანი ომის წინააღმდეგია. მათი უ-მ-მ-მრავლესობა ომის წინააღმდეგია.

- ომის მომხრე მეც არა ვარ.

- მაშინ რა გაწუხებს?

- ვინ არიან ეს ადამიანები? რა ასაკისა არიან? რით არსებობენ? სტუდენტები არიან?

- რატომ გაინტერესებს?

- იმიტომ, რომ მინდა ვიცოდე, რას აკეთებ. შაბათობით მარტო მიემგზავრები ხოლმე ნიუ-იორკში. ყველა მშობელი როდი დართავს ნებას თექვსმეტი წლის გოგონას, ასეთ შორ მანძილზე იმგზავროს.

- მე მივდივარ... იქ ადამიანებიც არიან და ძაღლებიც... და ქუჩებიცაა...

- იქიდან უამრავი კომუნისტური მასალა ჩამოგაქვს: წიგნები, ბროშურები და ჟურნალები.

- ვცდილობ ვისწავლო. თვითონ მეუბნებოდი, ისწავლეო, გახსოვს? მხოლოდ სკოლაში სიარული საკმარისი არაა. უნდა ვისწავლო. კ-კ-კომუნისტური...

- დიახ, კომუნისტური. გადავხედე და ვნახე, რომ კომუნისტურია.

- კ-კ-კომუნისტების ყველა იდეა კ-კ-კ-ომუნისტური როდია.

- მაგალითად?

- მაგალითად, სიღარიბის შესახებ. ომის შესახებ, უსამართლობის შესახებ. მათ სხვადასხვაგვარი იდეები აქვთ. შენ ებრაელი ხარ, მაგრამ მხოლოდ იუდაიზმზე ხომ არ ფიქრობ. კ-კ-კომუნისტებიც ასეთები არიან.

საუბარი ნიუ-იორკის შესახებ # 2.

- ნიუ-იორკში ყოფნისას სად იკვებები?

- მაღლობა ღმერთს, ვინსენტის რესტორანში - არა.

- მაინც, სად?

- იქ, სადაც ყველა იკვებება. რესტორნებში. კაფეებში. ბინებში.

- ვის ბინებში?

- ჩემი მეგობრების ბინებში.

- სად გაიცანი ისინი?

- ზ-ზ-ზ-ზოგიერთი - აქ, ზ-ზ-ზ-ზოგიერთი კი - იქ.

- აქ? სად?

- სკოლაში. მაგალითად, შ-შ-შ-ერი.
- შერის არ ვიცნობ.
- თუ გახსოვს, სასკოლო სპექტაკლებზე ვიოლინოზე უკრავდა. ნიუ-იორკში მუსიკაში მეცადინეობს.
- პოლიტიკაში ჩართულია?
- მამა, ყველაფერი პოლიტიკაა. როგორ არ უნდა ჩაერთოს პოლიტიკაში, თუ ტვინი აქვს?
- მერი, არ მინდა, რომ რაიმე ხიფათი შეგემთხვეს. ომი არ მოგწონს. უამრავი ადამიანია ომის წინააღმდეგი. მაგრამ ზოგიერთი ზღვარს სცდება. იცი, რა არის ზღვარი?
- ზღვარი. ამის გარდა არაფერზე ფიქრობ. ზღვარს რომ არ გადავაბიჯო. ჯანდაბა, ზოგჯერ ზღვარს აუცილებლად უნდა გადააბიჯო. როგორ ფიქრობ, რა არის ომი? ომი ზღვარია. ჩვენს ოლდ-რიმროკში ცხოვრება ჩამკვდარია. აქ ზღვარს არავინ გადადის.
- აქაურობა აღარ მოგწონს? ნიუ-იორკში ცხოვრება გინდა? ნამდვილად გინდა?
- აბა რ-რ-რ-ა!
- როდესაც სკოლას დაამთავრებ, ნიუ-იორკში გაემგზავრები და კოლეჯში ისწავლი. გინდა?
- არ ვიცი, ვისწავლი თუ არა კოლეჯში. შეხედე ამ კოლეჯების ადმინისტრაციას! იცი, როგორ ექცევიან სტუდენტებს, რომლებიც ომის წინააღმდეგნი არიან? უმაღლესი განათლება... მე მას უდაბლეს განათლებას ვუწოდებ. შეიძლება ვისწავლო კოლეჯში, შეიძლება - არა. ჯერჯერობით არაფერს ვგეგმავ.
- საუბარი ნიუ-იორკის შესახებ # 18 - მას შემდეგ, რაც მერიმ ღამე შინ არ გაათია.
- ასე აღარასოდეს მოიქცე. აღარასოდეს დარჩე ღამით ადამიანებთან, რომლებსაც არ ვიცნობთ. ვინ არიან ისინი?
- არასოდეს თქვა „არასოდეს“.
- ვინ არიან ისინი, ვისთანაც ღამე გაათიე?
- შ-შ-შერის მეგობრები სამუსიკო სკოლიდან.
- არ მჯერა.
- რ-რ-რატომ? არ გ-გ-გჯერა, რომ შეიძლება მეგობრები მყავდეს? რომ შეიძლება ვილაცას მოვწონდე - ეს არ გ-გ-გჯერა? მაშინ რა გ-გ-გჯერა?

- თექვსმეტი წლისა ხარ. სადამოობით შინ უნდა დაბრუნდე. ღამე ნიუ-იორკში არ უნდა გაათიო.
- ნულარ მიხსენებ ჩემს ასაკს. ყველა რაღაც ასაკისაა.
- გუშინ ველოდებოდით, რომ ექვს საათზე დაბრუნდებოდით. შვიდზე დარეკე და გვითხარი, რომ რჩებოდი. ჩვენ გთხოვეთ, შინ დაბრუნებულყავი. შენ გაჯიუტდი. გვითხარი, რომ ღამის გასათევი ადგილი იპოვე. მე ნება დაგრთე.
- ჰო, ნება დამრთე.
- მაგრამ ასე აღარ მოიქცე. თუ ასეთი რამ განმეორდება, ნიუ-იორკში მარტოს არ გაგიშვებ.
- ვინ ამბობს ამას?
- მამაშენი.
- ვნახოთ.
- მოდი, შევთანხმდეთ.
- რაზე, მამა?
- თუ ნიუ-იორკში ყოფნისას შეგაგვიანდება და მიხვდები, რომ ღამე იქ უნდა გაათიო, უმანოვების ოჯახს მიაკითხე.
- უმანოვების?
- მათ უყვარხარ, შენც გიყვარს ისინი. ბავშვობიდან გიცნობენ. და ძალიან კარგი ბინა აქვთ.
- ბ-ბ-ბინა! იმათ, ვისთანაც ღამე გავათიე, ასევე ძალიან კარგი ბ-ბ-ბინა აქვთ.
- ვინ არიან?
- ხომ გითხარი, შ-შ-შერის მეგობრები არიან.
- რა ჰქვიათ?
- ბ-ბ-ბ-ბილი და მელისა.
- ვინ არიან ბილი და მელისა?
- ადამიანები. როგორც ყველა.
- რით არსებობენ? რამდენი წლისა არიან?
- მელისა ოცდაორისაა, ბილი კი - ცხრამეტისა.
- სტუდენტები არიან?
- ყოფილი სტუდენტები, ახლა ვიეტნამელთა დასახმარებლად ხალხის ორგანიზებას ცდილობენ.
- სად ცხოვრობენ?
- რას აპირებ, მოხვალ და წამომიყვან?

- მინდა ვიცოდე, სად ცხოვრობენ. ნიუ-იორკში სხვადასხვაგვარი რაიონებია: ზოგი კარგია, ზოგიც - ცუდი.
- ძალიან კარგ რაიონში და ძალიან კარგ სახლში ცხოვრობენ.
- სად?
- მ-მ-მ-მორნინგსაიდ ჰაიტსში.
- კოლუმბიის უნივერსიტეტის სტუდენტები არიან?
- ჰო.
- რამდენი ადამიანი ცხოვრობს მათ ბინაში?
- არ მესმის, რატომ უნდა გიპასუხო ამ შეკითხვებზე.
- იმიტომ, რომ ჩემი შვილი ხარ და ჯერ ჩვიდმეტიც კი არ შეგსრულდება.
- ესე იგი, რადგან შენი შვილი ვარ, მთელი სიცოცხლის განმავლობაში უნდა...
- არა, როდესაც თვრამეტისა გახდები და სკოლას დაამთავრებ, როგორც გინდა, ისე მოიქეცი.
- ანუ საქმე მხოლოდ ორ წელშია?
- კი.
- ასეთი რა უნდა მოხდეს ორი წლის განმავლობაში?
- დამოუკიდებელი პიროვნება გახდები და თავის რჩენას შეძლებ.
- თ-თ-თავის რჩენას ახლაც შეეძლებ, თუ მ-მ-მოვინდომებ.
- არ მინდა, რომ ღამეები ბილსა და მელისასთან გაათიო.
- რ-რ-რატომ?
- შენზე ზრუნვა ჩემი პასუხისმგებლობაა. მინდა, რომ ღამლამობით უმანოვებთან დარჩე ხოლმე. თუ ამის პირობას მომცემ, მაშინ ნებას დაგრთავ, ნიუ-იორკში იარო და ღამეებიც იქ გაათიო. სხვა შემთხვევაში იქ აღარ გაგიშვებ. აირჩიე.
- ვისთანაც მინდა, იმასთან გავათევ ღამეებს.
- მაშინ ნიუ-იორკში აღარ გაგიშვებ.
- ვნახოთ.
- არავითარი „ვნახოთ“! არ წახვალ, მორჩა და გათავდა.
- საინტერესოა, როგორ გამაჩერებ.
- კარგად იფიქრე. თუ უმანოვებთან არ მიხვალ ხოლმე, ნიუ-იორკში აღარ წახვალ.
- კი, მაგრამ ომი...
- შენ გამო ვაგებ პასუხს და არა - ომის გამო.

- ვიცი, რომ ომის გამო პასუხს არ აგებ - ამიტომაც მივდივარ ხოლმე ნიუ-იორკში. რ-რ-რადგან იქ ადამიანებს სინდისი ქენჯნით ომის გამო. სინდისი ქენჯნით, რ-რ-რადგან ამერიკა ანადგურებს ვიეტნამის სოფლებს; რ-რ-რადგან ამერიკული ბომბები ნაფლეთებად აქცევენ ვიეტნამელ ბ-ბ-ბავშვებს. არც შენ და არც დედაჩემი ამის გამო თავს არ იტკივებთ. ომი იმდენად არ გაწუხებს, თუნდაც ერთხელ რომ დაარღვიო შენი დღის განრიგი ან ერთი ღამე მაინც გაათენო სახლს გარეთ. ომზე ფიქრს შენთვის არც ერთხელ არ დაუფრთხია ძილი. ეს საკითხი საერთოდ არ გაღელვებს.

საუბრები ომის შესახებ # 24, 25, 26.

- მომბეზრდა ომზე საუბარი, მამა! საკმარისია. ვინ აბარებს ასე ანგარიშს მშობლებს!

- თუკი არასრულწლოვანი ხარ, მთელი დღით მიდიხარ შინიდან და ღამითაც აღარ ბრუნდები, მაშინ მშობლებს ანგარიში უნდა ჩააბარო.

- გ-გ-გ-გადამრევენ ეს კეთილგონიერი მშობლები, რომლებიც ცდილობენ, გ-გ-გ-გულისხმიერება გამოიჩინონ! არ მინდა, რომ გ-გ-გ-გულისხმიერნი იყოთ, თ-თ-თ-თავისუფლება მჭირდება!

- გირჩევნია, გულქვა ვიყო და არა - გულისხმიერი?

- ჰო, მირჩევნია. ვფიქრობ, რომ მირჩევნია! ჯანდაბა! იქნებ თავი დამანებო და საშუალება მომცე, თვითონ გადავწყვიტო ყველაფერი?

საუბარი ნიუ-იორკის შესახებ # 29.

- არა, სანამ არასრულწლოვანი ხარ, უფლება არა გაქვს, დაარღვიო ჩვენი ოჯახის ტრადიციები. მერე კი როგორც გინდა, ისე მოიქეცი. სანამ თვრამეტისა არ შესრულდები, შენ...

- ჩვენი იდიოტური ოჯახის კეთილდღეობის გარდა, სხვა არაფერზე ფიქრობ, არაფერზე ლაპარაკობ და არაფერზე ზრუნავ.

- შენც მხოლოდ ამაზე არ ფიქრობ? ამის გამო არ ბრაზობ?

- არა! სულაც არა!

- ასეა, მერი. ვიეტნამელთა ოჯახების ბედი გაწუხებს. გაშფოთებს, რომ იქ ოჯახები იღუპებიან. ვიეტნამელებსაც ხომ აქვთ ოჯახები, ჩვენსავით, და უფლება აქვთ, იცხოვრონ ისე, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ. განა ეს არ გინდა მათთვის? როგორ წარმოუდგენიათ ბილს და მელისას ვიეტნამელთა ცხოვრება? ის, ჩვენი ცხოვრების მსგავსად, დაცული და მშვიდობიანი უნდა იყოს.

- კომფორტულად იცხოვრონ სიცარიელეში? არა, ბ-ბ-ბილსა და მე-ლისას სულაც არ უნდათ ვიეტნამელებისთვის ასეთი რამ. მეც არ მინდა.

- ნამდვილად არ გინდა? აბა, დაფიქრდი! ჩემი აზრით, მათ მოეწონებოდათ კომფორტული ცხოვრება სიცარიელეში, გულწრფელად გეუბნები.

- მათ, უბრალოდ, უნდათ, რომ ღამით მშვიდად დაიძინონ საკუთარ ქვეყანაში, საკუთარი ცხოვრებით იცხოვრონ და არ ეშინოდეთ, რომ ღამით ააფეთქებ-ბ-ბ-ბენ, ნაფლეთებად აქცევენ იმათი კეთილდღეობისთვის, ვინც ნიუ-ჯერსიში უდარდელად ცხოვრობენ ხარბი სისხლისმსმელების მშვიდობიანი, დაცული, უაზრო ცხოვრებით.

საუბარი ნიუ-იორკის შესახებ # 30 - მას შემდეგ, რაც მერიმ უმანოვების ოჯახში გაათია ღამე.

- ოჰ, ბარი და მარშა ისეთი ლიბერალები არიან! ისეთი კომფორტული ბურჟუაზიული ცხოვრებით ცხოვრობენ!

- ისინი პედაგოგები არიან, აკადემიური წრეების სერიოზული წარმომადგენლები. და ომის წინააღმდეგნი არიან. სტუმრები ჰყავდათ?

- ჰო, პედაგოგები, რომლებიც, ასევე გამობენ ომს. ერთი ინგლისურს ასწავლის, მეორე - სოციოლოგიას და სწორედ ამ უკანასკნელმა განაწყო ომის წ-წ-ინააღმდეგ მთელი ოჯახი. ერთად მონაწილეობენ ომის საწინააღმდეგო მსვლელობებში. აი, ოჯახი ამას ჰქვია! იმ იდიოტურ ძ-ძ-ძ-ძროხებს კი არ ჰგვანან.

- ესე იგი, მათთან ურთიერთობა მოგეწონა.

- არა. ჩემს მეგობრებთან ყოფნა მირჩევნია. არ მინდა, უმანოვებს ვეწვიო ყოველ საღამოს, რვა საათზე. ყველაფერი საინტერესო რვა საათის შემდეგ ხდება. რისთვის წავიდე ოლდ-რიმროკიდან, თუ რვა საათის შემდეგ შენს მეგობრებთან ჯდომა მომიხდება? მინდა, რვა საათის შემდეგ ჩემს მეგობრებთან ვიყო.

- მიუხედავად ამისა, რალაც მაინც გამოგვივიდა. კომპრომისი. შენ ვერ შეძელი მეგობრებთან ყოფნა რვა საათის შემდეგ, მაგრამ, სამაგიეროდ, მათთან მთელი დღე გაატარე, ეს კი უკეთესია, ვიდრე - არაფერი. მიხარია, რომ შევთანხმდით. იმედია, შენც გიხარია. მომდევნო შაბათს გაემგზავრები?

- წინასწარ არაფერს ვგეგმავ.

- თუკი მომდევნო შაბათს გამგზავრებას აპირებ, წინასწარ უნდა დაურეკო უმანოვებს და შეატყობინო, რომ მიხვალ.

საუბარი ნიუ-იორკის შესახებ # 34 - მას შემდეგ, რაც მერის უმანოვებთან ღამე არ გაუთევია.

- ესეც ასე. ჩვენ შევთანხმდით, შენ კი შეთანხმება დაარღვიე. შაბათობით აღარსად წახვალ.

- შინა პ-პ-პატიმრობაში ვარ?

- განუსაზღვრელი ვადით.

- რისა გეშინია? როგორ ფიქრობ, რას ჩავიდენ? მეგობრებთან ვარ ხოლმე. ომისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ვმსჯელობთ. არ მესმის, რატომ მისვამ ამდენ შეკითხვას. ამდენ სისულელეს მაშინ არ მეკითხები, როდესაც ჰემლინის მალაზიიდან შინ ვბრუნდები. რისა გეშინია? შიშისგან იკრუნჩხები! ხომ არ შეიძლება, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, აქ, ტყეებში დაიმალო! ნუ მახვევ თავს შენს შიშს და ნუ ეცდები, ისეთი ლაჩარი ვიყო, როგორებიც შენ და დედაჩემი ხართ! მხოლოდ ძროხებთან ურთიერთობა შეგიძლია. ძროხებთან და ხეებთან. მაგრამ ძროხებისა და ხეების გარდა, არსებობენ ადამიანებიც. ადამიანები, რომლებიც რეალურ ტკივილს განიცდიან. რატომ არ გინდა, ეს აღიარო? გეშინია, რომ ვინმესთან დავწვები? ამისა გეშინია? ისეთი იდიოტი არა ვარ, რომ დავოვრსულდე. განა ოდესმე უპასუხისმგებლოდ მოვქცეულვარ?

- ჩვენი შეთანხმება დაარღვიე. სალაპარაკო აღარაფერი გვაქვს.

- ჩვენ ხომ ერთ კორპორაციაში არა ვართ. ეს ბ-ბ-ბიზნესი არაა, მ-მ-მამა. შინაპატიმრობა? ამ სახლში ყოველდღე ცხოვრება თავისთავად შინაპატიმრობაა.

- არ მომწონს, როცა ასე იქცევი.

- გეყო, მამა. მეც არ მომწონს შენი ქცევა.

საუბარი ნიუ-იორკის შესახებ # 44 - მომდევნო შაბათს.

- სადგურზე არ წავიყვან. სახლიდან არ გახვალ.

- რას აპირებ? ბარიკადებს აღმართავ? როგორ უნდა შემაჩერო? სკამზე დამაბამ? ასე უნდა მოექცე შვილს? ვერ წარმოვიდგენდი, რომ მამაჩემი ფიზიკურად გამისწორდებოდა.

- ფიზიკურად არ გისწორდები.

- მაშ, როგორ უნდა შემაჩერო? დედაჩემის ძროხებივით უტყვი ხომ არა ვარ! არ ვაპირებ, სამუდამოდ ამ სახლში დავრჩე, მისტერ თავშეკა-

ვებავ, სიმშვიდევ და სათნოებავ. რისა გეშინია? რატომ გეშინია ადამიანების? არასოდეს გაგიგონია, რომ ნიუ-იორკი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კულტურული ცენტრია? მის სანახავად ადამიანები მთელი მსოფლიოდან ჩამოდიან. ყოველთვის გინდოდა, რომ მრავალფეროვანი გამოცდილება შემეძინა. რატომ არ უნდა შევხვდე მათ ნიუ-იორკში? ამ სანაგვეს ხომ სჯობს! რა გაწუხებს? გეშინია, რომ რაიმეს დამოუკიდებლად მოვიფიქრებ? რაც შენ ვერ მოიფიქრე, რაც არ ემთხვევა შენს გეგმებს ოჯახთან და წესიერებასთან დაკავშირებით? მე, უბრალოდ, იმ იდიოტურ მატარებელში ჩავჯდები და ქალაქში გავემგზავრები. მილიონობით ქალი და კაცი მატარებლით მიემგზავრება სამუშაოზე. ცუდ ადამიანებს დაუკავშირდები? ღმერთმა ნუ ქნას, რომ ოდესმე თვალსაზრისი შევიცვალო. შენ ირლანდიელი კათოლიკე ქალი შეირთე. რას ფიქრობდა შენი ოჯახი, როდესაც შეუფერებელ ქალზე დაქორწინდი? ის ებრაელზე გათხოვდა. რას ფიქრობდა მისი ოჯახი იმასთან დაკავშირებით, რომ შეუფერებელ მამაკაცს დაუკავშირდა? უარესი რა უნდა გავაკეთო? შეიძლება შავკანიანი შემიყვარდეს - ამისა გეშინია? არა მგონია, მამა. რატომ არ წუხხარ ომზე? რატომ წუხხარ იმაზე, რომ შენი პატარა განებივრებული გ-გ-გოგონა მატარებლით წავა დ-დ-დიდ ქალაქში?

საუბარი ნიუ-იორკის შესახებ # 53.

- ჯერ კიდევ არ გითქვამს, რა ბედი მეწევა, თუკი მ-მ-მატარებელში ჩავჯდები და ქალაქში გავემგზავრები. ნიუ-იორკში სახლებს სახურავები აქვთ, და კლიტეები და კარები. კარებს მხოლოდ ოლდ-რიმროკში როდი კეტავენ. გიფიქრია ოდესმე ამაზე, სეიმურ ლევოვ? გგონია, რომ ყველაფერი, რაც შენთვის მიუღებელია, ცუდია! არ გიფიქრია, რომ შენთვის მიუღებელი შეიძლება კარგი იყოს? და რომ მე, შენმა შვილმა, შეიძლება ინსტინქტურად მივაგნო კარგ ადამიანებს, როდესაც ეს დამჭირდება? დარწმუნებული ხარ, რომ ყოველთვის ჩავისვრი! ოდნავ მაინც რომ მენდობოდე, იფიქრებდი, რომ კარგ ადამიანებს დავუახლოვდი. მაგრამ ჩემი ოდნავადაც არ გჯერა.

- მერი, შენ ხვდები, რასაც ვგულისხმობ. შენ პოლიტიკურ რადიკალებს დაუკავშირდი.

- რადიკალებს! რადგან ისინი არ გეთანხმებიან, ამიტომ რადიკალები არიან.

- ისინი პოლიტიკური ექსტრემისტები არიან.

- რადიკალური იდეების გარეშე ვერაფერს მიაღწევ, მამა.
- მხოლოდ თექვსმეტი წლისა ხარ, ისინი კი ბევრად უფროსები არი-
ან, მეტი გამოცდილება აქვთ.

- ჰოდა, იქნებ მათგან რაიმე ვისწავლო. ექსტრემიზმი - ესაა პატარა ქვეყნის გ-გ-გ-განადგურება თავისუფლების შესახებ გაუკულმართებუ-
ლი შეხედულებების კარნახით. აი, რა არის ექსტრემიზმი. როდესაც ბი-
ჭებს ფეხებს და კვერცხებს აგლეჯ, ეს ექსტრემიზმია, მამა. ავტობუსით
ან მატარებლით ნიუ-იორკში წასვლასა და ჩაკეტილ, საიმედო ბინაში
ლამის გათევამი კი ექსტრემისტული არაფერია. ადამიანმა ღამე სადმე
ხომ უნდა გაათიოს?! მ-მ-მითხარი, რა არის ამაში ექსტრემისტული?
რა არის ამაში ცუდი? ის, რომ ადამიანები რალაცის შეცვლას ცდილო-
ბენ, ექსტრემიზმია? შენი აზრით, ეს ექსტრემიზმია? თუ ასე ფიქრობ, ეს
შენი პრობლემაა. მაგრამ ზოგიერთისთვის ადამიანთა სიცოცხლის გა-
დარჩენა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კოლუმბიის უნივერსიტეტის
დამთავრება. ეს ექსტრემიზმია? არა, ექსტრემიზმი სხვა რამეა.

- ბილსა და მელისას გულისხმობ?

- დიახ, მელისამ სწავლა მიატოვა, რადგან სამეცნიერო ხარისხზე
უფრო მნიშვნელოვანი რამ არსებობს. მკვლელობების აღკვეთა მის-
თვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბაკალავრის დიპლომი. ამას ექ-
სტრემიზმს უწოდებ? არა, ჩემი აზრით, ექსტრემიზმი ისაა, როდესაც
ისე ცხოვრობ, ვითომც აქ არაფერიაო, ირგვლივ კი საშინელებები ხდე-
ბა. როდესაც ადამიანებს ჩაგრავენ, შენ კი ყოველდღე იცვამ კოსტიუმს,
იკეთებ ჰალსტუხს და სამსახურში მიდიხარ, თითქოს არაფერიც არ
ხდება - აი, ესაა ექსტრემიზმი. ეს ექსტრემალური სისულელეა.

საუბარი ნიუ-იორკის შესახებ #59.

- მაინც ვინ არიან ისინი?

- კ-კ-კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლობდნენ. მ-მ-მიატოვეს. ეს
უკვე გითხარი. მ-მ-მორნინგსაიდ-ჰაიტსში ცხოვრობენ.

- ეს ცნობები ჩემთვის საკმარისი არაა, მერი. იქ ნარკოტიკებია, იქ
თავზნებელაღებული ადამიანები არიან. ნიუ-იორკი საშიში ქალაქია.
მერი, შეიძლება რაიმე უბედურება შეგემთხვას. შეიძლება გაგაუპა-
ტიურონ.

- იმიტომ, რომ ჩემს მ-მ-მამიკოს არ დავუჯერე?

- ეს შეუძლებელი სულაც არაა.

- გ-გ-გოგონებს იმისდა მიუხედავად აუპატიურებენ, უჯერებენ ისინი მამიკოებს თუ არა. ზოგჯერ მათ მამიკოებიც აუპატიურებენ. მოძალადეებსაც ჰყავთ შვილები, რომლებიც ძალადობის შედეგად ჩნდებიან ამქვეყნად.

- მოიწვიე ბილი და მელისა. შაბათ-კვირა ჩვენთან გაატარონ.

- გგონია, ამაზე ოცნებობენ?

- მისმინე, იქნებ სკოლაში სექტემბერში გაემგზავრო? იქნებ ბოლო ორი კლასის ნაცვლად მოსამზადებელი კურსები დაამთავრო და შემდეგ ჩააბარო კოლეჯში მისაღები გამოცდები? იქნებ მართლაც აღარ უნდა იცხოვრო ჩვენთან ერთად?

- ყოველთვის ყველაფერს გეგმავ. განუწყვეტლივ ცდილობ, ყველაზე გონივრული კურსი შეიმუშაო.

- აბა, რა ვქნა? არ დავგეგმო? მამაკაცი ვარ. ქმარი ვარ. მამა ვარ. ბიზნესს ვხელმძღვანელობ.

- ბ-ბ-ბ-ბიზნესს ვხელმძღვანელობ, ესე იგი, ვ-ვ-ვარსებობ.

- მრავალნაირი სკოლები არსებობს. მრავალნაირი საინტერესო ადამიანებით, მრავალნაირი თავისუფლებით... მოელაპარაკე თქვენს მრჩეველს. მეც გავიკითხავ და, თუ ჩვენთან ცხოვრება მოგბეზრდა, შეგიძლია რომელიმე სკოლაში გადახვიდე. მესმის, რომ აქ ვერაფრით ერთობი. მოდი, ყველამ ერთად სერიოზულად ვიფიქროთ სხვა სკოლაში შენს გადასვლაზე.

საუბარი ნიუ-იორკის შესახებ # 67.

- შეგიძლია აქტიურად იბრძოლო ომის წინააღმდეგ აქ, მორისტაუნსა და ოლდ-რიმროკში. შეგიძლია ადამიანების ორგანიზება ომის წინააღმდეგ აქ, შენს სკოლაში.

- მამა, მინდა, ეს ჩემებურად გავაკეთო.

- მომისმინე. მომისმინე, თუ შეიძლება. აქ, ოლდ-რიმროკში ომის წინააღმდეგ არავინაა განწყობილი. პირიქით. ოპოზიციაში ყოფნა გინდა? აქ შექმენი ოპოზიცია.

- აქ ვერაფერს გავაწყობ. რა ვაკეთო - მაღაზიის გარშემო მარშით ვიარო?

- შეგიძლია აქ ორგანიზაცია შექმნა.

- „ოლდრიმროკელები ომის წინააღმდეგ“? ეს მართლაც მნიშვნელოვანი იქნება. „მორისტაუნის სკოლა ომის წინააღმდეგ“.

- თუნდაც. გვაჩვენე ომი. განა ეს კარგი ლოზუნგი არაა? აჩვენე ომი შენს ქალაქს. მოგწონს არაპოპულარულობა? არაპოპულარულობა უზრუნველყოფილი გექნება, გარწმუნებ.

- სულაც არ მინდა, არაპოპულარული ვიყო.

- აუცილებლად იქნები, რადგან აქ ეს არაპოპულარული თვალსაზრისია. თუ აქ ხმას აიმაღლებ ომის წინააღმდეგ, დამიჯერე, დიდ დარტყმას მიიღებ. რატომ არ გინდა, რომ გაარკვიო აქაური საზოგადოება ომის საკითხში? ნიუარკიც ხომ ამერიკის ნაწილია.

- უმნიშვნელო ნაწილი.

- ესენი ამერიკელები არიან, მერი. შეგიძლია აქ, ამ ქალაქში აქტიურად იბრძოლო ომის წინააღმდეგ და ნიუ-იორკში აღარ წახვიდე.

- ჰო, შემიძლია ომის წინააღმდეგ აქტიურად ვიბრძოლო აქ, ჩვენს სასტუმრო ოთახში.

- შეგიძლია ადგილობრივი კლუბი გამოიყენო.

- იქ სულ ოცი კ-კ-კაცი ეტევა.

- მორისტაუნის ოლქის მთავარი ქალაქია. შაბათობით შეგიძლია იქ წახვიდე ხოლმე. მორისტაუნში ომის მოწინააღმდეგეებიც არიან. ხომ იცი, მოსამართლე ფონტეინი ომის წინააღმდეგია. მისტერ ევერიც. მათ ჩემთან ერთად მოაწერეს ხელი მიმართვას. მოხუცი მოსამართლე ვაშინგტონში წამოვიდა ჩემთან ერთად. აქაურ საზოგადოებას არ ეპიტნავა, ხელი რომ მოვაწერე პეტიციას, მაგრამ ეს ჩემი პოზიციაა. შეგიძლია მარშის ორგანიზება მორისტაუნში. იმუშავე ამაზე.

- და მორისტაუნის სასკოლო გ-გ-გაზეთი მხარს დამიჭერს. შედეგად კი ჯ-ჯ-ჯარს გამოიყვანენ ვიეტნამიდან.

- ვიცი, რომ უკვე ღიად ლაპარაკობდი ომის შესახებ მორისტაუნის სკოლაში. თუ გგონია, რომ ეს უშედეგოა, მაშინ - რატომ? მაგრამ კარგად იცი, რომ ეს ასე არაა. როდესაც საუბარი ომს ეხება, ყოველი ამერიკელის თვალსაზრისი მნიშვნელოვანია. დაიწყე შენს მშობლიურ ქალაქში, მერი. ეს ყველაფერი აუცილებელია, რათა ომს ბოლო მოეღოს.

- რ-რ-რევოლუციები სოფლად არ იწყება.

- ჩვენ რევოლუციებზე არ ვსაუბრობთ.

ასე დამთავრდა მათი უკანასკნელი საუბარი ნიუ-იორკის შესახებ. იმოქმედა. საუბრები თითქოს უსასრულოდ უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ შვედი მოთმინებითა და სიმტკიცით აღიჭურვა და ამან იმოქმედა. რამდენადაც შვედმა იცოდა, მერი ნიუ-იორკში აღარ გამგზავრებუ-

ლა. დაუჯერა მამის რჩევებს, შინ დარჩა. მაგრამ სასტუმრო ოთახსა და მორისტაუნის სკოლაში ჩატარებული ბრძოლების შემდეგ მერიმ ერთ მშვენიერ დღეს საფოსტო განყოფილება ააფეთქა, და მასთან ერთად - ექიმი ფრედ კოლონი და ადგილობრივი მაღაზიაც - ხის პატარა ნაგებობა განცხადებათა დაფით, ერთადერთი ძველისძველი ცეცხლსაქრობითა და ლითონის ბოძით. ამ ბოძზე რას ჰემლინი, რომელიც ცოლთან ერთად ფლობდა მაღაზიას და განაგებდა ფოსტას, ყოველ დილას ჰკიდებდა ამერიკის დროშას, მას შემდეგ, რაც უორენ გამალიელ ჰარდინგი შერთებული შტატების პრეზიდენტი გახდა.

II დაცემა 4

მერის გაუჩინარებიდან ოთხი თვის შემდეგ შვედს ეახლა მომცრო ტანის ფერმკრთალი ქალიშვილი - მის რიტა კოენი. ერთი შეხედვით, მერიზე უმცროსი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, მისივე თქმით, ექვსი წლით უფროსი გახლდათ. მარტინ ლუთერ კინგის მიმდევარ რაღაც აბერნატივით ეცვა - მოტოციკლისტის კომბინეზონი და ამაზრზენი უზარმაზარი ფეხსაცმელები. ხვეული, გრუზა თმა ნაზ, ბავშვურ სახეს არ უხდებოდა. შვედს მაშინვე უნდა გამოეცნო, ვინ იყო ეს ქალიშვილი - ის ხომ მთელი ოთხი თვის განმავლობაში ელოდა ვიღაც ასეთს - მაგრამ გოგონა ისეთი ციციქნა, ნორჩი და უმწეო იყო... შვედმა ვერც კი დაიჯერა, რომ მის რიტა კოენი პენსილვანიის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ფინანსების უორტონის სკოლის სტუდენტი იყო და დიპლომს ნიუარკის ტყავის მრეწველობის შესახებ წერდა. როგორ იფიქრებდა, რომ სწორედ ამ პროვოკატორმა ჩააგონა მერის იდეები მსოფლიო რევოლუციის შესახებ.

იმ დღეს, როდესაც ფაბრიკაში რიტა კოენი გამოჩნდა, შვედმა არ იცოდა, რომ ქალიშვილი უამრავჯერ გაძვრა-გამოძვრა სატვირთო პლატფორმის ქვეშ და მოახერხა, გზა აებნია გამოძიებათა ფედერალური ბიუროს ჯგუფისთვის, რომელიც სენტრალ-ავენიუზე მორიგეობდა და თვალყურს ადევნებდა ოფისის ყველა სტუმარს.

წელიწადში სამჯერ ან ოთხჯერ ვინმე აუცილებლად ითხოვდა (წერილობით ან ტელეფონით) ფაბრიკის დათვალიერების ნებართვას. მართალია, ლუ ლევოვი ძალიან დაკავებული იყო, მაგრამ მაინც ყოველთვის პოულობდა დროს ნიუარკელი მოსწავლეების, სკაუტთა რაზმის ან ცნობილი პიროვნებების (რომელთაც, ჩვეულებრივ, ქალაქის მერიის ან სავაჭრო პალატის წარმომადგენლები ახლდნენ) მისაღებად. მამისგან განსხვავებით, შვედს ხელთათმანების წარმოებაში მოპოვებული ავტორიტეტი დიდ სიამოვნებას არ ანიჭებდა - არასოდეს ჰქონია პრეტენზია, ყოფილიყო სპეციალისტი ტყავის ინდუსტრიაში ან რომელიმე სხვა სფეროში - მაგრამ ზოგჯერ მაინც პასუხობდა ტელეფონით იმათ კითხვებს, ვინც ამ სპეციალობას შეისწავლიდნენ. თუ სტუდენტი,

მისი აზრით, საკმარისად სერიოზული იყო, მისთვის მცირე ექსკურსიასაც აწყობდა.

შვედმა არ იცოდა, რომ ეს „სტუდენტი“ საკუთარმა ქალიშვილმა მოუგზავნა, თორემ შეხვედრას ფაბრიკაში არ დაუნიშნავდა. რიტას ექსკურსიის ბოლომდე არ განუმარტავს, ვისი ემისარი გახლდათ და არც არაფერი უთქვამს მერის შესახებ - ალბათ იმიტომ, რომ სურდა, ჯერ შვედის ხასიათში გარკვეულიყო. შესაძლოა იმიტომ არ თქვა არაფერი, რომ უბრალოდ ერთობოდა; ან იქნებ ძალაუფლების შეგრძნება სიამოვნებას ანიჭებდა... შესაძლოა, პოლიტიკოსებს წააგავდა და მის ქცევას ძალაუფლებით ტკბობა განსაზღვრავდა.

შვედის მაგიდა მინის კედლით იყო გამოყოფილი საწარმოო განყოფილებისგან. ამიტომ ის და დაზგებთან მჯდარი მუშა ქალები ერთმანეთს ხედავდნენ. შვედმა ეს ზღუდე იმიტომ აღმართა, რომ თავი დაეცვა დაზგების ხმაურისგან და, ამავე დროს, თვალყური ედევნებინა საამქროს მუშაობისთვის. მამამისს კატეგორიულად არ სურდა არც მინის და არც არანაირ ოფისში ჯდომა: თავისი მაგიდა ორას საკერავ მანქანას შორის დადგა და ამ გადაჭედილი სკის ცენტრში დედა ფუტკარივით ბატონობდა. ხალხი მის გარშემო ფუტკრის გუნდივით ზუზუნებდა, ლუ კი ტელეფონით ელაპარაკებოდა კლიენტებს და მენარდეებს, ვითომც აქ არაფერიყო და, იმავდროულად, დოკუმენტებს კითხულობდა. მისი თქმით, საამქროში იმიტომ უნდა მჯდარიყო, რომ კონტრაპუნქტულ გუგუნში მყისვე გაერჩია დაზიანებული „ზინგერის“ ხმა. თავისი სახრახნისით მანამდე აღმოჩნდებოდა ხოლმე საკერავ მანქანასთან, ვიდრე მუშა გოგონა დასახმარებლად ოსტატს მოიხმობდა. ასე ჰყვებოდა (მისთვის დამახასიათებელი შეკავებული აღფრთოვანებით) საამქროს უფროსი - ვიკი, ხანდაზმული შავკანიანი ქალი - იმ ბანკეტზე, რომელიც ლუ ლევოვის ფაბრიკიდან წასვლის აღსანიშნავად გაიმართა. ვიკი ჰყვებოდა, რომ თუკი მუშაობა დაუბრკოლებლად მიმდინარეობდა, ლუ ვერ ისვენებდა, ცქმუტავდა, მაგრამ როდესაც მასთან გამომჭრელი ბრიგადირს უჩიოდა, ბრიგადირი კი - გამომჭრელს; როდესაც ტყავები - თანაც დაზიანებული ან უხარისხო - ერთი თვის დაგვიანებით შემოჰქონდათ ფაბრიკაში; როდესაც ამჩნევდა, რომ სასარჩულე ქსოვილის მიმწოდებელი ფასში ატყუებდა, ხოლო ექსპედიტორი უსინდისოდ ცრუობდა; როდესაც იგებდა, რომ დამჭრელი მანქანის ოპერატორი, რომელსაც მუქმინიანი სათვალე ეკეთა და წითელი

„კორვეტის“ მფლობელი გახლდათ, მალულად ბუკმეკერობდა და მუშებისგან ფსონებს იღებდა, მაშინ თავის სტიქიაში გრძნობდა თავს და საკუთარი შეუდარებელი მეთოდებით ცდილობდა სიტუაციის გამოსწორებას. „სიტუაციის გამოსწორების შემდეგ მშვიდად განაგრძობდა ფუსფუსს, - თქვა შვედმა (რომელიც ამაყობდა მამით) იმ სალამოს წარმოთქმულ ყველაზე გრძელ, იუმორით გამსჭვალულ სადღეგრძელოში. - სიგიჟემდე მივყავდით. მაგრამ იმის გამო, რომ ყოველთვის უარესს მოელოდა, მნიშვნელოვანი იმედგაცრუება არ განუცდია. უსიამოვნებები არასდროს იყო მოულოდნელი. ეს კი, ისევე, როგორც თვით „ნიუარკ-მეიდი“, ამტკიცებს, რომ მოუსვენრობა და მღელვარება აუცილებელია. ქალბატონებო და ბატონებო, შევსვით იმ ადამიანის სადღეგრძელო, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში მწვრთნიდა - და არა მხოლოდ მოუსვენრობის ხელოვნებაში; ადამიანისა, რომელმაც ჩემი ცხოვრება სწავლის განუწყვეტელ პროცესად აქცია, ზოგჯერ ძნელ, მაგრამ ყოველთვის სასარგებლო პროცესად; რომელმაც - როდესაც ხუთი წლის ბიჭი ვიყავი - განმიმარტა პროდუქტის სრულყოფილებამდე მიყვანის საიდუმლო; რომელიც წარმატებით საქმიანობდა ამ პროფესიაში იმ დღიდან, თოთხმეტი წლისამ ტყავის თრიმვლა რომ დაიწყო და ხელთათმანების დამზადების უდიდესი ოსტატი გახდა. მისტერ „ნიუარკ-მეიდის“, მამაჩემის, ლუ ლევოვის სადღეგრძელო!“ „მისმინეთ, - დაიწყო მისტერ „ნიუარკ-მეიდმა“, - ნურავინ მოგატყუებთ. მიყვარს მუშაობა, მიყვარს ხელთათმანების ბიზნესი და მიყვარს რთული პრობლემების გადაჭრა. არ მსიამოვნებს, რომ ამ საქმეს ვტოვებ. ვფიქრობ, რომ პირველი ნაბიჯი გადავდგი სასაფლაოსკენ. მაგრამ ეს ყველაფერი არ მაწუხებს ერთი მიზეზის გამო - იმის გამო, რომ მსოფლიოში უბედნიერესი კაცი ვარ. ჩემი ბედნიერება ჩემი ოჯახია. კონკურენტს რომ გამოვედევნე აქედან, აქ არ ვიდგებოდი და არ გაგიღიმებდით: თქვენ ხომ მიცნობთ - ვიყვირებდი. მაგრამ აქედან საყვარელმა ვაჟიშვილმა გამაძევა. ღვთის წყალობით, მყავს ისეთი საუკეთესო ოჯახი, როგორიც კი შეიძლება ინატროს კაცმა: შესანიშნავი ცოლი, ორი შესანიშნავი ვაჟი, შესანიშნავი შვილიშვილები...“

შვედმა სთხოვა ვიკის, ოფისში ცხვრის ტყავი მოეტანა და უორტონელ სტუდენტ გოგონას შესთავაზა, ხელით მოესინჯა იგი.

- ფერმჭერითაა დამუშავებული, მაგრამ ჯერ გათრიმლული არაა. ბეწვიანი ტყავია. მატყლი კი არაა, რაც შინაურ ცხვრებს აქვთ, არამედ

ბეწვი.

- რას უშვრებით ბეწვს? რამეში იყენებთ?

- კარგი შეკითხვაა. ბეწვს ხალიჩების დასამზადებლად იყენებენ. ამ-სტერდამში, ნიუ-იორკში. „ბაიგლოუ“. „მოჰავკი“. მაგრამ ძირითადად ტყავი გამოიყენება. ბეწვი გვერდითი პროდუქტია და მისი მოცილება ტყავისგან და სხვა დანარჩენისგან სრულიად სხვა საქმეა. სანამ სინ-თეტიკა გავრცელდებოდა, ბეწვს, უპირატესად, იაფფასიანი ხალიჩების დასამზადებლად ხმარობდნენ. შუამავალ კომპანიას ბეწვი ხალიჩების სახელოსნოებში გადააქვს, მაგრამ ეს თქვენთვის უკვე ზედმეტი ინ-ფორმაციაა, - თქვა შვედმა. შეამჩნია, რომ გოგონამ თავისი ყვითელი ბლოკნოტის მთელი გვერდი შეავსო, მიუხედავად იმისა, რომ საუბარი სულ ცოტა ხნის წინ დაიწყო. - მაგრამ თუ მაინც გაინტერესებთ, - დასძინა შვედმა, რომელსაც გული მოუღობო გოგონას გულმოდგინებამ, - ჩემი აზრით კი, საჭიროა ყველაფრის კომპლექსურად შესწავლა - შე-მიძლია ამ ადამიანებთან გაგზავნოთ. მგონი, მათი ოჯახი ჯერ კიდევ აქ ცხოვრობს. ეს ნაკლებად ცნობილი ბიზნესია, მაგრამ - საინტერესო. ეს ყველაფერი საინტერესოა. საინტერესო თემა აგირჩევიათ, ქალიშვი-ლო.

- მეც ასე ვფიქრობ, - გულლიად გაუღიმა გოგონამ.

- ამ ტყავს კი, - შვედმა მას ტყავი გამოართვა და ცერი გვერდულად გადაუსვა, ისე, როგორც კატას ეფერებიან ხოლმე, რომ დაიკრუტუნოს, - ტყავის გამოყვანის ოსტატები კაბრეტას უწოდებენ. პატარა ცხვრის ტყავია. ეკვატორიდან ჩრდილოეთით ან სამხრეთით, ოცი-ოცდაათი გრადუსის დაშორებით ბინადრობენ. ნახევრადველური ცხოველები არიან. აფრიკის სოფლებში ყოველ ოჯახს ჰყავს ოთხი-ხუთი ასეთი ცხვარი, ერთ ფარად აერთიანებენ და საძოვრად უშვებენ. ტყავის ეს ნაჭერი უკვე ნედლეული აღარაა. ამ ნაჭრებს ვყიდულობთ ფერმჭერით დამუშავების სტადიაზე, უკვე ბეწვმოცილებულს და კონსერვანტებით დამუშავებულს. უწინ ნედლ, ჰაერზე გამომშრალ ტყავებს ვყიდულობ-დით - უზარმაზარ, თოკით შეკრულ ფუთებს. სადაც მაქვს - შემიძ-ლია ვიპოვო, თუ მისი ნახვა გასურთ - გემის 1790 წლის დეკლარაცია, სადაც ნახსენებია ბოსტონში ტყავების გადმოტვირთვა, ისეთივე ტყა-ვების, როგორებიც შარშანდლამდე შემოგვქონდა იმავე აფრიკული ნავსადგურებიდან.

შვედის მამა სწორედ ასე დაელაპარაკებოდა გოგონას. რამდენადაც შვედს ახსოვდა, მის მიერ ახლა ნათქვამი ყოველი ფრაზის ყოველი სიტყვა მამისგან ჰქონდა გაგონილი ჯერ კიდევ დაწყებით სკოლაში სწავლის დროს, შემდეგ - კიდევ მრავალჯერ, იმ ათწლეულების განმავლობაში, როდესაც ერთად მართავდნენ ბიზნესს. ხელთათმანების ოსტატები ყველა დროში სიამოვნებით ჰყვებოდნენ თავიანთი საქმიანობის შესახებ - საუკეთესონი თავიანთ საიდუმლოებებს შვილებს გადასცემდნენ, საქმის ისტორიას, პროფესიულ ცოდნას აცნობდნენ. იგივე ხდებოდა მთრიმლავებთანაც: ტყავის თრიმვლის (ისევე, როგორც კერძების) რეცეპტები მემკვიდრეობით გადაეცემოდა ხოლმე მამისაგან შვილს. ასეთივე სიტუაცია იყო ხელთათმანების მაღაზიებში და გამომჰრელებთან. ბებერი იტალიელი გამომჰრელები მხოლოდ თავიანთ ვაჟიშვილებს მოძღვრავდნენ, ამ უკანასკნელთ პროფესიულ ცოდნას მხოლოდ მამები აწვდიდნენ - ხუთი წლიდან სიმწიფის ასაკამდე. მამას შეუვალი ავტორიტეტი ჰქონდა და მისი აღიარება იმ ოსტატობის დაუფლებას ნიშნავდა, რომელმაც „ნიუარკ-მეიდი“ ქალის ხელთათმანების საუკეთესო მწარმოებლად აქცია. შვედმა მალე შეიყვარა ის, რაც მამამისს უყვარდა და მამის მსგავსად - მთელი სულითა და გულით. ფაბრიკაში მეტ-ნაკლებად მამის ხაზს აგრძელებდა. მის ხმაშიც კი მამის ინტონაციები ისმოდა - ყოველ შემთხვევაში, მაშინ, როდესაც საუბარი ეხებოდა ტყავს, ნიუარკს ან ხელთათმანებს.

მერის გაუჩინარების შემდეგ პირველად აეშალა ლაპარაკის საღერ-ღელი. ამ დილამდე მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა - ეტირა ან სად-ღაც დამალულიყო. მაგრამ უნდა ენუგეშებინა დოუნი, წარემართა ბიზნესი და გაემხნევებინა მშობლები - ყველანი ხომ გაოგნებულნი და განადგურებულნი იყვნენ ამ წარმოუდგენელი ამბით. ამიტომ არც შეკავებულ ცრემლებს და არც დამალვის სურვილს საბოლოოდ არ გაუნადგურებია დამცველი ნილაბი, რომლითაც შვედი ოჯახსა და სამყაროს წარუდგებოდა. ახლა კი გაიტაცა და შთააგონა სიტყვებმა, მამამისის სიტყვებმა, რომლებიც ამ ბლოკნოტიანი კაფანდარა გოგონას ხილვამ ათქმევინა. გოგონა სიმაღლით თითქმის ისეთივე იყო, როგორიც - მერის თანაკლასელები, რომლებიც ერთხელ (ორმოცდაათიანი წლების ბოლოს) აქ, სკოლიდან ოცდათვრამეტი მილით დაშორებულ ადგილას, ავტობუსით მოიყვანეს, რათა მერის მამას ეჩვენებინა მათთვის, როგორ ამზადებს ხელთათმანებს და, რაც მთავარია, ეჩვენებინა,

გოგონას თქმით, ჯადოსნური ადგილი: ვეება მაგიდა, რომელზეც ხორციელდებოდა უკანასკნელი ოპერაცია - ხელთათმანებისთვის ფორმის მიცემა. ყოველ ხელთათმანს მუშები ფრთხილად აცვამდნენ გავარვარებულ სპილენძის ხელებზე. გაფარჩხული მოლაპლაპე ხელები ისეთი სიფრიფანა იყო, თითქოს საჯანდრავმა გადაუარა და შემდეგ მოჭრესო. ტანისგან მოცილებული ეს ხელები სივრცეში აჩრდილებივით ფარფატებდნენ. პატარა მერი მონუსხული იყო „იდუმალი ხელებით“. „თორმეტი ცალი ხუთი დოლარი ღირს“, - უხსნიდა ის თანაკლასელებს და იმეორებდა მეხელთათმანების ფრაზას, რომელიც ბავშვობიდან ესმოდა - სწორედ ამდენი და არც ერთი ცენტით მეტი უნდა მიეღოთ თავიანთი პროდუქციის სანაცვლოდ. „მენარდე მუშები ყოველთვის თაღლითობენ. ჩემს მამიკოს ერთის სამსახურიდან დათხოვა მოუხდა. დროს იპარავდა“, - ეჩურჩულებოდა მერი მასწავლებელს. გოგონა ალტაცებული იყო თვით ამ ფანტასტიკური იდეით - დროის მოპარვით. შვედი იძულებული გახდა, მისთვის ეთქვა: „შვილო, ნება მომეცი, მე თვითონ ჩავატარო ექსკურსია“. მერი, ამაყი პატარა დიასახლისი, სართულიდან სართულზე დაჰქროდა, შინაურულად ელაპარაკებოდა მუშებს, თავი მოჰქონდა იმით, რომ ყველაფერი იცოდა. ჯერჯერობით წარმოდგენა არ ჰქონდა იმის შესახებ, რაოდენ შეურაცხმყოფელია ადამიანის ღირსებისთვის უმოწყალო ექსპლუატაცია შემოსავლებზე დახარბებული მეპატრონის მხრიდან, რომელიც უსამართლოდ ფლობს საწარმოო საშუალებებს. გასაკვირი არაა, რომ შვედს მოუხდა, სიტყვიერად გადმოეცა თავისი აზრები. წამიერად დაუბრუნდა იმ დროს: ჯერ არაფერია აფეთქებული, არაფერია დანგრეული; ოჯახი, რაკეტის მსგავსად, ემიგრანტული ბედ-იღბლის ტრაექტორიით მიფრინავს ზევით: მონური შრომით ქანცაწყვეტილი წინაპრებიდან საკუთარი ცხოვრებით მცხოვრები ბაბუისკენ, მისგან - თავდაჯერებული, შემდგარი, დამოუკიდებელი მამისკენ, რომლის დანიშნულებასაც წარმოადგენდა მეოთხე თაობის წარმომადგენლის, იმ უზენაესი არსების აღზრდა, ვისთვისაც ამერიკა ჭეშმარიტი სამოთხე უნდა ყოფილიყო. გასაკვირი არ იყო, რომ თავი ვერ შეიკავა და ალაპარაკდა. თავის შეკავება შეუძლებელი გახლდათ. შვედმა ვერ დაძლია ჩვეულებრივი ადამიანური სურვილი, კვლავ განეცადა წარსული - თავი მოეტყუებინა და რამდენიმე ნეტარი წამი გაეტარებინა ჯანსაღ წარსულში, როდესაც ოჯახს განამტკიცებდა არა გამანადგურებელი ძალების რწმენა, არა-

მედ ამ ძალების თავიდან აცილების ან დაძლევის აუცილებლობა რაციონალური ცხოვრების უტოპიის შექმნის გზით.

- რამდენია ერთ პარტიაში? - გაიგონა მან გოგონას ხმა.
- რამდენი ტყავი? დაახლოებით ოცდაოთხი ათასი.
- ერთ ფუთაში?

შვედს სიამოვნებდა, რომ გოგონას აინტერესებდა ეს დეტალები. ამ ბეჯით უორტონელ სტუდენტ გოგონასთან საუბრისას უეცრად ძალის მოზღვავება იგრძნო, თუმცა ოთხი თვის განმავლობაში ყველაფრის მიმართ განურჩეველი იყო, ყველაფერი აღიზიანებდა, არაფერში ჩაღრმავება არ სურდა. ნებისმიერი ქმედება ამაოებად წარმოუდგებოდა.

- ყოველ ფუთაში ას ოცი ტყავია, - მიუგო შვედმა.
- ისინი პირდაპირ ჩამოსატვირთ საამქროში მიაქვთ? - ჰკითხა გოგონამ. თან წერას განაგრძობდა.

- ისინი მიაქვთ სათრიმლავ საამქროში, რომელიც ჩვენი კონტრაქტორია. მასალას ვყიდულობთ და მათ ვაძლევთ. იქ ტყავებს ჩვენი ტექნოლოგიით ამუშავებენ. ბაბუაჩემი და მამაჩემი აქ, ნიუარკში მუშაობდნენ სათრიმლავ საამქროში. მეც ვმუშაობდი ექვსი თვის განმავლობაში, როდესაც ბიზნესში ჩავერთე. ყოფილხართ სათრიმლავ საამქროში?

- არა.
- თუკი აპირებთ, ტყავის დამუშავების ტექნოლოგია აღწეროთ, სათრიმლავი საამქრო აუცილებლად უნდა დაათვალიეროთ. თუ გინდათ, ამას მოგიხერხებთ. იქ შრომის პრიმიტიული ორგანიზაციაა. ზოგიერთ ტექნიკურ გაუმჯობესებას თუ არ ჩავთვლით, რასაც ნახავთ, ძალზე წააგავს იმას, რასაც ასეულობით წლების წინ ნახავდით. სამინელი სამუშაოა. ამბობენ, რომ ეს უძველესი ხელობაა, რომლის კვალიც სად აღარ აღმოაჩინეს. სადღაც - მგონი, თურქეთში - ექვსი ათასი წლის წინ არსებული სათრიმლავი საამქროს ნანგრევები იპოვეს. თავდაპირველად ტანისამოსად, უბრალოდ, კვამლით გათრიმლულ ტყავებს იყენებდნენ. უკვე გითხარით, რომ თუკი ჩაუღრმავდებით, აქ ბევრი რამაა საინტერესო. მამაჩემი ტყავის დამუშავების სპეციალისტია. კარგი იქნებოდა გასაუბრებოდით, მაგრამ ახლა ფლორიდაში ცხოვრობს. თუ ხელთათმანების შესახებ ალაპარაკდება, ორი დღე ილაპარაკებს. ჩვენ ყველანი ასეთები ვართ. მეხელთათმანეებს უყვართ თავიან-

თი საქმე და ყველაფერი, რაც მას უკავშირდება. მითხარით, მის კოენ, ოდესმე გინილავთ წარმოების პროცესი?

- არა.

- არასოდეს გინახავთ, როგორ ამზადებენ რაიმე ნივთს?

- პატარაობისას ვუყურებდი, როგორ აცხობდა დედაჩემი ტორტს.

შვედს გაეცინა. გოგონამ გააცინა. გულუბრყვილო გოგონა იყო, სწავლას მოწყურებული. შვედის ქალიშვილი რიტა კოენზე მთელი ფუტით მაღალი იყო და შავი კი არა, ქერა თმა ჰქონდა. მაგრამ, საერთოდ, რიტა კოენი, შეუხედავი გარეგნობის მიუხედავად, რალაციით მერის წააგავდა - იმ მერის, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო გამსჭვალული წინააღმდეგობისა და სიძულვილის სულისკვეთებით.

მერის ბრწყინვალე ინტელექტი თავს იჩენდა, როდესაც შინ დაბრუნებული ჩქარობდა მოეყოლა, რა შეისწავლა სკოლაში. არაჩვეულებრივი მეხსიერება ჰქონდა! ყველაფერს გულმოდგინედ იწერდა რვეულში და სწრაფად იმახსოვრებდა.

- ასე მოვიქცეთ: მთელ პროცესს დავაკვირდეთ. წავიდეთ. ერთ წყვილ ხელთათმანს დაგიმზადებთ და ყველაფერს თვითონვე ნახავთ, თავიდან ბოლომდე. რა ზომას ხმარობთ?

- არ ვიცი. პატარას.

შვედი წამოდგა, გოგონასთან მივიდა და ხელზე ხელი მოჰკიდა.

- ძალიან პატარაა. ალბათ ოთხ ნომერს ხმარობთ.

შვედმა ზედა უჯრიდან მარყუჟიანი საზომი ლენტი ამოიღო და ხელი გაუზომა გოგონას.

- ახლა ვნახოთ, როგორი თვალის ზომა მაქვს. ხელი მომუჭეთ.

გოგონამ ხელი მომუჭა, რის გამოც ხელის ზურგი ცოტათი გაუფართოვდა. შვედმა ფრანგულ ღუიშებს დახედა:

- დიახ, ოთხია. ქალის ყველაზე პატარა ზომაა. ამაზე პატარა მხოლოდ ბავშვის ხელთათმანებია. წავიდეთ, გაჩვენებთ, როგორ კეთდება ყველაფერი.

როდესაც ძველი კიბის ხის საფეხურებზე გვერდიგვერდ ადიოდნენ, შვედს მოეჩვენა, რომ წარსულში დაბრუნდა. თხრობისას ესმოდა თავისი ხმა (იმავედროულად, თითქოს მამამისის ხმაც):

- ტყავები ფაბრიკის ჩრდილოეთისკენ გამავალ სათავსოებში უნდა დაახარისხონ - იქ მზის პირდაპირი სხივები ვერ აღწევს. მხოლოდ ამგვარ პირობებში შეიძლება ტყავების ხარისხზე დაკვირვება, რასაც

მზის სხივები ხელს უშლის. დახარისხება და თარგის ჭრა - ყოველთვის ჩრდილოეთ ნაწილში. დახარისხება - ზედა სართულზე. თარგის ჭრა - მესამეზე. მეორე სართულზე, საიდანაც მოვლივართ, კერავენ. ქვედა სართულზე საბოლოოდ აფორმებენ, შემდეგ კი მზა ნაწარმი გააქვთ. ჩვენ ყველა ეტაპს ვნახავთ.

სწორედ ასე მოიქცნენ. შვედი ბედნიერი იყო. თავს ვერ ერეოდა. ეს სისულელეა. არარეალურია. თავი უნდა მოთოკოს... მაგრამ გოგონა გატაცებით იწერდა რალაცებს ბლოკნოტში და შვედი მღელვარებას ვერ იოკებდა: ამ გოგონამ იცოდა სიბეჯითისა და გულმოდგინების ფასი, აინტერესებდა ტყავის დამუშავებისა და ხელთათმანების დამზადების ტექნოლოგია. შვედი მოიხიბლა. როდესაც ადამიანი ისე იტანჯება, როგორც ის იტანჯებოდა, სულიერი აღტყინების (რაოდენ გაურკვეველიც უნდა იყოს მისი მიზეზი) ჩაცხრობა მის ძალას აღემატება.

საგამომჭრელო საამქროში, სადაც ოცდახუთი კაცი მუშაობდა - თითოეულ მაგიდასთან ხუთი-ექვსი - შვედმა გოგონას ყველაზე ხანდაზმული მუშა გააცნო და დაამატა, ეს ოსტატიაო. ამ ტანდაბალ მელოტ კაცს ყურსასმენი აპარატი ეკეთა და კვადრატულ ტყავს ამუშავებდა.

- ტყავის ამგვარ ნაჭრებს „ტრანკებს“ უწოდებენ, - განმარტა შვედმა. - სწორედ მათგან ამზადებენ ხელთათმანებს.

ოსტატი სახაზავითა და მაკრატლით მუშაობდა მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ შვედი გოგონას მის შესახებ უყვებოდა. შვებით უყვებოდა. თითქოს სივრცეში ფარფატებდა. შეუჩერებლივ. მამამისის სიტყვათა მწყობრი ნაკადი ძალდაუტანებლად იღვრებოდა მისი პირიდან.

სწორედ საგამომჭრელო საამქროში იგრძნო ოდესღაც შვედმა სურვილი, მამის კვალს გაჰყოლოდა. სწორედ აქ იქცა, მისი რწმენით, ბიჭიდან მამაკაცად. ბავშვობიდანვე მისი საყვარელი ადგილი იყო ჭერმალა, კარგად განათებული საგამომჭრელო საამქრო, სადაც ერთნაირ სამეულებში, გახამებულ თეთრ პერანგებსა და აჭიმებიან შარვლებში გამოწყობილი ჰალსტუხიანი ხანდაზმული ევროპელი გამომჭრელები სამუშაოდ მოდიოდნენ. ყოველი გამომჭრელი ფრთხილად იხდიდა პიჯაკს და კარადაში ჰკიდებდა, მაგრამ არც ერთს არასოდეს შეუხსნია ჰალსტუხი. მხოლოდ ზოგიერთი აძლევდა თავს უფლებას, ჟილეტი გაეხადა ან სახელოები აეკაპიწებინა, სანამ გაქათქათებულ წინსაფარს ჩამოიცვამდა, სველ მუსლინში გახვეულ ტყავს გამლიდა და მის გაჭიმ-

ვას შეუდგებოდა. ჩრდილოეთისკენ გამავალ კედელში გამოჭრილი ფანჯრებიდან გრილი, თანაბარი შუქი ეცემოდა ხის მაგიდებს, რომლებზეც ტყავებს ახარისხებდნენ, არჩევდნენ და ჭრიდნენ. მრგვალი-დეებიანი გლუვი მაგიდები გაპრიალებულიყო იმ წლების განმავლობაში, როდესაც მათზე სიგრძე-სიგანით ჭიმავდნენ ტყავებს. ეს მაგიდები ისე იზიდავდა ბიჭს, რომ უნდოდა, მისულიყო და ლოყით მიკვროდა ამოზურცულ ხის ზედაპირს, მაგრამ თავს იკავებდა, სანამ მარტო არ დარჩებოდა. ხის იატაკი მთელი დღეების განმავლობაში ფეხზე მდგარი მუშების ფეხსაცმელს დაეღარა და როდესაც საამქროში არავინ იყო, შვედი მაგიდასთან ისე დგებოდა, რომ მისი ფეხსაცმელი სხვისი ნაკვალევის ოდნავ შესამჩნევ კონტურებში ჩატეულიყო. გამომჭრელთა მუშაობაზე დაკვირვებისას ხვდებოდა, რომ ისინი ელიტას მიეკუთვნებოდნენ და იმასაც ამჩნევდა, რომ ეს იცოდნენ გამომჭრელებმაც და მეპატრონემაც. გამომჭრელთა შეხედულებით, მათ მეტი უფლება ჰქონდათ, არისტოკრატებად მიეჩნიათ თავი, ვიდრე სხვებს (მეპატრონის ჩათვლით). ისინი ამაყოფნდნენ მუშაობისგან დაკოჭრილი ხელებით, რომლებითაც ძალდაუტანებლად ჭრიდნენ ტყავებს უზარმაზარი, მძიმე მაკრატლებით. თეთრ პერანგებქვეშ ილანდებოდა მძლავრი მკლავები და მხრები მუშაკაცებისა, რომლებიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ისე ჭიმავდნენ ტყავებს, ერთი დუიმიც რომ არ დაკარგულიყო.

მუშაობის დროს გამომჭრელს თითის მრავალჯერ დანერწყვა სჭირდებოდა, ასე რომ, თითოეულ ხელთათმანში ბევრი ნერწყვი იყო, მაგრამ, შვედის მამის თქმით, „კლიენტმა ამის შესახებ არაფერი იცოდა“. გამომჭრელი მშრალ მეღანში ანერწყვებდა და მასში აწებდა ფუნჯს, რომლითაც ნომრებს აწერდა თითოეული „ტრანკიდან“ გამოჭრილ ნაჭრებს. ერთი წყვილი ხელთათმანის გამოჭრის შემდეგ თითს ნერწყვით ისველებდა და ნამიან დანომრილ დეტალებს ერთმანეთზე აწებებდა, სანამ რეზინით შეკრავდა და სამკერვალო საამქროში გაზზავნიდა. მაგრამ ბიჭს არ მოსწონდა, რომ „ნიუარკ-მეიდში“ პირველად დაქირავებული გერმანელი გამომჭრელები გვერდით იდგამდნენ დიდ კათხა ლუდს და დროდადრო სვამდნენ, რათა, მათი თქმით, „ყელი არ გაშრობოდათ და ნერწყვი არ გამოლოდათ“. ლუ ლევოვმა ისინი საკმაოდ სწრაფად გადააჩვია ლუდის სმას, მაგრამ რაც შეეხება დანერწყვას, მისგან გადაჩვევა არავის სურდა. ნერწყვი ორგანული ნაწილი იყო ყვე-

ლაფრისა, რაც მათ უყვარდათ, მემკვიდრე ვაჟიშვილს კი დამფუძნებელ მამაზე არანაკლებ უყვარდა.

- ჰარი ხელთათმანების საუკეთესო გამომჭრელია.

ჰარი, ოსტატი, შვედის გვერდით იდგა, მუშაობდა და წარბიც არ შეუხრია, თოთქოს არც კი გაუგონია ფაბრიკის მეპატრონის სიტყვები.

- ორმოცდაერთი წელია, „ნიუარკ-მეიდში“ მუშაობს. გამომჭრელმა ჯერ უნდა წარმოიდგინოს, როგორ უნდა გამოჭრას ტყავის ნაჭრისგან მაქსიმალური რაოდენობის ხელთათმანები. შემდეგ უნდა გამოჭრას ისინი. გამოჭრისთვის დიდი ოსტატობაა საჭირო. გამოჭრა ხელოვნებაა. ორი ერთნაირი ტყავი ხომ არ არსებობს. განსხვავებას განაპირობებს ყოველი ცხოველის კვება და ასაკი. გარდა ამისა, ტყავები სხვადასხვანაირად იჭიმება. ის, რომ სხვადასხვა ნაჭრისგან ერთნაირი ხელთათმანები იკერება, მართლაც გასაოცარია. იგივე უნდა ითქვას კერვის შესახებ. ამ სამუშაოს შესრულების სურვილი ახლა აღარავის აქვს. მკერავს, რომელიც ოსტატურად ავლებს გვირისტს საკერავ მანქანაზე ან კაბებს კერავს, ხელთათმანების კერვას ვერ დავავალებთ. მან სამოთხთვიანი სასწავლო კურსი უნდა გაიაროს, სწრაფი თითები და მოთმინება უნდა ჰქონდეს, მისი მუშაობის ეფექტურობა კი მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ მიაღწევს ოთხმოც პროცენტს. ხელთათმანების კერვა მეტად რთული პროცესია. მაღალი ხარისხის ხელთათმანების დამზადება დიდ თანხას და კარგად გაწვრთნილ მუშებს საჭიროებს. თითების ნაკერების დაგვირისტებისას ყველა დეტალი მნიშვნელოვან ყურადღებას და გულმოდგინებას მოითხოვს. როდესაც მამაჩემმა ხელთათმანების ფაბრიკა გახსნა, ადამიანები მოდიოდნენ, რათა სიცოცხლის ბოლომდე აქ ემუშავათ. მათგან მხოლოდ ჰარი დარჩა. ეს საგამომჭრელო საამქრო კი ერთ-ერთი უკანასკნელია ჩვენს ნახევარსფეროში. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ მთელი სიმძლავრით ვმუშაობთ. საქმის მცოდნე ადამიანები კვლავ მრავლად არიან. ჩვენნაირად არსად ჭრიან ხელთათმანებს - არც ამ ქვეყანაში და არც სხვაგან არ დარჩნენ სათანადო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, თუ არ ჩავთვლით პატარა საოჯახო სახელოსნოებს ნეაპოლსა და გრენობლში. აქ მუშაობდნენ ადამიანები, რომლებმაც ამ საქმეს მთელი სიცოცხლე ანაცვალეს. მათ ხელთათმანების წარმოებით დაიწყეს და ამითვე დაასრულეს. ახლა კი იძულებული ვართ, ახალბედებს ვასწავლოთ. ჩვენი ეკონომიკა ამჟამად ისეთია,

რომ მუშები გვტოვებენ, თუკი მათ სხვაგან საათში ორმოცდაათი ცენტით მეტს შესთავაზებენ.

ამ ყველაფერს გოგონა ბლოკნოტში იწერდა.

- როდესაც მამის ბიზნესში ჩავერთე, თავდაპირველად აქ გამამწესეს, რათა გამოჭრა მესწავლა. ჰოდა, ვიდექი საგამომჭრელო მაგიდასთან და ვუყურებდი, როგორ ჭრიდა ოსტატი. საქმეს ძველებური ყაიდით ვეუფლებოდი. ანაბანით დავიწყე. მამაჩემმა მაიძულა, იატაკი დამეგავა. შემდეგ ყველა საამქროს გავეცანი, ყველა ოპერაციას დავაკვირდი და თანდათან გავერკვიე ყველაფერში. ხელთათმანების გამოჭრა ჰარისგან ვისწავლე. ვერ ვიტყვი, რომ ძალზე მარჯვე გამომჭრელი ვარ. თუ დღეში ორ-სამ წყვილს გამოვჭრიდი, დიდი მიღწევა იყო. მაგრამ ყველა ძირითადი პრინციპი ავითვისე - ხომ ასეა, ჰარი? ძალზე მომთხოვნი მასწავლებელია. როდესაც რაიმეს მიჩვენებს, ყოველ დეტალს აქცევს ყურადღებას. ჰარის ხელმძღვანელობით სწავლისას, მგონი, უკეთ გავუგე მამაჩემს. პირველივე დღეს შეძლო, ბევრი რამ განემარტა ჩემთვის. მამაჩემს, რომ მის სამშობლოში მოზარდები მიდიოდნენ მასთან და ეუბნებოდნენ: „შეიძლება, მეხელთათმანის ხელობა შევისწავლო?“, ჰარი კი პასუხობდა: „ჯერ თხუთმეტი ათასი გადამიხადე. სწორედ ასეთი ღირებულებისაა დრო და მასალა, რომლებიც უნდა დაგხარჯო, სანამ მინიმალური გასამრჯელოს გამომუშავებას დაიწყებ“. მის მუშაობას ორი თვის განმავლობაში ვაკვირდებოდი და მხოლოდ ამის შემდეგ მომცა უფლება, ბედი მეცადა. საშუალოდ, გამომჭრელი სამ-სამ-ნახევარ დუჟინს ამზადებს დღეში. კარგი, სწრაფი გამომჭრელი დღეში ხუთ დუჟინს გამოჭრის. ჰარი კი დღეში ხუთ-ნახევარ დუჟინს ჭრიდა. „გგონია, ეს კარგი მუშაობაა? - მეუბნებოდა. - აი, მამაჩემი უნდა გენახა!“ მამამისისა და ბარნუმისა და ბეილის დასში მომუშავე გოლიათის შესახებ მამაჩემს. გახსოვს, ჰარი? - ჰარიმ თავი დაუქნია. - როდის ჩამოვიდა ბარნუმისა და ბეილის ცირკი ნიუარკში... 1917-ში თუ 1918-ში? - ჰარიმ კვლავ დაიქნია თავი, ისე, რომ მუშაობა არ შეუწყვეტია. - ჰოდა, დასს დაახლოებით ცხრა ფუტის სიმაღლის კაცი ჩამოჰყვა. ერთ დღეს ჰარის მამამ ის ქუჩაში დაინახა - ბროდ-სტრიტისა და მარკეტ-სტრიტის კუთხეში - და ისე გაოგნდა, რომ მივარდა, ფეხსაცმლიდან ზონარი ამოიძრო, იქვე, ქუჩაში გაუზომა ამ გიგანტს მარჯვენა ხელი, შემდეგ კი შინ გაიქცა და ჩვიდმეტი ნომერი შესანიშნავი ხელთათმანები დაუმზადა. ჰარის მამამ თარგი გამოჭრა, დე-

დამ კი შეკერა. მათ ერთად წაიღეს ხელთათმანები ცირკში და იმ კაცს მიაართვეს. მადლობის ნიშნად, ოჯახს ნება დართეს, უფასოდ ენახა წარმოდგენა, მეორე დღეს კი ამ ამბის დეტალური აღწერა გამოქვეყნდა გაზეთ „ნიუარკ ნიუსში“.

- „სტარ იგლში“, - შეუსწორა ჰარიმ.

- მართალია, ეს ხომ ჯერ კიდევ „ლეჯერთან“ შეერთებამდე მოხდა.

- შესანიშნავია! - გაეცინა გოგონას. - მამათქვენი, ალბათ, ბრწყინვალე ოსტატი იყო.

- ერთი ინგლისური სიტყვაც კი არ იცოდა, - უთხრა ჰარიმ.

- არ იცოდა? ეს იმას ადასტურებს, რომ ინგლისურის ცოდნას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, როდესაც ცხრა ფუტის სიმაღლის გოლიათისთვის შესანიშნავ ხელთათმანებს კერავ.

ჰარის არ გაუცინია. შვედს კი გაელიმა, გოგონას მხარზე ხელი მოხვია და წარადგინა:

- ეს რიტაა. ჩვენ ახლა მას ოთხ ნომერ ხელთათმანებს დავუმზადებთ. შავი გინდა თუ ყავისფერი, ძვირფასო?

- ყავისფერი?

ჰარის ზურგსუკან დაწყობილი ტყავების გროვიდან შვედმა ბაცი ყავისფერი აიღო.

- ეს საკმაოდ იშვიათი ფერია, - უთხრა გოგონას, - „ინგლისური წითური“. შეხედეთ, აქ ყველა ნიუანსია - ბაციდან ყველაზე მუქამდე. ეს ცხვრის ტყავია. ჩემს ოფისში რომ ნახეთ, ის მარილწყალში გამოყვანილი იყო. ეს კი გათრიმლულია. მართალია, ტყავი დამუშავებულია, მაგრამ იგრძნობა, რომ ცხვრისაა. აი, ეს თავია, ეს - გავა, ეს - წინა ფეხები, ეს - უკანა ფეხები, ეს კი - ზურგი: აქ ტყავი უფრო სქელი და უხეშია, როგორც კანი ჩვენი ხერხემლის გასწვრივ...

ძვირფასო. შვედმა გოგონას „ძვირფასო“ უწოდა საგამომჭრელო სამქროში და შემდეგ სხვაგვარად აღარ მიუმართავს. თუმცა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ მაღაზიის აფეთქებისა და მერის მოულოდნელი გაუჩინარების შემდეგ პირველად მიუახლოვდა თავის ძვირფას შვილს.

- ეს ფრანგული სახაზავია. ამერიკულზე თითქმის ერთი დუიმიტ გრძელია... ეს კი ეგრეთ წოდებული საფხეკი დანაა. ბლაგვია: წვერი მომრგვალებული აქვს, მაგრამ მჭრელი არაა. ტყავს საჭირო სიგრძემდე ჭიმავს. ჰარის სურს დაგვენადღევოს: ტყავს ზუსტად მოდელის ზომეზამდე გაჭიმავს, ისე, რომ მოდელს არ დაატოლებს. მაგრამ მე არ დავე-

ნაძლევეები - წაგება არ მიყვარს... ამას „ჩანგალს“ უწოდებენ... ნახეთ, როგორ საგულდაგულოდაა გაკეთებული... ახლა ჰარი გამოჭრის თქვენს ხელთათმანებს, მომცემს და სამკერვალო საამქროში წავალთ. ეს კი, ძვირფასო, დამჭრელი ავტომატია. ის ერთადერთ მექანიზებულ პროცესში გამოიყენება. ერთდროულად ოთხ ჩანაჭერს აკეთებს.

- უჰ, რთული პროცესია, - შენიშნა რიტამ.

- სწორედ ასეა. ხელთათმანების წარმოებაში მოგების მიღება ძნელია. შრომატევადი საქმეა - დიდი დრო და მოქმედებათა ზუსტი კოორდინაცია სჭირდება. ხელთათმანების დამამზადებელი საწარმოების უმრავლესობა საოჯახო ბიზნესს წარმოადგენდა, ტრადიციულად, მამიდან შვილს გადაეცემოდა. მეწარმეთა უმრავლესობისთვის პროდუქტი - უბრალოდ, პროდუქტია. მეწარმე უშვებს პროდუქციას, მაგრამ არაფერი იცის მის შესახებ. ხელთათმანების წარმოება კი ასეთი არაა. მას ხანგრძლივი ისტორია აქვს.

- მისტერ ლევოვ, ხელთათმანების ბიზნესს სხვა მეწარმეებიც ასეთ რომანტიკულ საქმედ მიიჩნევენ? მართლაც შეყვარებული ხართ საკუთარ ფაბრიკაზე, იმაზე, რასაც აქ აკეთებენ. ჩემი აზრით, სწორედ ეს განიჭებთ ბედნიერებას.

- ბედნიერს ვგავარ? - ჰკითხა შვედმა და მოეჩვენა, რომ დანით სხეული გაუპეს, გადაუხსნეს და მისი უბედურება გამოააშკარავეს. - ჰო, ალბათ, ასეა.

- უკანასკნელი მოჰიკანი ხართ?

- არა, ვფიქრობ, ადამიანთა უმრავლესობას ჩვენს ბიზნესში ტრადიციისადმი პატივისცემა და საქმის სიყვარული ინარჩუნებს. ბიზნესში შეიძლება მხოლოდ საქმის სიყვარულმა შეგაკავოს და აგრეთვე - პასუხისმგებლობამ მიღებული მემკვიდრეობის გამო. მყარად უნდა იყო დაკავშირებული წარსულთან, რომ ეს ტვირთი ზიდო. წავიდეთ, - თქვა შვედმა და მყისიერად გაფანტა საშიში აჩრდილები. ჯერ კიდევ შეეძლო მკაფიოდ ლაპარაკი, თუმცა გოგონას ბედნიერი ეჩვენებოდა, - სამკერვალოში დავბრუნდეთ.

- ეს სილკინგია, რაც საკმაოდ რთულად ასახსნელია, მაგრამ სწორედ ამით იწყება მთელი პროცესი... ამას პიკეს მანქანას უწოდებენ. ამით ყველაზე წვრილ გვირისტებს ავლებენ, რომელთაც პიკეს უწოდებენ. გაცილებით მეტ ოსტატობას საჭიროებს, ვიდრე ყველაფერი დანარჩენი... ეს გამაპრიალებელი მანქანაა, ის კი - გამჭიმავი მოწყობი-

ლობა. შენ „ძვირფასოს“ გიწოდებენ, მე კი - „მამას“. ამას სიცოცხლეს უწოდებენ, იმას კი - სიკვდილს. ამას - შეშლილობას, იმას - უბედურებას. ამას - ჯოჯოხეთს, წმინდა წყლის ჯოჯოხეთს... და ეს ტვირთი რომ ზიდო, მყარად უნდა იყო დაკავშირებული სიცოცხლესთან. ამას ეწოდება ისე-ქცევა-თითქოს-არაფერი-მომხდარა, იმას - სრული-ფასის-გადახდა-ღმერთმა-იცის-რისთვის, ამას - სიკვდილის-ნატვრა-და-შვილის-პოვნის-სურვილი, მისი მოკვლის-სურვილი-და-მისი-ხსნის-სურვილი-იმისგან-რასაც-ის-განიცდის-ახლა. ამ გრძნობათა აფეთქებას ეწოდება ცნობიერებიდან-განდევნა, მაგრამ არაფერი გამოდის, შეშლილობის ზღვარზე ვარ, იმ ბომბის აფეთქების ძალა იმდენად დიდია...

შემდეგ შვედის ოფისში დაბრუნდნენ და ელოდებოდნენ, როდის მოიტანდნენ რიტას ხელთათმანებს გასაწყობი საამქროდან. შვედი მას უამბობდა მამამისის საყვარელ ამბავს, რომელიც ლუმ სადღაც ამოიკითხა და ხშირად იმეორებდა მომსვლელებზე შთაბეჭდილების მოსახდენად. ესმოდა თავისი ხმა, რომელიც სიტყვასიტყვით იმეორებდა ლუს ნაამბობს. ნეტავ გოგონა აქ დარჩეს და არსად წავიდეს, თვითონ კი მოუყვება ხელთათმანების შესახებ - ხელთათმანების, ტყავების, იმ შემზარავი ამოცანის შესახებ, რომლის ამოხსნასაც ცდილობს... სთხოვს, შეევედრება, მარტო ნუ დამტოვებ ამ საშინელებასთანო...

- ტვინი მხოლოდ ჩვენ კი არა, მაიმუნებს, გორილებს და სხვა ცხოველებსაც აქვთ; მხოლოდ ცერი არა აქვთ. არ შეუძლიათ ცერი ყველა მიმართულებით ატრიალონ. ჩვენ კი შეგვიძლია. იქნებ სწორედ ეს განსაკუთრებული თითი განსაზღვრავს ჩვენს ფიზიკურ განსხვავებას დანარჩენი ცოცხალი არსებებისგან. ხელთათმანი კი მას იცავს. ნებისმიერი ხელთათმანი: ქალის, სამუშაოდ განკუთვნილი, შემდუღებლის, რეზინის, ბეისბოლის და ასე შემდეგ. კაცობრიობის დასაბამი სწორედ დანარჩენ თითებთან დაპირისპირებული ცერია. ის ხელსაწყობის შექმნის, ქალაქების გაშენებისა და ბევრი სხვა რამის საშუალებას იძლევა. ცერი ტვინზე მეტია. შესაძლოა, სხეულის პროპორციულად, ზოგიერთი ცხოველის ტვინი ჩვენს ტვინზე დიდიც იყოს. არ ვიცი. მაგრამ ხელი, თავისთავად, საოცარი რამაა. მოძრაობს. ადამიანის სხეულის არც ერთი სხვა ნაწილი არ ასრულებს ასეთ რთულ...

ამ დროს ვიკი შემოვიდა და ახლად დამზადებული ოთხი ნომერი ხელთათმანები მოიტანა.

- ინებეთ თქვენი ხელთათმანები, - თქვა მან და ისინი მიაწოდა შვედს, რომელმაც ყურადღებით შეათვალიერა ორივე, შემდეგ მაგიდაზე გადაიხარა და გოგონას აჩვენა.

- ნაკერს ხედავთ? მანძილი ნაკერიდან ტყავის კიდემდე ნამუშევრის ხარისხზე მიუთითებს. მანძილი ნაკერსა და კიდეს შორის დაახლოებით ერთი ოცდამეთორმეტედი ღუიშია. ასეთი სამუშაო დიდ გაწაფულობას საჭიროებს, ჩვეულებრივზე გაცილებით მეტს. თუკი ხელთათმანი სათანადოდ არაა დაგვირისტებული, ეს მანძილი მერვედ ღუიმს აღწევს. გარდა ამისა, შესაძლოა, გვირისტი მრუდი იყოს. დააკვირდით, გვირისტი ლარივით სწორადაა გავლებული. სწორედ ამიტომ, რომ „ნიუარკ-მეიდის“ ხელთათმანები საუკეთესოა, რიტა. სწორი გვირისტები აქვს, საუკეთესო ტყავისგანაა შეკერილი. კარგადაა გათრიმლული. რბილია. ღრეკადია. ახალი ავტომანქანის სალონივით სურნელოვანია. მიყვარს კარგი ტყავი, მიყვარს რბილი ხელთათმანები. იმ რწმენით გამზარდეს, რომ ხელთათმანები უმაღლესი ხარისხისა უნდა იყოს. ეს რწმენა სისხლსა და ხორცში მაქვს გამჯდარი და იმაზე მეტ სიამოვნებას ვერაფერი მომანიჭებს, - შვედი ისე ჩაეჭიდა თავის მჭევრმეტყველებას, როგორც ავადმყოფი ეჭიდება ხოლმე გამოჯანსაღების ნებისმიერ, თუნდაც მცირეოდენ ნიშანს, - ვიდრე თქვენთვის ამ შესანიშნავი ხელთათმანების ჩუქება. ინებეთ, საუკეთესო სურვილებით, - მან ღიმილით გაუწოდა ხელთათმანები, რომლებიც ალელვებულმა გოგონამ მაშინვე ჩამოიცვა პატარა ხელებზე. - ნუ ჩქარობთ, ნელა... თითები ყოველთვის მიახმარეთ. დაიწყეთ ნეკით, შემდეგ თანდათან ჩამოიცვით თითოეულ თითზე, ბოლოს - ცერზე, და მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოიცვით მთელ მტევანზე... მაგრამ თავიდან არ იჩქაროთ.

გოგონა შვედს შეჰყურებდა, იღიმებოდა და ისეთი ბედნიერი გამომეტყველება ჰქონდა, როგორიც ბავშვებს აქვთ ხოლმე საჩუქრის მიღებისას. უჩვენებდა მას, რა ლამაზი იყო ხელთათმანები და რა კარგად მოერგო ხელებზე.

- ხელი მომუჭეთ, - უთხრა შვედმა. - ხომ გრძნობთ, რა ნაზად იჭიმება და ხელის ფორმას იღებს ტყავი? ეს გამომჭრელის დამსახურებაა. თქვენი ხელთათმანები სიგრძეში არ იჭიმება - თითებს ხომ არ ვჭიმავთ. მან ეს გაითვალისწინა, მაგრამ დატოვა ზუსტად განსაზღვრული ზოლი, რომელიც ტყავს განივად გაჭიმვის საშუალებას აძლევს. განივად გაჭიმვა ზუსტი გამოთვლის შედეგია.

- დიახ, დიახ, შესანიშნავია, დიდებულია, - თქვა გოგონამ, თან პატარა მუშტს შლიდა და კუმშავდა. შემდეგ კი სიცილით განაგრძო: - გაუმარჯოს ზუსტ გამოთვლას, რომელიც ზუსტად განსაზღვრულ ტყავის ზოლს ტოვებს და ტყავს განივად გაჭიმვის საშუალებას აძლევს!

როცა ვიკი გავიდა, მინის კარი მჭიდროდ მიხურა და მოგუგუნე საამქროში დაბრუნდა, რიტამ წყნარად დასძინა:

- მერის თავისი ალბომი სჭირდება, მასალებით ოდრი ჰეპბერნის შესახებ.

მეორე დილას შვედი რიტას შეხვდა ავტოსადგომზე, ნიუარკის აეროპორტის მახლობლად, და გაზეთის ამონაჭრებიანი ალბომი გადასცა. ოფისიდან გამოსული, თავდაპირველად აეროპორტის საპირისპირო მიმართულებით, ბრანჩ-ბრუკ-პარკისკენ წავიდა, სადაც მანქანიდან გადმოვიდა და გაიარ-გამოიარა. იმ ხეივანში ისეირნა, სადაც აყვავებული იაპონური ალუბლის ხეები იყო დარგული. მცირე ხანს სკამზე იჯდა და მოხუცებსა და მათ ძაღლებს უყურებდა, შემდეგ მანქანაში ჩაჯდა და გაემგზავრა - თავდაპირველად იტალიელებით დასახლებულ ჩრდილოეთ ნიუარკში, შემდეგ - ბელვილში. ნახევარი საათის განმავლობაში მხოლოდ მარჯვნივ უხვევდა და დარწმუნდა, რომ არავინ უთვალთვალებდა. ასე რიტას რჩევით მოიქცა.

იმავე ავტოსადგომზე, მეორე კვირას, შვედმა რიტას გადასცა საბალეტო ფეხსაცმელი და ტრიკო, რომელიც მერიმ უკანასკნელად მაშინ ჩაიცვა, როდესაც თოთხმეტი წლისა იყო. სამი დღის შემდეგ კი მისი დღიურიც გადასცა.

- იქნებ რაიმე მიაშობთ მერის შესახებ. თუ მის ადგილსამყოფელს არ მაცნობებთ, ის მაინც მითხარით, როგორ არის, - სთხოვა შვედმა რიტას. დღიური მიუტანა და, ბოლოს და ბოლოს, დაუსვა შეკითხვა, რომელსაც ცოლი უმეორებდა, როდესაც შვედი რიტასთან შესახვედრად მიდიოდა. ამ შეხვედრებისას ზუსტად ასრულებდა რიტას ინსტრუქციებს და სანაცვლოდ არასოდეს არაფერს ითხოვდა.

- არაფერი ვიცი, - მიუგო გოგონამ ცივად.

- მინდა შევხვედე და დაველაპარაკო.

- თქვენთან ლაპარაკი არ სურს.

- მაგრამ თუკი ეს ნივთები სჭირდება... რატომ სჭირდება ისინი?

- ეს მისი ნივთებია.

- ჩვენც მისიანები ვართ.

- მისგან ეს არასოდეს გამიგონია.
- ვერ დავიჯერებ.
- სძულხართ.
- მართლა? - იკითხა შვედმა აგლებით.
- მისი აზრით, დახვრეტას იმსახურებთ.
- ჰო-ო?

- რამდენს უხდით თქვენს მუშებს პუერტო-რიკოს ქალაქ პონსეში? რამდენს უხდით იმათ, ვინც თქვენთვის ხელთათმანებს კერავს ჰონკონგსა და ტაივანში? რამდენს უხდით ფილიპინელ ქალებს, რომლებიც თვალისჩინს კარგავენ „ბონვიტის“ კლიენტთა მოსაწონი ხელთათმანების ქარგვისას? უბრალოდ, ერთი უბადრუკი კაპიტალისტი ხართ, სისხლს უშრობთ ყვითელკანიან და შავკანიან ადამიანებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, თვითონ კი ფუფუნებაში ცხოვრობთ სასახლეში, რომელსაც ზანგები იცავენ.

აქამდე შვედი თავს იკავებდა და როგორც უნდა დაჰქადნებოდა რიტა, მას მაინც თავაზიანად ელაპარაკებოდა. მათი ერთადერთი იმედი სწორედ რიტა იყო და მართალია, შვედს იმედი არ ჰქონდა, რომ თავისი სიმშვიდით მასზე რაიმენაირ ზემოქმედებას მოახდენდა, სასოწარკვეთილებას მაინც არ იმჩნევდა. მისი აბუჩად აგდება რიტას წინასწარ ჰქონდა განზრახული; უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა ამ ექვსი ფუტისა და სამი ღუიმის სიმალლის, ძველებურ ყაიდაზე გამოწკებილი, წარმატებული ვაჭბატონის მოდრეკა, რომელიც მილიონებს ფლობდა. საერთოდ, ამ სიტუაციით ძალზე ტკბებოდა. მათ ჰყავდათ მერი, თექვსმეტი წლის ენაბლუ მერი, შეეძლოთ, თავიანთი სურვილისამებრ გადაეწყვიტათ მერის და მისი ოჯახის ბედ-იღბალი. რიტა აღარ იყო ჩვეულებრივი, მერყევი, გამოუცდელი მოკვდავი - ის იქცა მსოფლიო ბოროტებასთან ფარულად დაკავშირებულ არსებად, რომელიც, ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად, ისეთივე ულმობელი უნდა ყოფილიყო, როგორიც კაპიტალისტ-ექსპლუატატორი შვედ ლევოვი გახლდათ.

შვედს ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა დამორჩილებოდა ამ ბავშვს, ამ ამაზრუნენ გომბიოს, რომელსაც თავი გამოტენილი ჰქონდა მონაჩმანხით „მუშათა კლასის“ შესახებ! ამ ცეროდენას, რომელიც ავტომანქანის სავარძელში ლევოვის ნაგაზზე ნაკლებ ადგილს დაიკავებდა, და რომელიც დარწმუნებული იყო, რომ მსოფლიო არენაზე მოღვაწეობდა! ამ არარაობას! მთელი მისი სულელური მოქმედების საფუძველი იყო

ბოროტი, ინფანტილური ეგოიზმი, რომელიც ოდნავ შენიღბული იყო „ჩაგრულებთან სოლიდარობით“! პასუხისმგებლობით მსოფლიოს მშრომელთა ბედ-იღბლის გამო! პათოლოგიური ეგოიზმი ისევე იყო ყალყზე შემდგარი მის სულში, როგორც - მისივე თმა, და თითქოს გაპყვიროდა: „სადაც მინდა, იქ წავალ! რაც მინდა, იმას გავაკეთებ! ჩემი სურვილები - უპირველეს ყოვლისა!“ დიახ, ეს სულელური ვარცხნილობა მათი რევოლუციური იდეოლოგიის ნახევარს შეადგენდა, მეორე ნახევარი კი სამყაროს შეცვლის შესახებ ეგზალტირებული ბოდვა გახლდათ. ოცდაორი წლისა იყო, ტანმორჩილი, და ამ უაზრო ავანტიურაში იმ მძლავრი იარაღის გამოყენება სურდა, რომლის მნიშვნელობაც კი არ ესმოდა, სახელდობრ, ძალაუფლების. ისინი ყოვლისმცოდნეები იყვნენ, მაგრამ აზროვნების უნარი არ შესწევდათ. გასაკვირი არ იყო, რომ შვედის უდიდესმა მოთმინებამ ვერ გაუძლო დაუძლეველ აღშფოთებას და უკმეხად უთხრა რიტას - ისე, თითქოს სურდა, რომ ქალს ურჩხულად ჩაეთვალა:

- წარმოდგენა არა გაქვთ, რაზე ლაპარაკობთ! ამერიკული ფირმები ამზადებენ ხელთათმანებს ფილიპინებზე, ჰონკონგში, ტაივანზე, ინდოეთში, პაკისტანში და კიდევ ასობით ადგილას. მაგრამ - მე არა. ორი ფაბრიკის მეპატრონე ვარ. ორისა! ერთი ნიუარკში ნახეთ. ნახეთ, რა „უბედურები“ არიან ჩემი მუშები. სწორედ იმიტომ მუშაობენ ჩვენთან ორმოცი წლის განმავლობაში, რომ საშინელ ჩაგვრას განიცდიან. პუერტო-რიკოს ფაბრიკაში ორას სამოცი მუშაა, მის კოენ. ამ ადამიანებს ყველაფერი ვასწავლეთ - თავდაპირველად არაფერი იცოდნენ - და ახლა უყოყმანოდ ვენდობით; სანამ პონსეში გამოვჩნდებოდით, ისინი უმუშევრები იყვნენ. სამუშაო ადგილებს ვქმნით იქ, სადაც მათი ნაკლებობაა. კერვა ვასწავლეთ კარიბის სანაპიროს მკვიდრთ, რომლებმაც ან არაფერი, ან ძალზე ცოტა რამ იცოდნენ მის შესახებ. არაფერი იცით - ისიც კი არ იცოდით, რა არის ფაბრიკა, სანამ არ გაჩვენეთ!

- ვიცი, რა არის პლანტაცია, მისტერ ლეგრი - უკაცრავად, მისტერ ლეგოვ. ვიცი, როგორ მუშაობენ პლანტაციაში. თქვენ ზრუნავთ თქვენს მონა-ზანგებზე, რა თქმა უნდა, ზრუნავთ. ამას პატერნალურ კაპიტალიზმს უწოდებენ. თქვენ მათი მეპატრონე ხართ, მათთან სქესობრივი ურთიერთობაც გაქვთ და როდესაც ბოლომდე გამოწურავთ, ქუჩაში აგდებთ. ლინჩის წესს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავთ.

უფრო ხშირად საკუთარი სიამოვნებისთვის და შემოსავლების მისაღებად იყენებთ...

- მაპატიეთ, მაგრამ ამ სისულელებების მოსასმენად არ მცალია. წარმოდგენა არა გაქვთ ფაბრიკის ან წარმოების შესახებ, არ გესმით, რა არის კაპიტალი, რა არის შრომა. ვერ გაგიაზრებიათ, რას ნიშნავს დასაქმება ან დაუსაქმებლობა. არავითარი წარმოდგენა არა გაქვთ შრომის შესახებ. არასოდეს გიმუშავიათ და თუ სამსახურს იშოვით, ერთ დღესაც ვერ გაძლებთ, ვერც - როგორც დაქირავებული მუშა, ვერც - როგორც მენეჯერი, ვერც - როგორც საწარმოს მფლობელი. გეყოთ სისულელებების როშვა. მინდა მითხრათ, სად არის ჩემი შვილი. მხოლოდ ეს მინდა გავიგო თქვენგან. მას დახმარება სჭირდება, სერიოზული დახმარება, და არა - ბრიყვული, გაცვეთილი ფრაზები. მითხარით, სადაა მერი! უნდა ვიპოვო ჩემი შვილი!

- მერის აღარ სურს თქვენი ხილვა, არც - თქვენი და არც - დედამისის.

- თქვენ არაფერი იცით დედამისის შესახებ.

- ლედი დოუნის შესახებ? მამულის მფლობელი ლედი დოუნის შესახებ? ყველაფერი ვიცი, რაც კი შეიძლება ვიცოდეთ ლედი დოუნის შესახებ. ისე რცხვენია თავისი კლასობრივი წარმომავლობისა, რომ სურს, უმაღლეს საზოგადოებაში შეიყვანოს თავისი ქალიშვილი.

- მერი ექვსი წლიდან ასუფთავებდა ბოსელს ნაკელისგან. თვითონაც არ იცით, რას ამბობთ. არ იცით, რომ ახალგაზრდული ორგანიზაციის, 4-3-ის წევრი იყო. მერი ტრაქტორს ატარებდა. მერი...

- სიცრუეა. ეს ყველაფერი სიცრუეა. სილამაზის კონკურსის დედოფლისა და ფეხბურთის გუნდის კაპიტნის ქალიშვილი - წარმოგიდგენიათ, რა საშინელებაა ეს მგრძნობიარე გოგონასთვის? კოპწია პატარა კაბები, პატარა ფაჩუჩები, პატარა ეს და პატარა ის. ახალ-ახალი ვარცხნილობები. როგორ ფიქრობთ, დედა იმიტომ აცოდვლებდა მერის თმას, რომ შვილი უყვარდა და მისი გარეგნობით ტკბებოდა? თუ იმის გამო, რომ ეზიზღებოდა მერი, რადგან ის არ ჰგავდა პატარა პრინცესას, რომელიც მერე ნამდვილ მზეთუნახავად იქცეოდა და დედამისივით „მის ოლდ-რიმროკის“ ტიტულს დაისაკუთრებდა? მერი აიძულეს, ცეკვა შეესწავლა, ჩოგბურთი შეესწავლა. მიკვირს, რომ ცხვირის ოპერაცია არ გაუკეთეს.

- რას ჩმახავთ!

- როგორ ფიქრობთ, რატომ აღმერთებდა მერი ოდრი ჰეპბერნს? იმიტომ, რომ ამით პატივმოყვარე დედის გული მოეგო. „მის პატივმოყვარეობა 1949“. ძნელად დასაჯერებელია, რომ ამ პრანჰია ქალს ამხელა პატივმოყვარეობა ჰქონდა. მაგრამ ფაქტი ფაქტია. რა დარჩენოდა საწყალ მერის?

- არც კი იცით, რას ლაპარაკობთ.

- დედამისს ვერც კი წარმოედგინა, რას ნიშნავს, როცა ქალი ულამაზოა, როცა ის არავის უყვარს და არავის იზიდავს. სილამაზის კონკურსის დედოფალი ქარაფშუტულად, პრიმიტიულად აზროვნებს და არაფერი იცის თავისი ქალიშვილის შესახებ. „არ მიყვარს უწესრიგობა, არ მიყვარს არაფერი ტლანქი“. მაგრამ სამყარო ასეთი არაა, ძვირფასო დოუნ. ის, სამწუხაროდ, უწესრიგო და ტლანქია. ის შემზარავია!

- მერის დედა მთელი დღეების განმავლობაში ფერმაში მუშაობს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასთან, საქონელთან. დილის ექვსი საათიდან...

- ტყუილია, ტყუილი, ტყუილი. ის ფერმაში მუშაობს, როგორც ჩათლახი არისტოკრატი...

- ეს უაზრო საუბარია. სად არის მერი?

- გახსოვთ, როგორ მოაწყვეთ ზეიმი მისი პირველი მენსტრუაციის აღსანიშნავად?

- ჩვენ ზეიმზე არ ვსაუბრობთ. რა შუაშია ზეიმი?

- ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, როგორ დაამცირა ქალიშვილი დედამ - სილამაზის კონკურსის დედოფალმა! როგორ გააცამტვერა ქალიშვილის სიამაყე! ჩვენ ვსაუბრობთ დედაზე, რომელიც სიყვარულის ნატამალსაც კი არ გრძნობს ქალიშვილის მიმართ... და ეს სიყვარული ისეთივე ღრმაა, როგორიც - ეს თქვენი ხელთათმანები. მთელი თქვენი ოჯახის ერთადერთი საზრუნავი ტყავია. ექტოდერმა! ზედაპირი! მაგრამ ის, რაც მის ქვეშაა, თქვენთვის მიუწვდომელია. გგონიათ, დედას მართლა უყვარდა თავისი ენაბლუ ქალიშვილი? უბრალოდ, შემწყნარებლურად იტანდა მას, მაგრამ თქვენ ვერ განასხვავებთ შემწყნარებლობასა და სიყვარულს, რადგან გონებაჩლუნგი ხართ. რაც შეეხება თქვენს კიდევ ერთ სულელურ გამონაგონს... მენსტრუაციისადმი მიძღვნილ ზეიმს... ზეიმი! ოჰ, ღმერთო!

- თქვენ გულისხმობთ, რომ... არა, ეს არ მომხდარა. თქვენ გულისხმობთ იმ დღეს, როდესაც მერიმ ყველა მეგობარი რესტორან „უაიტჰა-

უსში“ სასადილოდ წაიყვანა? იმ დღეს მას თორმეტი წელი შეუსრულდა. რა შუაშია მენსტრუაცია? უბრალოდ, მისი დაბადების დღეს ვზეიმობდით. მენსტრუაციასთან ამას არავითარი კავშირი არ ჰქონდა. არავითარი. ვინ გითხრათ ეს? მერი ამას ვერ იტყოდა. მახსოვს ეს დღე. მერისაც ახსოვს. უბრალოდ, დაბადების დღის აღსანიშნავი ზეიმი იყო. გოგონები „უაიტჰაუსში“ წავიყვანეთ. ძალიან იხალისეს. ათი გოგონა იყო. ამაზე ლაპარაკი ახლა სისულელეა. ადამიანი დაიღუპა. ჩემს შვილს მკვლევლობაში ადანაშაულებენ.

რიტამ გადაიხარხარა.

- მისტერ კანონმორჩილ მოქალაქეს ყალბი სიყვარულის ნაკუწი ჭეშმარიტი სიყვარული ჰგონია.

- ის, რაზეც საუბრობთ, არასოდეს მომხდარა. არ ყოფილა. კიდევ რომ ყოფილიყო, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ არაფერი მსგავსი არ მომხდარა.

- იცით, რატომ ჩამოუყალიბდა მერის ასეთი ხასიათი? იმიტომ, რომ თექვსმეტი წლის განმავლობაში ცხოვრობდა დედის გვერდით, რომელსაც სძულდა.

- რატომ? ამიხსენით. რატომ სძულდა?

- იმიტომ, რომ მერი სრულიად არ ჰგავდა ლედი დოუნს. დიახ, შვედ, დედამისს ის სძულდა. და სირცხვილია, რომ ამას ასე გვიან მიხვდით. სძულდა, რადგან მერი არ იყო მოხდენილი, რადგან ლამაზად - სხვა გოგონების მსგავსად - არ ივარცხნიდა თმას. მერი სძულდათ ისეთი სიძულვილით, რომელმაც მას სული მოუწამლა. საჭმელში შხამი რომ შეერია, ლედი დოუნი ამაზე უკეთეს შედეგს მაინც ვერ მიაღწევდა. ლედი დოუნი მას სიძულვილით უმზერდა ხოლმე და მერი გრძნობდა, რომ არარად იქცა.

- სიძულვილით აღსავსე მზერა არ ყოფილა. შესაძლოა, შეცდომა დავუშვიტ... მაგრამ სიძულვილი არ ყოფილა. ვხვდები, რის შესახებ საუბრობთ. ის, რასაც თქვენ სიძულვილს უწოდებთ, სინამდვილეში დედის მღელვარება იყო. მახსოვს ეს მზერა. შეფერხებული მეტყველების გამო უმზერდა ასე. ღმერთო ჩემო, ეს სიძულვილი არ იყო. პირიქით, ეს იყო წუხილი. გულისტკივილი. უმწეობა.

- მაინც იცავთ ცოლს? - ჰკითხა რიტამ და კვლავ დამცინავად გადაიხარხარა. - წარმოუდგენლად ყეყეჩი ხართ. წარმოუდგენლად. იცით, რატომ სძულდა მერი? იმიტომ, რომ მერი თქვენი შვილია. მარ-

თალია, მის ნიუ-ჯერსი ებრაელზე გათხოვდა, მაგრამ ებრაელი შვილის გაზრდა უკვე სრულიად სხვა რამაა. თქვენ შიკსა ცოლი გყავთ, შვედ, მაგრამ ქალიშვილი არ გყავთ შიკსა. მის ნიუ-ჯერსი ნამდვილი ძუკნაა, შვედ. სჯობდა, მერის ძროხის ჯიქანი მოეწოვა, თუკი რძე და მზრუნველობა სჭირდებოდა. ძროხებს დედობრივი გრძნობების განცდის უნარი მაინც აქვთ.

შვედი გოგონას ლაპარაკის საშუალებას აძლევდა, არ აწყვეტინებდა, რადგან თუ მის ოჯახში რალაც უმართებულო ხდებოდა, უნდა შეეტყო. რა იწვევდა უკმაყოფილებას? რა იწვევდა წყენას? მთავარი საიდუმლო კი ის იყო, თუ რამ განაპირობა მერის ასეთი შეცვლა. მაგრამ მოსმენილი ვერაფერს ხსნიდა. მიზეზი ეს ვერ იქნებოდა. ვერ გამოიწვევდა იმას, რომ მერის ფოსტის შენობა აეფეთქებინა. სასოწარკვეთილი კაცი უდრტვინველად იტანდა ამ მზაკვარ გოგოს არა იმიტომ, რომ მას შეეძლო გარკვეულიყო უბედურების მიზეზებში, არამედ იმიტომ, რომ ამ გოგოს გარდა, ვერავის მიმართავდა. მაგრამ შვედი პასუხს კი არ ეძებდა, არამედ, ერთგვარად, განასახიერებდა კაცს, რომელიც პასუხის მიღებას ცდილობდა. ამ ციდა-მტკაველასთან რაიმეზე მსჯელობა უაზრობა იქნებოდა. მისი გულწრფელობის იმედი როგორ უნდა ჰქონოდა! ის ხომ ტკბებოდა იმით, რომ შეურაცხყოფდა შვედს, რომლის ოჯახის შესახებ, სიძულვილის გამო, სრულიად არასწორი წარმოდგენა ჰქონდა. კაცის წინაშე იდგა მოძულე - ამბოხებული ბავშვი.

- სად არის?

- რატომ გინდათ მისი ადგილსამყოფლის დადგენა?

- მინდა ვნახო.

- რატომ?

- ის ჩემი შვილია. ადამიანი დაილუპა. ჩემს შვილს მკვლელობაში სდებენ ბრალს.

- ამის გარდა, ვერაფერზე ფიქრობთ, არა? იცით, რამდენი ვიეტნამელი მოკლეს, სანამ აქ იმით ვერთობით, რომ ვარკვევთ, უყვარს თუ არა დოუნს თავისი ქალიშვილი? ყველაფერი შეფარდებითია, შვედ. სიკვდილი - შეფარდებითი ცნებაა.

- სად არის?

- სამშვიდობოსაა. იქ, სადაც უყვართ. საკუთარი იდეალების დასაცავად იბრძვის. თქვენი ქალიშვილი, ბოლოს და ბოლოს, ეცნობა სამყარ-

როს.

- ეშმაკმა დალახვროს, სად არის?

- ის არავის საკუთრება არაა - არავის ეკუთვნის. უმწეო აღარაა. თქვენ აღარ ფლობთ მერის, ისე, როგორც ფლობთ სახლებს ოლდ-რიმროკში, დილში, ფლორიდის კონდომინიუმში, ფლობთ ფაბრიკას ნიუარკში, ფაბრიკას პუერტო-რიკოში, თქვენს პუერტორიკოელ მუშებს, თქვენს მერსედესებს და ჯიპებს და თქვენს მშვენიერ, შეკვეთით შეკერილ კოსტიუმებს. იცით, რას მივხვდი თქვენი, კეთილი მდიდარი ლიბერალების შესახებ, რომლებიც სამყაროს მართავენ? წარმოდგენა არა გაქვთ, რა არის რეალობა.

„ასე არავინ იწყებს ცხოვრებას, - გაიფიქრა შვედმა. - არ შეიძლება, რიტა სინამდვილეში ასეთი იყოს. ეს შარიანი ბავშვი, ეს აუტანელი, ჯიუტი, გაბოროტებული ბავშვი ჩემი შვილის მფარველი ვერ იქნება. ის მერის ზედამხედველია. წარმოუდგენელია, რომ მერი, ჩემი ჭკვიანი გოგონა, ამ ბავშვურმა სისასტიკემ და ვერაგობამ მოხიბლოს. მერის დღიურის ყოველ გვერდზე გაცილებით მეტი აზრია, ვიდრე იმ სადისტურ იდეალიზმში, რომლითაც ამ უგუნური გოგოს თავია გამოტენილი. ოჰ, რომ შემეძლოს ხელით გავჭყლიტო ეს გრუნათმიანი მკვრივი პატარა თავი, ისე, რომ ბინძური აზრები ცხვირიდან გადმოინთხეს!“

როგორ შეიძლება, ბავშვი ასეთი იყოს? როგორ შეიძლება, ასეთი უტვინო იყოს? პასუხი ერთია: შეიძლება. შვედსა და მის ქალიშვილს შორის იდგა მხოლოდ ეს ბავშვი, რომელმაც არაფერი იცოდა, მაგრამ მზად იყო ეთქვა და, რა თქმა უნდა, მოემოქმედებინა ყველაფერი - ოღონდ კი ექსტაზამდე მიეყვანა თავი. მისი შეხედულებები სტიმულატორები იყო, მიზანი კი ექსტაზი გახლდათ.

- სრულყოფილი მამაკაცი ხართ, - კბილებში გამოსცრა რიტამ, თითქოს ამით უფრო ადვილად გაანადგურებდა შვედის ცხოვრებას, - სანუკვარი, ძლევამოსილი, სრულყოფილი მამაკაცი, სინამდვილეში კი - ბოროტმოქმედი. სახელგანთქმული შვედ ლევოვი, კაპიტალისტი ამერიკის მასშტაბით, ბოროტმოქმედი.

ის, უბრალოდ, ნიჭიერი ბავშვი იყო, რომელიც ვერ მოერია თავის პრობლემებს; ბოროტი პატარა შეშლილი, რომელსაც მერი გაზეთებში გამოქვეყნებულ ფოტოსურათებზე თუ ენახა; კიდევ ერთი იმ „პოლიტიზებული“ გიჟებიდან, მრავლად რომ შეხვდებით ნიუ-იორკის ქუჩებში. შეშლილმა ებრაელმა გოგონამ შეკრიბა ცნობები მათი ცხოვრების შე-

სახეზე პრესიდან, სატელევიზიო გადაცემებიდან, მერის თანაკლასელთა გამონათქვამებიდან. ყოველი მათგანი სხვადასხვანაირად იმეორებდა: „ძველი ყაიდის დასახლება - მყუდრო ოლდ-რიმროკი - გაოგნებულია“. მათი თქმით, აფეთქების წინააღმდეგ მერიმ მთელი სკოლა მოიარა და ოთხასამდე ბავშვს გაანდო თავისი ჩანაფიქრი. ეს მოსწავლეები ტელე-ეკრანებიდან აცხადებდნენ, რომ გაიგონეს, როგორ ჰყვებოდა მერი ამის შესახებ - გოგონას წინააღმდეგ მთელი ბრალდება ამ ჭორს და გაუჩინარებას ემყარებოდა. საფოსტო განყოფილებაც და მალაზიაც ააფეთქეს, მაგრამ არავის დაუნახავს მერი იმ ადგილას და არც არავინ შესწრებია ამის ჩადენისას. რომ არ გაუჩინარებულყო, არავინ იფიქრებდა, რომ გოგონა ტერორისტი იყო. „მანქმა გაება! - მთელი დღეების განმავლობაში დოუნი სახლში ბოლთას სცემდა და ტიროდა: - მოიტაცეს! მანქმა გააბეს. ახლა, ზუსტად ამწუთას ტვინს ურეცხავენ! რატომ დაიჯერა ყველამ, რომ ეს მერიმ ჩაიდინა? არავისთან ჰქონია კონტაქტი. მერის არავითარი კავშირი არა აქვს აფეთქებასთან. როგორ დაიჯერეს, რომ ამას ბავშვი ჩაიდენდა? დინამიტი? რა კავშირი აქვს მერის დინამიტთან? ყველაფერი ტყუილია! არავინ არაფერი იცის!“

შვედი დაუყოვნებლივ უნდა დაკავშირებოდა გამოძიების ფედერალურ ბიუროს, როდესაც რიტა კოენი მასთან ალბომის წასაღებად მივიდა, ან, ყოველ შემთხვევაში, იმის მტკიცებულებები მაინც უნდა მოეთხოვა, რომ მერი ცოცხალი იყო. გული უნდა გაეხსნა არა დოუნისთვის, არამედ ისეთი ადამიანისთვის, რომელიც მოქმედების სტრატეგიას შეიმუშავებდა და თვითმკვლელობის ზღვარზე არ აღმოჩნდებოდა, თუკი შვედი უარს იტყოდა მრჩევლის სასოწარკვეთილებით ნაკარნახევ ქცევაზე. გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა, როდესაც დარდისგან შეშლილ, ისტერიულ ცოლს აჰყვა. უნდობლობა უნდა გადაელახა და დაუყოვნებლივ უნდა დაკავშირებოდა აგენტებს, რომლებიც აფეთქების მეორე დღეს მათთან დასაკითხად მივიდნენ. შვედს ტელეფონის ყურმილი მაშინვე უნდა აელო, როგორც კი იაზრა, ვინ იყო რიტა კოენი - სანამ გოგონა ჯერ კიდევ ფაბრიკის ოფისში იჯდა. ამის ნაცვლად კი პირდაპირ შინისკენ გაეშურა და - რადგან გადაწყვეტილებების მიღებისას აუცილებლად ითვალისწინებდა საყვარელ ადამიანთა ემოციებს (იმიტომ, რომ მათი ტანჯვის ყურება არ შეეძლო); რადგან თხოვნისა და მოლოდინის უგულებელყოფას, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არგუმენტები არადაამაჯერებელი და შეუსაბამო იყო, თავისი

ძალის უმართებულო გამოყენებად მიიჩნეოდა; რადგან იმედს ვერ გაუცრუებდა მათ, ვინც უანგარო შვილად, ქმრად და მამად მიიჩნეოდა; რადგან მას ყველანი პატივს სცემდნენ - სამზარეულოს მაგიდასთან, აქვითინებული დოუნის პირისპირ დაჯდა. მღუმარედ მიუგდო ყური ცოლის ნაწყვეტ-ნაწყვეტ, თითქმის უაზრო ლაპარაკს - ვედრებას, მომხდარის შესახებ არაფერი შეეტყობინებინა გამოძიების ფედერალური ბიუროსთვის.

დოუნი სთხოვდა შეესრულებინა ყველაფერი, რასაც ის გოგო მოითხოვდა: მერის ხომ შეეძლო თავი აერიდებინა დაპატიმრებისთვის, თუკი სადღაც შორს დარჩებოდა მანამ, სანამ მალაზიის აფეთქება და ექიმ კონლონის სიკვდილი დავიწყებას არ მიეცემოდა. მთავარი იყო, სადმე დამალულიყო, თუნდაც საზღვარგარეთ, ვიდრე ომით პროვოცირებული „აღქაჯების დევნა“ არ დამთავრდებოდა და დროება არ შეიცვლებოდა. მხოლოდ მაშინ გახდებოდა შესაძლებელი სამართლიანად განსჯა იმისა, რასაც მერი არასოდეს, არასოდეს ჩაიდენდა. „მახე დაუგეს!“ - შვედსაც სჯეროდა ეს (სხვა რა უნდა დაეჯერებინა მამას?!), სანამ გაიგონებდა, როგორ იმეორებდა ამას დოუნი დღეში ასჯერ.

ამიტომ გადასცა ოდრი ჰეპბერნის ამონაჭრებიანი ალბომი, ტრიკო, საბალეტო ფეხსაცმელი, დღიური. ახლა კი რიტა კოენს „ნიუ-იორკ ჰილტონის“ ნომერში უნდა შეხვედროდა - უნდა მიეტანა ხუთი ათასი დოლარი, მოუნიშნავი ათდოლარიანებით და ოცდოლარიანებით. როდესაც გოგომ ალბომი ითხოვა, შვედმა იცოდა, რომ გამოძიების ფედერალურ ბიუროში უნდა დაერეკა. ახლა კი ხვდებოდა, რომ თუ კვლავ დაემორჩილებოდა რიტას დამამცირებელ მოთხოვნებს, მათ ბოლო არ მოეღებოდა და ყველას აუტანელ სატანჯველში ჩააგდებდა. ალბომის, ტრიკოს, საბალეტო ფეხსაცმელის, დღიურის მეშვეობით ის მარჯვედ მიიტყუეს, ახლა კი ფულის გამოცინცვლა დაიწყეს.

მაგრამ დოუნი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ თუ შვედი მანჰეტენზე მივიდოდა და ბრბოში შეერეოდა; თუ დარწმუნდებოდა, რომ არავინ უთვალთვალებდა და დანიშნულ ნაშუადღევს სასტუმროში მივიდოდა, მაშინ იქ, ოთახში, მერის ნახავდა. ეს აბსურდული, ფანტასტიკური ვარაუდი სრულიად უსაფუძვლო იყო, მაგრამ შვედმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია ცოლს, რადგან ხედავდა, რომ ტელეფონის ყოველი აწკრიალებისას ის სულ უფრო მეტად კარგავდა წონასწორობას.

ამჯერად რიტას ყვავილებით მოჩითული იაფფასიანი ქვედატანი, ბლუზა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა. როდესაც ხალიჩა ბორძიკით გადაჭრა, კიდევ უფრო ციცქნად მოჩანდა, ვიდრე მაშინ, სამუშაო ჩექმები რომ ეცვა. თმა, როგორც ყოველთვის, გაბურძღვნილი ჰქონდა, ლამბაქივით პატარა სახე კი - ჩვეულებრივ, უსიცოცხლო და უფერული - ტუჩის საცხით და ფერადი ჩრდილებით აეჭრებინა. ცხიმიანი ვარდისფერი ფერ-უმარილისგან ლოყები უპრიალებდა. მესამეკლასელ გოგონას ჰგავდა, რომელმაც დედამისის ოთახი გადააქოთა. კოსმეტიკა საშიშ და პათოლოგიურ იერს ანიჭებდა მის ფერმკრთალ, უსიცოცხლო სახეს.

- ფული მოვიტანე, - თქვა შვედმა და ზღურბლზე შეჩერდა. რიტასთან შედარებით, კომკივით მაღალი იყო. იცოდა, რომ გამოუსწორებელ სისულელეს სჩადიოდა. - ფული მოვიტანე, - გაიმეორა მან და მოემზადა იმისთვის, რომ მოესმინა მკვანხე სიტყვები გაძარცვული მუშების ოფლისა და სისხლის შესახებ.

- ოჰ, გამარჯობა! შემობრძანდით, - მიუგო ქალიშვილმა. - გაიცანით ჩემი მშობლები. დედა, მამა, ეს სეიმურია. ფაბრიკა ერთია და სასტუმრო - მეორე. შემობრძანდით. თავი ისე იგრძენით, როგორც საკუთარ სახლში.

ფულის დასტები პორტფელში ეწყო. არა მარტო ხუთი ათასი, ათდოლარიანი და ოცდოლარიანი ბანკნოტებით, როგორც რიტამ მოითხოვა, არამედ - კიდევ ხუთი ათასიც, ორმოცდაათდოლარიანებით. ათი ათასი - გაურკვეველია, რისთვის. რა სარგებლობა უნდა მოეტანა მას მერისთვის? ამ თანხიდან ის ერთ პენისაც კი ვერ იხილავდა. და მაინც, შვედმა მთელი ნებისყოფა მოიკრიბა, რათა თავშეკავება შეენარჩუნებინა და გაიმეორა:

- ის თანხა მოვიტანე, თქვენ რომ მთხოვეთ.

მთელი ძალ-ღონით ცდილობდა, უჩვეულო სიტუაციის მიუხედავად, ნირი არ შეცვლოდა.

რიტამ საწოლისკენ დაიხია, ჩამოჯდა, ფეხები გადააჯვარედინა, თავქვეშ ორი ბალიში ამოიღო და წყნარად აღიღინდა:

- ოჰ, ლიდია, ოჰ, ლიდია, ჩემო ენციკლოპედია, ოჰ, ლიდია, ჩემო სვირინგიანო ლედი...

ეს სასაცილო ძველებური სიმღერა შვედმა თავის პატარა გოგონას ასწავლა, მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ მღერისას მერის ენა არ ებმე-

ბოდა.

- იმისთვის მოხვედი, რომ რიტა კოენს შეუდო, არა?
- ფულის გადმოსაცემად მოვედი.
- მ-მ-მ-მოდო, შემოიდე, მ-მ-მ-მ-ამიკო.
- თუ შეგიძლიათ გაიგოთ, რას გრძნობს ადამიანი...
- გეყოფა, შვედ. რა იცი გრძნობების შესახებ?
- რატომ გვექცევით ასე?
- უჰ-უჰ! სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. შენ ხომ აქ სექსისთვის მოხვედი. ეს ცხადზე უცხადესია. რისთვის უნდა მოვიდეს შუახნის ხვალი კაპიტალისტი სასტუმროს ნომერში პატარა ტაკუნასთან? იმისთვის, რომ შეუდოს. აბა, თვითონვე თქვი. თქვი: მოვედი, რომ შეგიდო. ბოლომდე შეგიდო. თქვი ეს, შვედ.
- ამას არ ვიტყვი. გაჩუმდით!
- ოცდაორი წლისა ვარ. ყველაფერი კარგად ვიცი, აბა, შვედ, თქვი ეს.

იქნებ ეს მასხარაობა და დაცინვა მერიმდე მისალწვევი გზა იყო? რიტას სიამოვნებას ანიჭებდა შვედის გაბიაბრუება. წინასწარ მოფიქრებულ როლს ხომ არ ასრულებდა? ან იქნებ შვედი ცდილობდა, საერთო ენა მოეძებნა შემოიღო, რაც იმთავითვე უიმედო რამ გახლდათ? ბანდის წევრს წააგავდა. ეს ფერმკრთალი ურჩხული ბანდის ბელადი ხომ არ იყო? ნებისმიერ ბანდაში ბელადად ირჩევენ იმას, ვინც ყველაზე სასტიკია. არის თუ არა რიტა ყველაზე სასტიკი? იქნებ სხვები კიდევ უფრო უარესნი არიან და ახლა, ამწუთას, მერი მათ ხელშია? შეიძლება, რიტა მათგან ყველაზე საზრიანია. არტისტულია. გარყვნილია. მათ შორის ყველაზე პერსპექტიული ნაბიჭვარია. შეიძლება, ეს ყველაფერი უბრალოდ თამაშია, უზრუნველყოფილი ოჯახების ნაშიერთა გასართობად მოგონილი.

- რა მოხდა, არ მოგწონვარ? - ჰკითხა რიტამ. - თუ ასეთ დიდ ბიჭს მდაბალი სურვილები არ გაწუხებს? მოდი, ნუ გეშინია. ნეტა შენი თავი დაგანახა. დარცხვენო ბიჭს ჰგავხარ. ბიჭს, რომელსაც ძალიან ეშინია, თავი არ შეირცხვინოს. უმწიკვლოების გარდა, სხვა ღირსებები არა გაქვს? დავნაძლევდეთ, რომ გაქვს. ბურჯივით მყარი. საზოგადოების ბურჯივით.

- რა მიზნით მეუბნები ამას?
- რა მიზნით? გეტყვი. რათა რეალობა გაგაცნო. მიზანი ესაა.

- და რამდენი სისასტიკეა საჭირო ამისთვის?

- რეალობა რომ გაგაცნო? რეალობით აღტაცება რომ გაგრძნობინო? რეალობაში რომ შეგიყვანო? რეალობის წინა პლანზე რომ გამოგიყვანო? ეს ადვილი როდია, შიმპანზევ!

შვედი დაიძაბა, რომ არ აპყოლოდა ამ გოგოს, გულთან არაფერი მიეტანა. წინასწარვე იცოდა, რომ შეურაცხყოფელ სიტყვებს გაიგონებდა. რიტა სულელი არ გახლდათ და არც უხამს გამოთქმებს არ უფრთხოდა - შვედი ამისთვის მზად იყო. მაგრამ მან არ გაითვალისწინა ვნება, ჟინი; არ გაითვალისწინა, რომ მასზე იერიშს მიიტანდნენ არა სიტყვებით, არამედ სხვა იარაღით. მიუხედავად ზიზლისა, რომელსაც მასში იწვევდა გოგონას ავადმყოფურად მკრთალი სხეული, მიუხედავად კომიკური ბავშვური მაკიაჟისა და ბამბის იაფფასიანი ტანსაცმლისა, საწოლზე გაშოტილი არსება ახალგაზრდა ქალი გახლდათ და შვედი - თავდაჭერილობის ეტალონი - თავს ძლივს ერეოდა.

- საწყალი, - წარმოთქვა გოგომ დაცინვით, - ოლდრიმროკელი მდიდარი ბიჭი. მშიშარა. მოდი, შემდეგ, მ-მ-მ-მამიკო, შემდეგ კი შენს ქალიშვილს შეგახვედრებ. ასოს დაიბან, შარვალს შეიკრავ და პირდაპირ მასთან წაგიყვან.

- მართლა წამიყვან? შემოიძლია, ამის იმედი მქონდეს?

- დაიცა. ვნახოთ, როგორ წავა საქმე. ყველაზე უარესი, რაც შეიძლება მოხდეს, ისაა, რომ ოცდაორი წლის გოგოსთან დაწვები. მოდი, მამიკო. მოდი საწოლთან, მ-მ-მ...

- გეყოფა! ჩემს შვილს ამასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ჩემს შვილს შენთან არაფერი საერთო არა აქვს! ჩემს შვილს თქვენთან არაფერი საერთო არა აქვს! პატარა გომბიო ხარ - იმის ღირსიც კი არა ხარ, რომ ჩემს შვილს ფენსაცმელები გაუწმინდო! ჩემს შვილს არავითარი კავშირი არა აქვს აფეთქებასთან. და ეს კარგად იცი!

- დაწყნარდი, შვედ. დაწყნარდი, ჩემო საყვარელო. თუ მართლა ასე ძალიან გინდა იხილო შენი შვილი, ახლავე დაწყნარდი, აქ მოდი და ბოლომდე შეუდე რიტა კოენს. ჯერ - სექსი, შემდეგ - ჯილდო.

რიტამ მუხლები მკერდთან მიიტანა, ტერფებით საწოლს დაეყრდნო და ფეხები გაშალა. ჭრელი ქვედატანი მუცლამდე აიწია. ტრუსი არ ეცვა.

- აქ, - თქვა მან ალერსიანად, - აქ ჩადე. მოდი. მოდი. შენთვის ყველაფერი ნებადართულია, პატარავ.

- მის კოენ... - შვედმა არ იცოდა, როგორ დაეღწია თავი ამ სიტუაციიდან ისე, რომ ღირსება არ დაეკარგა; სისხლი უღულდა - ამგვარი იერიშისთვის მზად არ იყო. რიტამ დინამიტი მოიტანა სასტუმროში ასაფეთქებლად. სწორედ ასეა. შვედის ასაფეთქებლად.

- რა მოხდა, საყვარელო? - ჰკითხა გოგომ, - დიდი ბიჭივით უნდა ილაპარაკო, თუ გინდა, რომ გამაგონო.

- რა საერთო აქვს ამ სცენას იმასთან, რაც მოხდა?

- ყველაფერი, - თქვა რიტამ. - გაგიკვირდება, რა ნათელ წარმოდგენას შეიქმნი ამ სცენის წყალობით. შეხედე!

მან ორივე ხელის თითები შეიცურა ბოქვენის ღინღაში, შემდეგ კი გარე სასტუმრო ბაგეები გადაშალა და მკრთალი, სველი საშო აჩვენა. შვედმა ზურგი შეაქცია.

- აი, აქ, ქვემოთ, ჯუნგლია, - თქვა რიტამ. - არაფერი არაა თავის ადგილას. მარცხენა ნაწილი მარჯვენას არ ჰგავს. და რამდენი რამაა კიდევ? არავინ იცის. იმდენი, რომ ვერც დაითვლი. ლიმფური ჯირკვლები, კიდევ ერთი ნახვრეტი. კანი. ვერ ამჩნევ კავშირს მომხდართან? კარგად შეხედე. ყურადღებით დააკვირდი.

- მის კოენ! - თქვა შვედმა და მას თვალებში ჩააშტერდა. ეს იყო ერთადერთი მშვენიერი რამ, რომელიც რიტას ღმერთმა უბოძა. ბავშვური თვალები, კარგი გოგონას თვალები, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა იმასთან, რასაც ის სჩადიოდა, - ჩემი შვილი დაიკარგა, ადამიანი დაიღუპა.

- შენ ვერ გაიგე. ვერაფერი გაიგე. შეხედე. აღწერე ეს ჩემთვის. განა ეს ჭეშმარიტება არაა? რას ხედავ? ხედავ თუ არა რაიმეს? არა, ვერაფერს ხედავ. არაფერს ხედავ, იმიტომ, რომ არ გინდა დაინახო.

- ეს უაზრობაა, - თქვა შვედმა. - არავისზე მოქმედებს. მხოლოდ შენზე.

- იცი, რა ზომისაა? ვნახოთ, როგორი თვალის ზომა გაქვს. პატარაა. ჩემი აზრით, ოთხი ნომერია. ქალის ყველაზე პატარა ზომა. უფრო პატარა ბავშვებს აქვთ. ვნახოთ, როგორ მოგეწონება ეს პაწაწინა ოთხი ნომერი. მოდი, ვნახოთ, მოგანიჭებს თუ არა ყველაზე სასიამოვნო, ტკბილ განცდებს, რაზეც გიოცნებია. კარგი ტყავი და თხელი ხელთათმანები გიყვარს, არა? მოსინჯე ეს ხელთათმანი. მაგრამ ნელა, ნელა. არ იჩქარო.

- იქნებ გაჩუმდე?

- კარგი, თუ ასე გადაწყვიტე, თუ გეშინია, აქეთ გამოიხედო, თვალე-
ბი დახუჭე და დაყნოსე. მოდი და ჩაისუნთქე. ჭაობია, ჩაგითრევს. დაყ-
ნოსე, შვედ. ხომ იცი, როგორი სუნი აქვს ხელთათმანებს. ისეთი სუნი
აქვს, როგორიც ახალი ავტომანქანის სალონს. ასეთი სუნი აქვს ცხოვ-
რებას. დაყნოსე მისი სურნელი. ჩაისუნთქე ნორჩი საშოს სურნელი.

შავი, ბავშვური თვალები. ვნებითა და სიცილით აღსავსე. გაბედუ-
ლებით. იღუმალელებით. რიტათი. და ეს მხოლოდ ნახევრად თამაშია. რა-
თა მამაკაცი ააღელვოს. განარისხოს. ალაგზნოს. რიტამ უკვე გადააბი-
ჯა ზღვარს. ამბოხებული ჭინკა. უბედურებათა გამავრცელებელი ჯინი.
თითქოს შვედის წამება და მისი ოჯახის განადგურება რიტას ცხოვრე-
ბის დანიშნულებას წარმოადგენდეს. პატარა მეამბოხე.

- ფიზიკური თავშეკავების არაჩვეულებრივი უნარი გქონია, - უთ-
ხრა გოგომ. - არსებობს რაიმე, რაც თავშეკავებას დაგაკარგვინებს? არ
მეგონა, რომ კიდევ არსებობდნენ შენნაირები. ნებისმიერი სხვა კაცი
ველარ გაუძლებდა ერექციის შემოტევას. ნამდვილი დინოზავრი ხარ.
მოდი, გემო გაუსინჯე.

- შენ ქალი არა ხარ. ეს ყველაფერი ქალად სულაც არ გაქცევს. მხო-
ლოდ ქალის პაროდია ხარ. ამაზრზენი პაროდია, - შვედი სწრაფად ის-
როდა სიტყვებს, თითქოს ჯარისკაცი იყო და მტრის იერიშს იგერიებ-
და.

- განა მამაკაცი, რომელსაც შეხედვისა ეშინია, პაროდია არაა? განა
ყურება ბუნებრივი არაა? რა უნდა ითქვას მამაკაცზე, რომელიც
თვალს მარილებს, რადგან რეალობა მისთვის მიუღებელია? რადგან
რეალობა არ შეესაბამება მისეულ წარმოდგენას სამყაროს შესახებ?
ჰგონია, რომ იცნობს სამყაროს. აბა, გასინჯე ის! რა თქმა უნდა, შენ-
თვის, დიდი ბოისკაუტისთვის, ის ამაზრზენია, მე კი გარყვნილი ვარ! -
და გოგომ, რომელსაც ეცინებოდა იმაზე, რომ შვედს არ სურდა, ერთი
ღუმიმით ქვემოთ გადაეტანა მზერა, წამოიძახა: - აქ!

რიტამ, ალბათ, ღრმად შეიყო თითები საშოში, რადგან ხელი აღარ
უჩანდა, ერთი წუთის შემდეგ კი ხელი მთლიანად აჩვენა შვედს. თითე-
ბი, რომლებიც გაჟღენთილი ჰქონდა საშოს სუნით, მისკენ გაიწვდინა.
შვედს განაყოფიერებისთვის გამზადებული საშოს სუნი სახეში ეცა.

- აი, ესეც საიდუმლოს გასაღები. გინდა იცოდე, როგორ უკავშირდე-
ბა ის მომხდარს? - თქვა გოგომ. - გეტყვი.

შვედში იმდენი განცდა, იმდენი ეჭვი, იმდენი ურთიერთსაპირისპირო ლტოლვა, იმდენი ურთიერთსაპირისპირო წადილი ბობოქრობდა, რომ უკვე შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა, თუ ვისმა ნებამ აღმართა მათ შორის გადაულახავი ზღუდე. აზრები, რომლებიც გონებაში უტრიალებდა, თითქოს უცხოენოვანი იყო, მაგრამ მაინც კარგად ესმოდა, რომ ამ ზღუდის გარღვევა არ შეიძლებოდა. არ შეიძლებოდა რიტას ხელში ატაცება და ფანჯრიდან გადაგდება. არ შეიძლებოდა რიტას ხელში ატაცება და იატაკზე დანარცხება. ნებისმიერ შემთხვევაში, არ შეიძლებოდა მისი შეხება. ნებისყოფის მონარჩენი იმისთვის უნდა გამოეყენებინა, რომ საწოლიდან ერთი ფუტის მანძილზე გახევებულიყო, არ მიახლოებოდა.

ახლა რიტა ხელს ნელა ატრიალებდა საკუთარ სახესთან. უცნაურ, სასაცილო წრეებს კრავდა ჰაერში, როდესაც ხელი პირთან მიჰქონდა. შემდეგ თითები სათითაოდ მოიწუწუნა.

- იცი, რისი გემო აქვს? გინდა გითხრა? შენი შ-შ-შვილის გემო აქვს.

შვედი ტყვიანაკრავით გავარდა ოთახიდან. კარი მთელი ძალით გაიჯახუნა.

აი, ასე. ათი, თორმეტი წუთი და ყველაფერი დამთავრდა. როდესაც გამოძიების ფედერალურ ბიუროში მის ზარს უპასუხეს და აგენტები სასტუმროში მივიდნენ, რიტა იქ უკვე აღარ დახვდათ, ისევე, როგორც - შვედის მიერ ნომერში დატოვებული პორტფელი. შვედი გაექცა არა ბავშვურ სისასტიკესა და სიმდაბლეს, არა - ბინძურ პროვოკაციას, არამედ რალაცას, რასაც სახელს ვერ უძებნიდა.

როდესაც იმას წააწყდა, რასაც სახელი ვერ დაარქვა, თავიდან ბოლომდე არასწორად მოიქცა.

გადის ხუთი წელი. რიმროკელი ტერორისტის მამა ამაოდ ელოდება რიტას გამოჩენას თავის ოფისში. არც რიტას ფოტოსურათი, არც მისი თითების ანაბეჭდები არ აქვს - მათ ხანმოკლე შეხვედრებს ყოველთვის ეს ცეროდენა გოგო წარმართავდა. ახლა კი გაქრა. აგენტთან და მხატვართან ერთად, რომელიც ესკიზებს ხატავს, შვედი გამოძიების ფედერალური ბიუროსთვის რიტას პორტრეტს ქმნის, მარტო დარჩენილი კი ჟურნალ-გაზეთებს ათვალთქვებს და მათში რიტას ფოტოსურათის გამოჩენას ელის. აუცილებლად გამოჩნდება. ბომბებს ყველგან აფეთქებენ. ბოულდერში (კოლორადოს შტატი) კოლორადოს უნივერსიტეტის მედკომისიისა და თადარიგის ოფიცერთა მომზადების სამმართველოს

ოფისებს აფეთქებენ. მიჩიგანში რამდენიმე ბომბს აფეთქებენ უნივერსიტეტში, ხოლო დინამიტის კოჭებს პოლიციის სამმართველოსა და გასაწვევ პუნქტში ყრიან. ვისკონსინში ბომბით ანადგურებენ ეროვნული გვარდიის საბრძოლო მასალების საწყობს, პატარა თვითმფრინავი კი საჯარისო ამუნიციის მწარმოებელ ქარხანაში დენთით ავსებულ ორი ქილას ყრის. ბომბებს დებენ ვისკონსინის უნივერსიტეტის კოლეჯების შენობებში. ჩიკაგოში ბომბით აფეთქებენ ძეგლს, რომელიც ჰაიმარკეტში მომხდარი არეულობების დროს დაღუპული პოლიციელების უკვდავსაყოფად აღმართეს. ნიუ-ჰეივენში ბომბს აფეთქებენ იმ მოსამართლის სახლში, რომელიც „შავი პანტერების“ ორგანიზაციის თორმეტი წევრის პროცესს წარმართავდა - სწორედ მათ ედებოდათ ბრალად მალაზიების, პოლიციის სამმართველოსა და რკინიგზის აფეთქება. ბომბებს დებენ ორეგონის, მისურის, ტექსასის უნივერსიტეტების შენობებში. პიტსბურგის სუპერმარკეტში, ვაშინგტონის ღამის კლუბში, მერილენდის სასამართლოს დარბაზში ბომბებს აფეთქებენ. ნიუ-იორკში აფეთქებების მთელი სერია ხდება: პირსზე, რომელთანაც „იუნაიტედ ფრუტს ლაინის“ გემები დგებიან, მიდლენდის საზღვაო ბანკში, სამრეწველო ტრესტის შენობაში, „ჯენერალ მოტორსის“ შენობაში, „მობილ ოილის“ მანჰეტენის შტაბბინაში, „ინტერნემლ ბიზნეს მეშინსის“, ასევე სატელეფონო და ელექტრონული კავშირის კომპანიებში. აფეთქებულია გასაწვევი პუნქტის შენობა მანჰეტენის ცენტრში, აფეთქებულია სისხლის სამართლის სასამართლოს შენობა. „მოლოტოვის კოქტილით“ სავსე სამი ბოთლი აღმოჩნდა სკოლის შენობაში მანჰეტენზე. ბომბები ააფეთქეს რვა ქალაქის საბანკო სეიფებში. მათგან ერთ-ერთში ნამდვილად ურეგია რიტას ხელი. რიტას იპოვიან. მთელ ბანდასთან ერთად დანაშაულის ადგილას დაიჭერენ და ის მერის ადგილსამყოფელს გაამხელს.

ყოველ საღამოს პიჟამიანი შვედი სამზარეულოში ზის და ელის, რომ ფანჯარაში შვილის გამურულ სახეს დაინახავს. შვედი მარტო ზის სამზარეულოში და ელოდება მტრის, რიტა კოენის დაბრუნებას.

ლას-ვეგასში „ტრანს უორლდ ეარლაინსის“ თვითმფრინავს აფეთქებენ. ბომბი ფეთქდება ლაინერზე „ქუინ ელიზაბეთ“. ბომბი ფეთქდება პენტაგონშიც - ქალების ტუალეტში, მეოთხე სართულზე, სადაც პენტაგონის სამხედრო-საჰაერო ძალების სამმართველოა. ტერორისტი ტოვებს ბარათს: „დღეს თავს დავესხით პენტაგონს - ამერიკის სამხედ-

რო სარდლობის ცენტრს. ესაა ჩვენი რეაქცია იმ ფაქტზე, რომ ამერიკა აძლიერებს საჰაერო და საზღვაო თავდასხმებს ვიეტნამზე; რომ ამერიკის გემები და სამხედრო კრეისერები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ნავსადგურებს ბლოკავენ; რომ ვაშინგტონში აპირებენ საომარ ქმედებათა შემდგომ ესკალაციას“. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა - გეფიცები, სეიმურ, თუ მისგან კიდევ ერთხელ გავიგონებ ამ სიტყვებს, გავგიჟდები. ეს მათმა ქალიშვილმა ჩაიდინა! მერიმ ააფეთქა ბომბი პენტაგონში.

„მ-მ-მამა! - საკერავი მანქანების ხმაურში ესმის სეიმურს. - მ-მ-მამა!“

მერის გაუჩინარებიდან ორი წლის შემდეგ ბომბი ფეთქდება ბერძნული სტილით ნაგებ ულამაზეს შენობაში გრინვიჩ-ვილიჯის ყველაზე წყნარ რაიონში - სამი აფეთქება და ხანძარი ნანგრევებად აქცევს აგურის ძველებურ ოთხსართულიან სახლს. სახლის მეპატრონე მდიდარი ნიუიორკელი ცოლ-ქმარია. ისინი კარიბის კუნძულებზე ისვენებენ. აფეთქების შემდეგ სახლიდან ბორძიკით გამორბის ორი შეშინებული, დაშავებული და ტანსაცმელშემოგლეჯილი გოგო. ერთი მათგანი, რომელსაც ტანსაცმელი მთლიანად დაეწვა, როგორც ამბობენ, თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლისაა. ორივე თავს აფარებს მეზობელთან, რომელიც მათ ტანსაცმელს აძლევს და დაბომბილი შენობისკენ გარბის იმის სანახავად, კიდევ ვინმეს ხომ არ სჭირდება დახმარება. ამასობაში კი ის ორი გოგო უჩინარდება. ერთ-ერთი მათგანი აფეთქებული სახლის მეპატრონეთა ქალიშვილია, გაერთიანების „სტუდენტები ემხრობიან დემოკრატიულ საზოგადოებას“ (რომელსაც „ქარიშხალსაც“ უწოდებენ) რადიკალური ფრთის წევრი. მეორე უცნობია. მეორე რიტაა ან მერია. ამაშიც გარიეს!

შვედი მთელი ღამე ელოდება თავისი ქალიშვილისა და ქალი-ქარიშხლის გამოჩენას. ახლა ეს უხიფათოა - უკვე ერთი წელია, სახლსა და ფაბრიკას აღარ უთვალთვალევენ და არც სატელეფონო საუბრებს ისმენენ. ახლა უკვე შეიძლება მათი გამოჩენა. შვედი ფიქრობს, რით გაუმასპინძლდეს გოგონებს, თან საყინულიდან წვნიანის პაკეტი გამოაქვს. იხსენებს, როგორ დაინტერესდა მერი მეცნიერებით. დოუნმა ძროხების მოშენება დაიწყო და მერიმ გადაწყვიტა, ვეტერინარი გამხდარიყო. მეცნიერებისკენ შეფერხებულმა მეტყველებამაც უბიძგა - როდესაც გულისყურს იკრებდა და ყურადღებას ამახვილებდა რომე-

ლიმე მეცნიერულ პროექტზე, რომელიც საგულდაგულოდ უნდა შეესრულებინა, ენას ნაკლებად უკიდებდა. რომელი მამა მიხვდებოდა, რომ ეს, საბოლოოდ, აფეთქებებს გამოიწვევდა? ამას შვედი კი არა, ვერავინ ვერ იაზრებდა. მერის ინტერესი მეცნიერებისადმი სრულიად უწყინარი იყო! და, საერთოდ, ყველაფერი ასეთივე გახლდათ.

ნანგრევებში ნაპოვნი დაღუპული ახალგაზრდა კაცი კოლუმბიის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი, ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციების აქტიური მონაწილე, რადიკალური ჯგუფის - „ცოფიანი ძაღლების“ დამაარსებელი იყო. კიდევ ერთი დღის შემდეგ გაირკვა აფეთქების ადგილიდან მიმალული მეორე ქალიშვილის ვინაობაც: ისიც რადიკალური აქტივისტი (მაგრამ არა მერი), ნიუიორკელი ადვოკატის ოცდაექვსი წლის ქალიშვილი აღმოჩნდა. კიდევ უფრო უარესი იყო შეტყობინება მეორე გვამის (ახალგაზრდა ქალის ტორსის) შესახებ, რომელიც სახლის ნანგრევებქვეშ ნახეს გრინვიჩ-ვილიჯში. ამ მეორე მსხვერპლის ვინაობის დადგენა მაშინვე ვერ მოხერხდა და სამედიცინო ექსპერტმა, ელიოტ გროსმა განაცხადა, მისი ვინაობის შეტყობას გარკვეული დრო დასჭირდებაო.

სამზარეულოს მაგიდასთან მარტო მჯდომმა მამამ იცის ამ ქალიშვილის ვინაობა. დინამიტის სამოცი შეკვრა, ოცდაათი ასაფეთქებელი კაფსულა, თვითნაკეთი ბომბები - დინამიტით გავსებული თორმეტდუიმინიანი მილაკები - ეს ყველაფერი ამ დაფლეთილი სხეულიდან ოცი ფუტის მანძილზე აღმოაჩინეს. დინამიტით გავსებულმა მილაკმა დოქტორი ჰემლინი შეიწირა. მერი ახალ ბომბს ამზადებდა, რალაც შეეშალა და ნიუ-იორკში სახლი აფეთქდა. თავდაპირველად ჰემლინი, ახლა კი - თვითონ. მან უცნაურ მოვლენებს მიჩვეული ქალაქიც კი განაცვიფრა - და აი, შედეგი. „ექიმმა გროსმა დაადასტურა, რომ სხეულზე შეიმჩნევა ბომბში ჩადებული ლურსმნებით გამოწვეული მრავლობითი ჭრილობები, რაც, პოლიციისგან მიღებული ცნობების თანახმად, მიუთითებს ამგვარი ბომბის, როგორც ადამიანის მკვლელობისთვის გამოიზნული იარაღის, და არა, უბრალოდ, ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენებაზე“.

მეორე დღეს გამოქვეყნდა ახალი შეტყობინება მანჰეტენზე მომხდარი აფეთქებების შესახებ: 13 საათსა და 40 წუთზე ცენტრიდან გარკვეული მანძილით დაშორებულ სამ შენობაში ბომბები ერთდროულად აფეთქდა. მაშასადამე, ეს მისი ტორსი მისი არ ყოფილა! მერი ცოცხა-

ლია! ლურსმნებით დაფლეთილი სხეული მისი არაა! „პოლიცია, რომელიც ტელეფონით გააფრთხილეს, შენობასთან 13 საათსა და 20 წუთზე მივიდა და აფეთქებამდე მოასწრო შენობაში მყოფი ოცდაოთხი ადამიანის - დაცვის თანამშრომლებისა და სხვების - ევაკუირება“. ალბათ, მანჰეტენელი ტერორისტი და რიმროკელი ტერორისტი ერთი და იგივე პიროვნებაა. მერი რომ მიმხვდარიყო და ტელეფონით შეეტყობინებინა პირველი ბომბის აფეთქების შესახებ, არავინ დაილუპებოდა და მას არ დაუწყებდნენ ძებნას, როგორც მკვლელს. ესე იგი, მერიმ ჰკუა ისწავლა. ესე იგი, ცოცხალია და შვედი ამაოდ როდი ზის ყოველდამე სამზარეულოში, ამაოდ როდი ელოდება, რომ ფანჯრიდან მერისა და რიტას დაინახავს.

შვედი გაზეთებიდან იგებს, რას ამბობენ მშობლები ორი გაუჩინარებული ქალიშვილისა, რომლებსაც, ოთხსართულიანი შენობის აფეთქებასთან დაკავშირებით, პოლიცია ეძებს. ერთ-ერთის დედ-მამა ტელევიზორის ეკრანიდან მიმართავს ქალიშვილს და ევედრება შეატყობინოს, რამდენი ადამიანი იმყოფებოდა შენობაში აფეთქების მომენტში. „თუ იქ მეტი არავინ იყო, მაშინ ძებნა შეწყდება და გადარჩენილ კედლებს აღარ დაანგრევენ. მჯერა შენი, - ეუბნება დედა გაუჩინარებულ ქალიშვილს, რომელმაც მეგობრებთან ერთად შენობა ბომბების დასამზადებელ ფაბრიკად გადააქცია, - ვიცი, რომ არ მოინდომებ ამ ტრაგედიის დამძიმებას. გევედრები, გევედრები, დარეკე, დეპეშა გამოგზავნე ან სთხოვე ვინმეს, დარეკოს და ეს ინფორმაცია მოგვაწოდოს. ერთი რამ გვჭირდება: ვიცოდეთ, რომ საფრთხე არ გემუქრება. მხოლოდ იმის თქმა გვსურს, რომ გვიყვარხარ და ძალიან გვინდა დაგეხმაროთ“.

სწორედ ამ სიტყვებს ეუბნებოდა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან და ტელეეკრანებიდან გაუჩინარებულ რიმროკელ ტერორისტს მამამისი. გვიყვარხარ და გვინდა დაგეხმაროთო. კითხვაზე, „კარგი ურთიერთობა“ ჰქონდა თუ არა შვილთან, ნიუიორკელი გოგონას მამამ ისეთივე გულწრფელი და სასოწარკვეთილი პასუხი გასცა, როგორიც - თავის დროზე - რიმროკელი ტერორისტის მამამ: „არა. ჩვენ, მშობლები, იძულებულნი ვართ, გიპასუხოთ „არა“. ბოლო წლებში - არა“. ნიუიორკელი ქალიშვილი, მამამისის თქმით, იმავე მიზნებისთვის იბრძოდა, რომლებიც ასულდგმულებდა მერის - სასადილო მაგიდასთან ის ბრალს სდებდა საკუთარ დედასა და მამას ეგოიზმსა და ბურჟუაზიულ ყაიდაზე ცხოვრებაში, ხოლო თავისი ბრძოლის მიზნად მიიჩნევდა

„სისტემის შეცვლას და ძალაუფლების გადაცემას მოსახლეობის 90 პროცენტისთვის, რომელიც ამჟამად ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე“.

პოლიციის თანამშრომლის თქმით, მეორე ძებნილი ქალიშვილის მამა „ძალზე გულჩათხრობილი“ იყო და მხოლოდ ის აღიარა, ჩემი შვილის ადგილსამყოფლის შესახებ არაფერი ვიციო. რიმროკელი ტერორისტის მამას ამ კაცისა სჯერა და კარგად ესმის მისი გულჩათხრობილობის მიზეზი; ყველა ამერიკელ მამაზე უკეთ ესმის მთელი სიმძიმე მწუხარებისა, რომელიც იგრძნობა ნეიტრალური ფრაზის - „მისი ადგილსამყოფლის შესახებ არაფერი ვიცი“ - მიღმა. იგივე რომ არ მოსვლოდა, გააკვირვებდა ეს გულცივი ნილაბი. მაგრამ მან იცის, რომ მშობლებს თავგზა აქვთ აბნეული და მომხდარს დამაჯერებელ ახსნას ვერ უძებნიან.

მესამე (ამჯერად მამაკაცის) სხეულს ოთხსართულიანი შენობის ნანგრევებში პოულობენ. ერთი კვირის შემდეგ გაზეთებში იბეჭდება მეორე დაკარგული ქალიშვილის დედის შეტყობინება, რომელიც მყისვე აქარწყლებს მის თანაგრძნობას ორივე მშობლისადმი. ქალიშვილის შესახებ მორიგ კითხვაზე დედა პასუხობს: „ვიცი, რომ საფრთხე არ ემუქრება“.

მშობლებმა, რომელთა ქალიშვილი დამნაშავეა სამი ადამიანის სიკვდილში, იციან, რომ მას საფრთხე არ ემუქრება. ხოლო შვედის ქალიშვილის შესახებ (რომლის მონაწილეობა მკვლელობაში დამტკიცებული არაა, რომელიც უდანაშაულოა და, უბრალოდ, გამოიყენეს ამ საწინააღმდეგარმა, პრივილეგირებული ნიუიორკელი ტერორისტების მსგავსმა შფოთის თავებმა) არავინ არაფერი იცის. მერის მათთან საერთო არაფერი აქვს. ასეთ ამბებში არ მონაწილეობდა. ისევე არ აუფეთქებია ჰემლინი, როგორც - პენტაგონი. 1968 წლის შემდეგ ათასობით ბომბი ააფეთქეს მთელ ამერიკაში და მერის არც ერთთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. საიდან იცის ეს შვედმა? იქიდან, რომ დოუნმა იცის. დოუნი დარწმუნებულია, მათ ქალიშვილს ეს რომ ჰქონოდა ჩაფიქრებული, სკოლას არ მოივლიდა და მოსწავლეებს არ უამბობდა, ოლდ-რიმროკს სიურპრიზი ელისო. მათი ქალიშვილი იმდენად ჭკვიანი იყო, რომ ასე არ მოიქცეოდა. ეს რომ ჰქონოდა ჩაფიქრებული, არაფერს გაამხელდა.

გადის ხუთი წელი. ხუთი წლის განმავლობაში ეძებენ მიზეზებს, იხსენებენ წარსულს და იმ გარემოებებს, ადამიანებსა და მოვლენებს,

რომლებმაც ზეგავლენა მოახდინეს მერის ჩამოყალიბებაზე. ვერაფრით გაუგიათ, რატომ იქცა ის ტერორისტად. ანაზღად შვედს ახსენდება ბუდისტ ბერები, რომლებიც თავს იწვავენ... მერი მაშინ მხოლოდ ათი--თერთმეტი წლის იქნებოდა, მომდევნო წლებში კი ათასი რამ შეემთხვა მასაც, ოჯახსაც და სამყაროსაც. მაგრამ მაშინდელ შიშს კვირების განმავლობაში ვერ დააღწია თავი და ტელეეკრანზე ნანახის გახსენებისას ხან ტიროდა, ხან კვლავ იწყებდა ამაზე ლაპარაკს, ხან კი ყვირილით იღვიძებდა ღამით, როდესაც ეს საშინელება ესიზმრებოდა. ამან მერის ღრმა კვალი დააჩნია. როდესაც შვედი იხსენებს, როგორ იჯდა ვახშმის შემდეგ მერი, დედ-მამასთან ერთად საინფორმაციო გადაცემას უყურებდა და ყველა ამერიკელი ტელემყურებელივით, სრულიად არ იყო მზად იმისთვის, რაც იხილა - ცეცხლმოღებულ ბერი - მას სჯერა, რომ მიაგნო იმის პირველმიზეზს, რაც შემდგომ მოხდა.

ეს იყო 1962 თუ 1963 წელს, კენედის მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, მანამ, სანამ ვიეტნამის ომი გამწვავდებოდა. იმხანად ყველას ეგონა, რომ ამერიკას უშუალო კავშირი არ ჰქონდა ამ შორეულ მოვლენებთან. ბერი, რომელიც ასე მოიქცა, სამოცდაათს გადაცილებული იყო. გამხდარს, თავგადაპარსულს, ზაფრანისფერი მოსასხამი ემოსა. წელგამართული, ფეხებგადაჯვარედინებული ბერი მოხდენილად იჯდა რომელიღაც სამხრეთვიეტნამური ქალაქის ქუჩაში, მის წინ კი იდგნენ სხვა ბერები, რომლებიც ამ ერთგვარ რელიგიურ რიტუალზე დასასწრებად მოსულიყვნენ. ბერმა პლასტმასის დიდი კანისტრიდან საცობი ამოაძრო, ბენზინი გადაისხა და ირგვლივ, ასფალტზეც ბლომად დააბკურა. შემდეგ ასანთი აანთო და მყისვე ალში გაეხვია.

ცირკში ზოგჯერ არენაზე გამოდიან „ცეცხლის მულაპავეები“ - არტისტები, რომლებიც პირიდან თითქოს ცეცხლის ალს უშვებენ. სამხრეთ ვიეტნამის ქალაქის ქუჩაში მჯდარმა ამ თავგადაპარსულმა ბერმა შეძლო შეექმნა ილუზია, რომ ცეცხლის ალში კი არ იყო გახვეული, არამედ თვითონ ამოტყორცნიდა ჰაერში ალს პირიდან, სახიდან, თავის ქალიდან, მკერდიდან, მოსასხამიდან, ფეხებიდან. წელში გამართული, გაუნძრევლად, მღუმარედ იჯდა და არაფრით ამჟღავნებდა, რომ მართლაც იწვოდა ცეცხლში. თავდაპირველად ეს ყველაფერი საცირკო ფოკუსს წააგავდა, ბერი კი, რომელიც ცეცხლში იწვოდა, თითქოს გარემომცველ ჰაერს ბუგავდა, თვითონ კი არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. პოზა ოდნავაც არ შეუცვლია. ეს იყო პოზა ადამიანისა, რომე-

ლიც სხვა სივრცეში იმყოფებოდა, მიღმურ სამყაროს ჭვრეტდა, მედი-
ტაციას ეწეოდა და სრულიად განურჩეველი იყო იმის მიმართ, რასაც
ახლა მთელი მსოფლიო უმზერდა. არც ყვირილი, არც კრუნჩხვა. ოდენ
სიმშვიდე აგიზგიზებული კოცონის ცენტრში. კამერებს ტკივილი არ
აღუბეჭდავთ. ის იგრძნეს მერიმ, შვედმა და დოუნმა, რომლებიც თავ-
ზარდაცემულნი ისხდნენ სასტუმრო ოთახში. მათ სახლში შემოიჭრა
ცეცხლის ალი და უძრავად მჯდარი ბერი, რომლის სხეულიც უეცრად
დაიფერფლა; მათ სახლში შემოაღწიეს სხვა ბერებმაც, რომლებიც უმ-
ფოთველად ისხდნენ ტროტუარზე. ზოგიერთს ხელისგულები შეეტყუ-
ებინა, რაც აზიაში ჰარმონიასა და ერთსულოვნებას აღნიშნავს. აქ,
არკადია-ჰილ-როუდზე, ლევოვები თავიანთ სახლში მიშტერებოდნენ
დამწვარ, გამავებულ სხეულს, რომელიც სადღაც, ცარიელ ქუჩაში ეს-
ვენა.

აი, მიზეზიც! ის ბერი მათ სახლში შემოიჭრა და სამუდამოდ დარჩა!
ბუდისტი ბერი, თავი შეგნებულად რომ დაიწვა და ამავე დროს ნარკო-
ზით გაბრუებულს ჰგავდა! ბრალი მიუძღოდა ტელევიზიასაც, რომელ-
მაც ეს მსხვერპლშეწირვა გადმოსცა... ლევოვებს სხვა არხისთვის რომ
ეყურებინათ, ტელევიზორი გამორთული ან გაფუჭებული რომ ჰქონო-
დათ, იმ დღეს შინ რომ არ ყოფილიყვნენ, მერი არ ნახავდა იმას, რისი
ნახვაც არ შეიძლება, და არ ჩაიდენდა იმას, რისი ჩადენაც დაუშვებე-
ლია. სხვა რა მიზეზი უნდა ყოფილიყო? „რა მ-მ-მ-მშვიდად უყურებ-
დნენ, - თქვა გოგონამ, როდესაც შვედმა ის მუხლებზე დაისვა, ხელები
მოხვია და აქეთ-იქით აქანავებდა. - რა მშვიდად უყურებდნენ“. თავ-
დაპირველად გოგონა ისეთი თავზარდაცემული იყო, რომ ტირილიც კი
არ შეეძლო და განუწყვეტლივ იმეორებდა ამ სამ სიტყვას. მხოლოდ
მოგვიანებით, როდესაც დაძინება დააპირა, როდესაც წამოხტა და კი-
ვილით გამოვარდა თავისი ოთახიდან, დერეფანი გაირბინა, დედ-მამის
საძინებელ ოთახში შევარდა და ხუთი წლის შემდეგ პირველად ითხო-
ვა, მათთან დაწოლის ნება მიეცათ, მან, ბოლოს და ბოლოს, ამოანთხია
ყველაფერი, რაც სტანჯავდა. დედ-მამას საძინებელ ოთახში შუქი არ
ჩაუქრია. მერი მშობლებს შორის იჯდა და ისინიც არ აწყვეტინებდნენ,
სანამ არ ამოთქვა ყველაფერი, რამაც თავზარი დასცა. როდესაც
დაეძინა, ღამის სამი საათი გადასული იყო. შუქი კვლავ ენთო - მერიმ
არ ჩააქრობინა - მაგრამ მან უკვე იმდენი ილაპარაკა და იმდენი იტი-
რა, რომ დაღლამ თავისი გაიტანა. „გ-გ-გ-განა აუცილებლად ცეცხლი

უნდა წაიკიდო, ადამიანები ჭ-ჭ-ჭკუაზე რომ მოვიდნენ? ეს არავის ალელვებს? ს-ს-ს-სინდისი არავის აქვს? ამქვეყნად ს-ს-ს-სინდისი არავის აქვს?“ ყოველთვის, როდესაც მის ბაგეებს სიტყვა „სინდისი“ სწყდებოდა, გოგონა ტირილს იწყებდა. რა უნდა ეთქვათ მშობლებს? რით უნდა ენუგეშებიანთ? მათ უთხრეს, რომ სინდისი აქვს ზოგიერთ ადამიანს, არა, ბევრ ადამიანს, მაგრამ, სამწუხაროდ, არსებობენ უსინდისო ადამიანებიც. იღბალი გქონია, მერი, რომ სინდისი გაქვს. შესანიშნავია, რომ ამ ასაკში სინდისი გაქვს. ჩვენ ვამაყობთ, რომ სინდისიერი ქალიშვილი გვყავს, რომ ის ზრუნავს სხვების კეთილდღეობაზე და თანაუგრძნობს მათ, ვინც იტანჯებიან...

მერიმ კიდევ ერთი კვირა ვერ შეძლო მარტო დაძინება თავის ოთახში. შვედი გულმოდგინედ კითხულობდა გაზეთებს, რათა მისთვის ბერის საქციელი განემარტა. ის, როგორც ჩანს, გამოწვეული იყო სამხრეთვიეტნამელი პრეზიდენტის, გენერალ დიემის მოქმედებით, კორუფციით, არჩევნებით, რთული რეგიონალური და პოლიტიკური კონფლიქტებით, გარკვეულწილად, თვით ბუდიზმის არსითაც... მაგრამ, მერის აზრით, ეს იყო უკიდურესი ზომა, რომელსაც მიმართავენ კარგი ადამიანები იმ სამყაროში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას სინდისის ნასახიც არა აქვს...

როგორც კი გოგონა ცოტა დამშვიდდა და კვლავ შეძლო, მარტო სძინებოდა სიბნელეში (ისე, რომ ღამის განმავლობაში რამდენჯერმე ყვირილით არ გაღვიძებოდა), ყველაფერი განმეორდა: მეორე ვიეტნამელი ბერიც აღმოდებულ ჩირაღდნად იქცა. მას მოჰყვა მესამე, მეოთხე... და მაშინ შვედი მიხვდა, რომ ვერ აუკრძალავდა გოგონას ტელევიზორის ყურებას. თუ მერი სადამოობით ვერ ასწრებდა ენახა რეპორტაჟები ბერების თვითმკვლელობის შესახებ, მაშინ დილით ადრე დგებოდა და სკოლაში წასვლამდე უყურებდა. მშობლები ვერ ხვდებოდნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. რატომ უყურებდა ამ გადაცემებს განუწყვეტლივ? რატომ აპირებდა, უსასრულოდ ეყურებინა? შვედს სურდა, მერი დამშვიდებულიყო, მაგრამ არა - ამდენად. იქნებ, უბრალოდ, სურდა, მოვლენათა არსში გარკვეულიყო? ცდილობდა, შიშს მორეოდა? უნდოდა წარმოედგინა, როგორ უნდა გადაედგა ადამიანს ასეთი ნაბიჯი? თავის თავს რომელიმე ბერის ადგილას წარმოიდგენდა? იმიტომ არ აცილებდა თვალს, რომ ეშინოდა? თუ იმის გამო, რომ ალგზნებას განიცდიდა? მშობლების ყველაზე მეტ მღელვარებასა და შიშს

იწვევდა ვარაუდი, რომ მერის შიშს ცნობისმოყვარეობამ სძლია. მალე შვედი იძულებული გახდა დაკვირვებოდა არა ვიეტნამელი ბერების თვითმკვლელობას, არამედ იმ ცვლილებებს, რომლებსაც მისი თერთმეტი წლის ქალიშვილი განიცდიდა. შვედი ყოველთვის ძალზე ამაცობდა ცნობისმოყვარეობით, რომელიც მერის პატარაობიდანვე სჩვეოდა, მაგრამ ახლა სულაც არ სურდა, რომ გოგონა ასე ჩაღრმავებულიყო ამ საკითხებში. განა თვითმკვლელობა ცოდვად არ ითვლება? როგორ შეუძლიათ ადამიანებს, იღვწენ და მხოლოდ უყურონ? რატომ არ ცდილობენ ბერის შეჩერებას? რატომ არ ცდილობენ ცეცხლის ჩაქრობას? დგანან და ტელევიზიას გადაღების უფლებას აძლევენ! სურთ, რომ ეს ყველაფერი ტელევიზიით აჩვენონ. სადაა მათი ზნეობა? ზნეობრივნი არიან თუ არა ტელერეპორტიორები, რომლებიც ამას იღებენ? ფიქრობდა თუ არა ამ საკითხებზე მერი? საჭირო იყო თუ არა ამ კითხვებზე პასუხების გაცემა გოგონას ინტელექტუალური განვითარებისთვის? შვედმა არ იცოდა. მერი მდუმარედ იჯდა ხოლმე ტელევიზორის წინ, ისევე გაუნძრევლად, როგორც - ცეცხლწაკიდებული ბერი. შემდეგაც არაფერს ამბობდა; როდესაც მამამისი რაიმეს ეკითხებოდა, ხმას არ სცემდა. უბრალოდ, გახევებული, ტელევიზორის წინ იჯდა და მისჩერებოდა არა მოციმციმე ეკრანს, არამედ რაღაცას თავის სულში, სადაც ალბათ ყველაფერი მწყობრი და მკაფიო იყო; სადაც ყოველივე გაუგებარი უდიდეს ძვრებს იწვევდა, ხოლო ერთხელ აღბეჭდილს დავიწყების საფრთხე არ ემუქრებოდა.

შვედმა არ იცოდა, როგორ შეეჩერებინა შვილი, მაგრამ მაინც ცდილობდა, მისი ყურადღება სხვა საკითხებზე გადაეტანა, რათა დაევიწყებინა ის საშინელება, დედამიწის მეორე ბოლოში რომ ხდებოდა იმ მიზეზების გამო, რომელთაც საერთო არაფერი ჰქონდათ მერისთან ან მის ოჯახთან. საღამოობით შვილი გოლფის სათამაშოდ ან სპორტული თამაშების საყურებლად დაჰყავდა. დოუნთან ერთად ხანმოკლე მოგზაურობაში წაიყვანა და პუერტო-რიკოს ფაბრიკა დაათვალიერებინა, შემდეგ ერთკვირიანი არდადეგები მოუწყო სანაპიროზე, პონსეს მახლობლად. ბოლოს მერის ყველაფერი დაავიწყდა. მაგრამ ეს დაკავშირებული არ იყო შვედის მცდელობებთან. მიზეზი მდგომარეობდა საკუთრივ თვითმკვლელობის აქტებში, უფრო ზუსტად კი - იმაში, რომ ისინი შეწყდა. ხუთჯერ, ექვსჯერ, შვიდჯერ განმეორდა და დამთავრდა. ცოტა ხნის შემდეგ კი მერის კვლავ ძველებური ხალისი დაუბ-

რუნდა. ახლა უკვე მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რაც უშუალოდ უკავშირდებოდა მის ყოველდღიურ ცხოვრებას და მის ასაკს შეეფერებოდა.

როდესაც სამხრეთ ვიეტნამის პრეზიდენტი დიემი, რომლის წინააღმდეგაც ბუდისტი ბერები პროტესტს გამოხატავდნენ, რამდენიმე თვის შემდეგ მოკლეს (სი-ბი-ეს-ის დილის პროგრამაში გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად, მოკლეს ამერიკის დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს თანამშრომლებმა, რომლებიც ადრე ძალაუფლების ხელში ჩაგდებაში დაეხმარნენ), მერის თითქოს გამორჩა ეს ამბავი და შვედსაც არაფერი უთქვამს შვილისთვის. იმ დროისთვის ქვეყანა, რომელსაც ვიეტნამს უწოდებენ, თითქოს აღარც არსებობდა მერისთვის, თუმცა ვიეტნამი მისთვის უწინაც წარმოუდგენლად შორეული დეკორაცია გახლდათ შემზარავი სატელევიზიო სპექტაკლისა, რომელმაც ზედმეტად მგრძნობიარე თერთმეტი წლის ბავშვი შეძრა.

შემდგომში, როდესაც, საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე, პოლიტიკას აკრიტიკებდა, მერის ერთი სიტყვაც არ დასცდენია ბუდისტი ბერების მარტვილობაზე. 1963 წლის იმ ტრაგედიას თითქოს საერთო არაფერი ჰქონდა 1968 წლის სახალხო მღელვარებებთან, რომლებიც გადაიზარდა ბრძოლაში კაპიტალისტური ამერიკის იმპერიალისტური (ეროვნული თავისუფლებისთვის მებრძოლი გლეხების წინააღმდეგ მიმართული) პოლიტიკის წინააღმდეგ... და მაინც, შვედი დღედაღამ ცდილობდა დაერწმუნებინა თავი, რომ ეს იყო ერთადერთი განმარტება; რომ სხვა არაფერი - ასეთი შემზარავი - არ მომხდარა. არავითარი მნიშვნელოვანი ან შემაშფოთებელი მიზეზი არ არსებობდა, რომლის გამოც მისი ქალიშვილი შეიძლებოდა ტერორისტი გამხდარიყო.

გადის ხუთი წელი. დაახლოებით რიტას ასაკის ფილოსოფოს პროფესორს, შავკანიან ანჯელა დეივისს (დაიბადა ალაბამაში 1944 წელს, ოლდრიმროკელი ტერორისტის დაბადებამდე რვა წლით ადრე) - კომუნისტს, რომელიც კალიფორნიის უნივერსიტეტში მუშაობდა და ომის წინააღმდეგ იბრძოდა, ასამართლებენ ადამიანთა მოტაცების, მკვლელობასა და შეთქმულებაში მონაწილეობის გამო. მას ბრალად სდებენ სასამართლოს სხდომაზე სამი შავკანიანის (რომლებიც სასჯელს იხდიდნენ სან-კვენტინის ციხეში) გათავისუფლების მცდელობისას გამოყენებული იარაღის შეძენას. ამბობენ, რომ რევოლუერი, რომლითაც მოსამართლე მოკლეს, ანჯელა დეივისმა სისხლიან მოვლენამ-

დე რამდენიმე დღით ადრე იყიდა. ორი თვის განმავლობაში ქალი გამოძიების ფედერალურ ბიუროს ემალემა, მაგრამ ბოლოს ნიუ-იორკში პოულობენ და კალიფორნიაში ჩამოჰყავთ. მთელ მსოფლიოში - საფრანგეთიდან და ალჟირიდან სსრკ-მდე - მისი მომხრეები გაჰყვირიან, რომ ეს საქმე პოლიციამ შეთითხნა. როდესაც პატიმარი პოლიციის თანხლებით სადმე მიჰყავთ, შავკანიანები და თეთრკანიანები მახლობელ ქუჩებში დგანან, ტელეკამერებში პლაკატებს აჩვენებენ და გაჰყვირიან: „თავისუფლება ანჯელას! ძირს პოლიტიკური რეპრესიები! ძირს რასიზმი! ძირს ომი!“

დეივისის ვარცხნილობა შვედს რიტა კონის ვარცხნილობას აგონებს. ყოველთვის, როდესაც აბურძღნულ თმას ხედავს, ფიქრობს, სწორად მოიქცა თუ არა იმ დღეს სასტუმროში. არ უნდა დაეშვა რიტას გაპარვა, არავითარ შემთხვევაში.

ახლა საინფორმაციო გადაცემას უყურებს, რათა თვალყური ადევნოს ანჯელა დეივისს. კითხულობს მის შესახებ ყველაფერს, რისი მოძიებაც კი შესაძლებელია. იცის, რომ ანჯელა დეივისის მეშვეობით შეიძლება თავის ქალიშვილს მიაგნოს. იხსენებს, რომ ერთხელ, როდესაც მერი ჯერ კიდევ მშობლების სახლში ცხოვრობდა და შაბათ დღეს კიდევ ერთხელ გაემგზავრა ნიუ-იორკში, შვილის ოთახში შევიდა, მაგიდის ქვედა უჯრა გამოაღო, იქვე დაჯდა და წაიკითხა ყველაფერი, რაც კი იქ ნახა: პოლიტიკური მასალა, პამფლეტები, რბილყდიანი წიგნები, ქსეროქსზე გამრავლებული ბროშურები სატირული კარიკატურებით. მათ შორის იყო „კომუნისტური მანიფესტიც“. სად იშოვა? რა თქმა უნდა, არა - ოლდ-რიმროკში. ვინ აწვდიდა ამ ლიტერატურას? ბილი და მელისა. აქ მხოლოდ ანტიმილიტარისტული მოწოდებები კი არ იყო, არამედ კაპიტალიზმის დამხობისა და აშშ-ის მთავრობის განადგურებისკენ, ძალადობისა და რევოლუციისკენ მგზნებარე მოწოდებებიც. შვედს თავზარი დასცა მერის, ამ ბეჯითი მოსწავლის მიერ ხაზგასმულმა აბზაცებმა, მაგრამ კითხვა ვერ შეწყვიტა... ახლა ეჩვენება, რომ მათ შორის ანჯელა დეივისის ნაწერებიც იყო. შემოწმება შეუძლებელია, რადგან ყველა ეს დოკუმენტი გამოძიების ფედერალურმა ბიურომ წაიღო. დაახარისხეს ეს ნივთიერი სამხილები, კონვერტებში ჩააწყვეს, დალუქეს და წაიღეს. მერის ოთახში საგანგებო ფხვნილი მიმოაფრქვიეს თითების ანაბეჭდების გამოსავლენად, რომლებიც კრიმინალურ კარტოთეკაში დაცულ ანაბეჭდებთან უნდა შეედარებინათ. სატელე-

ფონო საუბრების ქვითრებიც შეაგროვეს, რათა გაეგოთ, ვის ესაუბრებოდა ხოლმე. მის ოთახში სამალავებს ეძებდნენ: ხალიჩის ქვეშ იატაკის ფიცრები ამოტყეხეს, კედლებიდან პანელები ჩამოგლიჯეს, ჭერიდან შუქფარი ჩამოხსნეს, კარადაში გადაქექეს მისი ყველა კაბა, შეამოწმეს სახელოები. აფეთქების შემდეგ შტატის პოლიციამ მოძრაობა გადაკეტა არკადი-ჰილ-როუდზე, ალყა შემოარტყა რაიონს და გამოძიების ფედერალური ბიუროს თორმეტი აგენტი თექვსმეტი საათის განმავლობაში ჩხრეკდა სახლს მანსარდიდან სარდაფამდე. როდესაც ბოლოს, სამზარეულოში, დოკუმენტების ძებნისას მტვერსასრუტი დაშალეს, დოუნი აყვირდა. ეს ყველაფერი - იმის გამო, რომ მერი კარლ მარქსსა და ანჯელა დეივისს კითხულობდა! ახლა ახსენდება, როგორ იჯდა მერის მაგიდასთან, კითხულობდა ანჯელა დეივისის ნაწერებს, რათა ჩასწვდომოდა მის აზრებს, წარმოედგინა მათი ზემოქმედება. ამ თხზულებების კითხვისას თითქოს ღრმად ყვინთავდა - აკვალანგით, სამზერმინიანი ჩაფხუტით და სასუნთქი მილაკით, მაგრამ მოძრაობა, მიბრუნება, საგანგებო მოწყობილობაზე თითის დაჭერა და ზედაპირზე ამოსვლა არ შეეძლო. ეს წააგავდა პამფლეტებისა და ილუსტრირებული ბარათების კითხვას, რომლებზეც წმინდანთა ცხოვრების ეპიზოდები იყო აღბეჭდილი. მისის დუაირი ამგვარი ბარათებით უხვად ამარაგებდა მერის, როდესაც გოგონა ელიზაბეთში სტუმრობდა. საბედნიეროდ, მერის მალე მობეზრდა ეს ლიტერატურა, მაგრამ ერთხანს წმინდა ანტონს ევედრებოდა დაებრუნებინა დაკარგული ავტოკალამი, ხოლო როდესაც სათანადოდ არ იყო მომზადებული საკონტროლო წერისთვის, დახმარებას წმინდა იუდას სთხოვდა. როდესაც დედა აიძულებოდა, შაბათის დილა კვირის განმავლობაში არეული ოთახის მილაგებისთვის დაეთმო, ლოცვით მიმართავდა წმინდა იოსებს - მშრომელთა მფარველს. ერთხელ, ცხრა წლის ასაკში, მერის უჩვეულო აღზნება გამოიწვია იმან, რომ კეიპ-მეის კონცხზე დაბინავებულმა ფანატკოსებმა გამოაცხადეს, ჩვენს შვილებს კოცონის შუქზე ღვთისმშობელი გამოეცხადაო. მათ ფერმას მიაწყდა უამრავი ადამიანი, რომლებიც იქ დღეღამამ მორიგეობდნენ. მაგრამ მერი გააოცა არა იმდენად ღვთისმშობლის სასწაულებრივმა გამოცხადებამ ნიუ-ჯერსიში, რამდენადაც იმან, რომ ვიღაც ბავშვები ღვთისმშობლის ხილვის ღირსნი გახდნენ. „მეც მინდა მისი ხილვა“, - უთხრა გოგონამ მამას და უამბო, რომ ღვთისმშობელი გამოეცხადა მწყემსის სამ შვილსაც პორტუგალიის სოფელ ფატიმაში.

შვედი კი თავს უქნევდა და ღუმდა. თუმცა როდესაც გოგონამ ბაბუას უამბო კეიპ-მეიზე ღვთისმშობლის გამოცხადების შესახებ, მან შენიშნა: „მეორედ, ალბათ, სანაყინეში გამოეცხადებათ“. ეს სიტყვები მერიმ ელიზაბეთში სტუმრობისას გაიმეორა. მათი გაგონებისას ბებია ღუაირი შეევედრა წმინდა ანას, შეწევნოდა მერის, რომ, აღზრდის მიუხედავად, კათოლიკური რელიგიის ერთგული დარჩენილიყო. მაგრამ გავიდა ორი წელი და მერის ცხოვრებიდან წმინდანები და ლოცვები გაქრა. ის აღარ ატარებდა სასწაულთმოქმედ მედალიონს ღვთისმშობლის გამოსახულებით, თუმცა ბებია ღუაირს დაჰპირდა, რომ ბანაობის დროსაც კი არ მოიხსნიდა. მობეზრდა წმინდანები და, ალბათ, ზუსტად ასევე მობეზრდებოდა კომუნისტური იდეები. მერის ყველაფრის მობეზრება სჩვეოდა. კიდევ რამდენიმე თვე, ან, შესაძლოა, კვირაც კი, და, უბრალოდ, არც კი გაახსენდებოდა მაკულატურა, რომელიც მის უჯრაში ეწყო. საჭირო იყო მხოლოდ მოცდა. ნეტავ მერის მოთმინების უნარი ჰქონოდა! მაგრამ პრობლემის არსი მდგომარეობდა სწორედ იმაში, რომ ის მოუთმენელი იყო. ყოველთვის მოუთმენელი იყო. შესაძლოა, ეს მოუთმენლობა შეფერხებულმა მეტყველებამ გაამძაფრა. ნებისმიერი გატაცება დაახლოებით ერთი წელი უგრძელდებოდა, შემდეგ კი მყისიერად თავისუფლდებოდა მისგან. კიდევ ერთი წელი და კოლეჯში სწავლის დროც დადგებოდა. მანამდე სიძულვილისა და სიყვარულის ახალი ობიექტები გაუჩნდებოდა, მის ყურადღებას რაღაც ახალი მიიპყრობდა და ყველაფერი სხვაგვარად წარიმართებოდა.

ერთ ღამეს სამზარეულოს მაგიდასთან მჯდარ შვედს ანჯელა დეივისი ეცხადება, ისევე, როგორც ფატიმის ღვთისმშობელი - პორტუგალიელ ბავშვებს, როგორც ღვთისმშობელი - კეიპ-მეის კონცხზე მცხოვრებთ. „ანჯელა დეივისს შეუძლია დამეხმაროს მერის პოვნაში, - ფიქრობს შვედი, - და აი, ის აქაა“. სამზარეულოში ყოველ ღამით გულითადად ესაუბრება ანჯელა დეივისს, თავდაპირველად - ომის, შემდეგ - სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. შვედის წარმოდგენაში ანჯელას გრძელი წამწამები აქვს, მრგვალი, მსხვილი, რგოლისებრი საყურეები უკეთია და კიდევ უფრო ღამაზია, ვიდრე - ტელეეკრანზე. ფერადი მოკლე კაბები აცვია, რათა უკეთ გამოაჩინოს გრძელი ფეხები. არაჩვეულებრივი თმა აქვს. მაჩვზღარბასავით გამომწვევად იყურება. მისი თმა თითქოს ამბობს: „არ მომიახლოვდე, თორემ გიჩხვლექ“.

შვედი უყვება იმას, რისი გაგებაც ანჯელას სურს, და სჯერა ყველაფრისა, რასაც ანჯელა ამბობს. სხვა გამოსავალი არა აქვს. ანჯელა აქებს შვედის ქალიშვილს და მას „თავისუფლების ჯარისკაცსა და ჩაგვრის წინააღმდეგ დიადი ბრძოლის პიონერს“ უწოდებს. შვედი უნდა ამაყოფიერებდეს შვილის პოლიტიკური რადიკალიზმით. ომის წინააღმდეგ მოძრაობა ანტიიმპერიალისტური მოძრაობაცაა და როდესაც მერი აცხადებს პროტესტს იმ ერთადერთი ხერხით, რომელიც ქმედითია ამერიკაში, ეს თექვსმეტი წლის გოგონა მოძრაობის წინა ხაზზე გამოდის და ჟანა დ'არკის როლს ასრულებს. შვედის ქალიშვილი მოთავეა სახალხო მოძრაობისა, რომელიც მიმართულია ფაშისტური მთავრობისა და მის მიერ თავისუფალი აზროვნების ულმობელი დათრგუნვის წინააღმდეგ. მისი ნამოქმედარი ბოროტმოქმედებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმის გამო, რომ ასე მიიჩნევს დანაშაულებრივი სახელმწიფო, რომელიც თვითონაა ბოროტმოქმედი და მზადაა უმოწყალო აგრესიისთვის მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის წინააღმდეგ, რათა დოვლათის უსამართლო განაწილება და კლასობრივი ბატონობის ტირანული ინსტიტუციები შეინარჩუნოს. უსამართლო კანონებისადმი დაუმორჩილებლობა, ძალადობისადმი დაუმორჩილებლობა, - უხსნის ანჯელა, - აბოლიციონიზმიდან მომდინარეობს. შვედის ქალიშვილი ახალი ჯონ ბრაუნია!

მერის ქმედება კრიმინალური კი არა, პოლიტიკური აქტია და უკავშირდება ფაშისტი კონტრრევოლუციონერებისა და მათ წინააღმდეგ განწყობილი ძალების დაპირისპირებას, რომელშიც მონაწილეობენ შავკანიანები, მექსიკელი და პუერტორიკოელი იმიგრანტები, ინდიელები, დეზერტირები, პაციფისტები, მერის მსგავსი გაბედული თეთრკანიანი ახალგაზრდები. ისინი ლეგალური ან - ანჯელას ტერმინოლოგიით - ექსტრალეგალური მეთოდებით მოქმედებენ და სურთ დაამხონ კაპიტალისტური პოლიციური სახელმწიფო. შვედს არ უნდა ეშინოდეს იმისა, რომ მერი იმალება. მერი მარტო კი არ იბრძვის, არამედ რვა ათასი რადიკალურად განწყობილი ახალგაზრდისგან შედგენილი არმიის ნაწილია. მათ იატაკქვეშეთს შეაფარეს თავი იმ სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ გასალაშქრებლად, რომელსაც იწვევს ტირანული პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა. ანჯელა ამბობს, რომ ყველაფერი, რაც შვედს სმენია კომუნიზმის შესახებ, სიცრუეა. თუ მას სურს იხილოს სოციალური წყობა, რომელმაც გააუქმა

რასობრივი უთანასწორობა, მშრომელთა ჩაგვრა და ითვალისწინებს ხალხის საჭიროებებსა და მისწრაფებებს, კუბა უნდა მოინახულოს.

შვედი უდრტვინველად უსმენს. ანჯელა ამბობს, რომ იმპერიალიზმის პირობებში მდიდარი თეთრკანიანები ახერხებენ, მინიმალური გასამრჯელო გადაუხადონ შავკანიანებს მათი შრომისათვის, შვედი კი უამბობს შავკანიანი ვიკის - საამქროს უფროსის შესახებ, რომელიც ოცდაათი წელია, „ნიუარკ-მეიდში“ მუშაობს. ეს მომცრო ტანის, ჭკვიანი, ძლიერი, სპეტაკი ქალი ტყუბი ვაჟიშვილის, დონისა და ბლენის დედაა. ბიჭებმა სკოლა ნიუარკში დაამთავრეს და ახლა სამედიცინო კოლეჯის სტუდენტები არიან. 1967 წლის არეულობების დროს ვიკი დღედაღამ შვედის გვერდით იმყოფებოდა. მერიის რადიო ყველას ქალაქის დაუყოვნებლივ დატოვებას ურჩევდა, მაგრამ შვედი დარჩა, რადგან იმედოვნებდა, რომ შენობას ვანდალებისგან დაიცავდა. კიდეც იმის გამო დარჩა, რის გამოც ადამიანები არ გარბიან იმ ადგილიდან, რომელსაც ქარბორბალა ანადგურებს - უბრალოდ, არ შეუძლიათ, ბედის ანაბარა დატოვონ ის, რაც მათთვის ძვირფასია. ვიკიც რაღაც ასეთი მიზეზის გამო დარჩა ფაბრიკაში.

საუთ-ორინჯ-ავენიუდან ჩირალდნების ქნევით მომავალი ამბოხებულების დასაშოშმინებლად ვიკიმ პლაკატები დაამზადა და ფაბრიკის პირველი სართულის ფანჯრებზე ჩამოკიდა. თეთრი მუყაოს ნაჭრებზე შავი მელნით დაწერა: „მუშათა უმრავლესობას ზანგები შეადგენენ“. ორი ღამის შემდეგ პლაკატიანი ფანჯრები თეთრკანიანთა ბანდებმა თუ ჩრდილოეთნიუარკელმა აქტივისტებმა ჩაამსხვრიეს, ან კიდეც, ვიკის აზრით - უნომრო მანქანაში მსხდარმა ნიუარკელმა პოლიციელებმა. ფანჯრების ჩამსხვრევის შემდეგ ისინი წავიდნენ და სხვა ზარალი „ნიუარკ-მეიდისთვის“ არავის მიუყენებია. ამის შესახებ უამბობს შვედი წმინდა ანჯელას.

ეროვნული გვარდიის ახალგაზრდული რაზმი, რომელიც ბერგენ-სტრიტზე გაგზავნეს ამბოხების რაიონის ჩასაკეტად, ბრძოლის მეორე დღეს „ნიუარკ-მეიდის“ საწყობის უკან განთავსდა და როდესაც შვედმა და ვიკიმ ცხელი ყავა მიუტანეს, ვიკი თითოეულ ჯარისკაცს გაესაუბრა. უნიფორმებში, ჩაფხუტებსა და ჩექმებში გამოწყობილი ახალგაზრდები დანებით, შაშხანებითა და ხიშტებით იყვნენ შეიარაღებულნი. სამხრეთ ჯერსის მკვიდრ თეთრკანიან ფერმერთა ვაჟები შიშისგან ძრწოდნენ. ვიკიმ მათ უთხრა: „სანამ ვინმეს ფანჯარაში ესვრით, დაფიქრდით!

ისინი სნაიპერები კი არ არიან, არამედ ადამიანები! კარგი ადამიანები! დაფიქრდით!“ შაბათ საღამოს ფაბრიკის წინ ტანკი შეჩერდა. მისი დანახვისას შვედმა დოუნს დაურეკა და უთხრა, ყველაფერი კარგად იქნებაო, ვიკი კი ტანკთან მივიდა და მის კომპურას მუშტებს უბრაგუნებდა, სანამ სარქველი არ გააღეს. „არ გაგიჟდეთ! - დაუყვირა მან ტანკში მსხდომ ჯარისკაცებს. - ჭკუაზე მოდით! თქვენ წახვალთ, ადამიანებმა კი აქ უნდა იცხოვრონ. ეს მათი მშობლიური ქალაქია!“ ბევრი აკრიტიკებდა გუბერნატორ ჰიუსს ტანკების გამოგზავნის გამო, მაგრამ შვედს სიტყვაც არ დასცდენია - ტანკებმა შეაჩერეს პროცესი, რომელიც შეიძლებოდა საყოველთაო უბედურებად ქცეულიყო. მაგრამ ამას არ ეუბნება ანჯელას.

ორი ყველაზე მძიმე და შემზარავი დღის განმავლობაში - 1967 წლის პარასკევსა და შაბათს, 14 და 15 ივლისს, როდესაც შვედი შტატის პოლიციას რაციით უკავშირდებოდა, მამას კი - ტელეფონით, ვიკი მას გვერდიდან არ მოშორებია. „ეს ყველაფერი ჩემიცაა. თქვენ, უბრალოდ, მეპატრონე ხართ“, - უთხრა მან შვედს. ახლა ანჯელას ვიკისა და ლევოვების ოჯახის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ უყვება. იცოდა, რომ ეს ხანგრძლივი, ახლო ურთიერთობა იყო, მაგრამ ვერც კი ივარაუდებდა, რომ ვიკის არანაკლებ უყვარდა „ნიუარკ-მეიდი“, ვიდრე მას, შვედს. ანჯელას ატყობინებს, რომ მასობრივ არეულობათა შემდეგ, მას შემდეგ, რაც ალყას ვიკისთან ერთად გაუძლო, გადაწყვიტა, არ დაეტოვებინა ნიუარკი და თავისი შავკანიანი მუშები. შვედი არ უმხელს ანჯელას, რომ მაშინ - და ახლაც - უყოყმანოდ დატოვებდა აქაურობას, მაგრამ შიშობდა, რომ მერი უცილობლად დაადანაშაულებდა ჩაგრულ შავკანიანთა, მუშათა კლასისა და ღარიბთა ინტერესების ღალატში საკუთარი მიზნების სასარგებლოდ, ამაზრზენი სინარბის გამო!

იდეალისტური ლოზუნგები არ შეიცავდა სიმართლეს, იოტისოდენა სიმართლესაც კი, მაგრამ რა უნდა ექნა შვედს? ხომ არ შეეძლო, თავისი ქცევით გაემართლებინა შვილის უგუნური ქცევები! ის ნიუარკში დარჩა და ნიუარკის არეულობათა შემდეგ მერი უკვე უგუნურად კი არა, შემოღობილი იქცეოდა. არეულობა ნიუარკში, შემდეგ ვიეტნამის ომი. ჯერ ერთი ქალაქი, შემდეგ კი მთელი ქვეყანა. ამ ყველაფერმა თავისი კვალი დააჩნია ლევოვების ცხოვრებას არკადია-ჰილ-როუდზე. თავდაპირველად - ერთი საშინელი აფეთქება, შვიდი თვის შემდეგ,

1968 წლის თებერვალში - მეორე, შემზარავი. ალყაშემორტყმული ფაბრიკა, შვილის პრობლემები. ყველაფერმა დალი დაასვა მათ მომავალს.

ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ როდესაც სნაიპერებმა სროლა შეწყვიტეს, ხანძრები ჩააქრეს, ნიუარკში საარტილერიო ცეცხლისგან დაღუპული ოცდაერთი ადამიანის სია გამოაქვეყნეს, ეროვნული გვარდია დაშალეს და მერი გაუჩინარდა, აღმოჩნდა, რომ „ნიუარკ-მეიდის“ პროდუქციის ხარისხი, მუშების ერთი ნაწილის დაუდევრობისა და გულგრილობის გამო, სულ უფრო უარესდებოდა. ხარისხის გაუარესება საბოტაჟს წააგავდა, თუმცა ეს სინამდვილეში საბოტაჟი არ იყო. ძლიერი ცდუნების მიუხედავად, შვედს არაფერი უთქვამს ანჯელასთვის მასა და მამამისს შორის არსებული უთანხმოების თაობაზე, რაც გამოიწვია გადაწყვეტილებამ ნიუარკში დარჩენის შესახებ - ეს აღიარება ანჯელას ლუ ლევოვის წინააღმდეგ განაწყობდა და აიძულებდა, ისინი მერისთან არ დაეკავშირებინა.

- რა შედეგი მივიღეთ? - ამბობდა მამა ყოველთვის, როდესაც ფლორიდიდან ჩამოფრინდებოდა ხოლმე და ცდილობდა დაეყოლიებინა შვილი, ქალაქიდან წასულიყო, სანამ მომდევნო არეულობა საბოლოოდ გაანადგურებდა ნიუარკს. - ის, რომ ერთის ნაცვლად ორ, სამ ან ოთხ ოპერაციას აკეთებენ. ყოველი წინგადადგმული ნაბიჯის შემდეგ უკან უნდა დაიხიონ: ხელახლა დაჭრან, ხელახლა დაავიკრისტონ. არავინ ასრულებს დღიურ ნორმას და წესისამებრ არავინ მუშაობს. მთელი ბიზნესი ნადგურდება ამ მამაძაღლი ლეროი ჯონსის, ამ შლაპიანი არარაობის გამო. ყველაფერი ჩემი ხელით ავაწყვე! საკუთარი ოფლი და სისხლი დავღვარე! ჰკონიათ, მზამზარეულად მივიღე? ვისგან? ვინ გამომიწვდინა ხელი? არავინ! რაც მაქვს, ყველაფერი თვითონ შევქმენი! ჩემი შრომით - შ-რ-ო-მ-ი-თ! ქალაქს დაეუფლნენ და ახლა აპირებენ წაგვართვან ბიზნესი - ყველაფერი, რაც ნელ-ნელა, წვალე-წვალეებით შევაკოწიწე. ამის განადგურება სურთ. და ფიქრობენ, რომ ეს ბენიერებას მოუტანს. საკუთარ სახლებს წვავენ - აი, როგორ უსწორდებიან თეთრკანიანებს! სახლებს კი არ აწესრიგებენ, არამედ წვავენ. შავკანიანებისთვის საამაყო დახგრეულ ქალაქში ცხოვრება! დიდი ქალაქი ნანგრევებად იქცა! მათთვის სასიამოვნოც იქნება ასე ცხოვრება! მე კი მათ ვქირაობდი! სასაცილო არაა? მათ სამუშაოს ვაძლევდი! „გაგიჟებულხარ, ლევოვ, - მეუბნებოდნენ ჩემი მეგობრები ორთქლის აბანო-

ში, - რატომ ქირაობ ამ შვარცებს? ხელთათმანებს კი არ მიიღებ, ლევოვ, არამედ ნაგავს“. მაგრამ მაინც ვქირაობდი, ადამიანურად ვექცეოდი, ვიკის ოცდახუთი წელი ტრაკს ვუკოცნიდი, ყოველ მადლიერების დღეს თითოეული ქალისთვის ინდაურს ვყიდულობდი. დილაობით ყოველნაირად ველაქუცებოდი. „როგორ ხართ? - ვეკითხებოდი, - როგორ ვართ ყველანი? თქვენს განკარგულებაში ვარ. თუ რაიმე არ მოგწონთ, გახსოვდეთ: აქ, ამ მაგიდასთან, მე მხოლოდ თქვენი ბოსი კი არა, ერთგული მოკავშირე, მეგობარი, ამხანაგი ვარ“. გახსოვს ზეიმი, რომელიც მოვაწყვე, როდესაც ვიკის ტყუბებმა სკოლა დაამთავრეს? რა იდიოტი ვიყავი. ახლაც ასეთი ვარ. როდესაც აუზთან ვზივარ და ჩემი შესანიშნავი მეგობრები გაზეთების კითხვას წყვეტენ და მეუბნებიან, ყველა შვარცი, უბრალოდ, კედელთან უნდა დააყენო და დახვრიტო, მხოლოდ მე ვახსენებ მათ, რომ თავის დროზე სწორედ ასე მოექცა ჰიტლერი ებრაელებს. და იცი, რას მპასუხობენ? „როგორ შეიძლება ებრაელების შედარება შვარცებთან?“ მეუბნებიან, შვარცები უნდა ამოყლიტო, მე კი ვყვირი, არა-მეთქი. და ამ დროს ნადგურდება ჩემი ცხოვრების საქმე, რადგან მუშები ვეღარ კერავენ ხელთათმანებს ზომის მიხედვით. უვარგისი თარგით და უხეიროდ გაჭიმული ტყავისგან შეკერილ ხელთათმანს აღარავინ ჩაიცვამს. დაუდევრად მუშაობენ და ეს უპატიებელი რამაა. თუ ერთი ოპერაცია არასწორად ჩატარდება, მთელი საქმე წახდება. და მაინც, სეიმურ, როდესაც ველაპარაკები ამ ფაშისტ ნაბიჭვრებს - ებრაელებს, ჩემს თანატოლ ებრაელებს, რომლებმაც ნახეს იგივე, რაც მე ვნახე, და ამიტომ ამ საკითხებში მილიონჯერ უკეთ უნდა ერკვეოდნენ - როდესაც მათთან კამათის დროს საწინააღმდეგო არგუმენტები მომყავს, იმას ვეწინააღმდეგები, რასაც უნდა ვიცავდე.

- მართალია, მაგრამ შენ ენთუზიაზმით აკეთებ ამას, - მიუგო შვედმა.

- რატომ? მითხარი, რატომ ვიქცევი ასე?

- სინდისის კარნახით.

- სინდისის? განა შვარცებს სინდისი აქვთ? სად დაკარგეს სინდისი მას შემდეგ, რაც ჩემთან ოცდახუთი წელი იმუშავეს?

როგორც უნდა გაძნელებოდა შვედს მოხუცის ნუგეშისცემისგან თავის შეკავება და მისი შეხედულებების მართებულობის უარყოფა, ის მარტივი მიზეზის გამო ვერ დაეთანხმებოდა მამის არგუმენტებს: რო-

დესაც მერი შეიტყობდა - ის კი ყველაფერს აუცილებლად შეიტყობდა რიტა კონისგან, თუ გოგოებს მართლაც ჰქონდათ ერთმანეთთან კავშირი - რომ „ნიუარკ-მეიდმა“ დატოვა შენობა სენტრალ-ავენიუზე, ის ძალიან გაიხარებდა: „წავიდა! სხვებივით დამპალია მამაჩემი! მისთვის მთავარი მოგებაა! მთავარი! ნიუარკი მისთვის ზანგების კოლონიაა. ზანგები კი უნდა ამუშაო, ამუშაო, შემდეგ კი სანაგვეზე გადაყარო!“

ეს და კიდევ უფრო სულელური აზრები, რომლებიც მერიმ „კომუნისტური მანიფესტის“ მსგავს წიგნებში ამოიკითხა, აუცილებლად გააქარწყლებს მასთან შეხვედრის ყოველგვარ შანსს. შვედს შეუძლია აუწყოს ანჯელა დეივისს, რომ არ მიუტოვებია ქალაქი და ფაბრიკის შავკანიანი მუშები, რაც, უეჭველია, დადებით შთაბეჭდილებას მოახდენს ქალზე, მაგრამ ისიც იცის, რომ ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული პირადი პრობლემები არ შეესაბამება წმინდა ანჯელას რეალობისგან დაშორებულ იდეალებს. ამიტომ ფიქრობს, რომ უმჯობესია, უთხრას ანჯელას აჩრდილს, სიღარიბესთან ბრძოლის კომიტეტის ერთ-ერთი თეთრკანიანი მეურვე ვარო (რაც სიცრუეა. მეურვე შვედის მეგობრის მამაა); რომ ამ ორგანიზაციის წევრები სისტემატურად იკრიბებიან ნიუარკში და ცდილობენ ქალაქის აღორძინებას, რისაც შვედს აქამდე სჯერა (კიდევ ერთი სიცრუე. ეს ხომ შეუძლებელია). ის ეუბნება ანჯელას, რომ, ცოლის შიშების მიუხედავად, ესწრება სალამოს სხდომებს ქალაქის სხვადასხვა რაიონში და რომ, შეძლებისდაგვარად, ყველაფერს აკეთებს შავკანიანთა გასათავისუფლებლად. ახსენებს თავის თავს, რომ ანჯელას ყოველ ღამე უნდა გაუმეოროს ფრაზები: ხალხის თავისუფლება, ამერიკის კოლონიები შავკანიანი მოსახლეობით, საზოგადოების უღმობლობა, კაცობრიობის მზადყოფნა ბრძოლისთვის.

შვედი არ ეუბნება ანჯელას, რომ მისი ქალიშვილი ბავშვურად ტრაბახობს, ტყუის, რათა შთაბეჭდილება მოახდინოს სხვებზე; რომ მერიმ არაფერი იცის დინამიტისა და რევოლუციის შესახებ; რომ ეს, უბრალოდ, სიტყვებია, რომლებითაც გოგონას თავი მოაქვს, რათა, მეტყველების დეფექტის მიუხედავად, ძლიერ პიროვნებად იგრძნოს თავი. ანჯელამ იცის მერის ადგილსამყოფელი, და თუ შვედთან მოვიდა, ეს უბრალო მეგობრული ვიზიტი როდია. ანჯელას შეუძლია, ყოველ შუალამეს გაჩნდეს ლევოვების სამზარეულოში მხოლოდ იმიტომ, რომ რევოლუციის ბელადია, რომელსაც დაავალეს იზრუნოს შვედის

ქალიშვილის უსაფრთხოებაზე. თუ ასე არაა, მაშინ რატომ მოდის ლევოვების სახლში კვლავ და კვლავ?

ამიტომ შვედი ეუბნება ანჯელას: დიახ, ჩემი შვილი თავისუფლებისთვის იბრძვის; დიახ, ვამაყოფ შვილით; დიახ, ყველაფერი, რაც მსმენია კომუნისმის შესახებ, სიცრუეა; დიახ, აშშ მხოლოდ ბიზნესის უსაფრთხოებაზე ზრუნავს და განამტკიცებს ღარიბი ქვეყნების დაქვემდებარებულ მდგომარეობას მდიდართა მიმართ; დიახ, აშშ პასუხისმგებელია იმის გამო, რომ ადამიანები იჩაგრებიან დედამიწის ყველა კუთხეში. და ანჯელას მიზანი, ჰიუ ნიუტონის მიზანი, ბობი სიელის მიზანი, ჯორჯ ჯექსონის მიზანი, მერი ლევოვის მიზანი ამართლებს ყველა საშუალებას. მთელი ამ ხნის განმავლობაში შვედი არავისთან ახსენებს ანჯელა დეივისის სახელს, განსაკუთრებით - ვიკისთან, რომელიც ფიქრობს, რომ ანჯელა დეივისი საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევია, და ამ აზრს ფაბრიკის ყველა მუშა ქალს უზიარებს. მარტო დარჩენილი შვედი მხურვალედ ლოცულობს და ევედრება ღმერთს, იესო ქრისტეს, ყველა წმინდანს, ღვთისმშობელს, წმინდა ანტონს, წმინდა იუდას, წმინდა ანას, წმინდა იოსებს, რომ ანჯელა გაამართლონ. და როდესაც ეს მართლაც ხდება, ხარობს. ანჯელა თავისუფალია! მაგრამ შვედს ფოსტაში არ მიაქვს წერილი, რომელსაც ამ ამბის შეტყობის შემდეგ წერს სამზარეულოში. ის წერილს არ გზავნის რამდენიმე კვირის შემდეგაც, როდესაც ტყვიაგაუმტარი კედლებით ოთხმხრივ დაცული ანჯელა ას თხუთმეტი ათასი მომხრის წინაშე აცხადებს, რომ მოითხოვს თავისუფლებას პოლიტიკური პატიმრებისთვის, რომლებიც უსამართლოდ გაასამართლეს და უსამართლოდ დააპატიმრეს. „თავისუფლება რიმროკელ ტერორისტს! თავისუფლება ჩემს ქალიშვილს!“ - ყვირის შვედი. „ვფიქრობ, დროა, - ამბობს ანჯელა, - ჭკუა ვასწავლოთ ამ ქვეყნის მმართველებს“. „დიახ, - ყვირის შვედი, - დიახ, ეს დრო დადგა, სოციალისტური რევოლუციის დრო მოვიდა!“ მაგრამ კვლავინდებურად მარტო ზის სამზარეულოს მაგიდასთან, რადგან ახლა არ შეუძლია გააკეთოს ის, რაც საჭიროა, ან დაიჯეროს ის, რაც უნდა დაიჯეროს, და უკვე არც კი იცის, რა სწამს სინამდვილეში. და მაინც, ააფეთქა თუ არა მერიმ ბომბი? რიტა კონთან რომ დაწოლილიყო, ამას შეიტყობდა: პატარა ცბიერ სექსუალურ ტერორისტს იმდენჯერ იხმარდა, სანამ არ დაიმორჩილებდა! სანამ რიტა იმ თავშესაფარში არ წაიყვანდა, სადაც ისინი ბომბებს ამზადებდნენ! თუ მარ-

თლაც იმდენად გინდა შვილის ნახვა, როგორც ამბობ, დამშვიდდი, მი-
დი და დიდი სირით ასიამოვნე რიტას. მზერა არ უნდა აგეცილებინა,
მისი საშოს გემო უნდა გაგესინჯა, შემდეგ კი გეხმარა. შვედის ადგი-
ლას სხვა მამა ასე არ მოიქცეოდა? თუ შვედი მზადაა, ყველაფერი
გააკეთოს მერისთვის, რატომ არ მოიქცა ასე? რატომ გაიქცა?

ეს განვლილი ხუთი წლის მხოლოდ ნაწილია. ძალზე მცირე ნაწილი.
ყველაფერს, რასაც კითხულობს, ხედავს ან ესმის, ერთადერთი საზრი-
სი აქვს. ნეიტრალურად არაფერი აღიქმება. მთელი წლის განმავლობა-
ში, სოფელში ჩასვლისას, შვედი იმ ადგილს ხედავდა, სადაც უწინ მა-
ლაზია იყო. გაზეთის, რძის ან ერთი კანისტრა ბენზინის საყიდლად,
ოლდ-რიმროკის სხვა მცხოვრებთა მსგავსად, ახლა მორისტაუნში უნ-
და წასულიყო. მარკის შესაძენადაც. სოფელი, არსებითად, ერთი ქუ-
ჩისგან შედგება. აღმოსავლეთით აღმართულია ახალი პრესბიტე-
რიანული ეკლესია - ფსევდოკოლონიური სტილის შენობა, რომლის
არქიტექტურაც სინამდვილეში არავითარ სტილს არ შეესაბამება. იქ
ააგეს, სადაც უწინ ძველი პრესბიტერიანული (ოციან წლებში დამწვა-
რი) ეკლესია იდგა. ეკლესიის მახლობლად მუხებია - ორი დიდი ორას-
მეტრიანი მუხა, ოლქის სიამაყე. მუხებისგან ოცდაათ იარღში სამჭედ-
ლოა, რომელიც პერლ-ჰარბორზე იაპონელთა თავდასხმის წინა ხანებ-
ში სამეურნეო მაღაზიად გადააკეთეს. აქ ქალები ყიდულობენ შპა-
ლერს, აბაჟურებს, დეკორატიულ სამშვენისებს და რჩევას ეკითხებიან
მისის ფაულერს, როგორ უნდა მოაწყონ სახლი. ქუჩის შორეულ კუთ-
ხეში ავტოსარემონტო სახელოსნოა. მისი მეპატრონე, პერი ჰემლინი,
რას ჰემლინის ლოთი ბიძაშვილია და მოწინულ სავარძლებს ამზადებს.
იქვე იწყება ფერმის მიწები, რომლის მფლობელი და მმართველია
პოლ ჰემლინი - პერის უმცროსი ძმა. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან
სამხრეთ-დასავლეთამდე გადაჭიმულია ჰემლინების ფერმის (რომელ-
საც ეს ოჯახი თითქმის ორასი წელია ფლობს) მსგავსი მთავორიანი,
ოცდაათი-ორმოცი მილის სიგანის ზოლი. ბორცვები კვეთენ ნიუ-
ჯერსის ჩრდილოეთ ნაწილს, ყოველი მხრიდან გარს უვლიან ოლდ-
რიმროკს და წარმოქმნიან ჯაჭვს, რომელიც ნიუ-იორკამდე გრძელდე-
ბა, იქიდან კი, „კატის ქედის“ სახელწოდებით - მენის შტატამდე.

იმ ადგილის წინ, სადაც მაღაზია იდგა, ყვითლად მობათქაშებული
სკოლაა. სანამ მერის მონტესორის სკოლაში, შემდეგ კი მორისტაუნის
სკოლაში გაგზავნიდნენ, ის ოთხი წელი სწავლობდა ამ შენობაში. ახ-

ლანდელი მოსწავლეები ყოველდღე ხედავენ ადგილს, სადაც უწინ მა-
ლაზია იდგა. მას ხედავენ მასწავლებლებიც და სოფელში ჩავლისას -
მოსწავლეთა მშობლებიც. ზოგჯერ სკოლაში იკრიბება სოფლის საბჭო,
რომლის წევრებიც აქვე ვახშობენ. აქ ტარდება არჩევნები და ყოველი
ამომრჩეველი ხედავს ადგილს, სადაც ოდესღაც მალაზია იდგა, და ფიქ-
რობს აფეთქებასა და აქ დაღუპულ კარგ ადამიანზე; იხსენებს გოგონას,
რომელმაც ეს აფეთქება მოაწყო და სიმპათიისა და აღშფოთების სხვა-
დასხვა ხარისხით ფიქრობს მის ოჯახზე. ზოგიერთი ადამიანი ძალზე
კეთილგანწყობილია, სხვები - შვედმა ეს იცის - ყოველნაირად არიდე-
ბენ თავს შეხვედრებს. უგზავნიან ამაზრზენ ანტისემიტურ წერილებს,
რომელთა მიღების შემდეგ რამდენიმე დღე თავს შეუძლოდ გრძნობს.
ზოგიერთი თავის თვალსაზრისს მის გასაგონად გამოთქვამს ხოლმე. ან
დოუნის გასაგონად. „მთელი სიცოცხლე აქ ვცხოვრობ. უწინ ასეთი რამ
არასოდეს მომხდარა“. „აბა, რა გეგონათ? მათ აქ არაფერი ესაქმებათ“.
„მეგონა, კარგი ადამიანები იყვნენ, მაგრამ ვცდებოდი“. ადგილობრივი
გაზეთის მოწინავე სტატია, რომელშიც ტრაგედიაა აღწერილი და ეძ-
ღვნება ექიმ კონლონის ხსოვნას, საბჭოს განცხადებათა დაფაზეა მი-
მაგრებული და პირდაპირ ქუჩაში კიდია. შვედს არ შეუძლია მისი ჩა-
მოსხნა, თუმცა ძალიან უნდა. პირველ რიგში, დოუნის გამო. წვიმის,
ქარის, მზის სხივებისა და თოვლის ზემოქმედებით რამდენიმე კვირაში
უნდა დაფლეთილიყო, მაგრამ არა მარტო არ დაზიანდა, არამედ სრუ-
ლიად უვნებლად გადარჩა და კარგად იკითხება. მოწინავე სტატიის სა-
თაურია: „ექიმი ფრედი“. „ისეთ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, სადაც
ძალადობა გავრცელებულ მოვლენად იქცა... ამის მიზეზი არ ვიცი და
შესაძლოა, ვერასოდეს გავიგოთ... ჩვენი აღშფოთება... თანავუგრძნობთ
მსხვერპლს და მის ოჯახს, ჰემლინებს, ასევე მთელ საზოგადოებას, რო-
მელიც ცდილობს ჩასწვდეს მომხდარის არსს და დაძლიოს მწუხარე-
ბა... შესანიშნავი ადამიანი და ბრწყინვალე ექიმი, რომელსაც კარგად
ვიცნობდით... ექიმ ფრედის სახელობის საგანგებო ფონდი... შენატანე-
ბი, რომლებიც დაეხმარება ხელმოკლე ოჯახებს, თუ მათ სამედიცინო
დახმარება დასჭირდებათ... მწუხარების დღეებში ხელახლა უნდა გა-
ვერთიანდეთ...“ მოწინავე სტატიის გვერდით დაბეჭდილია წერილი
„დრო ჭრილობებს კურნავს“, რომელიც ასე იწყება: „რაც უფრო სწრა-
ფად დავივიწყებთ...“ და ასე გრძელდება: „ზოგიერთი უფრო ადრე გა-
ნიკურნება, ვიდრე სხვები... ღირსი პიტერ ბელისტონი (პირველი კონ-

გრეგაციული ეკლესია) თავის ქადაგებაში... შეეცადა გამოევლინა ამ ტრაგედიის დადებითი შედეგები... მრევლი ერთიანად მოიცვა მწუხარების გრძნობამ... ღირსმა ჯეიმს ვირინგმა (სენტ-პატრიკის ეკლესია) შთამბეჭდავად იქადაგა...“ ამ სტატიის გარდა, გამოკრულია მესამე ამონაჭერიც, რომელიც სტენდზე სრულიად უადგილოა, მაგრამ შვედმა ვერ ჩამოგლიჯა, ისევე, როგორც პირველი ორი, და მთელი წლის განმავლობაში კიდია დაფაზე. ესაა ინტერვიუ ედგარ ბარტლისთან - ინტერვიუც და ფოტოსურათიც, რომელზეც აღბეჭდილია თავისი სახლის წინ ძაღლთან ერთად მდგარი, ბარზე დაყრდნობილი ედგარი. მის უკან მოჩანს თოვლისგან გაწმენდილი ბილიკი, შემდეგ კი - სახლი. ედგარ ბარტლი ოლდრიმროკელი ყმაწვილია, რომელმაც აფეთქებამდე ორი წლით ადრე მერი კინოში წაიყვანა. მერიზე ერთი წლით უფროსი და მასავით მაღალი იყო. შვედს ახსოვს ეს სასიამოვნო გარეგნობის, მაგრამ ძალზე მორცხვი და უცნაური ყმაწვილი. გაზეთში ნათქვამია, რომ ედგარი მერის შეყვარებული იყო, როდესაც გოგონა ბომბს ამზადებდა, თუმცა, რამდენადაც მშობლებისთვისაა ცნობილი, ეს მერის ერთადერთი პაემანი იყო ერთადერთ ვაჟთან. ამასთან, ედგარის მიერ წარმოთქმული (თუკი შეიძლება გაზეთს დავუჯეროთ) სიტყვები ვილაცას შავად გაუხაზავს. შეიძლება, ისინი ხუმრობით გახაზა რომელიღაც თანაკლასელმა. შეიძლება, ეს ფოტოსურათიანი ამონაჭერიც აქ ხუმრობით გამოკიდეს. მაგრამ ხუმრობით მოხდა ეს თუ არა, ამონაჭერი თვეების განმავლობაში კიდია - შვედი ვერაფერს გააწყობს. „ეს ყველაფერი თითქოს არარეალურია... ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ მერი ასე მოიქცეოდა... ერთი შეხედვით, ძალიან კარგი გოგონა იყო. მისგან არაფერი ცუდი არ გამიგონია. დარწმუნებული ვარ, უეცრად აერია გონება... იმედი მაქვს, იპოვიან და დაეხმარებიან... ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ოლდ-რიმროკი აბსოლუტურად უსაფრთხო ქალაქი იყო. მაგრამ ახლა, სხვებივით, გაფაციცებით ვიყურები უკან, ვინმე არ მომდევდეს... დრო გავა და ყველაფერი ჩაწყნარდება... ახლა კი წინ ვიყურები. ეს აუცილებელია. უნდა დავივიწყო, რაც მოხდა. ისე უნდა ვიცხოვრო, თითქოს არაფერი მომხდარა. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ძალზე სავალალოა“.

საბედნიეროდ, განცხადებათა დაფაზე ვერ ნახავთ სტატიას სათაურით: „სავარაუდო ტერორისტი ჰკვიანია, ნიჭიერი, მაგრამ ჯიუტი“. ამ ამონაჭერს შვედი ჩამოგლეჯდა. შუალამით წავიდოდა და ჩამოგ-

ლეჯდა. შესაძლოა, ეს სტატია სხვებზე უარესი არაა, რომლებიც იმ დროს გამოქვეყნდა არა მარტო მათ ყოველკვირულ გაზეთში, არამედ ნიუ-იორკის პრესაშიც: „ტაიმსში“, „დეილი ნიუსში“, „დეილი მირორში“; ნიუ-ჯერსის შტატის ყოველდღიურ გაზეთებში: „ნიუარკ ნიუსში“, „ნიუარკ სტარ-ლეჯერში“, „მორისტაუნ რეკორდში“, „ერგენ რეკორდში“, „თრენტონ ტაიმსში“, „პატერსონ ნიუსში“; მეზობელი შტატის, პენსილვანიის გაზეთებში: „ფილადელფია ინქუაიერში“, „ფილადელფია ბიულეტენში“, „ისტონ ექსპრესში“, აგრეთვე - „ტაიმსა“ და „ნიუსუიკში“. პირველი კვირის შემდეგ გაზეთებისა და ახალი ამბების სააგენტოების უმრავლესობას ეს ამბავი გადაავიწყდა, მაგრამ „ნიუარკ ნიუსმა“ და განსაკუთრებით „მორისტაუნ რეკორდმა“ მაინც არ დაყარეს ფარ-ხმალი. „ნიუსმა“ სამი რეპორტიორი გამოყო ამ თემის გასაშუქებლად. ორივე გაზეთი კვირების განმავლობაში ყოველდღე აქვეყნებდა ახალ-ახალ ამბებს რიმროკელი ტერორისტის შესახებ. ადგილობრივ მკითხველებზე ორიენტირებული „რეკორდი“ განუწყვეტლივ ახსენებდა მათ, რომ რიმროკში მომხდარი აფეთქება ყველაზე დიდი უბედურება გახლდათ მორისის ოლქში 1949 წლის 12 სექტემბრის შემდეგ, როდესაც კომპანია „ერკიულის“ დენტის ქარხანაში, კენვილიდან თორმეტი მილის მანძილზე, აფეთქებამ ორმოცდათორმეტი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, სამასი კი დაასახიჩრა. ოციანი წლების ბოლოს მიდლსექსის ოლქში, ნიუ-ბრუნსვიკში, შესახვევში მოკლეს მღვდელი და ქორმაისტერი, ხოლო გრეისტოუნის სულით ავადმყოფთა თავშესაფრიდან გაპარულმა ერთმა შეშლილმა ბრუკსაიდში ბიძამისს თავი ნაჯახით გაუპო - ამ ყველაფერს კვლავ იხსენებენ და შიშით ჰყვებიან. რა თქმა უნდა, იხსენებენ ლინდბერგების ჩვილი ბავშვის მოტაცებასაც ჰოუპუელში (ნიუ-ჯერსის შტატი) - ლეგენდარული მფრინავის, ჩარლზ ლინდბერგის (რომელიც პირველად გადაფრინდა ატლანტის ოკეანეზე) პატარა ვაჟის მოტაცებასა და მკვლელობას. გაზეთები გატაცებით ჰყვებიან ამ ამბავსაც, დეტალურად აღწერენ ოცდაათზე მეტი წლის წინ მომხდარ ამბავს, წერენ გამოსასყიდის მოთხოვნის, ბავშვის სხეულის დასახიჩრების, ფლემინგტონის პროცესის შესახებ, აქვეყნებენ ამონარიდებს 1936 წლის გაზეთებიდან, რომლებშიც ასახულია გამტაცებლისა და მკვლელის, იმიგრანტი დურგლის, ბრუნი ჰაუპტმანის სიკვდილით დასჯა ელექტროსკამზე. მერი ლევოვის სახელს ყოველდღე მოიხსენიებენ რეგიონში ჩადენილ მხეცურ ბოროტ-

მოქმედებათა კონტექსტში და რამდენჯერმე - უშუალოდ ჰაუბტმანის გვერდითაც. და მაინც, არც ერთი სტატია არ სტკენს შვედს გულს ისე მწარედ, როგორც სტატია ადგილობრივ ყოველკვირეულ გაზეთში, რომელშიც საუბარია მერის სიჯიუტის შესახებ. სტატიის ფარული ქვეტექსტი - თუნდაც თითქმის შეუმჩნეველი - ააშკარავებს პროვინციულ თვითკმაყოფილებას, მიამიტობას, აბსოლუტურ სისულელეს. შვედისთვის აუტანელია წარმოდგენა იმისა, რომ ეს სტატია შეიძლება საზოგადოებრივი საბჭოს განცხადებათა დაფაზე გამოაკრან; რომ ყოველი ადამიანი შეძლებს მის წაკითხვას და ბოლოს აღშფოთებით გადააქნევს თავს. რაც უნდა ჩაედინა მერის, შვედს მაინც არ სურდა, გოგონას ცხოვრება გამოემზეურებინათ აქ, იმ სკოლის გვერდით, სადაც სწავლობდა.

სავარაუდო ტერორისტი ჭკვიანია, ნიჭიერი, მაგრამ ჯიუტი

ოლდ-რიმროკის მუნიციპალური სკოლის მასწავლებლების აზრით, მერედით (მერი) ლევოვი, რომელმაც ჰემლინის მალაზიაში თითქოსდა ბომბი ააფეთქა და ოლდრიმროკელი ექიმი ფრედ კონლონი იმსხვერპლა, მრავალმხრივ ნიჭიერი და დამჯერი გოგონა, ბრწყინვალე მოსწავლე იყო. ისინი, ვინც ჩადენილი ბოროტმოქმედების მიზეზს მერის ბავშვობაში ეძებენ, მყისვე უკუაგდებენ ამ აზრს, როდესაც ახსენდებათ ეს გულითადი, ენერგიული გოგონა.

„ყურებს ვერ ვუჯერებთ, - ასე უპასუხა სკოლის დირექტორმა, ეილინ მოროუმ კითხვას ეჭვმიტანილის შესახებ. - წარმოუდგენელია, როგორ უნდა მომხდარიყო ეს“.

დირექტორმა მოროუმ შენიშნა, რომ დაწყებით სკოლაში სწავლისას მერი ლევოვი „აქტიური მოსწავლე იყო და უსიამოვნება არავისთვის მიუყენებია“. „ამ საშინელების ჩამდენ ბავშვს არ ჰგავდა, - თქვა მისის მოროუმ. - ყოველ შემთხვევაში, როდესაც აქ სწავლობდა, ასეთი უდავოდ არ იყო“.

სკოლაში მერი ლევოვი ძირითადად უმაღლეს შეფასებებს იღებდა, მონაწილეობდა ყველა სასკოლო ღონისძიებაში და მოსწავლეებისა და მასწავლებლების სიყვარულს იმსახურებდა.

„ძალიან ბეჯითი იყო, ხალისით სწავლობდა და ყოველთვის საუკეთესო შედეგებისკენ ისწრაფვოდა, - თქვა მისის მოროუმ. - მასწავლებ-

ლები აფასებდნენ მას, როგორც საუკეთესო მოსწავლეს, თანაკლასელები კი აღტაცებულნი იყვნენ მისით“.

სკოლაში მერი ლევოვი კარგად ხატავდა და თავი გამოიჩინა სპორტში, განსაკუთრებით - კიკბოლში. „ჩვეულებრივი მოზარდი იყო, - თქვა მისის მოროუმ. - ის, რაც მოხდა, არც დაგვესიზმრებოდა. სამწუხაროდ, არავის შეუძლია მომავლის განჭვრეტა“.

მისის მოროუმ შენიშნა, რომ მერედითი „სანიმუშო მოსწავლედ ითვლებოდა სკოლაში, თუმცა ზოგჯერ ჯიუტობდა. მაგალითად, არ სურდა დამორჩილებოდა სასკოლო წესებს, რომლებიც, მისი აზრით, სავალდებულო არ იყო“.

სხვებმაც გაიხსენეს, რომ უკვე მორისტაუნის სკოლაში სწავლის დროს სავარაუდო ტერორისტი სიჯიუტით გამოირჩეოდა. მერის თექვსმეტი წლის თანაკლასელმა, შალი კარენმა თქვა, რომ მას ახასიათებდა „აგდებული და ქედმაღლური დამოკიდებულება ადამიანების მიმართ“.

მაგრამ თექვსმეტი წლის ბარბარა ტერნერმა აღნიშნა, რომ „მერედითი, საერთოდ, საყვარელი გოგონა იყო, თუმცა ორიგინალური შეხედულებები ჰქონდა“.

მორისტაუნის სკოლის მოსწავლეები სხვადასხვა თვალსაზრისს გამოთქვამდნენ, თუმცა ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ გოგონა „განუწყვეტლივ ლაპარაკობდა ვიეტნამის ომზე“. ზოგიერთმა ისიც დასძინა, რომ მერის აღაშფოთებდა თვალსაზრისი ვიეტნამში ამერიკის ჯარების ყოფნის მართლზომიერების შესახებ.

მერედითის კლასის ხელმძღვანელმა, მისტერ უილიამ პაქსმანმა განაცხადა, რომ გოგონა სერიოზულად მეცადინეობდა, წარმატებით სწავლობდა, უმაღლეს შეფასებებს იღებდა და სიამოვნებით ემზადებოდა პაქსმანის „აღმა მატერში“, პენსილვანიის უნივერსიტეტში შესასვლელად.

„ყველა ამბობდა, რომ ეს ძალიან კარგი ოჯახი იყო, - თქვა მისტერ პაქსმანმა. - უბრალოდ, ვერ დაგვიჯერებია ის, რაც მოხდა“.

ერთადერთმა ნეგატიურმა ნოტმა მხოლოდ გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტების მიერ დაკითხული მასწავლებლის პასუხში გაიჟღერა: „მათ მითხრეს, რომ აურაცხელი ინფორმაცია მოიპოვეს მის ლევოვის შესახებ“.

ერთი წლის განმავლობაში ესაა „ადვილი, სადაც უწინ მაღაზია იყო“. შემდეგ იწყება ახალი მაღაზიის მშენებლობა და შვედი თვიდან თვემდე ხედავს, როგორ მიმდინარეობს მშენებლობა. ბოლოს კედელზე ჩნდება უზარმაზარი წითელ-თეთრ-ლურჯი წარწერა: „გაფართოებული! ახალი! ახალი! ახალი! მაკფერსონის მაღაზია!“ - რომელიც ყველას აუწყებს, რომ მაღაზია ოთხ ივლისს გაიხსნება. შვედი სთხოვს დოუნს, გვერდით მოუჯდეს და განუმარტავს, რომ ამ ახალ მაღაზიაში უნდა იარონ, ისევე, როგორც ყველამ. თავდაპირველად ეს ადვილი როდი იქნება, მაგრამ შემდეგ... მაგრამ შემდეგაც არაა ადვილი. ამ ახალ მაღაზიაში შესვლისას შვედი ყოველთვის იხსენებს ძველს, რომელიც აქ იდგა. თუმცა რას ჰემლინი უკვე პენსიაზეა და ახალი მაღაზიის მეპატრონე ისტონელი ახალგაზრდა ცოლ-ქმარია. მათ არ აწუხებთ მოგონებები წარსულის შესახებ და არა მარტო გააფართოეს მაღაზია, არამედ საცხოვრებელიც მიაშენეს, სადაც ყოველდღე აცხობენ უგემრიელეს ღვეზელებს, ნამცხვრებს, ფუნთუშებსა და პურს. მაღაზიის უკან, საფოსტო განყოფილების ფანჯარასთან, პატარა კაფეა, სადაც შეიძლება იყიდო ფინჯანი ყავა და ფუნთუშა, მეზობელთან ერთად დაჯდე და, სურვილისამებრ, ისაუბრო ან იკითხო გაზეთი. მაკფერსონი გაცილებით უკეთ უძღვება მაღაზიას, ვიდრე ჰემლინი, და მალე ყველას - ჰემლინებისა და ლევოვების ოჯახების გარდა - ავიწყდება ძველმოდური აფეთქებული მაღაზია. დოუნს ახალ მაღაზიასთან მიახლოებაც არ შეუძლია და კატეგორიულად არ სურს იქ რაიმეს შექნა. შვედი კი თავს მოვალედ მიიჩნევს, ყოველ შაბათს დაჯდეს კაფეში გაზეთითა და ფინჯანი ყავით, ვინც რა უნდა იფიქროს მისი დანახვისას. საკვირაო გაზეთებსაც აქ ყიდულობს. მარკებსაც. შეუძლია თავისი ოფისიდან მოიტანოს მარკები, შეუძლია ოჯახის მთელი კორესპონდენცია ნიუარკიდან გაგზავნოს, მაგრამ მაკფერსონების საფოსტო განყოფილების ფანჯრით სარგებლობას ამჯობინებს და ისე არ წავა იქიდან, რომ ამინდის შესახებ აზრი არ გაუზიაროს ახალგაზრდა ბეთ მაკფერსონს, ისევე, როგორც უწინ ესაუბრებოდა ხოლმე მერის, რას ჰემლინის ცოლს.

ასეთია მათი ცხოვრების გარეგნული მხარე. შვედი ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ ის ისევ ძველებური იყოს. მაგრამ ახლა პარალელურად მიმდინარეობს შინაგანი ცხოვრება, რომელიც აღსავსეა მტანჯველი აკვიატებული აზრებით, დათრგუნული ლტოლვებით, ფანტასტიკური იმედებით, შემზარავი ხილვებით, წარმოსახული საუბრებით, უპასუ-

ხოდ დარჩენილი კითხვებით. ყოველდამე უძილობა და თვითგვემა. გაუსაძლისი მარტოობა. გამუდმებული სინდისის ქენჯნა - ყველაფრის გამო, თვით იმ კოცნის გამოც, როდესაც მერი თერთმეტისა იყო, შვედი კი - ოცდათექვსმეტისა და ისინი, ბანაობის შემდეგ, ნამიანი საბანაო კოსტიუმებით, პლაჟიდან ავტომანქანით შინ ბრუნდებოდნენ. იქნებ მიზეზი შვედი იყო? ჰქონდა თუ არა ყოველივე ამას მიზეზი? მაგრამ მიზეზი უნდა ყოფილიყო!

ისე მ-მ-მ-მაკოცე, რ-რ-როგორც დ-დ-დედას კოცნი.

და ყოველდღე შესაძლებელია მხოლოდ ერთი რამ: მაქსიმალურად შეინარჩუნო ღირსება, თავი მოიკატუნო, თითქოს ჩვეულებრივად ცხოვრობ და უტიფრად ატარო იდეალური მამაკაცის ნილაბი.

1973 წლის 1 სექტემბერი
 ძვირფასო მისტერ ლევოვ!

მერი მუშაობს შინაური ცხოველების კლინიკაში, რომელიც მდებარეობს ნიუ-ჯერსი-რეილროუდ-ავენიუზე, აირონბაუნდის რაიონში, ნიუარკში. მისამართია: 115. ნ.-ჯ. რეილროუდ-ავენიუ, პენსილვანიის სადგურიდან ხუთი წუთის სავალზე. იქ ყოველდღე დადის. თუ ქუჩაში დაიცდით, დაინახავთ, როგორ გამოდის სამსახურიდან ოთხ საათზე და შინისკენ მიემართება. არ იცის, რომ ამ წერილს გწერთ. მეტი აღარ შემიძლია. აქედან წასვლას ვაპირებ, მაგრამ მას მარტო ვერ დავტოვებ. მერის თქვენ გადმოგაბარებთ. მაგრამ გაფრთხილებთ: თუ ეტყვით, ვინ დაგეხმარათ მის პოვნაში, ძალზე ატკენტ გულს. უაღრესად ძლიერი ადამიანია. ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა. ამ ამბებში იმიტომ გავეხვიე, რომ მას წინააღმდეგობას ვერასოდეს ვუწევდი. ყველაფერს დეტალურად ვერ ავიხსნით. დამიჯერეთ: ყველაფერს, რასაც ვაკეთებდი და ვლაპარაკობდი, მერის ბრძანებით ვაკეთებდი და ვლაპარაკობდი. ზეადამიანური ძალა აქვს. მე და თქვენ ერთნაირ მდგომარეობაში ვიყავით. მხოლოდ ერთხელ ვიცრუე მასთან. სასტუმროში მომხდარის თაობაზე. თქვენ შესახებ მისთვის რომ მეთქვა, ჩემთან არ დაწვა-მეთქი, ფულს ხელს არ მოჰკიდებდა და კვლავ ქუჩებში იმათხოვრებდა. ვერ შევძლებდი, აბუჩად ამეგდეთ, მერი ასე რომ არ მყვარებოდა. ეს ყველაფერი ბოღვად მოგეჩვენებათ, მაგრამ სიმართლეს გეუბნებით. თქვენი შვილი წმინდანია. როდესაც ხედავ მერის ტანჯვას, შეუძლებელია, არ დაემორჩილო მის ღვთაებრივ ძალას. ვერ წარმოიდგენტ, როგორი არარაობა ვიყავი, სანამ მერის შევხვდებოდი. ნირვანისკენ მიმავალი გზა მიჩვენა. მაგრამ მეტს ველარ გავუძლებ. თუ ჩემზე ჩამოვარდა საუბარი, თქვით, რომ გაგაწამეთ - სინამდვილეში ხომ ასე მოხდა. არ ახსენოთ ეს წერილი, თუ გსურთ, რომ მერი გადარჩეს. როდესაც კლინიკაში წახვალთ, გაფრთხილდით. ის ვერ გადაიტანს გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებთან შეხვედრას. ახლა მერი შტოლცი ჰქვია. შეურიგდით აზრს, რომ მერის თავისი ხვედრი აქვს. ის-

ლა დაგვრჩენია, შორიდან დავაკვირდეთ ამ წმინდა ადამიანის მარტვილობას.

მისი მოწაფე, რიტა კოენი

შვედი ვერასოდეს ახერხებდა მოულოდნელობების თავიდან აცილებას. მოულოდნელობები ყოველთვის შეუმჩნევლად იყო ჩასაფრებული სადღაც, საგანთა მიღმა, იქვე ღვიოდა და შეიძლებოდა, ნებისმიერ წამს აფეთქებულიყო. ამქვეყნად ყველაფერს ჰქონდა მიღმა მხარე, რომელსაც მოულოდნელობებს უწოდებენ. შვედი გამოეთხოვა ყველაფერს, შემდეგ ყველაფერი ხელახლა შექმნა და ახლა, როდესაც ცხოვრება თითქოს კვლავ საკუთარი ნებით წარმართა, იძულებულს ხდიდნენ, ხელი აეღო ყველაფერზე. და თუ ეს მოხდება, მოულოდნელობები მისი ცხოვრების ერთადერთ მოვლენად იქცევა...

მოვლენები, მოვლენები, მოვლენები, მოვლენები - მაგრამ სხვა რა სიტყვა უნდა მოეძებნა? შეუძლებელია, მთელი სიცოცხლე ამ საშინელების მონად დარჩეს! ხუთი წელი ელოდებოდა ამგვარი წერილის მიღებას, ელოდებოდა... და უნდა მიეღო. ყოველდღამე, საწოლში, ევედრებოდა ღმერთს, რომ ეს მომდევნო დილას მომხდარიყო. შემდეგ, ამ საოცარ, გარდამტეხ 1973 წელს, დოუნის ცხოვრებაში სასწაული მოხდა და ის უკვე რამდენიმე თვის განმავლობაში მთლიანად გატაცებული იყო ახალი სახლის პროექტით, შვედი კი შიშით ელოდა, რას იპოვიდა დილის ფოსტაში ან რას გაიგონებდა ტელეფონის ყურმილში. როგორ უნდა შემოეშვა ცხოვრებაში გაუთვალისწინებელი მოვლენები ახლა, როდესაც, დოუნის წყალობით, მათი ცხოვრებიდან საბოლოოდ განიდევნა უჩვეულობა იმისა, რაც მოხდა? ბრძოლა იმისთვის, რომ ცოლი კვლავ სრულფასოვან პიროვნებად ქცეულიყო, შტორმთან ხუთწლიან ბრძოლას წააგავდა. ნებისმიერ სურვილს უსრულებდა. არაფერს იშურებდა, ოღონდ კი დოუნს წარსული დაევიწყებინა. ბოლოს ცხოვრება ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა. ახლა დახიე წერილი და გადაყარე ნაკუწები. წარმოიდგინე, რომ ის არასოდეს მივიღია.

სუიციდური დეპრესიის გამო დოუნი ორჯერ დააწვინეს საავადმყოფოში პრინსტონის მახლობლად. ამიტომ შვედი ფიქრობდა, რომ უკურნებელი ფსიქიკური ტრავმის გამო დოუნს ფსიქიატრების გამუდმებული ზედამხედველობა, სედატიური მედიკამენტებითა და ანტიდეპრესანტებით წამლობა დასჭირდებოდა და დროდადრო ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში უნდა დაწოლილიყო. ქმარს სხვა არაფერი

დარჩენოდა იმას გარდა, რომ მთელი დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში უსასრულოდ ეწანწალა საავადმყოფოებში. შვედის წარმოდგენით, ის წელიწადში ერთხელ ან ორჯერ იჯდებოდა ცოლის საწოლთან, ოთახში, რომლის კარს სახელური არა აქვს. მაგიდაზე იდგებოდა შვედის მიერ გამოგზავნილი ყვავილები, ფანჯრის რაფაზე - ქოთნები ხვიარა მცენარეებით (რომლებიც დოუნს სახლში ჰქონდა და რომელთა მოვლა, ქმრის ვარაუდით, გაართობდა ქალს), ხოლო საწოლის გვერდით, ტუმბოზე - შვედის, მერის, დოუნის მშობლებისა და ძმის ჩარჩოში ჩასმული ფოტოსურათები... საწოლის კიდეზე ჩამომჯდარ შვედს ცოლის ხელი უკავია, ჯინსსა და მაღალყელიან განიერ სვიტერში გამოწყობილი დოუნი კი ზურგქვეშ ამოდებულ ბალიშებზე წევს და ტირის: „მეშინია, სეიმურ. შიშს ვერ ვერევი“. შვედი მოთმინებას არ კარგავს და როდესაც ქალს კანკალი აიტანს, განუმარტავს, რომ უფრო ღრმად უნდა ისუნთქოს, ნელა უნდა ისუნთქოს და იფიქროს დედამიწის რომელიმე ულამაზეს კუთხეზე, წარმოიდგინოს თავისი თავი იქ, იმ მშვიდსა და უხიფათო ადგილას - ტროპიკულ პლაჟზე, მშვენიერ მთებში, მინდვრებზე, სადაც ბავშვობისას თამაშობდა. შვედი ასე იქცევა იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც დოუნი ჯერ საყვედურებით ავსებს ქმარს, შემდეგ კი ნერვიულად თრთის. საწოლში მჯდარ დოუნს ხელები მხრებზე შემოუხვევია, თითქოს ცდილობს გათბესო. მთელი სხეულით სვიტერში ისე შეყუჟულა, როგორც კარავში: მოკეცილი ფეხები, ტერფებიან-მუხლებიანად, შიგნით შეუმალავს, ნიკაპზე კი მაღალი საყელო აუფარებია. ხშირად ზის ასე შვედის იქ ყოფნისას.

- იცი, ბოლოს როდის ვიყავი პრინსტონში? კარგად მახსოვს! გუბერნატორმა მიმიწვია თავის სასახლეში. პრინსტონში, სასახლეში. გუბერნატორის სასახლეში ვისადილე. ოცდაორი წლის ვიყავი - სამეჯლისო კაბა მეცვა და საშინლად ვღელავდი. გუბერნატორის მძლოლმა ელიზაბეთში გამომიარა და, ჩემი გვირგვინით, ნიუ-ჯერსის გუბერნატორთან ვიცეკვე. როგორ მოხდა ეს? როგორ აღმოვჩნდი აქ? ყველაფერი შენი ბრალია. არ მომეშვი. ჩემი ხელში ჩაგდება გასურდა! გინდოდა, ცოლად გამოგყოლოდი! მე კი მასწავლებლობაზე ვოცნებობდი! მხოლოდ ეს მინდოდა! სამსახური მქონდა. უკვე მელოდებოდა. ბავშვებისთვის მუსიკა უნდა მესწავლებინა, ისე, როგორც ელიზაბეთში ასწავლიდნენ - მეტი არაფერი მინდოდა. „მის ამერიკის“ კონკურსში მონაწილეობა აზრადაც არ მომსვლია. გათხოვებაც არ მინდოდა. მაგრამ გასაქანს არ

მაძლევდი! მხოლოდ კოლეჯის დამთავრებასა და მუშაობაზე ვფიქრობდი. ელიზაბეთში უნდა დავრჩენილიყავი! სამუდამოდ! იცი, რა მომიტანა „მის ნიუ-ჯერსის“ ტიტულმა? ცხოვრება დამინგრია. მე მხოლოდ სტიპენდია მჭირდებოდა ღენისთვის, რომ კოლეჯში ესწავლა და მამაჩემს ტვირთად არ დასწოლოდა სწავლის საფასურის გადახდა. მამას ინფარქტი რომ არ დამართოდა, არასოდეს მივიღებდი მონაწილეობას „მის ოლქის“ კონკურსში. არასოდეს! რისთვის მჭირდებოდა? უბრალოდ, მინდოდა, ფულადი ჯილდო მომეპოვებინა, რომ ღენის კოლეჯში ესწავლა, მამას კი ფული არ გადაეხადა. კონკურსში იმისთვის კი არ გავედი, რომ ბიჭებისთვის თავბრუ დამეხვია, არამედ - იმისთვის, რომ ოჯახს დავხმარებოდი. მაგრამ შემდეგ შენ გამოჩნდი. შენ! შენი ხელებით! მხრებით! შენი იდიოტური ნიკაპით! ვეება ხვადი, რომელიც თავიდან ვერ მოვიცილე. მოსვენებას არ მაძლევდი! სადაც უნდა გამეხედა, ყველგან თვალში მეჩხირებოდი. გაგიჟებდა, რომ სილამაზის დელოფალი ვიყავი! პატარა ბიჭივით აცუნდრუკდი! გინდოდა, პრინცესად გექციე. შეხედე, რით დამთავრდა ეს ყველაფერი! საგიჟით! შენი პრინცესა საგიჟეშია!

მთელი დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში არ განელდება დოუნის გაკვირვება იმით, თუ როგორ მოხდა ეს ყოველივე. ის ქმარს დაადანაშაულებს, შვედი კი მიუტანს საყვარელ კერძებს, ხილს, კანფეტებს, ნამცხვრებს, რათა ქალმა რაიმეს მაინც დააკაროს პირი, პურისა და წყლის გარდა; მიუტანს ჟურნალებს, იმ იმედით, რომ ქალი შეძლებს კონცენტრირებას და დღეში ნახევარ საათს მაინც იკითხავს; მიუტანს ტანსაცმელს, რათა დოუნმა კარგ ამინდში კლინიკის ბაღში ისეირნოს. ყოველ საღამოს, ცხრა საათზე, მოტანილ ტანსაცმელს ქალის კარადაში დააწყობს, მოეხვევა, გამომშვიდობებისას აკოცებს, კიდევ მოეხვევა და ეტყვის, რომ ხვალ, სამუშაო დღის დასრულებისას, კვლავ მოვა, შემდეგ კი სიბნელეში ერთ საათს მოანდომებს ოლდ-რიმროკამდე მგზავრობას და გაიხსენებს, როგორ დაფრთხა დოუნი, როდესაც, ვიზიტის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე, ექთანმა ფრთხილად შემოყო თავი კარში და თავაზიანად შეახსენა მისტერ ლევოვს, თქვენი წასვლის დროაო.

მომდევნო საღამოს დოუნი კვლავ გაბოროტებული იქნება. იტყვის, რომ შვედმა თავგზა აუბნია. შვედმა და „მის ამერიკის“ კონკურსმა საშუალება არ მისცეს, თავისი მიზნები განეხორციელებინა. უსასრულოდ

ბევრს ილაპარაკებს და შვედი ვერ შეძლებს მისი სიტყვების ნაკადის შეჩერებას. არც კი ეცდება. რა საერთო აქვს დოუნის ლაპარაკს მისსავე ტანჯვასთან? აშკარაა, რომ ქალი სულიერად გატეხა ტრაგიკულმა მოვლენებმა, რომლებსაც საერთო არაფერი აქვს იმასთან, რაზეც ლაპარაკობს ხოლმე. როდესაც დოუნი პირველად დაწვა კლინიკაში, შვედი, უბრალოდ, უსმენდა და თავს უქნევდა. უკვირდა, როგორი თავგამეტებით წყევლიდა დოუნი იმ მოვლენებს, რომლებმაც, კაცის რწმენით, მას უდიდესი სიამოვნება მიანიჭა. მაგრამ ზოგჯერ ფიქრობდა, იქნებ უკეთესიცაა, რომ თავის პრობლემებს 1949 წელს მომხდარ მოვლენებს უკავშირებს და არა იმას, რაც 1968 წელს მოხდაო.

- როდესაც სკოლაში ვსწავლობდი, ყველა მეუბნებოდა, „მის ამერიკა“ უნდა გახდეთ. სასაცილოდ არ მყოფნიდა. რატომ უნდა გავმხდარიყავი „მის ამერიკა?“ გაკვეთილების შემდეგ, ასევე ზაფხულობით, მალაზიაში ვმუშაობდი. მუშტრები მეჩიჩინებოდნენ, „მის ამერიკა“ უნდა გახდეთ. ამაზე ვცოფდებოდი. ვერ ვიტანდი, როდესაც მეუბნებოდნენ, რომ ჩემი გარეგნობა უნდა გამომეყენებინა. მაგრამ რა უნდა მექნა, როდესაც „მის ოლქის“ კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტმა სავაზუმოდ მიმიწვია? ახალგაზრდა ვიყავი. მეგონა, რომ ვინმეს ფულს დავცინცლავდი, რათა მამაჩემს ქანცის გაწყვეტამდე არ ემუშავა. ამიტომ ანკეტა შევაავსე და მივედი. როდესაც დანარჩენი გოგონები დაიშალნენ, იმ ქალმა წელზე ხელი შემომხვია და ყველას ხმამალლა უთხრა: „გაიცანით. თქვენ წინაშეა მომავალი „მის ამერიკა“. რა სისულელეა--მეთქი, გავიფიქრე, რატომ ამბობს ასეთ სისულელეს? ხოლო როდესაც „მის ოლქის“ კონკურსში გავიმარჯვე, უკვე მეუბნებოდნენ, ატლანტიკ-სიტიში გნახავთო. ამ საქმეში გარკვეულები მარწმუნებდნენ, რომ აუცილებლად გავიმარჯვებდი. უკან ხომ არ დავიხევდი? ასე ვერ მოვიქცეოდი. „ელიზაბეთ ჯერნელის“ პირველ გვერდზე იყო აღწერილი „მის ოლქის“ კონკურსში ჩემი გამარჯვების ამბავი. კინალამ გული გამისკდა! მართლა! მეგონა, რომ ყველაფერი შეუმჩნევლად ჩაივლიდა და უბრალოდ, უჩუმრად ავიღებდი ჩემს ფულს. ვიმეორებ, ახალგაზრდა ვიყავი. არ მეგონა, რომ „მის ნიუ-ჯერსის“ ტიტულს მოვიპოვებდი. ჩემ გარშემო უამრავი ლამაზი ქალიშვილი იყო. იცოდნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, მე კი არაფერი მესმოდა. იცოდნენ, როგორ უნდა დაეხვიათ თმა და დაეწებებინათ ხელოვნური წამწამები, მე კი თმის დახვევა „მის ნიუ-ჯერსის“ ტიტულის მოპოვებიდან ნახევარი

წლის შემდეგ ვისწავლე. ღმერთო, რა საუცხოო მაკიაჟი და რა ლამაზი კაბები აქვთ-მეთქი, ვფიქრობდი. მე კი ერთი ძველი კაბა და კიდევ, ქირით აღებული ტანსაცმელი მქონდა. ამიტომ დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერასგზით ვერ გავიმარჯვებდი. თანაც ისეთი გულჩათხრობილი ვიყავი! ისეთი ტლანქი! მაგრამ გავიმარჯვე. შემდეგ დაჯდომასა და ადგომას მასწავლიდნენ. და იმასაც კი, როგორ უნდა მესმინა სხვებისთვის. სამოდელო სააგენტოში გამგზავნეს, რომ სიარული მესწავლა. არც კი ვფიქრობდი იმაზე, როგორ უნდა მევლო - უბრალოდ, დავდიოდი! საკმარისად მოხდენილად დავდიოდი იმისთვის, რომ „მის ნიუ-ჯერსი“ გავმხდარიყავი, ხომ ასეა? და თუ ჩემი სიარულის მანერა ხელს შემომლის, რომ „მის ამერიკა“ გავხდე, ეს კონკურსი ჯანდაბასაც წაუღია-მეთქი! გოგმანით უნდა მევლო. მე კი გადავწყვიტე, ისე ვივლი, როგორც დავდიოდი-მეთქი. ხელებს ნუ იქნევთ, მაგრამ თქოებზეც ნუ მიიკრავთ! - და კიდევ ბევრი პროფესიული, ეფექტზე გათვლილი ხერხი, რომლებმაც მოძრაობის შიში გამიჩინეს. ქუსლებზე კი ნუ ადგამთ ფეხებს, თითის წვერებზე იარეთო! - ეს ყველაფერი ვისწავლე. ნეტავ თავი დამეძვრინა! მაგრამ რა უნდა გამეწყო? თავი დამანებეთ! ყველამ თავი დამანებეთ! არასოდეს მინდოდა ეს! გესმის, რატომ გამოგყევი ცოლად? ახლა გესმის? ერთადერთი მიზეზით: ნორმალური ცხოვრება მინდოდა! იმ წლის შემდეგ ისეთი სასოწარკვეთილი ვიყავი, რომ ნორმალური ცხოვრება მინდოდა! ნეტავ არაფერი არ მომხდარიყო! არაფერი! კვარცხლბეკზე დამაყენეს - თვითონაც არ ვიცი, რატომ - შემდეგ კი ხელი მკრეს და ძირს ჩამომავდეს. ისე უხეშად, რომ თვალებიდან ნაპერწკლები გადმომცვივდა! მე ხომ არაფერი არ მითხოვია! იმ გოგოებთან საერთო არაფერი მქონდა. მძულდნენ და ვძულდი. ეს მაღალი, გრძელფეხა გოგოები! უნიჭოები! რამდენს ლაქლაქებდნენ! მე კი სერიოზულად ვსწავლობდი მუსიკას. და მხოლოდ ერთი რამ მსურდა: ყველას თავი დაენებებინა ჩემთვის და კინკრიხოზე ეს იდიოტური ბრჭყვიალა გვირგვინი არ ჩამოეცვათ. ეს არ მინდოდა! არასოდეს!

ამ ვიზიტების შემდეგ ავტომანქანით შინისკენ მიმავალი შვედი იხსენებდა, როგორი იყო სინამდვილეში დოუნი იმ დროს. კარგად ახსოვდა, რომ ქალს საერთო არაფერი ჰქონდა ავტობორტრეტთან, ამ ფრაზებში რომ ილანდებოდა. 1949 წლის სექტემბერში, იმ ერთი კვირის განმავლობაში, რომელიც წინ უძლოდა „მის ამერიკის“ ტიტულის მოსაპოვებელ წარმოდგენას, დოუნი ყოველდამე რეკავდა ნიუარკში სას-

ტუმრო „დენისიდან“ და აღტაცებით უამბობდა ყველაფერს, რაც მას, როგორც ამ ტიტულის პრეტენდენტს, იმ დღეს თავს გადახდენოდა. შვედს არასოდეს სმენოდა დოუნის ასეთი ხმა. თითქმის შიშისმომგვრელი, დაუფარავი აღტაცებით ჰყვებოდა, თუ სად იყო და რა განიცადა იმ დღეს. მოულოდნელად ცხოვრება ზღაპრად იქცა და ეს ზღაპარი თითქოს საგანგებოდ დოუნ დუაირისთვის შეიქმნა. დოუნის უჩვეულო აღგზნებამ შვედი დააეჭვა, დაკმაყოფილდებოდა თუ არა ის - ამგვარი კვირის შემდეგ - სეიმურ ლევოვით. ვაითუ გაიმარჯვოს? რა შანსი ექნება შვედს ყველა იმ მამაკაცის გვერდით, რომლებსაც „მის ამერიკაზე“ დაქორწინება სურთ? დოუნს დაუახლოვდებიან მსახიობები... მილიონერები... თავს მოიყრიან მის ირგვლივ... დოუნის წინაშე გადაშლილი ახალი პერსპექტივები მიიზიდავს უამრავ ბრწყინვალე თაყვანისმცემელს, რომლებიც, საბოლოოდ, შვედს სრულიად განდევნიან. და მაინც, მას, მუდმივ თაყვანისმცემელს, დოუნის შესაძლო გამარჯვების მოლოდინი აღაგზნებდა. რაც უფრო რეალური იყო ეს გამარჯვება, მით მეტი მიზეზი უჩნდებოდა, გაწითლებულიყო და ოფლით დაცვარულიყო.

ქალ-ვაჟი დიდხანს საუბრობდა - ყოველდღე ერთი საათი. დოუნის ისეთი აღგზნებული იყო, რომ არ ეძინებოდა, თუმცა საუზმის დროიდან მოყოლებული (მას კომპანიონ ქალთან ერთად სასადილო ოთახში მიირთმევდა) ხალხში იმყოფებოდა. მაგიდასთან მხოლოდ ორნი ისხდნენ ხოლმე. კომპანიონს, ჩასუქებულ ადგილობრივ ქალბატონს, პაწაწინა ქუდი ეხურა, დოუნს კი ჟაკეტზე მიმაგრებული ჰქონდა ლენტი წარწერით „მის ნიუ-ჯერსი“. უნატიფესი და ძალზე ძვირი თეთრი ტყავის ხელთათმანები აჩუქა ფაბრიკა „ნიუარკ-მეიდმა“, სადაც შვედმა სწორედ მაშინ დაიწყო საქმის შესწავლა, რათა ბიზნესს სათავეში ჩასდგომოდა. ყველა ქალიშვილს თიკნის ტყავის ასეთივე ხელთათმანები ეცვა, რომლებიც ოთხი ღილით იკვრებოდა და მაჯას ფარავდა. მხოლოდ დოუნმა მიიღო ისინი საჩუქრად კიდევ ერთ წყვილ შავ, გამოსასვლელ ხელთათმანებთან ერთად. ეს იყო „ნიუარკ-მეიდში“ დამზადებული, თიკნის ტყავის თექვსმეტლილიანი ხელთათმანები (რომლებიც „საქსში“ მეტისმეტად ძვირი ღირდა). იტალიიდან თუ საფრანგეთიდან ჩამოსულმა ოსტატმა ისინი ხელით გამოჭრა. და, ბოლოს, დოუნმა კიდევ ერთი წყვილი მიიღო - გრძელი ხელთათმანები, რომლებიც მის საღამოს კაბას უხდებოდა. შვედმა ქალიშვილს სთხოვა ერთი იარღი იმ

ქსოვილისა, რომლისგანაც კაბა უნდა შეეკერათ და მისი ოჯახის ერთ-ერთმა ახლობელმა, რომელიც ქსოვილის ხელთათმანებს ამზადებდა, „ნიუარკ-მეიდისადმი“ პატივისცემის ნიშნად, ისინი უფასოდ შეუკერა დოუნს. პატარაქუდიანი კომპანიონი ქალების თანხლებით მაგიდებთან მსხდარი ლამაზი, კოხტად თმადავარცხნილი, მოხდენილ კაბებში გამოწყობილი გოგონები, ოთხლილიანი ხელთათმანებით, ავტოგრაფებს ურიგებდნენ მნახველებს და ატყობინებდნენ, საიდან ჩამოვიდნენ. პაუზების დროს კი კონკურსანტები ცდილობდნენ, დრო მოეხელთებინათ და ყოველი კერძის თუნდაც ერთი ლუკმა გაესინჯათ. დოუნი, რომელიც „მის ნიუ-ჯერსი“ გახლდათ (სასტუმრო კი ნიუ-ჯერსიში იყო), დანარჩენ პრეტენდენტებთან შედარებით, მეტი პოპულარობით სარგებლობდა და, მაშასადამე, თავაზიანი სიტყვები უნდა ეთქვა, გაეღიმა, ავტოგრაფები დაერიგებინა და წახემსებაც მოესწრო. „ეს ჩემი სამუშაოა, - უხსნიდა ტელეფონით შვედს, - სწორედ ამის გამო დაგვაბინა-ვეს უფასოდ ამ სასტუმროში“.

ატლანტიკ-სიტიში ჩასული დოუნი სადგურშივე ჩასვეს პატარა ავტომანქანაში („ნემ-რამბლერში“), რომელსაც გადასახდელი სახურავი ჰქონდა, ზედ კი დოუნის სახელი და მისი შტატის სახელწოდება ეწერა. მანქანაში უკვე იჯდა კომპანიონი ქალი. დოუნის კომპანიონი იყო უძრავი ქონების ადგილობრივი დილერის ცოლი, რომელიც გოგონას გვერდიდან არ შორდებოდა. ავტომანქანაში ერთად სხდებოდნენ და იქიდან ერთად გადმოდიოდნენ. „ყოველთვის თან მახლავს, სეიმურ, - ჩიოდა დოუნი. - ჟიურის წევრებს გარდა, მამაკაცებს ვერ ვხედავ. მათთან დალაპარაკებაც კი აკრძალული გვაქვს. აქ ზოგიერთი ქალიშვილის თაყვანისმცემლები და ოფიციალური საქმროებიც კი ჩამოვიდნენ. მაგრამ - რა? მათთან შეხვედრა აკრძალულია. განაწესში (ისეთ სქელტანიან წიგნში, რომ ბოლომდე ვერც კი წაიკითხავ) წერია: „მამრობითი სქესის წარმომადგენლებს აკრძალული აქვთ კონკურსის მონაწილეებთან გასაუბრება, თუკი მათ გვერდით კომპანიონი ქალები არ იმყოფებიან. კონკურსანტებს კატეგორიულად ეკრძალებათ კოქტეილ-ჰოლში შესვლა და ნებისმიერი სპირტიანი სასმლის დალევა“. სხვა წესები არანაკლებ საინტერესოა...“ შვედი ხარხარებდა. „დამამთავრებინე, სეიმურ, ეს უსასრულო ნუსხა. მაგალითად, „არავის აქვს უფლება, ჩამოართვას კონკურსანტს ინტერვიუ, თუ იქ არ იმყოფება კომპანიონი, რომელიც კონკურსანტის ინტერესებს იცავს...“

არა მარტო დოუნის, არამედ სხვა გოგონების განკარგულებაშიც იყო პატარა „ნემ-რამბლერები“, მაგრამ - დროებით. ავტომანქანით მხოლოდ „მის ამერიკას“ დააჯილდოებდნენ. სილამაზის დედოფალი სწორედ ამ ავტომანქანით შემოუვლიდა გარს ფეხბურთის მოედანს და ყველაზე საინტერესო სტუდენტური თამაშების დაწყებამდე გულშემატკივრებს მიესალმებოდა. კონკურსის ღონისძიებებისთვის „რამბლერს“ იყენებდნენ, რადგან „ამერიკენ მოტორსი“ ერთ-ერთი სპონსორი გახლდათ.

დოუნმა თავის ოთახში „ფრელინჯერ ორიგინალის“ კანფეტების კოლოფი და ვარდების თაიგული აღმოაჩინა. საჩუქრები სასტუმრომ ყველა კონკურსანტს მიართვა, მაგრამ დოუნის ვარდები არ გაიფურჩქნა. კონკურსანტთა ოთახები - ყოველ შემთხვევაში, იმათი, ვინც დოუნთან ერთად ცხოვრობდა სასტუმროში - ვიწრო და ულაზათო იყო, თანაც ფანჯრები უკანა ეზოში გადიოდა. მაგრამ თვით სასტუმრო, აღზნებული დოუნის თქმით, მდებარეობდა სანაპიროსა და მიჩიგან-ავენიუს კუთხეში და იმ მდიდრულ სასტუმროებს მიეკუთვნებოდა, რომლებშიც ნაშუადღევს სასადილო ოთახის მაგიდეებზე ჩაის ფინჯნებს და პაწაწინა სენდვიჩებს აწყობენ, ხოლო სტუმრები იქვე, მდელოზე კროკეტს თამაშობენ და ცხოვრობენ დიდ, ლამაზ ოთახებში, რომელთა ფანჯრებიდანაც ოკეანე მოჩანს. ქანცგაწყვეტილი დოუნი ყოველდამე ბრუნდებოდა თავის გაცრეცილშპალერიან, ულამაზო ოთახში, ამოწმებდა, ხომ არ გაიფურჩქნა ყვავილებიო, შემდეგ კი ურეკავდა შვედს, რათა პასუხი გაეცა მის კითხვებზე გამარჯვების შანსის შესახებ.

ოთხი-ხუთი ქალიშვილის - მათ შორის, დოუნის - ფოტოსურათები განუწყვეტლივ ქვეყნდებოდა გაზეთებში. ითვლებოდა, რომ ერთ-ერთი მათგანი გაიმარჯვებდა. ნიუ-ჯერსის წარმომადგენლები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ პირველ ადგილს მათი კანდიდატი დაიკავებდა. ეს თვალსაზრისი განსაკუთრებით მაშინ განუმტკიცდათ, როდესაც გაზეთებმა დოუნის ფოტოსურათების ბეჭდვა ყოველ დილას დაიწყეს. „არ მინდა, იმედები გავუცროო“, - ამბობდა დოუნი. „არ გაუცროებ. გაიმარჯვებ“, - პასუხობდა შვედი. „არა, ტექსასელი ქალიშვილი გაიმარჯვებს. ვიცი. ძალიან ლამაზია! მრგვალი სახე და დაჩვრეტილი ლოყები აქვს. მზეთუნახავი არაა, მაგრამ ძალიან, ძალიან მომხიბვლელია. შესანიშნავი აღნაგობა აქვს. როგორ მეშინია მისი! ტექსასის რომელიღაც მიყრუებული ქალაქიდანაა, სტეპს ცეკვავს... და გაიმარჯვებს“. „მისი

ფოტოსურათები იმავე გაზეთებში იბეჭდება, რომლებშიც შენსას აქვეყნებენ?“ „ყოველთვის. ის ყოველთვის შეჰყავთ ოთხეულში ან ხუთეულში. მეც შევყავარ, რადგან ყველაფერი ატლანტიკ-სიტიში ხდება, მე კი „მის ნიუ-ჯერსი“ ვარ. ჩემი ლენტის დანახვისას სანაპიროზე მოსერიწენი ჰკუიდან იშლებიან, მაგრამ ისინი ყოველ წელიწადს ასე ხვდებიან „მის ნიუ-ჯერსის“. მას კი არასოდეს გაუმარჯვია. „მის ტექსასის“ ფოტოსურათებს იმიტომ ბეჭდავენ, სეიმურ, რომ გაიმარჯვებს“.

ჟიურის ათი წევრიდან ერთ-ერთი გახლდათ სახელგანთქმული საგაზეთო მიმომხილველი ერლ უილსონი. როდესაც დოუნი ოკეანეზე ჩატარებულ ჩვენებაში მონაწილეობდა და სასტუმროში მცხოვრებ ორ ქალიშვილთან ერთად სასტუმროს ტივით სანაპიროს გასწვრივ გაცურა, ერლ უილსონმა შეიტყო, რომ იგი ელიზაბეთის მკვიდრი იყო. როგორც ამბობდნენ, თქვა, რომ ქალაქ ელიზაბეთის ყოფილ მერთან, ჯო ბროფისთან მეგობრობდა. ერლ უილსონის თანამოსაუბრემ ეს ამბავი აცნობა კიდევ ერთ კაცს, ამ უკანასკნელმა კი - დოუნის კომპანიონს. ერლ უილსონი ჯო ბროფის ძველი მეგობარი იყო - აი, რა თქვა ან რისი თქმის უფლება ჰქონდა ერლ უილსონს. დოუნის კომპანიონი დარწმუნებული იყო: ერლმა ეს იმიტომ განაცხადა, რომ დაინახა ტივზე მდგარი, საღამოს კაბაში გამოწყობილი დოუნი და გადაწყვიტა, ხმა მისთვის მიეცა. „კარგია, - ჩაილაპარაკა შვედმა, - ერთი უკვე ჩვენია, დარჩა ცხრა. მიზნისკენ მიდიხარ, მის ამერიკა“.

თავის კომპანიონს დოუნმა მხოლოდ ის აუწყა, თუ ვინ იქნებოდა მისი ყველაზე საშიში კონკურენტი. როგორც ჩანს, სხვა ქალიშვილებიც ამის შესახებ ესაუბრებოდნენ თავიანთ კომპანიონებს და ტელეფონით ამასვე ეუბნებოდნენ ახლობლებს, თუმცა ერთმანეთს მოჩვენებითი გულთადობით ეპყრობოდნენ. დოუნმა შვედს უთხრა, სამხრეთელი ქალიშვილები განსაკუთრებით საშიში არიანო. „ოჰ, ისეთი ლამაზი ხართ. ისეთი ლამაზი თმა გაქვთ...“ როდესაც ამ ქალიშვილებს უსმენდი, ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდა, თითქოს ცხოვრებისეული შესაძლებლობები თმაში იყო ჩაბუდებული და შენს წარმატებას ბედი კი არა, ვარცხნილობა განაგებდა.

ისინი კომპანიონებთან ერთად ეწვივნენ „ფოლადის პირსს“, თევზის კერძები მიირთვეს კაპიტან სტარნის სახელგანთქმულ რესტორანში და მოინახულეს იახტის ბარი. მეორე დღეს ბიფშტექსით ისადილეს ჯეკ გიმარდის ბიფშტექს-ჰოლში, მესამე დღეს კი ყველამ ერთად გადაილო

ფოტოსურათები საგამოფენო დარბაზის ფონზე. კომიტეტის ერთ-ერთმა ოფიციალურმა წევრმა განაცხადა, რომ ამ ფოტოსურათს, როგორც რელიქვიას, გოგონები მთელი სიცოცხლის განმავლობაში შეინახავდნენ; რომ სიცოცხლის ბოლომდე იმეგობრებდნენ ერთმანეთთან, ხოლო თავიანთ ქალიშვილებს ერთმანეთის სახელებს დაარქმევდნენ. მაგრამ ახლა, დილის გაზეთში დაბეჭდილი ფოტოსურათის ხილვისას, ყოველი ქალიშვილი ეუბნებოდა თავის კომპანიონს: „ღმერთო ჩემო, არაფრის იმედი არ უნდა მქონდეს. ღმერთო ჩემო, ალბათ ეს ქალიშვილი გაიმარჯვებს“.

კვირის განმავლობაში კონკურსანტებს ყოველდღე უტარდებოდათ რეპეტიციები, ყოველ საღამოს კი ისინი შოუებში მონაწილეობდნენ. ყოველწლიურად ხალხი საგანგებოდ ჩამოდის ატლანტიკ-სიტიში, რათა თვალყური ედევნებინა „მის ამერიკის“ კონკურსისთვის. ამ შოუებზე დასასწრებად ისინი ყიდულობდნენ ბილეთებს და, თვითონაც მორთულ-მოკაზმულნი, უყურებდნენ გოგონებს, რომლებიც სათითაოდ აჩვენებდნენ სცენაზე თავიანთ უნარებს, შემდეგ კი ერთად ასრულებდნენ სხვადასხვაგვარ მუსიკალურ ნომრებს. ერთმა ქალიშვილმა, რომელიც ფორტეპიანოზე უკრავდა, „ჩლაირ დე ლუნე“ შეასრულა. დოუნს წილად ხვდა შესრულება უფრო ვულგარული ნომრისა, რომელიც შოპენის პოლონეზის საცეკვაო არანჟირება გახლდათ. „შოუ-ბიზნესში ჩამრთეს. მთელი დღე დაკავებული ვარ. ერთი წუთითაც არ მცალია. კონკურსის ორგანიზატორი ნიუ-ჯერსის შტატია, ამიტომ ყურადღების ცენტრში ვიმყოფები და არ მინდა, იმედი გავუცრუო. მართლა არ მინდა. ამას ვერ გადავიტან...“ „არც გაუცრუებ, დოუნ. ერლ უილსონი გიჭერს მხარს, ჟიურის ყველაზე ცნობილი წევრი. ყველაფერი კარგად იქნება. ამას ვგრძნობ. ვიცი, გაიმარჯვებ“.

მაგრამ შვედი ცდებოდა. „მის არიზონამ“ გაიმარჯვა. დოუნის საუკეთესოთა ათეულშიც კი ვერ მოხვდა. იმ წლებში გოგონები სცენის სიღრმეში იცდიდნენ, სანამ გამარჯვებულის სახელს გამოაცხადებდნენ. მაგიდები იდგა სარკეების წინ, რომლებიც შტატების სახელწოდებების მიხედვით, ანბანურად იყო დაწყობილი. გამარჯვებულის სახელის გამოცხადებისას დოუნის ცენტრში იდგა. უნდა გაეღიმა, ტაში უნდა დაეკრა მუსიკის რიტმის შესაბამისად და მხურვალე აპლოდისმენტებით უნდა აღენიშნა თავისი დამარცხება. რაც ყველაზე უარესი იყო, წინ უნდა გამოსულიყო, სხვა დამარცხებულ გოგონებთან ერთად სცენის

ირგვლივ უნდა შემოეფლო და ბობ რასელის ორკესტრთან ერთად უნდა ემღერა იმდროინდელი ჰიმნი „მის ამერიკა“: „ყველა ყვავილი, ყველა ვარდი ესაღმება... მის ამერიკას“. იმ შავთმიანმა, ტანმორჩილმა, მოხდენილმა არიზონელმა, ჯეკი მერსერმა, საბანაო კოსტიუმების კონკურსში რომ გაიმარჯვა - მაგრამ, დოუნის წარმოდგენით, პირველი ადგილი არ უნდა ღირსებოდა - იერიშით აიღო კონვენშენ-ჰოლში შეკრებილი საზოგადოება. მოგვიანებით, გამოსამშვიდობებელ მეჯლისზე, რომელზეც დოუნმა თავისი საშინელი ფიასკო იზეიმა, ის მაინც არ განიცდიდა ისეთ ღრმა სასოწარკვეთილებას, როგორსაც - ქალიშვილების უმრავლესობა. იმას, რასაც ნიუ-ჯერსის წარმომადგენლები ჩააგონებდნენ დოუნს, სხვა შტატების წარმომადგენლებიც ეუბნებოდნენ თავიანთ პრეტენდენტებს: „გაიმარჯვებ, „მის ამერიკა“ გახდება“. ამიტომ მეჯლისმა, მისი თქმით, ძალზე სევდიანად ჩაიარა. „სულ გაღიმებული უნდა ვყოფილიყავი. საშინელება იყო, - თქვა დოუნმა. - ანაპოლისიდან სანაპიროს დაცვის თანამშრომლები თუ ვიღაც ამნაირები მოიწვიეს. ზონრებითა და ლენტებით შემკობილი არაჩვეულებრივი თეთრი ფორმები ეცვათ. ალბათ გადაწყვიტეს, რომ ჩვენთვის შესაფერისი პარტნიორები იქნებოდნენ ცეკვაში. გულგრილი გამომეტყველებით ცეკვავდნენ. შემდეგ კი საღამო დამთავრდა და შინ დაბრუნების დრო დადგა“.

და მაინც, დოუნს კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში არ ჩაუცხრა ალგზნება. მაშინაც კი, როდესაც „მის ნიუ-ჯერსის“ მოვალეობებს ასრულებდა, ლენტებს ჭრიდა, საზოგადოებას ესაღმებოდა და მალაზიებსა და ავტოსალონებს საზეიმოდ ხსნიდა, ხშირად ხმამაღლა ეკითხებოდა თავს, ოდესმე მოხდებოდა თუ არა მის ცხოვრებაში ისეთი შესანიშნავი და მოულოდნელი მოვლენები, როგორიც იმ კვირას ატლანტიკ-სიტიში მოხდა. საწოლთან ინახავდა „მის ამერიკა-1949“-ის კალენდარს, რომელიც კონკურსის კომიტეტმა გამოსცა და მთელი კვირა იყიდებოდა ატლანტიკ-სიტიში: მონაწილე ქალიშვილების პორტრეტები - ოთხ-ოთხი ყოველ გვერდზე - და ყოველი პორტრეტის ქვეშ რამდენიმესტრიქონიანი წარწერა: შტატის აღწერა და პრეტენდენტის მოკლე ბიოგრაფია. „მის ნიუ-ჯერსის“ პორტრეტზე მორცხვად იღიმებოდა საღამოს კაბაში გამოწყობილი დოუნი, რომელსაც იმავე ქსოვილისგან შეკერილი გრძელი (თექვსმეტლილიანი) ხელთათმანები ეკეთა. ფურცლის გადაკეცილ კუთხეზე ეწერა: „მერი დოუნ დუაირი, 22 წლი-

სა, ქ. ელიზაბეთი, ნ.-ჯ., შავგვრემანი, ნიუ-ჯერსის იმედი ამჟამინდელ კონკურსში. ქ. ისტ-ორინჯის უპსალის კოლეჯის მუსიკალური ფაკულტეტის კურსდამთავრებული. 5 ფუტისა და 2,5 დუიმის სიმაღლისა, ცისფერთვალა. გატაცებულია ცურვით, ხალხური ცეკვებით, კულინარიით (ზედა მარცხენა ფოტოსურათი)“. უჩვეულო აღზნებისგან გასათავისუფლებლად, დოუნი განუწყვეტლივ ჰყვებოდა იმ ჯადოსნური ზღაპრის შესახებ, რომელშიც აღმოჩნდა გოგონა ჰილსაიდ-როუდიდან, ჰილსაიდროუდელი მეწყალსადენის ქალიშვილი, რომელიც მთელი ამ ხალხის წინაშე გამოდიოდა და „მის ამერიკის“ ტიტულის მოსაპოვებლად იბრძოდა. არც კი სჯეროდა, რომ ასეთი მამაცი იყო. „ო, ეს პოდიუმი, სეიმურ. გრძელი პოდიუმი იყო, გრძელი ხალიჩა, ისეთი გრძელი - მაშინაც კი, როდესაც, უბრალოდ, ილიმები...“

1969 წელს, როცა ოლდ-რიმროკში მოსაწვევი ბარათი მოვიდა და დოუნი „მის ამერიკის“ კონკურსის ოცი წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე დასასწრებად მიიწვიეს, ის მერის გაუჩინარების შემდეგ უკვე მეორედ იწვა საავადმყოფოში. მაისი იყო. ფსიქიატრები ისეთივე ყურადღებით ექცეოდნენ მას, როგორც - პირველად; ოთახი ისეთივე ლამაზი იყო, ხოლო გარემომცველი პეიზაჟი - ისეთივე მომხიბვლელი; სეირნობა კიდევ უფრო სასიამოვნო იყო. პაციენტთა ბუნგალოების გარშემო ტიტები დაერგოთ, ფართო გაზონები მწვანედ ხასხასებდა, თვალწარმტაცი ხედები ატკბობდა მზერას. ეს ორი წლის განმავლობაში მეორედ ხდებოდა და რადგან გარემო ასეთი მშვენიერი იყო, ხოლო ახალგათიბული გაზონები მოტკბო და მძაფრ სურნელს აფრქვევდნენ, შვედს, რომელიც სალამო ხანს ცოლთან პირდაპირ ნიუარკიდან ჩამოვიდა, სული ათასჯერ უფრო დაუმიძიდა. ამიტომ დოუნს მოსაწვევი ბარათი არ აჩვენა. სიტუაცია საკმარისად უსიამოვნო იყო: დოუნის უცნაური ტიტინი, განუწყვეტელი ჩივილი სირცხვილის, იმედგაცრუებისა და ამაოდ განვლილი ცხოვრების შესახებ სევდას აღუძრავდა, რომ აღარაფერი ვთქვათ მოგონებებზე „მის ნიუ-ჯერსის“ კონკურსის შესახებ.

შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. უცნობი ძალის კარნახით, დოუნმა გადაწყვიტა, გათავისუფლებულიყო დაუშვებელი, წარმოუდგენელი მოვლენების ზეგავლენისგან და აღარ განდგომოდა ცხოვრებას.

ჰეროიკულ განახლებას საფუძველი ჩაუყარა სახის კანის აჭიმვამ ჟენევის კლინიკაში, რომლის შესახებაც ქალმა „ვოგში“ ამოიკითხა. დასაძინებლად გამზადებული შვედი ხშირად ხედავდა, როგორ იდგა

დოუნი სააბაზანოში, სარკის წინ, საჩვენებელი თითებით იჭიმავდა ყვრიმალეებს, ხოლო ცერებით - მოდუნებულ კანს ნიკაპქვეშ. ყველა ბუნებრივი ნაოჭი ქრებოდა და სახე გაპრიალებული ხისგან გამოკვეთილს ემსგავსებოდა. ქმარს ესმოდა, რომ ორმოცდახუთი წლის ასაკში დოუნი ორმოცდათხუთმეტი წლისას წააგავდა, მაგრამ „ვოგის“ მიერ შემოთავაზებულ გამაახალგაზრდავებელ საშუალებას, შვედის აზრით, მათ თავს დატეხილ უბედურებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ამაზე ცოლთან საუბარი საჭიროდ არ მიაჩნდა და ფიქრობდა, რომ ჭეშმარიტება დოუნმა სხვებზე უკეთ იცოდა, თუმცა ახლა ამჯობინებდა, უბრალოდ, „ვოგის“ კიდევ ერთ ნაადრევად დაბერებულ მკითხველად მიეჩნია თავი და არა - რიმროკელი ტერორისტის დედად. მაგრამ ვინაიდან ფსიქიატრებმაც და მედიკამენტებმაც თავიანთი შესაძლებლობები ამოწურეს, დოუნს კი საშინლად ეშინოდა შოკური ელექტროთერაპიისა, რომელსაც ექიმები გამოიყენებდნენ, თუკი კლინიკაში მესამედ დაწვებოდა, ამიტომ ერთ მშვენიერ დღეს შვედი ცოლთან ერთად ჟენევაში გაემგზავრა. აეროპორტში მათ ლივრეიანი მძლოლი დახვდა. დოუნი ექიმ ლა პლანტის კლინიკაში მიიღეს.

აქ მათ რამდენიმე ოთახი დაუთმეს. შვედის საწოლი დოუნის საწოლის გვერდით იდგა და ოპერაციის მომდევნო ღამეს, როდესაც ქალს განუწყვეტლივ ერეოდა გული, შვედი მას უვლიდა და ამშვიდებდა. რამდენიმე დღის განმავლობაში ტკივილებისგან დატანჯული ქალი ტიროდა, შვედი კი მის საწოლთან იჯდა და, ისევე, როგორც ოდესღაც ფსიქიატრიულ კლინიკაში, ახლაც ყოველ საღამოს ცოლის ხელი ეჭირა. თითქოს იცოდა, რომ ეს აბსურდული ოპერაცია, ეს უაზრო, ამაო განსაცდელი ქალის, როგორც პიროვნების, განადგურების ბოლო სტადიას მოასწავებდა. ფიქრობდა, რომ ცოლის გამოჯანმრთელებას კი არ უწყობდა ხელს, არამედ იმათი უნებური მოკავშირე იყო, ვინც ქალს ასახიჩრებდა. მისი დოლბანდიანი თავის შემხედვარე, თითქოს ცოლის დაკრძალვისთვის ემზადებოდა.

შვედი ცდებოდა. ერთხელ, რიტა კოენის წერილის მიღებამდე რამდენიმე დღით ადრე, დოუნის საწერ მაგიდაზე დაინახა ცოლის მიერ დაწერილი ბარათი, რომელიც ჟენევაში, ექიმ ლა პლანტთან გასაგზავნად მომზადებული კონვერტის გვერდით იდო: „ძვირფასო ექიმო! ოპერაციის შემდეგ ერთი წელი გავიდა. ვშიშობ, რომ თქვენთან დამშვიდობებისას სათანადოდ ვერ ვაფასებდი, რა ამაგი დამდეთ. ჩემს გასა-

ლამაზებლად ხუთი საათი დახარჯეთ. რომ იცოდეთ, როგორ მოწიწებ-
ბას ვგრძნობ თქვენ მიმართ! როგორ უნდა გადავიხადოთ მადლობა?
ოპერაციის შემდეგ თორმეტი თვე დამჭირდა გამოსაკეთებლად. არ
ცდებოდით, როდესაც მითხარით, რომ ჩემი ორგანიზმი უფრო ძლიერ
იყო გამოფიტული, ვიდრე მეგონა. ახლა ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს
ახალი სიცოცხლე მაჩუქეთ. შინაგანადაც და გარეგნულადაც. დიდი
ხნის უნახავ ძველ მეგობრებს ჩემი გარდასახვა აოცებთ. არაფერს ვე-
უბნები. სასწაული მოახდინეთ, ძვირფასო ექიმო, თქვენ გარეშე ეს შე-
უძლებელი იქნებოდა. უდიდესი სიყვარულითა და მადლიერებით, დო-
უნ ლევოვი“.

როგორც კი დოუნის სახეს ახალგაზრდული იერი და უწინდელი
ფორმა (რაც აფეთქებამ გაანადგურა) დაუბრუნდა, ქალმა გადაწყვიტა,
რიმროკის ქედის გადაღმა ათი აკრი მიწა ეყიდა და იქ პატარა თანა-
მედროვე სახლი აეგო, ხოლო ძველი დიდი სახლი, სამეურნეო ნაგებო-
ბებთან ერთად, ასი აკრი მიწითურთ, გაეყიდა (მსხვილფეხა რქოსანი
საქონელი და ფერმის მოწყობილობა მათ 1969 წელს გაყიდეს, ერთი
წლის თავზე მას შემდეგ, რაც მერი ძებნილად გამოაცხადეს; იმხანად
ამკარა გახდა, რომ დოუნი ველარ გაუძღვებოდა საკუთარ ბიზნესს,
ამიტომ შვედმა მესაქონლეების ყოველთვიურ ჟურნალში განცხადება
გამოაქვეყნა და რამდენიმე კვირაში გაყიდა თივის დამწყობი მექანიზ-
მი, თივის გადამბრუნებელი მანქანა, ელექტროფოცხი და მთელი საქო-
ნელი - ერთი სიტყვით, ყველაფერი). როდესაც გაიგო, როგორ ეუბნე-
ბოდა დოუნი არქიტექტორს - მათ მეზობლად მცხოვრებ ბილ ორკატს
- რომ ყოველთვის სძულდა ძველი სახლი, შვედი გაოგნდა; ასევე გაოგ-
ნდებოდა, დოუნს რომ ეთქვა, ქმარი ყოველთვის მძულდაო. სახლიდან
გავიდა, სოფლისკენ გასწია, თითქმის ხუთი მილი გაიარა და განუწყ-
ვეტლივ უმეორებდა საკუთარ თავს, რომ დოუნი მხოლოდ სახლს გუ-
ლისხმობდა, მაგრამ მაინც გაუძნელდა შინ მიბრუნება სასაუზმოდ,
როდესაც დოუნი და ორკატი აპირებდნენ, მისთვის სახლის პირველი
ესკიზები ეჩვენებინათ.

დოუნს მათი საყვარელი, ძველი, პირველი და ერთადერთი ქვის სახ-
ლი სძულს? რატომ? შვედი ამ სახლზე თექვსმეტი წლიდან ოცნებობ-
და. ერთხელ ბეისბოლის გუნდი უიპანის გუნდთან სათამაშოდ გაემ-
გზავრა. ავტობუსში მჯდარი შვედი მექანიკურად ატყაპუნებდა თი-
ვებს ფორმის ქურთუკის ღრმა ჯიბეზე. სოფლის ვიწრო გზა ჯერსის

ბორცვებს შორის მიიკლაკნებოდა და მოულოდნელად მკვეთრად გაუხვია დასავლეთისკენ. ხეების მიღმა გამოჩნდა გორაკზე მდგარი შავდარაბებიანი დიდი ქვის სახლი. ტოტებგაფარჩხული ბებერი ხის ქვედა ტოტებზე დაკიდებულ საქანელაზე პატარა გოგონა იჯდა, უშიშრად ქანაობდა ჰაერში და - ასე მოეჩვენა შვედს - ისეთი ბედნიერი იყო, როგორც მხოლოდ ბავშვი შეიძლება იყოს. ეს გახლდათ მის მიერ ნანახი პირველი ქვის სახლი, ანუ, ქალაქელი მოზარდის თვალსაზრისით, არქიტექტურული სასწაული. ქვების უსწორმასწორო გროვა შვედს „სახლად“ წარმოუდგა. კერ-ავენიუზე მდგარ აგურის შენობას ამგვარად არ აღიქვამდა, კეთილმოწყობილი სარდაფის მიუხედავად, სადაც ჯერის პინგ-პონგისა და შაშის თამაშს ასწავლიდა; შემინული უკანა ვერანდის მიუხედავად, სადაც ზაფხულის ღამეებში დივანზე იწვა და „გიგანტთა“ მატჩების ტრანსლაციას უსმენდა; გარაჟის მიუხედავად, სადაც შავი მწებავი ლენტით კიდებდა ბურთს ჭერქვეშ, კოჭების ურთიერთგადაკვეთის ადგილას და მთელი ზამთარი, ბეისბოლში ვარჯიშის შემდეგ, ყოველდღე ნახევარი საათის განმავლობაში უდრტვინველად ურტყამდა ხელებს, მოძრაობათა სიზუსტის შესანარჩუნებლად; საწოლი ოთახის მიუხედავად (დამრეცი ჭერის ქვეშ, ორი სამერცხულით), სადაც უფროს კლასებში გადასვლამდე, ძილის წინ, კვლავ და კვლავ კითხულობდა „ტომკინსვილელ ბიჭს“, რომელშიც „ჭალარა ბერიკაცმა, გახუნებული პერანგი რომ ეცვა და ბეისბოლის ლურჯი კეპი თვალებზე ჰქონდა ჩამოფხატული, ბიჭს ფორმის ტანსაცმელი ჩასჩარა ხელში და მისი კარადა აჩვენა: „ორმოცდამეთექვსმეტე. აი, იქ, უკანა რიგში“. კარადები იყო ექვსი ფუტის სიმაღლის ხის უბრალო კაბინები, რომელთა ზემო ნაწილშიც თარო ეკიდა. ღია კარზე მიწებებული იყო ბარათი წარწერით: „ტაკერი, # 56“. მისი ფორმის ტანსაცმელზე, წინა მხარეს ლურჯად ეწერა „დოჯერსი“, ზურგზე კი გამოყვანილი იყო ნომერი 56...”

ქვის სახლი არა მარტო გარეგნულად იყო მიმზიდველი - დეტალების რთული ნაყში ამთლიანებდა ამ თვალწარმტაც ნავსაყუდელს - არამედ შეუვალ, მიუდგომელ ციხესიმაგრესაც წააგავდა, რომელსაც თითქოს ვერავითარი ხანძარი ვერ მოერეოდა. ის, ალბათ, ქვეყნის დაარსების შემდეგ აქ იდგა. ჩვეულებრივი ქვები, ტლანქი ლოდები, რომლებიც უიკვეიკის პარკის ბილიკების გასწვრივ, ხეებს შორის აქა-იქ

მოჩანდა, აქ იქცა მასალად, რომლისგანაც სახლი ააგეს. ეს დაუვიწყარი შთაბეჭდილება იყო.

სკოლაში ის ქვეშეცნეულად აკვირდებოდა თანაკლასელ გოგონებს და ირჩევდა, იმ სახლში რომელ მათგანთან შეეძლო ეცხოვრა. გუნდთან ერთად უიპანიში მგზავრობის შემდეგ საკმარისი იყო გაეგონა „ქვა“ ან „დასავლეთი“, მყისვე წარმოუდგებოდა, როგორ ბრუნდებოდა სამსახურის შემდეგ ამ ხეებით დაჩრდილულ სახლში და ხედავდა თავის ქალიშვილს - პატარა გოგონას, რომელიც მისთვის ჩამობმულ საქანელას ძალუმად აქანავებდა და ჰაერში ნავარდობდა. ჯერ მხოლოდ მეორე წელი იყო, რაც შვედი უფროს კლასებში სწავლობდა, მაგრამ უკვე მკაფიოდ წარმოედგინა ეს გოგონა, რომელიც მამის შესახვედრად და საკოცნელად გამორბოდა, ხედავდა, როგორ ისვამდა მხრებზე და სახლში შეჰყავდა. შემდეგ შედიოდა სამზარეულოში, სადაც ქურასთან იდგა მისი წინსაფრიანი მოყვარული ცოლი, რომელიც ვახშამს ამზადებდა, ესე იგი, ის უიკვეიკელი გოგონა, რომელიც გასულ პარასკევს მის წინ იჯდა რუზველტის სახელობის კინოთეატრში და მისი თმა ისე ეფინებოდა სკამის საზურგეს, რომ შვედს შეეძლო - თუკი გაბედავდა - ამ თმას მოფერებოდა. ყოველთვის შეეძლო მოვლენის ერთიანი სურათი წარმოედგინა. ნებისმიერი დეტალი ორგანულად უერთდებოდა ამ სურათს. ან კი როგორ არ უნდა შეძლებოდა, როდესაც თავის თავსაც წარმოიდგენდა ხოლმე ამ მთლიანობაში. შემდეგ უბსალაში დოუნი იხილა. ქალიშვილი მიდიოდა ეზოში, სადაც, ჩვეულებრივ, სტუდენტები ლექციებს შორის იკრიბებოდნენ. აქ, ევკალიპტების ჩრდილში, დოუნი კენბრუკ-ჰოლში მცხოვრებ ორ გოგონას ესაუბრებოდა ხოლმე. ერთხელ შვედი მას ძალუმად აედევნა მთავარ ქუჩაზე, აგურის ეკლესიის ახლოს, ავტობუსის გაჩერების მიმართულებით. ქალიშვილი უეცრად „ბესტისა და კომპანიის“ ვიტრინის წინ შეჩერდა, შემდეგ კი მალაზიაში შევიდა. შვედმა ვიტრინაში შეათვალიერა მანეკენი, რომელსაც „ნიუ ლუქის“ გრძელი ქვედატანი ეცვა და წარმოიდგინა, როგორ იზომებდა დოუნ დუაირი ამ ქვედატანს. ქალიშვილი იმდენად მიმზიდველი იყო, რომ შვედმა კადნიერებად მიიჩნია მისი ყურება, რაც თითქოს შეხებას ან მოხვევას ნიშნავდა. თითქოს ქალიშვილს რომ შეემჩნია შვედის დაჟინებული მზერა (ან კი როგორ არ უნდა შეემჩნია?!), ისე მოიქცეოდა, როგორც უნდა მოქცეულიყო ნებისმიერი კეთილგონიერი, თავშეკავებული ქალიშვილი, ანუ ჩათვლიდა, რომ ეს ვაჟი მასზე „ნადი-

რობდა“. საზღვაო ქვეით ჯარში სამსახურის დროს შვედმა ერთი სამხრეთკაროლინელი ქალიშვილი დანიშნა, მაგრამ ოჯახის მოთხოვნით ჩაშალა ეს ნიშნობა და შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში აღარ გახსენებია შავდარაბებიანი ქვის სახლი, რომლის წინაც საქანელა იყო ჩამობმული. ეს მიმზიდველი გარეგნობის მქონე, ახლად დემობილიზებული, უნივერსიტეტში სახელგანთქმული სპორტის ვარსკვლავი ცდილობდა, სახელი და დიდება თავში არ ავარდნოდა. მთელი სემესტრის განმავლობაში ვერ ბედავდა, დოუნისთვის პაემანი დაენიშნა, არა მარტო იმის გამო, რომ ქალიშვილის სილამაზით ახლოდან ტკბობა, მისი აზრით, ჭუჭრუტანაში თვალთვალს წააგავდა, არამედ იმიტომაც, რომ მათი დაახლოების შემთხვევაში დოუნი აუცილებლად მიხვდებოდა, რა როლი ჰქონდა მისთვის განკუთვნილი შვედს: ის ქვის სახლის სამზარეულოში უნდა ყოფილიყო და მიგებებოდა ქმარს, რომელსაც შინ შემოჰყავდა მხრებზე შემოსმული მერი, მხიარული მერი - გოგონა, რომელიც სიხარულით ქანაობდა მამის მიერ დაკიდებულ საქანელაზე. სალამობით შვედი განუწყვეტლივ უსმენდა პატეფონზე მოდურ სიმღერას „პეგ, ჩემო საყვარელო“: „მსურს დავიმორჩილო შენი ირლანდიური გული“. ყოველთვის, როდესაც ტანწერწეტა, მოხდენილ დოუნ ღუაირს უპსალის ბილიკებზე ხვდებოდა, მთელი დღის განმავლობაში ქვეშეცნეულად უსტვენდა ამ წყეულ მელოდიას. ზოგჯერ ამჩნევდა, რომ თამაშის დროსაც უსტვენდა - როდესაც გარე წრეზე იდგა, კეტს იქნევდა და იცდიდა, როდის დადგებოდა მისი დარტყმის ჯერი. იმხანად შვედი თითქოს ორი ცის ქვეშ ცხოვრობდა: ერთი ბუნებრივი ტატნობი იყო, მეორე კი - დოუნ ღუაირი.

მაგრამ ის მაინც ვერ დაუახლოვდა დოუნს - შიშობდა, რომ ქალიშვილი მაშინვე მიუხვდებოდა ფარულ აზრებს და სასაცილოდ აიგდებდა ყოფილი მეზღვაურის ბრიყვულ და კადნიერ გატაცებას უპსალის გაზაფხულის დედოფლით. დოუნი გადაწყვეტდა, რომ სეიმურ ლევოვი, რომელიც გაცნობისთანავე ცდილობდა დაენახა მასში თავისი ბავშვური ოცნებების ხორცმესხმა, უბრალოდ, თავდაჯერებული და ნებიერა ბიჭი იყო. სინამდვილეში კი ეს ზრდასრული მამაკაცისთვის ჩვეული სურვილებისა და პატივმოყვარეობის ნაადრევი, ძალზე ნაადრევი (სხვებთან შედარებით) მომწიფება და საკუთარი ცხოვრების დეტალურად გააზრებული წინასწარჭვრეტა გახლდათ. შვედი ოცი წლისა იყო, როდესაც დემობილიზების შემდეგ შინ დაბრუნდა და მთელი ძალ--

ღონით ცდილობდა, სულიერად მომწიფებულიყო. მასში ბავშვური იყო მხოლოდ მგზნებარე მისწრაფება მოწიფულობისადმი და პასუხისმგებლობისადმი, საკონდიტროს ვიტრინაზე მიჩერებული ბავშვის სიხარბეს რომ წააგავდა.

შვედს კარგად ესმოდა, რატომ სურდა ცოლს ძველი სახლის გაყიდვა. ის დაეთანხმა დოუნს და არც კი უცდია აეხსნა, რომ იმავე მიზეზით, რომლის გამოც ქალს აქ ცხოვრება აღარ სურდა (რადგან ყოველ ოთახში ჩარჩენილიყო ერთი წლის, ხუთი წლის, ათი წლის მერის ხატება), მას აქედან წასვლა არ უნდოდა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი გახლდათ. თუმცა, ალბათ, დოუნი ამ სახლში ცხოვრებას ველარ შეძლებდა, შვედს კი ჯერ კიდევ შეეძლო აეტანა ყველაფერი, როგორ უღმობლადაც უნდა გადაეთელა ცხოვრებას. ბოლოს დათანხმდა დაეტოვებინა სახლი, რომელიც უყვარდა, უყვარდა თუნდაც იმ მოგონებების გამო, რომლებიც მის გაუჩინარებულ შვილს უკავშირდებოდა. დათანხმდა გადასულიყო სრულიად ახალ, ნათელ, მზიან, ორი ადამიანისთვის საკმარისად ხალვათ სახლში (სტუმრების მისაღებად ერთი ოთახი მოშორებით, გარაჟის თავზე დაამენეს). ეს თანამედროვე საოცნებო სახლი „მდიდრულ-ასკეტური“ გახლდათ - ასე თქვა ორკატმა მას შემდეგ, რაც დოუნის ჩანაფიქრს გაეცნო. სახლი თბილი იატაკით (და არა ცხელი ჰაერის აუტანელი ნაკადით, რომლის გამოც დოუნი სინუსიტით დაავადდა); შეიკერის სტილის ჩაშენებული ავეჯით (ძველებური მობეზრებული ავეჯის ნაცვლად); ჭერში ჩამონტაჟებული განათებით (მუხის პირქუში კოჭების ქვეშ მდგარი უამრავი ტორშერის ნაცვლად); ფართო, ნათელი, საგდულიანი ფანჯრებით (ცხაურებით დასერილი ასაწევი ფანჯრების ნაცვლად, რომლებიც გამუდმებით იჭედებოდა); უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ღვინის სარდაფით, რომელიც ამ მხრივ ატომურ სუბმარინს არ ჩამორჩებოდა (გამოქვაბულის მსგავსი ნოტიო სარდაფის ნაცვლად, სადაც მის ქმარს სტუმრები სიბერისთვის „გადანახული“ ღვინის სანახავად ჩაჰყავდა ხოლმე და გამუდმებით ახსენებდა (როდესაც დაობებულ კედლებს შორის დადიოდნენ), რომ დაბლა გაყვანილ სადრენაჟო მილებს მორიდებოდნენ: „თავი არ აარტყათ, ფრთხილად იყავით, უყურეთ...“). შვედს ყველაფერი ესმოდა; რა თქმა უნდა, ესმოდა, როგორ თრგუნავდა დოუნს ამ სახლში ცხოვრება. როგორ არ უნდა დასთანხმებოდა? „საკუთრება პასუხისმგებლობაა, - განაცხადა ქალმა. - სასოფლო-სამეურნეო მანქანები აღარ გვაქვს, სა-

ქონელი აღარ გვყავს. წარმოიდგინე, როგორ მოედება იქაურობას ბალახი. წელიწადში ორ-სამჯერ თივის ძნებად შეკვრა იქნება საჭირო. და გათიბვაც - თორემ იქაურობას შამბნარი მოედება. მთიბველების დაქირავება მოგიხდება და ეს ძალიან ძვირი დაჯდება. სისულელეა ყოველწლიურად ამდენი ფულის ფლანგვა. ბელლებიც უნდა შეაკეთო ხოლმე, რომ არ დაინგრეს. ერთი სიტყვით, მიწის ფლობა ისეთ პასუხისმგებლობას გულისხმობს, რომელსაც ვერ გაექცევი. საუკეთესო გამოსავალი აქედან წასვლაა“. „კარგი, სხვაგან გადავიდეთ“. მაგრამ რატომ უთხრა ორკატს, რომ ეს სახლი იმთავითვე სძულდა? თურმე აქ იმიტომ ცხოვრობდა, რომ ქმარმა „მოათრია“, როდესაც დოუნი ძალზე ახალგაზრდა იყო და ვერ წარმოედგინა, რას ნიშნავდა ამგვარი უზარმაზარი, ძველებური, პირქუში სახლის მოვლა, სადაც ყოველთვის საიდანღაც წყალი ჟონავდა ან რაღაც ლპებოდა, ან კიდევ შეკეთებას საჭიროებდა. საქონლის მოშენება იმიტომ დავიწყე, - უხსნიდა ქალი ორკატს, - რომ ამ საშინელი სახლიდან თავი დამეღწიაო.

იქნებ ეს სიმართლეა? და შვედმა მხოლოდ ახლა შეიტყო ყველაფერი! ეს იგივეა, რაც ღალატი - წლების განმავლობაში დოუნი ღალატობდა ამ სახლს. რა სისულელეა - შვედი არც ერთხელ არ დაეჭვებულა იმაში, რომ, მისი მზრუნველობის წყალობით, დოუნი ყველაფრით კმაყოფილი იყო, თუმცა ამგვარ თავდაჯერებას საფუძველი არ ჰქონდა, პირიქით, აბსურდულიც იყო, რადგან წლების განმავლობაში მალავდა ქალი ზიზღს ამ სახლის მიმართ. როგორ სიამოვნებდა შვედს ოჯახზე ზრუნვა! ნეტავ შეძლებოდა, სამზე მეტ ადამიანზე ეზრუნა. მეტი ბავშვი რომ ყოფილიყო ამ ვეება სახლში, მერი მოყვარული ძმებითა და დებით გარშემორტყმული რომ გაზრდილიყო, ეს საშინელება, ალბათ, არასოდეს მოხდებოდა. მაგრამ დოუნი ცხოვრებისგან რაღაც სხვას მოელოდა. სულაც არ ეპიტნავებოდა, ნახევარი დუჟინი ბავშვების მონა გამხდარიყო და ორასი წლის სახლისთვის მოეგლო - საქონლის მოშენებაზე ოცნებობდა. მას ყველგან წარადგენდნენ, როგორც „ყოფილ მის ნიუ-ჯერსის“. ამიტომ დარწმუნებული იყო, რომ, ბაკალავრის დიპლომის მიუხედავად, ყველა ფუქსავატ ლამაზმანად, ფაიფურის უტვინო თოჯინად მიიჩნევდა, რომელსაც საზოგადოებისთვის არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეეძლო. დოუნი მოთმინებით (და ამოდ) უხსნიდა ხოლმე ყველას - როდესაც ლაპარაკი მის ტიტულზე ჩამოვარდებოდა - რომ კონკურსზე გასვლა მამამისის ავად-

მყოფობამ (ინფარქტმა) გადააწყვეტინა; რომ ოჯახს მკურნალობის-თვის საჭირო ფული არ ჰქონდა; დოუნის ძმა, დენი, სკოლას ამთავრებდა და გოგონამ იფიქრა, რომ თუკი გაიმარჯვებდა - მისი აზრით კი, გამარჯვების პერსპექტივა ჰქონდა, და არა იმიტომ, რომ უპსალაში გაზაფხულის დედოფალი გახდა, არამედ იმიტომ, რომ მუსიკის დიპლომირებული პედაგოგი იყო და ფორტეპიანოზე კლასიკურ ნაწარმოებებს ასრულებდა - მაშინ გამარჯვებულისთვის განკუთვნილი ფულადი ჯილდოთი დენის კოლეჯში სწავლის საფასურს გადაიხდიდა და ოჯახს ცხოვრებას შეუმსუბუქებდა...

მაგრამ რაც უნდა ეამბა, როგორ დეტალურადაც უნდა აეხსნა ან რაოდენ ხშირადაც უნდა ეხსენიებინა ფორტეპიანო, მისი არავის სჯეროდა. არავის სჯეროდა, რომ დოუნს არასოდეს უნატრია, ყველაზე ლამაზი ყოფილიყო. ატლანტიკ-სიტიში მაღალქუსლიანი ფეხსაცმლითა და საცურაო კოსტიუმით გავლა-გამოვლის გარდა, ხომ არსებობდა განათლების საფასურის გადახდის უამრავი ხერხი. დოუნს ყოველთვის მოჰყავდა სერიოზული მიზეზები იმისა, რატომ გახდა „მის ნიუ-ჯერსი“, მაგრამ არ სჯეროდათ. ილიმებოდნენ. სერიოზული მიზეზები ვერ ექნებოდა. მხოლოდ ლამაზი სახე ჰქონდა. ამიტომ ზურგს აქცევდნენ და ამბობდნენ, მას მხოლოდ ლამაზი სახე აქვსო, და თავს იკატუნებდნენ, თითქოს არ შურდათ ან არ ეშინოდათ მისი სილამაზისა. „მადლობა ღმერთს, - ეჩურჩულებოდა დოუნი ქმარს, - რომ მაყურებელთა სიმპათიის პრიზი ვერ მოვიპოვე. თუკი ფიქრობენ, რომ „მის ნიუ-ჯერსი“ გონებაჩლუნგი უნდა იყოს, წარმოგიდგენია, რას იფიქრებდნენ ჩემზე, ეს მანუგემებელი პრიზი რომ მომეპოვებინა? თუმცა, - ამატებდა ის სევდიანად, - კარგი იქნებოდა, შინ ათასი დოლარი მომეტანა“.

მერის დაბადების შემდეგ, როდესაც ზაფხულობით დილში ისვენებდნენ ხოლმე, ხალხი თვალს ვერ აცილებდა საცურაო კოსტიუმში გამოწყობილ დოუნს. რა თქმა უნდა, ის არასოდეს იცვამდა თეთრ მთლიან საცურაო კოსტიუმს, რომლითაც ატლანტიკ-სიტიში დადიოდა და რომელსაც თედოს თავზე ეხატა ლოგო - ქუდიანი მოცურავე გოგონა. შვედს ძალზე მოსწონდა ეს საცურაო კოსტიუმი, რომელიც ქალს მოხდენილად ეკვროდა ტანზე, მაგრამ ატლანტიკ-სიტის შემდეგ დოუნს ის არასოდეს ჩაუცვამს. დამსვენებლებს თვალი იმისდა მიუხედავად უშტერდებოდათ, თუ როგორი სტილის და ფერის იყო მისი საცურაო კოსტიუმი, ზოგჯერ კი ფოტოსურათს უღებდნენ დოუნს და ავტოგრაფს

სთხოვდნენ. უფრო შემაწუხებელი იყო ის, რომ ხშირად მას ეჭვით უცქერდნენ. „უცნაურია, მაგრამ ქალები ყოველთვის ფიქრობენ, რომ თუკი მე ყოფილი „მის ნიუ-ჯერსი“ ვარ, მათ ქმრებს წავართმევ“. შვედი ფიქრობდა, შესაძლოა მართლაც შიშობენ - ხომ ხედავენ, როგორ უყურებენ მამაკაცები დოუნს და როგორ ენთებიან მისი გამოჩენისასო. თვითონაც ამჩნევდა ამას, მაგრამ არ ღელავდა: მკაცრად აღზრდილი დოუნი ერთგული ცოლი იყო. მაგრამ ეს ყველაფერი იმდენად აღიზიანებდა თვით დოუნს, რომ ჯერ საცურაო კოსტიუმს აღარ იცვამდა კლუბის პლაჟზე, შემდეგ საერთოდ აღარ მოინდომა ამ პლაჟზე სიარული. თუ ბანაობა სურდა, ავტომანქანაში ჯდებოდა და მიდიოდა ოთხი მილის მოშორებით, ეივონში, სადაც ბავშვობისას, ზაფხულობით, არაერთხელ გაუტარებია მთელი კვირა მშობლებთან ერთად. ეივონის პლაჟზე ის გახლდათ, უბრალოდ, ირლანდიელი გოგონა კეფაზე შეკრული თმით. აქ ყურადღებას არავინ აქცევდა. ეივონში საკუთარ სილამაზეს გაურბოდა, მაგრამ მისგან გაქცევა უფრო მეტად როდი ეხერხებოდა, ვიდრე აშკარად თავის მოწონება. იმისთვის, რათა შეეგუო საკუთარ სილამაზეს და არ შეგაწუხოს იმან, რომ სილამაზე ჩრდილავს შენს სხვა ღირსებებს, ძალაუფლებით ტკბობა უნდა შეგეძლოს და ულმობელი უნდა იყო ადამიანების მიმართ. სილამაზე, ისევე, როგორც ყოველგვარი განსაკუთრებული თვისება, სხვათაგან გამოგარჩევს, განუმეორებლობას განიჭებს და შურისა და მტრობის ობიექტად გაქცევს. იმისთვის, რომ უშფოთველად აღიქვა საკუთარი სილამაზე და შეეგუო მის ზემოქმედებას ადამიანებზე, თავი შეიქციო ამ სილამაზით და, საერთოდ, სათანადოდ გამოიყენო, იუმორის გრძნობის გამომუშავება საჭირო. დოუნი ხისტი ქალი არ იყო, ძლიერი ნებისყოფა და გაბედულება ჰქონდა, ენამახვილიც გახლდათ, მაგრამ აკლდა იუმორი, რომლის მეშვეობითაც საკუთარი სილამაზის ტვირთს იოლად აიტანდა და შებოჭილობას არ იგრძნობდა. მხოლოდ გათხოვებისა და ქალწულობის დაკარგვის შემდეგ აღმოაჩინა ადგილი, სადაც შეეძლო მზეთუნახავი ყოფილიყო. ცოლ-ქმრის საბედნიეროდ, ეს ადგილი შვედის საწოლი იყო.

ეივონს ირლანდიურ რივიერას უწოდებდნენ. ღარიბი ებრაელები ბრედლი-ბიჩში ისვენებდნენ, ღარიბი ირლანდიელები კი - მეზობელ ეივონში (სანაპირო დასახლებაში, სადაც ათიოდე სახლი იდგა). მდიდარი ირლანდიელები - მოსამართლეები, მშენებლები, პლასტიკური

ქირურგები - ისვენებდნენ სპრინგ-ლეიკში, ბელმარის (კიდევ ერთი მრავალეროვნული საკურორტო ქალაქის) სამხრეთით მდებარე მამულის ვეება ჭიშკრის მიღმა. ოდესღაც დოუნი სპრინგ-ლეიკში ისვენებდა ხოლმე. აქ ცხოვრობდა დეიდამისი, პეგი, რომელიც ცოლად გაჰყვა ნედ მაჰონის, ადვოკატს ჯერსი-სიტიდან. „თუ ამ ქალაქში ირლანდიელი ადვოკატი ხარ, - ეუბნებოდა დოუნს მამამისი, - და კარგი დამოკიდებულება გაქვს მუნიციპალიტეტთან, დაგიცავს ქალაქის მერი - ჰეიგი, მეტსახელად „კანონი მე ვარ“. ძია ნედმა, მჭევრმეტყველმა, გოლფის მოყვარულმა და სანდომიანი გარეგნობის კაცმა, ჯონ მარშალის სახელობის იურიდიული სასწავლებლის დამთავრებისთანავე დაიწყო მუშაობა ქუჩის გადაღმა, სოლიდურ ფირმაში ჯერნელ-სკვერზე, შემდეგ კი - ჰუდზონის ოლქის „თბილ ადგილებზე“. მას მშვენიერი მერი დოუნი ყველა ახალგაზრდა ნათესავზე მეტად უყვარდა, ამიტომ ყოველ ზაფხულს დედასთან, მამასთან და დენისთან ერთად ეივონში, ნაქირავებ ბინაში ერთგვირიანი დასვენების შემდეგ დოუნი მარტო მიემგზავრებოდა ნედთან და პეგთან და მომდევნო კვირას მათთან და მათ შვილებთან ერთად სპრინგ-ლეიკში, ოკეანის ნაპირას მდგარ უზარმაზარ ძველ სასტუმროში (სახელწოდებით „ესექსი და სასექსი“) ატარებდა. აქ ზღვაზე გამავალ ფართო სასადილოში ყოველ დღეს დოუნი ფრანგული ტოსტითა და ნეკერჩხლის ვერმონტული სიროფით საუზმობდა. გახამებული თეთრი ხელსაწმენდი, რომელსაც მუხლებზე იფენდა, შეიძლებოდა, სარონგივით შემოეხვია ტანზე, ხოლო ვერცხლის კრიალა დანა-ჩანგალი ტონას იწონიდა. კვირაობით ისინი დადიოდნენ სენტ-კეტრინის ტაძარში - ყველაზე მდიდრულ ტაძარში, რომელიც კი პატარა გოგონას ენახა. ტაძარში მისასვლელად გადადიოდნენ ხის ულამაზეს, ვიწრო, ამოზნექილ ხიდზე, უკანა მხრიდან სასტუმროს ტბასთან რომ აკავშირებდა. ახლა დოუნი - თუ კლუბის პლაჟზე განსაკუთრებით მოაბეზრებდნენ თავს - ეივონის გავლით სპრინგ-ლეიკში მიემგზავრებოდა და იხსენებდა, როგორ ჩნდებოდა არაფრიდან ყოველ ზაფხულს ეს ჯადოსნურად მშვენიერი ქალაქი, მერი დოუნის თითქმის პირადი საკუთრება; როგორ ოცნებობდა იმაზე, რომ, თეთრ კაბაში გამოწყობილი, სენტ-კეტრინის ტაძარში ჯვარს დაიწერდა ძია ნედის მსგავს მდიდარ ადვოკატზე და იცხოვრებდა ერთ-ერთ აქაურ მდიდრულ აგარაკზე, რომლის ფართო ვერანდიდანაც მოჩანდა ტბა, ხიდები და ეკლესიის გუმბათი, ხოლო იქვე ოკეანე ხმაურობდა. ეს ყვე-

ლაფერი შეიძლებოდა თვალის ერთ დახამხამებაში განხორციელებულიყო. მაგრამ დოუნმა, იმის ნაცვლად, რომ აერჩია მაჰონის ვაჟიშვილთა რომელიმე მეგობარი - კათოლიკური კოლეჯის მოხდენილი, ხალისიანი სტუდენტი, სეიმურ ლევოვი შეიყვარა და მასზე გათხოვდა. ამიტომ მისი ცხოვრება მიმდინარეობდა არა სპრინგ-ლეიკში, არამედ დილსა და ოლდ-რიმროკში, მისტერ ლევოვთან ერთად. „ასე მოხდა, - ეუბნებოდა დედამისი თანამოსაუბრეებს, - დოუნს შეეძლო, ისევე მშვენივრად აეწყო თავისი ცხოვრება, როგორც - პეგს. უფრო უკეთესადაც. იქ სენტ-კეტრინისა და სენტ-მარგარეტის ტაძრებია. სენტ-კეტრინის ტაძარი პირდაპირ ტბაზეა. დიდებული ტაძრებია. მართლაც დიდებული. მაგრამ მერი დოუნი მეამბოხეა - ყოველთვის ასეთი იყო. ყოველთვის თავისი ნება-სურვილის მიხედვით იქცეოდა. სილამაზის კონკურსში მონაწილეობის შემდეგ ისე ხომ არ მოიქცეოდა, როგორც ყველა იქცევა?“

ეივონს დოუნი მხოლოდ საბანაოდ სტუმრობდა. აქამდე სძაგდა პლაჟზე მზის სხივებქვეშ წოლა, აქამდე აღაშფოთებდა მოგონება იმისა, თუ როგორ აიძულებდნენ საკონკურსო კომიტეტის წევრები - ნიუ-ჯერსის წარმომადგენლები - ყოველდღე მზეზე გაერუჯა მშვენიერი კანი: თურმე გარუჯულ სხეულზე თეთრი საბანაო კოსტიუმი არაჩვეულებრივად ლამაზად გამოიყურება. შვილის გაჩენის შემდეგ დოუნი უგულუბელყოფდა ყველაფერს, რაც ოდინდელ ტიტულს ახსენებდა. სწორედ ეს ტიტული იწვევდა სხვა ქალების დამცინავ დამოკიდებულებას, რის გამოც ის უბედურ ქალად და ურჩხულადაც კი მიიჩნეოდა თავს. დოუნმა საქველმოქმედო ორგანიზაციას გადასცა ტანსაცმელი, რომელიც კონკურსის განმკარგულებელმა (მას საკუთარი შეხედულება ჰქონდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმდგარიყო „მის ნიუ-ჯერსი“ კონკურსის ჟიურის წინაშე) შეარჩია მისთვის ნიუ-იორკში, სადაც კონკურსის დაწყებამდე მათ მთელი დღე გაატარეს. შვედი ფიქრობდა, რომ ის ამ კაბებში შესანიშნავად გამოიყურებოდა. გული დასწყდა, როცა ცოლმა ეს კაბები გააჩუქა. თუმცა დაარწმუნა ქალი, დაეტოვებინა გვირგვინი, რათა შვილიშვილებისთვის ერგენებინათ.

შემდეგ, როდესაც მერიმ საბავშვო ბაღში სიარული დაიწყო, დოუნმა გადაწყვიტა დაემტკიცებინა ქალებისთვის - არც პირველად და არც უკანასკნელად - რომ მისი ღირსება მხოლოდ გარეგნობა როდი იყო, და მოინდომა, საქონელი მოეშენებინა. ეს, ნაწილობრივ, ბავშვობისდრო-

ინდელ მოგონებებს უკავშირდებოდა. 1880-იან წლებში ბაბუამისი (დედის მხრივ) კერის ოლქიდან საპორტო ქალაქ ელიზაბეთში გადავიდა, ცოლი ითხოვა, ღვთისმშობლის ტაძრის მახლობლად დასახლდა და თერთმეტი შვილის მამა გახდა. თავდაპირველად ის დოკებში მუშაობდა, მაგრამ შემდეგ ორი ძროხა იყიდა, რათა ოჯახს რძე ჰქონოდა. ზედმეტ რძეს ყიდულობდნენ უესტ-ჯერსი-სტრიტზე მცხოვრები მდიდრები: მურისა („მურის საღებავები“) და ადმირალ ჰესლის (მეტსახელად „ხარის“) ოჯახები, აგრეთვე - ნობელის პრემიის ლაურეატი ნიკოლას მიურეი ბატლერი. დოუნის ბაბუა ერთ-ერთ პირველი იყო ელიზაბეთის მკვიდრთა შორის, ვინც რძით დამოუკიდებლად ვაჭრობდა. მიურეი-სტრიტზე ოცდაათი ძროხა ჰყავდა; მიწა ბევრი არ ჰქონდა, მაგრამ იმხანად ნებადართული იყო, ძროხებს ყველგან ეძოვათ ბალახი. მისი ვაჟებიც ჩაებნენ რძით ვაჭრობაში და ამ საქმიანობას ეწეოდნენ მანამ, სანამ ომის შემდგომ არ გაიხსნა დიდი სუპერმარკეტები, რომლებმაც წვრილი ვაჭრები ბაზრიდან გამოდევნეს. დოუნის მამა, ჯიმ დუაირი, დოუნის დედის ოჯახს ამარაგებდა - ასე გაიცნეს ერთმანეთი მისმა მშობლებმა. ბიჭობისას ჯიმ დუაირი ღამის თორმეტი საათიდან დილამდე საბარგო მანქანით დაატარებდა და ყიდდა რძეს - მაცივრები მაშინ არ არსებობდა. მაგრამ სძულდა ეს სამუშაო. ძალზე უმძიმდა ასე ცხოვრება და ღურგლობას მიჰყო ხელი. პატარა დოუნი ხალისით მიდიოდა და ათვალთვლებდა ძროხებს, ხოლო როდესაც ექვსი-შვიდი წლისა გახდა, ერთ-ერთმა ბიძაშვილმა წველა ასწავლა და ეს სიამოვნება - რძის გამოწველა, როდესაც ძროხები მშვიდად დგანან, იცოხნებიან და შეიძლება, რამდენჯერაც გინდა, იმდენჯერ მოქაჩო ჯიქნები - არასოდეს დავიწყებია.

ამასთან, მსხვილფეხა საქონლის მოსავლელად დოუნს არ სჭირდებოდა ზედმეტი მუშახელი, შეეძლო მარტო გასძლოლოდა საქმეს. სიმენტალური ჯიშის ძროხა დიდძალ რძეს იძლეოდა და თუმცა მეხორცულ საქონლად ითვლებოდა, აშშ-ში ჯერ არ იყო ოფიციალურად დარეგისტრირებული და იაფად იყიდებოდა. სელექცია, სიმენტალური ჯიშის ძროხების შეჯვარება ურქო ჰერიფორდულ ძროხებთან - აი, რა აინტერესებდა დოუნს. გენეტიკური ენერგია, ჰიბრიდების სასიცოცხლო ძალა, პროდუქციის გაზრდა ჯიშების შეჯვარების მეშვეობით. კითხულობდა წიგნებს, ყიდულობდა ჟურნალებს, იწერდა კატალოგებს. როდესაც სადამოიბით მათ ფურცლავდა, ქმარს უხმობდა და ეუბნებო-

და: „შეხე, რა ლამაზი ხბოა! უნდა წავიდე და ვნახო“. მალე ისინი უკვე ერთად დადიოდნენ გამოფენებსა და ბაზრობებზე. დოუნს სიამოვნებას ანიჭებდა აუქციონებში მონაწილეობა. „იცი, - ეჩურჩულებოდა შვედს, - ატლანტიკ-სიტი მაგონდება. ესაა „მის ამერიკის“ კონკურსი ძროხებს შორის“. დოუნის კაბაზე მიმაგრებულ ბარათზე ეწერა: „დოუნ ლევოვი, მესაქონლეობის ფერმა „არკადია“. ფირმის სახელწოდება ქალმაოლდ-რიმროკში მათი მისამართის მიხედვით შეარჩია: არკადია-ჰილ-როუდი, 62. ძალზე უჭირდა, გამკლავებოდა ლამაზი ძროხის ყიდვის ცდუნებას.

ძროხა ან ხარი მოედანზე გამოჰყავდათ და დაატარებდნენ. ორგანიზატორები აცხადებდნენ მის საგვარეულო ნუსხას, ჰყვებოდნენ ცხოველის ღირსებებისა და პოტენციალის შესახებ. შემდეგ იწყებოდა ვაჭრობა. დოუნი აუქციონებზე ფრთხილობდა, მაგრამ დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ხელის აწევა და შეთავაზებულ ფასზე მეტი თანხის დასახელება. შვედს გაცილებით მეტად სურდა ჰყოლოდა ბევრი შვილი, ვიდრე - ბევრი ძროხა, თუმცა, იძულებული იყო ეღიარებინა, რომ დოუნი არასოდეს (მაშინაც კი, როდესაც პირველად დაინახა უპსალაში) ყოფილა ისეთი მიმზიდველი, როგორც - აუქციონებზე. ქალს ემხს მატებდა აზარტი და მღელვარება, სახეზე თითქოს ვუაღივით რომ ეფინებოდა. სანამ დოუნი ახალდაბადებულ სახარე ხბოს, სახელად გრაფს - რომელიც შემდგომ ჩემპიონად იქცა - ათი ათას დოლარად (კაცის აზრით, ძალზე ძვირად) იყიდდა, ბუღალტერი ყოველი წლის ბოლოს, „არკადიის“ ხარჯების შემოწმებისას, ეუბნებოდა შვედს: „რა უაზრობაა, გაკოტრდებით“. მაგრამ გაკოტრება მათ ნამდვილად არ ემუქრებოდა, რადგან დოუნი მთელ სამუშაოს უმეტესად თვითონ ასრულებდა ფერმაში. შვედი ამშვიდებდა ბუღალტერს: „ნუ ღელავთ, შემოსავალი იქნება“. როდესაც უცქერდა დოუნს ძაღლთან და ძროხებთან, ფიქრობდა: „მეგობართა შორის იმყოფება“, და აზრადაც არ მოსვლია შეეჩერებინა ცოლი, თუნდაც მას, საბოლოოდ, ერთი ცენტრიც ვერ გამოემუშავებინა.

დოუნი ქანცის გაწყვეტამდე შრომობდა, ისე, რომ არავინ ეხმარებოდა. მარტოდმარტო ამშობიარებდა ძროხებს; თუ ხბოები ჯიქანს ვერ წოვდნენ, მათ საწოვარიანი პლასტმასის ბოთლიდან ასმევდა რძეს; თვალყურს ადევნებდა, რომ დედებს დაეპურებინათ თავიანთი ნაშიერები, სანამ ნახირში დაბრუნდებოდნენ. ღობის შესაკეთებლად მუშას ქირაობდა, მაგრამ ათას რვაასიდან ორი ათასამდე ძნას მასთან

ერთად კრავდა და ზამთრისთვის იმარაგებდა. როდესაც დაბერებული გრაფი ზამთრის ერთ ღლეს დაიკარგა, დოუნი თავგანწირვით ეძებდა მას სამი ღლის განმავლობაში, ტყე და მთელი ოლქი მოიარა, სანამ კუნძულზე, ჭაობში იპოვიდა. ხარის შინ წამოყვანა ძალიან გაუჭირდა. ხუთი ფუტისა და ორი დუიმის სიმაღლის დოუნი ას სამ ფუნტს იწონიდა, ხოლო ბულა ხარი - ეს არაჩვეულებრივად ლამაზი ცხოველი, რომელსაც თვალებთან დიდი ყავისფერი ლაქები ჰქონდა, ხბოების ყველაზე პოპულარული მწარმოებელი - ორ-ნახევარ ათას ფუნტს. დოუნი სახარე ხბოებს არ აკვლევინებდა, საქონლის მოსამენებლად ზრდიდა და ყიდდა. ზოგჯერ ყიდდა დეკეულებსაც, რომლებსაც ხალისით ყიდულობდნენ. გრაფის მთამომავლობას ეროვნულ გამოფენებზე ყოველწლიურად მედლებით აჯილდოებდნენ და დაბანდებული სახსრები დოუნს ერთი ათად უბრუნდებოდა. მაგრამ შემდეგ გრაფმა უკანა ფეხი იღრძო და ჭაობიდან ველარ გამოაღწია. ყინავდა და, როგორც ჩანს, ფეხი ფესვებში ჩაეჭედა. ხარი წვალობდა, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ ამ პატარა კუნძულიდან თავის დასაღწევად ბლანტ ტალახში უნდა გაევიღო, ბედს დამორჩილდა და ფარ-ხმალი დაყარა. დოუნმა ის მხოლოდ სამი ღლის შემდეგ იპოვა. ქალმა თოკი წაიღო და ძალღატაკი და მერისთან ერთად შეეცადა წამოეყენებინა ხარი. მაგრამ გრაფს, როგორც ჩანს, ფეხი ძალიან სტკიოდა და ადგომა არ სურდა. მაშინ მათ მოიტანეს მედიკამენტები, ხარს კორტიზონის და სხვა მედიკამენტების ინექცია გაუკეთეს, მის გვერდით რამდენიმე საათი ისხდნენ წვიმაში, შემდეგ კი კვლავ სცადეს მისი წამოყენება. გრაფს უნდა გაევიღო ღრმა ჭაობში, ქვებსა და ფესვებს შორის. რამდენიმე ნაბიჯს დგამდა და ჩერდებოდა; კიდევ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ისევ ჩერდებოდა; ძალიან ზურგიდან უვლიდა, უყეფდა - და გრაფი ტაატით მიიწევდა წინ. ასე გაგრძელდა რამდენიმე საათი. გრაფი, რომელიც თოკით მიჰყავდათ, მალლა სწევდა დიდებულ, ხუჭუჭბალნიან თავს, ლამაზ თვალებს შეავლებდა დედა-შვილს, თოკს ქაჩავდა და ორივენი - დოუნიც და მერიც - ძირს ცვიოდნენ, შემდეგ ფეხზე დგებოდნენ და ყველაფერს თავიდან იწყებდნენ. დროდადრო თან წამოღებულ ხორბალს აჭმევდნენ, რის შემდეგაც ხარი კიდევ რამდენიმე ნაბიჯს დგამდა. ოთხი საათი დასჭირდათ შინ მისასვლელად. ჩვეულებრივ, გრაფი მორჩილად მიჰყვებოდა ხოლმე, მაგრამ ამჯერად ტკივილისგან ისე იტანჯებოდა, რომ ფეხებს ძლივს ადგამდა. შვედს სამუდამოდ დაამახსოვრდა ეს სურათი: მისი

სათუთი ცოლი, რომელსაც შეეძლო, უბრალოდ, ლამაზი ქალის ცხოვრებით ეცხოვრა, და მისივე პატარა, გალუმბული და ტალახში ამოსვრილი ქალიშვილი ხართან ერთად გამოჩნდნენ სველ მინდორზე, ბოსლის უკან. „სწორია, - ფიქრობდა ის, - დოუნი ბედნიერია, მერი გვყავს, და სხვა არაფერი მჭირდება“. შვედი მორწმუნე არ გახლდათ, მაგრამ იმწუთას ისეთი მადლიერება იგრძნო ღვთის მიმართ, რომ ხმამაღლა წარმოთქვა: „უფალი მწყალობს“.

კიდევ ერთი საათის შემდეგ დოუნი და მერიმ ბოსელში შეიყვანეს ხარი, რომელიც თივაზე დაწვა და ასე იყო ოთხი დღის განმავლობაში. ვეტერინარმა დაასკვნა: „მისი განკურნება შეუძლებელია. ოდნავ შევუმსუბუქებ ტანჯვას - სხვას ვერაფერს გავაწყობ“. დოუნს ვედროებით მიჰქონდა წყალი და საჭმელი გრაფთან, რომელმაც ერთხელ (ასე უყვებოდა მერი ყველას) გაიფიქრა: „უჰ, მგონი, უკეთ ვარ“, ადგა, გარეთ გავიდა, იოლად გაიარა და მაშინვე შეუყვარდა ბებერი ფაშატი - გვერდიდან არ შორდებოდა მას. შემდეგ დადგა დრო, როდესაც გრაფი სასაკლაოზე უნდა გაეგზავნათ. დოუნი მთელი დღე ტიროდა და ამბობდა, ამას ვერ გადავიტანო, შვედი კი ეუბნებოდა, ეს გარდაუვალიაო. ხარი წაიყვანეს. სასაკლაოზე წაყვანის წინა ღამეს მან, რაღაც ჯადოსნობით (მერის თქმით), დააგრილა ძროხა, რომელმაც დაბადა ულამაზესი ხბო - გრაფის გამოსამშვიდობებელი ძღვენი. თვალეზთან ყავისფერი ლაქები ჰქონდა - „გ-გ-გრაფმა ყველას დაურიგა თავისი ყავისფერი თვალეზი“. დოუნის ყველა ხარი ჯიშის იყო, მაგრამ ვერც ერთი ვერ შეედრებოდა გრაფს.

ჰოდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ დოუნი ამბობდა, ეს სახლი მძულსო? ახლა შვედი გაცილებით ძლიერი პარტნიორი იყო, დოუნი კი - გაცილებით სუსტი. შვედი უფრო ილბლიანიც იყო, თუმცა, ღმერთმანი, არ იმსახურებდა ბედის ამდენ წყალობას. და რაც უნდა ეთხოვა ცოლს, წინააღმდეგობას არ უწევდა. თუ ის, რისი ატანაც შვედს შეეძლო, დოუნისთვის გაუსაძლისი გახლდათ, დათმობის გარდა, რა დარჩენოდა?! მისი აზრით, მამაკაცი სწორედ ამგვარად უნდა მოქცეულიყო, განსაკუთრებით - ისეთი, როგორიც თვითონ იყო: ილბლიანი. თავიდანვე უფრო დოუნის მწუხარება უმძიმებდა სულს, ვიდრე - საკუთარი მდგომარეობა; დოუნის განცდები ფეხქვეშ ნიადაგს აცლიდა. როგორც კი ხვდებოდა, რომ ცოლი დარდიანად იყო, უკვე აღარ შეეძლო გულხელდაკრეფილი ჯდომა და უმოქმედობა.

ნახევარზომები აღარ აკმაყოფილებდა. კეთილსინდისიერად ცდილობდა, ცოლის ყოველი სურვილი აესრულებინა. ყოველთვის კეთილსინდისიერი იყო: უამრავ სიძნელეს ართმევდა თავს, უძღვებოდა ფაბრიკას, ასრულებდა ოჯახის წევრთა მოთხოვნებს, სწრაფად აგვარებდა კონფლიქტებს მომწოდებლებთან, იგერიებდა პროფკავშირებს, აშოშმინებდა მომჩივან კლიენტებს, უმკლავდებოდა ბაზრის ცვალებადობასა და საზღვარგარეთთან დაკავშირებულ უსიამოვნებებს, სათანადო ყურადღებას უთმობდა ენაბრგვნილ შვილს, დამოუკიდებლობის მოსურნე ცოლს და ფიცხ მამას, რომელიც მხოლოდ ფორმალურად აღარ მუშაობდა. შვედს აზრადაც არ მოსვლია, რომ ასეთი უწყვეტი თავდადებული გარჯა ერთ მშვენიერ დღეს იმსხვერპლებდა. ეს იმაზე მეტად როდი აწუხებდა, ვიდრე მიწას - თვით შვედის ტარება. როგორც ჩანს, არ ესმოდა და არც სურდა, დაღლილობის წუთებში ელიარებინა, რომ მისი ძალების ბუნებრივი შეზღუდულობა არც საძრახისი იყო და არც - საშიში: ის ხომ მუხის მორებზე აღმართული ას სამოცდაათი წლის ქვის სახლი არ იყო - მოკლექამიერი და იდუმალი არსება გახლდათ. ყოველ შემთხვევაში, დოუნს სახლი კი არ სძულდა, არამედ სახლთან დაკავშირებული მოგონებები, რომელთაგან გათავისუფლება საძნელო იყო და რომლებიც შვედსაც თრგუნავდა.

პირველკლასელი მერი დოუნის მაგიდასთან, იატაკზე გაწოლილა და გრავს ხატავს. დოუნი ფერმის ბიუჯეტს ამოწმებს. გოგონა დედამისის გულმოდგინებას ბაძავს და საკუთარი სიბეჯითით ტკბება. ის და დედამისი საერთო საქმით არიან გართულნი. მერი მდუმარედ ხარობს იმით, რომ ამ საქმის თანაბარუფლებიანი მონაწილეა. გოგონაში მშობლები განჭვრეტენ მოწიფულ მერის - დიახ, ასეთი იქნება, როდესაც გაიზრდება და მათ მეგობრად და თანაშემწედ იქცევა. განსაკუთრებით მტანჯველი იყო მოგონებები იმ დროისა, როდესაც ისინი სხვა მშობლებივით არ იქცეოდნენ: არ ზედამხედველობდნენ, მისაბაძ მაგალითად შვილს საკუთარ თავს არ უსახავდნენ, ზნეობრივ ქცევას არ ასწავლიდნენ, უსასრულოდ არ მოძღვრავდნენ, შვილის დროს არ განკარგავდნენ. შვედი და დოუნი თითქოს ყველაფერს თავიდან იწყებდნენ. ამიტომ მშობლების ძალაუფლება არ უპირისპირდებოდა ბავშვის მერყეობას და ოჯახის ცხოვრება უშფოთველად მიმდინარეობდა.

ადრიანი დილაა. შვედი სააბაზანოში პირს იპარსავს, დოუნი კი შვილს აღვიძებს. შვედის დილას ყველაზე მეტად ეს რიტუალი ალამა-

ზებს. მერის არასოდეს გაუგონია მალვიძარის წკრიალი - მისი მალვიძარა დედა იყო. დოუნი ბოსელში ექვს საათამდე გადიოდა, მაგრამ ზუსტად შვილის ნახევარზე შინ ბრუნდებოდა, მერის ოთახში ადიოდა, შვილის საწოლის კიდეზე ჯდებოდა და იწყებდა გაღვიძების სასიამოვნო რიტუალს. ჯერ მღუმარედ უსვამდა თავზე ხელს მძინარე მერის, ზოგჯერ ორი წუთის განმავლობაშიც კი. შემდეგ წყნარად წაუმღერებდა ხოლმე: „დროა, გაიღვიძო!“, და მერიც იღვიძებდა. თვალებს არ ახელდა, მაგრამ ნეკის მოძრაობით ანიშნებდა, რომ არ ეძინა. „კიდევ ერთხელ!“ - და თამაში გრძელდებოდა. მერი ცხვირს ჭმუხნიდა, შემდეგ ტუჩებს ილოკავდა, ოდნავ გასაგონად ოხრავდა - ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ გოგონა მზად არ იქნებოდა საწოლიდან წამოსადგომად. ამ თამაშში დანაკარგის გარდუვალობა აისახებოდა: ერთ დღესაც მერი ასე სრულად დაცული აღარ იქნებოდა, დოუნი კი ველარ შეძლებდა შვილის დაცვას, რაც, როგორც ოდესღაც ეგონა, ხელეწიფებოდა. „ბავშვის გაღვიძების“ რიტუალი ერთადერთი სიყმაწვილისდროინდელი რიტუალი იყო, რომელსაც დოუნი და მერი ასრულებდნენ, სანამ ბავშვი თორმეტი წლისა გახდებოდა. არც ერთს არ უცდია, მერის ასაკის მატების გამო ხელი აელო ამ რიტუალზე.

როგორ ტკბებოდა შვედი, როდესაც მერი და დოუნი, სხვა დედებისა და ქალიშვილების მსგავსად, ერთად აკეთებდნენ თავიანთ ქალურ საქმეებს. მამის თვალთახედვით, ყოველი მათგანი მეორეს ავსებდა. აი, საცურაო კოსტიუმებში ჩაცმულნი, სწრაფად გამორბიან ზღვიდან, რათა პირსახოცებით შეიმშრალონ ტანი. ცოლმა ეს-ესაა გადააბიჯა გაფურჩქვნის ასაკს, ქალიშვილი კი სადაცაა, მასთან მიახლოებას დაიწყებს. მოგვიანებით შვედი ფიქრობდა, რომ ამ მიჯნამ ცხოვრების ციკლურ მოძრაობაში სრულად მიახვედრა ქალის ბუნებას. მერი, რომელსაც სულ უფრო მეტად იზიდავს ქალურობის ატრიბუტები, სარკის წინ იზომებს დედამისის სამკაულებს, დოუნი კი გალამაზებაში ეხმარება. მერი ეუბნება დოუნს, რომ მარტოობისა ეშინია, რადგან მეგობრები მის წინააღმდეგ გაერთიანდნენ - ბავშვები, საერთოდ, მასთან ურთიერთობას გაურბიან. ამგვარ მშვიდ წუთებში, რომლებიც შვედის გარეშე გადის (ქალიშვილი ენდობა დედას. მერი ემოციურად დოუნის ორეულია, რუსული „მატრიოშკების“ მსგავსად), ის ყველაზე მძაფრად გრძნობს, რომ მერი დედ-მამის შემცირებული ასლი კი არაა, არამედ დამოუკი-

დებელი პატარა არსება, მათი მსგავსი, მაგრამ ახალი, განსხვავებული, უსაზღვროდ საყვარელი.

დოუნს სახლი კი არ სძულდა, მისთვის, უბრალოდ, აუტანელი იყო აზრი, რომ თვით სახლის გაძლოლის (საწოლების ალაგების, სუფრის გაშლის, ფარდების გაუთოების, დღესასწაულების ორგანიზების, კვირის დღეების შესაბამისად, ენერჯისა და საქმეების განაწილების) მოტივი ჰემლინის მალაზიასთან ერთად გაქრა. დოუნის დღეების სისავსე, ცხოვრების უმწოთველი მონოტონურობა ახლა უკვე მხოლოდ ილუზია, დაუჯერებელი ფანტაზია გახლდათ, თუმცა რეალური იყო ნებისმიერი სხვა ოლდრიმროკელი ოჯახისთვის. ამის შესახებ მხოლოდ მრავალრიცხოვანი მოგონებები არ მეტყველებდა - შვედის საოფისე მაგიდის ზედა უჯრაში ინახებოდა „დენვილ-რენდოლ კურიერის“ ათი წლის წინანდელი ეგზემპლარი, რომლის პირველ გვერდზეც დაბეჭდილი იყო სტატია დოუნის მესაქონლეობის ბიზნესის შესახებ. ის ინტერვიუს მიცემამდე მხოლოდ იმ პირობით დათანხმდა, რომ ჟურნალისტს ერთი სიტყვაც არ უნდა წამოსცდენოდა მისი, როგორც 1949 წლის „მის ნიუ-ჯერსის“, შესახებ. ჟურნალისტი დაჰპირდა და სტატია გამოქვეყნდა სათაურით: „ოლდრიმროკელ ქალს ბედნიერებას ანიჭებს საყვარელი საქმე“. სტატიის ბოლო სტრიქონები, ყოველი გადაკითხვისას, შვედს სიამაყეს აგრძნობინებდა: „მისის ლევოვის თქმით, ბედნიერებაა, როდესაც გიყვარს შენი საქმე“.

„კურიერში“ დაბეჭდილი სტატია მოწმობს, რა ძლიერად უყვარდა დოუნს ოდესღაც სახლი და მთელი მათი ცხოვრება. ფოტოსურათზე ქალი დგას ბუხართან, რომელზეც კალის თეფშებია ჩამწკრივებული; მალაყელიანი თეთრი სვიტერი და კრემისფერი ჟაკეტი აცვია, „პაჟის“ ვარცხნილობა აქვს, ნატიფი თითები ერთმანეთზე გადაუჭდია და მშვენივრად, თუმცა კი ცოტათი უბრალოდ გამოიყურება. ფოტოსურათს მიწერილი აქვს: „მისის ლევოვს, 1949 წლის „მის ნიუ-ჯერსის“, უყვარს თავისი 170 წლის სახლი, რომელიც ოჯახის ღირებულებებს განასახიერებს“. როდესაც გამმაგებულმა დოუნმა რედაქციაში დარეკა, ჟურნალისტმა უპასუხა, რომ სიტყვა არ გაუტეხავს და ტექსტში მოხსენიებული არაა სილამაზის კონკურსი. სიტყვები „მის ნიუ-ჯერსი“ ფოტოსურათის მინაწერში რედაქტორმა ჩაამატა.

არა, დოუნს არ სძულდა სახლი, რა თქმა უნდა, არ სძულდა - ყოველ შემთხვევაში, ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. არსები-

თი მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ იმას, რომ გამოჯანმრთელდა. მერე რა მოხდა, რომ ერთი-ორჯერ სულელური შენიშვნა გამოთქვა - ამას ხომ არავითარი შედეგი არ მოჰყოლია; მთავარი ის იყო, რომ თავს უკეთ გრძნობდა. შესაძლოა, შვედს ის აღელვებდა, რომ ფსიქოლოგიური თვითგარდაქმნის გზას, რომელსაც დოუნმა მიმართა გამოჯანმრთელებისთვის, რეგენერაციული ძალა არ ჰქონდა და მოსაწონი არ იყო - დამამცირებელიც კი გახლდათ. შვედი ვერავის ეტყოდა - მით უმეტეს, ვერც საკუთარ თავს დაარწმუნებდა - რომ ახლა სძაგდა ის, რაც ოდესღაც უყვარდა...

ისევ ძველ ფიქრებს დაუბრუნდა. მაგრამ თავს ვერ ერეოდა. გაახსენდა, როგორ აცხობდა შვიდი წლის მერი ორ დუჟინ ნამცხვარს გახეხილი შოკოლადით და ცხობისას უმ ცომს ეტანებოდა. ერთი კვირის შემდეგაც მშობლები ყველგან პოულობდნენ ცომის ნარჩენებს, მაცივარზეც კი. და განა შვედს უნდა შესძულებოდა მაცივარი? როგორ უნდა წარმოედგინა, რომ (დოუნის მსგავსად) დარდი შეუმსუბუქდებოდა, თუკი ამ მაცივარს შეცვლიდა თითქმის უხმაურო „აის-ტემპით“, რომელიც „როლს-როისი“ იყო მაცივართა შორის? რატომ უნდა შესძულებოდა საკუთარი სამზარეულო, რომელშიც მერი აცხობდა ნამცხვრებს, ადნობდა ყველს სენდვიჩებისთვის ან ზიტის ბრაწავდა? რა მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ კარადები იქ უქანგავი ფოლადისა არ იყო, ბარი კი იტალიური მარმარილოსი არ გახლდათ? რატომ უნდა შესძულებოდა სარდაფი, სადაც მერი ზოგჯერ დამალობანას თამაშობდა მოკისკისე მეგობრებთან ერთად, თუმცა თვით შვედს ზოგჯერ - განსაკუთრებით ზამთრობით - არ სიამოვნებდა ამ თავგთა საუფლოში ჩასვლა? რატომ უნდა შესძულებოდა მონუმენტური ბუხარი (დოუნი მას აუტანელ, ბანალურ დეკორაციად მიიჩნევდა), რომელსაც ძველებური რკინის ჩაიდანი ამშვენებდა? თვალწინ ედგა სცენა, რომელიც ყოველ იანვარს მეორდებოდა: ის ნაძვის ხეს ჩეხავს ნაფოტებად, რომელთაც ერთბაშად ცეცხლში ყრის; გამხმარ ტოტებს მაშინვე ლოკავს კაშკაშა ცეცხლის ენები. ხმამაღალი სტვენა, ტკაცუნა, მოცეკვავე ჩრდილები, ოთხივე კედელზე ჰერამდე მოხტუნავე ეშმაკები მერის შიშნარევ სიამოვნებას ანიჭებს. შვედს არ სძულდა ფეხებიანი (ბურთებზე შემოჭდობილი კლანჭებიანი თათებით) აბაზანაც, რომელშიც მერის აბანავებდა ხოლმე - მერე რა, რომ ათწლეულების განმავლობაში მინანქარზე და სადინართან ხისტი წყლის გამო ლაქები დააჩნდა?! არ აღაშფო-

თებდა უნიტაზიც კი, მიუხედავად იმისა, რომ წყლის ნაკადის შესაჩერებლად სახელური დიდხანს უნდა გექაჩა. ერთხელ, როდესაც ამ უნიტაზთან ჩაჩოქილ მერის გულს აზიდებდა, შვედიც მუხლებზე იდგა და ხელით ეკავა გოგონას პატარა შუბლი.

ვერც იმას იტყოდა, რომ სძულდა შვილი მისი ნამოქმედარის გამო! ნეტავ ამ ქაოტური ცხოვრების ნაცვლად - სამყაროში, სადაც მერი არ იყო, სადაც ოდესღაც არსებობდა და შეიძლებოდა ახლა გამოჩენილიყო - იმდენად შესძლებოდა შვილი, რომ გათავისუფლებულიყო მასზე (მაშინდელსა ან დღევანდელზე) ფიქრებისგან. ნეტავ შეძლებოდა, სხვებივით აღექვა ცხოვრება, ისევ ბუნებრივი ადამიანი ყოფილიყო და არა - შარლატანი, რომელსაც გულწრფელ, გულღია კაცად მოაქვს თავი, სინამდვილეში კი ტანჯული პიროვნებაა. გარეგნულად თითქოს მტკიცე იყო, შინაგანად კი - ეჭვებით დაღრღნილი. ეს უზრუნველი, მომღიმარი შვედი ცოცხლად დამარხული შვედის სუდარა გახლდათ მხოლოდ. ნეტავ საკუთარი ცხოვრებისთვის დაებრუნებინა მთლიანობა, რომელიც ოდესღაც - მანამ, სანამ მკვლელობაში ეჭვმიტანილი ქალიშვილის მამა გახდებოდა - ასაზრდოებდა მის ფიზიკურ ძალასა და სილალეს. ნეტავ არაფერი სცოდნოდა (როგორც ზოგიერთი ფიქრობდა მის შესახებ); ნეტავ ისეთი მარტივი ყოფილიყო, როგორიც „შვედ ლევოვი“ - მისივე თანატოლების მიერ შეთხზული (იმ დღეებში, როდესაც მას ეთაყვანებოდნენ) ლეგენდა. ნეტავ შეძლებოდა ეთქვა: „მძულს ეს სახლი“, და კვლავ ქცეულიყო უიკვეიკელ შვედ ლევოვად. ნეტავ შეძლებოდა ეთქვა: „მძულს ეს ბავშვი! თვალით აღარ დამენახოს!“ - და შემდეგ განდგომოდა მას, სამუდამოდ უგულებელყო ისიც და მისი იდეებიც, რომელთა გამო მერის სურდა გაენადგურებინა, ან, ყოველ შემთხვევაში, უღმობლად მიეტოვებინა საკუთარი ოჯახი; იდეები, რომლებიც უკავშირდებოდა არა „იდეალებს“, არამედ - უპატიოსნობას, ბოროტმოქმედებას, განდიდების მანიას, სიშლეგეს. ბრმა სიძულვილი და დაშინების ინფანტილური წყურვილი - აი, მისი შვილის იდეალები. სიძულვილის ობიექტის მუდმივი ძიება. დიახ, ყველაფრის სათავე მერის მეტყველების დეფექტი როდი იყო. ამერიკისადმი გააფთრებული სიძულვილი ცალკე დაავადებაა. შვედს კი უყვარდა ამერიკა. ამაყობდა, რომ ამერიკელი იყო. მაგრამ იმხანად შიშობდა ელაპარაკა შვილთან ამ თემაზე - არ უნდოდა, ბოთლიდან ამოეშვა ჯინი, შეურაცხყოფა. მერის მეტყველების დეფექტის გამო ისინი მუდმივ

შიშში ცხოვრობდნენ. იმ დროს შვედს უკვე არავითარი ზეგავლენა აღარ ჰქონდა შვილზე. დოუნსაც არ ჰქონდა. მის მშობლებსაც. როგორ უნდა ყოფილიყო მერი „მისი“, თუ ის „მისი“ აღარ იყო უკვე მაშინ - ნამდვილად არ იყო, რადგან მამის მცდელობა, აეხსნა შვილისთვის, რატომ უყვარდა ქვეყანა, რომელშიც დაიბადა და გაიზარდა, მერის მყისვე ბლიცკრიგის შემზარავ სურვილს უჩენდა. დორბლიანი ენაბლუ პატარა ძუკნა! ვინ ეგონა თავისი თავი?

ადვილად წარმოსადგენია, როგორ გალანძლავდა მერი მამამისს, ამ უკანასკნელს რომ გაემხილა მისთვის, ბიჭობისას ორმოცდარვა შტატის უბრალო ჩამოთვლაც კი აღმაფრთოვანებდაო. სიამოვნებას ანიჭებდა საგზაო რუკებიც, რომელთაც უფასოდ აძლევდნენ ბენზინგასამართ სადგურებში. როგორ ხარობდა, როდესაც მოულოდნელად ეს მეტსახელი დაარქვეს. უფროს კლასებში სწავლის პირველ დღეს, ფიზკულტურის პირველ გაკვეთილზე, როდესაც კალათბურთის ბურთით თამაშობდა, სანამ დარბაზში გაფანტული ბიჭები ჯერ კიდევ სპორტულ ფეხსაცმელებს იცვამდნენ, მან ხუთი მეტრის მანძილიდან, კაუჭა სროლით, ორი ბურთი ჩააგდო კალათში - უფშუფშუფშუფშუფშუფ! - უფშუფშუფშუფშუფ! - ისე, მოსათელად. და იმდენად იოლად, რომ ახალგაზრდა ჰენრი უორდმა, მეტსახელად დოკმა - ფიზკულტურის პოპულარულმა ახალგაზრდა პედაგოგმა, ჭიდაობის მასწავლებელმა, რომელმაც ის-ის იყო, დაამთავრა მონტკლერის კოლეჯი - თავისი კაბინეტის კარიდან სიცილით გასძახა ამ სპორტულ დარბაზში პირველად ნანახ აყლაყუდა, ქერათმიან, ცისფერთვალა თოთხმეტი წლის ბიჭს, ასე ლაღად, მოხდენილად რომ თამაშობდა: „ეს სად ისწავლე, შვედ?“ მეტსახელი (რომელიც სეიმურ ლევოვს პირველსავე კლასში მიაწებეს სპორტულ დარბაზში) განასხვაებდა მას თანაკლასელებისგან - სეიმურ მუნცერისა და სეიმურ უიმნოუსგან. შემდეგ ის სხვა მასწავლებლებმა და მწვრთნელებმაც აიტაცეს, ბოლოს კი სკოლის ყველა მოსწავლე ასე ეძახდა. სანამ უიკვეიკის სკოლა ებრაულ სკოლად რჩებოდა, სანამ არსებობდნენ მისი ისტორიის მოყვარულები, ყველამ იცოდა, რომ სწორედ დოკ უორდმა უწოდა პირველად შვედს „შვედი“. ეს მეტსახელი თითქოს შეესისხლხორცა. ამერიკულ სლენგში ძველთაგანვე გავრცელებულმა მოკლე სიტყვამ, მიმართვამ, რომელიც სპორტულ დარბაზში შემთხვევით წამოსცდა ფიზკულტურის მასწავლებელს, ყმაწვილი მითად გადააქცია. ეს არასოდეს მოხდებოდა, სეიმურად რომ დარჩენი-

ლიყო. ეს მითი ცოცხლობდა სკოლის დამთავრების შემდეგაც - წარმოდგენა მითური შვედის შესახებ მის თანაკლასელებს მეხსიერებაში ჩარჩათ სიცოცხლის ბოლომდე. ის თან ატარებდა ამ სახელს, როგორც უჩინარ პასპორტს, როდესაც სულ უფრო მეტად მკვიდრდებოდა ამერიკულ ცხოვრებაში. საბოლოოდ, შვედი მალალ, გულლია, ოპტიმისტ ამერიკელად იქცა. წინაპრები - უკვე საკმარისად ამერიკანიზებული, ხისტი მამის ჩათვლით - ვერც კი იოცნებებდნენ, რომ მათი თანატომელისგან ამგვარი პიროვნება ჩამოყალიბდებოდა. რა შესანიშნავად დაეუფლა მამამისი ჭეშმარიტად ამერიკულ ყაიდაზე ლაპარაკს. მაგალითად, ბენზინგასამართ სადგურში ამბობდა: „გამივსე, მაკ. ბოლომდე გაავსე, ო'კეი? შეფ, შეუმოწმე წინა ნაწილი, ო'კეი?“ როგორი ამაღლებელი იყო მათი მოგზაურობები მამისეული „დე სოტოთი“! სანამ ნიაგარის ჩანჩქერს მიაღწევდნენ, ნიუ-იორკის შტატის თვალწარმტაც შარაგზებზე მგზავრობდნენ. ამმორებულ პაწაწინა ტურისტულ ქოხებში ათევდნენ ღამეს. დაუვიწყარი მოგზაურობა ვაშინგტონში (როდესაც ჯერი ერთთავად ჭირვეულობდა). პირველი დათხოვა საზღვაო ქვეითი ჯარის ბანაკიდან: მთელი ოჯახი (თვით ჯერიც კი) ჰაიდ-პარკში მოწიწებით დგას ფრანკლინ დელანო რუზველტის საფლავთან. იქ, რუზველტის საფლავთან შვედმა იგრძნო, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა. საზაფხულო წვრთნების დროს (როდესაც ტემპერატურა ზოგჯერ ას ოც გრადუსს აღწევდა) გაკაჟებული, გარუჯული, ამაყად, მდუმარედ იდგა. ახალთახალი საზაფხულო უნიფორმა - გახამებული პერანგი და შესანიშნავად დაუთოებული, ტანზე კარგად მომდგარი უჯიბო ხაკისფერი შარვალი ეცვა. გადაპარსულ თავზე სამხედრო ქუდი ეხურა. შავი ტყავის ფეხსაცმელი ულაპლაპებდა და, რაც მთავარია, ქამარი ეკეთა. მხოლოდ შარვლის ქსოვილის ზოლებისგან დაწნული ამ ქამრის წყალობით - რომელმაც ახალწვეულთა ბანაკში, პერის აილენდში, გაუძლო მუცლის პრესის, სულ ცოტა, ათი ათას ვარჯიშს - გრძნობდა თავს ნამდვილ საზღვაო ქვეითად. ვინ არის მერი, რომ აბუჩად აიგდოს, გაქირდოს ყოველივე ეს და მისი განადგურება მოინდომოს? ომი და გამარჯვებაც სძულს? გამარჯვების დღეს ქუჩაში გამოცვნილი მეზობლები ტიროდნენ და ერთმანეთს ეხვეოდნენ, კლაქსონებს ასიგნალებდნენ, გაზონებზე მარშით დადიოდნენ და ქვაბებზე ხელებს ხმამალლა ატყაპუნებდნენ. იმ დროს შვედი ჯერ კიდევ პერის--აილენდზე იმყოფებოდა, დედამისს კი სამი ფურცელი დასჭირდა ამ სა-

ყოველთაო აღტყინების აღსაწერად. როგორ მხიარულობდნენ ყველანი სკოლის სპორტულ მოედანზე: ნაცნობები, ოჯახის ახლობლები, თანაკლასელები, ადგილობრივი მეაფთიაქე, ყასაბი, მებაყლე, თერძი, თვით საკონდიტრო მაღაზიის მოლარეც კი... ექსტაზს განიცდიდნენ. შუახნის დარბაისელი ადამიანები ჩამწკრივებულიყვნენ, შეშლილებივით განასახიერებდნენ კარმენ მირანდას და რომელიღაც „კონგას“ ცეკვავენ - ერთი-ორი-სამი-ბუქნა, ერთი-ორი-სამი-ბუქნა... ასე გრძელდებოდა ღამის ორ საათამდე. ომი. ამ ომში გავიმარჯვეთ. გამარჯვება! გამარჯვება! გამარჯვება! ომსა და ხოცვა-ჟლეტას ბოლო მოეღო.

სკოლაში სწავლის ბოლო თვეებში შვედი ყოველ საღამოს კითხულობდა გაზეთს და თვალს ადევნებდა საზღვაო ქვეითი ჯარის გადაადგილებას წყნარ ოკეანეში. „ლაიფში“ ნახა (და შემდეგ შიშით ესიზმრებოდა) პალაუს ერთ-ერთ კუნძულზე - პელელიუზე მოკლული და დასახიჩრებული საზღვაო ქვეითი ჯარისკაცების ფოტოსურათები. იმ ადგილას, რომელსაც ბლადი-ნოუზ-რიჯს უწოდებდნენ, ფოსფორიტის ძველ საბადოებში მსხდარი იაპონელები ცეცხლსატყორცნებით ამობუგეს, მაგრამ მანამდე თვრამეტ-ცხრამეტი წლის (თითქმის შვედის კბილა) ასეულობით ბიჭი დაიხოცა. თავის ოთახში შვედმა რუკა დაკიდა და იაპონიაზე შეტევისას ქინძისთავებით აღნიშნავდა საზღვაო ქვეითი ჯარის თავდასხმებს რომელიმე მომცრო ატოლზე ან კუნძულების მწკრივზე, საიდანაც მარჯნის რიფებში ჩასაფრებული იაპონელები უღმობლად ანადგურებდნენ ჩვენებს ყუმბარმტყორცნებითა და შამხანებით. ოკინავა 1945 წლის პირველ აპრილს დაიკავეს, სააღდგომოდ, იმ წელს, როდესაც შვედმა სკოლა დაამთავრა. ორი დღე გავიდა მას შემდეგ, როდესაც დაბლითა და ჰოუმრანით იხსნა თავისი გუნდი „უესტ-საიდთან“ თითქმის წაგებული მატჩის დროს. საზღვაო ქვეითი ჯარის მეექვსე დივიზიამ ხელში ჩაიგდო იონტანი - ერთ-ერთი საჰაერო ბაზა (ორიდან) კუნძულზე, ნაპირზე გადასხდომიდან სამი საათის შემდეგ. ნახევარკუნძული მოტობუ ცამეტი დღის შემდეგ აიღეს. 14 მაისს ოკინავის სანაპიროს მახლობლად ორი კამიკაძე-პილოტი თავს დაესხა საფლაგმანო ხომალდ „ბანკერ-ჰილს“ (წინა დღეს შვედი ირვინგტონის სკოლის წინააღმდეგ თამაშობდა და ერთი სინგლით, ერთი ტრიპლითა და ორი დაბლით ისახელა თავი). მათ ბომბებით გადაჭედილი თვითმფრინავები მიმართეს ავიამზიდის ასაფრენი გემბანისკენ, სადაც იდგნენ ამერიკული ბომბდამშენები სავსე ავზებით და, ასე-

ვე, ბომბებით სავსე ნაკვეთურებით. აფეთქების შედეგად ალი სამასი მეტრის სიმაღლეზე ავარდა ჰაერში. ცეცხლოვან გრიგალში, რომელიც რვა საათის განმავლობაში მძვინვარებდა, ოთხასი მეზღვაური და ავიატორი დაიღუპა. 1945 წლის 14 მაისს მეექვსე დივიზიამ ხელთ იგდო შუგარ-ლოუფ-ჰილი (შვედთან კი - კიდევ სამი ორბაზიანი ჰიტი „ისტ-საიდთან“ მატჩში, რომელიც მისი გუნდის გამარჯვებით დამთავრდა) - შესაძლოა, ეს იყო ყველაზე საშინელი, ყველაზე სასტიკი დღე საზღვაო ქვეითი ჯარის ისტორიაში. და იქნებ კაცობრიობის ისტორიაშიც. გამოქვაბულები და გვირაბები, რომლებითაც დასერილი იყო კუნძულის სამხრეთი ნაწილი (აქ იაპონელთა ჯარი იყო ჩასაფრებული), ამერიკელებმა ცეცხლსატყორცების მეშვეობით გაანადგურეს, იმათ კი გამოსასვლელებში ნალმები და ჭურვები ჩადეს. ხელჩართული ბრძოლა დღედაღამ გრძელდებოდა. იაპონელ მსროლელებსა და მეტყვიამფრქვევეებს უკან დასახევი გზა არ ჰქონდათ, თავიანთი პოზიციებიდან ფეხსაც ვერ იცვლიდნენ და მედგრად იბრძოდნენ. იმ დღეს, როდესაც შვედმა უიკვეიკის სკოლა დაამთავრა - 22 ივნისს (მან ნიუარკის ლიგის რეკორდიც დაამყარა სეზონში ორბაზიანთა რაოდენობის მხრივ), საზღვაო ქვეითი ჯარის მეექვსე დივიზიამ ამერიკის დროშა აღმართა ოკინავის მეორე სამხედრო-საჰაერო ბაზის, კადენის თავზე, რაც იმას ნიშნავდა, რომ იაპონიის ოკუპაციისთვის ყველაფერი მზად იყო. პერიოდი 1945 წლის 1 აპრილიდან 21 ივნისამდე უფროსკლასელი შვედის საუკეთესო სეზონი იყო. ორი-სამი დღის განსხვავებით, მატჩების თარიღები ემთხვეოდა ამერიკის მიერ - მისი თხუთმეტი ათასი მოქალაქის სიცოცხლის ფასად - თხუთმეტი მილის სიგრძისა და ათი მილის სიგანის კუნძულის დაპყრობას. დაიღუპა ას ორმოცდაერთი ათასი იაპონელი - სამხედრო და სამოქალაქო პირები. მთელი იაპონიის დაპყრობა და ამის მეშვეობით ომის შეწყვეტა ნიშნავდა, რომ ორივე მხარეს მოკლულთა რაოდენობა ათჯერ, ოცჯერ, ოცდაათჯერ გაიზარდებოდა. და მაინც, შვედმა გადაწყვიტა, ომში წასულიყო და მონაწილეობა მიეღო იაპონიაზე გადამწყვეტ იერიშში. ის ჩაირიცხა აშშ-ის საზღვაო ქვეით ჯარში, რომელმაც ოკინავაზე, ტარავაზე, ივოძიმაზე, გუამსა და გუადალკანალზე უდიდესი ზარალი განიცადა.

საზღვაო ქვეითი ჯარი. საზღვაო ქვეითი ვარ. სასწავლო ბანაკი. როგორ გვაწვალელებდნენ და რას არ გვიწოდებდნენ - მორალურად და ფიზიკურად სამი თვის განმავლობაში გვანადგურებდნენ, და მაინც, ეს

საუკეთესო პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში: გამოწვევა მივიღე და გავიმარჯვე. ჩემი გვარი „ეე-ო“-დ გადაიქცა - ასე გამოთქვამდნენ სამხრეთელი ინსტრუქტორები „ლევოვს“. „ლ“ და ორი „ვ“ ამოაგდეს, ხმოვნები კი დააგრძელეს. „ეე-ო“! თითქოს ვირი ყროყინებსო. „ეე-ო“! - „არის!“ პერდიუს უნივერსიტეტის ფეხბურთელთა აყლაყულა მწვრთნელი, მაიორი დანლივი, ჩვენს ფიზიკურ მომზადებას ხელმძღვანელობდა. ერთხელ ოცეული შეაჩერა ზორბა სერჟანტმა, რომელსაც „ტომარა“ შევარქვით, და დაიყვირა: „რიგითო ეე-ო!“ ჩაფხუტი არ მომიხსნია, ისე გავიქეცი. გული ამიძგერდა - ვივარაუდე, ალბათ დედა მომიკვდა-მეთქი. ერთი კვირის წინ ჩრდილოეთ კაროლინაში, ბანაკ ლეჟენში უნდა გავეგზავნეთ მოწინავე საბრძოლო ტექნიკის შესასწავლად. მაგრამ მაიორმა დანლივიმ არ გამიშვა და ამიტომ ავტომატური შაშხანა „ბრაუნინგიდან“ არასოდეს მისროლია. საზღვაო ქვეით ჯარში იმიტომ ჩავეწერე, რომ ვოცნებობდი მესწავლა „ბრაუნინგიდან“ სროლა მწოლიარე მდგომარეობაში, ზეაწეული ლულით. თვრამეტი წლისა ვიყავი და მეგონა, რომ საზღვაო ქვეით ჯარში სამსახური ნიშნავდა „ბრაუნინგის“ სისტემის 30-მილიმეტრიანი სწრაფმსროლი (საჰაერო გაგრილებით) შაშხანიდან სროლას. როგორი პატრიოტი იყო ის გულუბრყვილო ბიჭი! ოცნებობდა ესროლა ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნიდან, ხელის ბაზუკიდან, სურდა დაემტკიცებინა საკუთარი თავისთვის, რომ ლაჩარი არ იყო და შეეძლო ყველაფერი: ყუმბარების სროლა, ცეცხლსატყორცნიდან სროლა, ეკლიანი მავთულის ქვეშ გაძრომა, ბუნკერების აფეთქება, გამოქვაბულებზე იერიშის მიტანა. უნდოდა, ოკეანიდან იერიში მიეტანა ნაპირზე და საკუთარი წვლილი შეეტანა ქვეყნის გამარჯვებაში. მაგრამ მაიორ დანლივის ნიუარკელმა მეგობარმა მისწერა, როგორი ბრწყინვალე სპორტსმენი იყო ლევოვი და აღტაცების გამომხატველი ეპითეტებით შეამკო ის. ამიტომ განკარგულება შეცვალეს და კუნძულზე დამტოვეს, სამწყობრო მომზადების ინსტრუქტორად დამნიშნეს - ჯარისკაცებთან ბეისბოლი რომ მეთამაშა. იმ დროისათვის ატომური ბომბი უკვე ჩამოაგდეს და ომიც, ასე თუ ისე, დამთავრდა. „ჩემს ქვედანაყოფში ხარ, შვედ. ძალიან მიხარია“. ყველაფერი მყისვე შეიცვალა. როგორც კი თმა წამომეზარდა, კვლავ ადამიანად ვიქეცი. უწინ სულ ეს მესმოდა: „ტრაწიანო“, „ტრაწიანო, ტრაკი ასწიე“, ახლა კი ინსტრუქტორად ვიქეცი, რომელსაც ახალწვეულები „სერ“-ს უწოდებდნენ. ეს ინსტრუქტორი ახალწვეულებს

„ძმებო“-თი მიმართავდა. ძმებო, დაწეკით! ძმებო, ადეკით! ძმებო, სწრაფი ნაბიჯით იარ! ნაბიჯით იარ! სირბილით იარ, ერთი, ორი! კერავენიუელი ბიჭისთვის ეს დიდებული, დიდებული განცდა იყო. ბიჭები, რომელთაც ვერასდროს შევხვდებოდით. ათასნაირი მეტყველება გაისმოდა. შუა დასავლეთიდან, ახალი ინგლისიდან. ზოგიერთი ტექსასიდან და შორეული სამხრეთიდან იყო - მათი მეტყველება, აქცენტის გამო, ცუდად მესმოდა. მაგრამ ყველა კარგად გავიცანი. ყველა შემიყვარდა. იყვნენ რთული ბიჭები, იყვნენ ლარიბები, იყვნენ სკოლადამთავრებული სპორტსმენები. ერთხანს ვცხოვრობდი ყოფილ მოკრივეებთან ერთად, რომლებიც ჩვენს გასართობად ერკინებოდნენ ხოლმე ერთმანეთს. მათ შორის იყო ერთი ებრაელი - მენი რაბინოვიჩი ალტუნიდან. ასეთი მაგარი ბიჭი არ შემხვედრია. კარგი მოკრივე იყო და დიდებული მეგობარი. სკოლაც კი არ დაუმთავრებია. არასოდეს მყოლია უკეთესი მეგობარი, არც მანამ, არც შემდგომ. და არასოდეს იმდენი არ მიცინია, რამდენსაც მენისთან ერთად ვიცინოდი. ისეთივე საიმედო იყო, როგორც სახელმწიფო ბანკი. „ურიებს“ არავინ გვეძახდა. ახალწვეულთა რაზმში ერთხელ ასეთი რამ მოხდა, მაგრამ შემდეგ - არასოდეს. როდესაც მენი კრივში იბრძოდა, ბიჭები მასზე სანაძლეოს სიგარეტებით დებდნენ. ბადი ფალკონე და მენი რაბინოვიჩი ყოველთვის იმარჯვებდნენ. მენის მოწინააღმდეგეები ამბობდნენ, რომ ასეთი მძლავრი დარტყმები არავისგან უგემიათ. მე და მენი - ებრაული დუეტი საზღვაო ქვეით ჯარში - გასართობად ვატარებდით ორთაბრძოლებს წესების გარეშე. ერთი ამპარტავანი ახალწვეული ას ორმოცდახუთ ფუნტს იწონიდა. მენიმ, იმისთვის, რომ ეს ბიჭი კარგა გემრიელად მიეყეჟათ, დაიყოლია ებრძოლა ას სამოცი ფუნტის წონის რომელიმე მეზღვაურთან. „ყოველთვის წითური აარჩიე, ეე-ო, - მეუბნებოდა მენი, - დარწმუნებული იყავი, რომ კარგად იბრძოლებს. წითურები არასოდეს მარცხდებიან“. მენის მეცნიერული მიდგომა ჰქონდა. ნორფოლკში ჩავიდა ერთ მეზღვაურთან - ჯერ კიდევ ომამდელ მეტოქესთან (რომელსაც მეორე საშუალო წონა ჰქონდა) და კარგად მიბეგვა. ბატალიონს ვაიძულებდით, საუზმის წინ ევარჯიშა. ყოველ საღამოს ახალწვეულები აუზზე დაგვყავდა, ცურვის შესასწავლად. შეიძლება ითქვას, რომ წყალში ვყრიდით - ძველი, ნაცადი ხერხით ვასწავლიდით ცურვას - მეზღვაურებს ცურვა ხომ უნდა სცოდნოდათ. ნებისმიერ ახალწვეულზე ათჯერ მეტი აჭიმვა უნდა გავგეკეთებინა. თუკი შემა-

მოწმებდნენ, უნდა დამემტკიცებინა, რომ კარგად ვიყავი მომზადებული. ავტობუსით მივემგზავრებოდით ხოლმე სხვა ადგილებში ბეისბოლის სათამაშოდ. თუ შორს იყო, მივფრინავდით. ჩვენს გუნდში იყო ერთი ბობ კოლინზი, სენტჯონელი ზორბა ბიჭი, გადასარევი სპორტსმენი. ლოთი. მასთან ერთად ჩემს ცხოვრებაში პირველად დავთვერი. ორი საათის განმავლობაში განუწყვეტლივ ვყვებოდი, როგორ თამაშობდნენ უიკვეიკში ბეისბოლს, შემდეგ კი მთელი გემბანი მოვსვარე ამონარწყევით. ირლანდიელები, იტალიელები, სლოვაკები, პოლონელები, პენსილვანიელი თავზებელალებული ბიჭები, რომლებსაც მემახტე მამები მუშტებითა და ქამრის ბალთებით სცემდნენ. მათთან ერთად ვცხოვრობდი, მათთან ერთად ვჭამდი, ერთ ოთახში გვეძინა. ერთი ინდიელიც კი იყო - ჩეროკი, მესამე ბეისმენი. მეტსახელად სირმჭრელს ეძახდნენ. ასევე ვუწოდებდით ჩვენს ბეისბოლის ქულებს. არ მკითხოთ, რატომ. ყველა როდი იყო რიგიანი ბიჭი, მაგრამ, საერთოდ, არა უშავდათ. კარგი ბიჭები იყვნენ. ბევრს თამაშობდნენ. ფორტ-ბენინგის წინააღმდეგ. ჩერი-პოინტში, ჩრდილოეთ კაროლინაში, საზღვაო ქვეითი ჯარის სამხედრო-საჰაერო ბაზაზე. გავიმარჯვეთ. ჩარლსტონში „ნეივი-იარდი“ დავამარცხეთ. იყო ორი ბიჭი, რომლებსაც ბურთის ტყორცნა ეხერხებოდათ. ერთი პიტჩერი „ვეფხვების“ გუნდშიც კი მოხვდა. რომშიც ვიყავით, ჯორჯიის შტატში, ასევე, უეიკროსში - იქვე, სახმელეთო ჯარის სამხედრო ბაზაზე. ჯარისკაცებს „ფინიებს“ ვეძახდით. მათაც ვამარცხებდით. საერთოდ, ყველას ვამარცხებდით. სამხრეთიც მოვინახულეთ. ვნახე ის, რაც არასოდეს მენახა. ვნახეთ, როგორ ცხოვრობენ ზანგები. ყველანაირი გოები ვიხილე. ლამაზი სამხრეთელი ქალები გავიცანი. ჩვეულებრივი მეძავებიც. პრეზერვატივებს ვიყენებდი. კაბას აუწევ და მიაწვები. ვნახე სავანა. ვნახე ნიუ-ორლეანი. მოვხვდი საექვო ბინძურ ბუნაგში მობილში, ალაბამას შტატში. მაგრამ, საბედნიეროდ, სანაპიროს პატრული იქვე აღმოჩნდა. ვთამაშობდი კალათბურთს და ბეისბოლს ოცდამეორე პოლკთან. მომანიჭეს „აშშ-ის საზღვაო ქვეითის“ წოდება. ქუდის წინაფრაზე ლუზა და დედამიწა იყო გამოსახული. „აქ პიტჩერები არ არიან, აქედან მოუსვი, ეე-ო“. „ეე-ო“ ვიყავი ყველა ამ ბიჭისთვის მენიდან, ნიუ-ჰემპშირიდან, ლუიზიანიდან, ვირჯინიიდან, მისისიპიდან, ოჰაიოდან - ყველა ეს ტლუ ამერიკელი ბიჭი, უბრალოდ, „ეე-ო“-ს მეძახდა. „ეე-ო“ და მორჩა. მომწონდა. ჯარიდან 1947 წლის 2 ივნისს გამომიშვეს. ცოლად შევირთე ლამაზი გო-

გონა, გვარად დუაირი. სათავეში ჩავუდექი მამაჩემის მიერ შექმნილ ბიზნესს - ბაბუაჩემმა კი ინგლისურიც არ იცოდა.

დედამიწის ყველაზე ლამაზ კუთხეში დასახლდა. ამერიკისადმი სიძულვილი? ამერიკაში ისევე კარგად გრძნობდა თავს, როგორც საკუთარ ტყავში. მისი ახალგაზრდობისდროინდელი სიამოვნებები ამერიკული სიამოვნებები იყო, წარმატება და სიხარულიც - ამერიკული, და აღარ სურდა ეყუჩა იმის შიშით, რომ მერის ბრმა სიძულვილი არ გაელვივებინა. როგორ მარტოობას იგრძნობდა, ყველა ეს ამერიკული შეგრძნება რომ არ განეცადა. როგორ იდარდებდა, სხვა ქვეყანაში რომ გადასახლებულიყო. ყველაფერი, რაც მის საქმიანობას აზრს ანიჭებდა, მხოლოდ ამერიკაში, ამერიკაში იყო შესაძლებელი. ყველაფერი, რაც უყვარდა, აქ იყო.

მერისთვის ამერიკელობა ამერიკის სიძულვილს ნიშნავდა. მაგრამ შვედი გულიდან ვერ ამოიგლეჯდა ამერიკის სიყვარულს, ისევე, როგორც დედ-მამის სიყვარულს; ისევე, როგორც ვერ დაივიწყებდა თავაზიანობის წესებს. რატომ სძულს მერის ეს ქვეყანა - მას ხომ ამერიკისა არაფერი გაეგება? რატომაა შვედის პირში ისეთი ბრმა, რომ ლანძღავს „ძირმომპალ სისტემას“, რომელმაც მის ოჯახს წარმატებისკენ გზა გაუხსნა? „კაპიტალისტი“ მშობლების ლანძღვა - თითქოს მათ სიმდიდრე სამი თაობის კატორღული შრომის წყალობით კი არ მოიპოვეს, არამედ რაღაც სხვა ხერხებით... სამი თაობის მამაკაცები, შვედის ჩათვლით, სათრიმლავი საამქროს წებოვან, მყრალ ლორწოში შრომობდნენ. ნათესავებს, რომლებიც თავდაპირველად უღარიბესი ადამიანების გვერდიგვერდ ამუშავებდნენ ტყავს, მერი ახლა „კაპიტალისტ ძალღებად“ მიიჩნევს. მერი თვითონაც გრძნობს, რომ მისი სიძულვილი ამერიკისადმი დიდად როდი განსხვავდება მშობლების მიმართ სიძულვილისგან. შვედს უყვარდა ამერიკა, მერის კი სძაგდა ის, ბრალად სდებდა ცხოვრების მახინჯ წესს და გულით და სულით სურდა მისი განადგურება. შვედს უყვარდა „ბურჟუაზიული ფასეულობები“, რომლებიც მერის სძაგდა, რომლებსაც სასაცილოდ იგდებდა და სურდა გაეცამტვერებინა. შვედს უყვარდა ცოლი, რომელიც მერიმ აითვალწუნა და კინალამ ბოლო მოუღო თავისი საქციელით. რიტა კოენი - წყეული პატარა უმეცარი ძუკნა! რამდენი გადაუხადეს? რატომ არ დახია მისი წერილი? რიტა კოენი! ისინი დაბრუნდნენ! სადისტები, შფოთისთავები, რომლებსაც სიძულვილის უსაზღვრო უნარი აქვთ. თავის

შესაქცევად ფული გამოსტყუეს, წაიღეს ოდრი ჰეპბერნის ალბომი, დღიური, საბალეტო ფეხსაცმელი. ამ სასტიკმა მცირეწლოვანმა ბოროტმოქმედებმა, „რევოლუციონერებმა“, რომლებმაც ასე ბოროტად გაუცრუეს იმედები ხუთი წლის წინ, გადაწყვიტეს, რომ შეიძლებოდა კვლავ გაეპამპულეებინათ შვედ ლევოვი.

ისლა დაგვრჩენია, შორიდან დავაკვირდეთ ამ წმინდა ადამიანის მარტვილობას. მისი მოწაფე, რიტა კოენი. ისინი დასცინიან შვედს. ნამდვილად დასცინიან. ცუდია, თუ ეს ბოროტი ხუმრობაა, მაგრამ კიდევ უფრო უარესია, თუ ეს ბოროტი ხუმრობა არაა. თქვენი შვილი წმინდანია. ჩემს შვილს წმინდანობისა არაფერი სცხია. ჩემი შვილი სუსტია, თავგზა აებნა და შეურაცხყოფილად გრძნობს თავს - არაფერი ეშველება! რატომ მოატყუე, რომ შენთან ვიწექი? მითხარი, რომ ასეთი იყო მერის ნება. ამას იმიტომ ამბობ, რომ ჩვენ გძულვართ, და გძულვართ იმიტომ, რომ ასეთ რამეებს არ ვჩადით. იმიტომ კი არ გძულვართ, რომ უგუნურები ვართ, არამედ იმიტომ, რომ წინდახედულები ვართ, ნორმალურები, შრომისმოყვარეები და კანონმორჩილები. იმიტომ გძულვართ, რომ ხელმოცარულები არა ვართ, ბეჯითად და პატიოსნად ვშრომობდით, რათა ჩვენს საქმეში საუკეთესონი ვყოფილიყავით. შენ კი გშურს ჩვენი, გძულვართ და გინდა, ცხოვრება დაგვინგრიო. და ამისთვის მერი გამოიყენე. თექვსმეტი წლის ენაბლუ გოგონა. არა, მცირედი არ გაკმაყოფილებთ, მისგან „რევოლუციონერი“ შექმენით. დიადი იდეები და ამაღლებული იდეალები რომ ამოძრავებს. ძაღლის-შვილებო! ჩვენი სამყაროს ნგრევის სურათით ტკბებით. ლაჩარო ნაბიჭვრებო! მერი სიტყვიერმა კლიშეებმა კი არ დაიმონეს - თქვენ დაიმონეთ და ამას თქვენი გაცვეთილი აბდაუბდიდან ყველაზე მაღალფარდოვანი აბდაუბდის წყალობით მიაღწიეთ, ხოლო მერიმ - გამწარებულმა ბავშვმა, რომელიც თავისი ნაკლის გამო სხვებზე უფრო მგრძნობიარეა უსამართლობის მიმართ - თავის დაცვა ვერ შეძლო. თქვენ დაარწმუნეთ, რომ ჩაგრულებს ამოსდგომოდა გვერდში. გააბრიყვეთ, მარიონეტად აქციეთ. ექიმი ფრედ კონლონი ამას შეეწირა. ომის შეწყვეტის მიზნით მოკალით ადამიანი, რომელმაც ქალაქის პატარა საავადმყოფოში რვასაწოლიანი ბლოკი მოაწყო გულით დაავადებულთათვის. აი, რა იყო მისი დანაშაული.

იმის ნაცვლად, რომ აფეთქება გვიან ღამით მოგეწყობოთ, როდესაც ქალაქის ქუჩები დაცარიელებული იყო, ბომბი - განზრახ თუ დაუფიქ-

რებლად - დილის ხუთ საათზე ააფეთქეთ, ჰემლინის მაღაზიის გაღებამდე ერთი საათით ადრე, იმ დროს, როდესაც ფრედ კონლონმა ზურგი აქცია საფოსტო ყუთს, სადაც ჩაყარა კონვერტები წინა სალამოს განაღებულ ჩეკებით. საავადმყოფოში წასვლას აპირებდა. ლითონის ნამსხვრევი კეფაში მოხვდა. დოუნს, რომელსაც დამამშვიდებელი წამლები დააღვინეს, არავისთან ლაპარაკი არ შეეძლო, მაგრამ შვედი ჰემლინებთან მივიდა და უთხრა, რომ მათზე გული შესტკიოდა, რომ მას და დოუნს ძალიან უყვარდათ ეს მაღაზია, რომ ვერ წარმოედგინათ ქალაქი ამ მაღაზიის გარეშე. შემდეგ დაკრძალვასაც დაესწრო - კონლონი კუბოში კარგად გამოიყურებოდა - ღირსეულად, ჩვეული თავაზიანი გამომეტყველება ჰქონდა. მომდევნო კვირას კი შვედი მარტო (დოუნი საავადმყოფოში უნდა დაწოლილიყო) გაემართა კონლონის ქვრივთან. როგორ შეძლო ამ ქალთან მისვლა ჩაის დასალევად - ცალკე ამბავია, ამაზე შეიძლება წიგნი დაიწეროს - მაგრამ ეს შეძლო. ქალს მხნეობა არ დაუკარგავს, ჩაი დაუსხა, შვედმა კი მთელი ოჯახის სახელით თანაგრძნობა გამოუცხადა. ეს სიტყვები ხუთასჯერ გაიმეორა გონებაში, მაგრამ როდესაც წარმოთქვა, თავისივე ნათქვამი არ მოეწონა, კიდევ უფრო უაზრო მოეჩვენა, ვიდრე ის, რაც ჰემლინებს უთხრა: „ღრმად და გულწრფელად თანაგიგრძნობთ... თქვენი ოჯახისთვის მიყენებული ზარალი... ჩემს ცოლს სურს, რომ იცოდეთ...“ მისის კონლონი სათნოების, სიკეთისა და თანაგრძნობის განსახიერება იყო და ამიტომ შვედს ბავშვივით მოუნდა გამქრალიყო, სადმე შემძვრალიყო. ამავე დროს, უნდოდა, ქალის წინაშე დაეჩოქა და ასე დარჩენილიყო, მისთვის სიცოცხლის ბოლომდე პატიება ეთხოვა. მისის კონლონმა ბოლომდე მოუსმინა და წყნარად მიუგო: „თქვენ და თქვენი მეუღლე ისე ზრდიდით შვილს, როგორც საჭიროდ მიგაჩნდათ. ბრალი არაფერში მიგიძღვით და არაფერში გადანაშაულებთ. თქვენ არ გიყიდიათ დინამიტი. თქვენ არ გაგიკეთებიათ ბომბი. თქვენ არ დაგიდიათ ის. არც თქვენ და არც თქვენს მეუღლეს არავითარი კავშირი არა გაქვთ ბომბთან. თუკი აფეთქება თქვენი შვილის მოწყობილია - და, მგონი, ასეა - მის გარდა, არავის დავადანაშაულებ. თანაგიგრძნობთ თქვენ და თქვენს ოჯახს, მისტერ ლევოვ. ქმარი დაგკარგე. ჩემი შვილები დაობლდნენ. მაგრამ თქვენი დანაკარგი, ალბათ, უფრო მძიმეა. თქვენ, მშობლებმა, შვილი დაკარგეთ. ყოველდღე ვიფიქრებ თქვენზე და ლოცვებში მოგიხსენიებთ“. შვედი და კონლონი მხოლოდ შორიდან იც-

ნობდნენ ერთმანეთს, წვეულებებსა და საქველმოქმედო საღამოებზე ხვდებოდნენ. ორივეს სწყინდებოდა ერთმანეთთან. შვედისთვის ცნობილი იყო ფრედის რეპუტაცია - ის იყო შრომისმოყვარე, კარგი ადამიანი, რომელიც ერთნაირად გულმოდგინედ ზრუნავდა თავის ოჯახსა და საავადმყოფოზე. ფრედის შემწეობით შესაძლებელი გახდა საავადმყოფოს გაფართოება - პირველად მისი დაარსების დღიდან. ფრედის ხელმძღვანელობით არამარტო კარდიოლოგიური განყოფილება შეიქმნა, არამედ განახლდა სასწრაფო დახმარების ბლოკის მოძველებული აპარატურაც. მაგრამ ვის აინტერესებდა სასწრაფო დახმარება მიყრუებულ პატარა ქალაქში? ვის აინტერესებდა მაღაზია, რომელსაც მისი მეპატრონე თითქმის 1921 წლიდან ფლობდა? საქმე ხომ კაცობრიობის პროგრესს ეხებოდა! კაცობრიობის პროგრესი კი შეცდომებისა და პატარ-პატარა უბედურებების გარეშე მიულწეველი დარჩებოდა. აღშფოთებულმა ადამიანებმა ბომბის აფეთქებით გამოხატეს თავიანთი სათქმელი. მანამ, სანამ კაცობრიობა თავისუფლებას არ მოიპოვებს, ძალმომრეობას ძალმომრეობა მოჰყვება, შედეგების მიუხედავად. ფაშისტურ ამერიკაში ერთი ფოსტით ნაკლები დარჩა და განადგურებულს ველარაფერი ეშველება.

მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ჰემლინების ფოსტა აშშ-ის სახელმწიფო ფოსტის განყოფილება არ იყო და თვით ჰემლინები აშშ-ის ფოსტის ოფიციალური თანამშრომლები არ გახლდნენ. ისინი, უბრალოდ, გარკვეული თანხის სანაცვლოდ იჯარით იღებდნენ საფოსტო მომსახურების უფლებას და, მაღაზიასთან ერთად, მცირე საფოსტო ბიზნესს ეწეოდნენ. სახელმწიფო დაწესებულებას ეს ფოსტა ისევე არ ჰგავდა, როგორც ბულალტრის ოფისი, რომელშიც ის ფორმებს გივსებთ საგადასახადო ინსპექციისთვის. მაგრამ რევოლუციონერებისთვის ეს უკვე წვრილმანები იყო! მთავარია, რომ ობიექტი გაანადგურეს. ოლდ-რიმროკის ათას ას მცხოვრებს მთელი წელიწადნახევრის განმავლობაში მოუხდება ზედმეტი ხუთი მილის გავლა მარკების შესაძენად, ამანათების ასაწონად ან წერილების გასაგზავნად. ახლა ლინდონ ჯონსონი ნახავს, ვინაა ქვეყნის ბატონ-პატრონი!

ისინი დასცინოდნენ შვედს. ცხოვრება დასცინოდა.

მისის კონლონმა უთხრა: „თქვენც ამ ტრაგედიის მსხვერპლი ხართ, ისევე, როგორც ჩვენ. თუმცა ერთი განსხვავებით: ჩვენ დიდხანს ვერ შევძლებთ ამ მწუხარების მონელებას, მაგრამ ოჯახს შევინარჩუნებთ.“

ერთმანეთის სიყვარულს შევინარჩუნებთ. შევინარჩუნებთ მოგონებებს და ისინი ყველაფერს გადაგვატანინებს. ჩვენ, ისევე, როგორც თქვენ, ამ უაზრობის ახსნა არ შეგვიძლია. მაგრამ ჩვენი ოჯახი ისეთივე დარჩება, როგორიც ფრედის სიცოცხლეში იყო. ჩვენ გადავრჩებით“.

სიცხადემ და რწმენამ, რომლითაც კონლონის ქვრივმა აგრძნობინა, შენი ოჯახი ვერ გადარჩებაო, კაცი დააეჭვა. მომდევნო კვირების განმავლობაში ფიქრობდა, მართლაც იყო თუ არა ქალის კეთილმოსურნეობა და თანაგრძნობა ისეთი ყოვლისმომცველი, როგორც თავდაპირველად ეგონა.

კონლონის ქვრივი მეტად აღარ უნახავს.

შვედმა თავის მდივანს აუწყა, რომ მიემგზავრებოდა ნიუ-იორკში, ჩეხეთის საკონსულოში, რომლის თანამშრომლებს წინასწარ აცნობა, შემოდგომით ჩეხოსლოვაკიას უნდა ვეწვიოო. ნიუ-იორკში უკვე ნახა ჩეხოსლოვაკიაში დამზადებული ხელთათმანების, ფეხსაცმლის, ქამრების, ხელჩანთებისა და საფულეების ნიმუშები, ახლა კი სურდა ეხილა მოწყობილობა და შეესწავლა ნაკეთობათა უფრო ფართო ასორტიმენტი - წარმოების პროცესშიც და მზა სახითაც. ამ მიზნით ჩეხები დაათვალიერებინებდნენ ფაბრიკებს ბრნოსა და ბრატისლავაში. აშკარა იყო, რომ ჩეხოსლოვაკიაში ტყავის ნივთების უფრო იაფად დამზადება შეიძლებოდა, ვიდრე ნიუარკსა თუ პუერტო-რიკოში, და შესაძლოა - უკეთაც. ნიუარკის ფაბრიკაში არეულობების დროს და შემდეგაც პროდუქციის ხარისხი სულ უფრო უარესდებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ვიკიმ სამკერვალო საამქროს ოსტატის თანამდებობა დატოვა. ის, რაც შვედმა საკონსულოში იხილა, საკმაოდ რიგიანი იყო, თუმცა, შესაძლოა, ეს არ იყო მასობრივი, ყოველდღიური პროდუქციის ნიმუშები. ოცდაათიან წლებში ჩეხებმა ამერიკული ბაზარი შესანიშნავი ხელთათმანებით გაავსეს. შემდეგ „ნიუარკ-მეიდი“ სამუშაოდ ჩეხ ოსტატ-გამომჭრელებს ქირაობდა. ჩეხი იყო ერთი მექანიკოსიც, რომელიც ოცდაათი წლის განმავლობაში ადევნებდა თვალყურს საკერავ მანქანებს და ამ „სამუშაო ცხენებს“ არემონტებდა: ცვლიდა გაცვეთილ ლილვებს, ბერკეტებს, ნემსის ფირფიტებს, კოჭებს, განუწყვეტლივ არეგულირებდა ძაფის დაჭიმულობას და სინქრონიზაციას. შესანიშნავი მუშა იყო, იცნობდა ხელთათმანების საკერავ ყველა მანქანას და ყველაფრის შეკეთება შეეძლო. შვედმა მამამისი დაარწმუნა, რომ სანამ შინ არ დაბრუნდებოდა და დეტალურად არ გააცნობდა საქმის ვი-

თარებას, თავისი ბიზნესის ნაწილს კომუნისტურ ქვეყანაში არ განათავსებდა, მაგრამ უკვე დარწმუნებული იყო, რომ უახლოეს ხანებში გადაიტანდა ჩეხეთში წარმოებას.

ამ დროისთვის დოუნს უკვე ახალი სახე ჰქონდა და სწრაფად უბრუნდებოდა ნორმალურ მდგომარეობას. რაც შეეხება მერის... საყვარელო მერი, ძვირფასო მერი, ჩემო პატარა, როგორ დავრჩე სენტრალ-ავენიუზე და როგორ შევინარჩუნო საწარმო, როდესაც მთელ ნიუარკში ვერ მოძებნი ნორმალურ, საზრიან ადამიანებს შავკანიანების ჩასანაცვლებლად, რომლებისთვისაც უკვე განურჩეველია ჩემი პროდუქციის ხარისხი და რომლებმაც იციან, რომ სამუშაოდან არ დაითხოვენ, რადგან შემცვლელებს ვერსად იპოვიან? მაგრამ თუ სენტრალ-ავენიუდან წავალ, ვშიშობ, რომ რასისტს მიწოდებ და აღარასოდეს დამიბრუნდები. რამდენი ხანია, არ მინახავხარ. დიდხანს გელოდი, დედაც გელოდა, ბაბუაც, ბებიაც. ხუთი წლის განმავლობაში ყოველდღე გელოდებოდით. გვეგონა გამოგვეხმაურებოდით. ახლა 1973 წელია, დედას ვეღარ იცნობ, სრულიად გამოიცვალა. თუ გვსურს, რომ კვლავ ერთად ვიცხოვროთ, არ უნდა დაგაყოვნოთ.

მიუხედავად ამისა, ჩეხეთის წარმომადგენლობაში კი არ მივიდა, სადაც თავაზიანი კონსული მისალმების შემდეგ აუცილებლად შესთავაზებდა ერთ სირჩა სლივოვიცას (ასე იფიქრებდნენ შვედის მამა ან ცოლი, თუ დაურეკავდნენ და ოფისში ვერ იპოვიდნენ), არამედ - ნიუ-ჯერსი-რეილროუ-ავენიუზე, ვეტერინარული კლინიკის პირდაპირ გაჩერდა, საიდანაც ფაბრიკა „ნიუარკ-მეილამდე“ ავტომანქანით ათი წუთის სავალი იყო.

ათი წუთის სავალი. რამდენი წელია? რამდენი წელია, რაც ნიუარკშია? მერი ცხოვრობდა იმ ერთადერთ ადგილას, რომელსაც მამამისი ათასი მცდელობის შედეგადაც კი ვერ გამოიცნობდა. შვედს საზრიანობა არ ეყო, თუ მერი იყო იმდენად თავხედი, იმდენად უკულმართი, იმდენად შერეკილი, რომ მამამისი ვერ წარმოიდგენდა ყველაფერს, რაც მას შეეძლო ჩაედინა? იქნებ წარმოსახვა არ ეყო? რომელ მამას ეყოფოდა წარმოსახვა? ეს ხომ წარმოუდგენელი იყო. მისი ქალიშვილი ნიუარკში ცხოვრობდა, პენსილვანიის სარკინიგზო ხაზის მეორე მხარეს მუშაობდა - აირონბაუნდის იმ ბოლოში კი არა, სადაც დაუნ-ნეკის ღარიბული ქუჩებიდან პორტუგალიელებმა თანდათან გამოდევნეს ძველი იმიგრანტები, არამედ აქ, აირონბაუნდის დასავლეთ საზღვარზე,

რკინიგზის ვიადუკის ქვეშ, რომელიც რეილროუდ-ავენიუს მთელ დასავლეთ მხარეს მიჰყვება. ეს პირქუში ფორტიფიკაცია ქალაქის ჩინური კედელი გახლდათ. ლოდების ამ წყობას, რომელიც ოცი ფუტის სიმაღლისა იყო და მიღზე მეტ მანძილზე გრძელდებოდა, მხოლოდ რამდენიმე ადგილას კვეთდა ბინძური მიწისქვეშა გადასასვლელები. მიტოვებული რეილროუდ-ავენიუს გასწვრივ, რომელიც ისეთივე ავბედითი იყო, როგორც ნებისმიერი ქუჩა ამერიკის ნებისმიერ დანგრეულ ქალაქში, უკაცრიელი კედელი ქვეწარმავალივით მიიკლაკნებოდა და წარწერებითაც კი არ იყო „შემკობილი“. ლოდებს შორის, ნახეთქებსა და ნაპრალებში ჩაცვენილი მიწიდან მომჭკნარი ბალახი ამოზრდილიყო. ვიადუკზე სიცოცხლის სხვა ნიშანწყალი არ ჩანდა, თავად ის კი გადაქანცული ინდუსტრიული ქალაქის მიერ თავისი სიმახინჯის უკვდავსაყოფად მიმდინარე მრავალწლიანი შეუპოვარი ბრძოლის მოწმე გახლდათ.

ქუჩის აღმოსავლეთ მხარეს ძველებური, სამოქალაქო ომის დროინდელი სამსხმელო და სპილენძსადნობი ქარხნების ჩამუქებული შენობები მოჩანდა. მძიმე ინდუსტრიის ეს ობიექტები ასი წლის განმავლობაში მილებიდან ამომავალ კვამლს გაემჭვარტლა. ისინი შიგნითაც ჩამუქებული იყო: ფანჯრები აგურებით ამოექოლათ, კარები კი წიდაბეტონით ამოევსოთ. ამ ქარხნებში ადამიანები თითებს ან ხელებს კარგავდნენ, ფეხები უსახიჩრდებოდათ და სახეები ეთუთქებოდათ, ხოლო ბავშვები ყინვასა და სიცხეში მუშაობდნენ. მეცხრამეტე საუკუნის ქარხნები, რომლებიც ადამიანების ნაკადს ნთქავდნენ და პროდუქციის ნაკადს იძლეოდნენ ახლა პირქუში, დაგმანული აკლდამებივით იდგნენ. აქ დამარხულია თვით ნიუარკი - ქალაქი, რომელსაც არასოდეს დაუბრუნდება სიცოცხლე. ნიუარკის პირამიდები. ისეთივე უზარმაზარი, პირქუში და თვალმეუვალი, როგორც - ისტორიის მიერ ნაბოძები უფლებით - ყველა დიადი დინასტიის საძვალეები.

მეამბოხეები რკინიგზის გადასასვლელებთან შეჩერდნენ. გზა რომ გაეგრძელებინათ, ეს ფაბრიკები - ფაბრიკების მთელი კვარტალი - გადაბუგულ ნანგრევებად იქცეოდა, უესტ-მარკეტ-სტრიტივით, რომელიც „ნიუარკ-მეიდის“ უკან იწყებოდა.

ოდესღაც მამა არიგებდა შვედს: „ქვიშაქვა და აგური. აქ ერთ დროს ეს ბიზნესი იყო. ქვიშაქვას აქაური კარიერიდან იღებდნენ. იცი, სად? ბელვილთან. მდინარის ზემო წელში. ამ ქალაქში ყველაფერი მოიპო-

გება. ის კაცი, რომელიც ნიუარკულ ქვიშაქვასა და აგურს ყიდდა, მომ-
გებიანად ვაჭრობდა“.

ყოველ შაბათ დილას მამას მიჰყავდა შვედი, დაუნ-ნეკზე შინ მომუ-
შავე იტალიელებს ჩამოუვლიდა ხოლმე და მზა ხელთათმანები მოჰ-
ქონდა. როდესაც მანქანა აგურის ქვაფენილზე, ღარიბული სახლების
გასწვრივ მირახრახებდა, შვედი ხედავდა რკინიგზის მაღალ ვიადუკს.
აქა-იქ მაღალი ნაგებობები მოჩანდა, მაგრამ ვიადუკი მთლიანად არა-
სოდეს ეფარებოდა თვალს. შვედმა პირველად იხილა ხელთქმნილი
სრულყოფილება, რომელიც გვაგრძნობინებს, რაოდენ შეზღუდული,
უმნიშვნელო არსებანი ვართ. თავდაპირველად მას - ბავშვს, უკვე
მგრძნობიარეს გარემომცველი სამყაროს მიმართ, რომელიც მზად იყო,
შთაენთქა ის და რომელშიც მზად იყო, უდრტვინველად დანთქმული-
ყო - შეეშინდა. ექვსი თუ შვიდი წლისა იყო. შეიძლება, ხუთისა. შეიძ-
ლება, ჯერი არც იყო დაბადებული. ამ ლოდების გამო, რომელთა
გვერდით ალბათ ქონდრისკაცს ჰგავდა, ისედაც უზარმაზარი (მისი
თვალთახედვით) ქალაქი კიდევ უფრო დიდი ეჩვენებოდა. ხელთქმნი-
ლი ჰორიზონტი, ჭრილობა გიგანტური ქალაქის სხეულზე! ეგონა, რომ
ჩრდილთა საუფლოში, ჯოჯოხეთში შედიოდნენ. ასე პასუხობდა რკი-
ნიგზა ადამიანთა კადნიერ მისწრაფებას, გაეყვანათ რელსები ქუჩებს
ზემოთ, რათა მათ მიწაზე არ გადაეკვეთათ ერთმანეთი და თავიდან
აეცილებინათ ავარიები და ადამიანთა დაღუპვა. „ქვიშაქვა და აგური,
- მოწიწებით ამბობდა მამა, - ამგვარი ბიზნესით იმ კაცს უზრუნველად
უნდა ეცხოვრა“.

ეს ყველაფერი ხდებოდა მანამ, სანამ ისინი კერ-ავენიუზე გადავი-
დოდნენ. იმხანად ჯერ კიდევ სინაგოგის წინ ცხოვრობდნენ, სახლში,
სადაც სამი ოჯახი ბინადრობდა, უეინრაიტის ღარიბულ რაიონში.
სხვენიც კი არ ჰქონდათ, მაგრამ მამამისი ტყავებს მაინც ყიდულობდა
ადგილობრივი მცხოვრებისგან, რომელიც ასევე დაუნ-ნეკზე ცხოვრობ-
და და თავის გარაჟში ვაჭრობდა იმით, რასაც მთრიმლავეები იპარავ-
დნენ სათრიმლავი საამქროებიდან და მაღალ რეზინის ჩექმებში მა-
ლავდნენ ან კომბინეზონების ქვეშ, სხეულზე იხვევდნენ. ის კაცი -
ზორბა, ტლანქი პოლონელი, რომელსაც დაკუნთული ხელები
მთლიანად მოსვირინგებული ჰქონდა - ასევე სათრიმლავ საამქროში
მუშაობდა. შვედს ბუნდოვნად ახსოვდა, როგორ ათვალეირებდა მამა-

მისი ამ გარაჟის ერთადერთი ფანჯრის შუქზე ტყავებს და ხინჯს ეძებდა, შემდეგ კი, შესარჩევად, მუხლზე გადაიფენდა ხოლმე.

- ხელი მოჰკიდე, - ეუბნებოდა ის შვედს, როდესაც უკვე სამშვიდობოს იყვნენ და მანქანაში ისხდნენ. ბიჭი მამამისივით ჭმუჭნიდა თიკნის რბილ ტყავს, ხელს უსვამდა და გრძნობდა მის სინაზეს, ხავერდოვნებას, დრეკადობას.

- რატომაა ასეთი ნაზი ეს ტყავი, სეიმურ?

- არ ვიცი.

- მითხარი, რა არის თიკანი?

- თხის ნაშიერი.

- რით იკვებება თიკანი?

- რძით?

- სწორია, და რადგან თიკანი მხოლოდ რძით იკვებება, ამიტომაც მისი ტყავი ასეთი გლუვი და ლამაზი. გამადიდებელი შუშით დახედე ამ ტყავის ფორებს: ისინი ძალიან პატარაა, თითქმის უხილავი. შემდეგ თიკანი ბალახის წიწკნას იწყებს და აქ უკვე სხვა ამბავი იწყება. თიკანი წიწკნის ბალახს და მისი ტყავი ზუმფარის ქალაქს ემსგავსება. როგორ ტყავს იყენებენ ყველაზე სათუთი ხელთათმანებისთვის, რომელთაც დღესასწაულების დროს იცვამენ?

- თიკნისას.

- ყოჩაღ! მაგრამ საქმე თვით ტყავში როდია. მთავარია მისი სათანადოდ დამუშავება. ტყავის თრიმვლა უნდა ისწავლო. მაგალითად, არსებობენ კარგი მზარეულები და უხეირო მზარეულები. უხეირო მზარეული ხორცის საუკეთესო ნაჭერსაც კი გააფუჭებს. რატომაა, რომ ერთ კონდიტერს კარგი ტორტი გამოსდის, მეორეს კი - არა? ერთის ტორტი გემრიელია, ფაფუკი, მეორისა კი - მშრალი. იგივე შეიძლება ითქვას ტყავის შესახებ. მე ტყავს ვთრიმლავდი. რა უნდა გაითვალისწინო თრიმვლისას? ქიმიკატები, დამუშავების დრო და ტემპერატურა. ამიტომაც, რომ ტყავები ერთმანეთისგან განსხვავდება. საქმე ის კი არაა, რომ უხარისხო ტყავი იყიდე. კარგსა და უხარისხო ტყავს ერთნაირად თრიმლავენ. უხარისხო ტყავი უფრო ძვირიც კი ჯდება - მას უფრო საგულდაგულო დამუშავება სჭირდება. კარგია, კარგი, - ამბობდა ლუ ლევოვი და კვლავ ხელს უსვამდა ნაკუწს, - შესანიშნავი ტყავია. - და კვლავ ელაციცებოდა ტყავს: - იცი, რა უნდა გაკეთდეს, რომ ესეც ისეთი გახდეს, სეიმურ?

- რა, მამა?

- უნდა დამუშავდეს.

დაუნ-ნეკზე ცხოვრობდა იმიგრანტთა რვა, ათი, თორმეტი ოჯახი, რომელთაც ლუ ლევოვი ტყავსა და თავის თარგებს აძლევდა. ეს ნეაპოლეელი იტალიელები თავიანთ სამშობლოშიც ხელთათმანებს კერავდნენ. მათ შორის საუკეთესონი ლუმ დაიქირავა, როდესაც ძლივ-ძლივობით მოაგროვა ფული და იქირავა პატარა სათავსო უესტ-მარკერ-სტრიტზე, სკამების ფაბრიკის ზედა სართულზე. იტალიელი ბაბუა ან მამა ჭრიდა ტყავს სამზარეულოს მაგიდაზე, იტალიიდან ჩამოტანილი ფრანგული სახაზავის, დიდი მაკრატლისა და საფხეკის მეშვეობით. ბებია ან დედა კერავდა, ქალიშვილები ხელთათმანებს ძველებური წესით გახურებული უთოთი აუთოებდნენ- უთოს მუცლიან ქურაში დგამდნენ ყუთით. ქალები უსხდნენ მეცხრამეტე საუკუნის ძველ „ზინგერებს“, რომლებსაც ლუ ლევოვი თვითონვე აწყობდა ხოლმე. მათ ჩალის ფასად ყიდულობდა და არემონტებდა. კვირაში ერთხელ, საღამოს, ლუ დაუნ-ნეკს სტუმრობდა და ერთი საათის განმავლობაში რომელიმე საკერავ მანქანას არემონტებდა, დანარჩენ დროს კი ნიუ-ჯერსის ქალაქებში დაძრწოდა და იტალიელების მიერ შეკერილ ხელთათმანებს ყიდდა. თავდაპირველად ცენტრალურ ქუჩებზე უშუალოდ მანქანის საბარგულიდან ვაჭრობდა ხელთათმანებით, შემდეგ მათ უკვე სარეალიზაციოდ აბარებდა ტანსაცმლის მაღაზიებსა და დიდი მაღაზიების საგალანტერიო განყოფილებებში, რომლებიც „ნიუარკ-მეიდის“ პირველ სოლიდურ კლიენტებად იქცნენ. პაწაწინა სამზარეულოში, იმ ადგილიდან, სადაც ახლა შვედი იდგა, პირველად დაინახა, როგორ ჭრიდა ხელთათმანებს ყველაზე ხანდაზმული იტალიელი ოსტატი. ეჩვენებოდა, რომ ახსოვდა კიდევ, როგორ იჯდა მამამისის მუხლებზე, მამა კი შინ დაყენებულ იტალიურ ღვინოს წრუპავდა. მათ წინ იდგა გამომჭრელი, რომლის შესახებაც ამბობდნენ, ასი წლის არისო და რომელიც თითქოსდა იტალიის დედოფალს უკერავდა ხელთათმანებს. ის ტყავის ნაჭერს ასწორებდა და ექვსჯერ მაინც უსვამდა საფხეკის ბლაგვ წვერს. „დააკვირდი, სეიმურ. ხედავ, რა პაწაწინა ნაკუწია? ყველაზე რთულია ტყავის - განსაკუთრებით, ასეთი პატარის - ზუსტად გამოჭრა. კარგად დააკვირდი. შენ წინაშეა გენიოსი, ხელოვანი. იტალიელი გამომჭრელი, შვილო, ყოველთვის ხელოვანია, ესე იგი, დიდოსტატი“. ზოგჯერ ტაფაზე გუფთები იწვებოდა; ერთ-ერთი იტალიელი

გამომჭრელი ყოველთვის „Che bellezza...-ს“ ღიღინებდა, პატარა სეიმურს ქერა თმაზე ეფერებოდა, „piccirell“-ს („ტკბილოს“) უწოდებდა და ასწავლიდა, როგორ უნდა ჩაეწო ხრაშუნა იტალიური პური პომიდვრის საწებლიან ქვაბში. როგორი პატარაც უნდა ყოფილიყო სახლის უკანა ეზო, იქ ყოველთვის ნახავდით პომიდვრის კვლებს, ვენახს და მსხლის ხეს. ოჯახის წევრთა შორის აუცილებლად იყო ბაბუა. სწორედ ბაბუა ამზადებდა შინაურ ღვინოს და სწორედ მას მიმართავდა ლუ ლევოვი მისთვის ცნობილი ერთადერთი იტალიური ფრაზით - თანაც ცდილობდა, ის ნეაპოლურ დიალექტზე წარმოეთქვა და დაერთო სათანადო (როგორც თვითონ ეგონა) შესტი: „Na mano lava nad“ - „ხელი ხელს ბანს“. ამას მაშინ ამბობდა, როდესაც მუშამბაზე ერთი კვირის გასამრჯელოს დოლარიანებით უტოვებდა. შემდეგ მამა და შვილი დგებოდნენ, იღებდნენ მზა ხელთათმანებს და შინ ბრუნდებოდნენ. აქ კი სილვია ლევოვი თითოეულ ხელთათმანს ამოწმებდა და გადაჭიმულ ტყავზე თითოეულ ნაკერს აკვირდებოდა. „ხელთათმანების წყვილი, - ეუბნებოდა მამა შვედს, - აბსოლუტურად ერთნაირი უნდა იყოს: ტყავის ტექსტურით, ფერით, იერით, ყველაფრით. დედა, პირველ რიგში, ამას სინჯავს“. დედა უყვებოდა შვილს, როგორი ხარვეზები შეიძლებოდა ჰქონოდა ნამუშევარს - ადვილად ამჩნევდა მათ, რადგან ქმარმა ეს კარგად ასწავლა. გამოტოვებულმა გვირისტულამ შეიძლება ნაკერის გარღვევა გამოიწვიოს, მისი შემჩნევა კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ხელთათმანს გადამჭიმავზე ჩამოაცვამ და ნაკერს გაჭიმავ. გვირისტების გამოტოვება არ შეიძლება. ეს მაშინ ხდება, როდესაც მკერავი შეცდომას უშვებს, მაგრამ კი არ ჩერდება, არამედ მუშაობას აგრძელებს. გვხვდება ეგრეთ წოდებული ნაჭრევებიც - როდესაც ცხოველის გატყავებისას დანას ძალზე ღრმად არჭობენ ტყავში. ასეთი ნაჭრევები გაფხეკის შემდეგაც რჩება. მექანიკური გადაჭიმვისას აუცილებელი არაა, რომ ხელთათმანი სწორედ ამ ადგილას დაიხეს, მაგრამ ის შეიძლება გადასკდეს ხელზე ჩამოცმისას. დაუნ-ნეკზე დამზადებული ხელთათმანების ყოველ პარტიაში მამა აუცილებლად პოულობდა, სულ ცოტა, ერთს მაინც, რომლის ცერიც განსხვავებული ტყავისგან იყო შეკერილი. და ეს აცოფებდა. „ხედავ? ცდილობს იმყოფინოს ნაკუწი ყველა საჭირო დეტალისთვის, მაგრამ ვერ ახერხებს, ცერისთვის არ ყოფნის და ემმაკობს - მას სხვა ნაკუწიდან ჭრის. ამიტომ თითი განსხვავებულად გამოიყურება! და ეს, ემმაკმა დალახვროს,

არ მომწონს. აქ დახედე! თითები დალრეცილია - აი, სწორედ ამას გიჩვენებდა დღეს დედაშენი. როდესაც უბეს ან თითს ან სხვა რაიმეს ჭრი, ნაკუწი თანაბრად უნდა გადაჭიმო. თუ არათანაბრად გადაჭიმავ, პრობლემები შეგექმნება. ოსტატმა უბე არათანაბრად გადაჭიმა, ამიტომ ის კორპსაძრობით იხვევა. დედაშენი სწორედ ამგვარ ხარვეზებს ათვალერებს. იმიტომ, რომ - ყოველთვის გახსოვდეს! - ლევოვები უზადო ხელთათმანებს ამზადებენ“. ხარვეზის აღმოჩენისას დედა ხელთათმანებს შვედს აძლევდა, ის კი დეფექტის ადგილას ქინძისთავს არჭობდა, მაგრამ ტყავის ქვეშ კი არა, გვირისტულის ქვეშ, რადგან მამისი ეუბნებოდა: „ტყავში ნახვრეტები არ ქრება - ის ქსოვილი როდია. მხოლოდ გვირისტულის ქვეშ ჩაარჭვე. მხოლოდ გვირისტულის ქვეშ!“ მთელი პარტიის შემოწმების შემდეგ დედა კრავდა ორ-ორ ხელთათმანს საგანგებო ძაფით, რომელიც იოლად წყდებოდა, რათა როდესაც მყიდველი ერთმანეთს დააცილებდა ხელთათმანებს, ტყავი არ გახეულიყო. შემდეგ თითოეულ წყვილს ქალაღდის ორ ფენაში ახვევდა, შვედი კი ხმამაღლა ითვლიდა ყოველ თორმეტ წყვილს და ყუთში აწყობდა. იმხანად მათ უბრალო ყავისფერი კოლოფები ჰქონდათ, რომელთაც გვერდზე პარტიის ნომერი და ხელთათმანების ზომა ეწერა. უჩვეულო მოოქროვილი კოლოფების (ოქროსფერი ტვიფრით „ნიუარკ-მეიდი“) გამოყენება მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც მამამ, იღბლად, ბამბერგერის შეკვეთა მოიპოვა, შემდეგ კი - „მეისის აქსესუარების მაღაზიის“ შეკვეთა. ორიგინალური, წარწერიანი, ლამაზი კოლოფის და, აგრეთვე, შავ-ოქროსფერი იარლიყის მეშვეობით „ნიუარკ-მეიდმა“ ავტორიტეტი მოიპოვა არა მარტო მაღაზიებში, არამედ დახვეწილი გემოვნების მქონე კლიენტთა შორისაც.

ყოველ შაბათს, მზა ნაკეთობების წამოსაღებად დაუნ-ნეკზე წასულნი, უკან აბრუნებდნენ ხელთათმანებს, რომელთაც შვედის ქინძისთავები ჰქონდა ჩარჭობილი სილვიას მიერ აღმოჩენილი დეფექტების ადგილებზე. თუ ხელთათმანში სამი ან მეტი ქინძისთავი იყო ჩარჭობილი, მამა აფრთხილებდა ხელოსანთა ოჯახს, თუ „ნიუარკ-მეიდისთვის“ მუშაობა გინდათ, ყოველგვარ დაუდევრობას ბოლო უნდა მოელოსო. „ლუ ლევოვი მხოლოდ უზადო ხელთათმანებს ყიდის. აქ სულაც არ ვერთობით. მე, ისევე, როგორც თქვენ, ფული უნდა გამოვიმუშაო. Na mano lava nad - არ დაივიწყოთ ეს!“

- როგორია ხბოს ტყავი, სეიმურ? როგორი ზედაპირი აქვს?

- მკვრივი, ბოჭკოვანი. ძალიან გლუვი, პრიალა.
- რისთვის გამოიყენება?
- ძირითადად, მამაკაცთა ხელთათმანებისთვის. მძიმეა.
- კეიპი რაღაა?
- სამხრეთაფრიკული უხეშმატყლიანი ცხვრის ტყავი.
- კაბრეტა რაღაა?
- ესაა ცხვარი, რომელსაც ჩვეულებრივი მატყლი კი არ აქვს, არამედ სულ სხვანაირი ბეწვი.
- სად ბინადრობს?
- სამხრეთ ამერიკაში. ბრაზილიაში.
- არასრული პასუხია. ეს ცხვრები ბინადრობენ ეკვატორის მახლობლად, ჩრდილოეთითაც და სამხრეთითაც. სხვადასხვა ადგილას გვხვდებიან: სამხრეთ ინდოეთში, ჩრდილოეთ ბრაზილიაში, მთელ აფრიკაში.
- ჩვენ მათ ტყავებს ბრაზილიიდან ვიღებთ.
- სწორია. მართალი ხარ. ისინი სხვა ქვეყნებშიც გვხვდებიან. ეს უნდა იცოდე. რა არის მთავარი ტყავის მომზადებისას?
- გადაჭიმვა.
- ეს არ დაგავიწყდეს. ჩვენს საქმეში ღუიმის მეთექვსმეტედსაც კი მნიშვნელობა აქვს. გადაჭიმვა! აბსოლუტურად სწორია - გადაჭიმვა! რამდენი ნაწილისგან შედგება ხელთათმანი?
- ათისგან, ხოლო თუ მანჟეტი აქვს, მაშინ - თორმეტისგან.
- დაასახელე.
- ექვსი უბე, ორი ცერი, ორიც - მთავარი ნაწილი.
- რა არის საზომი ერთეული ხელთათმანების დამზადებისას?
- ფრანგული ღუიმი.
- როგორია ერთღუმიანი ხელთათმანი?
- მაჯიდან ცერის ბოლომდე ერთი ფრანგული ღუიმია.
- დაახლოებით ერთი ღუიმი. რა არის აბრეშუმის დეკორი?
- აბრეშუმის გვირისტები ხელთათმანის ზურგზე. თუკი ძაფების ბოლოებს არ გავნასკვავთ, ისინი გამოძვრება.
- შესანიშნავია. არც კი მიკითხავს. როგორ ნასკვავენ ძაფების ბოლოებს? რომელია ყველაზე ძნელი ნაკერი ხელთათმანზე?
- სრული პიკე.

- რატომ? ნუ იჩქარებ, შვილო, ეს ძნელი შეკითხვაა. მიპასუხე, რატომ?

შემნიღბველი ნაკერი. უჯრედოვანი ნაკერი. შუბისებრი წვერო. ირმის ტყავი. მოკო. დაღობა. გლემურძის მოცილება. ორგანული მკავებით დამუშავება. დახარისხება. შეფასება. ტვიფრვა. გაპრიალება. მიწებებული სარჩული. უნაკერო ნაქსოვი სარჩული. ნაქსოვი ხაოიანი სარჩული...

ამგვარი საუბრები არ წყდებოდა, როდესაც ისინი დაუნ-ნეკში მიდიოდნენ და უკან ბრუნდებოდნენ - ყოველ შაბათ დღეს მას შემდეგ, რაც შვედი ექვსი წლისა გახდა; და მანამ გრძელდებოდა, სანამ ცხრისა შესრულდებოდა. ამ დროისთვის კომპანია „ნიუარკ-მეიდს“ უკვე საკუთარი შენობა ჰქონდა.

ვეტერინარულ კლინიკას აგურის მომცრო ძველი შენობის ერთი კუთხე ეკავა, უშუალოდ უშენ ადგილთან, სადაც მაღალ სარეველებს შორის ავტომანქანების საბურავები იყო მიმოფანტული. ბადისებრი ლობის დაღრეცილი ნარჩენები ეყარა იმ ადგილას, სადაც შვედი შვილს ელოდებოდა... რომელიც ნიუარკში ცხოვრობდა... ასე დიდხანს... სად, ქალაქის რომელ რაიონში ცხოვრობდა? ახლა შვედს წარმოსახვა ჰყოფნიდა - საშინელი სურათების წარმოდგენა არ უჭირდა, თუმცა კვლავინდებურად არ ესმოდა, როგორ მოხვდა მერი ოლდ-რიმროკიდან აქ. აღარ დარჩა ილუზიები, რომელთა მეშვეობითაც მოულოდნელი მოვლენების შერბილებას შეძლებდა.

ეს ადგილი არ მოწმობდა, რომ მერი თავისი „მოწოდების“ ერთგული იყო და კვლავ სურდა ამერიკის ისტორიის შეცვლა. დაქანებული სანანძრო კიბე მყისვე ჩამოიშლებოდა, მოსწყდებოდა თავის სამაგრებს და მიწაზე დაენარცხებოდა, თუ ვინმე ფეხს დადგამდა მასზე. ეს კიბე ხანძრის დროს ადამიანებს არ იხსნიდა - უმიზნოდ ეკიდა, რათა კაცი ადამიანის უსაზღვრო მარტოობაზე დაეფიქრებინა. შვედი მასში ვერავითარ აზრს ვერ პოულობდა - ვერავითარ აზრს, რომელიც გაამართლებდა მის არსებობას. დიახ, ჩვენ მარტონი ვართ, უსაზღვროდ მარტონი, და კიდევ უფრო მძაფრი მარტოობა მოგველის, რომლისგანაც თავს ვერაფრით დავიხსნით. არა, მარტოობამ არ უნდა გაგვაკვიროს, რაოდენ მძაფრიც უნდა იყოს ეს განცდა. შეიძლება ტყავში გაძვრე, მაგრამ მაინც მარტო იქნები, ოღონდ შიგნეულობა გექნება გარეთ. ჩემო სულელო, სულელო, საყვარელო მერი, შენ კიდევ უფრო სულელი

ხარ, ვიდრე სულელი მამაშენი, რადგან სახლების აფეთქებაც კი არ გშველის. ყველა შემთხვევაში მარტონი ვართ, სულერთია, არის ჩვენ გარშემო სახლები თუ არ არის. როგორ უნდა გამოთქვა პროტესტი მარტოობის წინააღმდეგ? არც ერთმა დაბომბვამ მასზე ნაკაწრიც კი არ დატოვა. ადამიანის ხელით შექმნილი ყველაზე მომაკვდინებელი ასაფეთქებელი ნივთიერებაც კი ვერაფერს დააკლებს მარტოობას. გეშინოდეს არა კომუნიზმისა, უგუნურო ბავშვო, არამედ ჩვეულებრივი, ყოველდღიური მარტოობისა. გამოდი პირველ მაისს შენს მეგობრებთან ერთად დემონსტრაციაზე მის განსაზღვრულად, უმღერე მის უძლეველობას, მის თავზარდამცემ ძალას. დადე ფსონი, დადე სანაძლეო, თაყვანი ეცი - მაგრამ ღმერთად შერაცხე არა კარლ მარქსი, ჩემო ენაბლუ, ბუტია, ჩერჩეტო შვილო, არა ჰო ში მინი და მათ ძე-დუნე, არამედ ჭეშმარიტი ღმერთი - მარტოობა!

მარტოობას ვგრძნობო, ეუბნებოდა მერი მამამისს, როდესაც სულ პატარა იყო, და შვედს უკვირდა, საიდან აიტაცა გოგონამ ეს სიტყვაო. მარტოობა. ყველაზე სევდიანი სიტყვა, რაც კი შეიძლება გაიგონო ორი წლის ბავშვისაგან. მაგრამ მერიმ იმდენი და ისე ადრე შეითვისა, თავიდანვე იმდენად ლალად და გონივრულად ლაპარაკობდა... შეიძლება ამიტომაც დაება ენა - ყველა იმ სიტყვის გამო, რომლებიც რაღაც ზეზუნებრივი უნარის წყალობით უკვე იცოდა, როდესაც სხვა ბავშვები საკუთარ სახელებს ძლივს გამოთქვამდნენ; იმ ზეწოლის გამო, რომლითაც ემოციური სისტემა გადატვირთა მისმა ლექსიკამ, და, კერძოდ, სიტყვებმა: „მარტოობას ვგრძნობ“.

ერთადერთი, ვისთანაც მერის ლაპარაკი შეეძლო, მამამისი იყო. „მამიკო, მოდი, ვილაპარაკოთ“. მათი საუბრები ძირითადად დედას ეხებოდა. დედა ზედმეტად ზრუნავდა იმაზე, თუ როგორ უნდა ჩაეცვა მერის, როგორ უნდა დაევარცხნა თმა. დედა ცდილობდა, მერის დიდვით სცმოდა და არა ისე, როგორც სხვა ბავშვებს ეცვათ. მერის სურდა, გრძელი თმა ჰქონოდა, პატის მსგავსად, დედას კი უნდოდა, რომ მას მოკლე თმა ჰქონოდა. „დედა ბედნიერი იქნება, ფორმის კაბა რომ ვატარო, ისეთი, როგორიც თვითონ ეცვა სენტ-ჯენევიევის სკოლაში“. „დედა, უბრალოდ, კონსერვატორია. მაგრამ შენ ხომ გსიამოვნებს მასთან ერთად მაღაზიებში სიარული?“ „კი, ყველაზე მეტად მსიამოვნებს, როდესაც მაღაზიების შემოვლის შემდეგ გემრიელად ვისუსნები. ზოგჯერ ტანსაცმლის არჩევაც მსიამოვნებს. მაგრამ დედა ძ-ძ-ძალიან ბ-ბ-

ბევრს ლაპარაკობს“. სკოლაში მერი არასოდეს ჭამდა იმას, რასაც დედა ატანდა. „ქეზიანი ბუტერბროდები საზიზღრობაა. პაშტეტიანიც საზიზღრობაა. თინუსს ყოველთვის წვენი გასდის და ჩანთას მისვრის. ერთადერთი, რაც მომწონს, ვირჯინიული ლორია, ოღონდ მკვრივი კანი უნდა მოაშორო. ც-ც-ც-ც-ცხელი წ-წ-ვნიანი მიყვარს“. მაგრამ თუ სკოლაში ცხელი წვენიანი მიჰქონდა, აუცილებლად ამსხვრევდა თერმოსს. თუ პირველ კვირას არა, მეორე კვირას - აუცილებლად. დოუნი უმტვრევ თერმოსებს ყიდულობდა, მაგრამ მერი მათაც ამსხვრევდა. ასეთი ძლიერი იყო მასში განადგურებისადმი მიდრეკილება.

როდესაც მეგობარ პატისტან ერთად რაიმეს აცხოვდა, კვერცხებს ყოველთვის მერი ტეხდა, რადგან პატიმ თქვა, გული მერევა, როდესაც კვერცხებს ვტეხო. მერი ამას სისულელედ მიიჩნევდა. ერთხელ კვერცხი პირდაპირ მეგობრის ცხვირწინ გატეხა და პატის გული აერია. ასეთი იყო მისი სწრაფვა განადგურებისადმი - თერმოსების მსხვრევა და კვერცხების ტეხა. და გადაყრა ყველაფრისა, რასაც დედა ატანდა სკოლაში საუზმობისთვის. მერი არაფერს ამბობდა, უბრალოდ, არ ჭამდა. დოუნი დაეჭვდა და ეკითხებოდა, რა ჭამეო. აღმოჩნდა, რომ მერი ზოგჯერ ისე აგდებდა სანაგვეში პაკეტს, რომ არც კი იცოდა, რა იდო მასში. „ხანდახან ისეთი აუტანელი ბავშვი ხარ“, - ეუბნებოდა დოუნი. „არაფერიც. არც ისე ა-ა-ა-უტანელი ვარ. უბრალოდ, ნუ მ-მ-მ-მეკითხები, რა ვჭამე“. გაღიზიანებული დედა პასუხობდა: „ალბათ, საკუთარი თავის ატანაც გიჭირს“. „ჩემს თ-თ-თ-თავს უფრო უკეთ ვიტან, ვიდრე ს-ს-ს-სხვები მიტანენ“. მამასთან კი მერი აღიარებდა: „ხილი რატომღაც არ მ-მ-მ-მომეწონა და გადავყარე“. „რძეც გადაგიქცევია“. „რძე გ-გ-გრილი იყო, მ-მ-მამა“. მაგრამ საუზმიანი პაკეტის ძირში ყოველთვის იდო ათცენტისანი, ნაყინის საყიდლად. და მერი ნაყინით ნაყრდებოდა. მდოგვი არ უყვარდა. მდოგვი მისი რისხვის ობიექტი იყო, სანამ მას კაპიტალიზმი შეენაცვლებოდა. „რომელ ბავშვს მოეწონება მდოგვი?“ - კითხულობდა ის. ამ კითხვის პასუხი პატი იყო: პატი მდოგვიან სენდვიჩებს გახეხილი ყველით მიირთმევდა, მერი კი - მდნარი ყველით. მერისთვის, როგორც მამასთან აღიარებდა, „ეს სრულიად მიუღებელი იყო“. ამჯობინებდა ბუტერბროდებს მდნარი ყველით, მიუნსტერულ ყველს თეთრ პურთან ერთად. სკოლის შემდეგ მერის პატი შინ მოჰყავდა და ვინაიდან თავის საუზმეს ყრიდა ხოლმე, გოგონები ამზადებდნენ ბუტერბროდებს მდნარი ყველით და მიირთმევდნენ.

ზოგჯერ ისინი, უბრალოდ, ფოლგაზე აღნობდნენ ყველს. მერი მამამისს ეუბნებოდა, საჭიროების შემთხვევაში, მხოლოდ მდნარი ყველით გავიტან თავსო. მაღაზიის აფეთქებამდე მისი ყველაზე უპასუხისმგებლო საქმიანობა, ალბათ, სკოლის შემდეგ პატისტან ერთად ყველის დნობა და ხარბად ჭამა იყო. გოგონა ვერ ბედავდა იმის თქმას, რომ პატი აღიზიანებდა - არ სურდა, ეწყენინებინა მეგობრისთვის. „საქმე ისაა, რომ როდესაც ვინმე შინ მ-მ-მ-მოგყავს, გ-გ-გარკვეული დროის შემდეგ ეს ადამიანი გბეზრდება“. მაგრამ დოუნს ყოველთვის სთხოვდა: „დედა, შეიძლება პატი ჩვენთან ვახშმად დარჩეს? დედა, შეიძლება პატიმ ღამე ჩვენთან გაათიოს? დედა, შეიძლება პატიმ ჩემი ფეხსაცმელი ჩაიცვას? დედა, თუ შეიძლება, სოფელში წაგვიყვანე...“ - თითქოს სურდა, რომ პატი მათთან რაც შეიძლება დიდხანს დარჩენილიყო.

მეხუთე კლასში სწავლისას, დედის დღეს, დოუნს საჩუქარი მიართვა. სკოლაში ბავშვებს შესთავაზეს, ხელსახოცზე დაეწერათ რაიმე პირობა დედისთვის, და მერიმ დაწერა, რომ ყოველ პარასკევს სადილს მოამზადებდა. ათი წლის გოგონას მხრივ, ეს ძალზე კეთილშობილური იყო, მაგრამ დანაპირებს ძირითადად იმის გამო ასრულებდა, რომ კვირაში ერთხელ დაბრაწული ზიტი ეჭამათ. თანაც, თუ სადილს ამზადებ, ჭურჭლის გარეცხვა აღარ გევალება. დოუნის დახმარებით, ზოგჯერ ლაზანიას ან ფარშირებულ ნიჟარებს ამზადებდა, მაგრამ ზიტის ყოველთვის თვითონ ბრაწავდა. ზოგჯერ ყველიან მაკარონს ამზადებდა, მაგრამ ყველაზე ხშირად - მაინც დაბრაწულს. „ყველი უნდა დადნეს, - ეუბნებოდა მამამისს, - მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ზემოდან ხრაშუნა ქერქი გაუჩნდეს“. როდესაც მერი სადილს ამზადებდა, შვედი იქაურობას ალაგებდა. მერის გამო ბევრი სამუშაო გაუჩნდა, მაგრამ სიამოვნებით ფუსფუსებდა სამზარეულოში. „კერძების მომზადება საინტერესოა, სუფრის ალაგება კი - არა“, - ეუბნებოდა გოგონა, მაგრამ როდესაც შვედი შვილთან ერთად შრომობდა, ასე არ ფიქრობდა. მას შემდეგ, რაც ერთი კლიენტისგან გაიგო, რომ ვინსენტის რესტორანში საუკეთესოდ ამზადებდნენ ზიტის, თვეში ერთხელ ოჯახი ამ რესტორანში დაჰყავდა. ჯერ „რედიო-სიტიში“ ან ბროდვეის რომელიმე მიუზიკლზე მიდიოდნენ, შემდეგ კი - რესტორანში. მერის მოსწონდა იქაურობა. თვითონ კი მოეწონა ახალგაზრდა ოფიციანტს, ბილის, რადგან, როგორც გაირკვა, მის უმცროს ძმასაც ებმოდა ენა. ბილი უამბობდა მერის ტელევიარსკვლავებისა და კინოვიარსკვლავების შესახებ,

რომლებიც ამ რესტორანს სტუმრობდნენ ხოლმე. „სინიორინა, იქ, სადაც მამათქვენი ზის, გუშინ დენი ტომასი იჯდა. იცით, რას ამბობს დენი, როდესაც მის მაგიდასთან მიდიან გასაცნობად?“ „არ ვ-ვ-ვ-ვიცი“, - მიუგო სინიორინამ. „ამბობს, ძალიან სასიამოვნოაო“. ორშაბათ დილას, სკოლაში, მერიმ პატის უამბო ის, რაც წინა საღამოს რესტორანში მოისმინა. მასზე ბედნიერი გოგონა არ არსებობდა. განადგურებისკენ ლტოლვაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. არსებობდა თუ არა ამქვეყნად პატარა სინიორინა, რომელიც უფრო მეტად უყვარდა დედ-მამას? არა.

შავკანიანი ქალი, რომელსაც ვიწრო ყვითელი შარვალი და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა და ყალყზე შემდგარი ფორნის ცხენივით უზარმაზარი იყო, ტორტმანით მივიდა შვედთან და ქალაქის ნაფლეთი გაუწოდა. სახე ნაიარევეებით ჰქონდა დამახინჯებული. შვედმა იცოდა: ქალი იმიტომ მივიდა მასთან, რომ ეთქვა, შვილი მოგიკვდაო. ნაგლეჯზე ასეც ეწერა. ეს იყო ბარათი რიტა კოენისგან. „სერ, - მიმართა შვედს ქალმა, - ხომ ვერ მეტყვით, სადაა აქ ხსნის არმია?“ „განა აქ ხსნის არმიაა?“ - ჰკითხა შვედმა. პასუხი, ქალის გამომეტყველების მიხედვით, უარყოფითი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქალმა თქვა: „მე მგონი, აქაა“, და ქალაქი თვალვითან ახლოს მიიტანა: „აქ წერია. ხომ არ იცით, სადაა, სერ?“ ყველაფერი, რაც იწყება „სერ“-ით და მთავრდება „სერ“-ით, ჩვეულებრივ, ნიშნავს: „ფული მინდა“. ამიტომ შვედმა ჯიბიდან რამდენიმე ბანკნოტი ამოიღო და მისცა ქალს, რომელიც ტორტმანით წავიდა და გვირაბში გაუჩინარდა. შვედს მეტი არავინ უნახავს.

კიდევ ორმოც წუთს იცდის. კიდევ ორმოცს დაიცდის, დაღამებამდე, და მეტხანსაც. მამაკაცი, რომელსაც შვიდასდოლარიანი, დაკვეთით შეკერილი კოსტიუმი აცვია, ჩამოქნდილი მაწანწალის მსგავსად, ფარნის ბოძს ზურგით მიყრდნობია. აშკარად იმ მამაკაცთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც საქმიან შეხვედრებზე დადიან, ხელშეკრულებებს დებენ, საზოგადოების წინაშე თავიანთ მოვალეობას ასრულებენ. ის დარცხვენით ყურყუტებს მიყრუებულ ქუჩაზე რკინიგზის სადგურთან. შესაძლოა, ქალაქში ჩამოსული მდიდარი კაცია, ეს ადგილი წითელი ფარნების რაიონი ჰგონია და თავს იკატუნებს, თითქოს უბრალოდ დგას და აქაურობას ათვალისწინებს; თავში ფარული აზრები უტრიალებს, გული კი გამალებით უძგერს (მართლაც უძგერს). თუ სიმართლეა ის საშინელება, რაც რიტა კოენმა ახსენა ახლაც და უწინაც, მა-

შინ ამ კაცს, მთელი ღამის განმავლობაში დგომის შემდეგ, შეიძლება იმედი ჰქონდეს, რომ ნახავს მერის დილას, როდესაც ის სამსახურში მივა. მაგრამ ბედმა გაულიმა და სულ რაღაც ორმოცი წუთის შემდეგ გამოჩნდა ის - მაღალი ქალი, რომელშიც ვერასოდეს ამოიცნობდა შვილს, აქ დადარაჯება რომ არ ერჩიათ.

კვლავ წარმოსახვამ შეაცდინა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ველარ აკონტროლებდა კუნთებს, რომელთა მართვაც ორი წლის ასაკიდან შეეძლო: მთელი შიგნეულობა, სისხლთან ერთად, უცებ ასფალტზე რომ გადმონთხეულიყო, არ გაუკვირდებოდა. ამას უკვე ველარ მოერეოდა. ამით ვერ დაბრუნდებოდა იმ დოუნთან, რომელიც მათ ახალ სახლში ცხოვრობდა. ამ ელდისგან დოუნს ველარ იხსნიდა თვით ჭერზე დამონტაჟებული, ავტომატურად მართული ნათურებიც სამზარეულოში, რომლის ცენტრიც თანამედროვე კულინარიული ტექნიკის სასწაულებრივი კუნძული იყო. შვედს ათას რვაასი ღამის განმავლობაში ამზადებდა წარმოსახვა - მკვლელი ქალიშვილის მამის წარმოსახვა - ამ საიდუმლო შეხვედრისთვის, მაგრამ მაინც ვერ მოამზადა. გარეგნობის ასეთი შეცვლა - გამოძიების ფედერალური ბიუროსგან თავის დასაცავად - უკვე მეტისმეტი იყო. მაგრამ განა შვედი უნდა გაჰქცეოდა საკუთარ პირმშოს? შიშით უნდა გაჰქცეოდა? ხომ არსებობდა მერის სული, რომელიც უნდა ენუგეშებინა. „ცხოვრება ასეთია! - ეუბნებოდა თავის თავს. - ხელს ვერ ვკრავ! ეს ხომ ჩვენი ცხოვრებაა!“ მერიმ კი უკვე დაინახა ის, და შვედი არც მოკვდა და არც გაქცეულა (ვერ გაიქცეოდა, რომც შეეძლებოდა), რადგან უკვე გვიან იყო.

ან სად უნდა გაქცეულიყო? იმ შვედთან, რომელსაც ყველაფერი ასე იოლად გამოსდიოდა ხელიდან? იმ ბედნიერ შვედთან, რომელმაც საკუთარი თავიც და თავისი ფიქრებიც დაივიწყა? იმ შვედ ლევოვთან, რომელმაც ოდესღაც... მას ასევე შეეძლო ეთხოვა იმ ზორბა ზანგი ქალისთვის, დახმარებოდა საკუთარი თავის პოვნაში: „მადამ, ხომ ვერ მეტყვით, სად ვიმყოფები? დაახლოებით მაინც ხომ არ იცით, სად მივდივარ?“

მერიმ დაინახა. ან როგორ ვერ უნდა დაენახა? განა ვერ შეამჩნევდა ხალხმრავალ ადგილზეც კი (და არა მხოლოდ ამ ჩამკვდარ ქუჩაში) - იქ, სადაც სიცოცხლე იყო და არა სიკვდილი? განა ვერ იცნობდა ბრბოში, მოფუსფუსე ადამიანებს შორის, რომლებიც საკუთარი მიზნებისკენ ისწრაფვიან ათასი საზრუნავის კარნახით? აქ, ამ ავბედით სიცარიელე-

ში იდგა მერის მშვენიერი, მაღალი და მოხდენილი მამა, ამქვეყნად ყველაზე ლამაზი მამა, რომელიც გარდუვალად უნდა ეცნო და რომლითაც უნდა ეამაყა ქალიშვილს. ქალიშვილი კი, ეს ამაზრზენი არსება, გამოიქცა, ქუჩა გადმოჭრა და როგორც უდარდელი ბავშვი - იმდროინდელი ბავშვი, როდესაც შვედი თვითონაც უდარდელ ბავშვს წააგავდა და ტკბებოდა იმით, რომ ქვის სახლის მახლობლად ჩამოკიდებული საქანელიდან ჩამომხტარი გოგონა მის შესახვედრად გამორბოდა - მამას ჩაეხუტა და ყელზე მოეხვია. სახიდან არ მოუხსნია გამჭვირვალე ნილაბი - კაპრონის ძველი, გაცვეთილქუსლიანი წინდა, რომელიც სახესა და ნიკაპს უფარავდა; და მერიმ უთხრა მას - კაცს, რომელიც ოდესღაც ასე სძულდა: „მამა! მამიკო!“ ეს სიტყვები დაუბრკოლებლად წარმოთქვა, ისე, როგორც ნებისმიერი ბავშვი იტყოდა. მაგრამ შვედს ეჩვენებოდა, რომ ქალიშვილი - და ტრაგედია სწორედ ეს იყო - არასოდეს არავისი შვილი არ ყოფილა.

ისინი დგანან და გულამოსკვნით ქვითინებენ: მამა - წესიერების ბურჯი, რომელსაც არ შეუძლია აიტანოს ქაოსის უმცირესი ნიშანიც კი; რომლისთვისაც ქაოსის მოთოკვა ინტუიციურად არჩეული გზაა გარკვეულობისკენ - ყოფითი მოცემულობა, ცხოვრების მკაცრი მოთხოვნა; შვილი - თავად ქაოსი, რომელიც ჯაინად იქცა.

შვედმა არ იცოდა, ვინ იყვნენ ჯაინები, მაგრამ მერიმ აუხსნა. მოთმინებით, მწყობრად, ჟღერტულით - სახლში ყოველთვის ასე ილაპარაკებდა, მშობლების ფხიზელი ზედამხედველობის ქვეშ ერთხელ მაინც რომ დაეძლია ენაბრგვნილობა. ჯაინები მცირერიცხოვანი ინდური რელიგიური სექტაა - კაცისთვის ეს გასაგები იყო. მაგრამ რასაც მერი აკეთებდა, ჯაინისტური რიტუალები იყო თუ მისი საკუთარი გამოწვინი, შვედმა არ იცოდა. თუმცა ქალიშვილი ამბობდა, რომ მთელი მისი მოქმედება რელიგიური გრძნობების გამოხატულებას წარმოადგენდა.

მერი სახეზე ქსოვილს იფარებდა, რათა ჰაერში მობინადრე მიკროსკოპული არსებები არ დაეზიანებინა; არ ბანაობდა მდინარეში, რადგან პატივს სცემდა ყოველგვარი არსების სიცოცხლეს, პარაზიტი მწერების ჩათვლით. არ რეცხავდა, რათა, მისი თქმით, „ზიანი არ მიეყენებინა წყლისთვის“. დაბნელებისას აღარ მოძრაობდა, საკუთარ ოთახშიც კი, რათა რომელიმე ცოცხალი არსებისთვის ფეხი არ დაეზიანებინა. „არსებობენ სულები, - განმარტავდა ის, - რომლებიც მატერიის ყოველგვარი ფორმის ტყვეები არიან. და რაც უფრო დაბალია სიცოცხლის ფორმა, მით უფრო მძაფრ ტკივილს განიცდიან იქ გამომწყვდეული სულები“. მატერიისგან გათავისუფლებისა და „თვითკმარი სამარადისო ნეტარების“ მიღწევის გზას წარმოადგენდა, როგორც მერი მოწიწებით ამბობდა, „სრულყოფილ სულად“ ქცევა, რაც შესაძლებელი იყო მხოლოდ მკაცრი ასკეტიზმისა და თვითუგულებელყოფის, ასევე აჰიმსის, ანუ არაძალადობრივი დოქტრინის წყალობით.

თავისი ხუთი „აღთქმა“ ბარათებზე დაეხეჭდა და მტვრიან იატაკზე დაგებული ბინძური ვიწრო ლეიბის თავზე მიემაგრებინა. აი, აქ ეძინა, ხოლო ვინაიდან ერთ კუთხეში დაგებული ლეიბისა და მეორეში დაყრილი ჩვრების - მისი ტანსაცმლის - გარდა, ოთახში არაფერი იყო, ის, როგორც ჩანს, აქვე იკვებებოდა მწირი საკვებით, რათა შიმშილით არ მომკვდარიყო. საერთოდ, თითქოს ოლდ-რიმროკიდან ავტომანქანით ორმოცდაათი წუთის სავალზე კი არ ცხოვრობდა, არამედ - დელიში ან

კალკუტაში, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე; და არა როგორც ასკეტური პრაქტიკებით განწმენდილი მარტვილი, არამედ - როგორც უდაბლესი კასტის ბილწი, ხელშეუხებელი წარმომადგენელი, რომელიც ძლივძლივობით მოძრაობდა გაძვალტყავებული ფეხებით.

ოთახი კლასტროფობიულად პატარა იყო, უფრო პაწაწინა, ვიდრე კამერა არასრულწლოვანთა საპყრობილეში - უძილობის დროს შვედი წარმოიდგენდა ხოლმე, როგორ ივლიდა დაპატიმრებულ შვილთან. მერის ბინამდე ისინი ფეხით მივიდნენ. გაიარეს ვეტერინარული კლინიკა, სადგური, შემდეგ - გვირაბი, რომელმაც დასავლეთისკენ მოუხვია და ისინი მაკარტერ-ჰაივეიზე გამოიყვანა. ეს იყო მხოლოდ ას ორმოცდაათ ფუტამდე სიგრძის გვირაბი, მაგრამ ისეთი, რომლის გავლისას ავტომანქანების მძღოლები კარებს კეტავენ ხოლმე. განათება საერთოდ არ იყო, ხოლო მგზავრების სავალ გზაზე ავეჯის ნაფოტები, ლუდის ქილები, ბოთლები და გაურკვეველი საგნების ნამტვრევები, ასევე ავტომანქანების სანომრე ნიშნები ეყარა. ალბათ იქაურობა ათი წლის განმავლობაში არ დაესუფთავებინათ, შეიძლება, საერთოდაც არ დაესუფთავებინათ. ყოველ ნაბიჯზე მინის ნამსხვრევებს ფეხქვეშ ხრამახრუმი გაჰქონდა. შუაგზაზე ბარის მაღალი ტაბურეტი იდგა. საიდან გაჩნდა აქ? ვინ მოიტანა? ეგდო მამაკაცის დაგრეხილი შარვალის. ბინძური. ვისი იყო? რა მოუვიდა მის მფლობელს? შვედს არ გაუკვირდებოდა, მოგლეჯილი ხელი ან ფეხი რომ ენახა. გზაზე მოზრდილი ტომარა გადაეღობათ. შავი პოლიეთილენის ტომარა. მაგრად შეკრული. რა იყო მასში? გვამი ჩაეტეოდა. იყვნენ ცოცხალი სხეულებიც, საეჭვო შესახედაობის ადამიანები ნაგავში იქეჭებოდნენ. შავი კოჭების თავზე კი ბორბლების ყრუ ხმაური ისმოდა - ხმაური მატარებლებისა, რომლებიც სადგურში შედიოდნენ. დღეში ხუთასი, ექვსასი მატარებელი.

მაკარტერ-ჰაივეის მახლობლად, მერის ბინამდე მისასვლელად საჭირო იყო რკინიგზის ქვეშ გაყვანილი გვირაბის გავლა. ამგვარი ადგილები კი საშიშია არა მარტო ნიუარკში, არამედ ყველგან.

გზას ფეხით გაუდგნენ, რადგან მერი ავტომანქანაში არ ჩაჯდა. „მხოლოდ ფეხით დავდივარ, მამა, ავტომანქანებით არ ვმგზავრობ“. შვედმა თავისი ავტომანქანა დატოვა ათი წუთის სავალზე მერის სახლიდან, რეილროუდ-ავენიუზე, სადაც ის შეიძლებოდა მოეპარათ, და შვილს გაჰყვა. პირველივე ათ ნაბიჯში რომ არ ატირებულიყო, თავის თავს განუწყვეტლივ უმეორებდა: „ეს ცხოვრებაა. ეს ჩვენი ცხოვრებაა.“

შვილს ვერ მივატოვებ“. ხელი რომ არ ჩაეკიდა მერისთვის და საკუთარი თავისთვის რომ არ ეჩიჩინებინა მთელი იმ დროის განმავლობაში, როდესაც ამ საშინელ გვირაბში მიდიოდნენ: „ეს ჩემი შვილის ხელია. ეს მერია. არაფერია უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მერის ხელი“ - ატირდებოდა. იმიტომ ატირდებოდა, რომ ექვსი-შვიდი წლის მერის მამასთან ერთად „მეზღვაურობანას“ თამაში უყვარდა. ერთმანეთს უყვიროდნენ: „სწორდი! სმენა! თავისუფლად!“ მერის მოსწონდა მამასთან ერთად მარშით სვლა - „ნაბიჯით იარ! მარცხნისაკენ! ზურგისაკენ! მარჯვენისაკენ!“ - და ხალისით უხმობდა ეკიპაჟს: „ჰეი, გემბანზე!“ მიწას „გემბანს“ უწოდებდა, სააბაზანოს - გემის ქიმს, სამზარეულოს კი - კამბუზს. მაგრამ ყველაზე მეტად უყვარდა, მამის მხრებზე რომ იჯდა და მისი ნაბიჯების რიტმის შესაბამისად მღეროდა, როდესაც დოუნის ძროხების საძებრად მიდიოდნენ: „ლე-რა, ლე-რა, ლერა, იო, ლე-რა. ლე-რა, ლე-რა, იო...“ და ენა არ ებმოდა. როდესაც „მეზღვაურობანას“ თამაშობდნენ, არც ერთ სიტყვაზე არ შეფერხებულა.

ოთახი პირველ სართულზე იყო, სახლი კი, ალბათ, ასი წლის წინ პანსიონი იქნებოდა, თანაც არც ისე ურიგო - რესპექტაბელური შენობა, რომელიც ქვიშაქვაზე კოხტად დაწყობილი აგურით იყო აგებული, ნაჭედი რკინის მომრგვალებული მოაჯირით აგურისავე კიბის გასწვრივ, რომლითაც ორსაგდულიან კართან ადიოდით. ახლა ეს იყო ნანგრევი ვიწრო ქუჩაზე, სადაც, მის გარდა, მხოლოდ ორი შენობა დარჩენილიყო. ასე გასინჯეთ, ნიუარკის ორი ძველი ცაცხვიც გადარჩენილიყო. სახლი იდგა მიტოვებულ საწყობებსა და უშენ ადგილებს შორის, სადაც სარეველა ბალახში ყოველ ნაბიჯზე ეყარა დაჟანგებული რკინის ნაჭრები. კარის თავზე ფრონტონი არ ჩანდა - ამოეტეხათ და მოეპარათ. ლავგარდნებიც გულმოდგინედ ამოეტეხათ და ნიუ-იორკში წაეღოთ რომელიმე ანტიკვარულ მაღაზიაში გასაყიდად. ქვის ორნამენტებიანი ლავგარდნები ნიუარკის არც ერთ ძველ შენობას აღარ ჰქონდა - დღისით-მზისით ამწიანი ავტომანქანით (რომელშიც ოთხი ათასი დოლარის ღირებულების მოწყობილობა იყო) მოდიოდნენ და მისი კაბინიდან მეოთხე სართულის ლავგარდნებსაც კი ხსნიდნენ. პოლიციელს კი ან ეძინა, ან მოქრთამული იყო. არავინ აჩერებდა იმათ, ვინც ამგვარად დაძროდა ქალაქში ფულის საშოვნელად. ესექსის ძველისძველი ბაზრის ფრიზზე - ვაშინგტონისა და ლინდენის ქუჩების კუთხეში - გამოსახული იყო ინდაურები და უზარმაზარი სიუხვის რქები, რომლები-

დანაც ხილი ცვიოდა. ისიც მოიპარეს. ამბობდნენ, შენობაში ხანძარი გაჩნდაო. მეორე დღეს კი ფრიზი უკვე აღარ ჩანდა. შავკანიანთა დიდი ეკლესიების (რომელთაგან ბაპტისტური დახურეს, ხის დაფებით აჭედეს, გაძარცვეს და ბოლოს, დაანგრიეს, ხოლო უიკლიფის პრესბიტერიანული ეკლესია ხანძარმა გაანადგურა) ლავგარდნებიც გააქრეს. ალუმინის წყალსადენი და სადრენაჟო მიწები დასახლებული შენობებიდანაც კი მოიპარეს. მოიპარეს ყველაფერი, რის მოპარვაც შეიძლებოდა. აიღე და წაიღე. დახურული ფაბრიკებიდან სპილენძის მიწები მოაძრეს და გაყიდეს. ხის ფიცრებით აჭედილი ფანჯრები თითქოს ყველას მოუწოდებდნენ, მოდი და პირწმინდად მოასუფთავე აქაურობაო. თუკი რამე დარჩა - აიღე, გაქურდე, გაყიდეო. ეს ეკოსისტემის კვებით ჯაჭვს წააგავდა. ავტომანქანით ჩაუვლი შენობას, რომელზე კიდია აბრა: „იყიდება“, მასში კი გასაყიდად ვარგისი არაფერია. ყველაფერი წაიღეს მძარცველებმა, რომლებიც ავტომანქანებით დაძრწიან; იმათ, ვინც ქალაქში მაღაზიის ურიკებით დახეტილობენ; ქურდებმა, რომლებიც მარტო „მუშაობენ“. სასოწარკვეთილი ადამიანები ყველაფერს იპარავენ. ისე ხარბად ესევიან „საკბილოს“, როგორ ზვიგენები - თევზებს.

„როგორც კი ორიოდ აგურს დაინახავენ, - მოთქვამდა შვედის მამა, - ფიქრობენ, რომ კირის დულაბის გამოყენება ჯერ კიდევ შესაძლებელია, ამიტომ თხრიან აგურს და ჩიჩქნიან დულაბს. რატომაც არა? ეს ხომ დულაბია! სეიმურ, ნიუარკისგან ჩონჩხი დარჩა. თავს უშველე“.

ქუჩა, რომელზეც მერი ცხოვრობდა, აგურებით იყო მოკირწყლული. მთელ ქალაქში, ალბათ, მხოლოდ ექვსიოდე ასეთი ქუჩა დარჩა. არეულობების შემდეგ სამ კვირაში ქვებისგან დაცალეს უკანასკნელი ქვაფენილი მყუდრო, ძველებურ ქუჩაზე. ყველაზე მეტად განადგურებულ ადგილებში ქვაფენილს ჯერ კიდევ კვამლი ასდიოდა, როდესაც ქალაქის გარეუბნებიდან, ღამის პირველ საათზე, ოცი კაცი სამი სატვირთო ავტომანქანით მალულად მივიდა და უკუნში ამოთხარა ქვები ვიწრო შესახვევის ქვაფენილიდან, რომელიც დიაგონალურად უერთდებოდა „ნიუარკ-მეიდს“. ისე წაიღეს, რომ პოლიციელებს არაფერი გაუგიათ. მეორე დღეს, როდესაც შვედი ფაბრიკაში მივიდა, ქუჩა აღარ იყო.

„ახლა ქუჩებს იპარავენ? - იკითხა მამამისმა. - ნიუარკი საკუთარ ქუჩებსაც ვეღარ უვლის? სეიმურ, აქედან უნდა აიბარგო!“ ეს იყო კე-

თილგონიერების ხმა.

მერის ქუჩა ორასი ფუტის სიგრძისა იყო და გადიოდა სამკუთხედზე მაკარტერსა - სადაც, როგორც ყოველთვის, დღედაღამ განუწყვეტლივ მოძრაობდნენ მძიმე სატვირთო ავტომანქანები - და მალბერი--სტრიტის ნანგრევებს შორის. შვედს ახსოვდა, რომ მალბერი ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში ჩინური კვარტალი იყო. ნიუარკელი ლევოვები - ჯერი, სეიმური, დედა, მამა - ჩამწკრივებულები აღიოდნენ ხოლმე ერთ-ერთი ოჯახური რესტორნის ვიწრო კიბეზე, რათა კვირა საღამოს პირი ჩაეტკბარუნებინათ „ჩოუ-მეინით“, შემდეგ კი ავტომანქანაში მამა ვაჟიშვილებს უყვებოდა უჩვეულო ამბებს მალბერი-სტრიტზე ჩინელი „ტონგების“ უწინდელი შეტაკებების შესახებ.

წარსული. წარსული ამბები. წარსული ამბები აღარ არსებობდა. არაფერი აღარ არსებობდა. იყო გაცრეცილი და წყლისგან დამძიმებული, გადაგდებული, ბოძზე მიყუდებული ლეიბი, რომელიც ლოთი კაცის კარიკატურას წააგავდა. თუმცა ბოძზე ჯერ კიდევ ეკიდა ქუჩების მაჩვენებელი. ეს იყო და ეს.

მერის სახლის სახურავიდან რომ გაგეხედათ, ნახევარ მილში ცას ეფარებოდა ნიუარკის საქმიანი კვარტალის სილუეტი, რომლის ფონზეც ჩანდა ნაცნობი, გამამხნევებელი სამი სიტყვა, ყველაზე მანუგეშებელი სამი ინგლისური სიტყვა, რომლებიც უზარმაზარი თეთრი ასოების ჩანჩქერად ეშვებოდა ძირს - კონტად მოპირკეთებული ათსართულიანი კლდის ფასადზე. ოდესღაც აქ ხალხმრავალი ქალაქის ცენტრი იყო. ამ სამ მანუგეშებელ სიტყვას შეეძლო ადამიანის სულში ხვალინდელი დღის რწმენა ჩაენერგა. ისინი ადამიანებს ჰპირდებოდნენ ფინანსურ დამოუკიდებლობას, სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ურყეობას, საზოგადოებრივ პროგრესს, პერსპექტივებს, ღირსებას. ჯერ კიდევ თვითმფრინავიდან, როდესაც ის ჩრდილოეთის მხრიდან საერთაშორისო აეროპორტისკენ ეშვებოდა, დაინახავდით ამ სამუდამოდ აღბეჭდილ სიტყვებს: ბანკი საუკეთესო გარანტიით.

აი, ეს დარჩა, და ეს სიცრუე იყო. „საუკეთესო!“ ყველაზე უარესი და არა - საუკეთესო. ბანკი, რომელიც არავითარ გარანტიას არ იძლევა. ქვემოთ, იმ ქუჩების კუთხეში, სადაც ახლა მისი ქალიშვილი ცხოვრობდა - უფრო უარესად, ვიდრე ცხოვრობდნენ მისი წინაპრები, როდესაც ოკეანე გადმოცურეს და პრინს-სტრიტზე, ნაქირავებ ბინაში დასახლდნენ - მოჩანდა გიგანტური სარეკლამო აბრა, რომელიც სიმართლეს

ჩქმალავდა. მხოლოდ შეშლილი თუ დაიჯერებდა ამ სიტყვებს. ამ ზღაპარს.

სამი თაობა. იზრდებოდა. მუშაობდა. ფულს აგროვებდა. წარმატებას აღწევდა. სამი თაობა, რომელიც შეყვარებული იყო ამერიკაზე. სამი თაობა, რომელიც ხალხის ნაწილად იქცა. მეოთხისთვის ახლა ყველაფერი მარცხით დასრულდა. ქვეყნის სრული ვანდალიზაციით.

მერის ოთახს ფანჯარა არ ჰქონდა. იყო მხოლოდ ვიწრო ფრამუგა კარის თავზე, რომელიც შარდის სუნით აყროლებულ ექვსმეტრიან ბნელ დერეფანში გადიოდა. დერეფანში შემოსვლისთანავე, როდესაც სიმყრალე იგრძნო, შვედს ჩამონგრეული კედლების მუშტით განგრევა მოუხდა. დერეფანსა და ქუჩას ჰყოფდა კარი, რომელსაც კლიტე და სახელური არ ჰქონდა, და, რა თქმა უნდა - არც მინა ორნაკვთიან ჩარჩოში. არსად ჩანდა წყალგაყვანილობის ონკანი ან რადიატორი. შვედს ვერ წარმოედგინა, როგორი ტუალეტი უნდა ყოფილიყო აქ და, საერთოდ, იყო თუ არა ის. ეჭვობდა, რომ მერისთვის, ისევე, როგორც ჰაივეიდან ან მალბერი-სტრიტიდან შემოხეტებული მაწანწალებისთვის, ტუალეტის დანიშნულებას დერეფანი ასრულებდა. მერის უკეთესი, გაცილებით უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობები ექნებოდა, დოუნის ძროხა რომ ყოფილიყო. ფარდულში, რომელსაც ჯოგი თავს აფარებდა ავდრის დროს, ცხოველები ერთმანეთს თავიანთი სხეულებით ათბობდნენ და ზამთრისთვის უფრო ხშირი ბეწვიც ეზრდებოდათ. მერის დედას კი ყოველ დილას, ყინვაში, დილის ექვს საათამდე მიჰქონდა თივა მათ გამოსაკვებად. შვედმა გაიფიქრა, რომ საქონელი, ალბათ, ზამთრობითაც საკმაოდ კარგად ცხოვრობდა. გაახსენდა წყვილი, ეგრეთ წოდებული „განდგომილები“ - დოუნის ბებერი ხარი, მეტსახელად გრაფი, და ფაშატი სალი. ადამიანის სიცოცხლის მასშტაბით, ისინი სამოცდაათი თუ სამოცდათხუთმეტი წლისანი იქნებოდნენ და უკვე „ცალი ფეხი სამარეში ედგათ“, როდესაც ერთმანეთი იპოვეს და განუყრელნი გახდნენ. სადაც ერთი მიდიოდა, მეორეც მიჰყვებოდა, ყოველთვის ერთად იყვნენ და ამიტომ ჯანმრთელნი და ბედნიერნი გახლდნენ. სასიამოვნო იყო მათი ყოველდღიური ბედნიერი ცხოვრების ყურება. შვედს გაახსენდა, როგორ წვებოდნენ ისინი მზიან ამინდში მიწაზე და გვერდებს მზეს აფიცებდნენ. გაიფიქრა, სჯობდა, ჩემი ქალიშვილი ძროხად ქცეულიყო და არა ჯაინადო.

შვედს არ ესმოდა არა მარტო ის, თუ როგორ შეეძლო მერის, პარიას მსგავსად, ამ ბოსელში ცხოვრება, ან როგორ გადაიქცა ძეხნილად მკვლელობის გამო, არამედ - ისიც, თუ რით შეუწყვეს ხელი მან და დოუნმა ყოველივე ამას. როგორ მოხდა, რომ მათი უმნიშვნელო ნაკლოვანებები ამ არსებაში აღიბეჭდა? არაფერი რომ არ მომხდარიყო, მერი შინიდან რომ არ წასულიყო, სკოლა დაემთავრებინა, კოლეჯში შესულიყო, მაინც შეექმნებოდა პრობლემები, მნიშვნელოვანი პრობლემები. ნაადრევად გაუჩნდა ამბოხისადმი მიდრეკილება - ვიეტნამის ომის გარეშეც რთული ცხოვრება ექნებოდა. ამბოხით და საკუთარი თავაწყვეტილობით ტკბობა შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო. მაგრამ შინ იქნებოდა. საკუთარ სახლში ცოტა ხანს აურევ, შემდეგ კი დაწყნარდები. აქ სიამოვნებას ყოველთვის აგიმღვრევინ და არ მოგცემენ იმ წერტილამდე მისვლის საშუალებას, როდესაც ერთხელ, ორჯერ, სამჯერ არევის შემდეგ გადაწყვეტ: ეს ისეთი კარგია, ისეთი კარგი - რატომაც არ უნდა აურიო? საკუთარ სახლში არაა იმის შესაძლებლობა, რომ ასეთ სიბინძურეში ჩაიძირო. საკუთარ სახლში ცხოვრება გარკვეულ წესრიგს გულისხმობს. იქ აუცილებლად მოთოკავ თავს. სახლი უზარმაზარი უფსკრულია სამყაროს შენეულ ხატსა და იმას შორის, თუ როგორ წარმოგიდგება ის სინამდვილეში. მაგრამ ეს დისონანსი აღარ არსებობს, არაფერი არღვევს მერის სულიერ სიმშვიდეს. აი, ესაა მერის ოლდრიმროკული ფანტაზიები, რომლებმაც ამ შემზარავ კულმინაციამდე მიიყვანა.

მათ უბედურებაში ბრალი დროს მიუძღვის - საკმარისი არ იყო დრო, რომელსაც მერისთან ატარებდნენ. როდესაც შვილზე ზრუნავ, როდესაც ის შენთანაა, შეძლებ დაეხმარო. როდესაც შვილთან ხანგრძლივი და უწყვეტი ურთიერთობა გაქვს, მაშინ ამ გამუდმებული, მოთმინებით აღსავსე კავშირის წყალობით ყველა დაბრკოლება - ორივე მხარის მცდარი მსჯელობების შედეგი - თანდათან, ნელ-ნელა ქარწყლდება და, საბოლოოდ, ყველაფერი ლაგდება, მშობლების მოთმინების შედეგი დამაკმაყოფილებელია... მაგრამ ახლა... რა უნდა ქნას ახლა? დოუნი მოიყვანოს, რომ შვილი ნახოს? დოუნი - გაცისკროვნებული, აჭიმული ახალი სახით და მერი - დაგლეჯილი სვიტერით და ჩაფართხუნებული შარვლით, შავი რეზინის ქოშებით, რომელთაც სააბაზანოში იცვამენ ხოლმე, ფეხმოკეცილად მჯდარი ჩალის ლეიბზე, თვინიერი და მშვიდი, სახეზე აფარებული ამაზრუნენი ჩვრით? როგორი

ფართო მხრები აქვს - ისეთივე, როგორც მას, შვედს. მაგრამ ამ ძვლებზე ხორცი არ ასხია. ის, ვინც შვედის წინ იჯდა, მისი შვილი - ქალი ან გოგონა როდი იყო; მის წინაშე იყო ადამიანის პაროდია, ნატურალური ზომის ადამიანის მაკეტი, საფრთხობელასავით ჩაცმული და თითქოს ჯოხებისგან შეკოწიწებული - საფრთხობელა, როგორც ცხოვრების სიმბოლო, რომელიც ღარიბი ფერმერის ეზოს ამშვენებს; მხოლოდ ჩიტი თუ მიიჩნევდა ამ არსებას ლევოვების ოჯახის წარმომადგენლად. როგორ უნდა მოეყვანა აქ დოუნნი? გაევლოთ მაკარტერ-ჰაივეი, შემდეგ ეს ქუჩა, საწყობები, ნაგავი, ქვები, რაღაცის ნამსხვრევები... დოუნნი ამ ოთახში, ამ სიმყრალეში, ამ კედლებში... რომ აღარაფერი ვთქვათ მერის დაუბანელ სხეულზე, საშინლად გაკრეჭილ, ბინძურ თმაზე...

შვედმა ჩაიჩოქა, რათა მერის სასთუმალთან მიმაგრებული ბარათები წაეკითხა. ოლდ-რიმროკში ამავე ადგილას ეკიდა ფოტოსურათები ოდრი ჰეპბერნისა, რომელსაც თაყვანს სცემდა.

პროტესტს ვაცხადებ დიდი თუ პატარა, მოძრავი თუ უძრავი ცოცხალი არსებების მკვლელობის წინააღმდეგ.

პროტესტს ვაცხადებ მრისხანებით, სიხარბით, შიშით ან მხიარულებით გამოწვეული ყოველგვარი ცრუმეტყველების წინააღმდეგ.

პროტესტს ვაცხადებ იმის წინააღმდეგ, რომ ავილოთ - ქალაქსა თუ სოფელში - ის, რაც არ მოგვეცა, წვრილი თუ მსხვილი, ცოტა თუ ბევრი, სულიერი თუ უსულო.

პროტესტს ვაცხადებ სექსით მიღებული ყოველგვარი სიამოვნების წინააღმდეგ, განურჩევლად იმისა, ღმერთებთან ხდება ეს, ადამიანებთან თუ ცხოველებთან.

პროტესტს ვაცხადებ ყოველგვარი სიყვარულის წინააღმდეგ, განურჩევლად იმისა, სუსტია თუ ძლიერი, ზედაპირულია თუ დიადი, ჯერ კიდევ არსებულია თუ ჩამკვდარი; არავის შევიყვარებ და არც სხვებს ვაიძულებ; არ დავთანხმდები ვიყო სიყვარულის ობიექტი.

შვედი გაწაფული ბიზნესმენი გახლდათ და, საჭიროების შემთხვევაში, შეეძლო გულთბილი ადამიანის, მეგობრის ნიღბის ქვეშ - რაც მისთვის მომგებიანი იყო - საკმაოდ ანგარიშიანი ყოფილიყო, თუკი საქმე ამას მოითხოვდა. მაგრამ ამ შემთხვევაში თვით ყველაზე ფხიზელი ანგარიშიანობაც კი ვერაფერს უშველიდა. ერთ კაცს მთელ მსოფლიოში არსებული მამობრივი უნარები რომ გამოეყენებინა, მაინც ვერაფერს გახდებოდა. კიდევ ერთხელ გადაიკითხა და მაქსიმალურად სერიოზუ-

ლად გაიაზრა მერის ხუთი ალტემა. „სიწმინდის მისაღწევად - სიწმინდისათვის“, - უტრიალებდა გონებაში.

რატომ? იმიტომ, რომ მკვლევლობა ჩაიდინა, თუ იმიტომ, რომ სიწმინდე სჭირდებოდა, თუნდაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ჭიანჭველასთვისაც არ დაეზიჯებინა ფეხი? იქნებ ეს რალაცნაირად შვედთანაა დაკავშირებული? იმ სულელურ კოცნასთან? მას შემდეგ ათი წელი გავიდა, ან კი რა მოხდა ასეთი - ამაზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს და არც მერის მიუნიჭებია რაიმე მნიშვნელობა. ნუთუ ასეთი უმნიშვნელო, ბანალური, ეფემერული, გასაგები, მისატევებელი, უწყინარი რამ იქცა... არა! როგორ უნდა მოსთხოვო შვედს, რომ სერიოზულად აღიქვას ის, რაც სერიოზული არაა? მაგრამ მერიმ მამამისი უსიამოვნო მდგომარეობაში ჩააგდო, როდესაც სადილის დროს მათი ბურჟუაზიული ცხოვრების ბიწიერების შესახებ დაიწყო ლაპარაკი. როგორ უნდა მიიტანო გულთან ახლოს ბავშვური ლაქლაქი უზნეობის შესახებ? შვედი ისე მოიქცა, როგორც ნებისმიერი მშობელი მოიქცეოდა - კი არ წამოდგა და გაერიდა შვილს, სანამ ეს უკანასკნელი დაგროვილ ბოლმას ამოანთხევდა, არამედ დიდხანს უსმენდა, კვერს უკრავდა მაშინ, როდესაც ნაწილობრივ მაინც ეთანხმებოდა; და თუ ეკამათებოდა - მაგალითად, მოგებისადმი სწრაფვის მორალური გამართლებულობის საკითხში - შეძლებისდაგვარად თავშეკავებით, მოთმინებით და კეთილგონივრულად მსჯელობდა. ეს ადვილი როდი იყო, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ბავშვს ათობით ათას დოლარს ახარჯავდნენ - ორთოდონტებს, ფსიქიატრებს, ლოგოპედებს უხდიდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ ბალეტის, ცხენოსნობისა და ჩოგბურთის გაკვეთილებზე, რომელთა გარეშე მერის, მოზარდობის ასაკში, თითქოს სიცოცხლე არ შეეძლო. ასეთ ბავშვს პატივისცემა თუ არა, ოდნავი მადლიერების გრძნობა მაინც უნდა ჰქონოდა ფულადი მოგების მიმართ. შესაძლოა, საჭირო არ იყო სერიოზული ალტემა იმისა, რაც სერიოზული სულაც არ გახლდათ; შესაძლოა, იმის ნაცვლად, რომ ასე ყურადღებით, ასეთი პატივისცემით მოესმინა მერის ნაბოდვარი, შვედი მაგიდაზე უნდა გადახრილიყო და ტუჩებზე ხელი ეტკიცა გოგონასთვის.

მაგრამ თუკი ამ გზით შეიძლებოდა გაერკვია შვილი მოგების არსში, რას იფიქრებდა მერი მამამისზე? და მაინც, რომ ეტკიცა, ტუჩებში რომ ეტკიცა, ქსოვილით დაფარული პირი სერიოზულ პასუხად ჩაითვლებოდა. თავის თავს უსაყვედურებდა: „გავცხარდი, თავი ვერ შევიკავე და

ვტკიცე“. მაგრამ შვედმა სულ სხვა რამ ჩაიდინა (და ამგვარი შედეგი მიიღო) სწორედ იმიტომ, რომ მისთვის წარმოუდგენელი იყო თავშეკავების დაკარგვა; არ სურდა ან ვერ ბედავდა ამას. თავშეკავება მაშინ დაკარგა, როდესაც შვილს აკოცა. მაგრამ ეს წარმოუდგენელია. ასე არაფერი ხდება.

მაგრამ მოხდა. აი, მე და აი, ის, ამ თავის სოროში გამომწყვდეული, თავისი „აღთქმებით“.

მერის უფრო მოსწონდა, როდესაც აბუჩად იგდებდნენ. თუ შვედს უნდა გაეკეთებინა არჩევანი ბრაზიანი ფუნჩულა მერის (რომელიც ბორძიკით ლაპარაკობდა და მშობლებზე ანთხევდა თავის კომუნისტურ მრისხანებას) და ამ ნეტარ დაუბანელ მერის (რომელსაც სახეზე ჩვარი ჰქონდა აფარებული, უსასრულო თანაგრძნობით იყო აღსავსე და ძონძებში გამოწყობილ საფრთხობელას ჰგავდა) შორის, მაშინ ალბათ... მაგრამ რატომ უნდა აერჩია? რატომ იქცეოდა მერი ყოველთვის პირველივე უგუნური იდეის მონად? იმ ასაკიდან, როდესაც დამოუკიდებელი აზროვნება უნდა დაეწყო, ათასგვარი გიჟის მონაჩმას იჯერებდა. როგორ გაზარდა შვედმა ისეთი შვილი, რომელიც სკოლაში ბრწყინვალედ სწავლობდა, მაგრამ დამოუკიდებლად აზროვნება არ სურდა; შვილი, რომელიც ან გააფთრებით ესხმოდა თავს ყველაფერს, ან ყველაფერს იცავდა ამქვეყნად, მიკროორგანიზმების ჩათვლით, რომელთაც ჰაერთან ერთად ჩავისუნთქავთ ხოლმე? რატომ ისწრაფვის ასეთი ჰკვიანი გოგონა, რომ სხვებმა იფიქრონ მის ნაცვლად? რატომ არ სურს, მამასავით, საკუთარი თავის სრული რეალიზება, საკუთარი თავის ერთგულება? „სწორედ შენ არ შეგიძლია დამოუკიდებლად აზროვნება, - განუცხადა მან, როდესაც შვედმა უთხრა, თუთიყუშივით იმეორებ სხვების აზრებსო. - ტიპური წარმომადგენელი ხარ იმ ადამიანებისა, რომლებსაც დამოუკიდებელი აზროვნების უნარი არა აქვთ!“ „მართლა?“ - ჰკითხა შვედმა სიცილით. „რა თქმა უნდა! შენ ხომ უდიდესი კ-კ-კონფორმისტი ხარ! მხოლოდ იმას აკეთებ, რასაც შენგან მ-მ-მ-ოელიან!“ „ეს საშინელებაა?“ „ეს არ ნიშნავს აზროვნებას, მ-მ-მ-მამა! არ ნიშნავს! ასეთები უტვინო ავ-ავ-ავტომატები არიან! რ-რ-რ-რობოტები!“ „ჰო, - უთხრა შვედმა, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ მის ქალიშვილს ჯერ კიდევ ბოლომდე არ გაეგლო გაღიზიანებადობის ფაზა, რომელსაც დროთა განმავლობაში აუცილებლად დააღწევდა თავს, - სამწუხაროა, რომ მამაშენი კონფორმისტი ყოფილა, შენ

კი მთელი ცხოვრება წინა გაქვს“. არ შეიმჩნია, როგორი თავზარი დას-
ცა შეშუპებული, ათრთოლებული, დუქმორეული პირის ხილვამ, რომ-
ლიდანაც მერი მის სახეს ჩაქუჩივით უკაკუნებდა „რ-რ-რობოტს“. შვე-
დის აზრით, ეს ზრდის ფაზა იყო. ვერ ხვდებოდა, რომ ეს მანუგეშებ-
ლი აზრი, შესაძლოა, სწორედ „დამოკიდებული აზროვნების“ არც ისე
ცუდი მაგალითი გახლდათ.

ფანტაზია და მაგია. საკუთარი თავის მუდმივი გაიგივება ვილაც
სხვასთან. ყველაფერი დაიწყო ოდრი ჰეპბერნთან თავის უწყინარი
გაიგივებით, მაგრამ გავიდა ათი წელი და მერი მთელი არსებით ჩაიძი-
რა თავგანწირვის ამ უაზრო მითში. ჯერ უაზრო თავგანწირვა ხალხის
გულისთვის, ახლა - უაზრო თავგანწირვა სულის უბიწოების მიზნით.
რა მოჰყვება ამას - ბებია დუაირის ჯვარი? „უქრობ სანთელთან“ და
„წმინდა გულთან“ მიბრუნება? ეს ხომ გრანდიოზული ქიმერაა, უდიდე-
სი აბსტრაქცია - არასოდეს მოიქცეს ეგოისტურად თუნდაც მილიონი
წლის განმავლობაში. თავგანწირვის ყალბი, არაადამიანური საშინე-
ლება.

შვედს მაშინ უფრო უყვარდა ქალიშვილი, როდესაც ის ეგოისტუ-
რად იქცეოდა, ყველა ნორმალური ადამიანის მსგავსად, და არ მოს-
წონდა მისი ახლანდელი ნეტარი უნაკლო მეტყველება და ამაზრზენი
ალტრუიზმი.

- დიდი ხანია, რაც აქ ხარ? - ჰკითხა მერის.

- სად?

- ამ ოთახში. ამ ქუჩაზე. რამდენი ხანია, რაც ნიუარკში ცხოვრობ?

- ექვსი თვეა.

- სად...

შვედს ბევრი რამის თქმა სურდა. სურდა, ყველაფერი გამოეკითხა
და პასუხები მოეთხოვა, მაგრამ იყურა. ექვსი თვე. ნიუარკში - ექვსი
თვე. რეალობის შეგრძნება უეცრად დაკარგა. ცნობიერებაში დარჩა
მხოლოდ ეს ორი აუტანელი სიტყვა, რომლებიც განურჩეველი კილოთი
ითქვა: ექვსი თვე.

შვედი იდგა და შვილს დაჰყურებდა. მთელი ძალით მიეყრდნო კე-
დელს, ოდნავ შესამჩნევად გადაქანდა ქუსლებზე, თითქოს სინჯავდა,
შეეძლო თუ არა კედელში გაღწევა და შვილისგან გაქცევა. შემდეგ ოდ-
ნავ წინ დაიხარა - თითქოს იმისთვის, რომ ხელში აეტატებინა და წა-
ეყვანა. არ შეეძლო, ოლდ-რიმროკში, თავის მყუდრო სახლში დაბრუ-

ნებულიყო და სცოდნოდა, რომ მერი აქ რჩებოდა - ძონძებში ჩაცმული, პირზე აფარებული ჩვრით, ისეთი მარტოსული, როგორც არავინ იყო ამქვეყნად; რამდენიმე ღუიმის მანძილზე დერეფნიდან, რომელიც ადრე თუ გვიან შთანთქავდა ამ ოთახს, მასთან ერთად.

ის უკვე თხუთმეტი წლის ასაკში შეიშალა, შვედი კი სიკეთისა და სისულელის გამო ითმენდა მის გამოხდომებს და ფიქრობდა, რომ ეს მხოლოდ მისთვის მიუღებელი მსოფლმხედველობა იყო, რომელსაც მერი მეამბოხურ ყრმობასთან ერთად დაძლეოდა. და აი, რა მოხდა. მომხიბვლელი დედ-მამის უმახინჯესი შვილი. პროტესტს ვაცხადებ ამის, იმის, ყველაფრის წინააღმდეგ! რა არის ეს? ყველაფერთან ერთად, პროტესტს აცხადებს დედ-მამასთან მსგავსების წინააღმდეგ! იმის გამო, რომ დოუნი ოდესღაც „მის ნიუ-ჯერსი“ იყო? ნუთუ ცხოვრებას შეუძლია ასე გაგანადგუროს? არა. ამას არ დავუშვებ!

- დიდი ხანია, რაც ჯაინი გახდი?
- ერთი წელია.
- საიდან გაიგე მათ შესახებ?
- რელიგიურ ლიტერატურას ვკითხულობდი.
- მერედით, რამდენს იწონი?
- საკმარისზე მეტს, მამა.

უზარმაზარი თვალის ფოსოები ჰქონდა. ქსოვილიდან ნახევარი ღუიმით ზევით დიდი ჩაშავებული თვალის ფოსოები მოუჩანდა, მათგან რამდენიმე ღუიმით ზევით - თმა. მერის ხშირი და გრძელი თმა კი არა, ზურგზე რომ სცემდა ხოლმე, არამედ ისეთი, როგორც თითქოს შემთხვევით აღმოჩნდა მის თავზე. ჯერ კიდევ ქერა, შვედის თმის მსგავსად, მაგრამ ისე უმნოდ გაკრეჭილი, თითქოს ვიღაცამ თმაზე შური იძიაო. ვინ შეკრიჭა? ეს თვითონ მერიმ გააკეთა თუ ვიღაც სხვამ? ალბათ მერის, იმ ხუთი ალტემის შესასრულებლად, არაფერი არ უგულებელუყვია ისე ბარბაროსულად, როგორც თავისი მშვენიერი თმა.

- ისე გამოიყურები, თითქოს შიმშილობ, - თითქმის ამოიკვნესა შვედმა და უნებურად გამოამჟღავნა საშინელი მღელვარება, თუმცა აპირებდა, თავშეკავებით ელაპარაკა. - რით იკვებები?

- მცენარეებს ვანადგურებ. ჯერჯერობით საკმარისად ვერ თანავუგრძნობ, რომ ამაზე უარი ვთქვა.

- ესე იგი, ბოსტნეულით იკვებები? ამაში ცუდი არაფერია. საჭირო არაა ბოსტნეულზე უარის თქმა. რატომ უნდა თქვა უარი?

- ეს პირადი უცოდველობის საკითხია. სიცოცხლის წინაშე მოწიწების საკითხი. პირობა დავდე, ზიანი არ მივაყენო არც ერთ ცოცხალ არსებას: არც ადამიანს, არც ცხოველს, არც მცენარეს.

- თუ ასე მოიქცევი, მოკვდები. რას ნიშნავს „პირობა დავდე“? არაფერი უნდა ჭამო?

- ეს ძალიან ღრმა კითხვაა. რა ჭკვიანი ხარ, მამა! შენ მეკითხები: „თუ პატივს სცემ სიცოცხლის ყველა ფორმას, როგორ უნდა იცოცხლო?“ პასუხი ასეთია: ვერ იცოცხლებ. წმინდა ჯაინი, ტრადიციულად, თავის ცხოვრებას ამთავრებს სალა ხანას - შიმშილით სიკვდილის გზით. რიტუალური სიკვდილი სალა ხანათი - საზღაურია, რომელსაც სრულყოფილი ჯაინი იხდის თავისი სრულყოფილების სანაცვლოდ.

- ვერ დავიჯერებ, რომ შენ ამბობ ამას! შეიძლება ჩემი აზრი გაგიზიარო?

- რა თქმა უნდა.

- ვერ დამიჯერებია, რომ ისეთ გონიერ ადამიანს, როგორც შენ ხარ, არ ესმის, თუ რას ამბობს, როგორ იქცევა და რატომ. ესე იგი, დადგება ისეთი მომენტი, როდესაც აღარ მოინდომებ არავითარი სიცოცხლის ხელყოფას, მცენარეულისაც კი, და საერთოდ მიატოვებ ჭამას, ანუ სასიკვდილოდ გადადებ თავს. ვისთვის, მერი? რისთვის?

- არა უშავს. არა უშავს, მამა. მესმის, ვერ ეგუები ამ აზრს, მაგრამ ხვდები, რას ვამბობ, რას და რატომ ვაკეთებ.

ისე ელაპარაკებოდა, თითქოს შვედი ბავშვი იყო, თვითონ კი - მისი მშობელი. მხოლოდ გაგებასა და თანაგრძნობას ამჟღავნებდა, თვინიერი ადამიანის შემწყნარებლობას. შვედი ოდესღაც თვითონაც ასე ექცეოდა შვილს, რომელსაც ეს არაფერში წაადგა. კაცი გაღიზიანდა. შემლილის ღმობიერება. და მაინც, არც კარისკენ გაექანა და არც ქალიშვილისკენ - გონიერ მამად რჩებოდა. უგუნური შვილის გონიერი მამა. რაიმე მოიმოქმედე! რაიმე! გონიერების გამო გონიერებას უგულვებლყოფ! ეს ბავშვი საავადმყოფოშია მისაყვანი. ღია ზღვაში ფიცარზე წოლა უფრო საშიში როდია, ვიდრე მერისთვის მის აწინდელ მდგომარეობაში ყოფნა. გემის ქიმს გადააბიჯა და ახლა კითხვების დასმის დრო აღარაა. მერი დაუყოვნებლივ უნდა იხსნას.

- მითხარი, სად შეისწავლიდი რელიგიებს?

- ბიბლიოთეკებში. იქ ძებნას არ დამიწყებდნენ. ხშირად ვიმალებოდი ბიბლიოთეკებში, ასე რომ, კითხვა შემეძლო. ბევრს ვკითხულობდი.

- ბავშვობის დროსაც ბევრს კითხულობდი.
- მართლა? მიყვარს კითხვა.
- გამოდის, რომ იქ ეზიარე ამ რელიგიას. ბიბლიოთეკაში.
- ჰო.

- ტაძარი? დადიხარ რომელიმე ტაძარში?

- ამ რელიგიას ტაძარი არ სჭირდება. არც ღმერთი. ღმერთი იუდეურ-ქრისტიანულ რელიგიაშია. ღმერთს შეუძლია თქვას: „მიიღე ეს ცხოვრება“. და მაშინ მკვლელობა არა მარტო ნებადართულია, სავალდებულოც კი ხდება. მთელი ძველი აღთქმის არსი ესაა. თვით ახალ აღთქმაშიც არის ამგვარი ამბები. იუდაიზმი და ქრისტიანობა ამტკიცებენ, რომ სიცოცხლე ღმერთის კუთვნილებაა. წმინდაა არა სოცოცხლე, არამედ ღმერთი. ჩვენთვის კი მთავარია არა ღმერთის უზენაესობა, არამედ სიცოცხლის სიწმინდე.

დოქტრინასთან ზიარებული, თავიდან ფეხებამდე იდეოლოგიური ჯავშნით დაცული ადამიანის მონოტონური დუდუნი - მონოტონური, მომნუსხველი სიმღერა იმათი რეპერტუარიდან, რომელთა ბობოქარი სულის მოთოკვაც მხოლოდ ზელოგიკური ბოდვის მარწუხებით შეიძლება. ამ მწყობრ მეტყველებაში ცხოვრების სიწმინდე კი არ შეიმჩნეოდა, არამედ თვით სიცოცხლე ხმიანობდა.

- რამდენი ხართ? - ჰკითხა შვედმა. თან მთელი ძალ-ღონით ცდილობდა გაეაზრებინა მერისეული განმარტებები, რომლებიც მხოლოდ გონებას ურევდა.

- სამი მილიონი.

სამი მილიონი შეშლილი? წარმოუდგენელია. ასეთ ოთახებში ცხოვრობენ? სამი მილიონი ადამიანი ასეთ სოროებში ცხოვრობს?

- სად არიან ისინი, მერი?

- ინდოეთში.

- ინდოეთის შესახებ არ გეკითხები. ინდოეთი არ მაინტერესებს. ჩვენ ინდოეთში არ ვცხოვრობთ. რამდენი ხართ ამერიკაში?

- არ ვიცი. ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

- ალბათ ძალიან ცოტანი ხართ.

- არ ვიცი.

- მერი, იქნებ მხოლოდ შენ ხარ?

- ჩემს სულიერ მოგზაურობაში მარტოდმარტო ვიყავი.

- არ მესმის, მერი, არ მესმის. ლინდონ ჯონსონიდან აქამდე როგორ მიხვედი? როგორ მოხვდი პუნქტ ა-დან პუნქტ ძ-ში, რა კავშირია მათ შორის? მერი, აქ რალაც შეუსაბამობაა.

- მათ შორის კავშირი არსებობს. გარწმუნებ, არსებობს. ყველაფერი ურთიერთდაკავშირებულია. მაგრამ შენ ვერ ხედავ ამას.

- შენ ხედავ?

- ჰო.

- მაშინ მიაბე. განმიმარტე, რომ მიხვდე, რა დაგემართა.

- ეს ყველაფერი ლოგიკურია, მამა. არ მიყვირო. აგიხსნი. ყველაფერი ურთიერთდაკავშირებულია. ამაზე ბევრი ვიფიქრე. აი, ასეა საქმე: ჯაინისტური ცნება არაძალადობრივი ბრძოლისა ახლობელი იყო მაჰათმა განდისთვის. ის ჯაინი კი არა, ინდუსტი იყო, მაგრამ როდესაც ეძებდა ინდოეთში ჭეშმარიტ - დასავლური კულტურით შეურყვნელ - ინდოელებს, რომლებიც, კეთილი საქმეების კეთების მხრივ, არ ჩამორჩებოდნენ ქრისტიან მისიონერებს, არჩევანი ჯაინებზე შეაჩერა. ჩვენ ბევრნი არა ვართ. ინდუსტები არ გახლავართ, მაგრამ ჩვენი წარმოდგენები ინდუსტურს ენათესავება. ჯაინიზმი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეექვსე საუკუნეში წარმოიშვა. მაჰათმა განდიმ ჩვენგან ისესხა არაძალადობრივი ბრძოლის ცნება. გულისგული ვართ იმ ჭეშმარიტებისა, რომელმაც წარმოშვა მაჰათმა განდი, ხოლო მაჰათმა განდი - არაძალადობრივი ბრძოლის ქადაგების გამო - გულისგულია იმ ჭეშმარიტებისა, რომელმაც წარმოშვა მარტინ ლუთერ კინგი. მარტინ ლუთერ კინგი კი გულისგულია იმ ჭეშმარიტებისა, რომელმაც წარმოშვა მოძრაობა სამოქალაქო უფლებებისთვის. სიცოცხლის ბოლოს, როდესაც მხოლოდ სამოქალაქო უფლებების დაცვა აღარ აკმაყოფილებდა და უფრო ფართო ხედვა ჰქონდა; როდესაც წინ აღუდგა ვიეტნამის ომს...

ენა აღარ ებმოდა. უწინ მეტყველებისას სახე ემანჭებოდა, ფერი მისდიოდა და ხელს მაგიდაზე აბრავუნებდა. ლაპარაკის საჭიროება თითქოს აქცევდა მებრძოლ მოლაპარაკედ, რომელსაც სიტყვები უტევდნენ და რომელიც გამწარებით უკუაგდებდა მათ. ახლა კი ის მოთმინებით, კეთილგანწყობით ლაპარაკობდა, კვლავ მონოტონური დუდუნით, რასაც რელიგიური ადამიანის უნაზესი კილო შეჰპაროდა. ყველაფერს, რასაც ვერ უშველა დღიურმა, ლოგოპედმა და ფსიქიატრმა, მერიმ იოლად მიაღწია ჭკუიდან შემლის შემდეგ. როდესაც ლატაკ და ბინძურ განდეგილად იქცა, რომელსაც საშინელი საფრთხე ემუქრე-

ბოდა, მენტალური და ფიზიკური ძალაუფლება მოიპოვა ყოველ წარ-
მოთქმულ ბგერაზე. მეტყველების დეფექტი ინტელექტს ხელს აღარ
უშლიდა.

სწორედ ინტელექტი ჩანდა იმაში, რასაც შვედი ისმენდა. მერის
სწრაფი, მახვილი, გამჭრიახი გონება, ლოგიკური აზროვნება, რომელიც
ჯერ კიდევ ბავშვობისას გამოამჟღავნა. და უეცრად ისეთმა სულიერმა
ტკივილმა გამსჭვალა შვედის არსება, როგორც ვერც კი წარმოედგინა.
ინტელექტი უვნებლად გადარჩა, მაგრამ მერი შეიშალა. მის მსჯელო-
ბაში ნიშანწყალიც არ შეიმჩნეოდა არგუმენტირების უნარისა, რომე-
ლიც ათი წლის ასაკში ჰქონდა. შვედის მხრივ, აბსურდი, უაზრობა იყო
შვილთან საუბრისას მისი გონიერების იმედად ყოფნა... უნდა იჯდე და
თავი მოაჩვენო, თითქოს პატივს სცემ მის რელიგიურ გრძნობებს, მა-
შინ, როდესაც ამ რელიგიას აბსოლუტურად არ ესმის, რა არის და რა
არ არის სიცოცხლე. ორივენი ისე იქცევიან, თითქოს შვედი აქ ცოდნის
მისაღებად მოვიდა. სასაცილოა. მერი ლექციას უკითხავს!

- ხსნა, ჩვენი აზრით, გარეშე ძალასთან ადამიანის სულის შერწყმა
როდია. ჯაინისტური რწმენის არსი მდგომარეობს ჩვენი ფუძემდებ-
ლის, მაჰავირას ნათქვამში: „ადამიანო, საკუთარი თავის მეგობარი
ხარ. რატომ ეძებ სხვა მეგობარს?“

- მერი, ეს შენ ჩაიდინე? უნდა ვიცოდე. ეს შენ ჩაიდინე?

შვედი აპირებდა, ეს კითხვა მოსვლისთანავე დაესვა, მანამ, სანამ
დანარჩენი შემზარავი ამბების გადარჩევასა და განხილვას დაიწყებდა.
ეჩვენებოდა, რომ აყოვნებდა - არ სურდა, მერის ეფიქრა, თითქოს მა-
მამისს აინტერესებდა კიდევ რაიმე, შვილთან დიდი ხნის ნანატრი შეხ-
ვედრის, მასზე და მის კეთილდღეობაზე ზრუნვის გარდა. მაგრამ ახლა,
როდესაც კითხვა დაუსვა, მიხვდა, რომ ეშინოდა იმისა, რასაც ის უპა-
სუხებდა.

- რა ჩაიდინე, მამა?

- შენ დადე ბომბი ფოსტაში?

- კი.

- ჰემლინის მაღაზიის აფეთქებაც გინდოდა?

- სხვაგვარად მოქცევა არ შემეძლო.

- შეგეძლო სხვაგვარად მოქცეულიყავი. მერი, ვინ გაიძულა?

- ლინდონ ჯონსონმა.

- ეს პასუხი არაა. არა! მიპასუხე. ვინ დაგიყოლია? ვინ ჩაგინერგა ეს აზრი? ვისთვის გააკეთე ეს?

უნდა იყვნენ რალაც გარეშე ძალები. ლოცვაში ხომ ნათქვამია: „ნუ შეგვიყვანებ ჩუენ განსაცდელსა“. თუ ადამიანებს სხვა ადამიანები არ მართავენ, მაშინ რატომაა ეს ლოცვა ასე ფართოდ გავრცელებული? გოგონა, რომელსაც, ღვთის წყალობით, არაფერი აკლდა, საკუთარი ნებით ასე არ იმოქმედებდა. მშობლებს უყვარდათ. მოყვარულ, ზნეობრივ და წარმატებულ ოჯახში გაიზარდა. ვინ დაიყოლია და შეაცდინა?

- როგორ ებლაუჭები წარმოდგენას შენი უმანკო ნაშიერის შესახებ, - შენიშნა მერიმ.

- ვინ იყო ის? ნუ იცავ! ვინაა პასუხისმგებელი?

- მამა, შეგიძლია მხოლოდ მე შემიძულო. ავიტან.

- მარწმუნებ, რომ ყველაფერი საკუთარი ნებით ჩაიღინე. თანაც, იცოდი, რომ ჰემლინიც დაზარალდებოდა. ეს გინდა თქვა?

- ჰო. ამაზრზენი არსება ვარ. შემიძულე.

შვედს გაახსენდა მერის მიერ მეექვსე-მეშვიდე კლასში, ჯერ კიდევ მონტესორის სკოლაში, მორისტაუნის სკოლაში გადასვლამდე დაწერილი პასუხები. მოსწავლეებს სთხოვეს ეპასუხათ ათ კითხვაზე, რომლებიც ფილოსოფიას ეხებოდა. თითო კვირას თითო კითხვაზე უნდა ეპასუხათ. პირველი კითხვა ასეთი იყო: „რა არის თქვენი დანიშნულება ამქვეყნად?“ მერიმ ისე არ უპასუხა, როგორც ყველამ: „ის, რომ სიკეთე დავთესო“. გოგონას პასუხი ასეთი იყო: „როგორია ადამიანისმაგვარი მაიმუნების დანიშნულება?“ მასწავლებელმა ეს არასრულ პასუხად მიიჩნია და მერი შინ გაგზავნა, რათა უფრო სერიოზულად მოეფიქრებინა პასუხი. „განავრცე აზრი“, - უთხრა მასწავლებელმა. მერი შინ დაბრუნდა და ისე მოიქცა, როგორც უბრძანეს. მეორე დღეს ჩააბარა ფურცელი კიდევ ერთი შეკითხვით: „როგორია კენგურუების დანიშნულება?“ მაშინ მასწავლებელმა პირველად შენიშნა, რომ მერის სიჯიუტე ახასიათებდა. უკანასკნელი კითხვა ასე ჟღერდა: „რა არის სიცოცხლე?“ გოგონას პასუხმა მშობლებს იმ საღამოს ღიმილი მოჰგვარა. სანამ დანარჩენი მოსწავლეები ბეჯითად ცდილობდნენ თავიანთი ვითომდა ღრმა აზრების გადმოცემას, მერიმ ერთი საათის განმავლობაში მერხთან ჯდომისა და ფიქრის შემდეგ დაწერა ერთადერთი ორიგინალური წინადადება: „სიცოცხლე, უბრალოდ, დროის მოკლე მონაკვეთია, როდესაც ცოცხლობ“. „იცი, - თქვა შვედმა, - ეს უფრო ჭკვიანური აზრია,

ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ის ხომ პატარაა - საიდან მიხვდა, რომ სიცოცხლე ხანმოკლეა? ჩვენი გოგონა ნაადრევად განვითარებული ბავშვია. ჰარვარდში უნდა გავგზავნოთ“. მაგრამ მასწავლებელი მაინც უკმაყოფილო იყო და პასუხს მიაწერა: „სულ ეს არის?“ „დიახ, - გაიფიქრა შვედმა ახლა, - სულ ეს არის. მადლობა ღმერთს, სულ ეს არის; მაგრამ „ეს“ აუტანელი რამაა“.

შვედმა ყოველთვის იცოდა სიმართლე: ხელშეწყობა სულაც არ იყო საჭირო, რომ მერის შინაგან მრისხანებას ეფეთქა. ის უშიშარი იყო, უშიშარი. მასწავლებელს სხვა ბავშვებმა დაუწერეს, რომ სიცოცხლე იყო ფასდაუდებელი ჯილდო, ადამიანის წინაშე გადაშლილი უდიდესი შესაძლებლობები, ღვთის წყალობა და ბრწყინვალე ასპარეზი. მერიმ კი დაწერა, რომ სიცოცხლე, უბრალოდ, დროის მოკლე მონაკვეთია, როდესაც ცოცხლობ. დიახ, ასეთი იყო მისი შეხედულება. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მისი ამბოხი უნდა დასრულებულიყო მკვლელობით და სხვა არაფრით. სხვა შემთხვევაში ყველაფერი ამ საშინელი გულგრილობით არ დამთავრდებოდა.

შვედი ცდილობდა, გონებისთვის მოეხმო. ძალიან ცდილობდა. რა უნდა თქვას გონიერმა ადამიანმა ამის შემდეგ? ამ ელდის შემდეგ - თუ შეიკავებს ცრემლებს, რომლებიც შეიძლება კვლავ მოადგეს თვალებზე გაგონილისა და მერის გულგრილობის გამო (რა გულგრილად საუბრობდა წარმოუდგენელი ამბების შესახებ!)? როგორ უნდა შეინარჩუნოს კეთილგონიერება, რა უნდა თქვას? რას ამბობს კეთილგონიერი, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მამა, თუკი, რა თქმა უნდა, მამობრივ გრძნობებს კვლავ განიცდის?

- მერი, გითხრა, რას ვფიქრობ? ვფიქრობ, რომ ჩადენილის გამო სასჯელის გეშინია. ვფიქრობ, რომ გადაწყვიტე, თავი კი არ აარიდო სასჯელს, არამედ თვითონ დაისაჯო თავი. ეს ძნელი მისახვედრი არაა, ჩემო კარგო. არა მგონია, რომ ერთადერთი ადამიანი ვიყო, რომელიც შენი დანახვისას ამას იფიქრებს. კარგი გოგო ხარ და ამიტომ გინდა მოინანიო. მაგრამ ეს მონანიება არაა. სასამართლოც კი უფრო ღმობიერი იქნებოდა შენ მიმართ. მოვალე ვარ, ეს გითხრა, მერი. გულწრფელად უნდა გითხრა, რას ვფიქრობ შენზე.

- რა თქმა უნდა.

- შეხედე, რა ღლეში ჩაიგდე თავი - თუ ასე გააგრძელებ ცხოვრებას, მოკვდები. კიდევ ერთი წელიც და მოკვდები, მოკვდები შიმშილისგან,

საკვების ნაკლებობისგან, სიბინძურისგან. არ შეიძლება, ყოველდღე იარო რკინიგზის ქვეშ. ის გვირავი სავსეა მაწანწალებით, რომლებსაც არ აინტერესებთ შენი აზრები. მათი სამყარო ულმობელი სამყაროა, მერი, შემზარავი სამყარო - ძალადობის სამყარო.

- თითსაც არ დამაკარებენ. იციან, რომ მიყვარს ისინი.

ამ სიტყვებმა, მერის საშინელმა ინფანტილიზმმა და სენტიმენტალურმა სიბრმავემ შევდს გული აურია. ისეთი რა ნახა ამ უბედურ, განწირულ, ნაგავში მოფუთფუთე ადამიანებში, რომ მათზე ამგვარი წარმოდგენა შეექმნა? ღვთის გლახა და სიყვარული? როგორ შეიძლება, ოდნავი თანაგრძნობა მაინც განიცადო მაწანწალის მიმართ, რომელიც რკინიგზის ქვეშ, გვირაბში ცხოვრობს? რა საშინელებაა! მერის ენა აღარ ებმის, მაგრამ სისულელეებს როშავს. შვედი ოცნებობდა, რომ მისი შესანიშნავი, ნიჭიერი შვილი ერთ დღეს შეუფერხებლად ალაპარაკდებოდა - და ეს მოხდა. ნუთუ მხოლოდ იმისთვის დაძლია სასწაულებრივად შფოთვა და მღელვარება, რომ ქარიშხლიან სულში გამეფებული ავადმყოფური სიმშვიდისა და გულგრილობის განსახიერება გამხდარიყო? შურისძიებაც ასეთი უნდა. ეს გინდოდა, მამიკო? მიიღე!

ყველაზე უარესი ისაა, რომ ძალზე მწყობრად განმარტავს და ჰყვება ყველაფერს.

შვედს, მისდა უნებურად, ხმაში სიმკაცრე შეეპარა:

- ეს ყველაფერი ცუდად დამთავრდება, მერედით. შენ დღეში ორჯერ სცდი მათ მოთმინებას. ასე გააგრძელე და ნახავ, რას ფიქრობენ ისინი შენს სიყვარულზე. მათ შიათ, მერი, და სიყვარული როდი შიათ... მოგკლავენ.

- ჩემთვის ეს ახალი დაბადება იქნება.

- დარწმუნებული არა ვარ, ჩემო კარგო. სულაც არა ვარ დარწმუნებული.

- მაგრამ დასაშვებად მიიჩნევ, რომ ჩემი ვარაუდი ისეთივე სწორია, როგორიც - შენი, მამა?

- ეს ნიღაბი მაინც მოიხსენი, სანამ ვლაპარაკობთ. მინდა დაგინახო.

- ესე იგი, გინდა ნახო, როგორ მებმის ენა?

- არ ვიცი, ამის წყალობით ხომ არ დაძლიე შენი დეფექტი. შენი ნათქვამის მიხედვით, საქმე სწორედ ამგვარადაა. ესე იგი, როდესაც ენა გებმოდა, ცდილობდი, ზიანი არ მიგეყენებინა ჰაერისა და მასში მცხოვრები ორგანიზმებისთვის. ასეა? სწორად გაგიგე?

- ჰო.

- კარგი... ეს ყველაფერი კიდევ რომ მჯეროდეს, მაინც ამას ვიტყო-
დი: შენს დეფექტს, საბოლოოდ, შეეგუებოდი. რა თქმა უნდა, გაგიჭირ-
დებოდა. მაგრამ თუ ამ წყეული დაავადების დასაძლევად ასე უნდა
მოქცეულიყავი... მინდა ვიცოდე... არის თუ არა ეს საუკეთესო გამოსა-
ვალი.

- ჩემი საქციელი მოტივებით არ აიხსნება, მამა. შენს ქცევას კი ნამ-
დვილად არ ავხსნიდი რაიმენაირი მოტივებით.

- მე ნამდვილად მაქვს მოტივები. მოტივები ყველას აქვს.

- ნუ დაიყვან სულიერ ძიებებს ამგვარ ფსიქოლოგიამდე. ეს არ გე-
კადრება.

- მაშინ ამიხსენი! გამაგებინე! როგორ განმარტავ, რომ როდესაც
დაადექი ამ გზას... რომელიც, ჩემი აზრით, ტანჯვის გზაა და სხვა არა-
ფერი... როდესაც გადაწყვიტე, ნამდვილად გეტანჯა - ეს კი მართლაც
ტანჯვაა და სხვა არაფერი, - ხმა უთრთოდა, მაგრამ მაინც ლაპარა-
კობდა და აიძულებდა თავს, ყოფილიყო გონიერი, გონიერი, პასუხის-
მგებელი, პასუხისმგებელი, - მაშინ, მხოლოდ მაშინ - გესმის? - დაძ-
ლიე ენაბლუობა?

- ხომ გითხარი. სულიდან ამოვიძირკვე ვნებები და ეგოიზმი.

- ჩემო საყვარელო! ჩემო პატარა! - შვედი უმწეოდ დაემზა ბინძურ
იატაკზე და მთელი ძალ-ღონით ცდილობდა, თავშეკავება არ დაეკარ-
გა.

ამ პაწაწინა ოთახს, სადაც ისინი ერთმანეთის მახლობლად ისხდნენ,
მხოლოდ ბინძურ ფრამუგაში შემოჭრილი შუქი ანათებდა. მერი სი-
ნათლის გარეშე, ბოგანოსავით ცხოვრობდა. რატომ? ელექტრობის წი-
ნაალმდეგაც პროტესტს აცხადებდა? ელექტრობის გარეშე ცხოვრობდა,
უარაფროდ ცხოვრობდა. ამგვარად, მერი ნიუარკში უარაფროდ ცხოვ-
რობდა, მამამისი კი ცხოვრობდა ოლდ-რიმროკში და არაფერი აკლდა,
შვილის გარდა. ამისთვისაც ბედის მადლიერი უნდა ყოფილიყო? ბოგა-
ნოთა შურისძიება მდიდრების, მესაკუთრეთა მიმართ. ეს ეგრეთ წოდე-
ბული ბოგანოები, თვითმარქვია რიტა კოენები, ყოველთვის თავიანთი
მშობლების უბოროტეს მტრებს ემხრობოდნენ; საკუთარ ცხოვრებას
მათი კეთილისმსურველი ადამიანებისთვის ყველაზე მეტად საძულვე-
ლი მოდელების მიხედვით აგებდნენ.

ოდესლაც მერიმ მუყაოზე ორფერი ლოზუნგი დაწერა და შვედის მოსწავლეობისდროინდელი ფეხბურთის ალმის ადგილას, თავისი მაგიდის თავზე დაკიდა. ამ თვითნაკეთი პლაკატისთვის მთელი წელი, მერის გაუჩინარებამდე, ხელი არავის უხლია. გოგონა ყოველთვის ნატრობდა, რომ ალამი დაესაკუთრებინა, რადგან ამ ნარინჯისფერ--მოყავისფრო სამკუთხედის ქვედა ნაწილზე შვედის ოდინდელმა სატროფომ, ჯერ კიდევ 1943 წელს, ხელგარჯილობის გაკვეთილზე მსხვილი თეთრი ძაფით დააქარგა: „ლევოვს - ჩვენი ქალაქის სიამაყეს. XXXX, არლენი“. პლაკატი ერთადერთი ნივთი იყო, რომელიც შვედმა მერის ოთახიდან გაიტანა და გაანადგურა, მაგრამ ამისთვის სამი თვე ემზადებოდა. სხვისი ნივთის აღება, სულერთია, ბავშვისა იყო თუ მოზრდილისა, მის პრინციპებს არ შეესაბამებოდა. მაგრამ აფეთქებიდან სამი თვის შემდეგ შვედი მერის ოთახში შევიდა და პლაკატი კედლიდან ჩამოგლიჯა. ტექსტი ასეთი იყო: „გებრძვით ყველაფერს, რაც დადებითად და ღირსეულადაა მიჩნეული თეთრტრაკიან ამერიკელთა მიერ. გავძარცვავთ, გავანადგურებთ და დავწვავთ. დედაშენს ღამეულ კომმარებში მოვევლინებით“. ქვემოთ მსხვილი კვადრატული ასოებით იყო მიწერილი: „მეტეოროლოგების პროგნოზი“. და რადგან შვედი თვინიერი კაცი იყო, ამასაც ითმენდა. სიტყვა „თეთრტრაკიანი“ - მისი შვილის ხელწერით, წითელი ასოებით, რომელთაც შავი ფანქარი ჰქონდა შემოვლებული.

შვედი, რომელიც პატივს სცემდა შვილის პირად თავისუფლებას, საკუთრების უფლებას, და ა. შ., შესაძლებლად არ მიიჩნევდა ამ ამაზრზენი პლაკატის ჩამოხსნას. სამართლიანი რისხვის წუთებშიც კი არ შეეძლო ძალადობის უმნიშვნელო აქტის ჩადენა, მაგრამ ახლა ცხადში ხედავდა კომმარულ სიზმარს, რომელიც ახდა და რომელსაც უნდა გამოეცადა მისი შემწყნარებლობის უნარი. მერი ფიქრობს, რომ თუ ხელს გაანძრევს, გარდუვალად მოკლავს უდარდელად მოფარფატე უდანაშაულო ქინქლას, ესე იგი, ისე ახლოა ბუნებასთან, რომ მის ყოველ მოძრაობას უდიდესი და კატასტროფული შედეგები მოჰყვება. შვედიც ასე იქცევა: ფიქრობს, რომ თუ ჩამოხსნის მერის მიერ ჩამოკიდებულ უგვან, ამაზრზენ პლაკატს, ამით შვილის სამყაროში შეიჭრება, ზიანს მიაყენებს მის ფსიქიკას, ხელყოფს მის - კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცულ - უფლებებს. „ჯაინი არა ვარ, - გაიფიქრა შვედმა, - მაგრამ შეიძლებოდა ვყოფილიყავი - არაძალადობრივი ბრძოლის ასე-

თივე უბადრუკი და გულუბრყვილო მომხრე ვარ. მიზნებიც იდიოტურად წმინდა მაქვს“.

- ვინ არის რიტა კოენი? - ჰკითხა შვილს.

- არ ვიცი. ვინაა?

- ქალიშვილი, რომელიც ჩემთან მოვიდა შენს დასაცავად. 1968 წელს. შენი დაკარგვის შემდეგ. ჩემთან, სამსახურში მოვიდა.

- ჩემგან არავინ მოვიდოდა. არავინ გამომიგზავნია.

- ტანდაბალი გოგონა, აფრიკული ვარცხნილობით. ფერმკრთალი. შავთმიანი. შენი საბალეტო ფეხსაცმელი, ოდრი ჰეპბერნის ალბომი და დღიური გადავეცი. მან გადაგიბირა? მან დაამზადა ბომბი? როდესაც შინ ცხოვრობდი, ვილაცას ელაპარაკებოდი ხოლმე ტელეფონით, მალულად, - მალულ საუბრებს შვედი ისეთივე „პატივისცემით ეპყრობოდა“, როგორც - პლაკატს. პლაკატი უნდა ჩამოეხია, ტელეფონი შტეფსელიდან ამოეგლიჯა, მერი კი სახლში ჩაეკეტა. - ის იყო? სიმართლე მითხარი, გთხოვ.

- მე მხოლოდ სიმართლეს ვამბობ.

- ათი ათასი დოლარი გადავეცი შენთვის გადმოსაცემად, ნაღდი ფულით. მოგცა ეს თანხა?

მერიმ გულიანად გაიცინა:

- ათი ათასი დოლარი? ჯერ არა, მამა.

- მაშინ მიპასუხე! ვინაა ეს რიტა კოენი, რომელმაც შენი ადგილსამყოფელი შემატყობინა? მელისა ხომ არაა, ნიუ-იორკიდან?

- იმიტომ მიპოვე, რომ მეძებდი. არც კი მიფიქრია, რომ ვერ მიპოვდი. უნდა გეძებნე, ამიტომაც მიპოვე.

- ნიუარკში იმიტომ ჩამოხვედი, რომ შენი ძებნა გაგეადვილებინა ჩემთვის? ამისთვის ჩამოხვედი?

- არა.

- მაშინ რატომ ჩამოხვედი? რაზე ფიქრობდი? ფიქრობდი რაიმეზე? ხომ იცი, სადაცაა ჩემი ოფისი... იცი, რომ ახლოსაა. სადაა ლოგიკა, მერი? ასე ახლოს და...

- ჩამოვედი და აქა ვარ. ესაა და ეს.

- ასეა? შემთხვევითობა, არავითარი ლოგიკა. სრულიად არავითარი ლოგიკა.

- ჩვენი სამყარო ის ადგილი არაა, სადაც შემიძლია ან მინდა ზეგავლენა მოვახდინო რაიმეზე. ზეგავლენის მოხდენას არ ვესწრაფვი. რაც

შეეხება შემთხვევითობას, შენ და მე, მამა...

-ზეგავლენის მოხდენას არ ესწრაფვი? - იფეთქა შვედმა. - არა? - ამ ზომამდე არც ერთ საუბარს არ გაუცოფებია. საშინლად თრგუნავდა „დარბაისლური“ და გულუბრყვილო კილო, რომლითაც მერი დაუბრკოლებლად წარმოთქვამდა მოარულ ჭეშმარიტებებს; მისი უეჭველი სულიერი დაავადება, ბინისა და ქუჩის შემზარავი უბადრუკობა, შემზარავი უბადრუკობა ყველაფრისა, რასაც გარშემო ხედავდა. - შენ ჩემზე ახლენ ზეგავლენას, - უყვიროდა შვილს, - ჩემზე! ქინქლებს არ კლავ, მე კი მკლავ! ზიხარ და ლაქლაქებ, შემთხვევითობაო... სწორედ ესაა „ზეგავლენა“. შენი უმწეობა ზემოქმედებს ჩემზე, ეშმაკმა დალახვროს! დედაშენზე, ბაბუაშენზე, ბებიაშენზე, ყველაზე, ვისაც უყვარხარ. ამ ჩვრის ტარება სისულელეა, მერი, სრული და აბსოლუტური სისულელე. ამქვეყნად ყველაზე ძლიერი ადამიანი ხარ!

განა სანუგეშოა იმაზე ფიქრი, რომ ეს შვედის ცხოვრება კი არაა, არამედ - სიზმარი მის ცხოვრებაში? ამის გამო ნაკლებად უბედური როდი იქნება. სანუგეშო არაა არც აღშფოთება ქალიშვილით, არც - იმ პატარა თაღლითით, რომელიც თავდაპირველად მხსნელად მიიჩნია. მზაკვარმა, ცინიკოსმა თაღლითმა მახე დაუგო, ოთხი ათწუთიანი ვიზიტის განმავლობაში უამრავი რამ გამოსტყუა. ბოროტი. თავხედი. სქელკანიანი. ღმერთმა იცის, საიდან გამოტყვრებიან ხოლმე ასეთი ბავშვები.

შვედს გაახსენდა, რომ ერთ-ერთი მათგანი მისივე სახლიდან „გამოტყვრა“, რიტა კოენი კი - უბრალოდ, ვილაცის სახლიდან. ეს ბავშვები შვედის სახლის მსგავს სახლებში გაიზარდნენ. შვედის მსგავსმა მშობლებმა აღზარდეს. და უამრავი გოგონა, რომელთა ცხოვრება მთლიანად განისაზღვრებოდა პოლიტიკით, ბიჭებზე არანაკლებ აგრესიული და აქტიური იყო - არანაკლებ უყვარდათ „საომარი აქციები“... მათ სისასტიკესა და თვითგარდაქმნის წყურვილში ერთგვარი შემზარავი სიწმინდე შეიმჩნევა. ისინი უგულებელყოფენ საკუთარ ფესვებს და მისაბაძ მაგალითებად ირჩევენ ყველაზე უდრეკ რევოლუციონერებს, საკუთარი პრინციპების ყველაზე უღმრთელ დამცველებს. უძლეველ მექანიზმებს ჰგვანან, რომლებიც განუწყვეტლივ გამოიმუშავებენ სიძულვილს - ფოლადივით მტკიცე იდეალიზმის მამოძრავებელ ძალას. მათი მრისხანება ფეთქებადსაშიშია. არაფერზე დაიხვეწენ უკან, ოღონდ კი ისტორია შეცვალონ. ჯარში გაწვევა არ ემუქრებათ, თუმცა

კი ხალისით, უშიშრად ეწერებიან ტერორისტთა რიგებში მშვიდობის დასაცავად, რადგან უკვე კარგად იციან, როგორ გაძარცვონ პისტოლეტით დაშინებული მსხვერპლი, როგორ დაასახიჩრონ და დახოცონ ადამიანები ასაფეთქებელი ნივთიერებების მეშვეობით. არ აწუხებთ არც შიში, არც ეჭვები და არც შინაგანი წინააღმდეგობა. ესენი არიან იატაკქვეშეთში მიმალული საშიში გოგონები, ბოროტმოქმედები, უმოწყალო ექსტრემისტები, სრულიად ასოციალური პიროვნებები. შვედს გაზეთებში ამოუკითხავს ჩადენილი დანაშაულებისთვის ძებნილ გოგონათა სახელები, რომლებიც თითქოსდა ომის წინააღმდეგ იბრძოდნენ: ბერნარდინი, პატრიცია, ჯუდიტი, კეთლინი, სიუზენი, ლინდა... მისი წარმოდგენით, მერი მათ იცნობდა - მათთან იყო დაკავშირებული მისი ცხოვრება. ერთხელ შვედის მამამ დაუფიქრებელი საქციელი ჩაიდინა: ნახა ტელერეპორტაჟი იატაკქვეშეთში მიმალული „მეტეოროლოგების“ შესახებ, რომელთა შორის იყვნენ მარკ რუდი, ქეტრინ ბუდენი და ჯეინ ალპერტი - ოციდან ოცდაათ წლამდე ებრაელი ვაჟები და ქალიშვილები, რომელთაც მიღებული ჰქონდათ უმაღლესი განათლება, უზრუნველყოფილი ოჯახებიდან იყვნენ, ძალადობრივი მეთოდებით უწევდნენ წინააღმდეგობას ომს და ჩაფიქრებული ჰქონდათ შეერთებული შტატების მთავრობის დამხობა. ამის შემდეგ ლუ ლევოვი ბოლთას სცემდა და ამბობდა: „მახსოვს დრო, როდესაც ებრაელი ბავშვები შინ ისხდნენ და გაკვეთილებს სწავლობდნენ. რა ხდება? ეშმაკმა დალახვროს, რა მოუვიდათ ჩვენს ჰკვიან ებრაელ ბავშვებს? თუკი, ღვთის წყალობით, მშობლებმა დროებით თავი დაიხსნეს ჩაგვრისგან, მათი შვილები მაშინვე მიზნებს ეძებენ, რომ ჩაგრულნი აღმოჩნდნენ. ამის გარეშე ვერ ძლებენ. უწინ ებრაელები ჩაგვრას გაურბოდნენ, ახლა კი სურთ, ჩაგრულნი იყვნენ. უწინ სილატაკეს გაურბოდნენ, ახლა კი სიმდიდრეს გაურბიან. ყველაფერი უკუღმა ამოტრიალდა. მშობლებს, რომლებიც მათ კარგად ექცევიან, ვერ შეიძულებენ და ამიტომ ამერიკა შეიძულეს“. თუმცა რიტა კოენი სხვაგვარი იყო: გარყვნილი გოგო და ჩვეულებრივი ქურდი.

მაგრამ თუ ასეთია, რატომ გამოუგზავნა ეს წერილი? მართლაც, რა მოუვიდათ ჩვენს ჰკვიან ებრაელ ბავშვებს? შეიშალნენ. რალაცის გამო შეიშალნენ. რალაცამ განაწყობ ისინი ყველაფრის წინააღმდეგ. რალაცამ უბიძგა კატასტროფისკენ. ესენი არ არიან ის ჰკვიანი ებრაელი ბავშვები, რომლებიც დაჟინებით ისწრაფვოდნენ წინსვლისკენ და იმას, რაც

ევალებოდათ, ყველაზე უკეთ აკეთებდნენ. ეს ბავშვები კი ყველაზე უკეთ გრძნობენ თავს, როდესაც ყველაზე უკეთ აკეთებენ იმას, რაც არ ევალებათ. მათი უნდობლობა შეშლილობაა და - მათივე მოწოდება.

და აი, ყველაზე სავალალო შედეგი: აქ, იატაკზე კიდევ ერთი რელიგიური ფანატიკოსი ზის. თუ ვერ დაიმორჩილებ სამყაროს, მაშინ თვითონ უნდა დაემორჩილო მას.

- მიყვარხარ, - უთხრა მერის, - ხომ იცი, რომ გეძებდი. ჩემი შვილი ხარ. მაგრამ შეიძლება მილიონი წელი მეძებნე - სახეზე ნიღაბს ატარებ, ორმოცდარვა ფუნტს იწონი და ღმერთმა იცის, როგორ ცხოვრობ. ვერავინ გიპოვიდა ასეთს, ამ ქალაქშიც კი. სად იყავი? - დაუყვირა მას. შვილის ღალატმა იმ ზომამდე განარისხა, რომ შვედმა იფიქრა, თავის ქალა ამიფეთქდება და ტვინი ისე გადმომელვრება, როგორც მოკლულ კენედისო. - სად იყავი? მიპასუხე!

მერიმ უამბო, სად იყო.

შვედი უსმენდა და საკუთარ თავს ეკითხებოდა: თუკი იყო კრიტიკული მომენტი მათ ცხოვრებაში, მანამ, სანამ მერი გზას ასცდებოდა, სად და როდის მოხდა ეს? ფიქრობდა, რომ ამგვარი მომენტი არ ყოფილა. მშობლები არაფრით თრგუნავდნენ მერის იმ წლების განმავლობაში, როდესაც მას თვინიერ, დამჯერ ბავშვად მოჰქონდა თავი. ფიქრობდა, რომ ყველაფერი ამაო იყო, რასაც ცხოვრებაში აკეთებდა. პროფესიული საქმიანობისთვის მზადება, პრაქტიკა, მორჩილება; სრული კონცენტრირება იმაზე, რაც მთავარი, უმნიშვნელოვანესია ცხოვრებაში; სისტემატიზაცია, ნებისმიერი - მსხვილი თუ წვრილმანი - პრობლემის საგულდაგულოდ შესწავლა; და არავითარი პასიურობა, არავითარი მოდუნება, არავითარი სიზარმაცე; ყოველი ვალდებულების პატიოსნად შესრულება, ნებისმიერ სიტუაციაში ძალისა და ენერჯის სრული ხარჯვა... რწმენის სიმბოლოთა ეს ნუსხა ისეთივე ვრცელია, როგორიც - აშშ-ის კონსტიტუცია. და ყველაფერი ამაოებათა ამაოებაა. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ამაოების სისტემატიზაციას ცდილობდა. მისი პასუხისმგებლობა მხოლოდ საკუთარი თავის შეზღუდვით ამოიწურებოდა.

ფიქრობდა, არავითარი ზეგავლენა არა მაქვს მასზე და არც არასდროს მქონიაო. მასზე ზეგავლენა აქვს მხოლოდ რაღაც საზიზღრობას. რაღაც უაზრობას. ყველანი მის ზეგავლენას განვიცდით. ამაში მოზრდილებს არ მიუძღვით ბრალი. არც ახალგაზრდებს. რაღაც სხვას.

1973 წელს, როდესაც სამი მეოთხედი იყო გასული იმ საუკუნისა, რომელმაც, დაკრძალვის რიტუალთა გარეშე, ყველგან მიმოფანტა დასახიჩრებული ბავშვებისა და მშობლების გვამები, ორმოცდაექვსი წლის ასაკში, შვედმა აღმოაჩინა, რომ ყველანი რაღაც უაზრობის ზეგავლენას განვიცდით. დამაცადეთ, თეთრტრაკიანებო, ყველას დედას გიტირებთ!

ესმოდა მათი - ყველა ამ „მეტეოროლოგის“, „პანტერის“, უანგართა გამხეცეხული, ბობოქარი არმიის წარმომადგენელთა - ხარხარი. ბოროტმოქმედად მიაჩნდათ და სულის სიღრმემდე სძულდათ, რადგან შეძლებულთა კლასს ეკუთვნოდა. ბოლოს და ბოლოს, მიხვდა! როგორ უხაროდათ, როგორ ხალისობდნენ, როდესაც ასე დაეცა მისი ნებიერა შვილი და დაინგრა მისი პრივილეგირებული ცხოვრება; ზეიმობდნენ, რადგან, ბოლოს და ბოლოს, აიძულეს გაეაზრებინა მათი სიმართლე, რომელსაც ისინი ყოველი ვიეტნამელი მამაკაცის, ქალისა და ბავშვის, ასევე ყველა ჩაგრული ამერიკელი შავკანიანის (რომლებსაც „ხმარობდნენ“ ხარბი, გაუმაძღარი კაპიტალისტები) სიმართლედ მიიჩნევდნენ. და ეს თეთრტრაკიანი უაზრობა ამერიკის ისტორიაა! ამერიკის იმპერიაა! ეს „ჩეიზ-მანჰეტენია“, „ჯენერალ მოტორსი“, „სტენდარდ ოილი“ და „ნიუარკ-მეიდი“! კეთილი იყოს შენი მობრძანება, ძალღისშვილო კაპიტალისტო! შეუერთდი ამერიკის ნახმარ კაცობრიობას!

მერიმ უამბო, რომ აფეთქებიდან პირველი სამოცდათორმეტი საათის განმავლობაში მორისტაუნში (თავისი ლოგოპედის, შეილა ზალცმანის სახლში) იმალებოდა. დაუბრკოლებლად მიაღწია შეილას სახლამდე, სადაც შეუშვეს, და დღეებს კაბინეტის მეზობელ ოთახში ატარებდა, ღამეებს კი - თვით კაბინეტში. შემდეგ დაიწყო ხეტიალი იატაკქვეშეთში. ორი თვის განმავლობაში თხუთმეტი სახელი გამოიცვალა და ოთხ-ხუთ დღეში ერთხელ ახალ საცხოვრებელ ადგილას გადადიოდა. ინდიანაპოლისში შეიფარა მღვდელმა, რომელმაც მხოლოდ ის იცოდა, რომ მერი ომის საწინააღმდეგო მოძრაობის აქტივისტი იყო და პოლიციას ემალებოდა. ერთხელ სასაფლაოზე პატარა გოგონას (რომელიც მერის დაბადების წელს დაბადებულიყო და მალევე გარდაცვლილიყო) საფლავი ნახა, გადაწყვიტა, მისი სახელი დაერქმია და შეიტანა განცხადება ვითომდა დაკარგული მეტრიკის აღდგენის თხოვნით. ასე გახდა ის მერი შტოლცი, შემდეგ ბიბლიოთეკაში ჩაეწერა და სოციალური დაზღვევის ბარათი აიღო, ხოლო როდესაც თვრამეტისა

გახდა, მართვის უფლებაც მოიპოვა. დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში მერი შტოლცი ჭურჭელს რეცხავდა მოხუცებულთა თავშესაფარში, სადაც ის მღვდელმა მოაწყო, ერთხელ კი, უეცრად, ტელეფონ-ავტომატიდან სამსახურში დაურეკა და ურჩია, სასწრაფოდ წამოსულიყო და ავტოსადგურში შეხვედროდა. იქ მღვდელმა მერის გადასცა ბილეთი ჩიკაგომდე, საიდანაც ორი დღის შემდეგ ორეგონში უნდა გადასულიყო: პორტლენდის ჩრდილოეთით იყო კომუნა, სადაც თავშესაფარს იპოვიდა. მისამართი მისცა, ფულითაც მოამარაგა - და მერი გამგზავრა ჩიკაგოში, სადაც პირველსავე საღამოს გააუპატიურეს. სადღაც შეათრიეს, ჩაკეტეს, გააუპატიურეს და გაძარცვეს. ის-ის იყო, ჩვიდმეტი წლისა გახდა.

მერიმ ჭურჭლის მრეცხავად დაიწყო მუშაობა ღვინის სარდაფში, რომელიც სულაც არ ჰგავდა მოხუცებულთა თავშესაფრის მყუდრო სამზარეულოს. ფული სჭირდებოდა ორეგონში წასასვლელად. ჩიკაგოში არ ჰყავდა მღვდელი, რომელიც დაარიგებდა, რჩევებს მისცემდა. შიშობდა, რომ თუკი იატაკქვეშელებს დაუკავშირდებოდა, შეიძლებოდა რაიმე შეცდომა დაემზა და პოლიციას ჩავარდნოდა ხელში. იმისაც კი ეშინოდა, რომ საქალაქთაშორისო ტელეფონით მღვდელთან დაერეკა ინდიანაპოლისში. კვლავ გააუპატიურეს (უკვე მეოთხე ნაქირავებ ბინაში), მაგრამ ამჯერად არ გაუძარცვავთ. ასე რომ, თვენახევრის შემდეგ კომუნაში გასამგზავრებლად საკმარისი თანხა შეაგროვა.

ჩიკაგოში ფიზიკურად გრძნობდა მარტოობას, რომელიც თითქოს ყოველი მხრიდან მჭიდროდ ეკვროდა და მის სხეულს მსჭვალავდა. არ ყოფილა დღე - და საათიც კი - როდესაც ოლდ-რიმროკში დარეკვა არ ნდომებოდა, მაგრამ იმისთვის, რომ მოგონებებს მშობლიური სახლის შესახებ მისი სულიერი წონასწორობა არ დაერღვია, სასაუზმეს პოულობდა, დახლთან ჯდებოდა და უკვეთდა სენდვიჩს ბეკონით, სალათითა და პომიდვრით და ვანილიან-რძიან კოქტეილს. ჩვეულ სიტყვებს ამბობდა, აკვირდებოდა, როგორ იხვეოდა ცხელ გრილზე ბეკონის კიდები, როგორ გამოდიოდა ტოსტერიდან პურის ნაჭრები. ფრთხილად სწევდა გვერდზე კბილის საწმენდ ჩხირებს, რათა თეფშისთვის ადგილი გაეთავისუფლებინა. ჭამდა სენდვიჩს, ყლუპებით სვამდა კოქტეილს, დიდხანს ლეჭავდა სალათის უგემურ ბოჭკოებს, წოვდა ცხიმს (რომელსაც კვამლის სუნი უდიოდა) ნაზი ბეკონიდან და სურნელოვან წვეწვს - რბილი პომიდვრიდან. ამ ყველაფერს მაიონეზიან პურს აყო-

ლებდა. ნელა ამოძრავებდა ყბებს და ლუკმებს სილოსად აქცევდა, შემდეგ კი ყლაპავდა, ისევე, როგორც დედამისის ძროხები - გობთან. საკვებზე კონცენტრირება ძალას მატებდა, რომ მარტოობისთვის გაეძლო. სენდვიჩს ჭამდა, კოქტეილიან ჭიქას ცლიდა და მხოლოდ მაშინ იხსენებდა, როგორ აღმოჩნდა აქ, და რომ ცხოვრება უნდა გაეგრძელებინა. ჩიკაგოდან გამგზავრების დროისთვის თავისი სახლი აღარ ენატრებოდა. ამის შემდეგ აღარასოდეს დაუტანჯავს ოჯახისა და მშობლიური სახლის ნახვის სურვილს.

ორეგონში მონაწილეობა მიიღო ორ აფეთქებაში.

ფრედ კონლონის მკვლელობამ არათუ შეაჩერა, პირიქით, წააქეზა კიდევ: შიშისა და სინდისის ქენჯნის ნარჩენებისგან გაათავისუფლა. უდანაშაულო ადამიანის - ისეთივე ადამიანის, როგორიც იყო მისი ნებისმიერი ნაცნობი - მკვლელობის (თუნდაც უნებურის) წინაშე შიშმა მის ცნობიერებაში არ გააღვიძა ერთ-ერთი უმთავრესი მცნება, რომელიც, დოუნისა და შვედის მცდელობათა მიუხედავად, ვერ აითვისა (რაც გასაოცარი იყო). კონლონის მკვლელობამ მხოლოდ განამტკიცა მერის, როგორც რევოლუციონერის (რომელიც წარბეზებულად გამოიყენებდა ნებისმიერ, თუნდაც ყველაზე სასტიკ მეთოდებს დანაშაულებრივი სისტემის გასანადგურებლად) იდეალისტური სულისკვეთება. მერიმ დაადასტურა, რომ თეთრტრაკიან ამერიკაში ყოველივე მართებულისადმი ოპოზიციაში ყოფნა არ ნიშნავდა მხოლოდ გრაფიტების ხატვას საწოლი ოთახის კედელზე.

- შენ მიიტანე ბომბები? - ჰკითხა შვედმა.

- კი.

- ჰემლინის მაღაზიაშიც და ორეგონშიც?

- ჰო.

- ორეგონში ვინმე დაიღუპა?

- ჰო.

- ვინ?

- ადამიანები.

- ადამიანები, - გაიმეორა შვედმა. - რამდენი ადამიანი, მერი?

- სამი.

კომუნაში საჭმელი ბლომად იყო. მის წევრებს თვითონ მოჰყავდათ ბევრი საკვები მცენარე და, ამდენად, აუცილებელი არ იყო, რომ მერის ღამლამობით სუპერმარკეტების მახლობლად ეძებნა ვადაგასული და

გადაყრილი პროდუქტები. კომუნაში იწვა ქალთან, რომელიც შეუყვარდა. ეს ქალი იმ ფეიქრის ცოლი იყო, რომლის დაზგაზეც მერი ტერორისტული აქტებისგან თავისუფალ დროს მუშაობდა. მეორე და მესამე აფეთქების შემდეგ ასაფეთქებელი მოწყობილობების მონტაჟში დაოსტატდა და ამ საქმის სპეციალისტად იქცა. დინამიტის მავთულულების შეერთება ასაფეთქებელ კაფსულთან, ხოლო კაფსულისა - მალვიძარასთან (ვულვორთის მალაზიიდან) მოთმინებასა და სიზუსტეს მოითხოვდა, მაგრამ მერის სიამოვნებას ანიჭებდა ეს სამუშაო. სწორედ იმ დროიდან დაიწყო ენაბრგვნილობის დაძლევის პროცესი. როდესაც დინამიტთან მუშაობდა, ენა არ ებმოდა.

შემდეგ იმ ქალსა და მის ქმარს შორის უსიამოვნებები დაიწყო და, მათი ოჯახის გადარჩენის მიზნით, მერი იძულებული გახდა, კომუნა მიეტოვებინა.

მან აღმოსავლეთ აიდაჰოს შეაფარა თავი და კარტოფილის მიწოდვრებში მუშაობისას გადაწყვიტა, კუბაზე გაქცეულიყო. ღამლამობით ბარაკებში ესპანურს სწავლობდა. სხვა მუშებთან თანაცხოვრების დროს თავისი შეხედულებები კიდევ უფრო განუმტკიცდა, თუმცა ხშირად ეუფლებოდა შიში მუშების წინაშე, რომლებიც თვრებოდნენ და ელლაბუცებოდნენ. მერის სჯეროდა, რომ კუბაზე, მუშების მხრივ, ძალადობა არ ემუქრებოდა. იქ შეძლებდა ყოფილიყო მერი ლევოვი და არა - მერი შტოლცი.

იმ დროისათვის დაასკვნა, რომ ამერიკაში ვერ მოხდებოდა რევოლუცია, რომელიც აღმოფხვრიდა რასიზმს, რეაქციასა და მომხვეჭელობას. ქალაქებში ბომბების აფეთქებას აზრი არ ჰქონდა - ისინი ვერაფერს დააკლებდა თერმობირთვულ ზესახელმწიფოს, რომელიც ყოველნაირად ეცდებოდა თავისი მერკანტილური პრინციპების დაცვას. ხოლო რადგანაც მერის არ შეეძლო რევოლუციის გაჩაღება ამერიკაში, ამდენად, თავი უნდა მიეძღვნა უკვე მიმდინარე რევოლუციისთვის. ეს კი ნიშნავდა დევნილობის მდგომარეობის დამთავრებას და ჭეშმარიტი ცხოვრების დაწყებას.

მომდევნო წელს მერი ეძებდა გზებს, რომელთა მეშვეობითაც მოხდებოდა კუბაზე, ფიდელთან. ამ უკანასკნელმა ხომ გაათავისუფლა პროლეტარიატი და სოციალისტური წყობილების დამყარებით აღმოფხვრა უსამართლობა. მაგრამ ფლორიდაში მერი პირველად გადააწყდა გამოძიების ფედერალურ ბიუროს. მაიამის ერთ პარკში დომინიკის

რესპუბლიკიდან გამოქცეული ადამიანები იკრიბებოდნენ ხოლმე. იქ ესპანურ მეტყველებაში გავარჯიშება შეიძლებოდა. მალე მერი პატარა ბიჭებს ინგლისურად ლაპარაკს ასწავლიდა. ისინი მას სიყვარულით ეძახდნენ La Farfulla-ს (ენაბლუს), და როდესაც ინგლისურ სიტყვებს წარმოთქვამდნენ, ხუმრობით მის მეტყველებას ბაძავდნენ. ესპანურად კი მერი შეუფერხებლად საუბრობდა, რაც კიდევ ერთი მიზეზი გახლდათ მსოფლიო რევოლუციის მკლავებში ჩასაგარდნად.

მერიმ უამბო მამამისს, რომ ერთხელ შეამჩნია, როგორ უგდებდა ყურს ბიჭებთან მის საუბარს ვიღაც შავკანიანი, საკმაოდ ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელიც მაწანწალას ჰგავდა. პარკში ის მანამდე არ გამოჩენილა. გოგომ მყისვე იაზრა, რასაც ნიშნავდა ეს. ათასჯერ უფიქრია, რომ გამოძიების ფედერალური ბიურო კვალდაკვალ მისდევდა, და ათასჯერ აღმოუჩენია, რომ ცდებოდა. ორეგონში, აიდაჰოში, კენტაკიში, მერილენდში ელანდებოდნენ აგენტები, რომლებიც უთვალთვალდნენ მაღაზიებში, სადაც მუშაობდა; სასადილოებსა და კაფეებში, სადაც ჭურჭელს რეცხავდა; მიყრუებულ ქუჩებში, სადაც ცხოვრობდა; ბიბლიოთეკებში, სადაც იმალებოდა და კითხულობდა გაზეთებს, ასევე - რევოლუციონერ მოაზროვნეთა თხზულებებს, შეისწავლიდა მარქსის, მარკუზეს, მალკოლმ ექსისა და ფრანც ფანონის (ფრანგი თეორეტიკოსის, რომლის სენტენციებსაც საწოლში ყოველ საღამოს ლოცვასავით იმეორებდა) ნაშრომებს. ისინი მხნეობას მატებდნენ, დაახლოებით ისევე, როგორც რიტუალური რძის კოქტეილი და სენდვიჩი ბეკონით, სალათითა და პომიდვრით. მუდმივად უნდა ხსომებოდა, რომ საქმის ერთგული ალჟირელი ქალი ინსტინქტურად ითავისებს როგორც „ქუჩაში მდგომი მარტოხელა ქალის“ როლს, ასევე - თავის რევოლუციურ მისიას. ალჟირელი ქალი საიდუმლო აგენტი როდია. განსწავლის გარეშე, რჩევა-დარიგებების გარეშე, აუღელვებლად გამოდის ქუჩაში - ჩანთაში სამიოდე ხელყუმბარა უწყვია. სულაც არ გრძნობს, რომ გარკვეულ როლს თამაშობს - არავის განასახიერებს. პირიქით, მიმდინარეობს დრამატიზაციის მძაფრი პროცესი, რომლის შედეგადაც ქალი რევოლუციონერად იქცევა. ალჟირელი ქალი მყისვე ტრაგედიის დონემდე მალღდება.

შვედი ფიქრობს, ნიუჯერსელი გოგონა კი იდიოტიზმის დონემდე ეშვებაო. ნიუჯერსელი გოგონა, რომელიც მონტესორის სკოლაში გაგზავნეს, რადგან ასეთი ნიჭიერი იყო; ნიუჯერსელი გოგონა, რომელიც მო-

რისტაუნის სკოლაში მხოლოდ უმაღლეს შეფასებებს იმსახურებდა - ეს ნიუჯერსელი გოგონა ახლა უხამსი თვალთმაქცობისა და ფსიქოზის დონემდე დაცემულიყო. ყველგან, ყოველ ქალაქში, სადაც იმალეობდა, გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლები ელანდებოდნენ, საბოლოოდ კი, მაიამიში ჩაავლეს, როდესაც ენის ბორძიკით ასწავლიდა ინგლისურს იქაურ ბიჭებს. როგორ არ უნდა ესწავლებინა? ზურგი უნდა შეექცია მათთვის, ვინც სილატაკეში დაიბადა, განწირული იყო სილატაკისთვის და თავს არარაობად მიიჩნევდა? მეორე დღეს, როდესაც პარკში მივიდა და ისევ ის ახალგაზრდა შავკანიანი მაწანწალა (რომელიც ამჯერად თავს იკატუნებდა, თითქოს გრძელ სკამზე, გაზეთებქვეშ ეძინა) დაინახა, მიტრიალდა, ქურჩაში გავიდა და გაიქცა. ასე მირბოდა, სანამ რომელიღაც კუთხეში არ დაინახა ზორბა ტანის ბრმა ზანგი ქალი ძალღიბით. ქალი ტოლჩას ანჯღრევდა და წყნარად იმეორებდა: „ბრმა, ბრმა, ბრმა“. მის ფეხებთან, ასფალტზე, შალის გაქუცული პალტო ეგდო. მერიმ გაიფიქრა, რომ შეიძლებოდა მასში დამალულიყო. მაგრამ ბრმა ქალს ვერ წაართვა. ამიტომ შეევედრა, მის გვერდით დადგომისა და მოწყალების თხოვნის უფლება მიეცა. ქალი დაყაბულდა. მაშინ მერიმ მუქმუშიანი სათვალე და ის პალტო სთხოვა. ზანგმა მიუგო, აილეო, და აი, ძველ პალტოში გამოწყობილი მერი უკვე მაიამის მცხუნვარე მზის ქვეშ დგას, მუქმუშიანი სათვალე უკეთია და ზანგი ქალის მონოტონური ბუტბუტის თანხლებით ტოლჩას ანჯღრევს. ის ღამე მარტომ გაატარა ხიდქვეშ, მაგრამ მომდევნო დღეს კვლავ მივიდა ზანგთან. მოწყალებას ითხოვდა, კვლავ პალტოში იყო გახვეული და მუქმუშიანი სათვალე ეკეთა. მალე ამ ქალთან და მის ძალღიბთან ერთად დასახლდა და მათ უვლიდა.

სწორედ მაშინ დაიწყო რელიგიების შესწავლა. ზანგი ქალი, სახელად ბუნისი, სპირიტუელს უმღეროდა, როდესაც დილაობით ერთ საწოლში ეღვიძებოდათ - მას, მერის და ძალღიბს. მაგრამ ბუნისს კიბო აღმოაჩნდა და მოკვდა. საშინელება იყო: ექიმები, საავადმყოფო, დაკრძალვა, რომელსაც მხოლოდ მერი ესწრებოდა. მან უკანასკნელ გზაზე გააცილა ყველაზე საყვარელი ადამიანი. ასეთი მწუხარება არასოდეს განუცდია.

იმ ერთი თვის განმავლობაში, როდესაც ბუნისი ავადმყოფობდა, მერიმ ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა წიგნები, რომელთაც სამუდამოდ ჩამოაშორეს იუდაურ-ქრისტიანულ ტრადიციას და უჩვენეს გზა აპიმის

უმაღლესი იმპერატივისკენ, სიცოცხლის უპირობო თაყვანისცემისა და ვალდებულებისკენ, ზიანი არ მიეყენებინა არც ერთი ცოცხალი არსებობისთვის.

მამამისი აღარ ეკითხებოდა თავის თავს, როდის დაკარგა კონტროლი შვილის ცხოვრებაზე, აღარ მიიჩნევდა, რომ მისი მცდელობები ამო იყო და რომ მერი რაღაც უაზრო, ამაზრზენი ძალის გავლენის ქვეშ მოქცეულიყო. ის ახლა ფიქრობდა, რომ მერი შტოლცი მისი შვილი არ იყო, რადგან მის შვილს, უბრალოდ, არ შეეძლო ამდენი ტკივილის ატანა - ის რიმროკელი ბავშვი იყო, ბედის ნებიერა, სამოთხის მკვიდრი; არ შეეძლო ემუშავა კარტოფილის მინდვრებში, ღამეები გაეთენებინა ხიდებქვეშ და ხუთი წელი გაეტარებინა დაპატიმრების შიმშილი; არ შეეძლო დაეძინა ბრმა ქალთან და ძალღატაკთან ერთად. ინდიანაპოლისი, ჩიკაგო, პორტლენდი, აიდაჰო, კენტაკი, მერილენდი, ფლორიდა - მერის არ შეეძლო მარტოდმარტო ეცხოვრა ამ ადგილებში, როგორც მაწანწალას, ლუკმაპურის მოსაპოვებლად ერეცხა ჭურჭელი, დამალოდა პოლიციას და დამეგობრებოდა ბოგანოებს, რომლებიც პარკის სკამებზე ათევდნენ ღამეებს. და, ის, რა თქმა უნდა, არასოდეს ჩამოვიდოდა ნიუარკში. არასოდეს! როგორ შეეძლო, ექვსი თვე ეცხოვრა ათი წუთის სავალზე, ეს ქსოვილი აეკრა პირზე და ყოველ დილა--საღამოს ევლო აირონზაუნდში რკინისგზისქვეშა გვირაბით, ამ სიბინძურესა და ნაგავში. არა! მისი მონაყოლი სიცრუეა. რაში სჭირდება ეს სიცრუე? იმისთვის, რომ გაანადგუროს ის, ვისაც ბოროტმოქმედად მიიჩნევენ - შვედი. ეს მონაყოლი კარიკატურაა, ბოროტი კარიკატურა, ეს ქალი კი დაქირავებული პროფესიონალი მსახიობია, რომელსაც შვედის სასოწარკვეთილებამდე მიყვანა დაავალეს, რადგან ის აბსოლუტურად განსხვავდებოდა მათგან. სურთ, სიკვდილის პირას მიიყვანონ ამბით პარიის შესახებ, რომელიც ლტოლვილი გახდა იმ ქვეყანაში, სადაც მისმა ოჯახმა ასე ტრიუმფალურად გაიდგა ფესვები. ამიტომაც არ სჯეროდა შვედს ეს მონათხრობი. ფიქრობდა: „მერი გააუპატიურეს? რა ბომბები? მერი იოლად მოსაპოვებელი საკბილოა ნებისმიერი ფსიქიატრისთვის?“ ეს ყველაფერი, უბრალოდ, დაბრკოლებები როდია. ჯოჯოხეთია. მერი ერთ ამგვარ მოვლენასაც კი ვერ გადაურჩებოდა. ოთხი ადამიანის მკვლელობას ვერ გადაიტანდა. ვერ შეძლებდა, გულგრილად ჩაედინა ეს მკვლელობები და შემდეგ ცხოვრება გაეგრძელებინა.

ბოლოს შვედი მიხვდა, რომ მერიმ ეს ვერც გადაიტანა. რაც უნდა მომხდარიყო სინამდვილეში, რაც უნდა ხვდომოდა წილად, გადაწყვეტილებამ, უგულებელყო, უკან მოეტოვებინა და დაენგრია თავისი მშობლების ცხოვრება, მერი თვითგანადგურებამდე მიიყვანა.

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ეს ყველაფერი შემთხვეოდა. ასეთი რამები ყოველდღე ხდება მთელ დედამიწაზე. შვედს წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ იქცევიან ასეთ შემთხვევებში ადამიანები.

- ჩემი შვილი არა ხარ. მერი არა ხარ.

- თუ არ გჯერა, ნუ გჯერა. იქნებ ასე უკეთესიც იყოს.

- რატომ არაფერს მეკითხები დედაშენის შესახებ, მერედით? შეიძლება გკითხო, სად დაიბადა დედა? მითხარი მისი ქალიშვილობისდროინდელი გვარი. რა ერქვა მამამისს?

- არ მინდა, ვილაპარაკო დედაჩემზე.

- იმიტომ, რომ მის შესახებ არაფერი იცი. არც ჩემ შესახებ, და არც იმ ადამიანის შესახებ, რომლაც თავს ასალებ. აღმიწერე ჩვენი სახლი ოკეანის სანაპიროზე. მითხარი, რა ერქვა შენს პირველ მასწავლებელს. რა ერქვა შენს მასწავლებელს მეორე კლასში? მითხარი, რატომ ასალებ თავს ჩემს შვილად?

- ამ კითხვებზე რომ გიპასუხო, კიდევ უფრო დაიტანჯები. არ ვიცი, რამდენი ტანჯვა შეგიძლია აიტანო.

- ჩემზე ნუ წუხნარ, გოგონი, კითხვებზე მიპასუხე. რატომ ასალებ თავს ჩემს ქალიშვილად? ვინ ხარ? ვინაა რიტა კოენი? რა ჩაიფიქრეთ? სადაა ჩემი შვილი? ახლავე პოლიციაში წავალ, თუ არ ამიხსნი, რა ხდება და არ მეტყვი, სადაა ჩემი შვილი.

- ჩემი არც ერთი საქციელი არ წარმოადგენს საფუძველს საქმის აღძვრისათვის, მამიკო.

რა კარგად იცის კანონები. არა მარტო ეს საშინელი ჯაინიზმი, არამედ - ეს სისულელეც.

- ახლა - არა. ახლა ყველაფერი, რასაც აკეთებ, უბრალოდ, საზიზღრობაა. იმაზე გეუბნები, რასაც უწინ აკეთებდი.

- ოთხი ადამიანი მოგკალი, - თქვა მერიმ, ისე, როგორც უწინ იტყოდა, ამ სალამოს ოთხი ნამცხვარი გამოვაცხვეო.

- გეყოფა! - დაუყვირა შვედმა. - ჯაინიზმი, კანონების ცოდნა, აშკარა მიაბიტობა. ეს ყველაფერი - სასოწარკვეთილების ზეგავლენით - ოთხი მოკლულის დასავიწყებლად. დაუჯერებელია! ალჟირელი ქალი

არა ხარ! არც ალჟირელი ხარ და არც - ინდოელი! ამერიკელი ხარ, ოლდრიმროკელი, ნიუ-ჯერსის შტატიდან! ამერიკელი, და თანაც შერეკილი! ოთხი კაცი მოკალი? არა!

შვედი უკვე ველარ იჯერებდა ამ ყველაფრის რეალურობას, უარყოფდა დანაშაულის ცნებასა და დანაშაულის ფაქტს. ბედი ყოველთვის ისე საიმედოდ იცავდა მერის და მას ბოროტებისგან, რომ ეს ყველაფერი სიმართლე ვერ იქნებოდა. შვედის შვილი ვერ მოკლავდა ოთხ ადამიანს. ყოველივე, რითაც ცხოვრება უზრუნველყოფდა მერის, შესაძლებლობები, რომლებსაც ცხოვრება სთავაზობდა, თვით მისი ცხოვრება - დაბადებიდან მოყოლებული - გამორიცხავდა ამას. ადამიანების მკვლელობა? ეს მათი პრობლემა არ იყო. ცხოვრებამ მოწყალედ დაიცვა იმ მოვლენებისგან. მკვლელობები სცილდებოდა ლევოვების არსებობის სივრცეს. ეს გოგო არ იყო და არ შეიძლებოდა ყოფილიყო შვედის შვილი.

- თუ ასეთი უცოდველი ხარ, რომ არ ცრუობ და არაფერს აყენებ ზიანს, დიდსა თუ პატარას - ეს კი სისულელეა, მერი, სრული სისულელე - გევედრები, სიმართლე მითხარი!

- სიმართლე მარტივია: უნდა განიწმინდო სურვილებისა და ეგოიზმისგან.

- მერი! - დაუყვირა შვედმა, - მერი, მერი! ასე ვერ მოიქცეოდი! ამას ვერ ჩაიდენდი! - და უეცრად ყველაფერმა, რასაც აქამდე გულში იკლავდა, დაუოკებელი ძალით ამოხეთქა. კაცმა თავი დაკარგა და მთელი სიმძიმით დაემხო ბინძურ ლეიბზე, სადაც მერი მოკუნტულიყო. მას წინააღმდეგობა არ გაუწევია, როდესაც შვედმა სახიდან წინდის ნიღაბი მოაძრო. წინდის ქუსლი ნიკაპზე ჰქონდა ამოცმული. არაფერია უფრო მყრალი, ვიდრე ფეხზე ნატარები ჩვარი, მერი კი მას სახეზე იკრავს. ჩვენ ის გვიყვარდა, მასაც ვუყვარდით და, შედეგად, სახეზე წინდა აქვს აფარებული.

- ილაპარაკე! - უბრძანა შვედმა.

მაგრამ მერი არ დაემორჩილა. შვედმა პირი თითებით გაულო და ამით დაარღვია პრინციპი, რომელიც მანამდე არასოდეს დაურღვევია - ძალადობის აკრძალვა. ურთიერთგაგების ყოველგვარი მცდელობა დასრულდა, თუმცა კაცმა იცოდა, რომ ძალადობა არაჰუმანური და ამაოა, ურთიერთგაგება კი ერთმანეთისთვის საკუთარი პოზიციების განმარტების ხანგრძლივი (სანამ თანხმობას არ მივალწევთ) პროცესის

შედეგია. მამამ, რომელიც არასოდეს ძალადობდა საკუთარ შვილზე, რომელსაც ძალადობა მორალური სისუსტის გამოვლინებად მიაჩნდა, შვილს პირი გაულო და ენაში თითები ჩაავლო. გოგოს მშვენიერ კბილებს ერთ-ერთი აკლდა. ესე იგი, ეს მერი არ იყო. ის ხომ წლების განმავლობაში ატარებდა ფირფიტებს, ფიქსატორებს, ყველა საშუალებას - კბილების სისწორისთვის, ღრძილების სიჯანსაღისთვის, ლამაზი ღიმილისთვის. ამიტომ ის შვედის შვილი ვერ იქნებოდა.

- ილაპარაკე! - უბრძანა შვედმა, და შეცრად იგრძნო მერის სუნი, ყველაზე საშინელი სუნი, თუ არ ჩავთვლით ხრწნადი სხეულის სიმყრალეს. უცნაურია, მაგრამ ეს აქამდე არ უგრძნია, თუმცა მერიმ უამბო, რომ არ ბანაობდა, რათა ზიანი არ მიეყენებინა წყლისთვის. სუნი არც მაშინ უგრძნია, როდესაც ქუჩაში მოეხვია და არც - ახლა, როდესაც ამ ჩაბნელებულ სოროში იჯდა. არაფერი უგრძნია, გარდა უჩვეულო, მომჟავო, გულისამრევი სუნისა, რომელიც შარდით გაჟღენთილი შენობის სუნად მიიჩნია. მაგრამ ახლა მიხვდა, რომ გოგოს გაღებულ პირიდან ამოდებდა არა შენობის, არამედ ადამიანის სუნი, გამოთავყანებული ადამიანისა, რომელსაც სიამოვნებას ანიჭებს საკუთარ განავალში ქექვა. ყარდა. მისი ქალიშვილი ტურტლიანი არსებაა, რომელსაც განავლის სუნი უდის. და ყველა ღპობადი ორგანული ნივთიერებისა. ეს მისი ბუნებრივი სუნი კი არაა, არამედ იმისა, რადაც ეს ქალი იქცა. შეეძლო ეს ჩაედინა და ასეც მოიქცა, ხოლო მოწიწება სიცოცხლის წინაშე მხოლოდ უკიდურესი უხამსობაა.

შვედი შეეცადა, ებრძანებინა რომელიმე კუნთისთვის, დაეცო ყელი და შეეჩერებინა იქიდან ამომავალი სიბინძურე, მაგრამ ამგვარ კუნთს ვერ მიაგნო. სპაზმმა კუჭის წვენი და მოუნელებელი საკვები საყლაპავ მილში ამოანთხია, ენამ ნარწყევის მომჟავო გემო შეიგრძნო და როდესაც შვედმა დაიყვირა, ვინ ხარო, მთელი ეს მასა გოგოს სახეზე დაედვარა.

სიბნელის მიუხედავად, შვედმა მყისვე იცნო ის, ვისზეც დამხობილი იყო. ნიღბის ჩამოგლეჯა სულაც არ იყო საჭირო იმისთვის, რომ მიმხვდარიყო - ნაცნობის, გასაგების ადგილი ახლა საბოლოოდ დაიკავა გაუგებარმა. მერი ლევოვის საცნობ ნიშანს აღარ წარმოადგენდა ენაბრგვნილობა, მაგრამ მისი ცნობა შეიძლებოდა თვალებით. უზარმაზარი, თითქოს სატეხით გამოკვეთილი ფოსოებიდან შვედის თვალები იმ-

ზირებოდნენ. სიმაღლითაც მას დაემსგავსა და თვალებიც მამისა ჰქონდა. პირწავარდნილი მამა იყო. ის კბილი კი ან ამოიღო, ან ჩაუტყდა.

გოგო შვედს კი არ უყურებდა, როდესაც ის კარისკენ წავიდა, არამედ ელდანაცემივით აცეცებდა თვალებს - თითქოს შიშობდა, რომ გამხეცებული კაცი იმ უწყინარ მიკროორგანიზმებს ამოწყვეტდა, ამ ვიწრო ოთახში რომ ბინადრობდნენ.

ოთხი ადამიანი. გასაკვირი არაა, რომ მერი გადაიკარგა. გასაკვირი არაა, რომ თვით შვედიც გადაიკარგა. ეს მისი ქალიშვილი იყო, მაგრამ სრულიად შეცვლილი. მკვლელობა მე ჩავიდინე. გოგოს სახეს ნარწყვეი ფარავდა და ახლა არც დედას და არც მამას არ ჰგავდა. მხოლოდ თვალები ჰქონდა იგივე. ნილაბი აღარ ჰქონდა, მაგრამ მის ქვეშ კიდევ ერთი ნილაბი აღმოჩნდა. განა ასე არ ხდება ყოველთვის?

- წავიდეთ, - შეევედრა შვედი.

- შენ წადი, მამა. წადი.

- მერი, რასაც მთხოვ, ჩემთვის აუტანელია. მთხოვ, რომ მიგატოვო. ეს-ესაა გიპოვე. გთხოვ, წავიდეთ. ჩვენს სახლში წავიდეთ.

- მამა, დამტოვე.

- კი მაგრამ, ჩემთან უნდა იყო. აქ ვერ დაგტოვებ. ჩემთან უნდა იყო.

- ხომ ვიყავით ერთად. ახლა წადი. თუ გიყვარვარ, მამა, მომეცი საშუალება, ისე ვიცხოვრო, როგორც ვცხოვრობდი.

ამქვეყნად საუკეთესო გოგონა, მისი გოგონა, გააუპატიურეს.

შვედს არაფერზე არ შეეძლო ფიქრი, იმის გარდა, რომ მერი ორჯერ გააუპატიურეს. მისი ბომბებისგან დახოცილი ოთხი ადამიანი - ფანტასტიკური, არაბუნებრივი, დაუჯერებელი რამ. სხვაგვარად ვერც იტყვი. მათი სახეების დანახვა, იმის შეტყობა, რომ ერთ-ერთი მოკლული სამი შვილის დედა იყო, მეორე ცოტა ხნის წინ დაქორწინდა, მესამე პენსიაზე უნდა გასულიყო... იცოდა თუ არა მერიმ, ვინ იყვნენ ეს ადამიანები? მისთვის სულერთი იყო, ვინ იყვნენ? ამის შესახებ შვედს წარმოდგენა არ ჰქონდა. ვერც წარმოიდგენდა. მხოლოდ გაუპატიურებაზე ფიქრობდა. საკმარისი იყო, ამაზე ეფიქრა, რომ დანარჩენის მიმართ ინტერესს კარგავდა: იჩრდილებოდა მსხვერპლთა სახეები, გარეგნობის დეტალები, მაგალითად, სათვალები ან ვარცხნილობები, ოჯახური ცხოვრებისა თუ სამუშაოს დეტალები, დაბადების თარიღები, მისამართები, თვით მათი ეჭვმიუტანელი უდანაშაულობა.

არა ერთი ფრედ კონლონი, არამედ ოთხი ფრედ კონლონი.

გაუპატიურება, გაუპატიურება გადაწონიდა სხვა ყველაფერს. მხოლოდ ეს უტრიალებდა თავში.

როგორ მოხდა? ვინ იყვნენ ის მამაკაცები? ისინი, ვინც მერის ცხოვრების ნაწილს წარმოადგენდნენ, ომის წინააღმდეგ იბრძოდნენ და მასავით იმალებოდნენ? ნაცნობები თუ უცნობები, მაწანწალები, ნარკომანები, შეშლილები... დაედევნენ, სახლში შეაღწიეს და დანით ემუქრებოდნენ? მერე? იატაკზე დააგდეს და ყელზე დანა დააბჯინეს? სცემეს? რის ჩადენას აიძულებდნენ? რატომ არავინ დაეხმარა? მაინც, რის ჩადენას აიძულებდნენ? დავხოცავ! უნდა გამიმხილოს მათი ვინაობა. მინდა ვიცოდე, ვინ იყვნენ, მინდა ვიცოდე, სად და როდის მოხდა ეს. წავიდეთ და ვნახოთ ის ნაძირალები, შემდეგ კი დავხოცავ!

შვედის წარმოსახვაში გამუდმებით ტრიალებდა გაუპატიურების სურათები. ერთი წამითაც არ ტოვებდა სურვილი, წასულიყო და ვინმე მოეკლა. მის მიერ აგებული კედლებმა ვერ დაიცვა მერი წაბილწვისგან. იცავდა შვილს, მაგრამ გაუპატიურების საფრთხისგან ვერ დაიცვა. მიამბე ყველაფერი, რაც გახსოვს! წავალ და დავხოცავ!

უკვე გვიანაა. ყველაფერი უკვე მოხდა. ეს რომ არ მომხდარიყო, ისინი მანამ უნდა დაეხოცა, სანამ ამას ჩაიდენდნენ. მაგრამ - როგორ? შვედ ლევოს? განა სპორტული მოედნის გარეთ ვინმეს შეხებია? ამ დაკუნთულ კაცს არაფერი სძაგდა ისე, როგორც ძალის გამოყენება.

ადგილები, სადაც მერი იმყოფებოდა. ადამიანები. როგორ იცხოვრებდა ადამიანების გარეშე? ხოლო ის ადგილი, სადაც ახლა იმყოფებოდა? მისი ყველა ადგილსამყოფელი ამგვარი იყო? ან იქნებ უარესი? რა თქმა უნდა, არ უნდა ჩაედინა ის, რაც ჩაიდინა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაედინა. და მაინც, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ იცხოვრობდა მთელი ამ ხნის განმავლობაში...

შვედი თავის მაგიდასთან იჯდა. ცოტა ხანს არ უნდა ეფიქრა იმაზე, რაზე ფიქრიც არ სურდა. ფაბრიკა ცარიელი იყო. მხოლოდ ღამის დარაჯი მოდიოდა ხოლმე ძაღლებთან ერთად. ახლა დარაჯი ავტოსადგომზე იმყოფებოდა და აკვირდებოდა ტერიტორიის დამცველ ორმაგ ბადეს, რომლის ზედა ნაწილშიც არეულობების შემდეგ სპირალური ეკლიანი მავთული გაუყარეს. ყოველ დილას, როდესაც შვედი მანქანას ავტოსადგომზე აყენებდა, მავთული თითქოს აფრთხილებდა: „წადი! წადი! წადი!“ ის მარტო იჯდა უკანასკნელ ფაბრიკაში, რომელიც დარჩა ამქვეყნად ყველაზე უარეს ქალაქში. ახლა სიტუაცია უფრო უარესი

იყო, ვიდრე არეულობების დროს, როდესაც იწვოდა სპრინგფილდ--
ავენიუ, იწვოდა საუთ-ორინჯ-ავენიუ და ბერგერ-სტრიტს არბევდნენ.
ყველგან გაისმოდა სირენებისა და სროლის ხმები, სახურავებიდან
სნაიპერები ესროდნენ ქუჩის ფარნებს, ქუჩებში მაროდოროთა ბრბოები
დაძრწოდნენ; ბავშვები იპარავდნენ ტრანზისტორებს, ჭალებსა და ტე-
ლევზორებს, მამაკაცები - ტანსაცმელს, ქალები მიაგორებდნენ სპირ-
ტიანი სასმელების ბოთლებით დატვირთულ საბავშვო ეტლებს; მალა-
ზიებიდან ქუჩებში გამოჰქონდათ ავეჯი - დივანები, ბავშვის საწოლე-
ბი, სამზარეულოს მაგიდები, სარეცხი მანქანები, მაცივრები და ქურე-
ბი. თანაც, იპარავდნენ არა ღამით, არამედ დღისით - დაუფარავად.
ჯგუფურად ქურდობდნენ, შეთანხმებულად „მუშაობდნენ“. ვიტრინე-
ბის მსხვრევის ხმა სასიამოვნოდ უღიტინებდა ნერვებს. ადამიანებს
ნუსხავდა საქონლის მუქთად შოვნის შესაძლებლობა. არნახული ძა-
ლით გამოვლინდა ამერიკელთა მესაკუთრული მიდრეკილებები, რაც
მალაზიების გაძარცვაში გამოიხატა. ყველას აებნა თავგზა, როდესაც
სასურველი ნივთების უფასოდ მოპოვების შესაძლებლობა მიეცა. მი-
დი, გაძარცვე! ნიუარკის აალებულ ქუჩებში, ყველიერის სამშაბათს,
ადამიანებს თითქოს მონანიების წყურვილი დაეუფლათ, ერთგვარ გან-
მწმენდ რიტუალში ჩაერთვნენ და ეს სულიერი და რევოლუციური ქმე-
დება ყველასთვის გასაგები იყო. სიურრეალისტური სურათი ვარ-
სკვლავებით სავსე ცის ქვეშ დაყრილი საოჯახო ნივთებისა, რომელთა
ზედაპირზეც ცენტრალურ ქუჩებში გაჩაღებული ხანძრების მოციმციმე
ათინათები ირეკლებოდა, თითქოს კაცობრიობის განთავისუფლებას
მოასწავებდა. დიახ, აი, ისიც! დიახ, ახლა დადგება დიდებული წუთი,
კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი უიშვიათესი გარდამტეხი მომენ-
ტი: ძველი ტანჯვანი ცეცხლს მიეცა, რათა აღარასოდეს გაცოცხლდნენ,
რამდენიმე საათში კი მათ შეენაცვლება თავზარდამცემი, ამაზრზენი,
უმოწყალო და ურიცხვი ახალი ტანჯვანი, რომელთა განადგურებას
ხუთასი წელი მაინც დასჭირდება. ამჯერად - ხანძარი, მაგრამ შემდეგ?
რა მოჰყვება ხანძარს? არაფერი. ნიუარკში არასოდეს აღარაფერი იქ-
ნება.

სანამ შვედი ვიკისტან ერთად ფაბრიკაში იმყოფება (მხოლოდ ვი-
კისტან ერთად) და ელოდება, როდის ააღდება მისი ფაბრიკა, ელოდე-
ბა პისტოლეტებით შეიარაღებულ პოლიციას, ტყვიამფრქვევებით
შეიარაღებულ ჯარისკაცებს, ელოდება, როდის დაიცავს მას ნიუარკის

პოლიცია, შტატის პოლიცია, ეროვნული გვარდია - ვინმე მაინც დაიცავს, მოასწრებს მის დაცვას მანამ, სანამ ბოლომდე გადაბუგავენ მამამისის ხელით შექმნილ საწარმოს, რომლის ხელმძღვანელობაც ლუ ლევოვმა შვილს მიანდო... მაგრამ მაშინაც კი ისე ცუდად არ გრძნობდა თავს, როგორც - ახლა... გზის გადაღმა პოლიციის ავტომანქანა ტყვიებს უშენს ბარს და შვედი ფანჯრიდან ხედავს, როგორ იხრება და ძირს ეცემა მის თვალწინ მოკლული ქალი... მაგრამ ის განცდებიც ვერ შეეძრება დღევანდელს... ხალხის ღრიანცელი, სროლის ხმები, მეხანძრეები ვერ აქრობენ ხანძარს, რადგან ტყვიების შიშით მიწას ეკვრიან. აფეთქებები. საიდანაც ბონგოს დოლების ბრაგაბრუგი ისმის. შუალამით პისტოლეტებიდან დაცხრილეს პირველი სართულის ყველა ფანჯარა, რომლებზეც ვიკის პლაკატები იყო გაკრული... მაგრამ დღეს მაინც უარესად გრძნობს თავს... შემდეგ კი მეწარმეებმა, ვაჭრებმა, მალაზიების მეპატრონეებმა, კორპორაციებმა დატოვეს მბჟუტავი ნანგრევები და გაუჩინარდნენ. მთელი მომდევნო წლის განმავლობაში საუთ-ვორდიდან, საცხოვრებელი კვარტალის ყოველი ქუჩიდან ყოველდღიურად გადიოდა ავეჯით დატვირთული ორი ფურგონი. მეპატრონეები სახლებს ნებისმიერ ფასად ყიდდნენ. შვედი ადგილიდან არ იძვრის, არსად მიდის, „ნიუარკ-მეიდი“ ქალაქში რჩება - მაგრამ ამ ფასადაც ვერ უზრუნველყო შვილის უსაფრთხოება. ყველაზე მძიმე ხანებშიც არ დაუტოვებია ფაბრიკა ვანდალებისთვის, არ მიუტოვებია თავისი მუშები, ზურგი არ შეუქცევია მათთვის - მაგრამ მისი ქალიშვილი მაინც გააუპატიურეს.

შვედის მაგიდის უკან, კედელზე, კიდია შემინულ ჩარჩოში ჩასმული წერილი, რომელიც სამოქალაქო მღელვარებათა საგანგებო კომიტეტისგან მიიღო. მისტერ სეიმურ ლევოვს, როგორც მღელვარებათა თვითმხილველს, მადლობას უხდიან ჩვენებებისთვის, საგანგებოდ აღნიშნავენ მის სიმამაცეს და ერთგულებას ნიუარკისადმი. წერილს ხელს აწერს ათი გამოჩენილი მოქალაქე, მათ შორის - ორი არქიეპისკოპოსი და შტატის ორი ექს-გუბერნატორი. წერილის გვერდით, ასევე შემინულ ჩარჩოში, ექვსი თვის წინ გამოქვეყნებული სტატიაა „სთარ ლეჯერიდან“, შვედის ფოტოსურათითა და სათაურით: „ქებას იმსახურებს ხელთათმანების ფირმა, რომელიც ნიუარკში დარჩა“ - მაგრამ მერი მაინც გააუპატიურეს.

გაუპატიურება შვედს სისხლს უმღვრევს. ვერასოდეს განიკურნება. სისხლძარღვები მისი სუნით ევსება. ხედავს მას. ხედავს ფეხებს, ხელებს, თმასა და ტანსაცმელს. ესმის მერის სხეულის დავარდნის ხმა, მისი ყვირილი, რიტმული ბრაგაბრუვი ვიწრო სივრცეში. ამაზრზენი, ყეფისმაგვარი ხმა, რომელსაც გამოსცემს მამაკაცი ორგანოს დროს. მისივე ბურტყუნი. მერის ტირილი. შვედს სხვა რამეზე ფიქრი არ შეუძლია. მიმნდობი გოგონა უშიშრად გამოდის შინიდან. ზურგიდან ესხმიან თავს, ძირს აგდებენ და აი, უკვე მათ ხელშია. მხოლოდ ტანსაცმელი იცავს - ტანსაცმელს კი აგლეჯენ. უკვე აღარაფერი იცავს. მის სხეულში იჭრებიან. უხეში ძალა, რომლითაც ეუფლებიან. მძვინვარე ძალა. კბილს სტეხენ. ერთ-ერთი მათგანი შეშლილია. მერის აჯდება და ისაქმებს. ყოველნაირად აუპატიურებენ. უცხოურ ენაზე ლაპარაკობენ. ხარხარებენ. უკულმართ სურვილებს ისრულებენ. ერთი მოქმედებს, მეორე კი იცდის. მერი ხედავს, როგორ უცდის მეორე თავის რიგს. გოგონა სრულიად უმწეოა.

შვედიც უმწეოა. კაცი უფრო მეტად შმაგდება მაშინ, როდესაც ვერაფერს გააწყობს.

მერის სხეული ბავშვის საწოლში. მერის სხეული საბავშვო ეტლში. მერის სხეული, როდესაც ის პაწია ფეხებით ებლაუჭება მამის მკერდს და ცდილობს დადგეს. ფუნჩულა მუცელი, შარვალსა და პერანგს შორის რომ მოუჩანს, როდესაც სამსახურიდან მოსულ მამას კისერზე ეკიდება. მერის სხეული, როდესაც ის ხტება და მამას მკლავებში უვარდება. უდიდესი სიყვარული, რომლითაც მამისკენ მიილტვის ეს ანცი სხეული - სრულყოფილი პაწაწინა ქმნილება, თავისი ბავშვური ხიბლით. ახალდაუთოებული კაბასავით გლუვი სხეული, რომელიც თითქოს სწრაფად ჩამოიცვა. გულუბრყვილობა და უშუალობა, როდესაც ტანთ იხდის. სინაზე, რომელსაც გიღვიძებს. შიშველი ფეხები პატარა ცხოველის თათებს მიუგავს - ნორჩი, ჯერ კიდევ სათუთ თათებს. ფეხის ღონიერი პაწია თითები. გრძელი ფეხები. გამძლე. მკვრივი. მისი სხეულის ყველაზე დაკუნთული ნაწილი. ვარდისფერი საცვლები. ხაზი დუნდულებს შორის, ტაკუნა, რომელზეც არ მოქმედებს გრავიტაციის ძალა და ქვევით კი არ ეშვება, არამედ ზევითაა აშვერილი. უნაკლო სხეული. მუცლის ქვედა ნაწილზე თითქოს წვრილი ფუნჯით მოხაზული ნაპრალი, რომელიც დროთა განმავლობაში გაიფურჩქნება და ქალის საშოდ იქცევა. ულამაზესი ჭიპი. პროპორციული სხეული.

გეომეტრიული სიზუსტით მოხაზული ნეკნები. მოქნილი ხერხემალი. პატარა ქსილოფონის მსგავსი მალეები. ჯერ კიდევ უჩინარი ძუძუების წარმტაცი თვლემა. ბობოქარ ვნებებს, რომლებიც დროთა განმავლობაში ზედაპირზე ამოხეთქავენ, ჯერ კიდევ ტკბილად სძინავთ. მაგრამ კისრის მალეების ნაზი მოხაზულობა უკვე ქალურია. სახე. მისი ფარული არსი. სახე, რომელიც შეეცვლება, მაგრამ მომავლის დაღითაა აღბეჭდილი. ნიშანი, რომელიც გაქრება, მაგრამ ორმოცდაათი წლის შემდეგაც კი უცვლელი დარჩება. ბავშვური სახის მიხედვით ძნელია მომავლის ამოცნობა. აშკარაა მხოლოდ მისი სინორჩე - მან ხომ მხოლოდ ახლახან შემოაბიჯა ცხოვრებაში. ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, მაგრამ დრო უკვე მძლავრად ზემოქმედებს მასზე. თავის ქალა რბილი აქვს. ცხვირის ჩანასახი - მაინც ცხვირია. თვალების ფერი. ქათქათა გარსი. გამჭვირვალე სილურჯე. კრიალა თვალები. ყველაფერი უკრიალებს, მაგრამ თვალები - განსაკუთრებით. სუფთა, მოლაპლაპე ფანჯრებივითაა, რომლებიც ყველაფერს ირეკლავს. ოდნავ მონიშნული წარბები. ჭერამივით რბილი, უგემრიელესი ყურები. პატარა ყურები, რომლებიც მერიზე უფროსია. ყურები, რომლებზეც ვერ იტყვი, რომ ისინი მხოლოდ ოთხი წლისაა - ასეთივე იყო, როდესაც მერი თოთხმეტი თვისა გახლდათ. არაჩვეულებრივად ნაზი და ჯანსაღი თმა. უფრო მოწითალო ფერის (დედამისის თმასავით), ვიდრე - შვედის თმა. ცეცხლისფერი. თითქოს მთელი დღის სურნელით გაჟღენთილი. ეს მსუბუქი და მიმნდობი სხეული - მამის მკლავებში. კატასავით მიენდობა ყოვლისშემძლე მამას - ლმობიერ გოლიათს. ასეა, სწორია - მისი მიმნდობი სხეული შვედს თავისი ნაშიერის დაცვის უმძაფრეს ინსტინქტს უღვიძებს. ალბათ ამავეს გრძნობდა დოუნი, როცა ბავშვს ძუძუს აწოვებდა ხოლმე. გოგონა მამის ხელებისკენ ილტვის და მას ეკვრის. შვედი გრძნობს, რომ ამაზე მეტი სიახლოვე წარმოუდგენელია. ამავე დროს, დარწმუნებულია, რომ შორს არ შეუტოპავს - ეს არც შეუძლია. ასეთი უჩვეულო თავისუფლება და უჩვეულო სიამოვნება აკავშირებდა მერის დედასთან ძუძუს წოვის დროს. ასეა. უდავოა. შვედიც და მერიც ერთმანეთთან კარგად გრძნობდნენ თავს. შესანიშნავად. ჰოდა, რა მოუვიდა ამ შესანიშნავ გოგონას? მას ენა ებმოდა - მერე რა?! ასეთი საშინელი რა სჭირდა?! მაინც რა მოუვიდა ამ სრულიად ნორმალურ ბავშვს? იქნებ ეს ისაა, რაც მოსდით ხოლმე შესანიშნავ, სრულიად ნორმალურ ბავშვებს? შერეკილები ასე არ იქცევიან - ნორმალურები

კი იქცევია. ზრუნავ, ზრუნავ მასზე და, საბოლოოდ, გამოდის, რომ მასზე ზრუნვა შეუძლებელია. არ შეგიძლია, არ იზრუნო, მაგრამ ზრუნვაც აუტანელია. ყველაფერი აუტანელია! მისი საშინელი, შემზარავი დამოუკიდებლობა! ამქვეყნად ყველაზე საშინელი რამ შენს შვილს დაემართა. სჯობდა, ეს ნატიფი სხეული არასოდეს გაჩენილიყო.

შვედი ძმას ურეკავს. ჯერი ის ძმა არაა, რომელთანაც შეიძლება ნუგეში ჰპოვო, მაგრამ სხვა გამოსავალი რომ არაა? როდესაც ნუგეში გჭირდება, მას ვერ მიიღებ ვერც ძმისგან, ვერც მამისგან, ვერც დედისგან და ვერც ცოლისგან. ჰოდა, მიეჩვიე იმას, რომ საკუთარი თავი თვითონ უნდა ინუგეშო, გამხნევდი და ანუგეშე სხვები. მაგრამ ახლა შვედი გაუპატიურების ტვირთისგან უნდა გათავისუფლდეს, სულიდან უნდა ამოიძირკვოს ფიქრები შვილის წაბილწვის შესახებ, თორემ მოკვდება. მომხდარს ვერ ეგუება და ერთადერთ ძმას ურეკავს. სხვა ძმა რომ ჰყოლოდა, მას დაურეკავდა. მაგრამ ერთი ძმა ჰყავს - ჯერი, და ჯერისაც ერთადერთი ძმა ჰყავს - შვედი. მერი კი შვედის ერთადერთი ქალიშვილია, რომელსაც ერთადერთი მამა ჰყავს. ამას გვერდს ვერ აუვლი. როგორც უნდა ეცადო, აქ ვერაფერს შეცვლი.

პარასკევი, ექვსის ნახევარი. ჯერი თავის კაბინეტშია და ნაოპერაციევ პაციენტებს სინჯავს. მაგრამ ამბობს, ლაპარაკი შემიძლიაო. პაციენტები დაიცდიან.

- რა მოხდა? რა დაგემართა?

როგორც კი შვედს ჯერის ხმა, თავდაჯერებულობით, მოუთმენლობით აღსავსე ხმა ესმის, მაშინვე ხვდება: ამ საუბრიდან არაფერი გამოვა.

- ვიპოვე. ახლა მერისგან მოვდივარ. ნიუარკში ვიპოვე. ჩემ მახლობლად. ოთახს ქირაობს. ვინახულე. რა გადაიტანა, რას ჰგავს, როგორ ცხოვრობს - ამას ვერ წარმოიდგენ, ნურც ეცდები, - შვედი სულმოუთქმელად უყვება ძმას მერის ამბავს, ცდილობს, სიტყვასიტყვით გაიმეოროს ყველაფერი, რაც მერიმ უამბო იმის შესახებ, თუ რომელი ადგილები მოიარა, როგორ ცხოვრობდა და რა გადაიტანა. უყვება, რადგან სურს, რომ ეს ყველაფერი საკუთარ გონებაში დააღაგოს; ცდილობს, ყოველივე ამას ადგილი მოუძებნოს საკუთარ ცნობიერებაში, თუმცა მის ცნობიერებაში ვერ დაეტევა ის ვიწრო ოთახიც კი, რომელშიც მერი ცხოვრობს. როდესაც ძმას უამბობს, რომ მერი ორჯერ გააუპატიურეს, ცრემლებს ძლივს იკავებს.

- მორჩი? - ეკითხება ჯერი.
- რას?
- თუ მორჩი, ახლა მითხარი, რას აპირებ. რას აპირებ, სეიმურ?
- არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ეს მან ჩაიდინა - ჰემლინების მალაზია მან ააფეთქა. კონლონიც მოკლა, - შვედი ვერაფერს ეუბნება ძმას ორეგონისა და დანარჩენი სამი მკვლელის შესახებ. - ეს ყველაფერი მერიმ ჩაიდინა.
- რა თქმა უნდა, მან. ღმერთო ჩემო! ასეც ვფიქრობდით. ახლა სადაა, იმ თავის ოთახში?
- ჰო. საშინელებაა.
- წადი და წამოიყვანე.
- არ შემიძლია. არ წამომყვება. მთხოვა, თავი დამანებო.
- დაიკიდე ეგ თხოვნა. ჩაჯექი იმ შენს ილიოტურ მანქანაში და იმ ილიოტური ოთახიდან თმით წამოათრიე. დააძინე. გაკოჭე. მაგრამ წამოიყვანე. მისმინე. ახლა გაოგნებული ხარ. არა მგონია, რომ ამქვეყნად უმთავრესი ოჯახის შენარჩუნება იყოს, მაგრამ შენ ხომ ასე ფიქრობ! ასე რომ, წადი და წამოიყვანე!
- არ გამოვა. ვერ წამოვიყვან. ყველაფერი უფრო რთულადაა, ვიდრე შენ გგონია. თავს ძალაც რომ დავატანო და სახლში მოვათრიო, მერე რა? აქედან რა გამოვა? ყველაფერი რთულადაა. ძალიან რთულადაა. რასაც შენ მირჩევ, არ გამოვა.
- სწორედ ის გამოვა, რასაც მე გირჩევ.
- კიდევ სამი ადამიანი მოკლა. სულ ოთხი ადამიანი მოკლა.
- ჯანდაბას ის ოთხი ადამიანი. რა გემართება? ისევე ფეხქვეშ ეგები მას, ისევე, როგორც - მამას და, საერთოდ, ყველას, ცხოვრებაში.
- გააუბატიურეს. შეშლილია, შეირყა. როგორც კი შეხედავ, მაშინვე მიხვდები. ორჯერ გააუბატიურეს.
- აბა, რა გინდოდა? რა გაკვირვებს? რა თქმა უნდა, გააუბატიურებდნენ. ახლა ან ტრაკი ასწიე და რამე მოიმოქმედე, ან მესამედ გააუბატიურებენ. გამაგებინე, გიყვარს თუ არა შენი შვილი?
- ამას როგორ მეკითხები?
- თვითონ მაიძულებ, რომ გკითხო.
- ახლა ნუ მეკითხები; ნუ მაწამებ, მაკმარე. მიყვარს ჩემი შვილი. ამქვეყნად არავინ მიყვარს მასზე მეტად.
- როგორც ნივთი.

- რა? რას გულისხმობ?

- როგორც ნივთი - მერი ისე გიყვარს, როგორც ნივთი. ასევე გიყვარს შენი ცოლი. ნეტავ ოდესმე მიხვდები, რატომ იქცევი ისე, როგორც იქცევი? იცი, რატომ? ხვდები მაინც? იმიტომ, რომ გეშინია, ცუდი შთაბეჭდილება არ შეუქმნა ხალხს! გეშინია, ნადირი გალიიდან არ გამოუმვა!

- რაზე მელაპარაკები? რა ნადირი? რა ნადირი?

შვედი არც მოელოდა, რომ ჯერი თანაუგრძნობდა, მაგრამ ასეთი აგრესია... რატომ გადმოვიდა შეტევაზე ისე, რომ თავი არც კი მოუჩვენებია, თითქოს თანაუგრძნობდა? შვედმა ხომ ყველაფერი უამბო და ახლა ჯერ იცის, როგორ დასრულდა ეს ამბავი - ათასჯერ უფრო უარესად, ვიდრე ეგონათ.

- იცი, ვინ ხარ? იცი? შემრიგებელი. ყოველთვის თავშეკავებული. მოკვდები, მაგრამ სიმართლეს არ იტყვი, თუკი ის, შენი აზრით, ვინმეს შეურაცხყოფს. ყოველთვის მზად ხარ კომპრომისისთვის. ყოველთვის უსასრულოდ სულგრძელი ხარ. ყველაფერში და ყოველთვის ნათელ მხარეებს ამჩნევ. კარგად აღზრდილი. მოთმინებით აღსავსე. წესიერების განსახიერება. ბიჭი, რომელიც არასოდეს არღვევს ზნეობრივ ნორმებს. ისე იქცევა, როგორც საზოგადოება კარნახობს. დეკორუმი. დეკორუმი ისაა, რასაც ზედ აფურთხებენ. შენ ნაცვლად შენმა ქალიშვილმა მიაფურთხა, ხომ ასეა? ოთხი ადამიანი? დეკორუმის სრული უგულებელყოფა!

ყურმილი რომ დაკიდოს, მარტო დარჩება დერეფანში, იმ კაცის უკან, რომელიც თავის რიგს უცდის - იმ კაცის შემდეგ, მერი რომ ჩაუბლუჯავს; დაინახავს ყველაფერს, რის დანახვაც არ სურს, გაიგებს ყველაფერს, რის გაგებაც მისთვის აუტანელია. არ შეუძლია, აქ იჯდეს და განუწყვეტლივ ატრიალოს თავში მთელი ეს ამბავი. ყურმილი რომ დაკიდოს, ვერასოდეს გაიგონებს, რას იტყვის ჯერი, როდესაც დაამთავრებს იმის თქმას, რისი თქმაც რატომღაც სურს - ნადირის შესახებ. რომელი ნადირის შესახებ? საერთოდ, ასე ელაპარაკება ყველას. მე სულაც არ მიტევს. ჯერი ასეთია. არავის ემორჩილება. ასეთად დაიბადა. ეს ვიცოდი, სანამ დავურეკავდი. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვიცოდი. სხვადასხვანაირად ვცხოვრობთ. ძმაა და, თანაც, თითქოს არცაა ჩემი ძმა. დავფრთხი. ეს პანიკაა. იმას დავურეკე, ვისთვისაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დამერეკა. ის საარსებო სახსრებს დანით მოიპო-

ვებს. დანით კურნავს ადამიანებს. დანით აჭრის დამპალ ორგანოებს. გამოუვალ მდგომარეობაში ვარ, ის დამემართა, რასაც ვერავინ მოერევა. ჯერისთვის კი ეს ჩვეულებრივი რამაა და ფიქრობს, სად გამირჭოს დანა.

- ურჩხული არა ვარ, - ეუბნება შვედი. - ურჩხული არა ვარ, შენ კი ხარ.

- არა, ურჩხული ნამდვილად არა ხარ. ყოველთვის მართებულად იქცევი.

- არ მესმის. განა ეს შეურაცხმყოფელია? - გალიზიანდა შვედი. - განა ცუდია, რომ მართებულად ვიქცევი?

- არა. სულაც არა. მაგრამ შენს შვილს ამის გამო ცხოვრება დაეზარა. ადამიანებს ემალები, სეიმურ. გულწრფელი არასოდეს ყოფილხარ. არავინ იცის, როგორი ხარ სინამდვილეში. არც - მერიმ. ამიტომაც ცდილობს დაანგრეოს შენი ფასადი. შენი იდიოტური ნორმები. კარგად დააკვირდი, როგორ მოექცა ის შენს ნორმებს.

- არ მესმის, რა გინდა ჩემგან. სამწუხაროდ, შენსავით ჭკვიანი არა ვარ. მეტი არაფრის თქმა არ გინდა? არაფრის?

- ყველა პრიზს ხელთ იგდებ ხოლმე. ყოველთვის მართებულად იქცევი. ყველას უყვარხარ. ცოლად, ღვთის წყალობით, „მის ნიუ-ჯერსი“ მოიყვანე. აი, კაცი აქ უნდა დაფიქრდეს. მაინც, რატომ ითხოვე? გარეგნობის გამო. რატომ აკეთებ, საერთოდ, ყველაფერს? გარეგნული ეფექტის გამო!

- მიყვარდა. ისე მიყვარდა, რომ მამაჩემის ნებას არ დავემორჩილე! ჯერი იცინის.

- დარწმუნებული ხარ? მართლა ფიქრობ, რომ მამას დაუპირისპირდი? იმიტომ ითხოვე ცოლად, რომ სხვა გამოსავალი ვერ მონახე. მამამ თავის ოფისში რა აღარ თქვა მასზე, შენ კი იჯექი და ხმა ვერ ამოიღე. განა სიმართლეს არ ვამბობ?

- ჩემი შვილი იმ საშინელ სოროში ზის, ჯერი. რაზე ვლაპარაკობთ?

მაგრამ ჯერი არ უსმენს. მხოლოდ თავის თავს უსმენს. რატომაა, რომ, ჯერის აზრით, მან სწორედ ახლა უნდა უთხრას ძმას სიმართლე? რატომაა, რომ როდესაც ძალიან ცუდად ხარ, ვილაც საჭიროდ მიიჩნევს იმსჯელოს შენს ხასიათზე და მრავალი წლის განმავლობაში დაგროვებული ღვარძლი გადმოანთხიოს? რატომაა, რომ შენი ტანჯვა ადამიანებს უზომოდ უპირატესობას აგრძნობინებს? რატომაა, რომ ასე ახა-

რებთ მისი გამოხატვა? რატომ მიხდის სამაგიეროს იმისთვის, რომ მთელი სიცოცხლე ჩემს ჩრდილში ცხოვრობდა? რატომ ღუძღა (თუკი ამ ყველაფრის გამოთქმა სურდა) მაშინ, როცა ბედნიერი ვიყავი? რატომ ფიქრობს, რომ ჩრდილში აღმოჩნდა? მაიამის ყველაზე ცნობილი კარდიოქირურგი! ექიმი ლევოვი, რომელიც გულით დაავადებულებს მხსნელად მოეველინა!

- მამა? მან, ეშმაკმა დალახვროს, საშუალება მოგცა, გამომძვრალიყავი - იცი თუ არა ეს? მამას რომ ეთქვა, არასოდეს დავთანხმდები, რომ ჩემი შვილიშვილები სანახევროდ ესენი და სანახევროდ ისინი იყვნენო, არჩევნის გაკეთება მოგიხდებოდა. მაგრამ ეს ხიფათი აგცდა: არჩევანი არასოდეს გაგიკეთებია. არასოდეს. იმიტომ, რომ მან გამომძვრომის საშუალება მოგცა. ყველანი ყოველთვის გაძლევდნენ ამის საშუალებას, არჩევნის გაკეთების გარეშე. და ამიტომ აქამდე არავინ იცის, ვინ ხარ სინამდვილეში. გაუმჟღავნებელი ხარ, სეიმურ - აი, ესაა საქმე - გაუმჟღავნებელი. ამიტომ გადაწყვიტა შენმა ქალიშვილმა, თავისი ცხოვრებიდან გაერიყე. ყოველთვის მელაკუდობდი და მერის ამის გამო სძულდი. ყოველთვის იმალებოდი. არჩევანს არასოდეს აკეთებდი.

- რატომ ამბობ ამას? შენი აზრით, რა უნდა ავირჩიო? რაზე ვლაპარაკობთ?

- გგონია, იცი, რა არის მამაკაცი? წარმოდგენა არა გაქვს, რა არის მამაკაცი. გგონია, იცი, რა არის ქალიშვილი? წარმოდგენა არა გაქვს, რა არის ქალიშვილი. გგონია, იცი, რა არის ეს ქვეყანა? წარმოდგენა არა გაქვს ამ ქვეყნის შესახებ. ყველაფრის შესახებ არასწორი წარმოდგენა გაქვს. მხოლოდ შენი იდიოტური ხელთათმანების შესახებ იცი ყველაფერი. ეს საშინელი ქვეყანაა. რა თქმა უნდა, გააუბატიურეს. როგორ ფიქრობ, ვის წრეში ტრიალებდა? რა თქმა უნდა, გააუბატიურებდნენ. ეს ოლდ-რიმროკი კი არაა, მეგობარო, ეს უკვე აშშ-ის ჯუნგლია. მერიმ შეაბიჯა ამ სამყაროში, ამ შერეკილ სამყაროში. ჩაიძირა იმაში, რაც ამ სამყაროს ავსებს - ჰოდა, რას ელოდი? რიმროკელი გოგონა - რა თქმა უნდა, არ იცის, როგორ მოიქცეს ამ სამყაროში, რა თქმა უნდა, ის ნაძირალები გამოიყენებდნენ მას. რა უნდა სცოდნოდა მერის? დიდ სამყაროში მოხვედრილ პაწია ცხოველს ჰგავდა. მერი ჯერ კიდევ ვერ გაძღა ამ სამყაროთი, ჯერ კიდევ ცდილობს ეთამაშოს მას. ოთახი მაკარტერ-ჰაივეიზე? რატომაც არა! მის ადგილას ნებისმიერი გოგონა გაიქცეოდა. იმისთვის ამზადებდი, რომ მთე-

ლი სიცოცხლის განმავლობაში ძროხები ეწველა? როგორ ცხოვრებას უმზადებდი? ხელოვნურს, გამოგონილს? ისეთს, როგორც შენ ცხოვრობდი? ჯერ კიდევ მამაჩვენის ფანტაზიათა სამყაროში ცხოვრობ, სეიმურ, ჯერ კიდევ ლუ ლევოვის ხელთათმანების სამოთხეში იმყოფები. ჩვენი ოჯახი ერთადერთ რამეს ეთაყვანება - ქალის ხელთათმანებს! კვლავინდებური გატაცებით ჰყვება მამა გამყიდველ ქალზე, რომელიც ხელებს იბანს, სანამ სხვა ფერის ხელთათმანებს შეეხება? ო, სად ხარ, ძველმოდურო ამერიკა, წესიერო ამერიკა, სადაც ყოველ ქალს ოცდახუთი წყვილი ხელთათმანი ჰქონდა? შენმა ქალიშვილმა მოუსავლეთის გზას გაუყენა შენი ნორმები, შენ კი ჯერ კიდევ ფიქრობ, რომ იცნობ ცხოვრებას!

„სიცოცხლე, უბრალოდ, დროის მოკლე მონაკვეთია, როდესაც ცოცხლობ“. მერედით ლევოვი, 1964 წელი.

- გინდოდა, მის ამერიკა გყოლოდა? გყავს კიდევ, მაგრამ სამაგიერო შენმა შვილმა მოგიზლო! გინდოდა, ნამდვილი ამერიკელი ათლეტი, საზღვაო ჯარის ოფიცერი, წარმატებული ამერიკელი ყოფილიყავი და ლამაზი გოი გყოლოდა ცოლად? გინდოდა, ამერიკის შეერთებული შტატების ტიპური მოქალაქე ყოფილიყავი? ხარ კიდევ, მეგობარო, შენი ქალიშვილის წყალობით. ეს ქვეყანა, თავისი მშვენიერებით, ყელში გაგეჩხირა. შენი ქალიშვილის მეოხებით ნაგავში აღმოჩნდი, ნამდვილ მყრალ ამერიკულ ნაგავში! ამერიკა შეიშალა! ამერიკამ აიწყვიტა! ეშმაკმა დალახვროს, სეიმურ, ეშმაკმა დალახვროს, შენი ქალიშვილი რომ გიყვარდეს...

ჯერის ხმა ტელეფონის ყურმილში გრგვინავს. ეშმაკსაც წაუღია გამოჯანმრთელების გზაზე დამდგარი პაციენტები, დერეფანში რომ ელოდებიან ექიმს (რომელმაც უნდა შეუმოწმოს სარქველები და არტერიები), რათა მადლობა გადაუხადონ გადარჩენისთვის. ჯერი ღრიალებს, ღრიალებს - ყველაფერს ამბობს, რასაც კი მოისურვებს. ფეხებზე ჰკიდია საავადმყოფოს წესები. იმ ქირურგთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ყველა შემთხვევაში ყვირიან: სულერთია, ეთანხმები თუ არ ეთანხმები, ან, უბრალოდ, მის წინ დგახარ და დუმხარ. არ იქცევა ისე, როგორც საავადმყოფო მოითხოვს, როგორც მამამისი თუ მისი ცოლები იმედოვნებენ. აკეთებს იმას, რაც სურს და ისე - როგორც სურს. ყოველი სიტყვითა და ქმედებით, ყოველ წუთს აგრძნობინებს ყველას, ვინ არის და რა არის თვითონ. არაფერს მალავს - არც თავის

შეხედულებებს, არც უკმაყოფილებას, არც სურვილებს, არც მადას და არც რისხვას. ნების სფეროში ის პირდაპირი და უკომპრომისო თვითმპყრობელია. სინანულზე დროს არ ხარჯავს და არავისთან იმართლებს თავს საკუთარი ამაზრზენი გამოხტომების გამო. მიანიშნებს, რომ ადამიანებმა უნდა მიიღონ ისეთად, როგორც არის - სხვა გზა არა აქვთ. არ შეუძლია „ჩაყლაპოს“ რაიმე. უბრალოდ, ყვირის.

ორი ძმა - ერთი და იმავე მშობლების ვაჟები. ერთი მუდამ აგრესიას მიმართავს, მეორემ კი აგრესია ამოიძირკვა სულიდან.

- ქალიშვილი რომ გიყვარდეს, - უყვირის ჯერი შვედს, - იქ არაფრით დატოვებდი! და, საერთოდ, თვალს არ მოაშორებდი.

შვედი თავის მაგიდასთან ზის და თვალები ცრემლებით ევსება. ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს ჯერი ამ სატელეფონო ზარს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ელოდა. მომხდარის აბსურდულობა უფროსი ძმის წინააღმდეგ განაწყობს და ახლა უკვე თავს ვერ იკავებს, ყველაფერს ამბობს. მთელი სიცოცხლე ელოდა შემთხვევას, როდესაც ამ საშინელ ბრალდებებს გადმოდანთხევდაო, ფიქრობს შვედი. ადამიანები შეუცდომლად მოქმედებენ: იგებენ, რა გჭირდება და უარით გისტუმრებენ.

- მისი დატოვება არ მინდოდა, - ეუბნება შვედი. - შენ არ გესმის. არ გინდა, რომ გამიგო. არ მიმიტოვებია. წამოსვლისას ფეხები მეკეცებოდა! რატომ მეუბნები, რომ არ მიყვარს? ეს საშინელებაა. საზიზღრობაა. - ამონარწყევით დასვრილი სახე წარმოუდგება, თავს ვერ იკავებს და ყვირის: - ყველაფერი საზიზღრობაა!

- როგორც იქნა, მიხვდი! ჩემს ძმას საკუთარი თვალსაზრისი გაუჩნდა. საკუთარი და არა - სხვისი, მოარული. გენერალური ხაზისგან განსხვავებული. შესანიშნავია, პირველი ნაბიჯი გადადგა. აზრები აემღვრა. ყველაფერი საზიზღრობაა. ახლა რას აპირებ? არაფერს. მისმინე, გინდა, მე წამოვიყვანო? გინდა?

- არა.

- მაშინ რატომ დამირეკე?

- არ ვიცი. რომ დამხმარებოდი...

- ვერავინ დაგეხმარება.

- რა სასტიკი ხარ! და სასტიკად მექცევი.

- ჰო, ცხვარი არა ვარ. არც არასოდეს ვყოფილვარ. მამას ჰკითხე - ცხვარი შენ ხარ. ხედავ, სანაცვლოდ რა მიიღე? არავისთვის გიწყენინე-

ბია, ყოველთვის თავს იდანაშაულებდი, ნებისმიერ თვალსაზრისს პატივს სცემდი. ეს, რა თქმა უნდა, „ლიბერალურია“ - შენ ნამდვილი „ლიბერალური“ მამა ხარ. რას ნიშნავს ეს? ყველაფერს უფროთხილდებოდი. და აი, რა ნაგავში აღმოჩნდი.

- ვიეტნამის ომი მე არ წამომიწყია. არც ტელევიზიით არ მიჩვენებია. ლინდონ ჯონსონი ლინდონ ჯონსონად მე არ მიქცევია. გავიწყდება, როგორ დაიწყო ყველაფერი. რატომ ისროლა ბომბი... ეს წყეული ომი...

- არა, ომი შენ არ დაგიწყია, მაგრამ, სამაგიეროდ, ამერიკაში ყველაზე მძულვარე ბავშვი გაზარდე. ბავშვობიდან მოყოლებული, მისი ყოველი სიტყვა ბომბი იყო.

- ყველაფერი მივეცი, რაც კი შემეძლო. ყველაფერი, ყველაფერი. გეფიცები, არაფერი დამიშურებია, - ახლა ძალდაუტანებლად ტირის, ცრემლებად იღვრება. რა უჩვეულო განცდაა: თითქოს ტირილი უმნიშვნელოვანესი მიზანი იყო მის ცხოვრებაში, ყველაზე სანუკვარი ოცნება, და აი, ის უსრულდება. ყველაფერს იხსენებს, რაც შვილს მისცა, მერიმ კი მიიღო - იმ სულიერ კავშირს, მათ ცხოვრებას რომ ავსებდა და ერთ მშვენიერ დღეს (რაც უნდა ეთქვა ჯერის, რაც უნდა დაებრალებინა ძმისთვის ასეთი დიდი სიამოვნებით) მერის რატომღაც შესძაგდა. - შენი აზრით, ამ უბედურებას ნებისმიერი ბრიყვი მოერეოდა. მაგრამ მერის ვერავინ მოერევა. ვერავინ! ეს არავის შეუძლია! გგონია, ცხოვრებაში არაფერი მესმის? გგონია, არასრულფასოვანი ვარ? თუკი არასრულფასოვანი ვარ, სად ნახავ სრულფასოვანებს?.. თუკი მე... გესმის, რა მინდა გითხრა?.. როგორი უნდა ვყოფილიყავი? მე თუ არასწორად ვცხოვრობ, სხვებზე რაღას იტყვი?

- ჰო, მესმის, რისი თქმა გინდა.

შვედისთვის ტირილი ისეთივე წარმოუდგენელი იყო, როგორც, ვთქვათ, სიარულისას წონასწორობის დაკარგვა ან ვინმეზე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა. ზოგჯერ შურდა კიდეც იმათი, ვინც ნუგეშს ტირილში პოულობდნენ. მაგრამ ახლა ძმის რეაქცია ანადგურებდა იმ კედელს, ცრემლებს რომ წინ ელობებოდა.

- თუ გინდა მითხრა, რომ მე ვერ... - სლუკუნით ამბობდა შვედი, - რომ მე ვერ... რომ უძლური ვარ... უნდა გითხრა, რომ ჩემს მდგომარეობაში ყველა უძლური აღმოჩნდებოდა.

- სწორია! ზუსტად ასეა! უძლურნი ვართ. ყველანი უძლურნი ვართ. ისიც, ვინც ყოველთვის სწორად იქცევა! წესების შესაბამისად! - ამბობდა ჯერი ზიზლით, - ამ სამყაროში ცხოვრობს და სწორად იქცევა. მითხარი, აპირებ დაამსხვრიო შენი ნილაბი და შენი ნება შვილისას დაუპირისპირო? სტადიონზე ეს გამოგდიოდა. იქ ქულებს იგებდი. გახსოვს? შენს ნებას მეტოქისას უპირისპირებდი და იგებდი. იქნებ წარმოიდგინო, რომ ეს, უბრალოდ, მატჩია? თუმცა ეს გამოსავალი არაა. აქტიური ადამიანი ხარ და მამაკაცური საქმეები კარგად გამოგდის, მაგრამ ეს მამაკაცური საქმე არაა. ვერც კი ხვდები, როგორ უნდა მოიქცე. შენს წარმოდგენაში მხოლოდ სპორტსმენი, ხელთათმანების მწარმოებელი და „მის ამერიკის“ ქმარი ხარ. ჩლუნგდები და მოწყენილობისგან კვდები შენი „მის ამერიკის“ გვერდით. პატარა ირლანდიელ გოგონას ელიზაბეთის დოკებიდან და ებრაელ ბიჭს უიკვეიკის სკოლიდან თავი თეთრკანიან პროტესტანტებად მოაქვთ. ძროხები. ძროხების საზოგადოება. ძველი კოლონიური ამერიკა. და, შენი აზრით, ეს ფასადი უფასო იქნებოდა? დახვეწილი მანერები, კეთილი ზრახვები. მაგრამ ამის ფასიც უნდა გადაგეხადა, სეიმურ. აქ მეც კი ვისვრიდი ბომბს, ჯაინი გავხდებოდი და ნიუარკში დავსახლდებოდი. თეთრკანიანი პროტესტანტების დედაც! არც კი ვიცოდი, რომ ასეთი დაგმანული სული გქონდა, მართლაც დაგმანული. რა გინდა, სეიმურ? თავის დახსნა? ძალიან კარგი. შენს ადგილას ნებისმიერი ადამიანი დიდი ხნის წინ დაიხსნიდა თავს. მიდი-მიდი, აღიარე, რომ შვილი არაფრად აგდებს შენს ცხოვრებას - მორჩი და დაამთავრე. აღიარე, რომ შენც ბევრი რამ არ მოგწონს მასში - და მოათავე. სამუდამოდ დაემშვიდობე იმ ძუკნას. აღიარე, რომ ურჩხულია, სეიმურ. ურჩხულსაც აჩენს ვიღაც - ნებისმიერ ურჩხულს ჰყავს მშობლები. მაგრამ მშობლებს არ სჭირდებათ ურჩხულები. გეყო! თუ არ გინდა მისგან თავის დაღწევა და ამის სათქმელად მირეკავ, მაშინ, ღვთის გულისათვის, წადი და წამოიყვანე. თუ გინდა, მე წამოვიყვან. ამაზე რას ფიქრობ? ეს შენი ბოლო შანსია. უკანასკნელი შემოთავაზება. თუ გინდა, რომ მოვიდე, აქ სწრაფად მოვაგვარებ ყველაფერს, თვითმფრინავში ავგარდები და საქმეს შევუდგები. მივალ და, დარწმუნებული იყავი, მაკარტერ-ჰაივეიდან წამოვიყვან, გამოვათრევ მაგნავს, მაგ ეგოისტ, ნამუსგარეცხილ გოგოს, თავის ამაზრზენ თამაშებში რომ გითრევს. ჩემთან არავითარი თამაში არ გამოუვა. გინდა, რომ წამოვიდე?

- არ მინდა.

ჯერი ფიქრობს, რომ ყველაფერში ერკვევა, მაგრამ სინამდვილეში არაფერი ესმის; ფიქრობს, რომ ყველაფერი ურთიერთდაკავშირებულია, სინამდვილეში კი ასე არაა. რა კავშირია ჩვენი ცხოვრების წესსა და მერის ნამოქმედარს შორის? იმ ადგილს, სადაც გოგონა იზრდებოდა და მის ნამოქმედარს შორის? ყოველივე ერთი და იმავე ქაოსის ნაწილია და სხვა არაფერი. ჯერის ეს არ ესმის. ლაქლაქებს. ფიქრობს, რომ ამ რთულ ვითარებას ლაქლაქითა და ყვირილით გაუმკლავდება. მაგრამ ყველაფერი, რასაც ყვირის, არასწორია. სიმართლეს არაფერი შეესაბამება. კითხვები, მკაფიო პასუხები - ვინ არის დამნაშავე... მიზეზები. არავითარი მიზეზი არ არსებობს. მერი, უბრალოდ, ასეთია - ესაა და ეს. ყველანი ასეთები ვართ. მიზეზები წიგნებშია. განა ჩვენს ოჯახში ასეთი საშინელება უნდა მომხდარიყო? არ უნდა მომხდარიყო... და არც მომხდარა. ჯერი რაციონალურ განმარტებებს ეძებს, მაგრამ ეს წარმოუდგენელია, აქ რალაც სხვაა - ის, რის შესახებაც მას წარმოდგენა არა აქვს. და არავის არა აქვს. ეს ირაციონალური რამაა. ქაოსი. თავიდან ბოლომდე ქაოსი.

- არ მინდა, - ამბობს შვედი, - ეს ჩემთვის მიუღებელია.

- შენთვის ძალიან დიდი სისასტიკეა, არა? ამ სამყაროში - დიდი სისასტიკეა? მკვლელი ქალიშვილი გყავს, მაგრამ მაინც ძალიან დიდი სისასტიკეა? საზღვაო ქვეით ჯარს წვრთნიდი, მაგრამ ეს დიდი სისასტიკეა, არა? ნახვამდის, დიდო შვედო, ჩვენო მგრძნობიარე გიგანტო. ჩემი მისაღები ოთახი პაციენტებითაა გადაჭედილი. როგორც გენებოს, ისე მოიქეცი.

იმ ზაფხულს უოტერგეიტის საქმის განხილვა მიმდინარეობდა. ლევოვები თითქმის ყოველ საღამოს ტელევიზორთან, უკანა ვერანდაზე ისხდნენ და მეცამეტე არხით დღის სხდომათა ჩანაწერებს უყურებდნენ. სანამ საქონელსა და ფერმის ინვენტარს გაყიდდნენ, თბილ საღამოებში აქედანვე უმზერდნენ, როგორ ძოვდნენ ღოუნის ძროხები ბალახს გორაკის ძირას. სახლის მახლობლად თვრამეტაკრიანი საძოვარი იყო. ზოგიერთ წელიწადს აქ მთელი ზაფხულის განმავლობაში ტოვებდნენ ძროხებს და ფიქრი არაფრისა ჰქონდათ. მაგრამ თუ ძროხები იფანტებოდნენ და თვალს ეფარებოდნენ, პიჟამაში გამოწყობილ მერის კი დაძინებამდე მათი ნახვა სურდა, ღოუნი ეძახდა: „ჰიი-ჰო, ჰიი-ჰო!“ - როგორც ძროხებს, ალბათ, ქვეყნიერების დასაბამიდან ეძახიან. ისინიც ჭაობიდან გორაკზე ამოდიოდნენ და ბლავილით ეხმიანებოდნენ ღოუნის ხმას. „ლამაზი გოგოები გვყავს, არა?“ - ეკითხებოდა ღოუნი შვილს. მეორე დღეს კვლავ განთიადზე დგებოდნენ ნახირის გასაყვანად. შვედს ესმოდა, როგორ ამბობდა ღოუნი, გზა გადავჭრათო. მერი ჭიშკარს ალებდა, შემდეგ კი დედას, პაწაწინა ქალიშვილითურთ, წნელისა და ავსტრალიური ნაგაზის, აპუს დახმარებით, გაჰყავდა თორმეტი, თხუთმეტი თუ თვრამეტი ძროხა, რომელთაგან თითოეული ორას ფუნტს იწონიდა. მერი, აპუ და ღოუნი, ზოგჯერ ვეტერინარიც, ან მეზობელი ფერმიდან მოსული ბიჭი, რომელიც ღობის შეკეთებისა თუ ბალახის თიბვის დროს ეშველებოდა. მერის ძროხებთან თივა მიჰქონდა. უკან ჩამორჩენილ ხბოს ნახირს დააწევდა ხოლმე. ბოსელში სეიმურის დანახვისას ძროხები ღიზიანდებოდნენ, ჩლიქებით თივას ქექავდნენ, თავს აქნევდნენ, ალმაცერად აშტერდებოდნენ, მერის კი მაშინვე სცნობდნენ და აგრძნობინებდნენ, რა სჭირდებოდათ. მერის მიეჩვივნენ და ზუსტად იცოდნენ, როდის აპირებდა მათ მონახულებას.

რატომ თქვა, დედაჩემზე ლაპარაკი არ მსურსო? რა დაუშავა დედამ? რა ბრალი მიუძღვის მის წინაშე? ის, რომ ალერსიანად ექცეოდა თვინიერ ძროხებს?

იმ კვირის განმავლობაში, სანამ შვედის მშობლები მათ სტუმრობდნენ - ეს იყო ყოველწლიური ტრადიციული ვიზიტი ზაფხულის ბოლოს - დოუნს მათი გართობა არ დასჭირვებია. როდესაც მშენებლობიდან ან არქიტექტორის ოფისიდან ბრუნდებოდა, ისინი ტელევიზორის წინ ისხდნენ და მამამთილი ადვოკატის თანაშემწის როლს ასრულებდა. დღისით პირდაპირ ტრანსლაციებს უყურებდნენ, სალამოობით კი - ყველა ჩანაწერს. თავისუფალ დროს შვედის მამა თხზავდა წერილებს, რომლებიც კომიტეტის წევრებისთვის უნდა გაეგზავნა და შემდეგ, ვახშამამდე, ხმამაღლა კითხულობდა მათ. „პატივცემულო სენატორო უაიკერ! ხომ არ გაგაკვირვათ იმან, რაც ტრიკი დიკის თეთრ სახლში შეემთხვა? თავს ნუ ისულებლეთ. ჰარი ტრუმენმა მისი ხასიათი ჯერ კიდევ 1948 წელს ამოიცნო და „ტრიკი დიკი“ შეარქვა“... „პატივცემულო სენატორო გარნი! ნიქსონი ნამდვილი ჭირიანია. საშიშია ყველასთვის, ვისაც კი ეხება. მათ შორის - თქვენთვისაც“... „პატივცემულო სენატორო ბეიკერ! გაინტერესებთ, რატომ? იმიტომ, რომ ეს ჩვეულებრივი ბოროტმოქმედების ბანდაა. აი, რატომ!“... „პატივცემულო მისტერ დემ! - სწერდა ის კომიტეტის ნიუიორკელ ადვოკატს, - ოვაციები და იმსახურეთ! ღმერთმა დაგლოცოთ! ვამაყოფ, რომ ამერიკელი ვარ და ებრაელი“.

ყველაზე მეტად დასცინა საკმაოდ უმნიშვნელო პიროვნებას, მავან იურისტს, გვარად კალმბახს, რომელმაც უოტერგეიტის ოპერაციისთვის მსხვილი თანხის უკანონოდ გადაცემა ითავა და რომლის უპატიოსნობა, მოხუცის აზრით, გაკიცხვას იმსახურებდა. „ძვირფასო ბატონო კალმბახ! ებრაელი რომ ყოფილიყავით და ისე მოქცეულიყავით, როგორც მოიქეცით, მთელი მსოფლიო იტყოდა: „შეხეთ ამ ფულზე დახარბებულ ებრაელს!“ მაგრამ ვინ არის ფულზე დახარბებული, ძვირფასო ბატონო კალმბახ? ვინ არის ქურდი და თაღლითი? ვინ არის ამერიკელი განგსტერი? დახვეწილი მანერებით ვერ მომატყუებთ. ყოველთვის ვიცოდი, რომ თქვენი ქათქათა ხელები ბინძურია. ახლა ეს მთელმა მსოფლიომ იცის... გრცხვენოდეთ“.

- გგონია, ეს ძალღმობილი მიპასუხებს? ჩემი წერილები წიგნად უნდა გამოვაქვეყნო. გამომცემელს მოვძებნი და უფასოდ დავარიგებ, რომ ყველამ იცოდეს, რას გრძნობს რიგითი ამერიკელი, როდესაც ეს ძალღმობილები... შეხედე, ერთი შეხედე...

ეკრანზე ნიქსონის შტაბის ყოფილი უფროსი, ერლიხმანი გამოჩნდა.

- გულისამრევი ტიპია, - თქვა შვედის დედამ, - ისიც და ტრიშაც.
- ტრიშა ვინლა მიგდია, - მიუგო ქმარმა. - ესენი ნამდვილი ფაშისტები არიან, მთელი მათი ბანდა: ფონ ერლიხმანი, ფონ ჰალდემანი, ფონ კალმბახი...

- და მაინც, ტრიშაზე გული მერევა, - თქვა ცოლმა. - ისე ევლებიან თავს, თითქოს პრინცესა იყოს.

- ამ ეგრეთ წოდებულ პატრიოტებს, - მიმართა ლუ ლევოვმა დოუნს, - სურთ ხელში ჩაიგდონ ქვეყანა და ნაცისტურ გერმანიად გადააქციონ. ხომ არ წაგიკითხავს წიგნი „ჩვენთან ეს არ მოხდება“? შესანიშნავი წიგნია. ავტორი არ მახსოვს, მაგრამ იდეა აბსოლუტურად თანამედროვეა. ამ ვაჟბატონებმა უფსკრულის პირას მიგვიყვანეს. ერთი ამ მამა-ძაღლს შეხედე!

- არ ვიცი, ვინ უფრო მძულს, - უთხრა ცოლმა, - ერთი თუ მეორე.

- ერთმანეთისგან რამ გაყო, - უპასუხა მოხუცმა. - რა ერთი, რა მეორე...

მერის მემკვიდრეობა. „მამაჩემი, ალბათ, არანაკლებ გაფიცვდებოდა, მერი რომ აქ ყოფილიყო და მათთან ერთად ტელევიზორის წინ მჯდარიყო, - გაიფიქრა შვედმა. - მაგრამ ის აქ არაა და ამ უოტერგეიტელ ნაბიჭვრებზე მეტად ვინაა დამნაშავე იმაში, რაც გოგონას შემთხვა?“

ვიეტნამის ომის დროს ლუ ლევოვი მერის იმ წერილების ასლებს უგზავნიდა, რომელთაც პრეზიდენტ ჯონსონს სწერდა. იმედოვნებდა, რომ ისინი სწორედ მერიზე მოახდენდა ზეგავლენას, პრეზიდენტის რეაქცია კი ნაკლებად ანაღვლებდა. როგორი გააფთრებული იყო ლუს შვილიშვილი ამ ომის გამო... თვით ლუც არანაკლებ განრისხდებოდა, მისი საოჯახო ბიზნესი დაცემის გზით რომ წასულიყო. მოხუცი იტანჯებოდა, ვაჟიშვილი განზე გაჰყავდა და ეუბნებოდა: „რატომ განიცდის ასე? საერთოდ, საიდან იცის ეს ყველაფერი? ვინ ურევს ტვინს? მისთვის ამას რა მნიშვნელობა აქვს? სკოლაშიც ასე იქცევა? სკოლაში ასე არ შეიძლება, მომავალს გაიფუჭებს, კოლეჯში ვეღარ მოხვდება. ასეთი ქცევა არავის მოსწონს და მის მომავალს დაღს დაასვამს... ის ხომ ჯერ ბავშვია...“ მოხუცი მერის შეხედულებების შერბილებას კი არ ცდილობდა, არამედ იმ ბრაზის ჩაცხრობას, რომლითაც გოგონა შეხედულებებს გამოთქვამდა. ლუ ყოველნაირად ცდილობდა დაემტკიცებინა შვილიშვილისთვის, რომ მისი მოკავშირე იყო. ამ მიზნით უგზავნიდა

ფლორიდული გაზეთებიდან ამოჭრილ სტატიებს, რომელთა მინდვრებზეც ომის საწინააღმდეგო ლოზუნგებს აწერდა. ვიზიტების დროს ლუ უკითხავდა გოგონას ჯონსონისთვის მიწერილ წერილებს პორტფელიდან, რომელსაც სახლში სიარულის დროსაც კი არ იშორებდა - ცდილობდა ჩაეცხრო მერის სულიერი მღელვარება. გოგონას პატარა ბავშვივით კვალდაკვალ დასდევდა. „ეს ძირფესვიანად უნდა აღმოიფხვრას, - ეჩურჩულებოდა ლუ თავის ვაჟიშვილს, - ასე არ შეიძლება, ეს დაუშვებელია“.

- აბა, როგორ მოგწონს ბაბუაშენი? - ეკითხებოდა ლუ მერის მას შემდეგ, რაც წაუკითხავდა პრეზიდენტთან გაგზავნილ მორიგ წერილს იმის შესახებ, თუ რა დიადი ქვეყანაა ამერიკა, რა დიადი პრეზიდენტი იყო ფრანკლინ დელანო რუზველტი, რაოდენ დავალებულია მისი ოჯახი ამ ქვეყნისგან და როგორ წუხან ლუ და მისი ახლობლები იმის გამო, რომ ქვეყნიერების მეორე კიდეში ამერიკელი ბიჭები იბრძვიან, იმის ნაცვლად, რომ შინ, თავიანთ ახლობლებთან იმყოფებოდნენ.

- ჯ-ჯ-ჯ-ჯონსონი სამხედრო ბოროტმოქმედია, - პასუხობდა მერი, - ომს როდი შეწყვეტს იმის გამო, რომ ამისკენ მოუწოდებ.

- ხომ გესმის, ასეთი სამსახური აქვს.

- იმპერიალისტი ძალღმობილია.

- ასეთი თვალსაზრისიც არსებობს.

- მ-მ-მ-მას და ჰიტლერს შ-შ-შორის არავითარი განსხვავება არაა.

- აზვიადებ, ჩემო კარგო. არა, იმას კი არ ვამბობ, რომ ჯონსონმა იმედები არ გაგვიცრუა. მაგრამ გავიწყდება, როგორ მოექცა ჰიტლერი ებრაელებს, მერი, საყვარელო. მაშინ დაბადებული არ იყავი, ამიტომაც არ გახსოვს.

- ჯონსონი ზ-ზ-ზუსტად ასევე ექცევა ვიეტნამელებს.

- ვიეტნამელებს საკონცენტრაციო ბანაკებში არ ამწყვდევენ.

- ვიეტნამი ერთი დიდი ბანაკია! საქმე „ამერიკელი ბიჭები“ როდია. ეს იგივეა, რომ ეთქვათ, აუშვიციდან ჯარისკაცები შობის დღესასწაულამდე უნდა გამოვიყვანოთო.

- პოლიტიკა ასეთია, ჩემო სიცოცხლე! პრეზიდენტს მკვლეელი რომ ვუწოდო, განა ამის შემდეგ ანგარიშს გაუწევს ჩემს შეხედულებებს? ხომ ასეა, სეიმურ?

- ეს მიზანშეწონილი არ უნდა იყოს, - მიუგო შვედმა.

- მერი, ჩვენ, ყველანი, შენს თვალსაზრისს ვიზიარებთ, - უთხრა ბაბუამ. - გასაგებია? დამიჯერე, გაზეთებს რომ ვკითხულობ, თმა ყალყზე მიდგება. მამა კოფლინი - ძალღისშვილი. ჩარლზ ლინდბერგი - პრონაციისტურად, პროპიტლერულად განწყობილი ეგრეთ წოდებული ეროვნული გმირი. მისტერ ჯერალდ ლ. კ. სმითი. დიდი სენატორი ბილბო. დიას, ამ ქვეყანაში უამრავი გაიძვერაა, ამას არავინ უარყოფს. მისტერ რენკინი. მისტერ დაისი თავისი კომიტეტით. მისტერ ჯ. პარნელ თომასი ნიუ-ჯერსიდან. იზოლაციონისტები, რასისტები, ვითომდა მიამიტი ფაშისტები აშშ-ის კონგრესში. პარნელ თომასის მსგავსი არამზადები, რომლებიც, საბოლოოდ, ციხეში აღმოჩნდნენ. მათ ხელფასს კი ამერიკელი ხალხი უხდის. საზიზღარი ადამიანები. უარესს ვერც წარმოიდგენ. მისტერ მაკარენი. მისტერ ჯენერი. მისტერ მუნდტი. ვისკონსინელი ჰებელსი - ღირსი მისტერ მაკარტი, ეშმაკმა წაიღოს მისი თავი. მაკარტის ძმაკაცი, მისტერ კონი. ნამუსგარეცხილი. ებრაელია, მაგრამ - როგორი თაღლითი! აქ ყოველთვის იყვნენ არამზადები, ისევე, როგორც ყველა ქვეყანაში, და ხელისუფლებაში ისინი მოჰყავდათ ამომრჩევლებს - ამ ბრძენკაცებს, რომელთაც ხმის უფლება აქვთ. გაზეთები? მისტერ ჰერსტი. მისტერ მაკორმიკი. მისტერ ვესტბრუკ პეგლერი. ნამდვილი ფაშისტები და რეაქციონერი ძალღისშვილები. როგორ მძულს ყველა! მამაშენს ჰკითხე. ხომ ასეა, სეიმურ? ხომ მძულს?

- კი.

- საყვარელო, ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ. და ამისთვის უფლის მადლიერნი უნდა ვიყოთ. აუცილებელი არაა, ოჯახის წევრებზე გაბრაზდე. შეგიძლია მისწერო. შეგიძლია, ხმა მისცე. შეგიძლია, ნებისმიერ კუთხეში სახელდახელო ტრიბუნა მოაწყო და სიტყვით მიმართო ხალხს. ბოლოს და ბოლოს, შეგიძლია, მამაშენივით საზღვაო ქვეით ჯარში იმსახურო.

- ოჰ, ბაბუა, საზღვაო ჯარისკაცები პრობ-პრობ-პრობ...

- თუ ასეა, ჯანდაბას, მერი, მეორე მხარეს გადადი, - თქვა ლუმ და მყისიერად აიწყვიტა: - რას ფიქრობ? თუ გინდა, მათ საზღვაო ჯარში იმსახურე. ასეთი რამ ისტორიაში მომხდარა. ნამდვილად. როდესაც წამოიზრდები, შეგიძლია, მათ მხარეს გადახვიდე და, თუ გინდა, მოწინააღმდეგის ჯარში იმსახურო. მაგრამ არ გირჩევ. ადამიანებს ეს არ მოსწონთ. ვფიქრობ, გესმის, რატომაც არ მოსწონთ. სასიამოვნო არაა, როდესაც მოღალატეს გიწოდებენ. მაგრამ ასეთი რამ მომხდარა. ამის

ალბათობა არსებობს. მაგალითად, ბენედიქტ არნოლდი ასე მოიქცა. როგორც მახსოვს, მტრის მხარეს გადავიდა. ასე მახსოვს სკოლიდან. და, ალბათ, პატივსაც ვცემ. ვაჟკაცობა ეყო დაეცვა ის, რაც სწამდა. სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო იმის დასაცავად, რაც სწამდა. მაგრამ, მერი, მე მგონი, შეცდა. ამერიკის რევოლუციის დროს მტრის მხარეს გადავიდა და, ჩემი აზრით, შეცდა. შენ კი არ ცდები - მართალი ხარ. შენი ოჯახი ასე პროცენტით ეწინააღმდეგება ამ წყეულ ვიეტნამის ომს. ოჯახის საწინააღმდეგო არაფერი უნდა გქონდეს, რადგან შენი ოჯახი იზიარებს შენს შეხედულებებს. აქ მხოლოდ შენ როდი გძულს ომი. ყველას გძულს. ბობი კენედის სძულს...

- ახლა შესძულდა, - ზიზლით თქვა მერიმ.

- მართალია, ახლა. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, ხომ ასეა? რეალისტი უნდა იყო, მერი, სხვაგვარად არ შეიძლება. ბობი კენედი ომის წინააღმდეგია. სენატორი იუჯინ მაკარტი ომის წინააღმდეგია. სენატორი ჯავიტსიც წინააღმდეგია, თუმცა კი რესპუბლიკელია. სენატორი ფრენკ ჩერჩი წინააღმდეგია, სენატორი უეინ მორსი წინააღმდეგია, თანაც - როგორი აქტიური. ამ კაცით აღტაცებული ვარ. მივწერე და თავაზიანობა ეყო, საპასუხო წერილი გამოეგზავნა საკუთარი ხელმოწერით. რა თქმა უნდა, სენატორი ფულბრაითიც ომის წინააღმდეგია. ამბობენ, სწორედ ის დათანხმდა რონკინის რეზოლუციის მიღებაზეო...

- ფ-ფ-ფულ...

- არავინ ამბობს, რომ...

- მამა, - უთხრა შვედმა, - ათქმევინე მერის.

- მაპატიე, საყვარელო, - თქვა ლუ ლევოვმა, - რა გინდოდა გეთქვა?

- ფ-ფ-ფ-ფულბრაითი რასისტია.

- მართლა? რას ამბობ! არკანზასელი სენატორი უილიამ ფულბრაითი? რა სისულელეა! რალაც გემლება, მეგობარო.

ერთხელ მერიმ ლუს ერთ-ერთი გმირი - ჯო მაკარტის მოწინააღმდეგე გააკრიტიკა და ახლა მოხუცი ყოველნაირად ცდილობდა, თავი შეეკავებინა, რომ არ გამოელანძლა გოგონა ფულბრაითის გამო.

- დამამთავრებინე. რას ვამბობდი? რაზე შევჩერდი? რა ჯანდაბაზე შევჩერდი, სეიმურ?

- შენი თვალსაზრისის თანახმად, - თქვა შვედმა, რომელიც ცდილობდა, ნეიტრალიტეტი დაეცვა ორი მოწინააღმდეგის განსჯისას, რაც

უფრო მოსწონდა, ვიდრე თითოული მათგანის ოპონენტობა, - ორივენი ომის წინააღმდეგნი ხართ და გსურთ, რომ ის შეწყდეს. ამაზე კამათი არ ღირს - მგონი, ეს გინდოდა გეთქვა. მერის აზრით, პრეზიდენტისთვის წერილების მიწერას აზრი აღარ აქვს. მისი შეხედულებით, ეს უსარგებლოა. შენ კი თვლი, რომ უსარგებლოა თუ არა, ეს შეგიძლია და უნდა გააგრძელო კიდევ. ყოველ შემთხვევაში, შენი სახელი ისტორიაში დარჩება.

- ზუსტად ასეა! - წამოიძახა მოხუცმა. - მისმინე, რას ვწერ: „მთელი სიცოცხლის განმავლობაში დემოკრატიული პარტიის წევრი ვარ“. მისმინე, მერი. „მთელი სიცოცხლის განმავლობაში დემოკრატიული პარტიის წევრი ვარ...“

მაგრამ პრეზიდენტთან გაგზავნილმა წერილებმა ვერ შეაჩერა ომი და მერისთან საუბრებმა „ძირფესვიანად ვერ აღმოფხვრა“ კატასტროფის შესაძლებლობა. ლუ ლევოვი ოჯახის ერთადერთი წევრი იყო, რომელიც მის მოახლოებას გრძნობდა. „ვიცოდი, რომ ეს მოხდებოდა. დღესავით ნათელი იყო. ვიცოდი. ვგრძნობდი. ვებრძოდი. მერის თავგზა აებნა. სულიერად გატყდა. ალლოთი ვიყნოსე. ხომ გეუბნებოდით, ამ ბავშვს მიხედეთ-მეთქი. გაფრთხილებდით, რომ რალაც ემართებოდა. მაგრამ ყური არ მათხოვეთ. ერთთავად მამშვიდებდით: „მამა, დაწყნარდი. მამა, ნუ აზვიადებ. მამა, რთული პერიოდი აქვს. ლუ, თავი დაანებე, ნუ ეკამათები“. მე კი გეუბნებოდით: „თავს ვერ დავანებებ, ის ჩემი შვილიშვილია. არ შემიძლია, თავი დავანებო. არ შემიძლია, დაგკარგო შვილიშვილი და ამიტომ თავს ვერ დავანებებ. ამ ბავშვს რალაც ემართება“. თქვენ კი გიჟად მთვლიდით. თქვენ, ყველანი. მაგრამ არ გავგიჟებულვარ. არ ვცდებოდი. ათასჯერ მართალი ვიყავი!“

შინ არავითარი შეტყობინება არ დახვედრია. ღმერთს ევედრებოდა, რომ მერი შტოლცს მისთვის რაიმე ეცნობებინა.

- არაფერია? - ჰკითხა დოუნს, რომელიც ბოსტანში დაკრეფილი მწვანისგან სამზარეულოში სალათს ამზადებდა.

- არა.

შვედმა სასმელი ჩამოასხა თავისთვის და მამამისისთვის, შემდეგ კი ვერანდაზე გაიტანა, სადაც ტელევიზორი ჯერ კიდევ ჩართული იყო.

- ხორცს შეწვავ, შვილო? - ჰკითხა დედამ.

- შემწვარი ხორცი, სიმინდით და მერის საყვარელი პომიდვრებით ვივანშმით, - „დოუნის საყვარელი პომიდვრები“ უნდა ეთქვა, მაგრამ

რაკი წამოსცდა, აღარ შეასწორა ნათქვამი.

დედა შეკრთა, მაგრამ თავს მოერია და უთხრა:

- შენსავით არავინ ამზადებს შემწვარ ხორცს.

- გმადლობ, დედა.

- ჩემი დიდი ბიჭი! ასეთი ვაჟიშვილი სხვას არავის ჰყავს, - ქალი მოეხვია და ამ კვირის განმავლობაში პირველად ვერ შეიკავა ცრემლები: - მაპატიე. გამახსენდა, როგორ მირეკავდით ხოლმე.

- მესმის, - მიუგო შვედმა.

- როდესაც ჯერ კიდევ პატარა გოგონა იყო, მირეკავდი, მას ყურმილს აძლევდი და მერი მეუბნებოდა: „გამარჯობა, ბებიკო! იცი, რა მოხდა?“ „არ ვიცი, გენაცვალე. რა მოხდა?“ - და რალაცას მიყვებოდა.

- კარგი, კარგი... აქამდე თავშეკავება არ დაგიკარგავს. შეეცადე, ახლაც არ დაკარგო. შეეცადე, დედა. გამხნევდი.

- მერის ბავშვობისდროინდელ ფოტოსურათებს ვათვალიერებდი...

- ნუ ათვალიერებ. სჯობს, არ დაათვალიერო. გამხნევდი, ვერაფერს გააწყობ.

- ჩემო საყვარელო, შენ ისეთი ძლიერი ხარ, ისე გვამხნევებ. სულიერი ძალა გვემატება, როდესაც შენ გვერდით ვართ. როგორ მიყვარხარ!

- მესმის, დედა. მეც მიყვარხარ. მაგრამ დოუნის წინაშე თავი შეიკავე.

- გპირდები.

- ყოჩაღ.

მამამისმა, რომელიც ტელევიზორს უყურებდა - და ათი დღის განმავლობაში სასწაულებრივად იკავებდა თავს - ჰკითხა:

- ახალი არაფერია?

- არაფერია, - მიუგო შვედმა.

- სულ არაფერი.

- არა.

- რას იზამ, - თქვა ლუმ და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ბედს ემორჩილებო, - რას იზამ, ალბათ, ყველაფერი ასე უნდა იყოს, - და ტელევიზორს მიუბრუნდა.

- როგორ ფიქრობ, სეიმურ, ჯერ კიდევ კანადაშია? - ჰკითხა დედამ.

- არასოდეს მივარაუდია, რომ კანადაშია.

- კი მაგრამ, ბიჭები ხომ იქ წავიდნენ...

- მოდით, ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ. შეიძლება დოუნი შემოვიდეს...

- მაპატიე, მართალი ხარ, - უთხრა დედამ. - მაპატიე, თუ შეგიძლია.

- ვითარება არ შეცვლილა, დედა. ყველაფერი ძველებურადაა.

- სეიმურ, - გაუბედავად დაიწყო ქალმა, - ერთ რამეს გკითხავ, საყვარელო. პოლიციას რომ ჩაბარდეს, რა მოხდება? მამაშენი ამბობს, რომ...

- რატომ ჩააცივდი? - შეაწყვეტინა ქმარმა. - ხომ გითხრა, აქ დოუნიანო. თავის შეკავება უნდა ისწავლო.

- თავის შეკავება ვისწავლო?

- დედა, ნუ ფიქრობ ამაზე. მერი აქ არაა. შეიძლება არასოდეს მოისურვოს ჩვენი ნახვა.

- რატომ? - წამოიყვირა ლუმ. - რა თქმა უნდა, მოისურვებს. ვერ დავიჯერებ, რომ არ მოისურვებს.

- თავს ვერ იკავებ? - ჰკითხა ქალმა.

- რა თქმა უნდა, მოისურვებს ჩვენს ნახვას. საქმე ისაა, რომ არ შეუძლია.

- ლუ, ძვირფასო, - უთხრა ცოლმა, - ხშირად ბავშვები, თვით ჩვეულებრივ ოჯახებშიც კი, იზრდებიან, მიდიან და აღარ ბრუნდებიან.

- მაგრამ არა - თექვსმეტი წლის ასაკში. და არა - ამგვარ ვითარებაში. რომელ „ჩვეულებრივ ოჯახებს“ გულისხმობ? განა ჩვენი ოჯახი ჩვეულებრივი არაა? ამ ბავშვს კი დახმარება სჭირდება. ბავშვი განსაცდელშია და ჩვენ მას ზურგს ვერ შევაქცევთ.

- ოცდაერთი წლისაა, მამა. ოცდაერთისა.

- ჰო, ოცდაერთისაა, - დაუდასტურა დედამ. - იანვარში შესრულდა.

- ბავშვი აღარაა - თქვა შვედმა. - მხოლოდ ის მინდა გითხრა, რომ არაფერს უნდა მოელოდეთ, რათა იმედი არ გაგიცრუვდეთ.

- არც ველოდებით, - მიუგო მამამ. - ასეთი სულელი როდი ვარ. გარწმუნებ, არ ველოდები.

- ჰოდა, არცაა საჭირო. ეჭვი მეპარება, რომ ოდესმე ვნახოთ.

მერის სამუდამოდ დაკარგვაზე უარესი იქნებოდა, ის ისეთი ეხილათ, როგორც შვედმა დატოვა იმ ოთახის იატაკზე. უკანასკნელ წლებში თანდათან ამზადებდა მშობლებს იმისთვის, რომ თუ მერის ნახვის იმედს არ დაკარგავდნენ, ყოველ შემთხვევაში, მომავალი რეალისტურად მაინც შეეფასებინათ. ახლა როგორ უნდა ეთქვა მათ-

თვის, რა შეემთხვა მერის? როგორ უნდა აღეწერა ყველაფერი ისე, რომ გული არ გახეთქოდათ? მიახლოებითაც კი ვერ წარმოიდგენდნენ, როგორი იყო რეალური ვითარება. და რატომ უნდა შეეტყოთ? განა აუცილებელი იყო, რომ შეეტყოთ?

- საიდან იცი, შვილო, რომ ველარასოდეს ვნახავთ?

- ხუთი წელი გავიდა. ეს დრო საკმარისია, რომ ასე ვიფიქრო.

- სეიმურ, როდესაც ქუჩაში ჩემ წინ მაღალი ქალიშვილი მიდის...

შვედმა დედის ხელები თავის ხელებში მოაქცია.

- გგონია, რომ ის მერია?

- ჰო.

- ყველას ასე გვემართება.

- თავს ვერ ვერევი.

- მესმის.

- და ყოველთვის, როდესაც ტელეფონი რეკავს...

- ვიცი.

- მე კი ვეუბნები, - თქვა ლუმ, - რომ მერი არ დაგვირეკავს.

- რატომ? - შეეპასუხა ქალი. - რატომ არ უნდა დაგვირეკოს? ეს ყველაზე უხიფათო რამაა, რაც შეიძლება გააკეთოს.

- დედა, ამოდ ელოდები. მოდით, დღეს მაინც ნუ ვილაპარაკებთ ამაზე. მესმის, რომ ამ ფიქრებისგან განთავისუფლება შეუძლებელია. მათ თავიდან ვერ ამოვიგდებთ. მაგრამ უნდა ვცადოთ. ოცნების გზით სასურველს ვერ მიიღებთ. შეეცადეთ, ოცნებებს თავი დააღწიოთ.

- შევეცდები, საყვარელო, - უთხრა დედამ. - უკვე ცოტათი მომეშვა გულზე, შენ რომ დაგელაპარაკე. არ შემიძლია, გულში ჩავიმარხო ეს ყველაფერი.

- მესმის. მაგრამ დოუნის თანდასწრებით ხომ ვერ ვიჩურჩულებთ.

შვედს ყოველთვის ესმოდა დედამისისა, მამისგან განსხვავებით, რომელმაც ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა გარდამავალ მდგომარეობაში თანაგრძნობასა და სიძულვილს, გაგების მცდელობასა და გულგრილობას, ალერსსა და თავშეუკავებელ მრისხანებას შორის. შვედი არასოდეს უფრთხოდა დედასთან დაპირისპირებას, არასოდეს გაუკვირვებია მის არჩევანს ან მრისხანებას, როგორც ეს მამასთან ურთიერთობისას ემართებოდა. ქმრისგან განსხვავებით, დედამისი მხოლოდ ახლობლების სიყვარულით სულდგმულობდა. ამ მარტივი სულის მქონე ქალისთვის საკმარისი იყო სცოდნოდა, რომ შვილებს არაფერი

უჭირდათ. შვედი ბავშვობიდანვე გრძნობდა, რომ საუბრისას დედა თითქოს გულის კარს უხსნიდა. რაც შეეხება მამას, მისი გულიც ღია იყო შვილისთვის, მაგრამ შვედს ჯერ უმტკივნეულოდ უნდა შეეღწია ამ ჭირვეული კაცის თავის ქალაში და მხოლოდ შემდეგ გაეხსნებოდა გზა დანარჩენისკენ.

გასაოცარია, როგორ დაჩიავდა დედა. ამაში მხოლოდ ოსტეოპოროზს როდი მიუძღოდა ბრალი. იმას, რასაც ოსტეოპოროზი ვერ მოერია, მერიმ მოულო ბოლო. ახალგაზრდობისას დედამისი სიცოცხლით სავსე ქალი იყო. შუა ხნის ასაკში, ახალგაზრდული ენერჯის წყალობით, ქათინაურებს იმსახურებდა. ახლა კი, ბეჭებში მოხრილს, ნაოჭებში წყენა და დაბნეულობა ჩაჰბუდებოდა. როცა ეგონა, არავინ მიყურებსო, თვალები ცრემლებით ენამებოდა. მზერაში ჩვეული გულისტკივილი და გაოცება მოუჩანდა - იმის გამო, რომ ასე დიდხანს გაუძლო ამ გულისტკივილს. და მაინც, ბავშვობისდროინდელ მოგონებებში (რომელთაც ცინიკოსი ჯერიც დაადასტურებდა, მისთვის რომ ეკითხათ) შვედს დედის სხვაგვარი ხატება წარმოუდგებოდა: მალალი, ჯან-ღონით სავსე ქალი, რომელსაც მოწითალო თმა ჰქონდა, მომხიბვლელად იცინოდა და იმით ტკბებოდა, რომ ოჯახში ერთადერთი ქალი გახლდათ. ბავშვობისას შვედს სულაც არ უკვირდა, რომ ადამიანის ცნობა ისევე ადვილად შეიძლებოდა მისი სიცილის, როგორც - სახის მეშვეობით, რაც ახლა აოცებდა. დედის ლალი სიცილი - ახლა კი არა, უწინ, როდესაც სიცილის მიზეზები მრავლად იყო - აგონებდა ჰაერში მოფარფატე ჩიტს, რომელიც სულ უფრო მალლა მიიწევს, ხოლო შენი დანახვისას (თუ, საბედნიეროდ, მისი შვილი ხარ) - კიდევ უფრო მალლა. თუკი დედის გვერდითარ იმყოფებოდა, მისი სიცილის მიხედვით ადვილად ხვდებოდა, სახლის რომელ ნაწილში იყო ის. შვედის ტვინში არ არსებობდა წარმოდგენა სახლის შესახებ. თვით ეს სახლი იყო მისი ტვინი (ტვინის ქერქი კი იყოფოდა არა შუბლის, თხემის, საფეთქლისა და კეფის ნაწილებად, არამედ - პირველ სართულად, მეორე სართულად და სარდაფად, ან - სასტუმრო ოთახად, სასადილო ოთახად, სამზარეულოდ და ყველაფერ დანარჩენად).

ფლორიდიდან ჩამოსვლის შემდეგ დედა მთელი კვირა იტანჯებოდა, რადგან ხელჩანთაში მალავდა ლუ ლევოვის მიერ ჯერის მეორე (ახლახან მიტოვებულ) ცოლთან მიწერილ ბარათს. ქმარმა სილვია ლევოვს წერილების დასტა გადასცა და სთხოვა გაეგზავნა, მაგრამ ქალმა სწო-

რედ ამ ბარათის გაგზავნა ვერ შეძლო. გაბედა და წაიკითხა ბარათი, შემდეგ კი თან წამოიღო, სეიმურისთვის რომ ეჩვენებინა.

- წარმოგიდგენია, როგორ გააფთრდება ჯერი, სიუზენმა ეს წერილი რომ მიიღოს? გადაირევა. ფიცხი ბიჭია. ყოველთვის ასეთი იყო. შენ არა გგავს, საყვარელო - არ იცის, დიპლომატია რა არის. მამაშენმა კი ყველაფერში ცხვირი უნდა ჩაყოს და არ ალელვებს, რა მოჰყვება ამას. მთავარია, უადგილო ადგილას ჩაყოს ცხვირი. აი, გაგზავნის ამ წერილს, ჯერის უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს და მერე ჯერი შავ დღეს დააყრის.

ორგვერდიანი წერილი ასე იწყებოდა: „ძვირფასო სიუზი, ამ წერილში შენთვის ჩეკი ჩავდე, რაც არავინ უნდა იცოდეს. სადმე დამალე და არავის გაუმხილო. შენთვის განკუთვნილი თანხაა. არავის ვეტყვი და შენც არავის უთხრა. იცოდე, ჩემს ანდერძში მოგიხსენიე. ეს ფული როგორც გინდოდეს, ისე დახარჯე. ბავშვებს ცალკე დავუტოვე. თუ მოინდომებ, რომ რაიმეში დააბანდო, ოქრო არჩიე. დოლარი მალე გაუფასურდება. გირჩევ კომპანიებს: „ბენინგტონ მაინზი“, „კასტვორპ დეველოპმენტი“, „შლი-უეიგენ მინერალ კორპორეიშენი“. საიმედო კომპანიებია. სახელწოდებები „ბარინგტონის ბიულეტენიდან“ შევარჩიე და ჭკუა არ წამიგია“.

წერილზე მიმაგრებული იყო - კონვერტის გახსნისას სადმე, დივანის ქვეშ რომ არ შევარდნილიყო - შვიდი ათას ხუთასი დოლარის ღირებულების ჩეკი სიუზენ რ. ლევოვის სახელზე. სიუზენმა ორჯერ მეტი თანხა მიიღო, როდესაც დარეკა და ტირილითა და მოთქმით აუწყა, ჯერიმ მიმატოვა და ოფისში ახლად მისულ მედდასთან გააბა რომანიო. ის თვითონაც ახლად მისული მედდა იყო, როდესაც ჯერის თვალში მოუვიდა, რაც პირველ ცოლთან განქორწინებით დამთავრდა. დედამ უამბო შვედს, როგორც კი ჯერიმ თხუთმეტიათასიანი ჩეკის შესახებ შეიტყო, მამას დაურეკა და უკანასკნელი სიტყვებით გამოლანძლო. სწორედ იმ ღამეს, პირველად მის სიცოცხლეში, ლუ ლევოვს გულის შეტევა დაემართა და სილვიას ექიმის გამოძახება მოუხდა.

ახლა, ოთხი თვის შემდეგ, ლუმ კვლავ მოინდომა ფულის გაგზავნა ყოფილი რძლისთვის. „სეიმურ, მითხარი, როგორ მოვიქცე? ლუ დადის და ყვირის: „მეორე განქორწინება, მეორე დანგრეული ოჯახი, ჩემი შვილიშვილები კვლავ დანგრეულ ოჯახში გაიზრდებიან, სამი არაჩვეულებრივი ბავშვი უმამოდ უნდა გაიზარდოს“. ხომ იცი მისი ხასიათი.

ყვირის და ყვირის, აღარ წყნარდება, ლამის ჭკუიდან შევიშალო. „რა-
ტომაა, რომ ჩემს შვილს განქორწინება ჩირადაც არ უღირს? განა ჩვენს
ოჯახში ოდესმე ვინმე განქორწინებულა? არავინ!“ მეტი აღარ შემიძ-
ლია, ჩემო საყვარელო. მიყურებს და ღრიალებს: „რატომ არ წაეთრევა
ბორდელში? იქიდან წამოყვანილ ბოზზე დაქორწინდეს, მორჩა და გა-
თავდა!“ თუ კიდევ იჩხუბებენ, ჯერი მამას არ დაინდობს. შენსავით
თვინიერი კი არაა. არასოდეს ყოფილა. როგორ იჩხუბეს იმ ქურქის გა-
მო... გახსოვს, ჯერიმ ქურქი რომ შეკერა ზაზუნას ტყავებისგან? მაშინ,
მგონი, ჯარში მსახურობდი. ჯერიმ სადღაც (ალბათ სკოლაში) ტყავები
იშოვა და ვიღაც გოგონასთვის ქურქი შეკერა. ეგონა, გააბედნიერებდა.
ლამაზად შეფუთა და ფოსტით გაუგზავნა. როდესაც გოგონამ ამანათი
გახსნა, მყრალი სუნი ეცა და ატირდა, დედამისმა კი ჩვენ დაგვირეკა.
ლუ იმდენად გააფთრდა, რომ ლამის იყო, გაგვეკოჭა. მან და ჯერიმ ისე
იჩხუბეს... კინალამ მოვკვდი. თხუთმეტი წლის ბიჭი უყვიროდა მამა-
მისს: „უფლება მაქვს, მე უფლება მაქვს!“ მისი ხმა, ალბათ, ქუჩაშიც
ესმოდათ. ჯერის დათმობა არ შეუძლია - არც იცის, რა არის ეს. მაგ-
რამ ახლა ორმოცდახუთი წლის კაცს კი არ უყვირებს, არამედ სტენო-
კარდიით დაავადებულ სამოცდათხუთმეტი წლის მოხუცს. ამის შემდეგ
კუჭის ან თავის ტკივილი კი აღარ შეაწუხებს - ინფარქტი დაემართე-
ბა“. „არ დაემართება, დედა, დამშვიდდი“. „არასწორად მოვიქეცი? არა-
სოდეს დამიკარებია ხელი სხვისი წერილებისთვის. მაგრამ ეს როგორ
უნდა გაუგზავნოს სიუზენს? სიუზენი ხომ არაფერს დამალავს. ისევე
მოიქცევა, როგორც მაშინ. ამ წერილს ჯერის წინააღმდეგ გამოიყენებს
- აუცილებლად უამბობს. და ახლა ჯერი უკვე მოკლავს მამამისს“. „არ
მოკლავს. არ უნდა მისი მოკვლა და არც მოკლავს. გაგზავნე წერილი,
დედა. თან გაქვს?“ „ჰო“. „კონვერტი ხომ არ დაზიანდა? ხომ არ გაგინე-
ვია?“ „მრცხვენია ვალიარო, მაგრამ ორთქლს შევუშვირე. კონვერტი
დაუზიანებელია. არ მინდა, რომ ამის გამო ლუ მოკვდეს“. „ეს არ მოხ-
დება. მათ საქმეებში ნუ ჩაერევი, დედა. სიუზენს წერილიც და ჩეკიც
გაუგზავნე. ხოლო როდესაც ჯერი დარეკავს, შინიდან გადი, გაისეირ-
ნე“. „ისევე რომ ასტკივდეს გული?“ „თუ ასტკივდა, ექიმს გამოიძახებ,
როგორც მაშინ. უბრალოდ, ნუ ჩაერევი. მამაჩემს საკუთარი თავისგან
ვერ დაიცავ. უკვე გვიანაა“. „მადლობა ღმერთს, რომ მყავხარ. ერთა-
დერთი ადამიანი, ვისაც შემიძლია დახმარებისთვის მივმართო, შენ

ხარ. საკუთარი უბედურებებიც გეყოფა, რამდენი რამ გადაიტანე, და მაინც, ერთადერთი ხარ ოჯახში, ვინც ჰკვიანურად მელაპარაკება...”

- დოუნი დამშვიდდა? - ჰკითხა მამამ.

- კარგადაა.

- მშვენივრად გამოიყურება, - განაგრძო ლუმ. - ძველებურად მშვენიერია. სწორად მოიქეცით, მესაქონლეობას თავი რომ დაანებეთ. არასოდეს მომწონდა ეს საქმიანობა. არ მესმოდა, რა ნახა ამ ძროხებში. მადლობა ღმერთს, რომ სახის კანი აიჭიმა. წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ვცდებოდი. ვალიარებ, იდიოტურად ვიქცეოდი. იმ ქირურგმა ძალზე იმარჯვა. ღვთის მადლით, ჩვენს დოუნს უკვე აღარ ეტყობა, რამდენი რამ განიცადა.

- ჰო, ქირურგმა შესანიშნავად იმუშავა, - მიუგო შვედმა, - მთელი ეს ტანჯვა სახიდან წაუშალა. სარკეში აღარ დაინახავს თავისი უბედურების ანარეკლს.

- მაგრამ კვლავ მოლოდინშია. დარწმუნებული ვარ, სეიმურ. დედები ამას ამჩნევენ. შეიძლება სახიდან წაიშალო ტანჯვა, მაგრამ მესსიერებიდან ვერ ამოშლი. მაინც მოლოდინშია, საწყალი.

- დოუნი საწყალი არაა, დედა. მებრძოლი სულის ადამიანია. არაფერი უჭირს. ძალიან ბევრი რამ დაძლია.

მართლაც, მთელი იმ ხნის განმავლობაში, როდესაც შვედი სტოიკურად იტანდა უბედურებას, დოუნმა ძალზე ბევრი რამ დაძლია - თავდაპირველად საშინლად იტანჯებოდა, დაძაბუნდა, სულიერად განადგურდა, შემდეგ კი ეს ყველაფერი უკუაგდო. ქმრისგან განსხვავებით, არ ეწინააღმდეგებოდა დარტყმებს; იღებდა მათ, ძირს ეცემოდა, მაგრამ შემდეგ ფეხზე დგებოდა და სახეს იცვლიდა. მისი ქცევა აღფრთოვანებას იმსახურებს: ჯერ უგულუბელყოფს სახეს, რომელიც შვილმა შეულახა, შემდეგ ტოვებს სახლს, რომელიც მისმა შვილმა ასევე წაბილწა. ბოლოს და ბოლოს, ეს მისი ცხოვრებაა და დოუნი, რადაც უნდა დაუჯდეს, ცხოვრებას გააგრძელებს.

- დე, აღარ გვინდა ამაზე ლაპარაკი. წავიდეთ, ბუხარში ცეცხლი უნდა დავანთო.

- არა, - უთხრა დედამ, რომელსაც კვლავ ცრემლები მოერიო. - გმადლობ, საყვარელო. აქ დავრჩები მამაშენთან ერთად და ტელევიზორს ვუყურებ.

- მთელი დღე უყურებდი. წავიდეთ, დამეხმარები.

- არა, გმადლობ, საყვარელო.

- ელოდება, რომ ნიქსონს გაუსწორდებიან, - უთხრა მამამ. - როდესაც ნიქსონს გაუსწორდებიან და წირვას გამოუყვანენ, დედაშენი ბედნიერებისგან ცას ეწევა.

- შენ არ ეწევი? - ჰკითხა ქალმა. - ამ კაცმა ძილი გაუფრთხო. შუალამისას დგება და წერილებს სწერს. იმდენად უწმაწურ გამოთქმებს იყენებს, რომ იძულებული ვარ, ზოგიერთი მათგანი შევასწორო, ან კალამიც კი წავართვა.

- ეს ახვარი! - წამოიძახა ლუმ მწარედ. - ეს უბადრუკი ფაშისტი ძაღლი! - და კიდევ უფრო გააფთრებულმა, გესლიანი საბრალდებო სიტყვა წარმოთქვა შეერთებული შტატების პრეზიდენტის წინააღმდეგ. მისი გამოსვლა თვით მერის უმძაფრეს გამოსვლებს არ ჩამოუვარდებოდა, თუ არ ჩავთვლით მეტყველების დეფექტს, რომელიც გოგონას აღშფოთებას ტყვიამფრქვევის ჯერის გამანადგურებელ კატეგორიულობას ანიჭებდა. ნიქსონმა ლუ ლევოვს საშუალება მისცა, ის ეთქვა, რაც უნდოდა - ისევე, როგორც ჯონსონმა - მერის. ნიქსონის ლანძღვისას ლუ ლევოვი თითქოს უბრალოდ ბაძავდა შვილიშვილის სიძულვილს ლინდონ ჯონსონის მიმართ. ძირს ნიქსონი! ძირს ეს ნაბიჭვარი! როდესაც ნიქსონი არ იქნება, ყველაფერი კარგად იქნება. ნიქსონს კუპრი რომ წაფუსვათ და ბუმბულებში ვაკოტრიალოთ, ამერიკა კვლავ იქცევა ამერიკად - ამ ამაზრზენი მოვლენების, უკანონობის, ძალმომრეობის, ბოროტების, სიგიჟისა და სიძულვილის გარეშე. ჩასვით გალიაში ეს თაღლითი და ჩვენი ქვეყანა კვლავ დიად ქვეყნად იქცევა!

დოუნმა სამზარეულოდან მოირბინა, რათა ენახა, რა ხდებოდა. უკვე ყველანი ტიროდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ, ეხუტებოდნენ და ცრემლად იღვრებოდნენ ფართო ვერანდაზე. თითქოს ის ბომბი მათი სახლის ქვეშ იყო ჩადებული და აფეთქების შემდეგ მხოლოდ ეს ვერანდა გადარჩა. და შვედი ვერაფერს გახდა ვერც საკუთარ თავთან და ვერც დანარჩენებთან.

ოჯახს ასე მძაფრად არასოდეს უგრძნია მარცხი. მიუხედავად იმისა, რომ შვედი ცდილობდა, იმ დღეს განცდილი მღელვარებით გამოწვეული შოკი დაეძლია და სულიერი წონასწორობა შეენარჩუნებინა; მიუხედავად შეუპოვრობისა, რომლითაც ცდილობდა გამხნევებულიყო მას შემდეგ, რაც გვირაბი გაირბინა და პირქუშ დაუნ-ნეკ-სტრიტზე თა-

ვისი ხელუხლებელი ავტომანქანა იპოვა; მიუხედავად შეუპოვრობისა, რომლითაც მეორედ სცადა გამხნევებულიყო ჯერისთან ტელეფონით საუბრის შემდეგ; მიუხედავად შეუპოვრობისა, რომლითაც მესამედ სცადა გამხნეება - როდესაც ავტომანქანის გასაღებით ხელში იდგა ავტოსადგომზე, მავთულხლართის სპირალებქვეშ; მიუხედავად იმისა, რომ გამხნევდა; მიუხედავად თავდაცვის განწირული მცდელობებისა; მიუხედავად თავდაჯერებულობის კარგად მორგებული ნიღბისა, რომლის მეშვეობითაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ცდილობდა დაეცვა ახლობლები მერის მიერ ჩადენილი ოთხი მკვლელობისგან - საკმარისი იყო ეთქვა „მერის საყვარელი პომიდვრები“ „დოუნის საყვარელი პომიდვრების“ ნაცვლად, რომ ყველამ იგრძნო, რამდენად ტრაგიკული იყო ის, რაც შეემთხვათ.

იმ საღამოს ლევოვები ვახშმად ექვს სტუმარს ელოდნენ. თავდაპირველად მოვიდა დოუნის არქიტექტორი - ბილ ორკატი, ცოლთან, ჯესისთან ერთად. ისინი ლევოვების სახლიდან რამდენიმე მილში, ძველ საგვარეულო სახლში ცხოვრობდნენ და ჯერ, უბრალოდ, ნაცნობობა გააბეს, შემდეგ კი შვედთან და დოუნთან სადილად სიარული დაიწყეს, მას შემდეგ, რაც ბილ ორკატმა ლევოვების ახალი სახლის აგება ითავა. მორისის ოლქში კარგად იცნობდნენ ორკატების ოჯახიდან გამოსულ იურისტებს: ადვოკატებს, მოსამართლეებს, სენატორებს. როგორც ძველთა დაცვის ადგილობრივი საზოგადოების პრეზიდენტმა (ახალი თაობის „სინდისის ხმამ“), ორკატმა წააგო ბრძოლა იმისთვის, რომ ახალი ავტომავისტრალი გაეყვანათ მორისტაუნის ისტორიული ცენტრის შემოვლით. სამაგიეროდ, სხვა ბრძოლაში გაიმარჯვა. ჩეთჰემის მახლობლად აეროპორტის აშენების წინააღმდეგი გახლდათ, რადგან ასეთ შემთხვევაში განადგურდებოდა „დიდი ჭაობი“, მასთან ერთად კი, მნიშვნელოვანწილად - ოლქის ფლორა და ფაუნა. ახლა ის ცდილობდა, დაბინძურებისგან დაეცვა ჰოპატკონგის ტბა. ორკატის ავტომანქანის ბამპერზე მიკრულ სტიკერზე ეწერა: „დავიცვათ მწვანე, სუფთა და მყუდრო მორისი“, ხოლო როდესაც შვედი გაიცნო, მეგობრულად მოუთათუნა ხელი მის ერთ-ერთ ავტომანქანას და თქვა: „ყველას დახმარება გვჭირდება თანამედროვე უბედურებებისგან თავის დასაცავად“. როდესაც შეიტყო, რომ ახალი მეზობლები ქალაქში გაიზარდნენ და მორისის ზეგნის სოფლებს არ იცნობდნენ, შესთავაზა, ოლქის ტერიტორიას დაგათვალიერებინებთო. ეს ექსკურსია მთელ დღეს გაგ-

რძელდა და მეორე დღესაც გაგრძელდებოდა, შვედს რომ არ ეცრუა, დოუნთან და მერისთან ერთად კვირას სიდედრ-სიმამრს უნდა ვესტუმროო.

დოუნი მათ არ გაჰყვა. პირველი შეხვედრისას რალაც არ მოეწონა ორკატის ქცევაში - აღიზიანებდა არქიტექტორის ბატონკაცური ქცევა და მომეტებული თავაზიანობა; ეჩვენებოდა, რომ ეს ზრდილი სოფლელი ახალგაზრდა კაცი მას მხოლოდ სასაცილო მეშხან ქალად მიიჩნევდა, რომელმაც მარჯვედ გადმოიღო მაღალი წრის ქალბატონთა ქცევის წესები და ახლა ცდილობდა, თავხედურად შეეღწია ორკატის რაფინირებულ მამულში. თავდაჯერებულობა - აი, რამ გააღიზიანა ქალი. ორკატის უზომო თავდაჯერებულობამ. რა თქმა უნდა, დოუნი ერთ დროს „მის ნიუ-ჯერსი“ იყო, მაგრამ შვედმა რამდენჯერმე დაინახა ის „სუროს ლივის“ მდიდარ, შოტლანდიური შალის სვიტერებში გამოწყობილ წევრებთან ერთად. ყოველთვის უკვირდა, რომ დოუნი თითქოს შეურაცხყოფილი იყო და თავს იცავდა მათგან. თავდაჯერებულობა არ აკლდა, მაგრამ მხოლოდ მანამდე, სანამ ამგვარი ადამიანების გარემოცვაში არ აღმოჩნდებოდა და მათ მიმართ კლასობრივ სიძულვილს არ იგრძნობდა. „მაპატიე, - ამბობდა დოუნი, - მესმის, რომ ირლანდიელის არასრულფასოვნების კომპლექსი მაქვს, მაგრამ არ მომწონს, როდესაც ქედმაღლურად მექცევიან“. მართალია, სულის სიღრმეში შვედს მოსწონდა მისი გულფიცხოვა და ამაყად ფიქრობდა, ჩემი ცოლი თავს არავის დააჩაგვრინებსო, მაგრამ დოუნის ეს თვისება მაინც აშფოთებდა და აწუხებდა. ამჯობინებდა ეფიქრა დოუნის, როგორც თვალისმომჭრელად ლამაზი და წარმატებული ქალის შესახებ, რომელმაც იმდენად გაითქვა სახელი, რომ შეურაცხყოფად არაფერი უნდა მიეღო. „ჩვენი განსხვავება მათგან, - ამბობდა დოუნი და „მათში“ პროტესტანტებს გულისხმობდა, - ისაა, რომ ჩვენ, უბრალოდ, მეტ ალკოჰოლს ვსვამთ. სხვა არაფერი. წარმომიდგენია, როგორ ეუბნება თავის სნობ მეგობრებს: „ჩემი ახალი მეზობელი ირლანდიელია, მისი ქმარი კი - ებრაელი“. თუ ეს არ გაწუხებს, გაჰყევი, მაგრამ მაპატიე, ვერ ავიტან მის ქედმაღლურ დამოკიდებულებას ჩვენი პლებეური წარმომავლობისადმი“.

დოუნს ორკატთან გასაუბრების გარეშეც სჯეროდა, რომ ამ კაცს სწამდა: მისი დახვეწილი მანერები არისტოკრატიულ წარსულზე მეტ-

ყველებდნენ. ამიტომ იმ დღეს ის შინ დარჩა და კმაყოფილიც იყო, რომ მთელი დღე შვილს დაუთმო.

დილის რვა საათზე შვედი და ორკატი გზას გაუდგნენ, დიაგონალურად გადაკვეთეს ოლქი - სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, შემდეგ კი უკან დაბრუნდნენ, ოღონდ არა - პირდაპირ: რკინის ძველი საბადოების კლაკნილ ქედს გამოჰყვნენ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ორკატი ლაყბობდა მეცხრამეტე საუკუნის დიდებულ დღეებზე, როდესაც რკინა მეუფე იყო და აი, ამ მიწიდან მოიპოვებდნენ მილიონობით ტონა მადანს; იბერნიიდან და ბუნტონიდან მორისტაუნამდე ყველა სოფელი და ქალაქი გადაჭედილი იყო სამჭედლოებით, სამსხმელოებით, საგლინი დგანებით. ორკატმა აჩვენა შვედს ძველი მეტალურგიული ქარხანა, სადაც მზადდებოდა პირველი რელსები, ვაგონების ბორბლები და ღერძები მორის-ესექსის რკინიგზისთვის. აჩვენა დენტის ფაბრიკა კენვილში, სადაც აწარმოებდნენ დინამიტს მალაროების გასაყვანად, შემდეგ კი, პირველი მსოფლიო ომისთვის - ტრინიტროტოლუოლს. ამათ გარკვეულწილად მოამზადა ნიადაგი პიკატინიში არსენალის ასაგებად, სადაც მეორე მსოფლიო ომის დროს დიდ საარტილერიო ჭურვებს ამზადებდნენ. 1940 წელს სწორედ აქ, კენვილში აფეთქდა საბრძოლო მასალების საწყობები და ორმოცდათორმეტი ადამიანი დაიღუპა დაუდევრობის შედეგად, თუმცა თავდაპირველად ჯაშუშებსა და დივერსანტებს ეძებდნენ. მათ ჩაუარეს ძველ კალაპოტს მორისის არხისა, რომლითაც პიტსბურგიდან აქაური სამსხმელოებისთვის ანტრაციტი ჩამოჰქონდათ. მოულოდნელად ორკატმა ღიმილით შენიშნა, რომ ფილიპსბურგის პირდაპირ, დელავერის მოპირდაპირე მხარეს, ისტონი იყო. „ისტონში კი - დაამატა მან, - ოლდრიმროკელი ბიჭებისთვის ბორდელი იყო მოწყობილი“.

მორისის არხის აღმოსავლეთ ტერმინალს „ჯერსი-სიტი და ნიუარკი“ ეწოდებოდა. არხის ნიუარკული ნაწილის შესახებ შვედმა ბავშვობიდანვე იცოდა, რადგან მამამისი ხშირად უამბობდა. როდესაც ქალაქის ცენტრში ან რეიმონდ-ბულვარის რაიონში იმყოფებოდნენ, ბიჭი ისმენდა, რომ იმ ადგილის მახლობლად, სადაც ებრაელი ახალგაზრდების ასოციაცია იყო, შვედის დაბადების წელს ქალაქის ახლანდელი მთავარი მაგისტრალის, რეიმონდ-ბულვარის გასწვრივ ნამდვილი, წყლიანი არხი იყო გაყვანილი.

ბიჭუნას გონებაში სიტყვა „მორისი“ არხის სახელწოდებაში ყოველთვის უკავშირდებოდა არა მორისის ოლქს, რომელიც იმხანად ძალზე შორეული ეგონა, ნებრასკასავით, არამედ - მამამისის უფროს ძმას, სახელად მორისს. 1918 წელს, ოცდაოთხი წლის ასაკში, მას უკვე ფეხსაცმლის საკუთარი მაღაზია ჰქონდა, უფრო სწორად, პატარა სავაჭრო ფარდული ფერი-სტრიტზე, სადაც პოლონელი, იტალიელი და ირლანდიელი ლატაკები ცხოვრობდნენ. ის მაღაზიას ახალგაზრდა ცოლთან ერთად უძღვებოდა და ეს ყველაზე დიდ ოჯახურ მონაპოვარს წარმოადგენდა, სანამ აშშ-ის არმიის ქალთა სამსახურთან გაფორმებული კონტრაქტის წყალობით, „ნიუარკ-მეიდი“ წინა პლანზე არ გამოვიდა. მორისი ეპიდემიის დროს მოულოდნელად გარდაიცვალა გრიპისგან. თვით იმ ექსკურსიის დროსაც, როცა ორკატი მორისის არხს ახსენებდა, შვედს ახსენდებოდა განსვენებული უცნობი ბიძა, მამამისის საყვარელი ძმა, რომლის საპატივცემულოდ, როგორც ოდესღაც პატარა სეიმურს ეგონა, რეიმონდ-ბულვარის ქვეშ გამავალ არხს სახელწოდება შეურჩიეს. მას შემდეგაც კი, როდესაც ლუ ლევოვმა სენტრალ-ავენიუზე (დაახლოებით ას მეტრში იმ ადგილიდან, სადაც არხი ჩრდილოეთისკენ, ბელვილისკენ უხვევდა) ფაბრიკა იყიდა, სახელწოდება „მორისის არხი“ შვედის ცნობიერებაში მაინც უკავშირდებოდა არა შტატის ისტორიას, არამედ - თავისი ოჯახის ბრძოლას გადარჩენისთვის.

როდესაც მორისტაუნის შტაბს ჩაუარეს, შვედმა, თავაზიანობის გამო, იცრუა, რომ არასოდეს ენახა ეს მუშაკები, ქვემეხის ჭურვები და ძველი სათვალეები, თუმცა შტაბი პირველად მეოთხე კლასში სწავლისას დაათვალიერა. შემდეგ მათ დატოვეს მორისტაუნი, სამხრეთ-დასავლეთისკენ გაემართნენ და მიაღწიეს ამერიკის რევოლუციისდროინდელ ძველ სასაფლაოს, სადაც განისვენებდნენ დაღუპული მეომრები და, აგრეთვე, საძმო საფლავში - ოცდაშვიდი ჯარისკაცი, რომლებიც 1777 წელს აქაურ სამხედრო ბანაკებში გავრცელებულ ყვავილის ეპიდემიას ემსხვერპლნენ. ორკატს, რომელიც მგზავრობისას შვედს ლექციებს უკითხავდა ისტორიაში, ჯერ კიდევ არ განელებოდა დიდაქტიკური გზნება და აქ, ძველ საფლავებს შორის, კვლავ ანათლებდა შვედს. საღამოს, ვახშმობისას, როდესაც დოუნმა ჰკითხა, სად წაგიყვანა ორკატმაო, ქმარმა სიცილით მიუგო: „ეს დღე ტყუილუბრალოდ არ დამიკარგავს. ორკატი მართლაც მოსიარულე ენციკლოპედიიაა. ასეთ

უმეცარ ადამიანად არასოდეს მიგრძნია თავი“. „ძალიან მოსაწყენი იყო?“ - ჩაეკითხა დოუნს. „სულაც არა, - უპასუხა შვედმა. - შესანიშნავად გავატარეთ დრო. კარგი ტიპია. ძალიან სასიამოვნო. უფრო უკეთესი, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. დიდგულაა, მაგრამ ბევრი კარგი თვისება აქვს“. შვედს გაახსენდა ორკატის სიტყვები ისტონის ბორდელის შესახებ, მაგრამ დოუნს მხოლოდ ის უთხრა, ორკატების ოჯახი რევოლუციის დროიდან ცნობილიაო. „ვინ იფიქრებდა!“ - გამოეხმაურა დოუნს. „ძალიან განათლებულია, - უთხრა შვედმა ისე, თითქოს ვერ შეამჩნია ცოლის სარკასტული კილო. - ძველ სასაფლაოზე ვიყავით, რომელიც შტატის ყველაზე მაღალ ადგილას მდებარეობს. იქ ძველებური ეკლესიაა. წვიმის დროს ეკლესიის სახურავის ჩრდილოეთ კალთიდან წყალი ჩაედინება პასაიკში, შემდეგ კი - ნიუარკის ყურეში, ხოლო სახურავის სამხრეთი კალთიდან - რარიტანში, საბოლოოდ კი - ნიუ-ბრანსუიკში ხვდება“. „არ მჯერა“, - განაცხადა დოუნმა. „ფაქტი ასეთია“. „ვერ დავიჯერებ, ნიუ-ბრანსუიკში ვერაფრით მოხვდება“. „გეყო, დოუნ. გეოლოგიური თვალსაზრისით, ეს საინტერესოა. ძალიან საინტერესო“, - შვედმა განზრახ დაამატა „ძალიან საინტერესო“, რათა მიეხვედრებინა ცოლი, რომ არ თანაუგრძნობდა „ირლანდიელის არასრულფასოვნების კომპლექსს“. ამგვარი გულფიცხოვა არ ეკადრებოდა არც შვედს და არც დოუნს.

ღამით, საწოლში, ფიქრობდა, რომ როდესაც მერი სკოლაში დაიწყებდა სიარულს, უნდა ეთხოვა ორკატისთვის გოგონას წაყვანა ამგვარ ექსკურსიაზე, რათა მერის ჭეშმარიტი ექსპერტისგან შეეტყო მშობლიური ადგილების ისტორია; რათა ენახა, სად გადიოდა მეოცე საუკუნის დასაწყისში რკინიგზა, რომლითაც ჰანტერდონის ბალებიდან მორისტაუნში ატმები ჩამოჰქონდათ. ოცდაათი მილის სიგრძის რკინიგზა მხოლოდ ხილის ჩამოსაზიდად გაიყვანეს. დიდი ქალაქების მდიდარი მოსახლეობა ატმებს ეტანებოდა და მათ მორისტაუნიდან ნიუ-იორკში გზავნიდნენ. ხუმრობაა ატმებით დატვირთული საგანგებო მატარებელი? კარგ დღეებში ჰანტერდონიდან ატმებით დატვირთულ სამოცდაათ ვაგონს გზავნიდნენ. აქ ორი მილიონი ხე იზრდებოდა, სანამ ისინი ბუგრმა არ გაანადგურა. მაგრამ შვედს თვითონაც შეეძლო ეამბა მერისთვის მატარებლების, ხეებისა და ბუგრის შესახებ, ეჩვენებინა, სად გადიოდა რელსები. საამისოდ ორკატი არ დასჭირდებოდა.

- მორისის ოლქში პირველი ორკატი, - ორკატმა მიუთითა ეკლესიის უკანა კედელთან აღმართულ ჩამუქებულ საფლავის ქვაზე, რომელზეც ანგელოზი იყო ამოტვიფრული, - თომასი, ჩრდილოეთ ირლანდიიდან ჩამოვიდა. პროტესტანტი იყო. 1774 წელს ჩამოვიდა ოცი წლისა. ადგილობრივ სამხედრო ნაწილში ჩაეწერა. 1777 წლის ორ იანვარს მონაწილეობდა მეორე ბრძოლაში ტრენტონთან. ამ ბრძოლამ მოუმზადა ნიადაგი ვაშინგტონის გამარჯვებას პრინსტონში მომდევნო დღეს.

- ეს არ ვიცოდი, - უთხრა შვედმა.

- შემდეგ მორისტაუნის ბაზაზე გადაიყვანეს და ინტენდანტად მსახურობდა. ომის შემდეგ მორისტაუნში შეიძინა მეტალურგიული ქარხანა, რომელიც 1795 წელს წყალდიდობამ გაანადგურა. აქ ორჯერ მოხდა წყალდიდობა: 1794-სა და 1795-ში. ჯეფერსონის აქტიური მომხრე გახლდათ. იმან გადაარჩინა, რომ, გუბერნატორ ბლუმფელდის ბრძანებით, მორისის ოლქის მოსამართლედ დანიშნეს და მეურვეობასთან და მემკვიდრეობით დატოვებულ ქონებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვა დაავალეს. სამართლიანობის სასამართლოს წევრი იყო. კარიერის დასასრულს ქალაქის სამმართველოს მდივნის თანამდებობა ეკავა. აი, ასეთი კაცი იყო. ფესვმაგარი, ნაყოფიერი პატრიარქი.

- საინტერესოა, - შეეხმიანა შვედი, თუმცა იმწუთას ეს ყველაფერი დრომოჭმულ ამბებად მიაჩნდა. საინტერესო იყო მხოლოდ ის, რომ ამგვარ კაცს პირველად შეხვდა.

- აქეთ, - დაუძახა ორკატმა და მიიყვანა ოციოდ ფუტის დაშორებით მდებარე მეორე ძველ საფლავის ქვასთან, რომლის ყავისფერი ზედაპირის ზედა ნაწილშიც ანგელოზი იყო ამოტვიფრული, ხოლო ქვემოთ - ლექსის ოთხი, უკვე ძნელად წასაკითხი ტაეპი.

- მისი შვილი უილიამი. ათი ვაჟის მამა. ერთი ოცდაათი წლისა გარდაიცვალა, დანარჩენებმა კი დიდხანს იცოცხლეს. მთელ მორისის ოლქში გაიფანტნენ. მათ შორის ფერმერი არც ერთი არ იყო, ყველანი მომრიგებელი მოსამართლეები, შერიფები, არჩევით თანამდებობებზე მომუშავე ჯენტლმენები, ფოსტის უფროსები იყვნენ. ორკატები ყველგან ბინადრობდნენ, უორენსა და სასექსშიც კი შეაღწიეს. მათგან უილიამი ყველაზე წარმატებული იყო: გზები გაჰყავდა, საბანკო საქმიანობასაც ეწეოდა. 1828 წელს პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობდა. ენდრიუ ჯექსონის მომხრე იყო. ჯექსონის გამარჯვების წყალობით მაღალ სასამართლო თანამდებობაზე დაინიშნა -

უმაღლეს თანამდებობის პირად შტატის სასამართლო სისტემაში. ადვოკატთა კოლეგიის წევრი არასოდეს ყოფილა. იმხანად ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. დიდად პატივცემული მოსამართლე გახლდათ, როდესაც გარდაიცვალა. ხედავთ, რა წერია ქვაზე? „ზნეობრივი მოქალაქე, რომელმაც სარგებლობა მოუტანა საზოგადოებას“. უილიამის ვაჟი, ჯორჯი - აი, ეს - ავგუსტ ფინდლისთან მუშაობდა და მისი პარტნიორიც გახდა. ფინდლი შტატის საკანონმდებლო კრების წევრი იყო. მონობის გაუქმებისთვის ბრძოლამ ის რესპუბლიკური პარტიის რიგებში მიიყვანა...

შვედი ეუბნებოდა დოუნს, მიუხედავად იმისა, უნდოდა თუ არა ქალს ამის მოსმენა - არა, სწორედ იმიტომ, რომ არ სურდა ამის მოსმენა: „ეს იყო ამერიკის ისტორიის გაკვეთილი. ჯონ ქუინსი ადამსი, ენდრიუ ჯექსონი, აბრაამ ლინკოლნი, ვუდრო ვილსონი. ბაბუამისის მამა ვუდრო ვილსონთან ერთად სწავლობდა პრინსტონში. წელი დამისახელა, მაგრამ არ მახსოვს. ათას რვაას სამოცდაცხრამეტი? თავი თარიღებით მაქვს გამოტენილი, დოუნ. ყველაფერი მიაბზო, როდესაც გორაკზე, ეკლესიის უკან, სასაფლაოზე დავდიოდით. საოცრება იყო. ისტორიის კურსი წამიკითხა“.

მაგრამ ერთი კურსი შვედისთვის სავსებით საკმარისი იყო. ყურადღებით უსმენდა. ცდილობდა დაემახსოვრებინა ორკატთა ოჯახის წარმატებისკენ ორასწლიანი მსვლელობის ამბის დეტალები, თუმცა, როდესაც „მორისი“ ესმოდა, მაინც მორის ლევოვზე ფიქრობდა. შვედს არ ახსოვდა, რომ მისი განცდები ასე მგვანებოდა მამამისის განცდებს. ეჩვენებოდა, რომ თვითონ - მამამისის ვაჟი კი არა, თვით ლუ ლევოვი სცემდა ბოლთას ყველა ამ ორკატის საფლავეს შორის. მათი ოჯახი წარმომავლობით ორკატებს ვერ შეედრებოდა - წინაპრების ნუსხას მეორე წუთს ამოწურავდნენ. იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ნიუარკამდე, ძველ სამშობლოში, არავინ არაფერი იცოდა. არც სახელები იცოდნენ და არც - საქმიანობა ნიუარკამდელი წინაპრებისა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, თუ ვის აძლევდნენ ისინი ხმებს არჩევნების დროს. ორკატს კი შეეძლო, უსასრულოდ ესაუბრა თავისი წინაპრების შესახებ. ლევოვები ნაბიჯ-ნაბიჯ იკვლევდნენ გზას ამერიკისკენ, ეს კი დაბადებიდანვე ამერიკის მკვიდრი იყო.

ამიტომ ხომ არ უსვამდა ხაზს ორკატი თავის წარმომავლობას? რათა, დოუნის თქმით, გამოეაშკარაებინა - უბრალოდ, ღიმილით - თა-

ვისი უპირატესობა? არა, ამგვარ დასკვნას გამოიტანდა დოუნი, მაგრამ არა - ლუ ლევოვი. ებრაელების არასრულფასოვნების კომპლექსი არ ჩამორჩებოდა ირლანდიელებისას. ზოგჯერ უფრო მძაფრიც კი იყო. აქ იმიტომ კი არ გადმოსახლდნენ, რომ ამგვარ სისულელეს აჰყოლოდნენ. შვედი „სუროს ლიგის“ წევრი არ იყო. მან, ისევე, როგორც დოუნმა, განათლება უპსალის უნივერსიტეტში, ისტ-ორინჯში მიიღო და მხოლოდ მოგვიანებით შეიტყო, რომ სახელწოდება „სუროს ლიგა“ ტანსაცმლის მწარმოებელ ფირმას კი არა, პრესტიჟულ უნივერსიტეტებს უკავშირდებოდა. რა თქმა უნდა, თანდათან ყველაფერი გაირკვა: შენობებზე სურო იყო მოდებული, ადამიანებს ბევრი ფული ჰქონდათ და გარკვეული სტილის შესაბამისად იცვამდნენ. აქ ებრაელებს არ შეესვლებოდათ, მათ არ იცნობდნენ და შესაძლოა, დიდად არც სწყალობდნენ. შესაძლოა, არ სწყალობდნენ ირლანდიელ კათოლიკეებსაც - ალბათ ამ შემთხვევაში დოუნს დაეჯერებოდა. შეიძლება, მათაც არ უყადრებდნენ თავს. მაგრამ ორკატი სხვაა. ის საგანგებო - და არა „სუროს ლიგის“ - კრიტიკიუმებით უნდა შეფასდეს. თუ გულწრფელი და თავაზიანია ჩემ მიმართ, მეც ასევე მოვექცევი.

შვედმა დიდხანს იფიქრა ამაზე და ბოლოს გადაწყვიტა, რომ ეს ტიპი, უბრალოდ, მომაბეზრებელი იყო, როდესაც წარსულზე ლაპარაკს იწყებდა. შვედი არ აპირებდა, თავისი თვალსაზრისი შეეცვალა, სანამ ვინმე საპირისპიროს არ დაუმტკიცებდა. ისინი აქ იმისთვის არ გადმოსახლებულან, რომ მეზობლებზე ფიქრში გაეტარებინათ დრო, მით უმეტეს, რომ ამ მეზობლების სახლი არც კი ჩანდა - ბორცვი ეფარებოდა. აქ იმისთვის გადმოსახლდნენ, რომ (როგორც შვედი დედამისს ხუმრობით უმტკიცებდა ხოლმე) „დაუფლებოდნენ იმას, რასაც ფულით ვერ შეიძენ“. ყველა, ვინც გამდიდრდა და დატოვა ნიუარკი, გადასახლდა მყუდრო გარეუბნებში, მეიპლვუდსა და საუთ-ორინჯში, ლევოვები კი ამერიკელ პიონერთა გზას გაუყვნენ. სამხრეთ კაროლინაში, საზღვაო ქვეით ჯარში ორწლიანი სამსახურის დროს შვედს უხაროდა, რომ სამხრეთში მოხვდა: „ეს ხომ ძველი სამხრეთია! ეგრეთ წოდებული მეისონ-დიქსონის ხაზზე უფრო სამხრეთით ვიმყოფები. ნამდვილ სამხრეთში ვარ!“ რა თქმა უნდა, „ნამდვილი სამხრეთიდან“ ვერ შეიძლება სამსახურში სიარულს, მაგრამ ნიუ-ჯერსიდან შეეძლო წასულიყო დასავლეთით, მეიპლვუდისა და საუთ-ორინჯის მიღმა, უკან მოეტოვებინა საუთ-მაუნტინის რეზერვაცია და მაინც იოლად მიეღწია

სენტრალ-ავენიუმდე ერთ საათში. რატომაც არა?! ამერიკის ასი აკრი. მიწა, რომელიც თავდაპირველად მიწათმოქმედების მიზნით კი არ გაიკაფა, არამედ იმისთვის, რომ ხე-ტყით მომარაგებულიყო ძველი რკინის სამჭედლოები, რომლებიც ყოველწლიურად ათასობით აკრ ტყეს ანადგურებდნენ (უძრავი ქონებით მოვაჭრე ქალმა ისტორია ბილ ორკატზე უარესად როდი იცოდა - ნიუარკელ პოტენციურ მყიდველებს გულუხვად უმასპინძლებოდა ისტორიული ფაქტებით). ბელელი, წისქვილისთვის განკუთვნილი ტბორი, ნაკადული, ნანგრევები წისქვილისა, რომელიც ფქვილით ამარაგებდა ვაშინგტონის ჯარს, და კიდევ, მიტოვებული რკინის საბადო სადღაც, კარ-მიდამოს განაპირას. ხის სახლი და სამხერხაო რევოლუციის დამთავრებისთანავე დაიწვა და 1786 წელს ეს სახლი ააგეს, თუ დაუუჯერებთ კარის თავზე, ქვაზე ამოტვიფრულ თარიღს, რომელიც სასტუმრო ოთახის კუთხის კოჭზეც იყო ამოჭრილი. სახლის ასაგებად ქვები შეაგროვეს მეზობელ ბორცვებზე, იქ, სადაც რევოლუციური არმიის ჯარისკაცთა ბანაკებში კოცონებს ანთებდნენ. ქვის სახლი, სწორედ იმგვარი, როგორც შვედი ყოველთვის ოცნებობდა: არც მეტი, არც ნაკლები, მანსარდით, სასადილო ოთახით, სადაც უწინ სამზარეულო იყო; უზარმაზარი ბუხრით, რომელშიც ხარის შეწვა შეიძლებოდა (ბუხარს მისაფარებელი ცხაურიც ჰქონდა და ბერკეტიც, რომლითაც შეიძლებოდა რკინის ჩაიდნის შეტრიალება ცეცხლის თავზე); ცხრამეტდუმიანი კოჭით ოთახის მთელ სიგრძეზე. სხვა ოთახებში ოთხი გამართული მომცრო ბუხარი იყო, ძველებური თაროებით. მოჩუქურთმებული ხის დეტალები და ნაძერწი, თითქმის უჩინარი სამკაულები, რომლებსაც ას სამოცი წლის განმავლობაში არაერთხელ გადაუსვეს საღებავი, ელოდნენ, როდის განაახლებდნენ. ათი ფუტის სიგანის დერეფანი. კიბე, ნეკერჩხლის მოაჯირითა და ზოლიანი რიკულებით (უძრავი ქონებით მოვაჭრემ თქვა, რომ ეს იმხანად აქ იშვიათი იყო). ორ-ორი ოთახი კიბის ორსავე მხარეს. ესე იგი, სულ რვა ოთახი, კიდევ - სამზარეულო და უკანა ვერანდა... რატომ არ უნდა დაისაკუთროს ეს ყველაფერი? რატომ არ უნდა დაეპატრონოს? არ მინდა, ვილაცის გვერდით ვიცხოვრო. ასე უკვე ვცხოვრობდი. ასეთ ადგილას გავიზარდე. არ მინდა, ჩემი ფანჯრიდან ვერანდა დავინახო - მინდა, მიწას ვხედავდე. მინდა ვუმზირო, როგორ მოწანწკარებენ ნაკადულები. მინდა, ძროხებსა და ცხენებს ვუმზირო. გზის პირას ჩანჩქერია. რატომ უნდა ვიცხოვროთ ისე, როგორც სხვები

ცხოვრობენ? ახლა უკვე შეგვიძლია ისე ვიცხოვროთ, როგორც მოგვეპოვებოდა. ამისთვის ყველაფერი მოგვეპოვება. ვერავინ შეგვიშლის ხელს. ვერც შეძლებს - დაქორწინებულები ვართ. სრულიად თავისუფალნი ვართ, დოუნ, თავისუფალნი!

მაგრამ ეს თავისუფლება უბრძოლველად როდი მოიპოვეს: მამა უმტკიცებდა, რომ საუთ-ორინჯთან, ნიუსტედში უნდა ეყიდათ სრულიად ახალი სახლი და არა - ეს ძველისძველი „მავზოლეუმი“. „ამ შენობას ვერაფრით გაათბობ“, - ამინებდა შვილს ლუ ლევოვი იმ შაბათს, როდესაც პირველად იხილა უზარმაზარი, ძველი, ცარიელი ქვის სახლი წარწერით „იყიდება“ - ბორცვებს შორის გაყვანილი გზის მახლობლად, უკაცრიელ ადგილას, თერთმეტ მილში რკინიგზის უახლოესი სადგურიდან. სახლი დასავლეთით მდებარეობდა ლაკაუანის სადგურიდან, საიდანაც მწვანეკარიან ვაგონებს, რომლებშიც ყვითელი წნული სავარძლები მოჩანდა, მგზავრები ნიუ-იორკში მიჰყავდათ. მას გარს ეკრა ასი აკრი მიწა, ძველი ბელელი, დანგრეული წისქვილი და უკვე ერთი წლის განმავლობაში ელოდა მყიდველს - ამიტომ ორჯერ უფრო იაფად იყიდებოდა, ვიდრე ნიუსტედში - ორაკრიან ნაკვეთებზე აგებული სახლები.

- ამ სახლის გასათბობად უამრავი ფული დაგეხარჯება და მაინც გაიყინები. როდესაც თოვლი მოვა, როგორ მიაღწევ მათარებლამდე, სეიმურ? ამ გზებზე ვერაფრით გააღწევ. რა ჯანდაბად უნდა ამდენი მიწა? - ეკითხებოდა ლუ ლევოვი ცოლს, რომელიც ორ მამაკაცს შორის იდგა და კამათში მონაწილეობისთვის თავი რომ აერიდებინა, გზისპირას დარგული ხეების კენწეროებს ათვალიერებდა (ასე ეგონა შვედს; მოგვიანებით შეიტყო, რომ დედამისი ამაოდ ცდილობდა დაენახა ლამპიონები). - რას უპირებ ამ მიწას, - ეკითხებოდა შვედს მამა, - დამშეულ სომხებს გააძღობ? ოცნებებს ნუ ეძლევი. წარმოგიდგენია, რა ადგილია ეს? აქ ფანატისკოსები და სექტანტები ცხოვრობენ, ოციან წლებში კი კუ-კლუქს-კლანი იყო. იცოდი თუ არა? კუ-კლუქს-კლანი. აქაურები თავიანთ მიწებზე ჯვრებს წვავდნენ.

- მამა, კუ-კლუქს-კლანი აღარ არსებობს.

- მართლა? სეიმურ, ნიუ-ჯერსის ამ ნაწილში უდრეკი რესპუბლიკელები ცხოვრობენ. აქ ყველაფერი მათი სულისკვეთებითაა გაქლენთილი.

- მამა, ჩვენი პრეზიდენტი ეიზენჰაუერია. მთელი ქვეყანა კი რესპუბლიკაა. პრეზიდენტი ეიზენჰაუერია, რუზველტი კი მოკვდა.

- დიახ, მაგრამ რესპუბლიკელები აქ ჯერ კიდევ რუზველტის სიცოცხლეში დამკვიდრდნენ. ახალი კურსის მიუხედავად, მაინც აქტიურობენ. იფიქრე ამაზე. რატომ სძულდათ აქ რუზველტი, სეიმურ?

- არ ვიცი. იმიტომ, რომ ის დემოკრატი იყო.

- არა, რუზველტი იმიტომ სძულდათ, რომ სძულდათ ებრაელები, იტალიელები, ირლანდიელები... პირველ რიგში, ამიტომაც გადმოსახლდნენ აქ. რუზველტი არ უყვარდათ, რადგან მან თავშესაფარი მისცა ამ ახალ ამერიკელებს. ესმოდა, როგორ უჭირდათ და ცდილობდა დახმარებოდა. ამ ნაბიჭვრებისგან განსხვავებით. ებრაელს აქ არ გააჭაჭანებენ. ფანატიკოსები არიან. ბრმა ერთგულებას კი არ ვგულისხმობ, არამედ ნამდვილ სიძულვილს. და ეს კაცთმოძულეები სწორედ აქ ცხოვრობენ.

ლუს აზრით, შვედი ნიუსტედში უნდა დასახლებულიყო. ნიუსტედში არ დასჭირდებოდა ზრუნვა ას აკრ მიწაზე. ნიუსტედში მის გარშემო უდრეკი დემოკრატები იქნებოდნენ. ნიუსტედში მისი ოჯახი იცხოვრებდა ახალგაზრდა ებრაელ წყვილთა შორის, მისი შვილის მეგობრები ებრაელები იქნებოდნენ, ხოლო თუ საუთ-ორინჯ-ავენიუთი ივლიდა, „ნიუარკ-მეიდამდე“ ნახევარ საათში მივიდოდა...

- მამა, მორისტაუნამდე გზის გავლას თხუთმეტ წუთს ვუნდები.

- როდესაც დარია. თოვლში მეტ ხანს მოუნდები. თუ საგზაო მოძრაობის წესებს დაიცავ, დაგაგვიანდება.

- 8.28-იან ექსპრესში ვჯდები და 8.56-ზე უკვე ბროდ-სტრიტზე ვარ ხოლმე. ფეხით მივდივარ სენტრალ-ავენიუმდე და ათის ექვს წუთზე სამსახურში ვარ.

- თოვის დროს? მატარებელი რომ დაზიანდეს?

- ამ მატარებლით მებირჟები მგზავრობენ. იურისტები, ბიზნესმენები, რომლებიც მანჰეტენზე მიემგზავრებიან. მდიდრები. ეს მატარებელი გამთენიისას არ გადის და არც ზიანდება. დილის მატარებლებში სალონ-ვაგონიცაა. აქ მიყრუებული ადგილი კი არაა.

- უკვე თავგზა ამიბნიე, - მიუგო მამამ.

მაგრამ შვედი, ამერიკელი პიონერების მსგავსად, უკან დახევას არ აპირებდა. ის, რაც, მამამისის აზრით, არაპრაქტიკული და უგუნური იყო, გაბედულ საქციელად მიაჩნდა. დოუნ დუაირზე დაქორწინების

შემდეგ ამ სახლისა და ასაკრიანი მამულის შექენა და ოლდ-რიმროკში დასახლება მის მიერ გადადგმული ყველაზე გაბედული ნაბიჯი იყო. მამამისს ნიუ-ჯერსი პლანეტა მარსივით შორეულ ადგილად ესახებოდა, შვედისთვის კი ეს ამერიკა იყო და თავი ნიუ-ჯერსის ასათვისებლად მზადმყოფი პიონერი ეგონა. ოლდ-რიმროკში მათ კარს მიღმა თვით ამერიკა იყო გადაშლილი. აი, რა მოსწონდა. ჯანდაბასაც წაუღია ებრაელთა არასრულფასოვნების კომპლექსი თუ ირლანდიელთა არასრულფასოვნების კომპლექსი. ცოლიც და ქმარიც მხოლოდ ოცდახუთი წლისანი არიან, ბავშვს ჯერ ორი წელიც არ შესრულებია. ოლდ-რიმროკში გადასახლება მართლაც გაბედული საქციელი იყო. შვედს არაერთხელ სმენოდა, რომ ტყავის ბიზნესში მამები ხშირად ჩაგრავენ ძლიერ, ჭკვიან, ნიჭიერ ახალგაზრდებს და არ აპირებდა, ამ უკანასკნელთა რიგებს შეერთებოდა. მას მთელი არსებით შეუყვარდა მამამისის მიერ წამოწყებული საქმე, ყველაფერს ასრულებდა, რაც, როგორც ლუ ლევოვის ვაჟიშვილს, ევალეობდა, მაგრამ ახლა უკვე ვერავითარ შეზღუდვებს ველარ აიტანდა. სადაც მოეპრიანებოდა, იქ უნდა ეცხოვრა.

არა, ეროვნული კუთვნილების გამო კომპლექსები არ გვექნება. ყოველგვარ კომპლექსებს ოცდათხუთმეტი მილით ჩამოვშორდით. ვერავინ იტყვის, რომ რელიგიათა საზღვრების გადალახვა ადვილი საქმეა. ვერავინ იტყვის, რომ ცრურწმენები არ არსებობს - ეს თვითონაც იგრძნო: საზღვაო ჯარის საწვრთნელ ბანაკში რამდენჯერმე მოუხდა ანტისემიტების ალაგმვა. დოუნმაც იგრძნო ატლანტიკ-სიტიში, რა არის აშკარა ანტისემიტისმი: მისმა კომპანიონმა ქალმა ზიზლით მოიხსენია 1945 წელი, როდესაც „მის ამერიკის“ ტიტული ბეს მაიერსონმა მოიპოვა: „იმ წელიწადს ებრაელმა გაიმარჯვა“. მშობლიურ ქალაქში ებრაელებზე არაერთი ანეკდოტი გაეგონა, მაგრამ ატლანტიკ-სიტი ხომ რეალური სამყარო იყო. დოუნი გაოგნდა. მაშინ შვედს სიმართლე არ გაუმხილა - შიშობდა, რომ გულს ატკენდა, რადგან იმ შტერ ქალს ზრდილობიანად წაუყრუა, იმის ნაცვლად, რომ გაელანძლა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაიგონა: „რა თქმა უნდა, მაიერსონს სილამაზე არ აკლდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კონკურსს ჩირქი მოეცხო.“ ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. დოუნი მხოლოდ ერთ-ერთი მონაწილე იყო, ოცდაორი წლისა - რა უნდა ეთქვა ან მოემოქმედა? შვედი გულისხმობს, რომ ორივემ საკუთარ ტყავზე იწვნია, რას ნიშ-

ნავს ამგვარი ცრურწმენები. ცივილიზებულ ოლდ-რიმროკში რელიგიურ განსხვავებებს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, როგორც დოუნს ჰგონია. თუ ებრაელს გაჰყვა ცოლად, მაშინ ნამდვილად შეძლებს პროტესტანტ მეზობელთან დამეგობრებას, მით უმეტეს, თუ ქმარიც შეძლებს ამას. პროტესტანტები ამერიკელთა მხოლოდ და მხოლოდ ერთი ნაწილია. შესაძლოა, ცოტანი იყვნენ იქ, სადაც დოუნი (ან შვედი) იზრდებოდა, მაგრამ ამერიკაში მრავლად არიან. მოდით, გულწრფელად ვთქვათ: ამერიკა პროტესტანტული ქვეყანაა. მაგრამ თუკი არ დაიწყებ კათოლიკეთა განდიდებას (დედაშენივით), მეც არ შევასხამ ხოტბას ებრაელებს (მამაჩემივით), და ნამდვილად აღმოჩნდება, რომ უამრავი ადამიანი არ აღიარებს პროტესტანტიზმის უზენაესობას, თუმცა მათი მამები და დედები ასე იქცეოდნენ. ახლა არავინ აღიარებს რომელიმე რელიგიის უზენაესობას - სწორედ ამისთვის ვიბრძოდით ომში. ჩვენი მშობლები ვერ შეეგუვნენ ომისშემდგომი მსოფლიოს ახალ შესაძლებლობებს, ახალ რეალიებს, როდესაც ადამიანების მშვიდობიან თანაარსებობას არაფერი უშლის ხელს, მათ შორის - არც მათი წარმომავლობა. ახალი თაობის წარმომადგენლები გახლავართ და კომპლექსები არ გვჭირდება, არც საკუთარი, არც სხვისი. და მაღალი წრეების წარმომადგენლებსაც არ უნდა ვუფრთხოდეთ. იცი, რა გაირკვევა, როდესაც მათ ახლოს გაიცნობ? ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან და სურთ, ისე იცხოვრონ, როგორც სხვები ცხოვრობენ. მოდი, სალად გავიაზროთ ეს ყველაფერი.

მთელი თავისი მჭევრმეტყველება მოიხმო, რათა ორკატის მიმართ დოუნის აგრესია ჩაეცხრო, რასაც იმანაც შეუწყო ხელი, რომ ის იშვიათად მოდიოდა ლევოვებთან იმ სახელგანთქმული მოგზაურობის შემდეგ, რომელსაც დოუნმა „ორკატთა საოჯახო სასაფლაოს დათვალიერება“ უწოდა. ორკატებსა და ლევოვებს შორის იმხანად არც სოციალური, არც მეგობრული კავშირი არ იყო გაბმული, თუმცა შვედი ყოველ შაბათ დილას მიდიოდა ორკატის სახლის უკან მდებარე მინდორზე, რათა ამერიკული ფეხბურთი ეთამაშა სახლის მეპატრონის ახლო ნაცნობებთან და სხვებთან ერთად, რომლებიც, შვედის მსგავსად, ყოფილი ჯარისკაცები იყვნენ და დაოჯახების შემდეგ ერთიმეორის მიყოლებით სახლდებოდნენ აქ, ამ უკიდევანო სივრცეში.

მათ შორის იყო ერთი ოპტიკოსი, ბაკი რობინსონი - ტანდაბალი, ჩაფსკვნილი, ფეხმრუდი ტიპი, რომელსაც მრგვალი, ანგელოზური სახე

ჰქონდა და იმ დროს, როდესაც შვედი სკოლას ამთავრებდა, „ჰილსაიდ-ჰაის“ (უიკვეიკის ტრადიციული მეტოქის) მეორე შემადგენლობაში თამაშობდა. იმ შაბათს, მათ კომპანიაში ბაკი პირველად რომ გამოჩნდა, შვედმა გაიგონა, როგორ უყვებოდა ის ორკატს (და თან თითებს კაკვავდა) დამამთავრებელ კლასში სწავლისას შვედის მიერ მოპოვებული სპორტული მიღწევების შესახებ: „ქალაქის ფენბურთის ნაკრების საუკეთესო მოთამაშე, ქალაქისა და ოლქის კალათბურთის ნაკრებების ცენტრალური მოთამაშე, ქალაქის, ოლქისა და შტატის ბეისბოლის ნაკრებების პირველი ბეისმენი...“ სხვა დროს სულაც არ გაახარებდა მის წინაშე მოწიწების აშკარა დემონსტრირება იმ ადამიანთა გარემოცვაში, რომელთაგანაც, მეგობრული კეთილგანწყობის გარდა, არაფერს მოელოდა და სადაც სრულიად აკმაყოფილებდა მდგომარეობა რიგითი მოქალაქისა, რომელიც, უბრალოდ, ბურთის სათამაშოდ მოვიდა. მაგრამ ბაკი თავის აღფრთოვანებას სწორედ ორკატს უზიარებდა, ამის საწინააღმდეგო კი შვედს არაფერი ჰქონდა. ორკატთან უსიამოვნება არ შემთხვევია - ან რატომ უნდა შემთხვეოდა? - მაგრამ მოსმენა იმისა, თუ როგორი აღტაცებით უყვებოდა ბაკი ორკატს იმას, რასაც შვედი სხვა ვითარებაში თავმდაბლურად დაფარავდა, სასიამოვნო აღმოჩნდა, და უფრო მეტადაც, ვიდრე შეეძლო წარმოედგინა. ეს განცდა იმ სურვილის დაკმაყოფილებას წააგავდა, რომლის შესახებაც მან, პირადად, არაფერი იცოდა - შურისგების სურვილისა.

ბაკი ბედნიერებისგან ცას ეწია, როდესაც, რამდენიმე კვირის განმავლობაში ზედიზედ, ის და შვედი ერთ გუნდში აღმოჩნდნენ. სხვებისთვის ახალი მეზობელი „სეიმური“ იყო, მაგრამ ბაკი მას ყოველთვის „შვედს“ ეძახდა. რომელ მოთამაშესაც უნდა ნდომებოდა ბურთის მიღება, ვისაც უნდა ექნია გამალებით ხელები ბაკის ყურადღების მისაპყრობად, ის მხოლოდ შვედს ხედავდა და პასებს მხოლოდ მას აწვდიდა. „დიდო შვედ, მიდი, მიდი!“ - გაჰყვიროდა ის, როდესაც შვედი რობინსონის მორიგ პასს იღებდა და შემდეგ სხვა მოთამაშეებს უერთდებოდა. სკოლის შემდეგ, ჯერის გარდა, მისთვის „დიდი შვედი“ აღარავის უწოდებია, ჯერის ამ სიტყვებში კი ყოველთვის ირონია იგრძნობოდა.

ერთხელ ბაკიმ სთხოვა შვედს, მიეყვანა ავტოსერვისში, სადაც ავტომანქანას ურემონტებდნენ, გზაში კი უეცრად განაცხადა, რომ თვითონაც ებრაელი იყო - ცოლთან ერთად ცოტა ხნის წინ შეერთებოდა მორისტაუნის სინაგოგის მრევლს. აქ სულ უფრო მეტად ვუახლოვდე-

ბით ებრაულ თემსო. „ძალიან მამხნევეს იმის შეგრძნება, რომ აქ ებრაელი მეგობრები მყავს! - უთხრა ბაკიმ. - ქალაქში ხომ ძირითადად გოები არიან“. მორისტაუნის არცთუ მრავალრიცხოვანი თემი ჯერ კიდევ სამოქალაქო ომამდე შექმნილიყო, ავტორიტეტით სარგებლობდა და მასში არაერთი გავლენიანი მოქალაქე შედიოდა, მაგალითად, მემორიალური ჰოსპიტლის მეურვე (რომლის მოთხოვნითაც საავადმყოფოს შტატში ორი ებრაელი ექიმი მიიღეს) და ქალაქის საუკეთესო მაღაზიის მფლობელი. მდიდარი ებრაული ოჯახები უკვე ორმოცი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ დიდ მობათქაშებულ სახლებში ვესტერნ-ავენიუზე, თუმცა, საერთოდ, ეს რაიონი დიდად კეთილგანწყობილი როდი გახლდათ ებრაელთა მიმართ. ბავშვობისას ბაკი მშობლებს დაჰყავდათ მეზობელ ბორცვებზე გაშენებულ საკურორტო ქალაქში - მაუნტ-ფრიდომში, სადაც ისინი ყოველ ზაფხულს ლიბერმანის სასტუმროში ცხოვრობდნენ. სწორედ იქ შეუყვარდა ბაკის მორისის ლამაზი და მყუდრო სოფლები. რა თქმა უნდა, ფრიდომში ებრაელები კარგად გრძნობდნენ თავს: ათი თუ თერთმეტი დიდი სასტუმრო ეკუთვნოდათ, ათობით ათასი დამსვენებელი მხოლოდ და მხოლოდ ებრაელი იყო. ამ ადგილს ხუმრობით „მაუნტ-ფრიდმანსაც“ კი უწოდებდნენ. თუკი ნიუარკის, პასაიკის ან კერსი-სიტის ქალაქურ ბინაში ცხოვრობ, ფრიდომში გატარებული ერთი კვირა სამოთხედ მოგეჩვენება. თვით მორისტაუნი კი, მართალია, ებრაული ქალაქი არ გახლდათ, მაგრამ იურისტების, ექიმებისა და მეხიროვნების კოსმოპოლიტური დასახლება იყო. ბაკი და მისი ცოლი სიამოვნებით მიემგზავრობდნენ ხოლმე იქ კინოფილმების სანახავად, უყვარდათ მართლაც შესანიშნავი მაღაზიები, ძველებური შენობები და სიამოვნებდათ, რომ სპიდუელ-ავენიუზე ნეონის რეკლამებით დამშვენებული მაღაზიების მფლობელები ებრაელები იყვნენ. იცის თუ არა შვედმა, რომ ომამდე მაუნტ-ფრიდომის განაპირას, გოლფის მოედნის აბრაზე სვასტიკა იყო დაჩხაპნილი? იცის თუ არა, რომ კუ-კლუქს-კლანის წევრები - გლეხები და მუშები - შეკრებებს ბუნტონსა და დუვრში მართავდნენ? იცის თუ არა, რომ სულ ახლოს, მორისტაუნის ცენტრიდან ხუთ მილში, სახლების წინ, გაზონებზე, ჯვრებს ცეცხლს უკიდებდნენ?

იმ დღიდან მოყოლებული, ბაკი გამუდმებით ცდილობდა გაეწევრიანებინა შვედი მორისტაუნის ებრაულ თემში (რაც მნიშვნელოვანი მიღწევა იქნებოდა) და დაეყოლიებინა იმაზე, რომ თუ სინაგოგაში არ

ივლიდა, კალათბურთი მაინც ეთამაშა ეკლესიათა ლიგის იმ გუნდში, რომელიც სინაგოგის სახელით გამოდიოდა. შვედს აღიზიანებდა ბაკის მცდელობები, ზუსტად ისევე, როგორც გააღიზიანა დედამისმა, როდესაც - ჯერ კიდევ დოუნის ფენმძიმობის დროს - გააოგნა შვილი შეკითხვით, "შენი ცოლი ბავშვის გაჩენამდე იუდაიზმზე მოქცევას ხომ არ აპირებსო. „კაცმა, რომელიც თვითონ არ ასრულებს იუდაისტურ რიტუალებს, არ უნდა სთხოვოს ცოლს ამ რელიგიაზე მოქცევა“. ასე უხეშად დედასთან არასოდეს ულაპარაკია და შეძრწუნდა, როდესაც აცრემლებულმა ქალმა ზურგი შეაქცია. შვედი იმ დღეს ხშირად ეხვეოდა დედას, რათა მიეხვედრებინა, რომ არ ბრაზობდა მასზე - მხოლოდ იმის თქმა სურდა, რომ ზრდასრული ადამიანი იყო და ყველა შესაბამისი უფლება ჰქონდა. საწოლში დოუნს გაუზიარა თავისი ფიქრები რობინსონის შესახებ: „აქ ამისთვის როდი დავსახლდი. ეს, საერთოდ, არასოდეს მაინტერესებდა. მამასთან ერთად ვესწრებოდი სინაგოგაში რელიგიურ დღესასწაულებს, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ჩავწვდი მათ არსს. ვერ გავიგე, რას შვრებოდა იქ მამაჩემი. თავის თავს არ ჰგავდა - აკეთებდა იმას, რაც არ უნდა გაეკეთებინა და რისაც არაფერი გაეგებოდა. მამამისის, ანუ ბაბუაჩემის ხატრით სჩადიოდა ამას. არ მესმის, რა საერთო აქვს ყოველივე ამას მის ადამიანურ და მამაკაცურ არსთან. გასაგებია, რა მიმართება აქვს ხელთათმანების ფაბრიკას მის ადამიანურ არსთან. ეს მისთვის ყველაფერია. როდესაც ხელთათმანების შესახებ საუბრობს, ჩანს, რომ თავისი საქმე კარგად იცის. მაგრამ როდესაც ამ სისულელეების შესახებ მსჯელობს? ნეტავ მოგასმენინა! ტყავის შესახებ ისეთივე მწირი ცოდნა რომ ჰქონდეს, როგორიც ღმერთის შესახებ აქვს, ჩვენი ოჯახი დიდი ხნის წინ მოხვდებოდა ლატაკთა თავშესაფარში“. „ჰო, მაგრამ ბაკი რობინსონი ღმერთის შესახებ ხომ არ ლაპარაკობს, სეიმურ. შენთან დამეგობრება უნდა, - უთხრა დოუნმა, - ესაა და ეს“. „აღბათ, ასეა. მაგრამ ეს საკითხები არასოდეს მაინტერესებდა, დოუნ, არასოდეს. არაფერი გამეგება მათი. შესაძლებელია თუ არა, საერთოდ, მათი გაგება? ის, რის შესახებაც ლაპარაკობენ, ჩემთვის ჩინურია. სინაგოგებში ჩემთვის ყველაფერი უცხოა. და ყოველთვის უცხო იყო. ბავშვობისას ებრაულ სკოლაში დავდიოდი, მაგრამ გაკვეთილებზე მხოლოდ იმას ვფიქრობდი, თუ ახლავე არ წავალ აქედან, ავად გავხდები-მეთქი. იქ რალაც არაჯანსაღი იგრძნობოდა. სინაგოგებში ცხვირის შეყოფაც კი არ მინდოდა. ფაბრიკა კი ბავშვობიდანვე მა-

ინტერესებდა. კალათბურთის მოედანი საბავშვო ბაღის ასაკიდან მიზიდავდა. აქ ცხოვრება რომ მინდოდა, ამ სახლის დანახვისთანავე მივხვდი. რატომ არ უნდა ვიცხოვრო იქ, სადაც მსურს? რატომ არ უნდა დავუახლოვდე იმ ადამიანებს, რომლებთან ყოფნაც მსურს? განა ამ ქვეყანაში ასე არ უნდა იცხოვრო? მინდა ვიყო იქ, სადაც მსურს ყოფნა და არ მინდა ვიყო იქ, სადაც ყოფნა არ მსურს. ამერიკელი ხომ სწორედ ასეთი უნდა იყოს, ხომ მართალია? მყავხარ შენ, მყავს შვილი, დღისით ფაბრიკაში ვიმყოფები, დანარჩენ დროს აქ ვატარებ და დედამიწის სწორედ ამ კონკრეტულ ადგილას მსურს ცხოვრება. ამერიკის პაწიანაწილის მფლობელები ვართ, დოუნ. ამაზე ბედნიერი ვერასოდეს ვქნები. ყველაფერი მოვიპოვე, ძვირფასო, ყველაფერი - რაზეც ვოცნებობდი!”

გარკვეული დროის განმავლობაში შვედი არ დადიოდა ფეხბურთის სათამაშოდ, რათა თავი აერიდებინა სინაგოგის შესახებ ბაკი რობინსონის საუბრებისთვის. რობინსონის გვერდით თავს მამამისივით კი არ გრძნობდა, არამედ ორკატით...

არა, არა. იცით, ვისავით გრძნობდა თავს? კვირაში ერთი-ორი საათი კი არა, როდესაც იძულებული იყო, ბაკის მიერ მოწოდებული პასები მიეღო, არამედ - დანარჩენ დროს? რა თქმა უნდა, ამას ვერავის გაუმხელდა: ოცდაექვსი წლის გახლდათ, უკვე მამა იყო და ხალხი დასცინებდა. თვითონაც დასცინოდა თავის თავს. ეს იყო ერთ-ერთი ბავშვური წარმოდგენა, რომელიც, ასაკის მიუხედავად, სულში ჩარჩა - ოლდ-რიმროკში შვედი თავის თავს ჯონი ეპლსიდთან აიგივებდა. ვინ მიგდია ბილ ორკატი? ვუდრო ვილსონი ორკატის ბაბუას იცნობდა? თომას ჯეფერსონი ბაბუამისის ბიძის ნაცნობი იყო? ღმერთმა შეარგოს. ჯონი ეპლსიდი - აი, მისაბაძი მაგალითი. არც ებრაელი იყო, არც - ირლანდიელი კათოლიკე და არც - პროტესტანტი. უბრალოდ, ბედნიერი ამერიკელი კაცი გახლდათ. წარმოსადეგი. ლოყებლაჟლაჟა. თავისი ცხოვრებით კმაყოფილი. შესაძლოა, ჭკუით დიდად ვერ დაიკვებნიდა, მაგრამ არც სჭირდებოდა - სიარულისთვის ჭკუა საჭირო სულაც არ იყო. მოძრაობით მონიჭებული ბედნიერებისთვის. ამ ვაჟკაცმა, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა მიწა, მთელი ქვეყანა მოიარა. ვაშლის თესლით გავსებული ტომარა მხრებზე ჰქონდა მოგდებული და სადაც უნდა მისულიყო, თესლს ყველგან მიმოაბნევდა ხოლმე. აი, შესანიშნავი ამბავი. ყველა ადგილი მოიარა, ყველგან იყო. შვედს ეს ამბავი მთელი

სიცოცხლის განმავლობაში იტაცებდა. ვინ აღწერა? რამდენადაც ახსოვდა, არავინ. უბრალოდ, დაწყებით სკოლაში ისწავლეს. ჯონი ეპლსიდი ყველგან რგავდა ვაშლის ხეებს. ვაშლის თესლით გავსებული ტომარა! როგორ მომწონდა ეს ტომარა! თუმცა, იქნებ ქუდით დაატარებდა? რა მნიშვნელობა აქვს! „ვინ დაავალა ვაშლის ხეების დარგვა?“ - კითხულობდა მერი იმ ასაკში, როდესაც ბავშვებს ძილის წინ ზღაპრებს უყვებიან, მაგრამ იმდენად პატარა იყო, რომ (თუკი მამამისი სხვა ამბავს უყვებოდა, მაგალითად, ატმებით დატვირთული მატარებლისას) ყვიროდა: „ჯონი! ჯონის შესახებ მომიყევი!“ „ვინ დაავალა?“ „არავინ, ჩემო პატარა. ჯონი ეპლსიდს არ უნდა დაავალო ვაშლის ხეების დარგვა. ის, უბრალოდ, რგავს მათ“. „ცოლი ჰყავს?“ „რა თქმა უნდა, ჰყავს, დოუნი, დოუნ ეპლსიდი“. „შვილი ჰყავს?“ „რა თქმა უნდა. იცი, რა ჰქვია?“ „მერი ეპლსიდი! ისიც თესავს ვაშლს ქუდში?“ „აბა, როგორ! ოღონდ, ქუდში კი არ თესავს, საყვარელო, არამედ ქუდში ინახავს და შემდეგ მიწაზე მიმოაბნევს. ცდილობს, რაც შეიძლება შორი-შორს მიმოაბნიოს. და იცი, რა ხდება იქ, სადაც მარცვლები ცვივა?“ „რა?“ „იმ ადგილას ვაშლის ხე ამოდის“. და როდესაც შვედი შაბათობით ოლდ-რიმროკის ცენტრში მიდიოდა - შინ გული ვერ უძლებდა, ყელიან ფესაცმელს იცვამდა და მთაგორიან გზაზე, ორივე მიმართულებით, ფენით ხუთ მილს გადიოდა, მხოლოდ იმისთვის, რომ ახალი გაზეთი ეყიდა (ამაზე თავის თავს უარს ვერ ეუბნებოდა) - ფიქრობდა, ზედგამოჭრილი ჯონი ეპლსიდი ვარო. როგორ სიამოვნებდა! რა აუმიღვრეველ, მძაფრ, ზღვარგადასულ სიხარულს აგრძნობინებდა ეს სიარული! არ ადარდებდა, კვლავ ითამაშებდა თუ არა ფეხბურთს - უბრალოდ, სურდა ევლო, ევლო. ეჩვენებოდა, რომ სპორტმა როგორღაც მოუმზადა ნიადაგი იმისთვის, რომ გაზეთის საყიდლად შინიდან გამოსულიყო, ერთი საათის განმავლობაში ევლო და „ნიუარკ ნიუსის“ ახალი ნომერი ეყიდა ადგილობრივ მაღაზიაში. ამ მაღაზიას გვერდით ბენზინგასამართი სვეტის ტუმბო მისკუპებოდა, საქონელი კი გამოფენილი იყო საფეხურებზე, ყუთებსა და ჯუთის ტომრებში. ორმოცდაათიან წლებში ეს ქალაქის ერთადერთი მაღაზია იყო - მასში არაფერი შეცვლილიყო იმ დროიდან, როცა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჰემლინისგან მისმა ვაჟმა, რასმა მემკვიდრეობით მიიღო. აქ იყიდებოდა სარეცხი დაფები და ტაშტები, აბრას თუ დავუჯერებდით, გაზიანი წყალი „ფროსტიცი“ ჰქონდათ, ხოლო საფუარ „ფლაიშმანისა“ და პიტსბურგული სა-

ღებავების შესახებ კედლებზე მილურსმული განცხადებები იუწყებოდა. ერთ განცხადებაში, რომელიც იმ დროიდან ეკიდა, როდესაც მაღაზია ფერმერებისთვის საჭირო საქონლითაც ვაჭრობდა, სირაკუზული გუთნებიც კი იყო მოხსენიებული. რას ჰემლინს ახსოვდა ბორბლების სახელოსნო, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, სახლებს შორის რომ იყო ჩაჭეჭყილი. ბიჭობისას ხშირად აკვირდებოდა, როგორ აგორებდნენ ბორბლებს დახრილ სიბრტყეზე მდინარეში გასაგრილებლად. იქვე იყო არყის სახდელი ქარხანა (მრავალთაგან ერთ-ერთი), რომელშიც ადგილობრივი მარკის ვაშლის ღვინოს ამზადებდნენ. ის მხოლოდ სპირტის წარმოების შემზღუდველი კანონის შემოღების შემდეგ დახურეს. მაღაზიის სიღრმეში განთავსებული იყო აშშ-ის საფოსტო განყოფილება: ერთი ფანჯარა და ოცდაათი ყუთი კოდური საკეტებით. ეს ადგილი - ჰემლინის მაღაზია ფოსტითა და განცხადებათა დაფით, ფლაგმტოკი და ბენზინგასამართი სვეტის ტუმბო - წარმოადგენდა ფერმერთა ძველისძველი თემის შეკრების პუნქტს უორენ გამალიელ ჰარდინგის პრეზიდენტობის დროიდან, როდესაც რასი მაღაზიის მეპატრონე გახდა. ქუჩის მეორე მხარეს, იმ ადგილის გვერდით, სადაც ბორბლების სახელოსნო იყო, იდგა ექვსკლასიანი სკოლა - ლევოვების გოგონას პირველი სკოლა. ბავშვები მაღაზიის კიბის საფეხურებზე სხდებოდნენ. სწორედ იქ გიცდიდა შენი გოგონა. შეხვედრის ადგილი, მისალმების ადგილი. შვედს უყვარდა ის. ძველ „ნიუარკ ნიუსში“, რომელსაც ასე შეეჩვია, მათი რაიონისადმი მიძღვნილ საგანგებო რუბრიკას ეწოდებოდა „ლაკაუანაში“. ესეც მოსწონდა და სიამოვნებას ანიჭებდა არა მარტო მორისში მომხდარი ახალი ამბების გაცნობა, არამედ შინისკენ სიარულიც, გაზეთით ხელში. რა ლამაზად ჟღერს თვით სიტყვა „ლაკაუანა“. შვედი დახლიდან იღებდა გაზეთს მერი ჰემლინის მინაწერით: „ლევოვი“. თუ ოჯახს სჭირდებოდა, იღებდა ერთ ლიტრ რძეს, ერთ პურს, თორმეტ კვერცხს პოლ ჰემლინის ფერმიდან, ემშვიდობებოდა მეპატრონეს - „ნახვამდის, რასელ!“ - და ფართო ნაბიჯებით მიალაჯებდა თავისი საყვარელი ძველებური ქვის სახლისა და ჩრდილიანი ნეკერჩხლებისკენ. რასაც გზად ხედავდა, ყველაფერი უყვარდა: საძოვრების თეთრი ღობეები, სათიბეები, სიმინდის ყანები, თალგამის ნათესები, ბოსტნები, ბელლები, ცხენები, ძროხები, ტბორები, ნაკადულები, წყაროები, ჩანჩქერები, შვიტისა და წიწმატის ბარდები, მდელოები და ვრცელი ტყეები - ყოველივე ეს იწვევდა აღტაცებას ქალაქელი კაცისა,

რომელიც სოფელში ცოტა ხნის წინ გადასახლდა. მიალაჯებდა და წარმოსახულ ვაშლის თესლს აქეთ-იქით მიმოაბნევდა.

ერთხელ დოუნმა ფანჯრიდან დაინახა, როგორ ჩამოდიოდა მახლობელი ბორცვიდან შვედი და ხელს აქნევდა, მაგრამ ისე კი არა, თითქოს ბურთს ისროდა ან კეტის დარტყმას აპირებდა, არამედ თითქოს ტომრიდან მუჭა-მუჭა იღებდა თესლს და ცდილობდა, რაც შეიძლება ფართოდ მიმოებნია ამ ბებერ მიწაზე, რომელსაც ახლა არანაკლები უფლებით ფლობდა, ვიდრე - უილიამ ორკატი. „რა მოძრაობებს ამუშავებს?“ - სიცილით ჰკითხა დოუნმა, როდესაც შვედმა - სიარულისგან აწითლებულმა (ნამდვილი ჯონი ეპლსიდი!), ულამაზესმა, მალალმა, მიმზიდველმა მამაკაცმა, რომელიც ბედნიერი იყო ყველაფრით, რითაც კი ცხოვრებამ დაასაჩუქრა - ასეთივე ენერგიული ნაბიჯებით შეალაჯა საძინებელ ოთახში. როდესაც ახლობლები ღვინით სავსე ჭიქებით აღღერძელებენ ამა თუ იმ ჭაბუკს და ეუბნებიან, ჯანმრთელობას და კარგ ბედ-იღბალს გისურვებთო, ალბათ, სწორედ ამგვარ სურათს წარმოიდგენენ: მიწიერი სურვილებითა და მოჭარბებული მამაკაცური ენერგიით აღვზნებული მამაკაცი სწრაფი ნაბიჯებით შედის საძინებელ ოთახში. იქ მას ელოდება ქალწულებრივი კდემამოსილებისგან განთავისუფლებული მშვენიერი ცოლი, რომელიც მთლიანად მისია. „სეიმურ, აბა, მიაბე, რას აკეთებ ჰემლინებთან? ბალეტის გაკვეთილებს გიტარებენ?“ მსხვილი, ძლიერი, საიმედო ხელებით მსუბუქად, ძალზე მსუბუქად იყვანს ფეხშიშველ ქალს და მჭიდროდ იხუტებს ღამის პერანგში გახვეულ მთრთოლვარე სხეულს, ისე, თითქოს სამუდამოდ აერთიანებს იმ ყველაფერს, რაც ქმრისა და მამის, სეიმურ ლევოვის ახალ, უზადო ცხოვრებას შეადგენს. მისამართი: არკადია-ჰილ-როუდი, ოლდ-რიმროკი, ნიუ-ჯერსი, აშშ. იქ, გზაზე - რასაც დოუნსაც კი ვერ უმხელს, თითქოს არაბუნებრივად ან სათაკილოდ მოიქცაო - შვედი სიყვარულით ჩაეხვია საკუთარ ცხოვრებას.

ახალგაზრდა ცოლთან ინტენსიურ ფიზიკურ ურთიერთობას კიდევ უფრო ასაიდუმლოებდა. სხვა ადამიანების გარემოცვაში ძალზე თავშეკავებით იქცეოდნენ. ვერავინ ივარაუდებდა, როგორი იყო მათი სქესობრივი ცხოვრება. ცოლის შერთვამდე არ დაწოლილა არც ერთ ქალიშვილთან, რომელთაც პაემანებს უნიშნავდა. საზღვაო ჯარში სამსახურის დროს ორჯერ იყო მეძავეებთან, მაგრამ ეს არ ითვლებოდა. მხოლოდ ქორწინების შემდეგ გამოვლინდა სრულად მთელი მისი ვნება.

შვედის უდიდესი ენერჯია და უდიდესი ძალა, ქალის სინაზე მამაკაცის ვეება სხეულის გვერდით და, აგრეთვე, ის, თუ რა იოლად აიტატებდა ხოლმე ხელში ცოლს, როგორც ჩანს, ორივეს ალაგზნებდა. როდესაც შვედი სექსის შემდეგ იძინებდა, დოუნს, მისივე თქმით, ეჩვენებოდა, თითქოს მთის გვერდით იწვა. ზოგჯერ ისეთი გრძნობა უჩნდებოდა, რომ მის თავზე კლდე გადმოხრილიყო და ეს ძალზე ალაგზნებდა. როდესაც შვედის ქვემოთ იწვა, მამაკაცი - ძლიერი მოძრაობების დროსაც კი - ცდილობდა, მანძილი დაეცვა, რათა მძიმე სხეულით არ გაეჭყლიტა, მით უმეტეს, რომ ძალ-ღონე და ამტანობა საშუალებას აძლევდა, დიდხანს შეენარჩუნებინა ეს პოზა. შვედს შეეძლო, ცალი ხელით აეწია ქალი, გადაებრუნებინა და მუხლებზე დაეჩოქებინა, ან თავის მუხლებზე დაესვა და ძალდაუტანებლად ემოძრავა დოუნის სიმძიმის ქვეშ. თავდაპირველად დოუნი - ქორწინებიდან მრავალი თვის განმავლობაში - ორგაზმის განცდის შემდეგ ტიროდა. შვედი იზნებოდა, ეკითხებოდა, რა მოხდაო.

- არ ვიცი.

- რამე ხომ არ გატკინე?

- არა. არ ვიცი, რატომ ვტირი. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს შენი სპერმის ნაკადი პირდაპირ იქ ხვდება, საიდანაც ცრემლები იღვრება.

- მაგრამ ხომ არაფერი მიტკენია შენთვის?

- არა.

- გსიამოვნებს, დოუნ? მოგწონს?

- ძალიან მომწონს. რაღაც არის ამაში ისეთი... ისეთ ადგილამდე აღწევს, რომელიც სხვა ყველაფრისთვის მიუღწეველია. სწორედ იქაა ცრემლები. რაღაც ისეთს აღვიძებ ჩემში, რასაც სხვა ვერაფერი გააღვიძებს.

- კარგი. მთავარია, რომ არაფერი გტკივა.

- არა, არა. უბრალოდ, უცნაურია... უჩვეულოა... უცნაურია, რომ მარტო არა ვარ.

ერთხელ შვედის ტუჩები დოუნის მუცლისკენ ჩასრიალდა და ქალს ამის შემდეგ აღარ უტირია.

- არ იტირე, - უთხრა შვედმა.

- სრულიად განსხვავებული შეგრძნებები მქონდა.

- როგორი? რა არის განსხვავება?

- ალბათ... არ ვიცი. ალბათ, ისევ მარტო ვარ.

- ასე აღარ მოვიქცე?
- არა, რას ამბობ, - გაიცინა დოუნმა. - სულაც არა.
- კარგი.
- სეიმურ, საიდან იცი ეს? ასე ვინმესთან მოქცეულხარ?
- არასოდეს.
- მაშინ რატომ მოიქეცი ასე? მითხარი.

მაგრამ შვედს არ შეეძლო დოუნით მწყობრად განემარტა თავისი ქცევა და არც უცდია. სურვილი გაუჩნდა, უფრო მეტი გაეკეთებინა. ცალი ხელი დუნდულებში ჩაავლო და ქალის სხეული თავისი პირისკენ მოიზიდა, მთელი სახით ჩაეფლო და წავიდა, წავიდა... იქით, სადაც არასოდეს ყოფილა. დოუნი კი ეხმარებოდა. რა არაჩვეულებრივი პარტნიორები არიან ის და დოუნი! შვედს არ უვარაუდია, რომ ოდესმე დოუნი ასევე მოექცეოდა და უეცრად, ერთ კვირადღეს, მან ეს გააკეთა. შვედი დაიბნა. პაწია დოუნმა პაწია ლამაზ პირში შვედის ასო ჩაიდო. შვედი გაოგნდა. ორივენი გაოგნდნენ. აქამდე ეს ორივესთვის ტაბუ იყო, მაგრამ შემდეგ წლობით გაგრძელდა. არასოდეს შეწყვეტილა. „როგორი საყვარელი ხარ, - ჩურჩულებდა დოუნი, - როდესაც თავს ველარ აკონტროლებ“. ეს უკიდურესად თავშეკავებული, ლამაზი, თავაზიანი, კარგად აღზრდილი მამაკაცი ყოველთვის ახერხებდა თავისი უდიდესი ძალის ალაგმვას, მაგრამ ისეთი საყვარელი ხდებოდა, როდესაც დგებოდა წამი, რომლის შემდეგაც უკვე არც ცოლის განსჯა შეეძლო და არც იმაზე დაფიქრება, გარყვნილი ხომ არ არის, ასე ძალიან რომ ვუნდივარო. ეს სამი-ოთხი წუთის განმავლობაში გრძელდებოდა, როდესაც შვედი უკვე მხოლოდ ცარიელი ყინი იყო, და ორგანზმის გმინვით მთავრდებოდა... „ვგრძნობ, რომ საოცრად ქალური ვარ, - ეუბნებოდა დოუნი, - და საოცრად ძლიერი... ყველაფერი ერთად!“ შემდეგ დოუნი საწოლიდან დგებოდა - აღზნებული, აწითლებული, თმაგაჩეჩილი, გათხაპნილი მაკიაჟითა და შეშუპებული ტუჩებით - და სააბაზანოში მიდიოდა. შვედი უკან მიჰყვებოდა, იცდიდა, სანამ ქალი სხეულს შეიმშრალებდა, ხელში აიტატებდა და სარკესთან მიიყვანდა ხოლმე. თავიანთ თავს აკვირდებოდნენ და უკვირდით არა მარტო ის, თუ რამდენად მშვენიერი იყო დოუნი, რამდენად ამშვენიერებდა სექსი, არამედ - ისიც, რომ ის თავის თავს არ ჰგავდა. ყველასთვის ნაცნობი სახე უკვალოდ ქრებოდა და სარკეში ნამდვილი დოუნი ირეკლებოდა! მაგრამ ეს საიდუმლო იყო სხვებისთვის და ასეთად უნდა დარჩენილიყო.

განსაკუთრებით - ბავშვისთვის. ზოგჯერ დოუნს ძროხების მოვლაში გატარებული დღის შემდეგ ფეხები ელლებოდა, ნავახშმევს კი შვედი თავისი სკამით მიუჩოჩდებოდა ხოლმე და ტერფებს უზელდა. მერი მაშინვე იჭყანებოდა და ამბობდა: „ფუ, მამიკო, რა საზიზღრობაა“. მხოლოდ ამ სახით ავლენდნენ თავიანთ გრძნობებს, როდესაც იქვე შვილი იმყოფებოდა. დანარჩენ დროს ჩვეულებრივ, ალერსიანად ექცეოდნენ ერთმანეთს, რასაც ბავშვები მშობლებისგან მოელიან და რის არარსებობასაც მტკივნეულად განიცდიან. ის, რაც ხდებოდა მათი საწოლი ოთახის კარს მიღმა, საიდუმლო იყო, რომლის შესახებაც მათმა ქალიშვილმა მეტი როდი იცოდა, ვიდრე - გარეშე პირებმა. ასე გრძელდებოდა მრავალი წლის განმავლობაში, მანამ, სანამ ბომბი აფეთქდებოდა და დოუნი საავადმყოფოში აღმოჩნდებოდა. ხოლო როდესაც ის იქიდან გამოვიდა, ყველაფერი შეიცვალა.

ორკატი ბაბუამისის ერთ-ერთი პარტნიორის (მორისტაუნის იურიდიულ ფირმაში „ორკატი და ფინდლი“) შვილიშვილზე დაქორწინდა. სავარაუდოდ, თვითონაც ამ ფირმის კომპანიონი უნდა გამხდარიყო, მაგრამ პრინსტონის დამთავრების შემდეგ ჰარვარდის სამართლის სკოლაში სწავლაზე უარი განაცხადა, თუმცა საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ორკატების ოჯახიდან გამოსული ყველა ყმაწვილი სწორედ პრინსტონსა და ჰარვარდის სამართლის სკოლაში სწავლობდა. საგვარეულო ტრადიცია დაარღვია და მანჰეტენის ერთ-ერთ სტუდიას მიაშურა, რადგან მის იდეალს აბსტრაქციონისტ მხატვრად და ახალი ყაიდის ადამიანად ქცევა წარმოადგენდა. მთელი სამი წლის განმავლობაში ჰადსონ-სტრიტზე მდებარე სახელოსნოში ბინძურ ფანჯრებთან იჯდა და გამალებით ხატავდა, თან მუდმივად ებრძოდა დეპრესიას, მაგრამ შემდეგ ჯესიზე დაქორწინდა და ჯერსიში დაბრუნდა, რათა პრინსტონში არქიტექტურა შეესწავლა. თავის ოცნებაზე უარი ბოლომდე არასოდეს უთქვამს. ორკატის, როგორც არქიტექტორის, მოღვაწეობა ძირითადად მორისის მდიდართა დასახლებებში მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეების შენობების რესტავრაცია იყო, ასევე, ბელლების გადაკეთება კონტა სააგარაკო სახლებად პენსილვანიის მთელ ტერიტორიაზე, სომერსეტისა და ჰანტერდონის ოლქებიდან ბაქსის ოლქამდე. ეს წარმატებული საქმიანობა თითქოს მთელ დროს ართმევდა, მაგრამ ყოველ სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ მორისტაუნში, ჩარჩოების რომელიმე სახელოსნოში, ეწყობოდა მისი ფერწერული

ნამუშევრების გამოფენა, რომელსაც მიწვევით ნასიამოვნები ლევოვები აუცილებლად ესწრებოდნენ.

შვედს არავითარი საზოგადოებრივი მოვალეობები არ თრგუნავდა ისე, როგორც დგომა ორკატის სურათების წინ, რომლებიც, დამთვალეირებლებისთვის განკუთვნილი ბუკლეტის თანახმად, ჩინური კალიგრაფიით იყო შთაგონებული. შვედის შეხედულებით კი, მათში არავითარი - ჩინურიც კი - საზრისი არ იყო. დოუნმა ამ ტილოებს პირველი ნახვისთანავე უწოდა „აზრის სტიმულატორები“ და ამ სურათებში განჭვრიტა ბილ ორკატის სულის სრულიად მოულოდნელი ასპექტი - მგრძნობიარობა, რაც მანამდე არ შეუმჩნევია. შვედს ორკატის გამოფენაზე ერთადერთი რამ აინტერესებდა: რამდენ ხანს უნდა მდგარიყო შთაგონებული გამომეტყველებით ყოველი სურათის წინ და როდის შეიძლებოდა მეორესთან მისვლა და პირფერობის გაგრძელება. მოინდომა დახრილიყო და წაეკითხა თითოეული მათგანის სახელწოდება (იმ იმედით, რომ ისინი რაიმეში გაარკვევდა), მაგრამ როდესაც ასე მოიქცა - მიუხედავად იმისა, რომ დოუნმა პიჯაკზე მოქაჩა და წასჩურჩულა: „ნუ კითხულობ, ფერწერულ მანერას დააკვირდი!“ - კიდევ უფრო მეტად დაიბნა, ვიდრე მაშინ, როდესაც საკუთრივ „ფერწერულ მანერას“ აკვირდებოდა. „კომპოზიცია #6“, „ნახატი #6“, „მედიტაცია #11“, „სახელწოდების გარეშე #12“... და განა რა იყო ამ „კომპოზიციაში“, გარდა მკრთალი რუხი ფერის გრძელი ლაქებისა, რომლებიც თითქმის ერწყმოდა თეთრ ფონს, ისე, თითქოს ორკატს სურათის დახატვა კი არ სურდა, არამედ, პირიქით - ტილოდან საღებავების ჩამოფხეკა? შვედს ვერაფერში დაეხმარა ბუკლეტიც, რომელიც სახელოსნოს მფლობელ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს შეეთხზა: „ორკატის კალიგრაფია ისეთი დაძაბულია, რომ ამქრქალებს ფორმებს, შემდეგ კი, საკუთარი ენერჯით გაცისკროვნებული, თვითონაც მქრქალდება...“ რა ჯანდაბად დასჭირდა ორკატს, რომელიც მშვენივრად იცნობს საკუთარი ქვეყნის ბუნებასა და დრამატიზმით აღსავსე ისტორიას - თანაც, უძლიერესი ჩოგბურთელია - დაეხატა არაფრისმთქმელი სურათები? არა, შვედი მას შარლატანად მაინც არ მიიჩნევდა... რატომ დასჭირდა ასე კარგად აღზრდილსა და თავდაჯერებულ ორკატს ამდენი ძალისხმევის გაღება იმისთვის, რომ ადამიანებისთვის თვალი აეხვია? გარკვეული დროის განმავლობაში შვედი თავის აღმფოთებას იმით ხსნიდა, რომ ხელოვნებისა არაფერი გაეგებოდა. დროდადრო ფიქრობდა: „ამ ტიპს რაღაც სჭირს. რა-

ლაც არ აკმაყოფილებს. რალაცის ნაკლებობით იტანჯება“. მაგრამ შემდეგ რომელიმე ბუკლეტს კითხულობდა და ხვდებოდა, რომ არაფერი ესმოდა. „გრინიჩ-კოლეჯის დამთავრებიდან ოცი წლის შემდეგ, - ეწერა ბუკლეტში, - ორკატი კვლავ ამაღლებულ მიზნებს ისახავს: იპოვოს მარადიული თემების გამოხატვის საკუთარი გზა. ერთ-ერთი ასეთი თემაა მორალური დილემა, რომელიც ადამიანის არსებობას განსაზღვრავს“.

ანოტაციის კითხვის დროს შვედს აზრადაც არ მოსვლია, რომ რამდენიც უნდა გელაპარაკა ამ ცარიელი ტილოების შესახებ, მაინც ვერაფერს იტყობდა. იმის თქმა, რომ ისინი ასახავდნენ ყველაფერს, ფაქტობრივად კი არაფერს ასახავდნენ - ნიშნავდა, რომ ორკატი უნიჭო იყო და, როგორც უნდა ეცადა, საკუთარ სიტყვას ვერ იტყოდა ვერც ფერწერაში და ვერც ვერაფერში, რადგან მისი წარმოსახვა იმთავითვე შეზღუდული გახლდათ. შვედს ისიც არ მოსვლია აზრად, რომ სწორად მსჯელობდა. ორკატი, რომელიც მშვენივრად ეგუებოდა თავის თავს, საკუთარ გარემოცვას და მდგომარეობას, სინამდვილეში, შესაძლოა, დიდი ხნის განმავლობაში განიცდიდა - და უნებურად ამჟღავნებდა კიდევ - იდუმალ სურვილს: დაერღვია ეს ჰარმონია, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა ამ მიზნის მიღწევის საშუალებების შესახებ. ამიტომაც მიმართა ერთადერთ ხელმისაწვდომ ხერხს: ხატავდა სურათებს, რომლებიც სურათებს არ ჰგავდა. თვითმყოფობისკენ სწრაფვას მეტი ვერაფრით დაიკმაყოფილებდა. სამწუხაროა. მაგრამ რა სამწუხაროც უნდა ყოფილიყო, რაც უნდა შეეტყო ან არ შეეტყო, სცოდნოდა ან არ სცოდნოდა შვედს მხატვრის შესახებ - ყოველივემ აზრი დაკარგა, როგორც კი, ჟენევიდან განახლებული დოუნის დაბრუნების შემდეგ, ადამიანის არსებობის განმსაზღვრელი მარადიული თემების ამსახველმა ერთ-ერთმა სურათმა ლევოვების სასტუმრო ოთახის კედელზე დაიდო ბინა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო შვედის უსიამოვნებები.

ტილოზე გამოსახული იყო ყავისფერი ლაქები და არა რუხი ლაქები, რომლებიც ორკატმა საგულდაგულოდ ჩამოფხიკა „კომპოზიცია #16“-ში, ფონი კი მეწამული იყო და არა - თეთრი. დოუნის აზრით, მუქი ფერები მოწმობდა, რომ მხატვარმა თავისი გამომსახველობითი საშუალებების რევოლუციური გარდაქმნა მოახდინა. დოუნმა ამის შესახებ შვედს უთხრა, ხოლო ამ უკანასკნელმა, რომელმაც არ იცოდა, რა პასუხი გაეცა და „გამომსახველობითი საშუალებები“ მაინცდამაინც არც აინტერესებდა, წაიბურტყუნა, საინტერესოაო. შვედის ბავშვობი-

სას მათ სახლში არც ერთი ფერწერული ტილო არ იყო, მით უმეტეს, ვერც „მოდერნული“ ხელოვნების ნიმუშებს ნახავდით - ლევოვებს ასეთი რამეები უფრო მეტად როდი აინტერესებდათ, ვიდრე - დუაირებს.

დუაირების სახლში კედლებზე მხოლოდ რელიგიური შინაარსის მქონე სურათები ეკიდა და შესაძლოა, დოუნი „გამომსახველობითი საშუალებების“ ექსპერტად იმიტომ იქცა, რომ, მისი და პატარა ძმის ფოტოსურათების გარდა, მათთან ქალწული მარიამისა და იესოს გულის სურათებსაც ნახავდით. თუკი ამ დახვეწილ ვაჟბატონებსა და ქალბატონებს სახლებში თანამედროვე ხელოვნების ნიმუშები უკიდიათ, მაშინ ისინი ჩვენც უნდა დაგვიდოთ ჩვენს სახლებში. გამომსახველობითი საშუალებები ჩვენს კედლებზე. როგორც უნდა უარყოს დოუნმა, განა მასში ირლანდიელის კომპლექსმა არ იმძლავრა?

დოუნმა სურათი ორკატის სტუდიაში ორჯერ უფრო იაფად შეიძინა, ვიდრე ახალდაბადებული გრაფი ღირდა. შვედმა გაიფიქრა: „ჭირსაც წაუღია ფული, დაივიწყე - როგორ შეიძლება, ფერწერა ხარს შეაღარო?“ და, ასევე, უკმაყოფილება არ გამოუთქვამს, როდესაც „მედიტაცია #27“ ზუსტად იმ ადგილას დაინახა, სადაც უწინ ეკიდა ექვსი წლის ლოყებლაქლაქა, ქერა, ხუჭუჭთმიანი მერის გულდასმით შესრულებული (და მისთვის ძალზე საყვარელი) პორტრეტი. ეს პორტრეტი ნიუ-ჰოუპში მოვარდისფრო ზეთის საღებავებით დახატა ერთმა ხალისიანმა, ხანდაზმულმა, ხალათსა და ბერეტში გამოწყობილმა კაცმა, რომელიც თავის სტუდიაში გლინტვეინით გაუმასპინძლდა ცოლ-ქმარს, და თან უამბო, როგორ ეუფლებოდა ფერწერას ლუვრში გამოფენილი სურათების ასლთა გადაღებით. ის ექვსჯერ ეწვია ლევოვებს პიანინოსთან მჯდარი მერის დასახატავად და სურათისა და მოოქროვილი ჩარჩოს საფასურად მხოლოდ ორი ათასი გამოართვა. შვედმა შეიტყო, რომ ორკატს არ მოუთხოვია ის ოცდაათი პროცენტი, რომელიც ლევოვებს უნდა გადაეხადათ უშუალოდ მაღაზიაში „მედიტაცია #27“-ის შექენის შემთხვევაში. ამდენად, ხუთი ათასი მართლაც ჩალის ფასი იყო.

როდესაც ლუ ლევოვმა ახალი სურათი დაინახა, იკითხა:

- რამდენი გადაგახდევინათ?
- ხუთი ათასი დოლარი, - ყოყმანით მიუგო დოუნმა.
- გრუნტისთვის ძვირია. რა უნდა დახატოს?
- რა უნდა დახატოს? - მოიღუშა დოუნი.
- დაუმთავრებელია... რამდენადაც მესმის. ხომ დაუმთავრებელია?

- სურათის არსი სწორედ ისაა, რომ ის დაუმთავრებელია, ლუ, - უთხრა დოუნმა.

- მართლა? - და ლუმ სურათს კიდევ ერთხელ ახედა. - თუ ის კაცი ამის დამთავრებას დააპირებს, შემიძლია ვურჩიო, როგორ უნდა დაამთავროს.

- მამა, - ჩაერია შვედი, რათა შეეჩერებინა მოსალოდნელი პოლემიკა ხელოვნებათმცოდნეობის საკითხებზე, - დოუნმა იმიტომ იყიდა, რომ მოსწონს. - და თუმცა მასაც შეეძლო ერჩია მხატვრისთვის, როგორ უნდა დაემთავრებინა სურათი (შესაძლოა, იმავე გამოთქმებით, რომლებიც მამამისს ენის წვერზე უტრიალებდა), მაინც სიხარულით ჩამოკიდებდა კედლებზე ყველაფერს, რასაც დოუნი ორკატისგან შეიძენდა. ირლანდიელის კომპლექსი იყო თუ არა, ფერწერული ტილოს შექენა კიდევ ერთხელ ადასტურებდა, რომ დოუნში სიცოცხლის წყურვილმა დაძლია სიკვდილისკენ ლტოლვა, რომლის გამოც ის ორჯერ აღმოჩნდა ფსიქიატრიულ კლინიკაში.

- სურათი, რა თქმა უნდა, უვარგისია, - უთხრა შვედმა მოგვიანებით მამამისს. - მთავარი ისაა, რომ დოუნმა მისი ყიდვა მოინდომა. მთავარია, რომ სურვილები გაუჩნდა. გთხოვ, - შეევედრა მამას და გაოცებით იგრძნო, რომ ცოტაც და თავს ველარ შეიკავებდა, თუმცა საბაბი უმნიშვნელო იყო, - სურათის შესახებ კრინტი აღარ დაძრა.

ლუ ლევოვი ლუ ლევოვი არ იქნებოდა, შესაბამისად რომ არ მოქცეულიყო. ოლდ-რიმროკში მეორედ ჩამოსვლისას ის, პირველ რიგში, სურათთან მივიდა და ხმამაღლა თქვა:

- იცი, რა? ეს ნახატი მომწონს. თვალი შეეჩვია და ახლა ნამდვილად მომწონს. შეხე, - მიუბრუნდა ცოლს, - თითქოს დაუმთავრებელია. ხედავ? ლაქები განზავებულივითაა. ეს საგანგებო ხერხია. ეს ხელოვნებაა.

თავისი პიკაპით ორკატმა ლევოვების ახალი სახლის უზარმაზარი მაკეტი მოიტანა, რათა ვახშმის შემდეგ ყველა სტუმარს დაეთვალთვინებინა. დოუნის მაგიდაზე მრავალი კვირის განმავლობაში გროვდებოდა ესკიზები და ჩანახატები, მათ შორის - სქემა, რომელიც აჩვენებდა წლის ყოველი თვის პირველ რიცხვში ფანჯრებში მზის სხივების შეჭრის კუთხეს. „მზის შუქის ნიაღვრები! - იძახდა დოუნი! - შუქი, შუქი“. ის თავს არიდებდა უხეშ გამოთქმებს, რომლებიც გააღიზიანებდა ცოლის ტანჯვისა და მისი ჩანაფიქრის მიმართ თანაგრძნობით გამ-

სჭვალულ შვედს, თუმცა მის სიტყვებში კვლავ გამოსჭვიოდა სიძულვილი ქმრისთვის ასე ძვირფასი ქვის სახლისა და ნეკერჩხლების მიმართ. ეს უზარმაზარი ხეები ზაფხულობით სიცხისგან იცავდნენ სახლს, შემოდგომით კი დიდებული ოქროს კარავივით გარს ერტყმოდნენ მდელს, რომლის ცენტრშიც ოდესღაც საქანელაზე მჯდარი მერის ხატებამ გაიელვა.

ოლდ-რიმროკში ცხოვრების პირველ წლებში შვედი ვერაფრით ეგუებოდა იმ აზრს, რომ ეს ხეები მას ეკუთვნოდა. ხეების ფლობა კიდეც უფრო გასაოცარ შეგრძნებებს აღუძრავდა, ვიდრე - ფაბრიკების ფლობა. ეს კიდეც უფრო საკვირველი იყო, ვიდრე ის, რომ დღემუდამ ჩენსელორ-ავენის სპორტულ მოედანზე ან უიკვეიკის ბინძურ ქუჩებში მოყიალე ბიჭი ახლა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის (რომლის დროსაც ვაშინგტონმა ორჯერ გაშალა ზამთრის ბანაკი აქაურ ბორცვებზე) შემსწრე დიდებული ქვის სახლის მეპატრონე გახდა. „საკუთარი ხეები - საკუთარი ბიზნესი ან თვით საკუთარი სახლი როდია“, - ფიქრობდა საგონებელში ჩავარდნილი შვედი. უფრო სწორია ვარაუდი, რომ ის ხეების მეურვეა. მეურვე. დიახ, და მისი ამოცანაა, ისინი შთამომავლებს გადასცეს - დაწყებული მერიტა და მისი შვილებით.

ზამთრის გრიგალებისა და ძლიერი ქარებისგან ნეკერჩხლების დასაცავად შვედმა მათ ბაგირი შემოახვია. ზეცის ფონზე - ქვემოდან რომ გეყურებინათ - ბაგირი ორმოცდაათი ფუტის სიმაღლეზე ერთგვარ პარალელოგრამს ქმნიდა, რომლის თავზეც ხეების მძლავრი ტოტები იფარჩხებოდა. კენწეროებამდე ახვეულ მეხამრიდების მავთულს ყოველ წელიწადს ამოწმებდნენ. წელიწადში ორჯერ ხეებს ინსექტიციდებს აფრქვევდნენ, ყოველ მესამე წელს სასუქს უყრიდნენ, ხოლო სპეციალისტი რეგულარულად მოდიოდა გამხმარი ტოტების მოსაცილებლად და, საერთოდ, იმისთვის, რომ შეემოწმებინა ჯანმრთელობის მდგომარეობა ლევოვის პირადი პარკისა, რომელიც უშუალოდ მისი სახლის ზღურბლთან იწყებოდა. მერის ხეები. მერის საგვარეულო ხეები.

შემოდგომით შვედი დღეებს ისე გეგმავდა, რომ დაბნელებამდე დაბრუნებულიყო შინ. როგორც იმედოვნებდა, მერი ყოველთვის საქანელაზე ხვდებოდა. სახლთან ყველაზე ახლო, ყველაზე დიდი ნეკერჩხლის ქვეშ დაფენილი ყვითელი ფოთლების თავზე, ჰაერში დანავარდობდა. ორი წლისა იყო მერი, როდესაც შვედმა ამ ნეკერჩხალზე საქა-

ნელა ჩამოვიდა. ზემოთ ატყორცნილი საქანელა თითქმის იმ ტოტებამდე აღწევდა, რომლებიც მათი საძინებელი ოთახის ფანჯრებს ებჯინებოდა... მაგრამ თუ შვედისთვის ეს უძვირფასესი მომენტები მისი ოცნებების ახდენა იყო, მერისთვის ისინი არაფერსაც არ ნიშნავდა: როგორც გაირკვა, ეს ხეები უფრო მეტად როდი უყვარდა, ვიდრე დედამისს - სახლი. ალჟირის მდგომარეობა აწუხებდა. უყვარდა ალჟირი. ბავშვი საქანელაზე. ბავშვი ხეებქვეშ. ეს ბავშვი ახლა იმ საშინელი ოთახის იატაკზე იჯდა.

ორკატები ადრე მოვიდნენ, რათა ბილსა და დოუნს მოესწროთ ერთსართულიანი სახლისა და ორსართულიანი გარაჟის გაერთიანების საკითხზე მოლაპარაკება. ორკატი ორი კვირით ნიუ-იორკში მიემგზავრებოდა და დოუნს ეჩქარებოდა ამ უკანასკნელი ამოცანის გადაჭრა. უკვე დიდი ხნის განმავლობაში იმტვრევდნენ თავს - სურდათ, ჰარმონიულად შეეთავსებინათ ეს ორი განსხვავებული ნაგებობა. გარაჟი ბელს წააგავდა და დოუნს არ მოსწონდა, რომ ის ასე ახლოს იდგა ასეთი განსაკუთრებული სტილის მქონე სახლთან, და საერთო შთაბეჭდილებას არღვევდა. დოუნს არ მოსწონდა არც რვამეტრიანი გალერეის ორკატისეული იდეა და ფიქრობდა, რომ ის მთელ ამ ანსამბლს მოტელს დაამსგავსებდა. თითქმის ყოველდღე კამათობდნენ და მსჯელობდნენ იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ამ „გადასასვლელის“ არა მარტო ზომები, არამედ ფუნქციაც. მაგალითად, ხომ არ მოეწყობოდა სათბურის და არა - ჩვეულებრივი გალერეა, როგორც თავდაპირველად იყო ჩაფიქრებული. დოუნი ძალზე ღიზიანდებოდა, როდესაც გრძნობდა, რომ ორკატი, თუნდაც დელიკატურად, ცდილობდა, თავს მოეხვია მისთვის ძველმოდური არქიტექტურული ესთეტიკა და უგულვებლყო მოდერნული სტილი, რომელიც, ქალის ჩანაფიქრით, მის სახლს უნდა ჰქონოდა. რამდენჯერმე მოთმინებაც კი დაკარგა და გაიფიქრა, რომ, ალბათ, არ უნდა მოეწვია არქიტექტორი, რომელიც, ადგილობრივ კონტრაქტორებთან მოპოვებული მნიშვნელოვანი ავტორიტეტის (რომელიც უმაღლესი ხარისხის მშენებლობის გარანტიას იძლეოდა) და უზადო პროფესიონალური რეპუტაციის მიუხედავად, მაინც ძირითადად „ძველი საგნების რესტავრატორი“ იყო. დოუნი უკვე აღარ გახლდათ გოგონა, რომელმაც ეს-ესაა დატოვა ქალაქი ელიზაბეთი და მშობლიური სახლი (აგრეთვე - სურათები კედლებზე, დერეფანში კი - სტატუეტი) და უფრთხოდა სნობებს, თუნდაც ორკატს. კამათის

დროს ის განსაკუთრებით ქირდავდა ორკატის პრეტენზიებს არისტოკრატიზმზე, მაგრამ ბრაზი და გაღიზიანება მყისვე უქრებოდა, როდესაც არქიტექტორი კვლავ მოდიოდა - ჩვეულებრივ, ოცდაოთხი საათის შემდეგ - და „სრულიად უნაკლო გეგმა“ (დოუნის თქმით) მოჰქონდა, განურჩევლად იმისა, ეხებოდა ის სარეცხი მანქანის ადგილს თუ გარაჟის თავზე განთავსებულ (სტუმართათვის ღამის გასათევად განკუთვნილ) ოთახში ამავე კიბეს.

მაკეტთან ერთად, რომელიც ბუნებრივი ზომის ერთი მეთექვსმეტედის სიდიდისა იყო, ორკატმა მოიტანა ახალი გამჭვირვალე პლასტიკატის ნიმუშებიც, რომლებიც გალერეის კედლებსა და ჭერზე უნდა აეკრა. ისინი დოუნს სამზარეულოში შეუტანა, სადაც საზრიანი არქიტექტორი და მომთხოვნი კლიენტი კიდევ ერთხელ შეუდგნენ კამათს. ამასობაში დოუნი სალათის ფურცლებს რეცხავდა, პომიდვრებს ჭრიდა და ორკატის მიერ ყანიდან მოტანილ სიმინდის ტაროებს არჩევდა. სახლის უკანა მხარეს, ბორცვისკენ მიქცეულ ვერანდაზე, რომლიდანაც ისინი ოდესღაც, აგვისტოს ასეთსავე საღამოებში, ჩამავალი მზით განათებული ძროხების სილუეტების ყურებით ტკებოდნენ, შვედი ბარბექიუსთვის ნალვერდლებს ამზადებდა. იქვე იყვნენ მამამისი და ჯესი ორკატი, რომელიც უკანასკნელ ხანებში იშვიათად დადიოდა სტუმრად ქმართან ერთად. მას (დოუნის თქმით, რომელსაც ორკატმა ჰკითხა, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, ცოლთან ერთად რომ მოვიდეთ) „მანიაკალური ქარიშხლის მომასწავებელი სიმშვიდის პერიოდი“ ჰქონდა.

ორკატების უკვე მოწიფული სამი ვაჟი და ორი ქალიშვილი ნიუ-იორკში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ. წარსულში ჯესი, გავრცელებული შეხედულების თანახმად, ამ ხუთ ბავშვს გადაყოლილი დედა იყო. სმა მას შემდეგ დაიწყო, რაც შვილებმა მშობლიური სახლი დატოვეს. ჯერ გუნება-განწყობილების გასაუმჯობესებლად სვამდა, შემდეგ - სევდის გასაქარვებლად, ბოლოს კი - უბრალოდ, იმისთვის, რომ დაეღია. როდესაც ორკატებმა და ლევოვებმა ერთმანეთი გაიცნეს, შვედი სწორედ ჯესის სიჯანსაღემ გააოცა: ისეთი ახალგაზრდული იერი ჰქონდა, რომ ეტყობოდა, დღემუდამ ოთხ კედელს შორის არ იჯდა, ისეთი ხალისიანი და გულწრფელი იყო... ასეთად მოეჩვენა შვედს, მაგრამ - არა მის ცოლს.

ჯესი ოდესღაც ფილადელფიელი მდიდარი საპატარძლო იყო, სკოლაში ათვისებული არისტოკრატიული მანერებით. ახლა მთელი

დღეების განმავლობაში, ზოგჯერ კი საღამოობითაც, ტალახიანი ბრიჯები ეცვა, ხოლო აბრეშუმით რბილ ქერა თმას ორ ნაწინავად იწნავდა. ამ ნაწინავებითა და კრიალა, მრგვალი, უზადო სახით მინესოტელ გლენის გოგოს წააგავდა (მართალია, უკვე ორმოცი წლისას), თუმცა, როდესაც თმას ზევით იწევდა, ჭაბუკსაც ისევე ჰგავდა, როგორც - ახალგაზრდა ქალიშვილს. დოუნის თქმით, ამ ქალს თავში ტვინი კი არა, „მაკინტოშის“ ჯიშის ვაშლი ჰქონდა. შვედს ვერც კი წარმოედგინა, რომ ჯესის რალაც საშუალებას არ აძლევდა, ცხოვრების დინებას მშვიდად გაჰყოლოდა და სიბერემდე დარჩენილიყო სანიმუშო დედად და ენერგიულ ცოლად, რომელსაც შეეძლო შემოდგომით ჩამოცვნილი ფოთლების აკრეფა ბავშვებისთვის მხიარულ დღესასწაულად ექცია, ხოლო დამოუკიდებლობის დღეს პიკნიკი მოეწყო ორკატების სახლის მახლობელ მდელოზე, სადაც მთელი ოლქის მოსახლეობა ხალისით იყრიდა თავს. მისი ხასიათი შვედს იმხანად ერთგვარ რთულ ნაზავად წარმოუდგებოდა, სადაც კომპონენტთა უმრავლესობა საშინლად ტოქსიკური იყო, ხასიათის საფუძველს კი ქმნიდა თავდაჯერება, რომელიც შვედის წარმოდგენაში კონტად, მჭიდროდ დაწნულ თმასთან ასოცირდებოდა.

მაგრამ ჯესის ცხოვრება ორ ნაწილად გაიხლიჩა. ახლა უკვე ბებერ, დაძაბუნებულ, ორმოცდათოთხმეტი წლის ლოთ ქალს თავზე ყოველთვის აბურღული ჭალარა თმის ზვინი ედო, ხოლო მომჩვარულ მუცელს უფორმო, ტომრისებრი კაბების ქვეშ მალავდა. როდესაც სახლის დატოვებისა და ადამიანებთან ურთიერთობის ილაჯი შესწევდა, მხოლოდ იმაზე საუბრობდა, რა „მაგარი“ ცხოვრება ჰქონდა, სანამ პირველად დაღევდა, გათხოვდებოდა, შვილებს იყოლიებდა. იხსენებდა და ხარობდა იმით, რომ საიმედო, სანდო ადამიანი იყო (შვედის აზრით, ქალს მართლაც ახარებდა ეს).

ის, რომ ადამიანები მრავალმხრივი არსებები არიან, შვედმა კარგად იცოდა და არ გაჰკვირვებია, როდესაც ეს შეხედულება კიდევ ერთხელ დადასტურდა. სხვა რამ აოცებდა: ეჩვენებოდა, რომ ზოგიერთი ადამიანი დროზე ადრე ხარჯავს სულიერ მარავს, ამოწურავს საკუთარ თავს და, განადგურებული, იმ ტიპის ინდივიდად იქცევა, უწინ რომ ებრალებოდა. თითქოს სანამ ამგვარი ადამიანების ცხოვრება მდიდარი და სავსეა, მათ ფარულად სძულთ საკუთარი თავი და ერთი სული აქვთ, გაინადგურონ სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობა, ასევე,

ზომიერების გრძნობა და დაემზენ მეორე, ჭეშმარიტ „მე“-მდე - ხელმოცარულ, იმედგაცრუებულ „მე“-მდე. თითქოს ჰარმონიული ცხოვრება შემთხვევითი მდგომარეობაა, რომელშიც ზოგჯერ იმყოფება ბედის ესა თუ ის ნებიერა, მაგრამ, ზოგადად, ადამიანებს ეს არ სჩვევიათ. რა უცნაურია! და რა უცნაური იყო აზრი, რომ, მართალია, საკუთარ თავს ყოველთვის მიიჩნევდა ნორმალურ, სამყაროს მიმართ კეთილგანწყობილ ადამიანთა მრავალრიცხოვანი ერთობის წარმომადგენლად, მაგრამ, არსებითად, „უცხო“ იყო რეალურ ცხოვრებაში - სწორედ იმიტომ, რომ ასე ღრმად ჰქონდა მასში ფესვები გადგმული.

- პაოლის მახლობლად ვცხოვრობდით, - უამბობდა ლუ ლევოვს ჯესი. - უამრავი შინაური ცხოველი გვყავდა. შვიდი წლისას ვილაცამ პონი და ეტლი მაჩუქა. ამის შემდეგ ველარავინ მაჩერებდა. ცხენებზე ვგიჟდებოდი, მთელი სიცოცხლე ცხენებს დავაჭენებდი. გამოფენებში ვმონაწილეობდი და ვნადირობდი. ვირჯინიის სკოლაში სწავლის დროს სატყუარათი ვინადირე.

- ერთი წუთით, - შეაჩერა ქალი ლუმ. - რა არის სატყუარათი ნადირობა? ნუ ჩქარობთ, მისის ორკატ. მე ხომ ნიუარკელი ტლუ ბიჭი ვარ.

„მისის ორკატის“ გაგონებაზე ჯესიმ ტუჩები აიბზუა - როგორც ჩანს, არ ესიამოვნა, რომ ლუმ ხაზი გაუსვა თავის დაბალ სოციალურ წარმომავლობას. შვედმა იცოდა, რომ მამამისმა ნაწილობრივ სწორედ ამიტომ გამოიყენა ეს მიმართვა. მაგრამ მათ ერთმანეთისგან აცილებდა, აგრეთვე, ლუ ლევოვის სიძულვილი ჯესის ლოთობის, ერთი საათის განმავლობაში დალეული სამი ულუფა ვისკისა და მეოთხე სიგარეტის მიმართ, რომელიც ქალის მთრთოლვარე თითებში იწვოდა. და ამანაც გაიჟღერა სიტყვებში „მისის ორკატ“. ლუს ყოველთვის აკვირვებდა, რომ ჯესის თავის შეკავება არ შეეძლო. ყოველთვის აოცებდნენ ისინი, ვისაც თავის ალაგმვის უნარი არ შესწევდათ, განსაკუთრებით კი - ლოთი გოები. ლოთობის დემონი ყოველი გოის სულში ბუდობდა. „წარჩინებული გოები, - ამბობდა ის, - კომპანიების პრეზიდენტები, ინდიელებივით კარგავენ ჭკუას მაგარ არაყზე“.

- თუ შეიძლება, „ჯესი“ დამიძახეთ, - თქვა ქალმა ყალბი ღიმილით, რომელსაც, შვედის შეფასებით, შეეძლო შეენიღბა მხოლოდ ათი პროცენტი იმ მტანჯველი სინანულისა, ახლა რომ განიცდიდა. წესიერი, ოჯახის ქალივით ქმართან ერთად სტუმრად წამოსვლას (ნეტავ რისი იმედი ჰქონდა?!) სჯობდა, შინ დარჩენილიყო და ძაღლებთან და ვისკის

ბოთლთან ერთად ტელევიზორს მისჯდომოდა. მის სახლში ტელევიზორის გვერდით, პატარა მაგიდაზე, ტელეფონი იდგა და შეეძლო ხელი გაეწვდინა, ჭიქა დაედგა, ყურმილი აელო და ნომერი აეკრიფა. სათანადოდ ჩაცმულიც რომ არ ყოფილიყო, შეეძლო თავი აერიდებინა მისთვის სრულიად აუტანელი შეხვედრებისთვის და ტელეფონით ეთქვა ნაცნობებისთვის, როგორ უყვარდა ისინი. შეიძლებოდა, თვეობით არავისთვის დაერეკა, შემდეგ კი, უეცრად, ერთ საღამოს სამჯერ დაურეკავდა, როდესაც ისინი უკვე საწოლში იწვნენ. „სეიმურ, იმისთვის გირეკავ, რომ გითხრა, როგორ მიყვარხარ“. „გმადლობ, ჯესი. მეც მიყვარხარ“. „მართლა?“ „რა თქმა უნდა. ეს ხომ კარგად იცი“. „ჰო, სეიმურ, მიყვარხარ. ყოველთვის მიყვარდი. იცოდი, რომ მიყვარდი?“ „ვიცოდი“. „ყოველთვის თაყვანს გცემდი. ბილიც თაყვანს გცემდა. ყოველთვის თაყვანს გცემდით და გვიყვარდი. დოუნიც გვიყვარს“. „შენც გვიყვარხარ, ჯესი“. აფეთქების დღეს, საღამოს, უფრო სწორად, შუაღამისას, მას შემდეგ, რაც მერის ფოტოსურათი ტელევიზორით აჩვენეს და მთელმა ამერიკამ შეიტყო, რომ გოგონას წინა დღეს ვილაციისთვის ეთქვა სკოლაში, ოლდ-რიმროკს დიდი სიურპრიზი ელისო, ჯესიმ სცადა, ლევოვების სახლამდე მისულიყო (ფეხით სამი მილი უნდა გაეგლო), მაგრამ სიბნელეში, სოფლის ოღროჩოღრო გზაზე ფეხი გადაუბრუნდა და ორი საათი გზაზე იწვა. კინალამ სატვირთო მანქანამ გადაუარა.

- გისმენთ, ჩემო მეგობარო ჯესი, გამანათლეთ. რა არის სატყუართი ნადირობა? - ლუ ნამდვილად ცდილობდა, შეწყობოდა ადამიანებს. რაკი ეს ქალი სტუმრად მოიწვიეს, გულთბილად მოექცევა, იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად აღიზიანებს ეს სიგარეტები, ვისკი, აწეწილი თმა, მოძველებული ფენსაცმელი და უფორმო კაბა, რომელიც მოუვლელ სხეულს მალავს; როგორი აღმაშფოთებელიც უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ამ ქალმა ცხოვრების მიერ ნაწყალობევი პრივილეგიები გააცამტვერა.

- სატყუართი ნადირობა - ნადირობაა, და არა მარტო მელიაზე. მხედარი თქვენ წინ მიაჭენებს ცხენს და თოკზე გამობმულ ტომარას მიათრევს, რომელშიც რაიმე სურნელოვანი ნივთია. ეს ნადირობის ატმოსფეროს ქმნის. მწევრები კვალს იღებენ. მონადირეთა გზაზე, როგორც სარბენ ტრეკზე, უზარმაზარ, მალალ ლობეებს დგამენ. ძალიან საინტერესოა. ძალიან სწრაფად მიაჭენებ ცხენს. უზარმაზარი, უზარ-

მაზარი ლობეებია. რვა, ათი ფუტის სიგანისა, ზევით კი ძელები აწყვია. არაჩვეულებრივია. ბევრი ამგვარი დოლი ეწყობა. უამრავი შესანიშნავი მხედარი და ჩვეულებრივი მაყურებელი მოდის ამ ადგილებში, და ეს საინტერესოა.

შვედს ეჩვენებოდა, რომ ჯესი ცდილობდა, ცოტათი შეენიღბა უხერხულობა - სტუმრად მყოფი შეზარხოშებული ქალი უთავბოლოდ ლაყბობდა. ლუც ხუმრობით აქეზებდა (ერთი უბირი კაცი ვარ, არაფერი მესმისო), ეს კი აბნევდა ჯესის, ბორძიკით წარმოთქმული ყოველი სიტყვა აიძულებდა, ტუჩები დაემანჭა, რათა ნათლად და მკაფიოდ ელაპარაკა. ისევე მკაფიოდ გამოეთქვა, როგორც სიტყვა „მამიკო!“, რომელიც შვედის ჯაინი ქალიშვილის სახეზე აფარებული ჩვრის ქვეშ გაისმა.

შვედი თვალს არ აცილებს აალებულ ნალვერდლებს, რომელთაც მაშებით პირამიდის ფორმას აძლევს. მამამისს არ უყურებს - ისედაც კარგად იცის, რაზე ფიქრობს ის. თურმე აინტერესებთო, ფიქრობდა ლუ. რა ემართებათ? საიდან გაუჩნდათ ეს ინტერესი? რა არის ამაში საინტერესო? რა არის ამაში ძალიან საინტერესო? მას შემდეგ, რაც მისმა ვაჟმა სახლი და ასი აკრი მიწა შეიძინა კეარ-ავენიუდან დასავლეთით, ორმოც მილში, მამა ხშირად ეკითხებოდა საკუთარ თავს, ისევე, როგორც ახლა: „რატომ სურს ამ ადამიანებთან ცხოვრება? ლოთობას თავი რომ დავანებოთ, ფხიზლებიც ვერაფერი ხვითოები არიან. ორ წუთზე მეტხანს ვერ გავუძლებდი მათთან ურთიერთობას“.

დოუნს სხვა პრეტენზიები ჰქონდა მათთან, ლუს - სხვა.

- ყოველ შემთხვევაში, - ამბობდა ჯესი და სიგარეტის ხელს ატრიალებდა, თითქოს ცდილობდა, გარკვეულ დასკვნამდე მისულიყო, - სწორედ ამიტომ წავიყვანე სკოლაში ჩემი ცხენი.

- სკოლაში ცხენი წაიყვანეთ?

ჯესიმ კვლავ მოუთმენლად აიბზუა ტუჩები, ალბათ იმიტომ, რომ ეს ბერიკაცი, რომელიც ფიქრობდა, რომ თავისი შეკითხვებით ეხმარებოდა, სინამდვილეში თავგზას უბნევდა და გარდაუვალ კატასტროფას აჩქარებდა.

- ჰო, ერთი მატარებლით გავემგზავრეთ, ხომ მარჯვედ მოვიფიქრე? - და, ორივე ლევოვის გასაოცრად, ჯესი - თითქოს არავითარი სერიოზული პრობლემა არ აწუხებს, თითქოს პრეტენზიები ლოთებისადმი, რომლებიც ზოგჯერ უჩნდებათ ამაზრზენ, თვითკმაყოფილ, არამ-

სმელ ადამიანებს, მხოლოდ და მხოლოდ სასაცილოაო - უეცრად კეკ-ლუცად მიეფერა თავზე ლუ ლევოვს.

- მაპატიე, არ მესმის, როგორ მოხვდი მატარებელში ცხენთან ერთად. დიდი იყო?

- იმ დროს ცხენები საგანგებო ღია პლატფორმებით დაჰყავდათ.

- გასაგებია, - თქვა მისტერ ლევოვმა და ამ სიტყვამ ისე გაიჟღერა, თითქოს ბოლოს და ბოლოს იპოვა პასუხი კითხვაზე, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში ტანჯავდაო. - გასაგებია, რაში პოულობენ სიამოვნებას გოები.

მან ჯესის ხელი აიღო და ორივე ხელი მოუჭირა, თითქოს ამ გზით სურდა გადაეცა მთელი თავისი ცოდნა სიცოცხლის საზრისის შესახებ, რომელიც ქალს, როგორც ჩანს, დაავიწყდა. ამასობაში ჯესი იმავე ძალის ზეგავლენით, რომელიც სიტუაციის ადეკვატურად შეფასების საშუალებას არ აძლევდა, ბოლოს კი დამცირებას უქადდა, კვლავ ტიტინებდა:

- ყველანი გაემგზავრნენ, პოლოს სათამაშოდ საჭირო ნივთები წაიღეს. ყველანი სამხრეთისკენ გაემგზავრნენ ზამთრის მატარებლით. მატარებელი ფილადელფიამდე მიდიოდა. ცხენი ღია პლატფორმაზე დავაყენე, ჩემს ვაგონზე ორი ვაგონით წინ, ჩემიანებს გამოსამშვიდობებლად ხელი დაუქნიე და ეს შესანიშნავი იყო.

- რამდენი წლისა იყავით?

- ცამეტისა. სულაც არ მომწყინდა. ყველაფერი დიდებული, დიდებული, დიდებული და შესანიშნავი იყო, - ატირდა ქალი.

„ცამეტი წლის, - ფიქრობდა ლუ ლევოვი, - ეს ერთი ციდა გოგო ხელის დაქნევით დაემშვიდობა ოჯახს? რა მოხდა? რა დაემართა? რა ჯანდაბის გამო დაუქნიე ხელი შენს ოჯახს ცამეტი წლის ასაკში? გასაკვირი არაა, რომ გალოთდი.“

მაგრამ ხმამაღლა სხვა რამ თქვა:

- არა უშავს, იტირეთ. რატომაც არა? თქვენ ხომ მეგობრებს შორის ხართ.

მან ზიზღი დაძლია, ქალს ერთი ხელიდან ჭიქა გამოართვა, მეორე ხელიდან - მოკიდებული სიგარეტი და მოეხვია, რასაც ჯესი, ალბათ, მთელი ამ ხნის განმავლობაში ელოდა.

- ისევ მამის როლში ვარ, - ალერსიანად უთხრა ლუმ. ჯესის არაფრის თქმა არ შეეძლო, მხოლოდ ქვითინებდა.

ლუ აქეთ-იქით არწევდა ქალს, რომელმაც წინა შეხვედრის დროს - დაახლოებით, თხუთმეტი წლის წინ, ოთხ ივლისს, ორკატების სახლთან, მდელიოზე მოწყობილ პიკნიკზე - შესთავაზა, თეფშებისთვის ესროლა. ეს კიდევ ერთი იმგვარი გართობა იყო, რომლის არსსაც ლუ ლევოვი თავისი ებრაული ტვინით ვერაფრით ჩასწვდა. ჩახმაზზე თითის გამოკვრა და გასართობად თოფის სროლა? ნამდვილი გიჟები არიან.

იმ დღეს, როდესაც შინ ბრუნდებოდნენ, კონგრეგაციული ეკლესიის მახლობლად დაინახეს ხელით დაწერილი განცხადება: „იყიდება კარვები. იაფად!“ მერი მაშინვე მხურვალედ შეევედრა შვედს, შეჩერებულიყვნენ და მისთვის კარავი ეყიდათ.

თუ ჯესის უფლება აქვს, შვედის მამის მხარზე გამოიტიროს ის ფაქტი, რომ ცამეტი წლის ასაკში „გამოსამშვიდობებლად ხელი დაუქნია“ თავის ოჯახს; რომ ცამეტი წლის გოგონა შინიდან სრულიად მარტო გაამგზავრეს, მხოლოდ ცხენი გაატანეს, რატომ არ შეიძლება, რომ შვედს თვალეზზე ცრემლები მოადგეს თავისი ექვსი წლის ჯაინის მოგონებისას? „მამიკო! შევჩერდეთ! აქ კ-კ-კარვებს ყიდიან!“

შვედმა გადაწყვიტა ეკითხა ორკატისთვის, რომელიც მიჩვეული იყო ცოლის უსაქციელობას, რით შეიძლებოდა მისი დახმარება, თანაც სურდა, ცოტა ხნით მარტო დარჩენილიყო - უეცრად შეიგრძნო თავისი მდგომარეობის მთელი სიმძიმე, რომლის შესახებ ფიქრი არ სურდა, სანამ სტუმრები არ წავიდოდნენ. ეს იყო მდგომარეობა მამისა, რომლის ქალიშვილმაც მოკლა (მეტ-ნაკლებად შემთხვევით) არა მარტო ერთი ადამიანი, არამედ, ჰემმარიტებისა და სამართლიანობის სახელით, წარბშეუხრელად დახოცა კიდევ სამი, უგულვებლყო ყველაფერი, რასაც დედ-მამა ასწავლიდა, ფაქტობრივად, ხელი აიღო ცივილიზებულიად ცხოვრებაზე, დაწყებული ფიზიკური სისუფთავით და დამთავრებული საღი აზროვნებით. შვედმა დროებით დატოვა მამამისი და ჯესი და სახლს შემოუარა. სამზარეულოს უკანა კარისკენ, ორკატისკენ გაემართა. კარის მინაში შეამჩნია ორკატის ნახაზების დასტა, რომელიც მაგიდაზე იდო - ალბათ იმ ავადსახსენებელი გალერეის ესკიზები იყო - შემდეგ კი, უეცრად, ისიც დაინახა.

ორკატს ეცვა მუქი წითელი ტილოს შარვალი და ფართო, გადმოშვებული, ხასხასა ტროპიკული ყვავილებით მოჩითული პერანგი, რომლის დასახასიათებლადაც საუკეთესო სიტყვა იყო „მყვირალა“ - სილ-

ვია ლევოვი ამ სიტყვას ხალხით იყენებდა ხოლმე უგემოვნო ტანსაცმლის შესაფასებლად. დოუნი ამტკიცებდა, რომ ამგვარი ტანსაცმელი განუყოფელი ნაწილი იყო მეტიმეტად თავდაჯერებული ორკატისა, რომელმაც ოლდ-რიმროკში ახლად ჩამოსული ასე დააფრთხო, ახლა კი ეს ყველაფერი სასაცილოდ ეჩვენებოდა. დოუნის ინტერპრეტაციით, რომელშიც შვედს კვლავ მოესმოდა ჯერ კიდევ დაუძლეველი კომპლექსის ნაშთები, ამ პერანგებით ორკატი სამყაროს აუწყებდა მარტივ ჭეშმარიტებას: მე უილიამ ორკატ მესამე ვარ და შემოძლია ჩავიცვა ის, რის ჩაცმასაც აქაურები ვერ ბედავენ. „რაც უფრო მაღლა აყენებ შენს თავს მორისის რჩეულ საზოგადოებაში, - ამბობდა დოუნი, - მით უფრო ჭყეტელა ტანსაცმლის ტარება შეგიძლია. ასეთი პერანგი, - გამჭირდავად ჩაიცინა ქალმა, - არისტოკრატიული ექსტრემიზმია, არისტოკრატიული სიჭრელე. რამდენადაც მესმის, აქ მცხოვრებ უილიამ ორკატ მესამეებსაც კი უჩნდებათ თავხედურად მოქცევის სურვილი“.

ზუსტად ერთი წლის წინ შვედის მამამაც დაახლოებით იგივე აზრი გამოთქვა: „ზაფხულის დადგომისთანავე მდიდარი გოები - თავშეკავებული, ზრდილი ადამიანები - საშინელ ტანსაცმელს იცვამენ“. მაშინ შვედს გაეცინა. „ეს მათი პრივილეგიაა“, - გაიმეორა მან დოუნის სიტყვები. „პრივილეგია? - იკითხა ლუმ და მანაც გაიცინა. - შესაძლოა. მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, გოი მამაცი ადამიანია - ამგვარი შარვლებითა და პერანგებით გამოდის ხალხში“.

რა თქმა უნდა, როდესაც სოფელში ამგვარად ჩაცმულ, წარმოსადეგ, მაღალ, ჩაფსკვნილ ორკატს დაინახავდით, გაგოცებდათ (შვედის მსგავსად) მკრთალი საღებავები მის ფერწერულ ტილოებზე. აბსტრაქტულ ხელოვნებაში გაუთვითცნობიერებელი ადამიანი - ისეთი, როგორიც, დოუნის თქმით, შვედი იყო - იოლად წარმოიდგენდა, რომ ამგვარ ჭყეტელა პერანგებში გამოწყობილი მხატვარი სხვაგვარ სურათებს დახატავდა, მაგალითად, ისეთს, როგორიც იყო გამოსახულება ლუის ფირპოსი, რომელიც ერთი დარტყმით აგდებდა ჯეკ დემპსის რინგს მიღმა „პოლო გრაუნდზის“ ძველ სტადიონზე გამართული შეხვედრის მეორე რაუნდში. ამასთან, აშკარა იყო, რომ მხატვრული შემოქმედების მოტივებსა და ხერხებს შვედ ლევოვის გონება ვერ სწვდებოდა. მისი შეხედულებით, ორკატი მთელ შემოქმედებით ენერჯიას ამ პერანგების ტარებაზე ხარჯავდა - მთელ თავის თვითმყოფობას, გაბედულებას, კადნიერებას და, შესაძლოა, იმედგაცრუებასა და სასოწარკვეთილებას.

თუმცა, ალბათ, სრულად არ ხარჯავდა. შვედი გრანიტის ფართო საფეხურზე იდგა და სამზარეულოს კარის მინაში იცქირებოდა. რატომ არ გააღო კარი, არ შევიდა სამზარეულოში და არ აცნობა ორკატს, რომ ჯესის ქმრის დახმარება ესაჭიროებოდა? იმიტომ, რომ დაინახა, როგორ მოეხვია ორკატი დოუნს, რომელიც ნიჟარასთან სიმინდის ტაროს არჩევდა. პირველ წამს შვედს მოეჩვენა, რომ ორკატი სიმინდის გარჩევას ასწავლიდა დოუნს, თუმცა ქალს ეს თვითონაც კარგად ეხერხებოდა. დოუნის ზურგსუკან იდგა, მის ხელებზე თავისი ხელები დაეფარებინა და ტაროსგან ფუჩიჩის პირწმინდად მოცილებაში ეხმარებოდა, მაგრამ თუ მხოლოდ სიმინდის გასუფთავებაში ეხმარებოდა, რატომ უთიმთიმებდა გავა და ბარძაყები ფართო, ჭყეტელა პერანგქვეშ? რატომ ეხუტებოდა ლოყით დოუნის ლოყას? და რატომ ამბობდა დოუნი - რამდენადაც შვედს შეეძლო ევარაუდა ქალის ტუჩების მოძრაობის მიხედვით: „აქ არა, აქ არა...“? რატომ არ შეიძლებოდა აქ სიმინდის გარჩევა? განა სიმინდი სამზარეულოში არ უნდა გაერჩია? ერთი წუთის შემდეგ შვედი მიხვდა, რომ, ჯერ ერთი, ისინი სიმინდს არ არჩევდნენ და, მეორეც, რომ ორკატის მთელი თვითმყოფობა, გაბედულება, კადნიერება, იმედგაცრუება და სასოწარკვეთილება, რაც ძირს უთხრიდა მემკვიდრეობით მიღებულ სიცოცხლისუნარიანობას, არ ამოიწურებოდა ჭრელი პერანგების სიყვარულით.

აი, რატომ ეკინკლავება ყოველთვის დოუნი ორკატს - უბრალოდ, კვალს მირევს. დასცინის მის უნიათობას, წარმომავლობას, მოჩვენებით გულთბილობას, აბუჩად იგდებს ყოველთვის, როცა კი დასაწოლად ვემზადებით. რაკი ასე ლაპარაკობს, ესე იგი, შეყვარებულია მასზე. სახლის ღალატი - უბრალოდ, ღალატია და სხვა არაფერი. „საწყალი ცოლი უმიზეზოდ როდი სვამს. ორკატი ყოველთვის ძალიან თავშეკავებულია. როგორ ცდილობს, თავაზიანი იყოს, - ამბობდა დოუნი. - როგორ ტრაბახობს ამ თავისი პრინსტონული მანერებით. როგორ ცდილობს დაიცვას ზომიერება. არისტოკრატიული სინატიფე. ოჯახური წარსულის ხარჯზე ცხოვრობს. და უმეტესწილად, აქ არ იმყოფება - მის ნაცვლად სიცარიელეა“.

მაგრამ ახლა ორკატი აქ იყო, აქ. სანამ სწრაფად დაბრუნდებოდა ვერანდაზე, სადაც ცეცხლზე ხორცი შიმინებდა, შვედმა ნამდვილად დაინახა, რომ ორკატმა შეაღწია იქ, სადაც სურდა, და თან აუწყებდა

დოუნს, სად იმყოფებოდა. „აქ! აქ! აქ! აქ!“ - ამჯერად თავს აღარ იკავებდა.

III დაკარგული სამოთხე 8

ღია ცის ქვეშ, უკანა ვერანდაზე გაშლილ სუფრასთან ვახშობდნენ. წყვდიადი იმდენად ნელა ეშვებოდა მიწაზე, რომ შვედს ეჩვენებოდა, თითქოს სადამო გახევდა, გაშეშდა, გაქვავდა და, რა სამწუხაროც უნდა ყოფილიყო, არაფერი დაიძვრებოდა ადგილიდან, არასოდეს არაფერი მოხდებოდა, ვერავინ ახდიდა თავს დროისგან გამოთლილ კუბოს და ვერ დაიხსნიდა მას ამ კუბოდან. ოჯახის წევრთა გარდა, სუფრას უსხდა უმანოვების წყვილი, ბარი და მარშა, აგრეთვე - შეილა და შელი ზალცმანები. შვედმა სულ რამდენიმე საათის წინ შეიტყო, რომ ბომბის აფეთქების შემდეგ მერი მისმა ფსიქოთერაპევტმა, შეილა ზალცმანმა შეიფარა. ზალცმანებს შვედისთვის ეს არ გაუმხელიათ. რომ გაემხილათ - დაერეკათ, როგორც კი მერი მათთან მივიდა, თავიანთი მოვალეობა შეესრულებინათ, მაშინ... ამ აზრის დასრულება ვერ შეძლო. შვედი მაგიდასთან იჯდა, სამუდამოდ ძალაგამოცლილი - უგრძობელი, გამოფიტული, დაცლილი სილალისა და ხალისის იმ კურთხეული ნიჭისგან, რომელიც ჰიპეროპტიმიზმის სანაცვლოდ აჩუქა განგებამ. ბიზნესმენის, სპორტსმენის, აშშ-ის საზღვაო ქვეითი ჯარისკაცის სიმარჯვე, რომლითაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში გამოირჩეოდა, ვერ გამოადგებოდა კუბოში სამარადისოდ გამომწყვდეულს, სადაც ვერ იფიქრებდა იმაზე, თუ რა შეემთხვა მის ქალიშვილს, თუ როგორ დაეხმარნენ მერის ზალცმანები და თუ... რა შეემთხვა მის ცოლს. სუფრასთან ისე უნდა მჯდარიყო, რომ არ ეფიქრა ამაზე, თუმცა მხოლოდ ამაზე ფიქრიდა შეეძლო. ასე უნდა ეცხოვრა მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში. როგორც უნდა ეცადა განთავისუფლება, განწირული იყო იმისთვის, რომ დროისგან გამოთლილ კუბოში ჩასვენებულ მკვდრად დარჩენილიყო. სხვა შემთხვევაში სამყარო აფეთქდებოდა.

ბარი უმანოვი და შვედი ოდესღაც ერთ გუნდში თამაშობდნენ და ახლო მეგობრებიც იყვნენ. ახლა ბარი იურისტი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი გახლდათ და ყოველთვის, როდესაც მშობლები ფლორიდიდან სტუმრად ჩამოდდიოდნენ, ლევოვები ბარისა და მის ცოლს სადილად იწვევდნენ ხოლმე. ბარისთან შეხვედრები ლუს ამხნე-

ვებდა, ნაწილობრივ, იმის გამო, რომ იმიგრანტი თერძის შვილმა შეძლო უნივერსიტეტის პროფესორი გამხდარიყო, ნაწილობრივ კი - იმიტომ, რომ ფიქრობდა - არასწორად ფიქრობდა, თუმცა შვედი ამას არ ამჟღავნებდა - სწორედ ბარიმ დაარწმუნა შვედი, ბეისბოლს დამშვიდობებოდა და ბიზნესში ჩართულიყო. ყოველ ზაფხულს ლუ ახსენებდა „მრჩეველს“ - ასე ეძახდა ბარის ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი სკოლაში სწავლობდა - იმ როლს, რომელიც მან, პროფესიული სერიოზულობით, ლევოვების ოჯახის სასიკეთოდ შეასრულა. ის კი ყოველთვის პასუხობდა, რომ შვედის, როგორც ბეისბოლისტის, სპორტული მონაცემების მეასედი მაინც რომ ჰქონოდა, ახლოსაც არ გაეკარებოდა იურიდიულ ფაკულტეტს - და ვერც ვერავინ აიძულებდა.

სწორედ ბარი და მარშა უმანოვების ოჯახში გაათია ღამე რამდენჯერმე მერიმ ნიუ-იორკში, სანამ შვედი აკრძალავდა ამ დამოუკიდებელ მგზავრობებს. და სწორედ ბარის ეთათბირებოდა საქმის იურიდიული ასპექტების შესახებ, როდესაც მერი ოლდ-რიმროკიდან გაუჩინარდა. მან მიიყვანა შვედი შევიცთან - მანჰეტენელ ადვოკატთან. როდესაც შვედმა შევიცს ჰკითხა, რა სასჯელი ელოდებოდა უარეს შემთხვევაში მის ქალიშვილს, თუ ის სასამართლოს წინაშე წარდგებოდა და დამნაშავედ შეირაცხებოდა, ადვოკატმა უპასუხა, შვიდიდან ათ წლამდეო. „მაგრამ, - მაშინვე დასძინა შევიცმა, - თუ ქმედება ჩადენილი იქნა ომის საწინააღმდეგო მოძრაობის ზეგავლენით, შემთხვევით, თუ ყველაფერი იღონა მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად... განა დარწმუნებულნი ვართ, რომ ყველაფერი, თავიდან ბოლომდე, მარტომ განახორციელა? არა ვართ დარწმუნებულნი. ვიცით თუ არა, რომ სწორედ მან ჩაიდინა ეს ყველაფერი? არ ვიცით. მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებში არ მონაწილეობდა. მხოლოდ ლაყბობდა. ეს უსასრულო მრისხანე რიტორიკა იყო. მაგრამ შეუძლია თუ არა გოგონას მკვლელობა ჩაიდინოს? საიდან ვიცით, რომ მან დაამზადა ბომბი და ასაფეთქებელი მოწყობილობა? ბომბის დაამზადებას სათანადო ცოდნა სჭირდება და განა ამ გოგონამ ასანთის ხმარება მაინც იცის?“ „ბუნებისმეტყველებას კარგად სწავლობდა, - უთხრა შვედმა. - ქიმიაში მისმა პროექტმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა“. „ამ პროექტის ფარგლებში ბომბს ამზადებდა?“ „არა, რა თქმა უნდა, არა“. „ესე იგი, არაფერი ვიცით იმის შესახებ, იცის თუ არა ასანთის ხმარება. შეიძლება ყველაფერი რიტორიკით ამოიწურებოდა. უცნობია, რა ჩაიდინა მან და

რის ჩადენას აპირებდა. არაფერი ვიცით და სხვებმაც არაფერი იციან. მას შეეძლო ვესტინგჰაუზის პრემია მიეღო, ჩვენ კი არაფერი გვცოდნოდა. რის დამტკიცება შეიძლება? ვფიქრობ, ბევრი არაფრის. რაკი მკითხეთ, გასაუხობთ: უარეს შემთხვევაში - შვიდიდან ათ წლამდე. მაგრამ დავუშვათ გაასამართლეს, როგორც არასრულწლოვანი. კანონი არასრულწლოვანთა შესახებ ითვალისწინებს პატიმრობას ორიდან სამ წლამდე. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი დანაშაულს აღიარებს, ზედა ზღვარი მკაცრადაა განსაზღვრული და მისი აწევის უფლება არავის აქვს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა როლი შეასრულა მკვლელობაში. შესაძლოა, სიტუაცია არც ისე საგანგაშო იყოს. თუ გამომძიებლებთან ითანამშრომლებს, შევძლებთ, სასჯელი, პრაქტიკულად, ნულამდე დავიყვანოთ“.

და სანამ რამდენიმე საათის წინ შვედი შეიტყობდა, რომ ორეგონის კომუნაში მერი თითქმის მთელ დროს ბომბების დამზადებას უთმობდა, სანამ მეტყველების დეფექტისგან განთავისუფლებული უამბობდა, რომ პასუხისმგებელი იყო არა ერთი ადამიანის შემთხვევით მკვლელობაზე, არამედ ოთხი ადამიანის სასტიკ მკვლელობაზე, შევიცის სიტყვები მცირეოდენ იმედს მაინც უტოვებდა. ეს ადამიანი ზღაპრებს როდი ჰყვებოდა. მისი ოფისში შესული კაცისთვის ეს მყისვე ნათელი ხდებოდა. შევიცი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთა მოწოდებასაც საკუთარი უპირატესობის მტკიცება წარმოადგენს. ბარიმ წინასწარ გაარკვია, რომ ადვოკატს ნუგემისცემა არ უყვარდა. შევიცმა იმიტომ არ თქვა, თუ მერი გამომძიებლებთან ითანამშრომლებს, შევძლებთ, სასჯელი, პრაქტიკულად, ნულამდე დავიყვანოთო, რომ შვედს სწორედ ამის გაგონება სურდა. მას შესაძლებლად მიაჩნდა სასამართლოს დარწმუნება იმაში, რომ მერიმ ასანთის ხმარებაც კი არ იცოდა.

ასე იყო დღევანდელი საღამოს ხუთ საათამდე.

ბარის ცოლი, მარშა, ნიუ-იორკში ლიტერატურას ასწავლიდა და, თვით შემწყნარებელი შვედის აზრითაც კი, „კერკეტი კაკალი“ იყო - საოცრად თავდაჯერებული, მებრძოლი ნონკონფორმისტი, რომლის სარკაზმი და აპოკალიფსური განცხადებებიც ამა ქვეყნის ძლიერთა სიმშვიდის დასარღვევად იყო განკუთვნილი. ყველაფერი, რასაც აკეთებდა ან ამბობდა, მის პოზიციას აამკარავებდა. თუ რამეს უმტკიცებდით, საკმარისი იყო მარშას ოდნავი შერხევა - ნერწყვის გადაყლაპვა, თითების ათამაშება სავარძლის სახელურზე ან, უბრალოდ, თავის

დაქნევა, ვითომდა სრული თანხმობის ნიშნად - რომ მიმხვდარიყავით: ყველაფერი, რასაც ამბობდით, სისულელე გახლდათ. თავისი შეხედულებების შესაბამისად, მარშა მოჩითული ქსოვილის ფართო ტუნიკებს იცვამდა. ზორბა ტანის ქალისთვის საკუთარი გარეგნობისადმი აგდებული დამოკიდებულება არა იმდენად პროტესტი იყო პირობითობების მიმართ, რამდენადაც - გარეგნული ნიშან-თვისება მოაზროვნე ადამიანისა, რომლისთვისაც მთავარია მხოლოდ არსი. არავითარი სულელური, ფართოდ გავრცელებული ჩვევები არ აშორებდა უმკაცრესი სიმართლისგან.

და მაინც, ბარის უყვარდა ცოლი. უფრო განსხვავებული ადამიანები ძნელად მოიძებნებოდნენ, ამიტომ, შესაძლოა, მათი კავშირი დაპირისპირებულთა ეგრეთ წოდებული ურთიერთმიზიდულობით იყო განპირობებული. ბარი სიკეთისა და სერიოზულობის განსახიერება გახლდათ. ეს უღატაკესი ბავშვი - მათ შორის, ვინც კი შვედს შეხვედრია - გულმოდგინებით, პატიოსნებითა და კეთილშობილებით გამოირჩეოდა. საიმედო კეტჩერი გახლდათ ბეისბოლში, კლასში კი - საუკეთესო მოსწავლე. ჯარში ვადიანი სამსახურის გავლის შემდეგ, ჯარისკაცებისთვის დაწესებული სტიპენდიით, ნიუ-იორკის უნივერსიტეტში მოხვედრა შეძლო. სწორედ იქ გაიცნო მარშა შვარცი და ცოლადაც შეირთო. შვედს არ ესმოდა, რატომ უგულვებელყო წარმოსადგემა, სასიამოვნო გარეგნობის მქონე ბარიმ ყველა ქალიშვილი და რატომ შეაჩერა არჩევანი მარშა შვარცზე, რომელსაც უკვე მაშინ, კოლეჯში, იმდენად ჰქონდა თავი გადატენილი იდეებით, რომ მის გვერდით შვედს ძილი ერეოდა ხოლმე. მაგრამ ბარის მოსწონდა მარშა - იჯდა და უსმენდა ხოლმე. როგორც ჩანს, სულაც არ ადარდებდა, რომ გოგონა ფეთხუმი იყო და მართალია, სტუდენტი გახლდათ, მაინც ბებრულად იცვამდა, სათვალის მძიმე მინებით არაბუნებრივად გადიდებული თვალები კი ციებცხელებიანივით უელვარებდა. დოუნის სრული ანტიპოდი იყო. მარშას, რა თქმა უნდა, შეეძლო აღეზარდა თავისნაირი რევოლუციონერი - დიახ, მერი ბავშვობიდანვე მარშას გვერდით რომ გაზრდილიყო... მაგრამ ის ხომ დოუნის გვერდით გაიზარდა, მშვენიერი, მოხდენილი დოუნის გვერდით, რომელსაც პოლიტიკა საერთოდ არ აინტერესებდა... რა იყო მიზეზი? რით უნდა აიხსნას ეს შეუსაბამობა? გენებმა ხომ არ დაუგეს ხაფანგი? პენტაგონისკენ მსვლელობისას, როდესაც ხალხი ვიეტნამის ომის შეწყვეტას მოითხოვდა, მარშა უმანოვი და კი-

დეგ ოციოდე ქალი პოლიციის ფურგონში შეყარეს, შემდეგ კი - რამაც ქალს უეჭველად სიამოვნება მიანიჭა - მთელი ღამით კოლუმბიის ოლქის ციხეში გამოკეტეს. ის დილამდე, განთავისუფლებამდე, ხმამაღლა გამოთქვამდა პროტესტს. მერი რომ მარშას შვილი ყოფილიყო, ყველაფერი გასაგები იქნებოდა. მერის რომ მონაწილეობა მიეღო სიტყვიერ პაექრობებში, მას, ამ ერთთავად მოლაყბე ქალის მსგავსად, სამყაროსთან საბრძოლველად მხოლოდ სიტყვები რომ გამოეყენებინა, მაშინ მისი ცხოვრების ისტორია მხოლოდ ბომბის აფეთქებით კი არ ამოიწურებოდა, არამედ სრულიად სხვა ისტორიად გადაიქცეოდა. მაგრამ ბომბი ჰქონდა. ბომბი. მთელი ეს იდიოტური ამბავი ბომბით დაიწყო.

ძნელად მისახვედრია, რატომ შეირთო ბარბი ეს ქალი ცოლად. შესაძლოა, მიზეზი მისი ოჯახის სიღარიბე იყო. ვინ იცის? მარშას აგრესიულობა, ქედმაღლობა, უსუფთაობა - ყველაფერი, რაც აუტანელი იყო შვედისთვის მეგობრობისას და სრულიად აუტანელი იქნებოდა, მისი საყვარელი რომ ყოფილიყო - ალბათ ცოლის მიმართ ბარბის ლტოლვას განსაზღვრავდა. გაუგებარია, რატომ იზიდავს ერთ გონიერ ადამიანს ის, რასაც სხვა, ასეთივე გონიერი ადამიანი ერთი საათიც კი ვერ აიტანს. მაგრამ რადგან ეს მართლაც გაუგებარი იყო, შვედი ყოველნაირად ცდილობდა დაემალა ზიზღი, შეერბილებინა დამოკიდებულება და აღექვა მარშა უმანოვი, უბრალოდ, უცნაურ წარმომადგენლად აკადემიური ინტელექტუალური წრეებისა, სადაც ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისების დამცველები ყოველთვის ეპაექრებიან ერთმანეთს, ხოლო თანამოსაუბრის პროვოცირება, როგორც ჩანს, საყოველთაო აღტაცებას იწვევს. ამ შეტაკებების არსს ვერ სწვდებოდა. ფიქრობდა, რომ გაცილებით ნაყოფიერი იქნებოდა სულიერად მომწიფება და ამ სტადიის დაძლევა. და მაინც, მისი აზრით, მარშას მულმივი მტრული გამოხტომები და დამცინავი გამოთქმები არ ნიშნავდა, რომ ქალს მოსწონდა ამგვარი გამოხტომები და დაცინვა. ხოლო როდესაც მიხვდა, რომ ეს მარშასთვის მანჰეტენზე ადაპტირების ერთადერთ ხერხს წარმოადგენდა, მის მიმართ ზიზღი გაუნელდა. თანაც, ვერ დაეჯერებინა, რომ ბარბი უმანოვი, რომელიც ოდესღაც მისთვის ღვიძლ ძმაზე უფრო ახლობელი იყო, ამ ამაზრუნ არსებაზე დაქორწინდებოდა. როგორც ყოველთვის, შვედის უუნარობამ, მოეძებნა კავშირი მიზეზსა და შედეგს შორის, მას (ლუ ლევოვის ინსტინქტური ეჭვიანობისგან განსხვავებით) ჩვეული შემწყნარებლობა და კეთილგანწყობა გა-

უღვიძა, ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, მარშა მიაკუთვნა „ძნელად ასატან“ ადამიანებს, უკიდურეს შემთხვევაში - იმათ, ვისზეც შეიძლება ითქვას, ანგელოზის ხასიათი სულაც არა აქვსო.

დოუნს სძულდა მარშა. სძულდა, რადგან იცოდა, რომ მარშასაც სძულდა იმის გამო, რომ შვედის ცოლს ოდესღაც „მის ნიუ-ჯერსის“ ტიტული მიანიჭეს. დოუნი ვერ იტანდა ადამიანებს, რომელთა აზრით, მთელი მისი ცხოვრების არსი ამ გამარჯვებაში მდგომარეობდა. მარშა კი განსაკუთრებით აუტანელი იყო, რადგან აშკარა სიამოვნებით ხსნიდა დოუნის ყველა საქციელს იმ ეპიზოდის საფუძველზე, რომელიც არ განმარტავდა უწინ - ახლა კი მით უმეტეს - მისი ხასიათის არსს. როდესაც ერთმანეთი გაიცნეს, დოუნმა დაწვრილებით უამბო უმანოვებს მამამისის ინფარქტის შესახებ, იმის შესახებ, რომ მისი ოჯახი უსახსროდ აღმოჩნდა და რომ კოლეჯის კარი, ალბათ, არასოდეს გაიღებოდა მისი ძმის წინაშე... მაგრამ ვერავითარმა განმარტებებმა ვერ აიძულა მარშა უმანოვი, აღარ დაეცინა „მის ნიუ-ჯერსისთვის“. არც ცდილობდა დაემალა, რომ დოუნს ლევოვს თავცარიელ ქალბატონად მიიჩნევდა; რომ, მისი აზრით, დოუნის საქმიანობა მესაქონლეობის სფეროში მხოლოდ საკუთარი თავის შესახებ საზოგადოებაში გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად გამიზნული ცრუაქტივობა იყო. დოუნის ყოველდღიურ თორმეტ-თოთხმეტსაათიან მუშაობას სერიოზულად კი არ აღიქვამდა, არამედ ჟურნალ „ლამაზი სახლი და ბალით“ შთაგონებულ კაპრიზად, რომლითაც მყრალი ნიუ-ჯერსიდან აქ გადმოსახლებული მდიდარი და უტვინო ქალი თავისუფალ დროს ერთობოდა. დოუნს კი მარშა სძულდა ლევოვების სიმდიდრისადმი, გემოვნებისა და სოფლურად ცხოვრებისადმი ხაზგასმულად ქედმაღლური დამოკიდებულების გამო. ეს იყო უსაზღვრო სიძულვილი, რადგან დოუნი დარწმუნებული გახლდათ: მარშას სულის სიღრმეში ახარებდა ის, რაც მერიმ ჩაიდინა.

მარშას გულში ყველაზე დიდი ადგილი ვიეტნამელებს ეკავათ - რა თქმა უნდა, ჩრდილოეთ ვიეტნამის მკვიდრთ. მას არასოდეს შეუბრძობია პოლიტიკური პრინციპები და არ განელება საერთაშორისო მოვლენებისადმი მგზნებარე ინტერესი, მაშინაც კი, როდესაც მისი ქმრის ძველი მეგობრის ოჯახში უბედურება მოხდა. სწორედ ამან გაუჩინა დოუნს ეჭვი, რომელიც, შვედის აზრით, სრულიად უსაფუძ-

ვლო იყო, რადგან მართალია, ბოლომდე არ სწამდა მარშას კეთილშობილებისა, იცოდა, რომ ბარი დიდსულოვანი კაცი იყო.

- სახლში არ შემოვუშვებ! ლორიც კი უფრო კეთილია, ვიდრე ეს ქალი! სულაც არ მაინტერესებს, რამდენი დიპლომი აქვს. არაფერი იცის და ვერაფერს ხედავს. არასოდეს მინახავს ასეთი ბრმა, ეგოისტი, გონებაშეზღუდული და აბეზარი ეგრეთ წოდებული ინტელექტუალი. ჩემს სახლში არ დავინახო!

- კარგი, მაგრამ როგორ ვთხოვო ბარის, მარტო მოვიდეს ხოლმე ჩვენთან?

- თუ ასეა, ბარიც ნულარ მოვა.

- ბარიმ აქ უნდა იაროს. მინდა, რომ იაროს. ბარის აქ ყოფნა მამაჩემისთვის მნიშვნელოვანია. დარწმუნებულია, რომ ბარი მოვა. და გაიხსენე, დოუნ - სწორედ ბარიმ მიმიყვანა შევიცთან.

- კი მაგრამ, ამ ქალმა მერი თავისთან დამალა. არ გახსოვს? სწორედ მათთან მივიდა. ნიუ-იორკში - მათთან! მათ შეიფარეს! ვილაცას ხომ უნდა შეეფარებინა. მის სახლში ნამდვილი ტერორისტი იმალებოდა და ეს მოსწონდა. ჩვენ დაგვიმალა. მერი მშობლებს მაშინ დაუმალა, როდესაც მშობლები ყველაზე მეტად სჭირდებოდა. მარშა უმანოვმა გაგზავნა იატაკქვეშეთში.

- მერის არც ადრე სურდა მათთან ღამის გათევა, მხოლოდ ორჯერ დარჩა ბარისთან. დიახ. მესამედ მათთან არ გამოჩენილა. ალბათ, არ გახსოვს. სადღაც სხვაგან მივიდა და უმანოვებთან მეტად აღარ გამოჩენილა.

- სეიმურ, ყველაფერი მარშამ მოაწყო. სხვას ვის ჰყავს ამდენი ნაცნობი? რამდენ მღვდელს იცნობს! იმათ, ვინც სისხლით სვრის ახალწვეულთა სიებს. ისეთი ახლო ურთიერთობა აკავშირებს ომის მოწინააღმდეგე მღვდლებთან, ისეთი განუყრელი მეგობრები არიან... მაგრამ საქმეც ისაა, რომ ისინი მღვდლები არ არიან, სეიმურ! მღვდლები პროტესტანტულად განწყობილი ლიბერალები როდი არიან. სხვა შემთხვევაში, მღვდლებად არ ეკურთხებოდნენ. მღვდლები ასე არ უნდა მოიქცნენ, ისევე, როგორც არ უნდა შეწყვიტონ ლოცვა იმ ბიჭებისთვის, რომლებიც ოკეანის გაღმა გაგზავნეს. მარშას ეს მღვდლები იმიტომ მოსწონს, რომ ისინი მღვდლები არ არიან. იმიტომ კი არ უყვარს ისინი, რომ ეს მღვდლები ეკლესიას ემსახურებიან, არამედ იმიტომ, რომ, მარშას აზრით, ეკლესიის ღირსებას ბღალავენ. არაეკლესიურად იქცევიან,

იმას სჩადიან, რაც მღვდლის მოვალეობებს სცილდება. აღფრთოვანებულია, რომ ეს მღვდლები შეურაცხყოფენ იმ ფასეულობებს, რომლებზეც მე გავიზარდე. აი, რა ხიბლავს იმ გასიებულ ძუკნას. მძულს! მეზიზღება!

- კარგი. ყველაფერი გასაგებია. გძულდეს, თუ ასე გინდა. მაგრამ იმის გამო - არა, რაც არ ჩაუდენია. ეს არ ჩაუდენია, დოუნ. ნუ გაგიჟდები იმის გამო, რაც არ მომხდარა.

მართლა არ მომხდარა. მარშას მერი არ დაუმაღლავს. მარშა მხოლოდ ლაპარაკობდა, ყოველთვის მხოლოდ ლაპარაკობდა: უაზროდ ტლიკინებდა, ტრაბახობდა, ისროდა სიტყვებს, რომელთა ერთადერთი მიზანიც სკანდალურობა იყო. ეს უთავბოლო, აგრესიული სიტყვები არაფერს ამტკიცებდა, მხოლოდ მარშას ინტელექტუალურ პრეტენზიებსა და იმ რწმენაზე მიუთითებდა, თითქოს ასეთი უაზრო ქცევით თავისი შეხედულებების თვითმყოფობას აჩვენებდა. მერი შეიფარა მორისტაუნელმა ფსიქოთერაპევტმა, შეილა ზალცმანმა - ლამაზმა, თავაზიანმა, წყნარად მოსაუბრე ახალგაზრდა ქალმა, რომელმაც გარკვეული ხნის განმავლობაში მერის უდიდესი იმედი და ნდობა ჩაუნერგა, ბევრი რამ ასწავლა, შესთავაზა „სტრატეგიები“, რომელთა მეშვეობითაც შეიძლებოდა მეტყველების დეფექტის დაძლევა, და ბოლოს, ოდრი ჰეპბერნს შეენაცვლა და მერის კერპად იქცა. იმ თვეების განმავლობაში, როდესაც დოუნი დამამშვიდებელ წამლებს სვამდა და დროდადრო საავადმყოფოში წვებოდა; იმ თვეების განმავლობაში, როდესაც შეილამ და შვედმა უეცრად უგულბებლყვეს პასუხისმგებლობა, როგორც მათი ცხოვრების საფუძველი; იმ თვეების განმავლობაში, როდესაც ამ მოწესრიგებულ და მაღალზნეობრივ ადამიანებს ჯერ კიდევ არ შეეძლოთ მორეოდნენ იმას, რაც საფრთხეს უქმნიდა მათთვის ასე ძვირფას სტაბილურობას, შეილა ზალცმანი შვედის საყვარელი იყო - მისი პირველი და უკანასკნელი საყვარელი.

საყვარელი. შვედისთვის ყველაზე შეუსაბამო შენაძენი - შეუფერებელი, წარმოუდგენელი, სასაცილოც კი. „საყვარელს“ ადგილი არ მოეძებნებოდა შვედის უზადო ცხოვრებაში - და მაინც, მერის გაუჩინარების შემდეგ, ოთხი თვის განმავლობაში, შეილა სწორედ მისი საყვარელი იყო.

ვანშობისას საუბრობდნენ უოტერგეიტისა და „უძირო ხახის“ შესახებ. შვედის მშობლებისა და ორკატების გარდა, ყველას ენახა საყო-

ველთაო ჩვენებისთვის აკრძალული ეს ფილმი, რომელშიც მთავარ როლს ახალგაზრდა პორნოვარსკვლავი, ლინდა ლავლეისი ასრულებდა. კინოსურათს აჩვენებდნენ უკვე არა მარტო მოზრდილთათვის განკუთვნილ კინოთეატრებში, არამედ ჩვეულებრივ კინოთეატრებშიც, მთელ ნიუ-ჯერსიში.

- ყველაზე მეტად ის მაკვირვებს, - შენიშნა შელი ზალცმანმა, - რომ ორალური სექსის დეტალურად ამსახველი ფილმის სანახავად კინოთეატრებს მიაწყდა სწორედ ის ელექტორატი, რომელიც „მაღალზნეობრივი“ რესპუბლიკელი პოლიტიკოსებისგან შერჩეულ პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს აძლევს ხმას.

- შეიძლება, ფილმის სანახავად ისინი კი არა, სხვები დადიან, - თქვა დოუნმა.

- მაკგოვერნის მომხრეები დადიან? - ჰკითხა მას მარშამ.

- თუ ამ მაგიდასთან მსხდომთ გულისხმობთ, მაშინ არ ცდებით, - მიუგო დოუნმა, რომელიც ვანშმის დაწყებიდანვე ძლივს იკავებდა ბრაზს ამ ქალის აუტანელი ქცევის გამო.

- ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რა აკავშირებს ასეთ განსხვავებულ მოვლენებს, - განაცხადა შვედის მამამ. - გარდა ამისა, არ მესმის, რატომ ხარჯავთ ფულს ამ სისაძაგლის სანახავად. ხომ სისაძაგლეა, მრჩეველო? - მიმართა ლუმ ბარის, იმ იმედით, რომ ეს უკანასკნელი მხარს დაუჭერდა.

- შეიძლება ითქვას, სისულელეა, - მიუგო ბარიმ.

- მაშინ რატომ შემოუშვით თქვენს ცხოვრებაში?

- ის თვითონ შემოდის, და არ გვეკითხება, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, მისტერ ლევოვ, - მიუგო ბილ ორკატმა მხიარულად. - ყველაფერი, რაც არსებობს ამქვეყნად, ჩვენს ცხოვრებაში იჭრება. სამყარო კი მნიშვნელოვნად შეიცვალა - თუკი ამის შესახებ არ გსმენიათ.

- როგორ არ მსმენია. მე ხომ განსვენებული ნიუარკიდან ვარ. მეტი მსმენია, ვიდრე მინდოდა მსმენოდა. შეხეთ: თავდაპირველად ქალაქს ირლანდიელები დაეპატრონენ, შემდეგ - იტალიელები, ახლა - ფერადკანიანები. ეს ჩემი საქმე არაა. ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ფერადკანიანები თავიანთ ჯერს უცდიდნენ, ხელი რომ მოეთბოთ. გუშინ კი არ დავბადებულვარ. კორუფცია - ნიუარკში თამაშის სახელწოდებაა. ახალი პრობლემა, პირველ ყოვლისა, რასის პრობლემაა. ასევე, გადასახადები. დაუმატეთ ამას კორუფცია - აი, რა არის პრობლემა.

შვიდი დოლარი და სამოცდაჩვიდმეტი ცენტი. ნიუარკში ასეთი საგა-
დასახადო ტარიფია. განურჩევლად იმისა, მდიდარი ხართ თუ ღარიბი.
გეუბნებით: ამგვარი გადასახადების პირობებში ბიზნესს ვერ შეინარ-
ჩუნებთ. „ჯენერალ ელექტრიკმა“ 1953 წელს დატოვა ქალაქი. „ჯენე-
რალ ელექტრიკი“, „უესტინგჰაუსი“, „ბრაიერსი“ რაიმონდის ბულვარი-
დან, „ცელულოიდი“ - ყველანი წავიდნენ. მსხვილი მეწარმეები ჯერ
კიდევ არეულობებამდე, რასობრივი სიძულვილის გაჩენამდე წავიდნენ.
რასობრივი პრობლემები უკანასკნელი შტრიხია. ქუჩებს არ ასუფთავე-
ბენ. დამწვარი ავტომანქანები არ გააქვთ. მიტოვებულ შენობებში
ხალხი უკანონოდ სახლდება. მათში ხანძრები ჩნდება. უმუშევრობა.
სიბინძურე. სილატაკე. სიბინძურე იმატებს. სილატაკე იმატებს. სკოლე-
ბი დახურულია. სკოლებში საშინელება ხდება. ყოველი ქუჩის კუთხეში
უსაქმური მოზარდები დგანან. ნარკოტიკებით ვაჭრობენ. ათას სახი-
ფათო საქმეში ერევიან. დარეგულირების პროექტები? ამაზე ნურა-
ფერს მეტყვით. პოლიციას ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია. მოსახლეობა-
ში უამრავი დაავადებაა გავრცელებული. „სეიმურ, დროა, აქედან წახ-
ვიდე, - ვუთხარი ჩემს შვილს 1964 წლის ზაფხულში, - გესმის? წადი!“
მაგრამ არ დამიჯერა. პატერსონი, ელიზაბეთი, ჯერსი-სიტი გაკოტრე-
ბის პირას არიან. ბრმა უნდა იყო, რომ ვერ მიხვდეს, რა მოჰყვება ამას.
სეიმურს ვუთხარი, ახლა ჯერი ნიუარკზეა-მეთქი. „პირველს გეუბნები
ამას, - ვეჩიჩინებოდი, - ყველაფერი 1967 წლის ზაფხულში მოხდება.“
სწორედ ამას ვწინასწარმეტყველებდი. ხომ ასეა, სეიმურ? თითქმის
დღეც კი გამოვიცანი.

- სწორია, - დაუდასტურა შვედმა.

- ნიუარკში მთელი წარმოება განადგურდა. ნიუარკის საქმე წასუ-
ლია. ვაშინგტონში, ლოს-ანჯელესში, დეტროიტში მასობრივი გამოს-
ვლები კიდევ უფრო მრავლად იყო. მაგრამ დაიმახსოვრეთ: ეს ქალაქი
ვერასოდეს აღდგება. ვერ შეძლებს. ხელთათმანები ამერიკაში? კაპუტ
- ბოლო მოელო. მხოლოდ ჩემი შვილი ჯიუტობს. ხუთი წლის შემდეგ,
სახელმწიფო დაკვეთების გარდა, ამერიკაში არც ერთ წყვილ ხელთათ-
მანს არ შეკერავენ. არც პუერტო-რიკოში. მარიფათიანი ბიჭები უკვე
ფილიპინებს მიადგნენ. შემდეგ ინდოეთის, ინდონეზიის, პაკისტანის,
ბანგლადეშის ჯერი დადგება. ამერიკის გარდა, მსოფლიოს ყველა
კუთხეში შეკერავენ ხელთათმანებს. თანაც, მხოლოდ პროფკავშირებმა
როდი მოგვიღეს ბოლო. რა თქმა უნდა, კარგად არც ესმოდათ, რას სჩა-

დიოდნენ, მაგრამ მეწარმეებსაც არ ესმოდათ. „იმ მამაძაღლებს საათში ხუთი ცენტით მეტს არ გადავუხდი!“ - და აი, ისინი უკვე „კადილაკებში“ სხედან, ზამთარს კი ფლორიდაში ატარებენ. დიახ, არც ისე ბევრ მეწარმეს შესწევს საღად მსჯელობის უნარი. პროფკავშირები კი არ ითვალისწინებდნენ უცხოურ კონკურენციას, მკაცრ მოთხოვნებს გვიყენებდნენ, შემოსავლიანობას აქვეითებდნენ და შედეგად - რაშიც ეჭვი არ მეპარება - დააჩქარეს ხელთათმანების მრეწველობის გატანა საზღვარგარეთ. პროფკავშირების მიერ ფასების მომატების მოთხოვნამ აიძულა ყველა, ბიზნესი ქვეყნიდან გაეტანა. ოცდაათიან წლებში მძლავრ კონკურენციას გვიწევდნენ ჩეხოსლოვაკია, ავსტრია, იტალია. შემდეგ დაიწყო ომი და ამან გადაგვარჩინა. სამთავრობო დაკვეთები. საინტენდანტო სამმართველომ სამოცდაჩვიდმეტი მილიონი წყვილი ხელთათმანი შეისყიდა, ხელთათმანების მწარმოებლები გამდიდრდნენ. მაგრამ როდესაც ომი დამთავრდა, მაშინვე - თუმცა ბიზნესს თითქოს არა უჭირდა - წარმოების თანდათანობითი დაცემის პროცესი დაიწყო. ის უცხოეთთან კონკურენციის შეუძლებლობამ განაპირობა. ჩვენ თვითონვე დავაჩქარეთ ჩვენი დაცემა ორივე მხარის - მეწარმეებისა და მუშების - უგუნური მოქმედებების გამოისობით. მაგრამ ბიზნესის გადარჩენა ყველა შემთხვევაში შეუძლებელი იყო. ერთადერთი, რაც გადაარჩენდა - თუმცა ამის მომხრე არა ვარ: არა მგონია, რომ შესაძლებელია მსოფლიო ვაჭრობის შეჩერება, ვერ ვიტყვი, რომ ასე უნდა მოვქცეულიყავით - საბაჟო ბარიერები იყო, ბაჟის გაზრდა ხუთიდან ოცდაათ ან ორმოც პროცენტამდეც კი...

- ლუ, - უთხრა ცოლმა, - რა შუაშია ეს ყველაფერი, როდესაც ფილმის შესახებ ვმსჯელობთ?

- ფილმის შესახებ? ამ წყეული ფილმების შესახებ? ჰო, რა თქმა უნდა, მათში ახალი არაფერია. გახსოვს, დიდი ხნის წინ ბანქოს სათამაშო კლუბი გვქონდა. იქ ერთი ტიპი იყო, ელექტრობასთან დაკავშირებული ბიზნესი ჰქონდა. სეიმურ, გახსოვს ეიბ საქსი?

- რა თქმა უნდა, - მიუგო შვედმა.

- არ მსიამოვნებს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ სახლში ასეთი ფილმები ჰქონდა. უამრავი ფილმი. მალბერი-სტრიტზე, ბავშვებთან ერთად ჩინური კერძების გასასინჯად რომ დავდიოდით, იყო ბარი, სადაც სპირტიანი სასმელებით ვაჭრობდნენ და ნებისმიერი ამგვარი ბინძური ფილმის შექენა შეიძლებოდა. და იცი, რას გეტყვი? ხუთი წუთი ვუყუ-

რე და სამზარეულოში დავბრუნდი. ასევე მოიქცა, მისდა სასახელოდ, ჩემი ახლო მეგობარი, რომელიც ახლა ცოცხალი აღარაა, შესანიშნავი ბიჭი იყო, ხელთათმანების გამომჭრელი - მეხსიერება მლალატობს, აღარ მახსოვს, რა ერქვა...

- ელ ჰაბერმანი, - გაიხსენა ცოლმა.

- სწორია. მთელი საათი ვისხედით და ჯინს ვთამაშობდით ხოლმე, სანამ სასტუმრო ოთახში გნიასი იდგა ფილმის კადრების გამო. უფრო კმაყოფილი არასოდეს ვყოფილვარ. ოცდაათი თუ ორმოცი წელი გავიდა და ჯერ კიდევ მახსოვს, როგორ ვიჯექი და ვეთამაშებოდი ბანქოს ელ ჰაბერმანს, სანამ დანარჩენები სასტუმრო ოთახში იდიოტებივით იდობლებოდნენ.

ახლა ლუ ამ ყველაფერს ორკატს უამბობდა, მხოლოდ მას მიმართავდა. მიუხედავად იმისა, რომ გვერდით მთვრალი ქალი ეჯდა, მიუხედავად ებრაელთა ურყევი რწმენისა, მაღალი წრის გოებს შორის გარყვნილება მას, არსებითად, წარმოუდგენელი ეგონა. მაშასადამე, ორკატს უფრო მეტად უნდა თანაგრძნო უხამსობაზე თავდასხმისთვის, ვიდრე - დანარჩენებს. ისეთებმა, როგორიც ორკატია, უნდა გააკონტროლონ სხვები. განა ასე არაა? მათ დაიპყრეს ამერიკის ტერიტორია, ხომ მართალია? მათ დაადგინეს კანონები, რომლებსაც უფრო გვიან მოსულნი დაემორჩილნენ. ორკატი უნდა აღაფრთოვანოს იმან, რომ ლუ სამზარეულოში გამოვიდა და მშვიდად თამაშობდა ჯინს, სანამ სიკეთემ არ გაიმარჯვა ბოროტებაზე და ბინძური ფილმი კვამლად არ იქცა შორეული 1935 წლის ჰაერში.

- სამწუხაროდ, მისტერ ლევოვ, ამ პროცესს ბანქოს თამაშით უკვე ვეღარ შეაჩერებ, - შეეპასუხა ორკატი, - ზემოქმედების ამ ხერხმა ძალა დაკარგა.

- რას ვერ შეაჩერებ? - ჰკითხა ლუ ლევოვმა.

- იმას, რაზეც ლაპარაკობთ. იმას, რომ ყველაფერი დაშვებულია. გადახრებს, რომლებიც იდეოლოგიად იქცა; მუდმივ პროტესტს. იყო დრო, როდესაც შეგეძლოთ, უბრალოდ, განზე გამდგარიყავით და ამით გამოგენატათ თქვენი პოზიცია. როგორც აღნიშნეთ, ბანქოს თამაშით უკვე თქვენს პოზიციას გამოხატავდა. მაგრამ ამჟამად სულ უფრო ძნელდება გამოსავლის პოვნა. აბსურდმა გამოდევნა ყველაფერი, რაც კი ადამიანებისთვის ძვირფასი იყო ამ ქვეყანაში. ზნეობის წესების

დაცვა ახლა სათაკილოა, ისევე, როგორც ოდესღაც სათაკილო იყო უზნეობა.

- მართალია, მართალი. მაგრამ ნება მომეცით, გიამბოთ ელ ჰაბერმანზე. თქვენ გინდათ ილაპარაკოთ ქცევის ძველი ყაიდის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ ვლინდებოდა ის. მოდით, ელზე ვისაუბროთ. შესანიშნავი ყმაწვილი იყო, მშვენიერი გარეგნობა ჰქონდა. ხელთათმანების გამოჭრით გამდიდრდა. იმხანად ეს შესაძლებელი იყო. პატივმოყვარე ცოლ-ქმარს შეეძლო ეშოვა რამდენიმე ტყავი და მათგან ხელთათმანები შეეკერა. იქნდნენ პატარა სახელოსნოს და ქირაობდნენ ორ გამომჭრელსა და ორ მკერავ ქალს. იცოდნენ, როგორ უნდა შეეკერათ, დაეუთოებინათ და გაეყიდათ ხელთათმანები. ეს საქმიანობა შემოსავლიანი იყო, არავის ექვემდებარებოდნენ და კვირაში სამოც საათს მუშაობდნენ. მაშინ, იმ ძველ დროში, როდესაც ჰენრი ფორდი არნახულ თანხას - დღეში ერთ დოლარს იხდიდა, დახელოვნებული გამომჭრელი დღეში ხუთ დოლარს შოულობდა. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ იმხანად თითქმის ნებისმიერ ქალს ოცი-ოცდახუთი წყვილი ხელთათმანი ჰქონდა. ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ყოველი კაბისტვის ახალ ხელთათმანებს იქნდნენ - სხვადასხვა ფერისას, სხვადასხვა მოდელისას, სხვადასხვა სიგრძისას. შედეგად, ხელთათმანების შესანახად ცალკე კარადა სჭირდებოდათ. ნებისმიერ ამინდში ქალი ხელთათმანების გარეშე შინიდან არ გადიოდა. იმ დროს ხშირად ნახავდით, როგორ ირჩევდა ქალი მაღაზიის დახლთან ხელთათმანებს ორი-სამი საათის განმავლობაში: რიგრიგობით იზომებდა ოცდაათ წყვილს, ხოლო გამყიდველი, სანამ ახალ ფერს შესთავაზებდა, ყოველ ჯერზე დახლის უკან, ნიჟარაში, ხელებს იბანდა. ქალის თხელი ხელთათმანების ზომა ოთხიდან რვა-ნახევრამდე იყო. ყოველი ზომა მეოთხედებად იყოფოდა. ხელთათმანების გამოჭრა საოცარი ხელობაა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი იყო. ახლა ყველაფერზე უნდა თქვა: „იყო“. ელისნაირ გამომჭრელებს ყოველთვის ქათქათა პერანგები ეცვათ და ჰალსტუხები ეკეთათ. მაშინ ყველა ასე იქცეოდა. და შეგეძლოთ გემუშავათ სამოცდათხუთმეტი წლისა და ოთხმოცი წლის ასაკშიც. ზოგიერთი, ელის მსგავსად, თხუთმეტი წლის ასაკში ან უფრო ადრეც იწყებდა მუშაობას და ოთხმოც წლამდე მუშაობდა. სამოცდაათი წელი ახალგაზრდულ ასაკად ითვლებოდა. გარდა ამისა, შეეძლოთ ემუშავათ უქმე დღეებშიც: შაბათსა და კვირას. შეეძლოთ გამუდმებით ემუშავათ. ამის მემკვიდრით

შვილებს განათლებას აძლევდნენ, ლამაზ სახლებს ყიდულობდნენ. ელს, მაგალითად, შეეძლო, ტყავის ნაჭერი აელო და ეთქვა: „რა ზომის ხელთათმანი გამოვჭრა, ლუ, რვა თუ ცხრა ნომერი?“ - და იქვე, სახაზავის გარეშე, თვალის ზომით ჭრიდა. გამომჭრელი პრიმადონად მიაჩნდათ. მაგრამ პროფესიით სიამაყე წარსულს ჩაბარდა. მათგან, ვინც საგამომჭრელო მაგიდაზე მუშაობდა და შეეძლო ხელის ერთი მოძრაობით გამოეჭრა თექვსმეტლილიანი ხელთათმანი, ელ ჰაბერმანი, ჩემი აზრით, მთელ ამერიკაში უკანასკნელი იყო. საერთოდაც, გრძელ ხელთათმანებს აღარავინ ატარებს. ესეც - კიდევ ერთი „იყო“. ერთხანს მოდაში შემოვიდა რვალილიანი აბრეშუმის ხელთათმანები, მაგრამ 1965 წლისთვის ესეც დამთავრდა. გრძელ ხელთათმანებს ზედმეტ სიგრძეს ვაჭრით და მოკლე ხელთათმანებად ვაქცევთ, მოჭრილი მანქეტებისგან კი ახალ ხელთათმანებს ვკერავთ. უწინ ცერის ძირიდან ზემოთ ნაწიბურს ყოველ დუიმზე ღილი ჰქონდა, ამიტომ ხელთათმანების სიგრძეს ახლაც ღილების რაოდენობით განვსაზღვრავთ. ღვთის წყალობით, 60-იან წლებში ჯეკი კენედიმ შემოიღო მოკლე ხელთათმანები - მაჯამდე, ასევე - გრძელი ხელთათმანები, იდაყვამდე და უფრო გრძელიც, და - პატარა ქუდები. ხელთათმანები კვლავ შემოვიდა მოდაში. ხელთათმანების ინდუსტრიის პირველი ლედი გახლდათ. ექვსნახევარი ზომის ხელთათმანებს ატარებდა. ხელთათმანების წარმოებაში ჩართული ყველა ადამიანი მასზე ლოცულობდა. თვითონ ყველაფერს პარიზში ყიდულობდა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა?! მისი წყალობით, ქალთა ტყავის ხელთათმანები ხმარებაში შემოვიდა. მაგრამ როდესაც კენედი მოკლეს და ჟაკლინმა თეთრი სახლი დატოვა, ამან და ასევე, მოდაში შემოსულმა მოკლე კაბებმა ბოლო მოუღეს ქალთა ელეგანტურ ხელთათმანებს. ჯონ კენედის მკვლელობამ და მოკლე კაბებმა გამოუსწორებელი ზარალი მიაყენეს ქალთა ხელთათმანებს. მანამდე ქალებს ხელთათმანები მთელი წლის განმავლობაში სჭირდებოდათ. უწინ ქალი ქუჩაში არასოდეს გამოდიოდა ხელთათმანების გარეშე, განურჩევლად იმისა, გაზაფხული იდგა თუ ზაფხული. ახლა ხელთათმანებს მხოლოდ მაშინ იცვამენ, როდესაც ცივა, როდესაც მოტოციკლზე სხდებიან, ან სპორტული...

- ლუ, - უთხრა ცოლმა, - არავინ საუბრობს...

- თუ შეიძლება, დამამთავრებინე. ნუ მაწყვეტინებ. ელ ჰაბერმანს ძალიან უყვარდა კითხვა. სკოლაში არასოდეს უსწავლია, მაგრამ თავ-

გადაკლული მკითხველი იყო. მისი საყვარელი მწერალი სერ უოლტერ სკოტი გახლდათ. თავის ერთ-ერთ კლასიკურ წიგნში სერ უოლტერ სკოტი აღწერს კამათს ხარაზსა და მეხელთათმანეს შორის იმის თაობაზე, ვინ უკეთესი ოსტატია. კამათში მეხელთათმანე იმარჯვებს. იცით, რას ამბობს? „შენ მხოლოდ ტერფებს მოსავ, - ეუბნება ის ხარაზს, - თითებზე ზრუნვა არ გიხდება“. სერ უოლტერ სკოტი მეხელთათმანის ვაჟი იყო და გასაკვირი არ არის, რომ კამათისთვის ამგვარი არგუმენტი მოიშველია. არ იცოდით, რომ სერ უოლტერ სკოტი მეხელთათმანის ვაჟი იყო? იცით, კიდევ ვინ იყო მეხელთათმანის ვაჟი, სერ უოლტერისა და ჩემი შვილების გარდა? უილიამ შექსპირი. მამამისი მეხელთათმანე იყო და წერა-კითხვა არ იცოდა. იცით, რას ეუბნება რომეო აივანზე მდგარ ჯულიეტას? ყველას ახსოვს: „რომეო, რომეო, სად ხარ, რომეო?“ ამას ჯულიეტა ამბობს. მაგრამ რას ამბობს რომეო? ცამეტი წლიდან მთრიმლაგად ვმუშაობდი, ეს ყველაფერი ჩემი ძვირფასი გარდაცვლილი მეგობრის, ელ ჰაბერმანის წყალობით ვიცი. სამოცდაცამეტი წლისა შინიდან გავიდა, ფეხი დაუცდა, დაეცა და კისერი მოიტეხა. საშინელებაა. მან მიაბო ეს. რომეო ამბობს: „როგორ ეკვრის ლოყით თავის ხელს... რას არ მივცემდი, რომ ხელთათმანი ვიყო და ამ ლოყას მივეკრო!“ შექსპირი. ყველაზე სახელგანთქმული მწერალი.

- ლუ, ჩემო კარგო, - კვლავ ალერსიანად უთხრა სილვია ლევოვმა, - რა კავშირი აქვს ამ ყველაფერს ჩვენი საუბრის თემასთან?

- თავი დამანებე! - შეუტია გაღიზიანებულმა ლუმ და ხელი ისე აიქნია, თითქოს ცოლის პროტესტი მოიშორაო. - რაც შეეხება მისტერ მაკგოვერნს, ჩემთვის გაუგებარია, რა კავშირი აქვს მაკგოვერნს ამ ბინძურ ფილმთან? მაკგოვერნს ხმა მივეცი. აგიტაციას ვუწევდი ჩემს კონდომინიუმში. რომ იცოდეთ, რა არ გავიგონე ებრაელებისგან - ნიქსონმა ისრაელის სასარგებლოდ რამდენი რამ გააკეთაო, მაგრამ შევახსენე - თუკი დავიწყებული ჰქონდათ - რომ ჰარი ტრუმენმა 1948 წელს ის თალლითობაში გამოიჭირა. მერედა, რა მოსავალი მოიწიეს ჩემმა ძვირფასმა მეგობრებმა, რომლებმაც ხმა მისცეს მისტერ ფონ ნიქსონსა და მის ჯარისკაცებს? მე გეტყვით, ვინ დადის ამ ფილმების სანახავად: ნაძირალები, მაწანწალები და ბავშვები, რომლებსაც უფროსები ყურადღებას არ აქცევენ. რატომ წაიყვანა ჩემმა ვაჟმა თავისი მშვენიერი ცოლი ამ ფილმის სანახავად, სიკვდილამდე ვერ გავიგებ.

- იმისთვის, რომ ენახა, როგორ ცხოვრობს საზოგადოების მეორე ნახევარი, - შენიშნა მარშამ.
- ჩემი რძალი ლედია. ასეთი რამეები არ აინტერესებს.
- ლუ, - მიმართა ცოლმა, - შეიძლება ყველა არ იზიარებს შენს აზრებს.
- ვერ დავიჯერებ. კეთილგონიერი და განათლებული ადამიანები არიან.
- კეთილგონიერების როლს აზვიადებთ, - დასცინა მარშამ. - ის ვერ დაძლევს ადამიანის ბუნებას.
- ამ ფილმებში ადამიანის ბუნებაა ასახული? მითხარით, რას ეტყვით ბავშვებს, როცა ისინი „უძირო ხახის“ შესახებ გკითხავენ? რომ ის კარგი და საინტერესოა?
- არაფრის თქმა არ დამჭირდება, - მიუგო მარშამ. - არაფერს მკითხავენ. ჩვენს დროში ბავშვები ასე არ იქცევიან.
- ლუ ყველაზე მეტად იმან გააოცა, რომ რაც „ჩვენს დროში“ ხდებოდა, როგორც ჩანს, სულაც არ აწუხებდა მარშას, ებრაელ პროფესორს, რომელსაც შვილები ჰყავდა.
- არა მგონია, რომ ბავშვებმა ამ ფილმს უყურონ, - ჩაერია შელი ზალცმანი, რომელსაც სურდა, უაზრო დიალოგი შეეწყვიტა და შვედის მამა დაემოშმინებინა, - მოზარდები კი უყურებენ.
- მერე, დოქტორო ზალცმან, მოგწონთ ეს?
- ამ სიტყვებზე შელის უნებურად გაეღიმა. ლუ ლევოვი, ხანგრძლივი ნაცნობობის მიუხედავად, მას ყოველთვის „დოქტორ ზალცმანს“ უწოდებდა. ფერმკრთალ, ჩასუქებულ, მრგვალმხრებიან შელის ზოლიანი საზაფხულო კოსტიუმი ეცვა და პეპელა-ჰალსტუხი ეკეთა. სამუშაოთი უკიდურესად დატვირთული ოჯახის ექიმი იყო. ყოველთვის თბილი, ალერსიანი ხმით ლაპარაკობდა. სიფერმკრთალე, სიმსუქნე, ძველმოდური, ფოლადისჩარჩოიანი სათვალე, მელოტი თავი და ჭალარა თმის კულულები ყურებთან - მთელი ეს ბუნებრივი ულაზათობა აიძულებდა შვედს, თავი განსაკუთრებით დამნაშავედ ეგრძნო იმ თვეების განმავლობაში, სანამ შეილა ზალცმანი მისი საყვარელი იყო... და მაინც, სწორედ ამ სანდომიანმა დოქტორმა ზალცმანმა შეიფარა მერი თავის სახლში, დაუძალა არა მარტო გამოძიების ფედერალურ ბიუროს, არამედ მამასაც, რომელიც მერის ასე სჭირდებოდა.

„მე კი მრცხვენოდა ჩემი საიდუმლოს გამო“, - ფიქრობდა შვედი და უსმენდა, როგორ უხსნიდა შელი შვედის მამას:

- ჩემი მოწონება ან არმოწონება არავითარ ზეგავლენას არ ახდენს იმაზე, ნახავენ თუ არა ისინი ამ ფილმს.

როდესაც დოუნმა პირველად ახსენა სახის კანის აჭიმვა ჟენევის კლინიკაში, რომლის შესახებაც ჟურნალ „ვოგში“ ამოიკითხა, შვედი ფარულად დაუკავშირდა შელი ზალცმანს და ოფისში მიაკითხა. ის პატივს სცემდა საკუთარი ოჯახის ექიმს, ყურადღებიან, მცოდნე ხანდაზმულ კაცს, რომელიც კონსულტაციას გაუწევდა, ყველა კითხვაზე პასუხს გასცემდა და, შვედის ხათრით, შეეცდებოდა, დოუნისთვის უარი ეთქმევინებინა ამ ოპერაციაზე. შელის დაურეკა და შეხვედრა სთხოვა, რათა ოჯახში წარმოქმნილი პრობლემის შესახებ მოთათბირებოდა. მხოლოდ ოფისში მიხვდა მოსვლის მიზეზს: სურდა ელიარებინა - ოთხი წლის შემდეგ - რომ მერის გაუჩინარების შემდეგ სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა შეილასთან. როდესაც შელიმ ღიმილით ჰკითხა, რით შემიძლია დაგეხმაროო, შვედმა ძლივს შეიკავა თავი, რომ პატიება არ ეთხოვა. შემდეგ, საუბრის დროს, განუწყვეტლივ იკავებდა თავს, რომ ყველაფერი არ ეამბა, არ ეთქვა: „აქ იმისთვის კი არ მოვედი, რომ სახის კანის აჭიმვაზე გესაუბროთ. იმიტომ მოვედი, რომ ჩავიდინე ის, რაც არ უნდა ჩამედინა - ცოლს ვულალატე. გილალატეთ თქვენ. ვულალატე საკუთარ თავს“. მაგრამ, ეს რომ ეთქვა, შეილას ულალატებდა. შვედს შეეძლო, ყველაფერი გაემხილა ქალის ქმრისთვის, როგორც ქალს შეეძლო, ყველაფერი გაემხილა შვედის ცოლისთვის. როგორც უნდა ნდომოდა ამ დამთრგუნველი და სათაკილო საიდუმლოსგან განთავისუფლება, რამდენიც უნდა ეფიქრა, რომ ეს აღიარება სასარგებლო იქნებოდა, ჰქონდა თუ არა უფლება, ეს ნუგეში შეილას ხარჯზე მოეპოვებინა? შელის ხარჯზე? დოუნის ხარჯზე? არა, ხომ არსებობს ეთიკური ვალდებულებები. არა, არ შეუძლია, ასე ეგოისტურად მოიქცეს. იაფფასიანი ფანდია, მოლალატური ფანდი და ნუგეშიც, შესაძლოა, ხანმოკლე იყოს. და მაინც, ყოველ ჯერზე, როდესაც ხმას იღებდა, იტანჯებოდა სურვილით, ეთქვა ამ კეთილი კაცისთვის, შენი ცოლის საყვარელი ვიყავიო, რათა შელი ზალცმანს რაღაც ჯადოს წყალობით დაებრუნებინა მისთვის ის სულიერი წონასწორობა, რომლის დასაბრუნებლადაც დოუნი ჟენევაში წასვლას აპირებდა. ამის ნაცვლად შელის უამბო, რომ ქალის სახის კანის აჭიმვის წინააღმდეგი იყო და ყვე-

ლა არგუმენტი გადმოუღა. მისდა გასაოცრად, შელიმ ივარაუდა, რომ დოუნის ჩანაფიქრი, შესაძლოა, სასარგებლო ყოფილიყო. „თუ მი-აჩნია, რომ ამის მეშვეობით ცხოვრებას ხელახლა ააწყობს, - თქვა შელიმ, - რატომაც არ უნდა მისცე ამის შესაძლებლობა? რატომ არ უნდა მისცე ყველა შესაძლებლობა? ამაში ცუდი არაფერია, სეიმურ. ეს სიცოცხლეს ნიშნავს - არა სამუდამო პატიმრობას, არამედ სიცოცხლეს. სახის კანის აჭიმვა უზნეობა სულაც არაა. ქალი, რომელსაც ეს სურს, უზნეო როდია. „ვოგში“ ამოიკითხა? ამ ნაბიჯმა ცოლზე გული არ უნდა აგიცრუოს. ის იპოვა, რასაც ეძებდა. ვერც კი წარმოიდგენ, ცხოვრებისეული პრობლემებით დატანჯული რამდენი ქალი მოდის ჩემთან ამა თუ იმ ჩივილით, ბოლოს კი ირკვევა, რომ სწორედ პლასტიკურ ქირურგიაზე ფიქრობენ. „ვოგისგან“ დამოუკიდებლად. ემოციურმა და ფსიქოლოგიურმა ფაქტორებმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ. არსებითია შვებაც, რომელსაც გრძნობენ ისინი, ვინც შვებას პოულობენ. ვერ ვიტყვი, რომ მესმის ამ მოვლენის მექანიზმი და ვერც იმას ვიტყვი, რომ ყოველთვის ქმედითია, მაგრამ არაერთხელ მინახავს, როგორ პოულობდნენ ნუგემს ქალები, რომლებმაც დაკარგეს ქმრები, ან რომლებმაც მძიმე დაავადებები გადაიტანეს... შენი გამომეტყველების მიხედვით თუ ვიმსჯელებ, არ გჯერა“. მაგრამ შვედმა იცოდა, როგორი გამომეტყველება ჰქონდა: სახეზე მსხვილი ასოებით ეწერა „შეილა“. „გეთანხმები, - განაგრძო შელიმ, - რომ ეს წააგავს წმინდა ფიზიკურ ზემოქმედებას იმაზე, რაც ღრმად ემოციური ბუნებისაა, მაგრამ ბევრისთვის ეს თვითგადარჩენის მართებულ სტრატეგიად იქცა. შესაძლოა, დოუნი მათ რიცხვს მიეკუთვნება. არა მგონია, რომ პურიტანული თვალსაზრისი თქვენთვის მისაღები იყოს. თუკი დოუნს სერიოზულად სურს სახის კანის აჭიმვა და თუკი შეძლებ გაჰყვე და დაეხმარო...“ იმავე დღეს, მოგვიანებით, შელიმ შვედს ფაბრიკაში დაურეკა - უკვე შეეკრიბა ცნობები ექიმ ლა პლანტის შესახებ. „დარწმუნებული ვარ, ჩვენთანაც მოიძებნებიან ასეთივე კარგი ქირურგები, მაგრამ თუ გინდათ გაემგზავროთ შვეიცარიაში, მოსწყდეთ სახლს და შენი ცოლი იქ გამოკეთდეს, რატომაც არა? ლა პლანტი უმაღლესი რანგის სპეციალისტია“. „შელი, დიდი მადლობა, როგორ გაისარჯე“, - უთხრა შვედმა, რომელსაც ამ გულითადობის გამო კიდევ უფრო მეტად სძულდა თავისი თავი... და მაინც, ეს ის კაცი იყო, რომელმაც, ცოლთან ერთად, დაუმალა მერი არა მარტო გამოძიების ფედერალურ ბიუროს,

არამედ - მშობლებსაც. უფრო ფანტასტიკური ფაქტი წარმოუდგენელია. რანაირ ნიღბებს არ ატარებენ ადამიანები! დარწმუნებული ვიყავი, რომ ისინი ჩემს მხარეზე იყვნენ, მაგრამ ჩემს მხარეზე მხოლოდ ნიღბები იყო. ოთხი თვის განმავლობაში კი თვითონაც ვატარებდი ნიღბს: მის წინაშე, ჩემი ცოლის წინაშე. ვერ გავუძელი და მასთან წავედი, რათა ყველაფერი გამემხილა. წავედი, რომ მეტქვა, გიმუხთლე--მეტქი, და არაფერი ვუთხარი, რათა კიდევ უფრო არ გამემძაფრებინა ჩემი დანაშაული. მას კი არასოდეს უღიარებია, როგორ უღმობლად მიმუხთლა.

- ჩემი მოწონება ან არმოწონება, - უთხრა შელიმ ლუ ლევოვს, - არავითარ ზეგავლენას არ ახდენს იმაზე, ნახავენ თუ არა ისინი ამ ფილმს.

- თქვენ ხომ ექიმი ხართ, - არ წყნარდებოდა შვედის მამა, - პატივცემული, ზნეობრივი პიროვნება, პასუხისმგებელი...

- ლუ, - უთხრა ცოლმა, - ჩემო კარგო, მხოლოდ შენ ლაპარაკობ.

- თუ შეიძლება, დამამთავრებინე, - მიუგო მან და ყველას მიმართა: - მართლა ასეა? მართლა მხოლოდ მე ვლაპარაკობ?

- სულაც არა, - თქვა მარშამ და ლუს მხარეზე ხელი მეგობრულად მოუთათუნა. - თქვენი ილუზიები მომხიბვლელია.

- არ ვიცი, რას გულისხმობთ.

- იმას, რომ ამერიკაში სოციალური ვითარება შეიცვალა მას შემდეგ, რაც თქვენს შვილებს ჩინური კერძების დასაგემოვნებლად დაატარებდით, ქათქათა პერანგსა და ჰალსტუხში გამოწყობილი ელ ჰაბერმანი კი ხელთათმანებს ჭრიდა.

- მართლა? - ჰკითხა დოუნმა. - მართლა შეიცვალა? ჩვენთვის არავის უთქვამს. - და სამზარეულოში გავიდა. იქ დოუნის ინსტრუქციებს ელოდა ორი უფროსკლასელი გოგონა ადგილობრივი სკოლიდან, რომლებიც, იმ დღეებში, როდესაც ლევოვები სტუმრებს იწვევდნენ, სუფრის გაწყობასა და თეფშების გატანაში ეხმარებოდნენ.

ლუ ლევოვს ცალ მხარეს მარშა ეჯდა, მეორე მხარეს კი - ჯესი ორკატი. ჯესის წინ ვისკით სავსე ჭიქა იდგა, რომელიც ქალმა, როგორც ჩანს, სამზარეულოდან შემოიტანა. ლუმ ისე გასწია ჭიქა, რომ ჯესი ვერ მისწვდომოდა. როდესაც ქალმა წამოდგომა დააპირა, ლუმ ამის უფლება არ მისცა.

- იჯექით, - მკაცრად უთხრა მან, - იჯექით და საჭმელი მიირთვით. ჭიქა არ გჭირდებათ. საჭმელი გჭირდებათ. მიირთვით.

საკმარისი იყო, ჯესი სკამზე შერხეულიყო, რომ ლუ ხელზე ხელს ღონივრად აჭერდა და ახსენებდა, რომ ვერსადაც ვერ წავიდოდა.

ორ მალალ კერამიკულ შანდალში თორმეტი სანთელი ენთო. მათ მკრთალ შუქზე შვედს (ის დედამისსა და შეილა ზალცმანს შორის იჯდა) ეჩვენებოდა, რომ სტუმართა თვალებში - თვით მარშას თვალებშიც კი - ღრმა თანაგრძნობა, უსაზღვრო სიკეთე, კეთილგანწყობა და ყველა ის გრძნობა გამოსჭვრიოდა, რომელთა დანახვასაც ასე ვესწრაფვით ჩვენს მეგობრებში. იმ ადგილის წყალობით, რომელიც შეილას ეკავა შვედის მშობლების ცხოვრებაში, მასაც და ბარისაც ლევოვები ყოველწლიურად სტუმრად იწვევდნენ შრომის დღეს. როდესაც შვედი ფლორიდაში რეკავდა, მამამისი საუბრის დასრულებისას თითქმის ყოველთვის ეკითხებოდა: „როგორაა ჩვენი შეილა, ეს უსაყვარლესი ქალი? რას აკეთებს?“ „როგორი ღირსეული ქალია, - ამბობდა სილვია. - ძალიან დახვეწილი პიროვნებაა. განა ის ებრაელი არაა, ჩემო ძვირფასო? მამაშენი ამბობს, არაო. და თავისას არ იშლის“.

შვედს არ ესმოდა, რატომ გრძელდებოდა ეს კამათი წლების განმავლობაში: ქერთმიანი შეილა ზალცმანის რელიგიური ფესვების საკითხი უფროსი ლევოვების ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. დოუნი მრავალი წლის განმავლობაში ცდილობდა, ისეთივე შემწყნარებლობა გამოეჩინა შვედის არასრულყოფილი მშობლების მიმართ, როგორსაც შვედი იჩენდა თავისი არასრულყოფილი სიდედრის მიმართ; და შეილასადმი დამოკიდებულება უფროსი ლევოვების ყველაზე უცნაურ - თანაც, ძალზე გამაღიზიანებელ - ახირებად მიაჩნდა. გარდა ამისა, მერის აზრით, შეილას ჰქონდა ის ღირსებები, რომლებიც არ ჰქონდა დოუნს და ამის შედეგად, ისე ენდობოდა თავის ექიმს, როგორც უკვე აღარ ენდობოდა დედამისს. „განა ამქვეყნად ერთადერთი ქერა ებრაელი ხარ?“ - ჰკითხა დოუნმა ქმარს ერთხელ. „ეს ყველაფერი სულაც არ უკავშირდება მის გარეგნობას, - აუხსნა შვედმა, - მერის უკავშირდება“. „რა კავშირშია მერისთან ის, ებრაელია თუ არა შეილა?“ „არ ვიცი. შეილა ხომ მერის ფსიქოთერაპევტი იყო. შეილას იმიტომ აღმერთებენ, რომ მერის დაეხმარა“. „კი მაგრამ, შეილა ხომ მერის დედა არ არის - ან იქნებ არის?“ „მშვენივრად იციან, ვინ არის მე-

რის დედა, - მშვიდად უპასუხა შვედმა, - მაგრამ შეილას, პროფესიონალიზმის გამო, ჯადოქრად მიიჩნევენ“.

თვით შვედის აზრითაც, შეილას პროფესიული საქმიანობა სწორედ ჯადოსნობას წააგავდა. ასე ფიქრობდა არა მარტო მაშინ, როდესაც ის მერის მკურნალობდა - იმხანად შვედი ქალის თავშეკავებულობას მისი სექსუალურობის ერთგვარ გამოვლინებად მიიჩნევდა - არამედ იმის შემდეგაც, რაც მერი გაუჩინარდა, ხოლო დოუნი მწუხარებამ მოიცვა.

შვედმა, რომელიც ცხოვრებამ უღმობლად გამოაძევა ვიწრო, მყუდრო სამყოფლიდან, იგრძნო უცნაური მოთხოვნილება, რომელიც თვით მისი არსების სიღრმიდან მომდინარეობდა. ამ უსაზღვრო წყურვილის ზეგავლენით მისთვის იმდენად უცხო, წარმოუდგენელი გადაწყვეტილება მიიღო, რომ არც კი ესმოდა, რას სჩადიოდა: მშვიდ, გონიერ ქალში - რომელმაც მერის ასწავლა, რომ უფრო ბუნებრივად უნდა აღექვა თავისი თავი, დაეძლია მეტყველების შიში და გამოეყენებინა სხვადასხვა დახვეწილი მექანიზმი, რამაც, პარადოქსულად, გოგონას დამოუკიდებლობის წყურვილი გაუმძაფრა - შვედმა ამოიცნო ის არსება, რომელთან შერწყმასაც ესწრაფოდა. მამაკაცმა, რომელიც ოცი წლის განმავლობაში ცოლის ერთგული იყო, გადაწყვიტა აპყოლოდა ამ უგონო სიყვარულს და ქალისადმი თაყვანისცემას. სამი თვე გავიდა, სანამ მიხვდებოდა (შეილამ მიახვედრა), რომ ეს არაფერს ნიშნავდა. მისი სატრფო რომანტიკოსი არსება კი არა, გულახდილი ქალი იყო. მან აუღელვებლად აუხსნა შვედს, რას წარმოადგენდა სინამდვილეში ეს უზომო თაყვანისცემა; განუმარტა, რომ მასთან ურთიერთობა შვედის ჭეშმარიტი „მეთი“ არ იყო ნაკარნახევი, ისევე, როგორც ფსიქიატრიულ კლინიკაში მყოფი დოუნი არ იყო ჭეშმარიტი დოუნი, და რომ ახლა შვედს მხოლოდ განადგურებისკენ ლტოლვა ამოძრავებდა. მაგრამ კაცი ისე იყო თავგზააბნეული, რომ ჯერ კიდევ სთხოვდა შეილას, პონსეში გადასახლებულიყვნენ. იქ ქალი ესპანურ ენას დაეუფლებოდა, ხოლო შემდეგ უნივერსიტეტში მეტყველებითი თერაპიის ტექნიკებს ასწავლიდა, შვედი კი პონსეს ფაბრიკას მთელი თავისი ბიზნესის ცენტრად აქცევდა და ისინი იცხოვრებდნენ თანამედროვე მოწყობილობებით აღჭურვილ, პალმებით გარემოცულ მამულში, მთებში, კარიბის ზღვასთან...

შეილა არაფერს ამბობდა მის სახლში მერის მიერ გატარებულ დღეებზე - იმაზე, როგორ იმალებოდა მერი მასთან ბომბის აფეთქების შემ-

დეგ. ყველაფერს უყვებოდა, ამის გარდა. გულახდილობა იქ ამოიწურა, საიდანაც დაიწყო.

ნუთუ სხვების ტვინიც ისეთივე არასაიმედოა, როგორც - მისი? თუ მხოლოდ მას, შვედს, არ შეუძლია გარემომცველთა აზრებისა და ქცევების განჭვრეტა? ნუთუ ყოველი ადამიანი მასავით ცდება და დღეში ასჯერ ხან გონივრულად მოქმედებს, ხან - საკმარისად გონივრულად, ხან - სხვასავით ბრიყვულად, ხან კი - უფრო ბრიყვულად, ვიდრე ამ ქვეყნად ყველაზე შტერი ნაბიჭვარი? სიბრიყვის გამო ხომ არ მოტყუვდა ის - დოყლაპია მამის დოყლაპია შვილი? ან იქნებ, საერთოდ, ცხოვრება უდიდესი თაღლითობაა, რომელშიც, შვედის გარდა, ყველა მონაწილეობს?

უწინ შვედს შეეძლო აღეწერა შეილასთვის საკუთარი არასრულფასოვნების გრძნობა, შეეძლო ემსჯელა ამის შესახებ, გაენდო თავისი ეჭვები ამ მშვიდი გრძნეული ქალისთვის, რომელმაც მერის უდიდესი პერსპექტივები დაუსახა, გოგონამ კი ისინი უგულვებელყო; რომელმაც მერის „სიმსუბუქის გასაოცარი გრძნობა“ ჩაუნერგა და დაეხმარა, ნაწილობრივ მაინც გამკლავებოდა მეტყველების დეფექტით გამოწვეულ ფრუსტრაციას; რომელსაც პროფესია საშუალებას აძლევდა, კიდევ ერთი შანსი მიეცა ტანჯულთათვის. შვედის სატრფოს ყველაფერი შეეძლო, მათ შორის - ისიც, რომ სახლში მკვლეელი შეეფარებინა.

მერი იმყოფებოდა შეილასთან, რომელმაც არაფერი გაუმხილა შვედს.

მათი ურთიერთნდობა, ბედნიერება, რომელიც წილად ხვდა შვედს, და, საერთოდ, ყველაფერი, ფრედ კონლონის მკვლელობის ჩათვლით, მხოლოდ შემთხვევითობა იყო.

მერი იმალებოდა შეილასთან, რომელმაც არაფერი გაუმხილა შვედს.

ახლაც დუმს. ყურადღებით აკვირდება ყველას. გაოცებულია. განა პათოლოგიური არაა ასეთი გაცხარებული კამათი? რატომ ამბობენ ამ ყველაფერს? თვით შეილას მთელი საღამოს განმავლობაში ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია - არც ლინდა ლავლეისის, არც რიჩარდ ნიქსონის, არც ჰ. რ. ჰალდემანის და არც ჯონ ერლიხმანის შესახებ. მისი უპირატესობა, სხვებთან შედარებით, ისაა, რომ თავი არა აქვს გამოტენილი იმით, რითაც - სხვებს. ერთ დროს შვედს მიაჩნდა, რომ შეილას გულჩათხრობილობა მის უპირატესობაზე მიანიშნებდა. ახლა

კი სხვაგვარად ფიქრობს: „ეს გულცივი ძუკნა. რატომ?“ „შენიანებს სრულ უფლებას აძლევ, თავიანთი ნება-სურვილით წარმართონ შენი ცხოვრება. არაფერი გიტაცებს ისე, როგორც სხვების სურვილების დაკმაყოფილება“, - უთხრა ქალმა ერთხელ შვედს. „მგონი, ეს დახასიათება უფრო მეტად შეილა ზალცმანს შეესაბამება“, - უპასუხა შვედმა და, როგორც ყოველთვის, შეცდა.

ბრძენ ქალად მიაჩნდა, სინამდვილეში კი, უბრალოდ, გულცივი იყო. მრისხანებისგან ბობოქრობდა, რადგან ახლა უკვე ველარავის ენდობოდა. საყრდენები, უკანასკნელი საყრდენები გამოეცალა და ასე ეგონა, თითქოს ამ დღეს ჯერ ხუთი წლის ბიჭი იყო, შემდეგ კი ასი წლის ბერიკაცად იქცა. „რა კარგი იქნებოდა, - გაიფიქრა მან, - როგორ მანუგეშებდა ახლა, იქ, მინდორში, დოუნის ნახირი რომ ყოფილიყო, ძროხებს შორის კი - მათი დამცველი, გოლიათი ხარი, გრაფი. დოუნს რომ კვლავინდებურად ჰყოლოდა გრაფი, გრაფს რომ...“ უჩვეულო, ზეციური სიმშვიდის შეგრძნება წამიერად დაეუფლა შვედს და მაშინვე გაქრა, სანამ მიხვდებოდა, რომ, რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, გრაფს ეხეტილა იქ, სიბნელეში, ძროხებს შორის, რადგან მაშინ სტუმრებს შორის ჭრელ პიჯამაში გამოწყობილი მერი იხეტილებდა, შემდეგ მამამისის სკამის საზურგეს მიეყრდნობოდა და ყურში ჩასჩურჩულებდა: „მისის ორკატი ვისკის წრუპავს. მისის უმანოვს ოფლის სუნი ასდის. მისტერ ზალცმანი მელოტია“. ცელქი გოგონას სრულიად უწყინარი დაკვირვებულობა ბავშვური და მოზომილი იქნებოდა. ანარქიისადმი ლტოლვა ჯერ კიდევ არ დაეტყობოდა.

- მამა, კიდევ გადაილე სტეიკი, - მოესმა შვედს საკუთარი ხმა. ეს იყო (რაც შვედმა მშვენივრად იცოდა) ამოო მცდელობა კარგი შვილისა, რომელიც მამის დამშვიდებას ან, თუნდაც, კაცობრიობის არაებრაული ნაწილის ნაკლოვანებების გამო მისი დარდის გაქარვებას ცდილობდა.

- გადავიღებ. ამ ახალგაზრდა ქალბატონისთვის.

ლუ ლევოვმა ხორცის ნაჭერი აიღო სინიდან, რომელიც მომსახურე გოგონამ მიაწოდა, და ფრთხილად დაუდო თეფშზე ჯესის. როგორც ჩანს, მის მეურვეობას აპირებდა.

- ახლა დანა-ჩანგალი აიღეთ და ხორცი მიირთვით, - უთხრა ლუმ ქალს. - შემწვარი ხორცი თქვენთვის სასარგებლოა. სწორად დაჯექით.

ჯესიმ თითქოს დაიჯერა, რომ თუკი წინააღმდეგობას გაუწევდა, ლუ ძალას დაატანდა. ამიტომ წაილულლულა, სწორედ ახლა ვაპირებდიო, და ისე მოუხერხებლად შეუდგა ხორცის დაჭრას, რომ შვედს შეეშინდა, მამამისს არ დაეჭრა სტეიკი ქალისთვის. ლუს მთელი ენერჯია, გულ-მოდგინე მცდელობის მიუხედავად, ვერ შეცვლიდა ამ მშფოთვარე სამყაროს.

- კი მაგრამ, ბავშვების აღზრდის საკითხი ხომ ძალიან სერიოზული რამაა, - კვლავ დაუბრუნდა ლუ ლევოვი „უძირო ხახას“, როგორც კი დარწმუნდა, რომ ჯესი სტეიკს მიირთმევდა. - თუ ეს არასერიოზულია, რას შეიძლება ვუწოდოთ სერიოზული?

- მამა, - მიმართა შვედმა, - შელი იმას კი არ ამბობს, რომ ეს საკითხი სერიოზული არაა. პირიქით, გეთანხმება. მაგრამ, შელის აზრით, ჩვენი თვალსაზრისი უნდა დავუსაბუთოთ მოზარდს. სხვას ვერაფერს გავაწყობთ. ხომ არ შეიძლება, ოთანში ჩავკეტოთ და გასაღები გადავავლოთ?!

შვედის შვილი - შერეკილი მკვლელი - ნიუარკის ერთ-ერთი ბინის იატაკზეა მოკუნტული; შვედის ცოლს მისი საყვარელი სამზარეულოში, ნიუარასთან, ტრაკზე ეფერებოდა; შვედის ყოფილმა საყვარელმა შეგნებულად მოუტანა უბედურება მათ ოჯახს, ის კი ლაყბობს და მამის დამშვიდებას ცდილობს.

- ვერ დაიჯერებთ, - უთხრა მოხუცს შელიმ, - რა შორს წავიდნენ მოზარდები უკანასკნელ ხანებში.

- დეგრადაციისკენ არ უნდა წავიდნენ! და თუკი სწორედ იქით მიდიან, მართლაც უნდა ჩავკეტოთ ოთანებში. მახსოვს დრო, როდესაც ბავშვები გაკვეთილებს ამზადებდნენ და ამგვარ ფილმებს არ უყურებდნენ. ახლა ქვეყნის მორალზე ვსაუბრობთ, ხომ ასეა? იქნებ შევიშალო? ეს ყველაფერი შეურაცხყოფს ზნეობასა და ზნეობრივ ადამიანებს.

- რა არის ასეთი მიმზიდველი ზნეობრიობაში? - იკითხა მარშამ.

ამ კითხვამ ლუ იმდენად გააოგნა, რომ სტუმრებს გადახედა, იქნებ რომელიმე მათგანი საკმარისად განათლებული იყოს და ამ ქალს ხმა ჩააწყვეტინოსო.

ეს როლი ოჯახის ახლო მეგობარმა, ბილ ორკატმა იკისრა.

- რით იწუნებთ ზნეობრიობას? - ღიმილით ჰკითხა მან მარშას.

შვედი ორკატს თვალს ვერ უსწორებდა. მხოლოდ ერთადერთ რამეზე ფიქრობდა და ამ ორს - შეილასა და ორკატს თვალს ვერ უსწორებ-

და. ნუთუ დოუნის თვალში ბილ ორკატი ლამაზი იყო? შვედს ეს აზრად არასოდეს მოსვლია. მრგვალი სახე, ხორთუმივით ჩამოკიდებული ცხვირი, დანაოჭებული ქვედა ტუჩი... ნაბიჭვარი, ღორს წააგავს. არა, რაღაც სხვამ მიიყვანა დოუნი იმ საშინელებამდე, ნიჟარასთან რომ მოხდა. რამ? იოლად მოსაპოვებელმა გამარჯვებამ? ამან გადააწყვეტინა? თუ იმან, რომ ბილ ორკატი ბილ ორკატი იყო, რომელიც ამით კმაყოფილი გახლდათ? იქნებ იმან, რომ ეს კაცი არავის ექცეოდა აგდებულად, იმათაც კი, ვინც ამას იმსახურებდნენ? იქნებ მოსწონდა, რომ ორკატს უზადო მანერები ჰქონდა და ასევე უზადოდ თამაშობდა თავის როლს, როგორც მეგზური მორისის წარსულში? იქნებ ამ თავგადასავლის მიზეზი იმის შეგრძნება იყო, რომ ორკატს არასოდეს დასჭირვებია ბრძოლა რაიმეს მოსაპოვებლად; არ დასჭირვებია შეურაცხყოფისა და ტანჯვის ატანა, და არასოდეს დაბნეულა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გვერდით უგონოდ მთვრალი ცოლი ეჯდა? იქნებ ის იყო მთავარი, რომ ორკატი ცხოვრებისგან გაცილებით მეტს მოელოდა, ვიდრე იოცნებებდნენ უიკვეიკის სკოლის საუკეთესო მოსწავლეები (და თუნდაც შემდგომში ყოველივე ეს კატორღული შრომით მოეპოვებინათ, არასრულფასოვნების გრძნობისგან მაინც ვერ თავისუფლდებოდნენ)? ნუთუ ნიჟარასთან მდგარი დოუნი იმან აღაგზნო, რომ კაცს გამორჩეულობის თანდაყოლილი გრძნობა ჰქონდა? თუ იმან, რომ ორკატი ასე კარგად შეესაბამებოდა გარემოს? თუ მისმა დიდებულმა ფერწერამ? ან იქნებ, უბრალოდ, მისმა სირმა? ნუთუ ასეა, დოუნ, საყვარელო? პასუხი მჭირდება. დღესვე მჭირდება. მისმა სირმა?

შვედს განუწყვეტლივ წარმოუდგებოდა სურათი - ორკატი და დოუნი სამზარეულოში, და მას ისევე ვერ იშორებდა წარმოსახვიდან, როგორც - შვილის გაუპატიურების დეტალებს. იმ საღამოს წარმოსახვამ გასაქანი არ მისცა.

- ზნეობრიობა? - ეშმაკური ღიმილით მიუბრუნდა ორკატს მარშა. - გგონიათ, ზნეობრიობა, წესიერება და თავაზიანობა უფრო ნაკლებად არის დაფასებული, ვიდრე ამას იმსახურებს? ისინი ხომ საშუალებას არ გვაძლევენ, რომ ცხოვრების მრავალფეროვნებას ვეზიაროთ.

- თქვენი აზრით, რა არის საჭირო, ამ „მრავალფეროვნებას“ რომ ვეზიაროთ? - ჰკითხა ორკატმა. - ცოდვებისკენ გვიბიძგებთ?

არისტოკრატიული ოჯახიდან გამოსულ არქიტექტორს ართობდა საუბარი ლიტერატურის პედაგოგთან და - საშიში გეგმაც, რომელსაც

ეს ქალი ყოველგვარი ნორმების განადგურების მიზნით უსახავდა ადამიანებს. ორკატი ერთობოდა. ერთობოდა! მაგრამ შვედს არ შეეძლო წვეულება ცოლის ღირსების დასაცავ ბრძოლის ველად ექცია. ყველაფერი ისედაც ძალიან ცუდად იყო - მშობლების თანდასწრებით ორკატთან დაპირისპირების გარეშეც. უბრალოდ, არ უნდა ესმინა მისთვის. და მაინც, როგორც კი ორკატი ლაპარაკს იწყებდა, მისი ყოველი სიტყვა შვედს სიძულვილს უღვიძებდა. ზიზღისგან იკრუნჩხებოდა და ავბედითი აზრები უჩნდებოდა; ხოლო როდესაც ორკატი ღუმდა, შვედს მისკენ უნებურად ეპარებოდა თვალი. ცდილობდა აღმოეჩინა, რას შეიძლებოდა აღეგზნო მისი ცოლი.

- რა თქმა უნდა, შეცოდების გარეშე შემეცნებაც არ არსებობს, - განაცხადა მარშამ. - განა ასე არაა?

- ღმერთო, - წამოიძახა ლუ ლევოვმა, - ცხოვრებაში მსგავსი არაფერი მსმენია! მაპატიეთ, პროფესორო, მაგრამ საიდან მოიტანეთ ასეთი აზრები?

- ბიბლიიდან, უპირველეს ყოვლისა, ბიბლიიდან, - თქვა მარშამ. თავისი სიტყვებით ტკბებოდა.

- ბიბლიიდან? რომელი ბიბლიიდან?

- იმ ბიბლიიდან, რომელიც ადამითა და ევათი იწყება. განა ამას არ გვასწავლის „დაბადება“? განა ამას არ გვეუბნება სამოთხიდან ევასა და ადამის გაძევების ამბავი?

- რას? რას გვეუბნება?

- იმას, რომ შეცოდების გარეშე შემეცნება შეუძლებელია.

- მე სხვანაირად მასწავლეს სამოთხიდან გაძევების ამბავი, - მიუგო ლუმ. - მაგრამ მე მხოლოდ რვა კლასი დავამთავრე.

- რა გასწავლეს, ლუ?

- ის, რომ თუკი უფალი კრძალავს რაიმე საქციელს, ეს საქციელი არ უნდა ჩაიდინო. თუკი ჩაიდენ, დაისჯები. სიცოცხლის ბოლომდე დაიტანჯები.

- დაემორჩილეთ უფალს და ყოველგვარი ბოროტება აღიკვეთება, - საზეიმო კილოთი განაცხადა მარშამ.

- ჰო... ასეა, - თქვა ყოყმანით ლუმ, რომელიც გრძნობდა, რომ დასცინოდნენ. - მისმინეთ, ჩვენ ხომ სხვა საკითხზე ვლაპარაკობდით და არა - ბიბლიაზე. თავი დაანებეთ ბიბლიას. ახლა ბიბლიაზე ლაპარაკის დრო არაა. ჩვენ ვლაპარაკობთ ფილმზე, რომელშიც, რამდენადაც მეს-

მის, ახალგაზრდა ქალი კამერის წინ დგება და ფულის გამო მილიონობით ადამიანის - მათ შორის, ბავშვების - დასანახავად სჩადის ყველაფერს, რაც კი მოეპრიანება. ეს შეურაცხმყოფელია. აი, რაზე ვსაუბრობთ.

- ვისთვისაა შეურაცხმყოფელი?

- თვით მისთვის, ღმერთო ჩემო. პირველ რიგში, მისთვის. თავი წაიბილწა. განა ეს მოსაწონია?

- თავი სულაც არ წაუბილწავს, ლუ.

- პირიქით, - გაეცინა ორკატს, - ცნობადის ხის ნაყოფი იგემა.

- და სუპერვარსკვლავად იქცა, - დაასკვნა მარშამ, - საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ. ვფიქრობ, მის ლავლეისი ცხოვრებით ისე ტკბება, როგორც არასდროს.

- ადოლფ ჰიტლერიც ტკბებოდა ცხოვრებით, როდესაც ებრაელებს გაზის კამერებში აგდებდა. ტკბობა არ ამართლებს საქციელს. ეს ქალი გონებას უწამლავს ბავშვებს, გონებას უწამლავს ხალხს და ცოდვის მორევშია ჩაფლული. მორჩა!

ლუ ლევოვი ახლა ძალზე შეუვალი იყო. ალბათ, მხოლოდ იმ ბერიკაცის სიჯიუტე, რომელიც ჯერ კიდევ წარმოსახული სამყაროს ტყვეობაში იმყოფება, აიძულებდა მარშას, დისკუსია არ შეეწყვიტა. ანკესზე უნდა წამოეგო, ეკბინა და სისხლი გამოეწოვა. ეს მისი საყვარელი საქმიანობა იყო. შვედს მოუხდა, კისერი მოეგრინა ქალისთვის. თავი დაანებე! თავი დაანებე და თვითონ გაჩუმდება. ძნელი როდია, ბერიკაცს ლაპარაკის საღერღელი აუშალო - შეჩერდი!

ეს პრობლემა, რომელსაც შვედი უკვე დიდი ხნის განმავლობაში მარჯვედ ართმევდა თავს, ნაწილობრივ, თვითდათრგუნვისა და მამის შეხედულებების მოჩვენებითი გაზიარების, ნაწილობრივ კი, ფაქიზი მანევრების მეშვეობით - მამისადმი სიყვარულის შენარჩუნების (მისი ულმობელი თავდასხმების მიუხედავად) პრობლემა - არ მიეკუთვნებოდა იმ პრობლემების რიცხვს, რომლებსაც მარშა ათწლეულების განმავლობაში აწყდებოდა ცხოვრებაში. ჯერი, უბრალოდ, ეუბნებოდა მამას, მოკეტეო. დოუნს ლუ ლევოვი აცოფებდა. სილვია ლევოვი სტოიკურად იტანდა ქმრის საქციელს, მაგრამ ღიზიანდებოდა და ეფექტური თავდაცვის ერთადერთ საშუალებას მიმართავდა - გულჩათხრობილობას და განმარტოებას, რაც თანდათანობით ანადგურებდა. მარშას აზრით კი, ლუ გონებაჩლუნგი იყო - და მართლაც ასეთი

გახლდათ - რომელსაც ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ აკრძალვების სა-
შუალებით შეიძლებოდა დღევანდელ შეცოდებათა ჩანაცვლება გუშინ-
დელი შეცოდებებით.

- რა საქმიანობას შესთავაზებდით, ლუ? ბარში ოფიციალურად მუ-
შაობას? - ჰკითხა მარშამ.

- რატომაც არა?! ჩვეულებრივი სამუშაოა.

- მთლად ასეც არაა. ამ სამუშაოს აქ მსხდომთაგან არავინ დახარ-
ბდებოდა.

- ჰო-ო? - შეეპასუხა ლუ ლევოვი. - ის უფრო მოსწონთ, რასაც მის
ლავლეისი ახლა აკეთებს?

- არ ვიცი, - მიუგო მარშამ. - მოდით, გამოკითხვა ჩავატაროთ. რას
ამჯობინებდით, ოფიციალტის კარიერას თუ პორნოვარსკვლავისას? -
ჰკითხა მან შეილას.

მაგრამ შეილას არ სურდა, მონაწილეობა მიეღო მარშას თამაშებში
და ეს მკაფიოდ აღნიშნა კიდევ. მარშასთვის არც შეუხედავს. მისი მზე-
რა თითქოს მისსავე სულის სიღრმეებში იკარგებოდა. შვედს გაახსენ-
და, რომ როდესაც შეილამ აქ, ოლდ-რიმროკში პირველად გაიცნო მარ-
შა და ბარი უმანოვები, მან ჰკითხა ქალს: „როგორ შეუძლია ბარის, ეს
დედაკაცი უყვარდეს?“ შეილამ, დოუნის მსგავსად, ქარაფშუტულად
როდი უპასუხა - აი, ეს უთხრა: „წვეულების ბოლოს ესა თუ ის ადა-
მიანი ყოველთვის სვამს ამ კითხვას სხვა ადამიანთან დაკავშირებით,
ზოგჯერ კი ყველა ამას ფიქრობს ყველას შესახებ“. „შენ?“ - ჰკითხა
შვედმა. „მე ნებისმიერ წყვილზე ამას ვფიქრობ“.

ბრძენი ქალი. და მაინც, ამ ბრძენმა ქალმა მკვლელი შეიფარა.

- დოუნი რას იტყვის? - იკითხა მარშამ. - ოფიციალტი, რომელიც
კოქტეილებს დაატარებს თუ პორნოვარსკვლავი?

- შენი გადასაწყვეტია, მარშა, - უთხრა დოუნმა და ალერსიანად
გაუღიმა. კათოლიკური სკოლის აღსაზრდელ გოგონას წააგავდა, რომე-
ლიც მონაზვნებს იმით ახარებს, რომ არასოდეს ეყრდნობა სკამის სა-
ზურგეს.

- რაზე საუბრობთ? - ჩაერია ლუ ლევოვი.

- იმაზე, რაზეც, ჩვეულებრივ, სასადილო მაგიდასთან საუბრობენ, -
მიუგო სილვიამ.

- დაილაღე?

- არ დავღლილვარ, ლუ. უბრალოდ, ვუსმენ.

- ხედავთ, მარშა, არჩევანი არავინ გააკეთა. თქვენ რას ამჯობინებდით, არჩევნის წინაშე რომ დამდგარიყავით?

ამ ფარული დაცინვის საპასუხოდ მარშამ მხიარულად გადაიხარხარა:

- ოჰ, პორნოფილმებში ხშირად მონაწილეობენ გარუმბული მეძავეები. მამაკაცთა ოცნებებშიც. და ამით მხოლოდ კომიკურ ეფექტს როდი იწვევენ. ბატონებო, ძალზე მკაცრნი ხართ ლინდას მიმართ. რატომაა, რომ თუკი ქალი ატლანტიკ-სიტიში იხდის, ამისთვის პრემიას აძლევენ და ამერიკელ ქალღმერთად აღიარებენ, ხოლო თუ გაიხდის და სექსუალურ სცენაში გამოჩნდება, მეძავია, რადგან ამას ფულის გამო სჩადის? რატომაა ასე? რატომ? ამაზე პასუხს ვერავინ გაგცემთ. მაგრამ, თუ სერიოზულად ვიმსჯელებთ, ბატონებო, სიტყვა „პრემია“ მომწონს. ერთი მეძავი ქუჩიდან სასტუმროში მიიყვანეს. რამდენს იღებო, ეკითხება კაცი. გულწრფელად გითხრა, პასუხობს ქალი, ჩემი პრემია სამასი დოლარია, კიდევ უფრო გულწრფელად - ხუთასი, ხოლო თუკი ძალზე გულწრფელად...

- მარშა, - წყნარად უთხრა დოუნმა, - დროს ამაოდ ნუ კარგავ. დღეს მოთმინებიდან ვერ გამომიყვან.

- ვერ გამოგიყვან?

- დღეს - ვერა.

მაგიდის შუაგულში ყვავილების ლამაზი თაიგული იდგა.

- დოუნის ბალიდანაა, - ამაყად განაცხადა ლუ ლევოვმა, როდესაც ყველანი მაგიდასთან სხდებოდნენ. მაგიდაზე ელაგა, აგრეთვე, ბრტყელი თეფშები მსხვილად დაჭრილი, ზეთითა და ძმრით შეზავებული პომიდვრებით, რომელთაც ახალდაკრეფილი ხახვის თხელი ნაჭრები ჰქონდა შემოწყობილი. მათ გვერდით იდო ორი ხის თასი - ორი ძველებური ხის თასი. დოუნმა და შვედმა ისინი კლინტონში, მეძველმანის ფარდულში ნახეს და თითო ერთ დოლარად შეიძინეს. ყოველ თასში წითელი ქსოვილი ეფინა და ეწყო სიმინდის ტაროები, რომელთა გარჩევაში ორკაცი დოუნს დაეხმარა. მაგიდის ორივე მხარეს დაწნული კალათები სავსე იყო ახლად გამომცხვარი ფრანგული პურით, ეგრეთ წოდებული ბაგეტებით, რომელთა გაყიდვაც სულ ცოტა ხნის წინ დაეწყოთ მაკფერსონებს. გახუხული პურის ხელით დატეხა მეტად სასიამოვნო გახლდათ. აქვე იდგა ბოთლები მაგარი ბურგუნდიული ღვინით - ექვსი ბოთლი საუკეთესო პომარი შვედის მარაგიდან. ოთხი

ბოთლი უკვე გაეხსნათ. ეს ბოთლები მან ხუთი წლის წინ გადაინახა, რათა 1973 წელს გაეხსნა. სარდაფში ჩაიტანა (რასაც ადასტურებდა ჩანაწერები ღვინოების შესახებ) ზუსტად ერთი თვით ადრე, სანამ მერი ფრედ კონლონს მოკლავდა. წვეულების დასაწყისში მან აღმოაჩინა თავისი ხელნაწერი: „1.3.68“ - ბლოკნოტში, სადაც, ჩვეულებრივ, აღნიშნავდა ყოველ ახალ შენაძენთან დაკავშირებულ მონაცემებს... „1.3.68“ - ჩაწერა მან. ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ 2.3.68-ში მისი ქალიშვილი ისეთ საქციელს ჩაიდენდა, რომელიც, პროფესორ მარშა უმანოვის გარდა, მთელ ამერიკას აღაშფოთებდა.

დოუნის დამხმარე ორი გოგონა ხშირ-ხშირად შემოდის სამზარეულოდან. ისინი მდუმარედ უვლიდნენ გარს მაგიდას და სტუმრებს სთავაზობდნენ კალის თეფშებზე დაწყობილ, ლამაზად დაჭრილ შემწვარ ხორცს, რომელსაც ჯერ კიდევ სისხლი სდიოდა. საუკეთესო უჟანგავი გერმანული ფოლადისგან დამზადებული ხორცის საჭრელი დანები შვედმა ჰოფრიცის მაღაზიაში შეიძინა. ნიუ-იორკში მათი და ასალესი მოწყობილობის საყიდლად საგანგებოდ გაემგზავრა - მაღლიერების დღესასწაულის (როდესაც ის პირველად იხეიმეს ოლდ-რიმროკში) წინა დღეს. მაშინ დიდად ზრუნავდა ამგვარ ნივთებზე. სიამოვნებით ლესავდა დანებს ისე, რომ მათ ყოველთვის სამართებელივით ბასრი პირი ჰქონოდათ. მოსწონდა სალესის ხმა. ხარისხიანი საოჯახო ინვენტარი. სურდა, რომ მის ოჯახში ყველაფერი საუკეთესო ყოფილიყო. არ სურდა, მის ოჯახს რაიმე დაჰკლებოდა.

- გთხოვთ, მიპასუხეთ, რა ზეგავლენას ახდენს ეს ყველაფერი ბავშვებზე? - იკითხა ლუ ლევოვმა. - თემას მნიშვნელოვნად გადაუხვიეთ. განა ჩვენი ბავშვების ცხოვრება ტრაგიკული არაა? პორნოგრაფია. ნარკოტიკები. ძალადობა.

- განქორწინებები, - დასძინა მარშამ.

- პროფესორო, განქორწინებებზე ნუ მალაპარაკებთ. ფრანგული გესმით?

- თუ საჭიროა, გავიგებ, - მიუგო ქალმა ღიმილით.

- ჰოდა, მყავს ვაჟიშვილი - სეიმურის ძმა - რომელიც ფლორიდაში ცხოვრობს. როგორც აღმოჩნდა, მისი სპეციალიტეტი განქორწინებები ყოფილა. მეგონა, რომ კარდიოქირურგია იყო, მაგრამ განქორწინებები ყოფილა. მეგონა, სამედიცინო ფაკულტეტზე გავგზავნე და გასანაღდებელ ჩეკებს იქიდან მიგზავნიდნენ. აღმოჩნდა, რომ ჩემს შვილს გან-

ქორწინებათა ფაკულტეტზე უსწავლია. განქორწინებათა დიპლომირებული სპეციალისტია. არის თუ არა ბავშვისთვის რაიმე უფრო უარესი, ვიდრე მშობლების მოსალოდნელი განქორწინებაა? არა მგონია. როდის მოელება ამას ბოლო? სადაა ზღვარი? თქვენ ასეთ სამყაროში არ გაზრდილხართ. არც მე გავზრდილვარ. ჩვენი ბავშვობისას ირგვლივ ყველაფერი სხვაგვარი იყო. მეზობლებთან, სახლთან, ოჯახთან, მშობლებთან, სამუშაოსთან დაკავშირებული გრძნობები... ერთი სიტყვით, ყველაფერი სხვაგვარად იყო. ჩემთვის გაუგებარი და მიუღებელია ის ცვლილებები, რომლებიც მოხდა. ზოგჯერ მეჩვენება, რომ 1945 წლის შემდეგ სამყარო უფრო მკვეთრად შეიცვალა, ვიდრე კაცობრიობის არსებობის მთელი დროის განმავლობაში. უბრალოდ, არ მესმის, როგორ უნდა ვიცხოვროთ, როდესაც ამდენ რამეს მოელო ბოლო. არავინ ზრუნავს ადამიანებზე, რასაც ეს ფილმი ადასტურებს. არავინ ზრუნავს ადამიანთა საცხოვრებელ ადგილებზე, რასაც ნიუარკი ადასტურებს - როგორ მოხდა ეს? შეიძლება, პატივი არ სცე შენს ოჯახს, შენს ქვეყანას, შენს საცხოვრებელ ადგილს, მაგრამ უნდა გახსოვდეს, რომ ისინი არსებობენ და მათი ნაწილი ხარ. იმიტომ, რომ თუ ეს არ გესმის, მარტოობისთვის ხარ განწირული და სიბრალულს იმსახურებ. ამ სიბრალულს ნამდვილად განვიცდი. მართალი ვარ, მისტერ ორკატ, თუ ვცდები?

- იმაში, რომ გაინტერესებთ, ზღვარი სად არის?

- დიახ, - მიუგო ლუ ლევოვმა. შვედს არაერთხელ შეუნიშნავს, რომ ძალადობასა და ბავშვებზე საუბრისას მამამისი ვერც კი აცნობიერებდა ამ თემის კავშირს მისი ოჯახის ცხოვრებასთან. მერი ვილაცის ბილწი მიზნებისთვის გამოიყენეს და ყველას მტკიცედ უნდა დაეჯერებინა ამ ვერსიის სისწორე. ლუ ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ყოველ მათგანს, რათა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ არავის ეპარებოდა ეჭვი ამ ვერსიაში. მთელ ოჯახს მტკიცედ უნდა დაეჯერებინა - ყოველ შემთხვევაში, სანამ ლუ ცოცხალი იყო - რომ მერი სრულიად უდანაშაულო იყო.

იმ საკითხებს შორის, რომელთა შესახებაც ფიქრი არ შეეძლო კუბოში გამომწყვდეულ შვედს, ისიც იყო, თუ რა დაემართებოდა მამამისს, ოთხი მკვლელობის ამბავი რომ გაეგო.

- არ ცდებით, - ეუბნებოდა ბილ ორკატი ლუ ლევოვს, - როდესაც ზღვარის შესახებ ფიქრობთ. ალბათ, ყველა აქმყოფი ეკითხება საკუ-

თარ თავს, სადაა ზღვარი, და შიშით ეძებს მას ყოველ გაზეთში. ყველანი, გარდა პროფესორისა, რომელიც შეცოდებათა მომხრეა. მაგრამ ჩვენ პირობითობებით ვართ შებოჭილნი. უილიამ ბეროუზის, მარკინ დე სადის და წმინდა ჟან ჟენეს მსგავსი გამოჩენილი კანონდამრღვევები არ გახლავართ. ლიტერატურული სკოლა, სადაც ყველა იმას აკეთებს, რასაც მოისურვებს. ცივილიზაციის ბრწყინვალეობა სინამდვილეში დათრგუნვაა, ხოლო ზნეობრიობა კიდევ უფრო უარესია.

არც კი გაწითლებულა. წარბშეუხრელად საუბრობდა ზნეობრიობის შესახებ. შეცოდება ისე ახსენა, თითქოს მისთვის ეს უცხო ხილი იყო, თითქოს მას, ერთადერთს იქმყოფთა შორის - უილიამ მესამეს, უკანასკნელ რგოლს ორკატთა გრძელ ჯაჭვში, რომელიც სასაფლაოზე ღირსეული ვაჟკაცებითაა წარმოდგენილი - არ ჩაედინოს საშინელი ცოდვა და ბოლომდე არ დაენგრიოს ისედაც სანახევროდ დანგრეული ოჯახი.

შვედის ცოლს საყვარელი ჰყავს და მისი გულისთვის გადაიტანა სახის კანის აჭიმვასთან დაკავშირებული განსაცდელი. ეს იმიტომ მოიმოქმედა, რომ ეკეკლუცა ამ კაცთან და მისი გული დაეპყრო. დიახ, ახლა შვედს ესმოდა იმ სენტიმენტალური წერილის ჭეშმარიტი საზრისი, რომელშიც დოუნი უამრავ მადლობას უხდიდა პლასტიკურ ქირურგს. „ჩემს გასალამაზებლად ხუთი საათი დახარჯეთ“. იმგვარად გამოხატავდა მადლიერებას, თითქოს მას, შვედს, ამ ხუთი საათის სანაცვლოდ თორმეტი ათასი დოლარი არ გადაეხადა, და კიდევ ხუთი ათასი - კლინიკის პალატისთვის, რომელშიც ორი ღამე გაატარეს. „ახლა ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ახალი სიცოცხლე მაჩუქეთ“.

განახლდა. გარეგნულადაც და შინაგანადაც. ჟენევაში შვედმა მთელი ღამე დოუნის გვერდით გაატარა. მისი ხელი ეკავა, როდესაც ქალი გულისრევითა და ტკივილებით იტანჯებოდა, და ეს ყველაფერი - სხვისი გულისთვის. სხვისთვის აშენებს სახლს. ორივე ერთად გეგმავდა ამ სახლს თავიანთი თავისთვის.

როდესაც მერი გაუჩინარდა, პონსეში გადასახლება და იქ შეილასთან ერთად ცხოვრება სურდა, მაგრამ შეილამ გამოაფხიზლა, ცოლთან დაბრუნება გადააწყვეტინა. მას კარგად ესმოდა, რომ შვედი ტკივილს ვერ მიაყენებდა დოუნს, მით უმეტეს, ვერ მიატოვებდა მაშინ, როდესაც ქალი განსაცდელში იყო. და ახლა ეს ორი ყოველივეს გადახაზვას აპირებდა. შვედი ამას მაშინვე მიხვდა, როდესაც ისინი სამზარეულოში დაინახა. შეთანხმებულნი იყვნენ. ორკატი ჯესის მიატოვებს, დოუნი

კი - მე. სახლი მათ დარჩებათ. დოუნისთვის კატასტროფა უკვე წარსულშია, წარსულის დავიწყებას და ახალი ცხოვრების დაწყებას აპირებს. სახე, სახლი, ქმარი - ყველაფერი ახალი იქნება. „დროს ამაოდ ნუ კარგავ. დღეს მოთმინებიდან ვერ გამოიყვან. დღეს - ვერა“.

ბოროტმოქმედები არიან. ორკატი ოჯახის წარსულის ხარჯზე ცხოვრობსო, უთხრა დოუნმა ქმარს. დოუნი კი იმის ხარჯზე ცხოვრობს, რადაც იქცა. დოუნიც და ორკატიც მტაცებლები არიან.

ბოროტმოქმედები ყველგან არიან. აქვე, სახლშიც.
"9",

შვედს ტელეფონთან უხმეს. ერთ-ერთი მომსახურე გოგონა სამზარეულოდან გამოვიდა და უთხრა:

- მგონი, ჩეხოსლოვაკიიდან რეკავენ.

შვედმა ყურმილი ქვემოთ, დოუნის კაბინეტში აიღო, სადაც ორკატს უკვე განეთავსებინა ახალი სახლის დიდი, მუყაოსგან დამზადებული მაკეტი. მას შემდეგ, რაც ჯესი ვერანდაზე დატოვა შვედთან, შვედის მშობლებთან და სასმელთან, ორკატმა, როგორც ჩანს, თავისი პიკაპიდან მაკეტი წამოიღო და დოუნის კაბინეტში მაგიდაზე დადო, შემდეგ კი სამზარეულოში წავიდა, რათა ქალს სიმინდის გარჩევაში დახმარებოდა.

რიტა კოენი რეკავდა. ყველაფერი იცოდა ჩეხოსლოვაკიის შესახებ, რადგან „ისინი“ შვედს ზვერავენ. ზაფხულის დასაწყისშივე გაეგოთ, რომ შვედი ჩეხოსლოვაკიის საკონსულოს ესტუმრა. უთვალთვალებდნენ ვეტერინარული საავადმყოფოს მახლობლადაც და შვილის ბინასთანაც, სადაც მერიმ უთხრა, რიტა კოენს არ ვიცნობო.

- საკუთარ შვილს ასე როგორ მოექეცი? - ჰკითხა ქალმა.

- შვილისთვის არაფერი დამიშავებია. მის სანახავად მივედი. ხომ მომწერე და შემატყობინე მისი ადგილსამყოფელი.

- სასტუმროს შესახებ ყველაფერი დაგიფქვავს. გითქვამს, ჩვენ შორის არაფერი მომხდარაო.

- სასტუმროზე კრინტიც არ დამიძრავს, არ მესმის, რაზე ლაპარაკობ.

- ტყუი. გითქვამს, რომ ჩვენ შორის არაფერი მომხდარა. ხომ გაგაფრთხილე. წერილში გაგაფრთხილე.

შვედის წინ სახლის მაკეტი იდგა. ახლა ხედავდა იმას, რასაც დოუნის ახსნა-განმარტებების შემდეგ ვერ მიხვდა. აშკარა იყო, რომ სახურავის გრძელი კიდეების მიუხედავად, შუქი მთელი ფასადის გასწვრივ მაღლა გამოჭრილი ფანჯრების მეშვეობით შემოაღწევდა ჰოლში. აშკარა იყო, როგორ გადატყდებოდა სამხრეთიდან შემოჭრილი მზის სხივები და როგორ მოეფინებოდა თეთრ კედლებს. იმასაც აულო ალლო, თუ რატომ იმეორებდა დოუნი სიტყვებს: „მოეფინება“ და, მაშინვე - „შუქი“.

შვედმა მუყაოს სახურავი მოხსნა და შიდა მოწყობილობა დაინახა. სათამაშო სახლში იყო ყველა შიდა ტიხარი, კარი, საკუჭნაო; სამზარეულოში კედლის კარადები ეკიდა, იდგა მაცივარი, ჭურჭლის სარეცხი მანქანა, ქურა. ორკატს ყველაფერი დეტალურად მოეფიქრებინა. სასტუმრო ოთახს ამშვენებდა მუყაოსგან გულდასმით გამოჭრილი ავეჯი: დასავლეთის შემინულ კედელთან - საწერი მაგიდა, გვერდით - დივანი, კუთხეებში - ორი მაგიდა; ტახტი, რბილი სავარძლები და ყავის მაგიდა იდგა ბუხრის წინ, რომელიც წინ იყო წამოწეული, ოთახის სიღრმეში. საძინებელ ოთახში, მომრგვალებული ფანჯრის მოპირდაპირე კედელში ჩაშენებული უჯრები იყო, ფართო საწოლი კი ორადგილიანი გახლდათ. სასთუმლის ორივე მხარეს, კედელზე, ეკიდა წიგნის თაროები, რომლებზეც მუყაოსგან დამზადებული პაწაწინა წიგნები ეწყო. ყდებზე სახელწოდებებიც კი ეწერა. ეს ყველაფერი შესანიშნავად იყო შესრულებული. ფერწერაზე მეტად ეს ეხერხებო, გაიფიქრა შვედმა. ალბათ ცხოვრება უფრო გააზრებული იქნებოდა, მისი მასშტაბი ერთ ფუტზე ერთი მეთექვსმეტედი ღუიმი რომ ყოფილიყო. საძინებელ ოთახს მხოლოდ მუყაოს პენისი აკლდა, მასზე მიწერილი ორკატის სახელით. ორკატს მუყაოსგან პირქვე მწოლიარე დოუნის მოდელი უნდა დაემზადებინა - და პენისიც მის უკანალში. სასაცილო იქნებოდა, დოუნის მუყაოს სამოთხის თვალიერებისა და რიტა კოენის ლაქლაქის დროს ესეც ეხილა.

რა კავშირი აქვს რიტა კოენს ჯაინიზმთან? რა საერთო აქვთ ერთმანეთთან? არაფერი, მერი, არაფერი. რა კავშირი აქვს ნებისმიერ ამ ყბედს შენთან, რომელიც წყლისთვის ზიანის მიყენებასაც კი უფრთხი?

არავითარი კავშირი არა აქვს, არავითარი. ის მხოლოდ შენს გონებაში არსებობს. ნებისმიერ სხვა ადგილას კი - ლოგიკურად, შეუძლებელია.

რიტა კვალდაკვალ დაჰყვება მერის, არ შორდება, ზვერავეს. მაგრამ მათ შორის კავშირი არ ყოფილა და არ არის. ლოგიკურად, ასეა.

- ძალიან შორს შეტოპე. შეტოპე-მეთქი! გგონია, მოვლენებს მართავ, მ-მ-მ-მამიკო? ვერაფერსაც ვერ მართავ.

მაგრამ, მართავს თუ არა შვედი რაიმეს, ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს. თუკი მერის და რიტას რაიმე აკავშირებს, თუკი მან დღეს იცრუა, როდესაც თქვა, რიტა კოენს არ ვიცნობო, მაშინ, შესაძლოა, ისიც სიცრუეა, რომ აფეთქების შემდეგ მერი შეილამ შეიფარა. და თუ ასეა, როდესაც დოუნი და ორკატი თავიანთ მუყაოს სახლში დაბინავდებიან, შვედი და შეილაც გადასახლდებიან პუერტო-რიკოში. და თუ ეს ყველაფერი მამას სიკვდილის პირას მიიყვანს, დამარხავენ, მორჩა და გათავდა. აი, როგორ უნდა მოიქცნენ - ღრმად უნდა ჩამარხონ მიწაში.

შვედს უეცრად გაახსენდა ბაბუამისის სიკვდილი და ისიც, როგორ იმოქმედა ამან მამაზე. შვედი მაშინ პატარა იყო, შვიდი წლისა. ბაბუა წინა სალამოს სასწრაფოდ წაიყვანეს საავადმყოფოში და მამა და ბიძები მთელი ღამე მოხუცს სასთუმალთან ესხდნენ. მამა შინ დილის რვის ნახევარზე დაბრუნდა. ბაბუა ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო. მამა ავტომანქანიდან გადმოვიდა, კიბე ამოიარა, სახლში შემოვიდა და სკამზე დაეშვა. შვედი ფარდის უკან იმალებოდა და უთვალთვალებდა. მამა არ შერხეულა, მაშინაც კი, როდესაც შვედის დედა შემოვიდა და სცადა ენუგეშებინა. მთელი ერთი საათის განმავლობაში არ განძრეულა, წინ გადახრილი, იდაყვებით მუხლებს ეყრდნობოდა, სახე კი ხელებში ჰქონდა ჩარგული. იძულებული იყო, მთელი ძალით მოეჭირა ხელები თავზე, რათა არ ეტირა. ბოლოს, როდესაც იგრძნო, რომ თავის აწევა შეეძლო, ადგა, ავტომანქანაში ჩაჯდა და სამსახურში წავიდა.

ცრუობს თუ არა მერი? ტვინი გამოურეცხეს? ლესბოსელია? რიტა მისი საყვარელია? მერი ხელმძღვანელობს მთელ ამ საშინელებას? იქნებ სხვა საქმე არა აქვთ და ამიტომ მაწამებენ? იქნებ ეს თამაშია, მათი თამაში, ჩემს საწამებლად მოგონილი?

არა, მერი არ ცრუობს - სიმართლეს ამბობს. რიტა კოენი არ არსებობს. თუკი მერის ასე სწამს, მეც დავიჯერებ. და საჭირო არაა, უსმინო იმას, ვინც არ არსებობს. ტრაგედია, რომელიც ამ არარსებულმა ქალმა

შეთხზა, ასევე არ არსებობს. მისი ამაზრზენი ბრალდებები არ არსებობს. მისი ძალაუფლებაც არ არსებობს. თუ რიტა არ არსებობს, მაშინ რა ძალაუფლება უნდა ჰქონდეს? განა მერის შეუძლია შეათავსოს თავისი რელიგია და რიტა კოენი? როდესაც ყურმილში რიტას წივილ-კივილი გესმის, მაშინვე გასაგები ხდება, რომ მისთვის არ არსებობს არაფერი წმინდა, არც მიწაზე და არც ცაში. რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს მას შიმშილობასთან, მაჰათმა განდისთან, მარტინ ლუთერ კინგთან? რიტა არ არსებობს, რადგან არ შეესაბამება ყოველივე ამას. ეს სიტყვებიც კი მისი არაა. ახალგაზრდა ქალი ასე ვერ ილაპარაკებს. ამისთვის არავითარი საფუძველი არა აქვს, ვილაცას ბაძავს. ვილაცამ აუხსნა, როგორ უნდა მოქცეულიყო და რა ელაპარაკა. ყველაფერი იმთავითვე სპექტაკლი იყო. ეს რიტას მოფიქრებული როდია. ვილაც დგას მის ზურგს უკან, ვილაც უზნეო, ცინიკოსი, გარყვნილი, ვინც აიძულებს ამ ბავშვებს, მის ბრძანებებს დაემორჩილონ; ვინც განძარცვა რიტა კოენი და მერი ლევოვი თანდაყოლილი სიკეთისგან და აიძულებს, ამ სპექტაკლში ითამაშონ.

- გინდა, ამ იდიოტური პატარ-პატარა სიამოვნებების სამყაროში დააბრუნო? წმინდანს ცხოვრება დაუნგრეო და პრიმიტიული, უსულგულო ცრუ-ცხოვრების ნაწილად აქციო? შენნაირები უმდაბლესი არსებები არიან დედამიწაზე, ვერ გაიგე? როგორ ფიქრობ, შენი შეხედულებით ცხოვრების შესახებ, შენი დანაშაულებრივი სიმდიდრით, რა უნდა შესთავაზო ასეთ პიროვნებას? მაინც რა? მთელი შენი კრიმინალური ცხოვრების მიზანი პარაზიტული გზით საკუთრების მოპოვებაა. ამას წყალი არ გაუვა. რა იცი მის შესახებ? ნუთუ ვერ ხვდები, ვისთან გაქვს საქმე? დაახლოებით მაინც თუ წარმოგიდგენია, ვისთანაა დაკავშირებული უზენაესი კავშირით?

ეს ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართული ბრალდებებია იმის მხრიდან, ვინც არ არსებობს. აღტაცება შვედის ქალიშვილის დეგრადაციით. არარსებული პიროვნების მიერ მისი კლასისთვის გამოტანილი განაჩენი: „დამნაშავეა!“

- გინდა წამართვა? კინალამ გული აგერია, როდესაც დაინახე! გული გერეოდა, რადგან თავი დააღწია შენი ბინძური მორალის პაწაწინა სამყაროს. მითხარი, შვედ, ეს როგორ გაიფიქრე?

შვედმა ყურმილი დაკიდა. დოუნს ჰყავს ორკატი, მე მყავს შეილა, მერის ჰყავს - ან არ ჰყავს - რიტა. შეიძლება რიტამ ჩვენთან ივანშმოს?

შეიძლება რიტამ ჩვენთან ღამე გაათიოს? შეიძლება რიტას ჩემი ფეხ-საცმელი ვაჩუქო? დედიკო, მე და რიტას სოფელში ხომ ვერ წაგვიყვან? მამაჩემი ამ ყველაფერს ვერ უძლებს და კვდება. ვერაფერს გააწყობ - რაც მოსახდენია, მოხდეს. მან მამამისის სიკვდილი გადაიტანა. მეც გადავიტან მამაჩემისას. ყველაფერს ავიტან. არ მანალვლებს, აქვს თუ არა ამას რაიმე აზრი, დასაშვებია თუ არა ეს. უკვე აღარაფერი მეხება, აღარ ვარსებობ. აღარაფერზე ვაგებს პასუხს, აღარაფერი მანალვლებს. შეიძლება მე და რიტამ ფოსტა ავაფეთქოთ? დიახ. როგორც გინდა, ისე მოიქეცი, საყვარელო. ვისაც სიკვდილი უწერია, მოკვდეს.

სიგიჟე და პროვოკაცია. ყველაფერი უცხოა. დაუჯერებელი. რეალური ცხოვრებიდან ამოვარდნილი. თვით შვედიც ამოვარდნილია ცხოვრებიდან. ტანჯვის უნარიც კი აღარ აქვს.

უცებ გონება გაუნათდა: ბოლოს და ბოლოს, ტანჯვის უნარი ხომ ამოწურული აქვს. მაგრამ, ამის მიუხედავად, განთავისუფლება არ შეუძლია. ეს აზრიც იმთავითვე ამოვარდნილი იყო ცხოვრებიდან, საზღაური კი უმძიმესი გახლდათ. სიმალლე - ექვსი ფუტი და სამი დუიმი, ასაკი - ორმოცდაექვსი წელი, ბიზნესის ბრუნვა - მილიონობით დოლარი, და... მეორედ ემსხვერპლა ულმობელ პატარა ბოზს. ის შვედის მტერია და ნამდვილად არსებობს. მაგრამ საიდან მოვიდა? რატომ მწერს, მირეკავს, თავს მესხმის? რა საერთო აქვს ჩემს საბრალო, სულელებად გატეხილ გოგონასთან? არაფერი!

რიტასთან საუბრის შემდეგ შვედი, ისევე, როგორც წინა შეხვედრისას, ოფელში იწურება. ტკივილისგან თავი უსკდება. დაღლილობისგან ეჩვენება, თითქოს სიკვდილის პირასაა. და მისი მტერი მეტად რეალური როდია, ვიდრე მითური ურჩხული. არც მტრის აჩრდილია და არც მოჩვენება, მაგრამ ვინაა? ვილაცის წარმოგზავნილია. დიახ. სამაგიეროს უხდის, ადანაშაულებს, ექსპლუატაციას უწევს, ხელიდან უსხლტება, ეწინააღმდეგება, ათასგვარი უწმაწური სიტყვით გონებას უბნევს, იდიოტური კლიშეების ბადეში ახვევს და ხან გამოჩნდება, ხან ქრება. ვილაცის წარმოგზავნილია. მაგრამ - ვისი? საიდან?

რიტას შესახებ მხოლოდ ის იცის, რომ შეუვალი, შუბლმაგარი ადამიანების ტიპური წარმომადგენელია. და, აგრეთვე, ისიც, რომ, რიტას აზრით, შვედი საზარელი, საძულველი ბოროტმოქმედი. კიდევ ის, რომ რიტა ოცდაშვიდი წლისაა. გოგონა აღარაა, ზრდასრული ქალი გახლავთ, მაგრამ ისეთი, რომელიც პათოლოგიურად ჩარჩა განვითარე-

ბის რომელიდაც საფეხურზე. ისე მოქმედებს, როგორც ადამიანის სხეულის ნაწილებისგან შეკოწიწებული მექანიზმი. როგორც რეპროდუქტორი. და ეს რეპროდუქტორი გამაყრუებელ ბგერებს გამოსცემს, რომლებიც გარშემო ყველაფერს ანადგურებს და ადამიანებს ჭკუიდან შლის. ხუთი წლის შემდეგ მხოლოდ ამ ბგერების მიმართულება შეიცვალა. მერის რეგრესი ჯაინიზმში ვლინდება, რიტა კოენისა - რალაც უფრო საშინელში. შვედმა რიტას შესახებ მხოლოდ ის იცის, რომ ქალს ახლა ყველაზე მეტად სწყურია აქტიური მოქმედება და მისი ქცევა სულ უფრო მოულოდნელია. შვედმა იცის, რომ რიტას პაწაწა სხეულში უდიდესი გამანადგურებელი, დამლუპველი ძალაა ჩაბუდებული. ხუთი წელი გავიდა. რიტა დაბრუნდა. რალაც მოხდება. კვლავ რალაც წარმოუდგენელი და დაუჯერებელი მოხდება.

შვედი უკვე ველარ გადააბიჯებს ზღვარს, რომელთანაც ამ სალამოს შეჩერდა. იმ ოთახიდან გამოსვლისას, სადაც სახეზე ჩვარაფარებული მერი იმყოფებოდა, გააცნობიერა, რომ ბედის უსასრულო დარტყმებს ველარ გაუძლებდა.

აღარაფერი მსურს და აღარაფრისკენ ვილტვი. შენი წყალობით.

ვილაცამ კარი შემოაღო.

- ხომ კარგად ხარ? - ჰკითხა შეილა ზალცმანმა.

- რა გინდა?

შეილა ოთახში შემოვიდა და კარი მიხურა.

- სადილობისას ცუდად გამოიყურებოდი, ახლა კი უარესად გამოიყურები.

დოუნის საწერი მაგიდის თავზე გრაფის ჩარჩოში ჩასმული ფოტოსურათი ეკიდა. სურათის ორივე მხარეს, კედელზე, მიმაგრებული იყო ყველა პრიზი, რომლებითაც გრაფი დააჯილდოვეს. სწორედ ამ ფოტოსურათს იყენებდა დოუნი ფერმის ყოველწლიური რეკლამისთვის, რომელსაც მესაქონლეთა ჟურნალში აქვეყნებდა. სარეკლამო სლოგანი მერიმ შეარჩია სამი ვარიანტიდან, რომლებიც ერთ სალამოს, როდესაც სამზარეულოში ვახშობდნენ, დოუნმა ქმარ-შვილს განსახილველად შესთავაზა. გრაფი სასწაულებს მოახდენს თქვენს ნახირში! თუ ხარი გჭირდებათ, გრაფი იმსახურეთ! გრაფი მარტოდმარტო შექმნის ნახირს! თავდაპირველად მერიმ თავისი ვარიანტი წარმოადგინა: „გრაფი - მართლაც გრაფია!“, მაგრამ ვინაიდან დოუნმაც და შვედმაც დაიწუნეს, გოგონამ თქვა, კარგი, მაშინ დავტოვოთ „გრაფი მარტოდმარტო

შექმნის ნახირს“-ო. ეს სლოგანი ქვეყნდებოდა ჟურნალში მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ გრაფი დოუნის საჯიშე სუპერვარსკვლავად რჩებოდა.

უწინ მაგიდაზე ცამეტი წლის მერის ფოტოსურათი იყო. აქ ის უზარმაზარი საპრიზო ხარის, ოქროს სერტიფიკატის მფლობელის გვერდით იყო აღბეჭდილი. გოგონას ხარის საცხვირე რგოლში გაყრილი ტყავის ღვედი ეკავა. ასწავლეს, როგორ უნდა მოეწყო ხარებისთვის: თავდაპირველად - ერთი წლის მოზვრებისთვის, შემდეგ კი - მოზრდილი ხარებისთვისაც. დოუნმა აუხსნა, როგორ უნდა წარმოედგინა გრაფი: ღვედი ისე უნდა დაეკავებინა, რომ ხარს თავი მაღლა აეწია, შემდეგ ოდნავ უნდა მოექაჩა და ნელ-ნელა გაეტარებინა, რათა მაყურებლებს ხარის მთელი სილამაზე ეხილათ; გარდა ამისა, მასთან კონტაქტი არ უნდა დაეკარგა და საშუალება მიეცა, უფრო დამჯერი ყოფილიყო, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ღვედიან ხელს ძირს დაუშვებდა. გრაფი თვინიერი და გამგონი გახლდათ, მაგრამ დოუნმა მაინც უთხრა მერის, რომ ყოველთვის სიფრთხილე იყო საჭირო. შეიძლებოდა, ხარი გაჯიუტებულიყო, თუნდაც მერისთან ან დოუნთან - მისთვის ყველაზე საყვარელ ორ არსებასთან. ეს ფოტოსურათი ადასტურებდა მოთმინებას, რომლითაც დოუნი ასწავლიდა მერის, და იმასაც, როგორი ხალისით ითვისებდა მერი ყველაფერს დედამისისგან. ის შვედისთვის არანაკლებ ძვირფასი იყო, ვიდრე „დენვილ-რენდოლფ-კურიერის“ პირველ გვერდზე გამოქვეყნებული ფოტოსურათი, რომელზეც გამოსახული იყო ქურთუკში გამოწყობილი, ბუხრის თავზე დაყრდნობილი დოუნი. ახლა ეს ფოტო აქ არ ჩანდა, ისევე, როგორც - დოუნის ბავშვობისდროინდელი სურათი, რომელზეც ასახული იყო სენტ-კეტრინის ეკლესიასთან, ტბაზე გადებული ხიდი სპრინგ-ლეიკში. ფოტოსურათი გაზაფხულის მზიან დღეს იყო გადაღებული, ხიდის ორივე მხარეს აზალიები ყვაოდნენ, ხოლო უკანა პლანზე მოჩანდა იმ ეკლესიის გუმბათი, რომელშიც პატარა დოუნი ხშირად წარმოიდგენდა ხოლმე თავის თავს საპატარძლო კაბაში. ახლა მის საწერ მაგიდაზე მხოლოდ ორკატის მიერ დამზადებული მუყაოს მაკეტი იდგა.

- ეს ახალი სახლია? - ჰკითხა შეილამ.

- ძუკნა!

ქალს წარბიც არ შეუხრია. გაუნძრევლად იდგა, ღუმდა და თვალეში უმზერდა შვედს. შვედს კედლიდან გრაფის ფოტოსურათი რომ ჩა-

მოეგლიჯა და ქალისთვის თავში ჩაერთყა, ეს უკანასკნელი მაინც შეინარჩუნებდა სიმშვიდეს და არ აღელდებოდა. ხუთი წლის წინ, ოთხი თვის განმავლობაში, ისინი საყვარლები იყვნენ. განა ახლა ეტყვის სიმართლეს, თუ მაშინ უმაღლავდა?

- გაეთრიე! - დაუყვირა შვედმა.

მაგრამ როდესაც შეილა შებრუნდა, რათა ეს უხეში მოთხოვნა შეესრულებინა, შვედმა ხელზე ხელი სტაცა და კარზე ააკრა.

- შენ შეიფარე მერი, - ეს სიტყვები ჩურჩულით წარმოთქვა, მაგრამ მათში მრისხანება მაინც ისმოდა. თავზე ხელები ძლიერ მოუჭირა. სხვა დროსაც მოუჭერია ხელები თავზე, მაგრამ ასე - არა. ნამდვილად არა.

- შენ შეიფარე მერი!

- ჰო.

- და ჩემთვის არაფერი გითქვამს.

ქალს ხმა არ ამოუღია.

- სიამოვნებით მოგკლავდი, - უთხრა შვედმა და მაშინვე ძირს დაუშვა ხელები.

- მერის შეხვდი? - ჰკითხა შეილამ. გულხელდაკრეფილი იდგა. უდრტვინველობის განსახიერება იყო, თუმცა შვედი სულ ცოტა ხნის წინ ემუქრებოდა, მოგკლავო. თავშეკავებას არასოდეს კარგავდა. ყოველთვის ფრთხილად, გააზრებულად იქცეოდა.

- ყველაფერი გცოდნია, - შეულრინა შვედმა.

- ვიცი, რისი გადატანაც მოგიხდა. რით შემიძლია დავეხმარო?

- გინდა დავეხმარო? რატომ დართე ნება, შენი სახლიდან წასულიყო? შენთან მოვიდა. შენობა ააფეთქა. ყველაფერი იცოდი. რატომ არ დამირეკე, რატომ არ დამიკავშირდი?

- მაშინ არაფერი ვიცოდი. მხოლოდ საღამოს შევიტყვე. როდესაც ჩემთან მოვიდა, სახეზე ფერი არ ედო. აფორიაქებული იყო, მაგრამ ამის მიზეზი არ ვიცოდი. ვიფიქრე, ალბათ ოჯახში შეემთხვა რამემეტეი.

- რამდენიმე საათის შემდეგ ხომ ყველაფერი შეიტყვე. რამდენ ხანს იმყოფებოდა შენთან? ორი დღე? სამი დღე?

- სამი დღე. მესამე დღეს წავიდა.

- და უკვე იცოდი საქმის ვითარება.

- მხოლოდ მოგვიანებით შევიტყვე. ვერ ვიჯერებდი, მაგრამ...

- ყველაფერი ტელევიზიით გადმოსცეს.

- ის უკვე ჩემთან იმყოფებოდა. დახმარებას დავპირდი. დავპირდი, რომ საიდუმლოდ შევინახავდი ყველაფერს, რასაც გამიმხელდა. მთხოვა დამეჯერებინა მისი მონაყოლი. სატელევიზიო რეპორტაჟი მოგვიანებით ვნახე. განა შემეძლო, მისი ნდობა არ გამემართლებინა? მერის ექიმი ვიყავი, ის კი ჩემი პაციენტი იყო. მის ინტერესებს ყველაზე მაღლა ვაყენებდი. სხვა რა შემეძლო? პოლიციისთვის გადამეცა?

- ჩემთვის უნდა დაგერეკა. ეს შეგეძლო. უნდა დაგერეკა მამამისისთვის. მაშინ რომ დაგერეკა და გეთქვა, ნუ წუხნარ, ხიფათი არ ემუქრებაო, და ისევ შენთან დაგეტოვებინა...

- უკვე დიდი გოგო იყო. როგორ უნდა დამეტოვებინა ჩემთან?

- ჩაგეკეტა და სახლიდან არ გამოგეშვა.

- მერი ცხოველი როდია. არც კატაა, არც ჩიტი, რომელიც შეიძლება გალიაში ჩასვა. იმის გაკეთებას აპირებდა, რაც მართებულად მიაჩნდა. მე მენდო, სეიმურ, და სიტყვის გატეხა ამ ვითარებაში... არა, მინდოდა სცოდნოდა, რომ ამქვეყნად არსებობს ადამიანი, რომელსაც შეიძლება ბოდა ნდობოდა.

- იმ მომენტში სანდო ადამიანი კი არა, მე ვჭირდებოდი!

- სწორედ შენთან დაუწყებდნენ ძებნას. რა სარგებლობას მოიტანდა დარეკვა? შენთან მისი მოყვანა არ შემეძლო. გარდა ამისა, ეჭვს აიღებდნენ, რომ ჩემს სახლში იმალებოდა. მომეჩვენა, რომ ეს ყველაზე მეტად სავარაუდო იყო. მიხვდებოდნენ. ისიც კი ვიფიქრე, რომ ჩემი ტელეფონი ისმინებოდა. როგორ უნდა დამერეკა?

- როგორმე უნდა დამკავშირებოდით.

- როდესაც მოვიდა, აღზნებული იყო, რაღაცებს ყვიროდა ომისა და თავისი ოჯახის შესახებ. ვიფიქრე, რომ თქვენთან, სახლში რაღაც ცოდვა დატრიალდა; რომ მას რაღაც საშინელება შეემთხვა. შეშლილს ჰგავდა, სეიმურ. რაღაც განსაცდელში ჩავარდა. ისე ლაპარაკობდა, თითქოს სძულდით. ვერ წარმომედგინა... მაგრამ ზოგჯერ შეიძლება ეჭვი შეგებაროს ადამიანებში. როდესაც მე და შენ ერთად ვიყავით, ალბათ, ამ ეჭვებში გარკვევა მსურდა.

- რაო? რას ამბობ?

- ვცდილობდი გამერკვია, შენში ხომ არ იყო ბოროტების სათავე. იქნებ ისეთი რამ გადაიტანა, რამაც ეს საშინელი საქციელი გამოიწვია? დაბნეული ვიყავი. მინდა იცოდე, რომ არასოდეს მჯეროდა ამ შესაძ-

ლებლობისა და არც მსურდა დამეჯერებინა. მაგრამ მაინც ვეჭვობდი. ნებისმიერი ადამიანი დაეჭვდებოდა.

- მერე? მერე? ჩვენმა ურთიერთობამ რაიმე გაარკვია? რა ჯანდაბა გაარკვია, როდესაც ჩემი საყვარელი იყავი?

- ის, რომ კეთილი და მგრძობიარე ხარ. ყოველნაირად ცდილობ, გონივრულად და გამოზომილად იმოქმედო. ისეთი ხარ, როგორც მე-გონე, სანამ მერი იმ ბომბს ააფეთქებდა. სეიმურ, დამიჯერე, მხოლოდ მისი უსაფრთხოება მალეღვებდა. ამიტომაც შევიფარე. ვაიძულე ებანავა და მოწესრიგებულიყო. საწოლში დავაწვინე. მართლა არ ვფიქრობდი...

- მან შენობა ააფეთქა, შეილა! ადამიანი მოკლა. იმ წყეული ტელევიზიით ყველაფერი გადმოსცეს.

- ტელევიზორი მოგვიანებით ჩავრთე.

- სალამოს ექვს საათზე ყველაფერი შეიტყვე. შენთან სამი დღე გაატარა. რატომ არ დამიკავშირდი?

- რა სარგებლობას მოუტანდა შენთან დაკავშირება?

- მამამისი ვარ.

- ჰო, მამამისი ხარ, მან კი შენობა ააფეთქა. რატომ უნდა მომეყვანა შენთან?

- არ გესმის, რას ვგულისხმობ? ის ჩემი შვილია.

- ძალიან ძლიერი პიროვნებაა.

- იმდენად, რომ შეეძლო, მარტოდმარტო ეცხოვრა ამ სამყაროში? არა!

- შენთან დაბრუნება ვერაფერში დაეხმარებოდა. არ აპირებდა, გამგონი გოგონასავით გულხელდაკრეფილი მჯდარიყო სახლში. არ შეიძლება, შენობა ააფეთქო, შემდეგ კი...

- ვალდებული იყავი გეთქვა, რომ მერი შენთან იყო.

- ვშიშობდი, რომ ასეთ შემთხვევაში უფრო ადვილად იპოვიდნენ. იმდენად შორს შეტოპა და ისე გაძლიერდა, რომ ვფიქრობდი, უკვე შეძლებს დამოუკიდებლად ცხოვრებას-მეთქი. ის მართლა ძალიან ძლიერია, სეიმურ.

- შერეკილია.

- იმდენი იტანჯა!

- ღმერთო ჩემო, განა მამას არავითარი როლი არ აქვს ტანჯული შვილის ცხოვრებაში?

- უმნიშვნელოვანესი როლი აქვს, ამიტომაც ვერ შევძელი... მე ხომ მეგონა, რომ თქვენს ოჯახში რალაც საშინელება მოხდა.
- რალაც საშინელება მაღაზიას შეემთხვა.
- ერთი გენახა... საშინლად გასუქდა!
- მენახა? როგორ გგონია, სად ცხოვრობდა? დაუყოვნებლივ უნდა დაკავშირებოდი მის მშობლებს და არ მიგეცა საშუალება, ცხრა მთას იქით გადაკარგულიყო. უფრო მეტად ვჭირდებოდი, ვიდრე - ოდესმე. მამა სჭირდებოდა. შენი აზრით, არ სჭირდებოდა? უდიდესი შეცდომა დაუშვი. იმედი მაქვს, გრძნობ ამას.
- რით დაეხმარებოდი? რით დაეხმარებოდა ნებისმიერი ადამიანი?
- ვიმსახურებდი, რომ მისი ამბავი მცოდნოდა. უფლება მქონდა, მცოდნოდა. არასრულწლოვანი იყო. ჩემი შვილი. აუცილებლად უნდა შეგეტყობინებინა.
- პირველ რიგში, მის წინაშე ჩემი მოვალეობა უნდა შემესრულებინა. ჩემი პაციენტი იყო.
- უკვე აღარ იყო.
- უწინ ხომ იყო. ძალიან უჩვეულო პაციენტი. იმდენს მიაღწია! მთავარი ვალდებულებები მის წინაშე მქონდა. მენდო და ვერ ვუღალატებდი. უკვე დაზარალებული იყო.
- ყურებს ვერ ვუჯერებ.
- ეს კანონში წერია.
- რომელ კანონში?
- კანონში, რომელიც კრძალავს პაციენტის ნდობის ბოროტად გამოყენებას.
- სხვა კანონიც არსებობს, ყეყეჩო. კანონი, რომელიც მკვლელობას კრძალავს. მას პოლიცია ეძებდა.
- მასზე ასეთი კილოთი ნუ ლაპარაკობ. უეჭველად უნდა დამალულიყო. სხვა რა უნდა ექნა?! ვფიქრობდი, იქნებ თვითონ ჩაბარდეს პოლიციას-მეთქი. ოღონდ - მოგვიანებით. ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევდა.
- მერე, მე? დედამისი?
- შენზე ფიქრი მკლავდა.
- ოთხი თვის განმავლობაში ერთად ვიყავით. ეს ფიქრი ყოველდღე გკლავდა?

- ყოველი შეხვედრისას ვფიქრობდი, შეიცვლებოდა თუ არა რაიმე, ყველაფერი რომ შეგეტყო. მაგრამ ვერ ვხვდებოდი, რა შეიძლებოდა შეცვლილიყო. ჩემი გულახდილობა ვერაფერს შეცვლიდა. უკვე სულიერად გატეხილი იყავი.

- უსულგულო ძუკნა ხარ.

- ვერაფერს გავაწყობდი. მთხოვა, საიდუმლო შემენახა. მთხოვა, მენდო.

- არ მესმის, ასე რამ დაგაბრმავა. როგორ აპყევი აშკარად შერეკილ გოგოს?

- მესმის, როგორ გიჭირს. ამასთან შეგუება წარმოუდგენელია. მაგრამ ყველაფერს მე ნუ გადმომბრალებ, ნუ იფიქრებ, რომ ჩემი საქციელთ რაიმეს შეცვლა შემეძლო... ვერაფერს შევცვლიდი, ვერც მის ცხოვრებაში და ვერც - შენსაში. გაიქცა. მისი დაბრუნება შეუძლებელი იყო. შეიცვალა. რაღაც უბედურება შეემთხვა. მის დაბრუნებას აზრი არ ჰქონდა. ისეთი მსუქანი იყო.

- კმარა! რა მნიშვნელობა აქვს ამას?

- ვფიქრობდი, სიმსუქნეც და გაღიზიანებაც ადასტურებს, რომ ოჯახში ყველაფერი რიგზე არ არის-მეთქი.

- და ეს ჩემი ბრალი იყო!

- არა, ასე არ ვფიქრობდი. ყველას ოჯახები გვყავს. და ოჯახებში, ჩვეულებრივ, ყველაფერი რიგზე არ არის.

- ამიტომაც გადაწყვიტე, სახლიდან გაგეშვა თექვსმეტი წლის გოგონა, რომელმაც მკვლელობა ჩაიდინა. მარტოდმარტო. დაუცველი. არც კი დაფიქრებულხარ, რა შეიძლებოდა შემთხვეოდა.

- ისე ლაპარაკობ, თითქოს უმწეო იყოს.

- უმწეოა. ყოველთვის უმწეო იყო.

- შენობის აფეთქებამ წარსული გადახაზა, სეიმურ. მისთვის რომ მეღალატა, რა შედეგს გამოიღებდა?

- იმას, რომ მის გვერდით ვიქნებოდი. დავიცავდი იმისგან, რაც შეემთხვა. შენ დღეს არ გინახავს, მე კი ვნახე. სრულიად შეშლილია. დღეს ვნახე, შეილა. მსუქანი აღარაა - ჩონჩხია, ძონძებში გახვეული ჩონჩხი. ნიუარკში ცხოვრობს, წარმოუდგენელ პირობებში. ვერ აგიწერ, როგორ ცხოვრობს. საიდუმლო ჩემთვის რომ გაგემხილა, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა.

- მე და შენ ერთმანეთი არ შეგვიყვარდებოდა, ესაა და ეს. რა თქმა უნდა, მესმოდა, რომ შეურაცხყოფილად იგრძნობდი თავს.

- რის გამო?

- იმის გამო, რომ მერი შევიფარე. რა საჭიროა ამაზე ხელახლა ლაპარაკი? მე ხომ არ ვიცოდი, სად წავიდა?! მის შესახებ ინფორმაცია არ მქონდა. ესაა და ეს. შეშლილი არ იყო. შემფოთებული იყო. გაღიზიანებული. მაგრამ შეშლილი არ იყო.

- მაღაზიას მხოლოდ შეშლილი თუ ააფეთქებს. მხოლოდ შეშლილი დაამზადებს ბომბს და მაღაზიის საფოსტო განყოფილებაში დამალავს.

- ჩემთან ყოფნისას შეშლილი არ იყო.

- უკვე შეშლილი იყო. კარგად იცი, რომ იყო. იქნებ იმისთვის წავიდა, რომ კიდევ ვინმე მოეკლა? ასეთი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე როგორ აიღე? ასეც მოიქცა. ასეც მოიქცა, შეილა. კიდევ სამი ადამიანი მოკლა. აბა, როგორია?

- უბრალოდ, გინდა, რომ გული მატკინო.

- სიმართლეს გეუბნები! კიდევ სამი ადამიანი მოკლა. შეგეძლო, ამისთვის ხელი შეგეშალა.

- ნუ მაწამებ. ნუ ცდილობ გამაწამო.

- კიდევ სამი ადამიანი მოკლა!

შვედმა კედლიდან გრაფის ფოტოსურათი ჩამოგლიჯა და იატაკზე, პირდაპირ შეილას ფეხებთან დააგდო. მაგრამ ქალს არ შეშინებია - პირიქით, თავის უკეთ გაკონტროლება შეძლო. ჩვეული გამომეტყველება დაიბრუნა. უშფოთველად, გულგრილად, ამაყად, ხმის ამოუღებლად მიტრიალდა და გავიდა.

- რით შეიძლებოდა დავხმარებოდი? - ბრდღვინავდა შვედი, რომელიც ფრთხილად აგროვებდა მინის ნამსხვრევებს და სანაგვე კალათში ყრიდა. - რით შეიძლებოდა დავხმარებოდი? ვერავინ დაეხმარებოდა. თექვსმეტი წლისა იყო. თექვსმეტი წლისა და სრულიად შეშლილი. უმწეო. ჩემი შვილი. შენობა ააფეთქა. შერეკილი იყო. რა უფლება გქონდა, სახლიდან გაგეშვა?

მან უშფოთველი გრაფის შეუმინავი პორტრეტი კვლავ მაგიდის თავზე დაკიდა, შემდეგ კი, თითქოს შორეული ხმების ზუზუნის მოუწოდებს, თავისი მოვალეობა შეასრულოსო, ველური ჯუნგლიდან წვეულების შესანიშნავ, სათანადოდ დადგმულ კომედიას დაუბრუნდა. მხოლოდ მისი მეშვეობით თუ შეიძლებდა სულიერი წონასწორობის შე-

ნარჩუნებას. ახლა, როცა შვედის მთელი ცხოვრება კატასტროფისკენ მიექანებოდა, მხოლოდ ამ წვეულებას თუ ჩაეჭიდებოდა.

სანთლებით განათებულ ვერანდაზე გავიდა და თან წაიღო ყველაფერი, რასაც ვერ ხვდებოდა და რაც სულს უმძიმებდა.

თეფშები კიდევ ერთხელ გამოეცვალათ. სალათის შემდეგ გოგონებს გამოეტანათ დესერტი - მაკფერსონთან შექნილი ტორტი მარწყვითა და რევანდით. შვედმა შეამჩნია, რომ სტუმრები გადამსხდარიყვნენ. ორკატი, რომელიც ყველაფერ ამაზრზენს წარმატებით მალავდა ჭრელი პერანგისა და ჟოლოსფერი შარვლის ქვეშ, უმანოვებს მისჯდომოდა. ახლა, როდესაც საუბარი უკვე „უძირო ხახას“ აღარ ეხებოდა, ისინი გულითადად საუბრობდნენ და იცინოდნენ. არსებითად, „უძირო ხახა“ არასოდეს ყოფილა მსჯელობის ჭეშმარიტი თემა. მის შესახებ საუბრისას ყველანი ქვეშეცნეულად ლაპარაკობდნენ გაცილებით უფრო ამაზრზენი და დაუშვებელი მოვლენების - მერის, შეილას, შელის, ორკატისა და დოუნის, მეზობლებისა და მეგობრების გარყვნილების, ლალატის, სიცრუის, მუხანათობის, სისასტიკის შესახებ. ჰუმანურობის გაქირდვა, ეთიკის ნებისმიერი ნორმის შელახვის შესაძლებლობა - აი, რა იყო დღევანდელი საუბრის თემა.

შვედის დედა გვერდით მისჯდომოდა დოუნს, რომელიც ზალცმანებს ესაუბრებოდა. ლუ და ჯესი არსად ჩანდნენ.

- მნიშვნელოვანი საკითხის გამო დაგირეკეს? - ჰკითხა დოუნმა ქმარს.

- ერთი ჩეხი იყო, საკონსულოდან. ის ინფორმაცია შემატყობინა, რომლის მოპოვებაც ვთხოვე. მამაჩემი სადაა?

შვედს მოეჩვენა, რომ დოუნი იტყოდა, მოკვდაო, მაგრამ ქალმა მხოლოდ თვალი მოავლო მაგიდას, არ ვიცო, უპასუხა და კვლავ განაგრძო საუბარი შელისა და შეილასთან.

- მამაშენმა სადღაც წაიყვანა მისის ორკატი, - წაიჩურჩულა შვედის დედამ. - მგონი, სახლში შევიდნენ.

ორკატი შვედთან მივიდა. ერთი სიმაღლისანი იყვნენ, მხარბეჭიანნი და კუნთმაგარნი, მაგრამ შვედი ფიზიკურად უფრო ძლიერი განლდათ, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც ორივენი ოცდახუთი წლისანი იყვნენ. ამ დროს მერი ახალდაბადებული იყო, დოუნი და შვედი ნიუარკიდან, ელიზაბეთ-ავენიუზე მდებარე ბინიდან ოლდ-რიმროკში გადასახლდნენ და ერთ შაბათ დილას ახალმოსახლე მოედანზე გამოჩნდა

ორკატის სახლის უკან, სადაც სპორტის მიყვარულები ტაჩ-ფეხბურთს თამაშობდნენ ხოლმე. შვედი, რომელსაც იზიდავდა გართობა, სუფთა ჰაერი, გუნდურ თამაშთან დაკავშირებული სასიამოვნო განცდა და ადამიანების გაცნობის შესაძლებლობა, სულაც არ ცდილობდა შთაბეჭდილების მოხდენას ან თავისი უპირატესობის გამოვლენას. ასე მხოლოდ მაშინ იქცეოდა, როდესაც აიძულებდნენ - როდესაც უწყინარი და თავაზიანი ორკატი ფეხბურთის მოედანზე უხეშობდა და ტლანქი დარტყმებით აღიზიანებდა. შვედის აზრით, ეს სპორტსმენს არ ეკადრებოდა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მისი გუნდი მარცხდებოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ორკატი ამგვარად ორჯერ მოიქცა, შვედმა ის გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც თავიდანვე უნდა მიეღო, სახელდობრ, ძირს დაენარცხებინა მოთამაშე. თამაშის ბოლოს მან თავისი მიზნისთვის მოწინააღმდეგის წონაც გამოიყენა და იმავდროულად, ზუსტი, სწრაფი მოძრაობით, ბაკი რობინსონის შორიდან ნატყორცნი პასიც დაიჭირა, ხოლო როდესაც დარწმუნდა, რომ ორკატი ბალახზე დაეხეთქა, გაიქცა, რათა ქულა მოეპოვებინა. მირბოდა და გონებაში დოუნის (რომელმაც არ მოინდომა, მონაწილეობა მიეღო ორკატების ოჯახური სასაფლაოს დათვალიერებაში) სიტყვები უტრიალებდა: „არ მომწონს, როდესაც ქედმაღლურად მექცევიან“. მხოლოდ ახლა - როდესაც სწრაფად უახლოვდებოდა მინდვრის გამყოფ ხაზს - მიხვდა შვედი, რა ღრმად შეულახა თავმოყვარეობა დოუნის გულისტკენამ და როგორ აფორიაქებდა უმნიშვნელო მინიშნებაც კი (რასაც გააფთრებით უარყოფდა ცოლთან საუბრებში) იმაზე, რომ აქ, ოლდ-რიმროკში დასცინოდნენ ელიზაბეთში გაზრდილ, ირლანდიელი სანტექნიკოსის ქალიშვილს. ქულის მოპოვების შემდეგ - სანამ დარწმუნდებოდა, რომ ორკატი ფეხზე ვერ დგებოდა - გაიფიქრა: „მაშ ასე, მორისის ოლქის ორასწლიანი ისტორია კარგა გემრიელად დაეტყუა მიწაზე. ამის შემდეგ, ალბათ, ქედმაღლურად აღარ მოექცევა დოუნ ლევოს. მომდევნო თამაშისას ტრაკს მიწიდან ვერ ასწევს“. მერე ორკატთან მიირბინა, ხომ არ დაშავდაო.

შვედმა იცოდა, რომ თუ ორკატს წააქცევდა, თავით იოლად დაახეთქებდა ტერასის ფილაქანზე იმდენჯერ, რამდენიც საჭირო იქნებოდა მის წასასვენებლად სასაფლაოზე, დიდგვაროვან წინაპრებთან. შვედი ყოველთვის გრძნობდა, რომ ამ კაცში რაღაც ავადმყოფური იყო. ამაზე მეტყველებდა მისი ამაზრზენი ნახატებიც და მისივე სახ-

ლის უკან, სპორტულ მოედანზე ფეხბურთის თამაშისას აკრძალული ილეთების გამოყენებაც. ეს იგრძნობოდა სასაფლაოზეც, როდესაც ის, გოი, ებრაელ სტუმარს თავისი ოჯახის ისტორიას მოუთხრობდა... და-უკმაყოფილებლობის განცდა მთელ მის ცხოვრებას მსჭვალავდა. დოუნის აზრით, ორკატი ხელოვნების ნიმუშებს ქმნიდა - თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებს, მაგრამ მათი სასტუმრო ოთახის კედლებზე დაკიდებული სურათები მის კომპლექსებს უფრო ააშკარავებდა. ახლა მან ჩემი ცოლი მიისაკუთრა. იმ უბედური ჯესის ნაცვლად, სიცოცხლის სიყვარული და სექსუალურობა დაუბრუნა „მის ნიუ-ჯერსი-1949“-ს. ამას მიაღწია და ახლა სარგებლობს. ხარბი. ძალისშვილი. ქურდი.

- მამაშენი არაჩვეულებრივი ადამიანია, - უთხრა ორკატმა. - ჯესის ასეთი ყურადღებით იშვიათად ექცევიან. ამიტომ ამჯობინებს შინ ყოფნას. მამაშენი კი ისეთი დიდსულოვანი კაცია... გულწრფელიც, ხომ ასეა? მოურიდებლად გამოთქვამს თავს შეხედულებებს. გულღიაა. უდარდელი. პირდაპირი. მგზნებარე. ეს ძალიან კარგია. მართლაც საინტერესო ადამიანია. პიროვნებაა. თვითმყოფი. მე, ჩემი წრის წარმომადგენელს, მშურს მისი.

ნაბიჭვარო, დაგენაძლევები, რომ მართლა გშურს. დაგვცინი, კრეტინო? იცინე, იცინე!

- სად არიან? - ჰკითხა შვედმა.

- ლუმ უთხრა, ღვეზელის ჭამა სამზარეულოს მაგიდასთან სჯობს, თან გემრიელ ცივ რძეს მივაცოლებთო. ალბათ სამზარეულოში არიან და რძეს სვამენ. ჯესი უფრო მეტ ინფორმაციას იღებს ხელთათმანების წარმოების შესახებ, ვიდრე სჭირდება, მაგრამ არა უშავს, უსმინოს. ვიმედოვნებ, საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, რომ ცოლი შინ არ დაგტოვი.

- გვეწყინებოდა, შინ რომ დაგეტოვებინა.

- თქვენ, ყველანი, ძალიან თავაზიანები ხართ.

- დოუნის კაბინეტში შენი მაკეტი ვნახე, - უთხრა შვედმა. სანამ ლაპარაკობდა, ორკატის მარცხენა ლოყაზე მეჭეჭი შეამჩნია. მუქი ფერის მეჭეჭს ეფარებოდა ნაოჭი, რომელიც ცხვირიდან ტუჩის კუთხისკენ ეშვებოდა. გრძელი ცხვირის გარდა, ორკატს უშნო მეჭეჭი ჰქონდა. ნუთუ მოსწონს დოუნს ეს მეჭეჭი? ნუთუ კოცნის ამ მეჭეჭს? ზოგჯერ მაინც თუ ამჩნევს, როგორი გასიებული სიფათი აქვს ამ კაცს? თუ - რადგან ის ოლდ-რიმროკის ერთ-ერთი საუკეთესო ოჯახის შთამომავალია

- გარეგნობას მნიშვნელობა აღარ აქვს და ისტონის ბორდელის პროფესიონალებისთვის დამახასიათებელი განურჩევლობით აღიქვამს?

- ოჰ, მართლა? - თქვა ორკატმა და ეჭვები თავაზიანობით შენიღბა.

წესებს არღვევს და ფეხბურთის ბურთს ხელით იღებს, ასეთ პერანგებს ატარებს, ასეთ ნახატებს ხატავს, მეზობლის ცოლს ხმარობს; და მაინც, თავი ისე მოაქვს, თითქოს თავშეკავებული და ამაღლებული სულის მქონე კაცი იყოს. ეს ყველაფერი მოჩვენებითია. ვირეშმაკობს. გარეგნულად ჯენტლმენია, სინამდვილეში კი - ვირთხა. ჯესის სულში ლოთობის დემონი უზის, ორკატს - ავხორცობისა და შურის დემონები. თავის თავში ჩაკეტილი. კულტურული. მტაცებელი ცხოველი. აგრესიულობა, და თანაც, ძალიან მძაფრი, წინაპრებისგან გამოჰყვა, მაგრამ უზადო მანერებით კიდევ უფრო გაამძაფრა. ეს ხარბი მტაცებელი ჰუმანურად ზრუნავს გარემოს დაცვაზე. უფრთხილდება იმას, რაც წინაპრებისგან ერგო და მალულად ცდილობს, ხელში ჩაიგდოს ის, რაც არა აქვს. გარეგნულად ცივილიზებული, ველური უილიამ ორკატი. ცხოველური ქცევის ცივილიზებული ფორმა. მას ძროხები მირჩევნია.

- ვგარაუდობდი, რომ მაკეტს ვახშმის შემდეგ დავათვალიერებდით, როდესაც კოშკის შპილს დავადგამდი. განა შპილის გარეშე ლამაზია? არა მგონია, - თქვა ორკატმა.

რა თქმა უნდა, ცდილობს, შეუცნობელი იყოს. ამის მეშვეობით მარჯვედ იკვალავს გზას ცხოვრებაში და ხელთ იგდება სხვების ლამაზ ცოლებს. რატომ არ გაუჭეჭყა თავი ორივეს ტაფით სამზარეულოში?

- ძალიან ლამაზია, - მიუგო შვედმა. და შემდეგ, როგორც ყოველთვის ორკატთან საუბრისას, სიტყვათა ნაკადი ვერ შეაჩერა და დასძინა: - საინტერესო მაკეტია. ახლა მივხვდი, როგორაა ჩაფიქრებული განათება. მივხვდი, როგორ ეფინება შუქი კედლებს. ეფექტური იქნება. ვფიქრობ, იქ ბედნიერად იცხოვრებთ.

- თქვენ იცხოვრებთ, - გაეცინა ორკატს.

მაგრამ შვედს არ შეუმჩნევია თავისი შეცდომა. არ შეუმჩნევია, რადგან უეცრად დაფიქრდა იმაზე, თუ როგორ უნდა ემოქმედა და რაში შეცდა.

მერის წინააღმდეგობა უნდა დაეძლია, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მისი იქ დატოვება. ჯერი მართალი იყო. ნიუარკში უნდა წავიდეს. დაუყოვნებლივ. ბარი უნდა წაიყვანოს. ერთად შეძლებენ მერის დაყოლიებას და ავტომანქანით ოლდ-რიმროკში მოიყვანენ. იქ

რიტა კოენი რომ დამხვდეს? მოგკლავ. თუ ჩემი შვილის მახლობლად ტრიალებს, იმ ძუკნას თავზე ბენზინს გადავასხამ და ცეცხლს წავუკიდებ. ჩემს შვილს ცხოვრებას უნგრევს. ჩემ წინ გაშიშვლდა. ჩემს შვილს ანადგურებს. ზუსტად ასეა - ანადგურებენ მერის, რათა ამით დატკბნენ. შეილა უნდა წავიყვანო. შეილა უნდა წავიყვანო. დამშვიდდი. შეილა უნდა წავიყვანო ნიუარკში. მერი დაუჯერებს შეილას. შეილა დაელაპარაკება და იქიდან წამოიყვანს.

- დაე, ჩვენმა ინტელექტუალმა სტუმარმა ყველაფერი არასწორად გაიგოს. თვითკმაყოფილებით გამოწვეული უზრდელობა, რომლითაც ის, ძველებურ ფრანგულ ყაიდაზე, უსწორდება ბურჟუაზიას... - ორკატს მარშას გამომწვევი ქცევა ახალისებდა და შვედს უზიარებდა აზრს: - ვფიქრობ, ამ ქალბატონის სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ არ იცავს წვეულებების ეტიკეტს, რომლის თანახმადაც, უმნიშვნელო თემებზე უნდა ისაუბრო. და მაინც, ყოველთვის მაოცებს, როგორ მჭიდროდ უკავშირდება უაზრო ლაქლაქი გონიერებას. არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმის შესახებ, რაზეც ლაპარაკობს. იცით, რომელი გამოთქმა უყვარდა მამაჩემს? „ტვინი აქვს და გონება - არა: რაც უფრო მეტი იცის, მით უფრო სულელია“. ზუსტად ასეთი შემთხვევაა.

უნდა წაიყვანოს თუ არა დოუნნი? არა. დოუნს აღარც ახსენდება მათი კატასტროფა. სახლის აშენებას უცდის და მაშინვე მიგატოვებს. წადი და ყველაფერი თვითონ მოაგვარე. ჩაჯექი იმ წყეულ მანქანაში და მოიყვანე. ბოლოს და ბოლოს, გიყვარს თუ არ გიყვარს? ისევე ემორჩილები შვილს, როგორც ყოველთვის ემორჩილებოდი მამას და, საერთოდ, ყველას. გეშინია, რომ მხეცი გალიიდან გამოვარდება. შენი ქცევის ნორმები სრულიად გააცამტვერა. ყოველთვის უკან იხევ. არასოდეს არაფერი აგირჩევია დამოუკიდებლად. მაგრამ ახლა, ამდამ, როდესაც აქ ლუ ლევოვი იმყოფება, როგორ უნდა მოიყვანო სახლში მერი თავისი ჩვრით? მამაჩემმა ეს რომ ნახოს, მოკვდება. აქ თუ არა, სად უნდა წავიდნენ? სად წაიყვანოს? შეიძლება თუ არა, ორივენი პუერტორიკოში გაემგზავრონ? დოუნისთვის სულერთია, სად წავა შვედი. მხოლოდ ორკატი სჭირდება. მერი კი უნდა წამოიყვანოს, სანამ იმ მიწისქვეშა გასასვლელში კიდევ არ ჩასულა. რიტა კოენზე არ უნდა იფიქროს. უნდა დაივიწყოს გულცივი იდიოტი - შეილა ზალცმანი. უნდა დაივიწყოს ორკატი. ის ანგარიშში ჩასაგდება არაა. ისეთ ადგილას უნდა წაიყვანოს მერი, სადაც არაა ამაზრზენი მიწისქვეშა გასასვლელი.

მთავარი ესაა. უნდა დაიცვას ამ გასასვლელში სიკვდილისგან. ამით უნდა დაიწყოს - უნდა მივიდეს იქ დილამდე, მანამ, სანამ მერი იმ სა-
შინელი ოთახიდან გამოვა.

შვედი ცდილობს მიაგნოს რაიმე გადაწყვეტილებას მისთვის მისაწ-
ვდომი ერთადერთი ხერხით, მაგრამ ვერაფერს აწყობს, იძირება, მთე-
ლი სალამოს განმავლობაში მისი დამძიმებული სული ნელ-ნელა იძი-
რება. ძალა არ შესწევს, აფეთქდეს, მხოლოდ ჩაძირვალა შეუძლია. მაგ-
რამ ახლა ის მაინც იცის, როგორ უნდა მოიქცეს: მერისთან გათენებამ-
დე უნდა მივიდეს.

გათენებამდე. დოუნის გარეშე მისი ცხოვრება წარმოუდგენელია.
დოუნის გარეშე არაფრის მაქნისი აღარ იქნება. მაგრამ დოუნს ორკატი
სჭირდება. „პირმოთნე არისტოკრატი“, - თქვა ქალმა მასზე და კინალამ
დაამთქნარა. მაგრამ ეს პირმოთნე არისტოკრატი, ირლანდიელი კათო-
ლიკე გოგონას აზრით, არაჩვეულებრივად მომხიბვლელია. მერი ლე-
ვოვის დედას უილიამ ორკატ მესამეზე ნაკლები სიძე არ ეპიტნავენა.
რქიან ქმარს ეს კარგად ესმის. რა თქმა უნდა, ახლა ყველაფერი ესმის.
ვინ დააბრუნებს დოუნს ზღაპარში, რომელზეც ოცნებობდა? მისტერ
ამერიკა. დოუნი გზას ორკატთან ერთად გააგრძელებს. სპრინგ-ლეიკი.
ატლანტიკ-სიტი. ახლა კი - მისტერ ამერიკა. როდესაც ჩვენი შვილის
მიერ დაჩნეულ სამარცხვინო ლაქას მოიშორებს, მის ღირსებაზე დაჩ-
ნეულ სამარცხვინო ლაქას, მალაზიის აფეთქების გამო დაჩნეულ ლა-
ქას, დოუნი უბიწო ცხოვრებას დაუბრუნდება. მე კი იმ მალაზიასთან
ჩავრჩი. დოუნმა ეს იცის. იცის, რომ მომავალი არა მაქვს. უსარგებლო
ვარ. ჩემთან ერთად მხოლოდ ცხოვრების ამ ეტაპამდე შეიძლებოდა
მოსულიყო.

შვედმა სკამი მოიტანა, ცოლსა და დედას შორის დაჯდა და დოუნს,
რომელიც ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, ხელზე ხელი მოჰკიდა. არსებობს
ხელის მოკიდების ასობით განსხვავებული ხერხი - სხვადასხვანაირად
ვკიდებთ ხოლმე ხელს ბავშვს, მეგობარს, მოხუც მშობლებს; იმას, ვი-
საც ვემშვიდობებით, ვინც კვდება, ვინც მოკვდა. შვედს ისე ეკავა
დოუნის ხელი, როგორც მამაკაცს უკავია ხოლმე სათაყვანებელი ქა-
ლის ხელი და იმ მღელვარებას გადასცემს, რომელსაც მთელი
სხეულით გრძნობს. ხელისგულების შეხება თითქოს სულთა შეხებაა,
ხოლო თითების გადაჭდობა - ინტიმური ალერსი. ისე ეკავა დოუნის

ხელი, თითქოს წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ შეიცვალა მისი ცხოვრება.

შემდეგ კი გაიფიქრა, რომ მასთან დაბრუნება დოუნსაც სურდა, მაგრამ არ შეეძლო, რადგან ყველაფერი საშინლად შეიცვალა. განა არჩევანი აქვს? ალბათ ჰგონია, რომ ურჩხულია - მან ხომ მკვლელი შვა. ამიტომ ახალი გვირგვინი უნდა დაიდგას თავზე.

მამისთვის უნდა დაეჯერებინა და დოუნი ცოლად არ უნდა შეერთო. ის კი შეეწინააღმდეგა მამას - პირველად თავის ცხოვრებაში, მაგრამ მეტი არც იყო საჭირო. მოსახდენი მოხდა. მამამისმა უთხრა: „ირგვლივ ასობით და ათასობით მშვენიერი ებრაელი გოგონაა, შენ კი ის არჩიე. მანამდე გყავდა კიდევ ერთი, დანლევიში, ჩრდილოეთ კაროლინაში, მაგრამ მაშინ თვალები აგეხილა და თავიდან მოიშორე. ახლა შინ დაბრუნდი და ეს დუაირი იპოვე. რატომ, სეიმურ?“ შვედი ვერ ეტყოდა, სამხრეთკაროლინელი გოგონა ლამაზი იყო, მაგრამ დოუნი ორჯერ უფრო ლამაზი იყო. ვერ ეტყოდა, სილამაზის ძალაუფლება ირაციონალური მოვლენააო. ოცდასამი წლისა იყო და მხოლოდ იმის თქმა შეეძლო, მიყვარსო. „გიყვარს? რას ნიშნავს ეს? რაში გამოგადგება სიყვარული, როდესაც ბავშვი გაჩნდება? როგორ გაზრდი - კათოლიკედ? იუდეველად? არა, იძულებული იქნები, ისე გაზარდო, რომ არც ერთი იქნება და არც - მეორე. და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ „გიყვარს“.

მამამისი არ ცდებოდა. სწორედ ასე მოხდა. მათ გაზარდეს ბავშვი, რომელიც არც კათოლიკე გახდა, არც - იუდეველი. ჯერ ენაბლუ იყო, შემდეგ მკვლელად იქცა და ბოლოს - ჯაინად. შვედი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ცდილობდა, მართებულად მოქცეულიყო და აი, რა შედეგი მიიღო. იმ ყველაფერმა, რაც მცდარი იყო და რაც სულში შეძლებისდაგვარად ღრმად ჩაიმარხა, ახლა ზედაპირზე ამოხეთქა და გაიმარჯვა, რადგან გოგონა ძალიან ლამაზი გახლდათ. შვედის მთავარ მიზანს იმთავითვე ახლობლებისთვის ცხოვრებისეული სიმძიმეების თავიდან აცილება და გამუდმებით სიკეთის თესვა წარმოადგენდა. ამიტომაც მიიყვანა დოუნი ლუ ლევოვთან ფარულად შესახვედრად ფაბრიკაში. რელიგიური საკითხების გადასაჭრელად და იმედგაცრუებისგან ორივეს დასაცავად. შეხვედრის ინიციატორი მამამისი იყო. ერთმანეთს პირისპირ უნდა შეხვედროდნენ „ეს გოგონა“, როგორც ლუ მოწყალედ უწოდებდა დოუნს შვედის თანდასწრებით, და „კაციჭამია“, როგორც ლუს დოუნი უწოდებდა. დოუნს არ შეეშინდა და, შვედის გა-

საოცრად, დათანხმდა. „ხომ შევძელი, საცურაო კოსტიუმით პოდუმიზე გამევილო. ეს კი, სიმართლე გითხრა, ადვილი როდი იყო. ოცდახუთი ათასი ადამიანი მიყურებდა. საკმაოდ დამამცირებელი იყო, ბრჭყვიალა თეთრ საცურაო კოსტიუმსა და ბრჭყვიალა მაღალქუსლიან ფეხსაცმელში გამოწყობილს, ამ ოცდახუთი ათასი ადამიანის წინ გამევილო. მაგრამ ამ ჩვენებაში მაინც მივიღე მონაწილეობა. კემდენში. ოთხ ივლისს. სხვა გზა არ მქონდა. ის დღე მძულს. მამაჩემი კინალამ შეეწირა. მაგრამ გავუძელი. წყეული საცურაო კოსტიუმი კარგად რომ მომრგებოდა, ზურგზე წებოვანი ლენტით მივიმაგრე. ცირკში რომ ჯუჯები გამოჰყავთ ხოლმე, დაახლოებით ისე ვგრძნობდი თავს. მაგრამ რაკი საკუთარ თავზე ავიღე იმ ყველაფრის გაკეთება, რაც „მის ნიუ-ჯერსის“ უნდა გაეკეთებინა, საქმე ბოლომდეც მივიყვანე. საშინლად დამღლეული კი იყო. შტატის ყოველ ქალაქში, ყოველი გამოსვლისთვის ორმოცდაათ დოლარს მიხდიდნენ. თუ არ ზარმაცობდი, თანხაც საგრძნობლად იზრდებოდა. ეს ყველაფერი მეუცხოებოდა და საშინლად მაფრთხობდა, მაგრამ თავი გავართვი. განა სასიამოვნო იყო ის შობადლე, როდესაც მშობლებს ვუთხარი, „მის ოლქი“ გავხდი-მეთქი? მაგრამ ესეც შევძელი. და თუ ეს ყველაფერი შევძელი, იმასაც შევძლებ, რაც ახლა მომელის. ეს ხომ პოდუმიზე ჩერჩეტი გოგონას გამოსვლა არაა, ახლა ჩემი ბედი წყდება. ყველაფერს გავაკეთებ, რომ გავიმარჯვო. გვერდიდან ხომ არ მომცილდები? იქ მარტო ვერ წავალ. გთხოვ, იქ უნდა იყო!“

დოუნს იმდენად შეუპოვარი იყო, რომ შევედმა მხოლოდ ის მოახერხა, ეთქვა, რა თქმა უნდა, გამოგყვებით. როდესაც ფაბრიკისკენ მიდიოდნენ, დოუნს სთხოვა, არ ეხსენებინა სიტყვები: „კრიალოსანი“, „ჯვარი“, „სამოთხე“ და, შეძლებისდაგვარად, „იესო“.

- თუ გკითხავს, კედლებზე ჯვრები გიკიდიათ თუ არაო, უპასუხე, არა-თქო.

- ეს ხომ სიცრუეა. ასე ვერ ვუპასუხებ.

- მაშინ უთხარი, ერთი-თქო.

- სიცრუეა.

- დოუნ, თუ უპასუხებ, სამი ჯვარი გვიკიდიაო, ყველაფერი გართულდება. რა მნიშვნელობა აქვს, ერთია თუ სამი? სამაგიეროდ, ამაზე აღარ ილაპარაკებს. ასე უთხარი. ჩემი ხატრით უთხარი, ერთი-თქო.

- კარგი. ვნახოთ.

- და სხვა რაღაცებს ნუ ახსენებ.

- რა „რალაცებს“?

- ღვთისმშობელს.

- ღვთისმშობელი „რალაც“ არ არის.

- სტატუტებს ვგულისხმობდი. დაივიწყე, კარგი? უბრალოდ, დაივიწყე. თუ გკითხავს, გაქვთ თუ არა სახლში სტატუტებიო, უპასუხე, არა-თქო, უბრალოდ უარი უთხარი. უთხარი, სახლში არც სტატუტები გვაქვს, არც - ხატები, მხოლოდ ერთი ჯვარი-თქო.

შვედი უხსნიდა დოუნს, რომ რელიგიური ნივთები, მაგალითად, სტატუტები სასადილო ოთახსა და საძინებელში, ხატები, რომლებიც დოუნის დედას კედლებზე ეკიდა, ლუ ლევოვის ავადმყოფურ რეაქციას იწვევდა. შვედი მამამისს კი არ იცავდა, უბრალოდ, განმარტავდა, რომ მამამისი გარკვეული ტრადიციით იყო აღზრდილი. ის ვერ შეიცვლებოდა და ამიტომაც მისი გაღიზიანება საჭირო არ იყო.

მამასთან დაპირისპირებაც და დაუპირისპირებლობაც დიდად სასიამოვნო არ ყოფილაო - აი, რას მიხვდა იმწუთას შვედი.

ანტისემიტიზმი კიდევ ერთი მტკივნეული თემა იყო.

- ფრთხილად ილაპარაკე ებრაელების შესახებ. უკეთესია, ებრაელებზე კრინტიც არ დაძრა. და ნურაფერს იტყვი მღვდლებზე. არ მოუყვე ის ამბავი მამაშენისა და მღვდლების შესახებ, რომელიც მაშინ მოხდა, ბიჭობისას ბურთებს რომ აგროვებდა სოფლის კლუბში.

- რატომ უნდა მოვუყვე?

- არ ვიცი, მაგრამ ამაზე ერთი სიტყვაც არ წამოგცდეს.

- რატომ?

- არ ვიცი. უბრალოდ, არაფერი თქვა.

მაგრამ შვედმა იცოდა, რატომაც. თუკი დოუნი ლუს უამბობდა, რომ შაბათ-კვირას სოფლის კლუბებში მუშაობისას ტუალეტში შესულმა ჯიმ ღუაირმა პირველად გააცნობიერა, რომ გენიტალიები მღვდლებსაც აქვთ (მანამდე თავში აზრადაც არ მოსვლია, რომ ისინი მამრობით სქესს ეკუთვნოდნენ), ლუ თავს ვერ შეიკავებდა და ჰკითხავდა, იცით თუ არა, რისთვის გამოიყენება ებრაელი ბიჭუნას ჩუჩა წინადაცვეთის შემდეგო? და როდესაც დოუნი უპასუხებდა: „არ ვიცი, მისტერ ლევოვ. რისთვის გამოიყენება?“, მისტერ ლევოვი ეტყოდა (ეს მისი ერთ-ერთი უსაყვარლესი ხუმრობა იყო): „ირლანდიაში აგზავნიან. საკმარისი რაოდენობა რომ მოგროვდება, ირლანდიაში აგზავნიან და იქ მათგან მღვდლებს ძერწავენ“.

ეს საუბარი შვედს არასოდეს დავიწყებია, და არა იმის გამო, რასაც მამამისი ამბობდა - აქ მოულოდნელი არაფერი იყო. დოუნის ქცევამ გახადა ეს დიალოგი დაუვიწყარი. დაუვიწყარი იყო მისი გულწრფელობა, ის, თუ როგორ არიდებდა თავს უხერხულობას, როცა საუბარი მის მშობლებს ან მისთვის მნიშვნელოვან (შვედმა ეს კარგად იცოდა) თემებს ეხებოდა.

დოუნი საქმროზე ერთ-ნახევარი თავით დაბალი იყო. ჟიურის იმ წევრის თქმით, რომელიც დენი დუაირს გულწრფელად ესაუბრა ატლანტიკ-სიტიში ჩატარებული კონკურსის შესახებ, ათეულში მხოლოდ იმიტომ ვერ მოხვდა, რომ ფენშიშველი მხოლოდ ხუთი ფუტისა და ორი დუიმის სიმაღლისა იყო, იმ წელიწადს კი კონკურსში ექვსი არანაკლებ ნიჭიერი და ლამაზი - თანაც, ბევრად უფრო მაღალი - გოგონა მონაწილეობდა. შვედის აზრით, ჟიურის წევრის მიერ მოყვანილი არგუმენტი საეჭვო იყო, რადგან გამარჯვებული - მის არიზონა - მხოლოდ ხუთი ფუტისა და სამი დუიმის სიმაღლისა გახლდათ. ის, რომ დოუნი ტანმორჩილი იყო, კიდევ უფრო ამძაფრებდა შვედის სიყვარულს. ჭაბუკი მოვალეობის თანდაყოლილი გრძნობით გამოირჩეოდა და იძულებული იყო, საგანგებო მცდელობებით გაეფანტა არასწორი წარმოდგენები მისი, როგორც მხოლოდ ლამაზი მამაკაცის შესახებ. პაწაწა დოუნი მას წმინდა მამაკაცურ სწრაფვას უღვიძებდა: გოგონას დაცვა და პატრონობა სურდა. მამასთან ამ ხანგრძლივ, დამლულელ საუბრამდე შვედს ვერც კი წარმოედგინა, რომ მისი გრძნობა ასეთი ძლიერი იყო.

დოუნმა მხოლოდ ორჯერ იცრუა: თავის სახლში ჯვრების რაოდენობასთან დაკავშირებით და მონათვლის თაობაზე. ამ თემაზე საუბრისას თითქოს დათმობაზე წავიდა, მაგრამ მხოლოდ სამსაათიანი საუბრის შემდეგ. შვედს რამდენჯერმე მოეჩვენა, რომ, რაოდენ გასაოცარიც უნდა ყოფილიყო, მამამისი, სადაც იყო, ფარ-ხმალს დაყრიდა. მხოლოდ მოგვიანებით გააცნობიერა, რომ ის განზრახ აჭიანურებდა საუბარს და ოცდაორი წლის ქალიშვილის დალლას ელოდა. შემდეგ ლუმ ერთბაშად ას ოთხმოცი გრადუსით შეიცვალა პოზიცია მონათვლასთან დაკავშირებით და მხოლოდ შობის წინადღის, თვით შობისა და აღდგომის საზეიმოდ აღნიშვნის ნება დართო.

მერის დაბადების შემდეგ დოუნმა მაინც მონათლა ბავშვი. შეეძლო თვითონვე მოენათლა მერი ან დედამისისთვის ეთხოვა, მაგრამ სურდა,

რომ ნამდვილი ნათლობა ჩატარებულიყო. მოელაპარაკა მღვდელს, მოიწვია ნათლიები და ბავშვი ეკლესიაში წაიყვანეს. მაგრამ ამის შესახებ არავინ იცოდა, სანამ ლუ ლევოვმა ერთ-ერთი საძინებელი ოთახის კარადაში არ იპოვა მოწმობა ნათლობის შესახებ. შვედს კი დოუნი იმ სალამოსვე გამოუტყდა, მას შემდეგ, რაც ახალმონათლული - პირველი ცოდვისგან განბანილი და ქრისტეს სიწმინდეს ზიარებული - ბავშვი ლოგინში ჩააწვინეს. ნათლობის მოწმობის აღმოჩენისას ექვსი წლის მერი უკვე მთელი ოჯახის ნებიერა იყო და აღშფოთება მალე ჩაცხრა. მაგრამ შვედის მამა დარწმუნებული იყო, რომ მერის სწორედ მალული ნათლობის შედეგად აერია ცხოვრება. ნათლობა, საშობაო ნაძვისხე და აღდგომა სრულიად საკმარისი იყო, რათა საწყალ ბავშვს გონება არეოდა. გარდა ამისა, ბებია დუაირიც ართულებდა ვითარებას. მერი შვიდი წლის იყო, როცა დოუნის მამას მეორედ დაემართა ინფარქტი - ღუმელის დაყენებისას უგრძობლად დაეცა. ამის შემდეგ ბებია დუაირი სენტ-ჯენევიევის ეკლესიაში ათენებდა და აღამებდა. ყოველთვის, როდესაც მერის თავისთან შეიტყუებდა, ეკლესიაში მიათრევდა. ღმერთმა იცის, იქ რით უტენიდნენ თავს.

მას შემდეგ, რაც შვედი მამა გახდა, გაცილებით თავისუფლად მსჯელობდა მამამისთან ნებისმიერი საკითხის შესახებ.

- მამა, მერი ამ ყველაფერს სკეპტიკურად უყურებს, - აუხსნა ლუს. - მისი აზრით, ეს მხოლოდ ბებუის საქმეა. ეკლესიაში სიარული არ ნიშნავს, რომ ბავშვიც ბებუამისის გზას დაადგება.

მაგრამ ლუ ლევოვმა ეს საკენკი არ გადაყლაპა.

- იჩოქებს, ხომ? ამ სულელურ რიტუალებს ასრულებენ და იჩოქებს. ასეა?

- ალბათ, ასეა. მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს.

- მართლა? ჩემთვის კი ნიშნავს - და ბევრსაც.

შვილთან საუბრისას ლუ ლევოვი თავს იკავებდა იმის მტკიცებისგან, რომ მერის განუწყვეტელ ტირილს სწორედ მონათვლამ მისცა დასაბამი. მაგრამ ცოლთან ის ქარაგმებით როდი ლაპარაკობდა. მაშინ კი, როდესაც შეიტყო „კათოლიკური სისაძაგლის“ შესახებ, რომელსაც დედაბერი დუაირი შვილიშვილს სახეზე უსვამდა, ხმამაღლა იკითხა, მალულმა ნათლობამ ხომ არ გამოიწვია გულამოსკვნილი ტირილი. ეს ტირილი ოჯახის ყველა წევრს აშინებდა, სანამ მერი ერთი წლის არ

გახდა. შესაძლოა, ყველა უბედურება, რომელიც მას შეემთხვა, ყველაზე უარესის ჩათვლით, ამის გამო შეემთხვა.

მერი დაბადებისთანავე ატირდა და შემდეგ ტირილი არ შეუწყვეტია. ტირილისას პირს ისე ფართოდ ალებდა, რომ ლოყებზე კაპილარები დაუსკდა. თავდაპირველად ექიმმა ივარაუდა, რომ პატარას მუცლის ტკივილი აწუხებდა, მაგრამ როდესაც სამი თვე ასე გაგრძელდა, სხვაგვარი განმარტება გახდა საჭირო. დოუნმა მერი სპეციალისტებთან მიიყვანა და ათასგვარი გამოკვლევა ჩაუტარა. ბავშვი იქაც გაპკიოდა. ერთხელ დოუნს ისიც კი დაავალეს, მისი საფენი გაეწურა და ანალიზისთვის შარდი მიეტანა. იმხანად ოჯახის საქმეებში მხიარული, ხალისიანი მაირა ეხმარებოდათ - მორისტაუნის ლუდხანის, „პატარა დუბლინის“ ბარმენის ჩასუქებული ქალიშვილი. ის ხელში იყვანდა მერის, ფაფუკ, სავსე მკერდზე იხუტებდა და ისე ალერსიანად დაჰლულუნებდა, თითქოს გოგონა მისი საკუთარი შვილი ყოფილიყო. მაგრამ თუ მერი უკვე ტიროდა, მაირა მას უფრო მეტად როდი შველოდა, ვიდრე - დოუნს. ამ გულამოსკვნილი ტირილის გამომწვევი მიზეზის გასაქრობად დოუნს ათასობით ხერხს იგონებდა. მერისთან ერთად მაღაზიაში წასვლას წინ უძღოდა რთული მოსამზადებელი პროცედურები, რათა ბავშვი ჰიპნოზურ მდგომარეობაში შეეყვანათ და ასე დაემშვიდებინათ. მას აბანავებდნენ და საწოლში აწვენდნენ, როცა ჩათვლემდა, სუფთა, ლამაზ ტანსაცმელს აცვამდნენ და მოხერხებულად აწვენდნენ ავტომანქანაში. მაღაზიაში ურიკით ფრთხილად დაასეირნებდნენ - და მერი მშვიდად იყო, სანამ ვინმე მის თავზე არ დაიხრებოდა და არ იტყოდა, რა ლამაზი ბავშვიაო. ამის შემდეგ ის ოცდაოთხი საათის განმავლობაში უნუგემოდ ტიროდა. ვახშმოზისას დოუნს ეუბნებოდა შვედს: „ამდენი წვალეა წყალში ჩამეყარა. მალე საბოლოოდ შევიშლები. ლამის ყირაზე დავდგე - მაგრამ არაფერი შველის“. საოჯახო ფილმში, რომელიც მაშინ გადაიღეს, როცა მერი ერთი წლის გახდა, შეკრებილები მღერიან, ბედნიერ დაბადების დღეს გისურვებთო, მაღალ სკამზე წამომჯდარი მერი კი მთელი ძალ-ღონით გაჰკივის. რამდენიმე კვირის შემდეგ, გაუგებარი მიზეზის გამო, კივილი შესუსტდა, შუალედები გაიზარდა და წლინახევრის ასაკში უკვე ყველაფერი მშვენივრად იყო და ასე გრძელდებოდა, სანამ ენის მოკიდება არ დაიწყო.

მიზეზი, რომლის გამოც მერის ცხოვრება აერია, მისმა ებრაელმა ბაბუამ სენტრალ-ავენიუზე იმ შეხვედრის დროს უკვე იცოდა. შვედი კა-

ბინეტის კუთხეში, სავარძელში იჯდა - „ფრონტის ხაზისგან“ მოშორებით. როდესაც დოუნმა სიტყვა „იესო“ წარმოთქვა, შვედმა კარის მინაში სევდიანად გახედა ას ოც ქალს, რომლებიც საამქროში საკერავ მანქანებს უსხდნენ. დანარჩენი დროის განმავლობაში იატაკს თვალს არ აცილებდა. ლუ ლევოვი სახეგაყინული იჯდა მინის კედლებს შორის, მყუდრო კუთხეში, მაგიდასთან - არა საყვარელ მაგიდასთან, სამკერვლო საამქროს ცენტრში, არამედ იმასთან, რომელსაც თითქმის არასოდეს იყენებდა.

დოუნი ხმას არ იმაღლებდა, აღშფოთებას არ იმჩნევდა, თითქმის არ ცრუობდა და მთელი თავისი მოხდენილი სხეულით სიმტკიცეს ინარჩუნებდა. ამ განსაცდელისთვის შემზადებული იყო ჟიურის ხუთ წევრთან გასაუბრებით, რომელსაც მან, „მის ნიუ-ჯერსიმ“, კონკურსის წინ გაუძლო. თავი არაჩვეულებრივად ეჭირა.

აი, დასაწყისი დაკითხვისა, რომელიც შვედს სამუდამოდ დაამახსოვრდა:

- თქვენი სრული სახელი, მის დუაირ?
- მერი დოუნ დუაირი.
- ყელზე ჯვარს ატარებთ, მერი დოუნ?
- ვატარებდი. ცოტა ხანს. როდესაც უფროს კლასებში ვსწავლობდი.
- ესე იგი, თქვენი აზრით, რელიგიური პიროვნება ხართ?
- არა. ჯვარს ამიტომ არ ვატარებდი. საზაფხულო ბანაკში გამგზავნეს და შინ დაბრუნებისას ყელზე ჩამოვიკიდე. ჯვარი ჩემთვის დიდი რელიგიური სიმბოლო კი არ იყო, არამედ იმის ნიშანი, რომ შაბათი და კვირა ბანაკში გავატარე და იქ ბევრ ბავშვს დავუმეგობრდი. ჯვარი უფრო მეტად უკავშირდება ამას, ვიდრე საკუთარი თავის ფანატიკოს კათოლიკედ მიჩნევას.

- სახლში ჯვრები გაქვთ? კედლებზე გიკიდიათ?
- მხოლოდ ერთი.
- დედათქვენი ღვთისმოსავია?
- დიახ... ეკლესიაში დადის.
- ხშირად?
- ხშირად. კვირადღეებში. მარხვის დროს ყოველდღე დადის.
- და რას აძლევს ეს?
- რას აძლევს? კარგად არ მესმის, რას გულისხმობთ. იქ ნუგემს პოულობს. ეკლესია გვანუგემებს. როდესაც ბებიაჩემი გარდაიცვალა,

დედა ხშირად დადიოდა ეკლესიაში. როდესაც ვინმე გიკვდებათ ან ავად გიხდებათ, ეკლესია განუგეშებთ, გირჩევთ, როგორ უნდა მოიქცეთ. კრიალოსანს მარცვლავთ და ლოცულობთ, რათა...

- კრიალოსანი ერთგვარი მძივია?

- დიახ, სერ.

- და დედათქვენი მას მარცვლავს?

- დიახ. რა თქმა უნდა.

- მამათქვენიც ასეთია?

- როგორი?

- ღვთისმოსავი.

- დიახ, ღვთისმოსავია. ეკლესია მას ღირსების გრძნობას უღვიძებს - შეგრძნებას, რომ ის თავის მოვალეობას ასრულებს. მამაჩემი მორალის საკითხებში ძალიან მკაცრია. მკაცრი კათოლიკური აღზრდა მიიღო: გაცილებით მკაცრი, ვიდრე - მე. მუშაა. სანტექნიკოსი. ზეთის გამათბობლებს ამონტაჟებს. მისი გაგებით, ეკლესია იმდენად მძლავრია, რომ გაიძულებს, სწორად მოიქცე. მისთვის უალრესად მნიშვნელოვანია სიკეთისა და ბოროტების ცნებები, ბოროტებისა და გარყვნილების გამო დასჯის გარდღევალობა.

- ამის საწინააღმდეგო მეც არაფერი მაქვს.

- რა თქმა უნდა. თუ დავუფიქრდებით, თქვენ და მამაჩემი ძალიან ჰგავხართ ერთმანეთს.

- თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მამათქვენი ღვთისმოსავი კათოლიკეა, მე კი - ებრაელი. ეს მნიშვნელოვანი განსხვავებაა.

- შესაძლოა, არც ისე მნიშვნელოვანი.

- არა, მნიშვნელოვანი.

- როგორც გნებავდეთ, სერ.

- რას იტყოდით იესოსა და მარიამის შესახებ?

- რა უნდა ვთქვა მათზე?

- რას იტყვით მათ შესახებ?

- როგორც პიროვნებებზე? არასოდეს მიფიქრია მათზე, როგორც პიროვნებებზე. ბავშვობისას ვეუბნებოდი დედაჩემს, რომ ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარდა. ის კი მპასუხობდა, რომ ეს სწორი არ იყო. ყველაზე მეტად ღმერთი უნდა მყვარებოდა.

- ღმერთი თუ იესო?

- ვფიქრობ, ღმერთს გულისხმობდა. შეიძლება, იესოსაც. ეს ყველაფერი მაინც არ მომწონდა. მინდოდა, დედაჩემი ყველაზე მეტად მყვარებოდა. სხვა შემთხვევები საუბრისა იესოს, როგორც პიროვნების, შესახებ არ მახსოვს. ადამიანად აღვიქვამ, როდესაც ვნების პარასკევს, ლიტანიის დროს, გოლგოთაზე მივყვები. ამ დროს თითქოს განკაცებულია. და, რა თქმა უნდა, ბაგაში მყოფს...

- იესო ბაგაში. რას ფიქრობთ ბაგაში მყოფი იესოს შესახებ?

- რას ვფიქრობ? მიყვარს ბაგაში მწოლარე ჩვილი იესო.

- რატომ?

- იმიტომ, რომ მთელ ამ სცენაში რაღაც სასიამოვნო და მანუგეშებელია. და მნიშვნელოვანი. მორჩილების მომენტი. ირგვლივ ყველგან თივაა დაფენილი, პატარა ცხოველები ერთმანეთს ეკვრიან. ლამაზი, თბილი სცენაა. ვერც კი წარმოიდგენთ, რომ გარეთ შეიძლება სიცივე და ქარი იყოს. სანთლები ანთია. ჩვილს ყველა თაყვანს სცემს.

- და სხვა არაფერი? უბრალოდ, ეთაყვანებიან?

- ჰო. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

- ებრაელების შესახებ რას იტყვით? მოდით, მთავარზე ვილაპარაკოთ, მერი დოუნ. რას ამბობენ თქვენი მშობლები ებრაელების შესახებ?

პაუზა.

- იცით, ჩვენს სახლში იშვიათად საუბრობენ ებრაელების შესახებ.

- რას ამბობენ თქვენი მშობლები ებრაელების შესახებ? პასუხს ველოდები.

- ჩემი აზრით, არსებობს გაცილებით მნიშვნელოვანი საკითხი, ვიდრე ის, რომელიც მთავარ საკითხად მიგაჩნიათ. დედაჩემს არ უყვარს ებრაელები, რადგან ისინი ებრაელები არიან, მაგრამ არ ესმის, რატომ არ მოსწონთ ის მხოლოდ იმის გამო, რომ კათოლიკეა. მახსოვს, ჰილსაიდზე როცა ვცხოვრობდით, განვიცდიდი, რომ ჩემი მეგობარი ებრაელი გოგონა სამოთხეში ვერ მოხვდებოდა, მე კი მოვხვდებოდი.

- რატომ არ უნდა მოხვედრილიყო?

- თუ ქრისტიანი არ ხარ, სამოთხეში ვერ მოხვდები. ძალიან მწყინდა, რომ შარლოტ ვაქსმანი ჩემთან ერთად სამოთხეში ვერ მოხვდებოდა.

- მერი დოუნ, თუ შეიძლება, მიპასუხეთ, რის გამო არ უყვარს დედათქვენს ებრაელები? მიპასუხეთ.

- ალბათ, არა იმის გამო, რომ ისინი ებრაელები არიან, არამედ იმის გამო, რომ კათოლიკეები არ არიან. ჩემი მშობლების თვალსაზრისით, თქვენსა და პროტესტანტებს შორის განსხვავება არაა.

- რის გამო არ უყვარს დედათქვენს ებრაელები? მიპასუხეთ.

- ალბათ, იმის გამო, რაც თქვენც იცით.

- არაფერი ვიცი, დოუნ. ასე რომ, თუ შეიძლება, თვითონ მითხარით.

- ოჰ, ძირითადად, ის, რომ ზედმეტად თავხედები არიან (პაუზა) და პრაგმატულები (პაუზა). საუბრობენ, აგრეთვე, ებრაული კოცონების შესახებ.

- ებრაული კოცონების შესახებ?

- ებრაული კოცონების შესახებ.

- ეს რას ნიშნავს?

- არ იცით, რას ნიშნავს ებრაული კოცონი?

- ჯერ არა.

- ხანძრის გაჩენა დაზღვევის მიღების მიზნით. ამას ებრაულ კოცონს უწოდებენ. არასოდეს გაგიგონიათ?

- არასოდეს.

- გაგაოგნეთ. ეს არ მინდოდა.

- დიახ, გაოგნებული ვარ. მაგრამ სჯობს, ყველაფერზე გულახდილად ვიმსჯელოთ, დოუნ. ამიტომაც შევხვდით ერთმანეთს.

- ასე ყველა ებრაელზე კი არ ლაპარაკობენ, არამედ მხოლოდ ნიუიორკელ ებრაელებზე.

- რას ლაპარაკობენ ნიუ-ჯერსიში მცხოვრებ ებრაელებზე?

პაუზა.

- ვფიქრობ, მათ ნიუიორკელი ებრაელების ნაირსახეობად მიიჩნევენ.

- გასაგებია, ესე იგი, ებრაული კოცონების შესახებ საუბრისას იუტის შტატში მცხოვრები ებრაელები არ იგულისხმებიან. ასეა? არც მონტანის შტატში მცხოვრებნი. მართალია? მონტანის შტატში მცხოვრებნი არ იგულისხმებიან.

- არ ვიცი.

- ახლა მითხარით, როგორი დამოკიდებულება აქვს ებრაელთა მიმართ მამათქვენს? გულწრფელად ვილაპარაკოთ და თავიდან ავიცილოთ უბედურება, რომელიც შეიძლება მომავალმა მოგვიტანოს.

- მისტერ ლევოვ, მართალია, ეს ყველაფერი უთქვამთ, მაგრამ უფრო ხშირად არაფერს არ ლაპარაკობენ ჩემს ოჯახში. საერთოდ, ბევრი ლაპარაკი არ უყვართ. წელიწადში ორ-სამჯერ დავდივართ რესტორანში: მამა, დედა, ჩემი უმცროსი ძმა, დენი და მე. ყოველთვის მაკვირვებს, რომ სხვა მაგიდებთან სხედან ოჯახები, რომელთა წევრებიც ერთმანეთთან საუბრობენ. ჩვენ, უბრალოდ, ვსხედვართ და კერძებს მივირთმევთ.

- თემას ნუ გადაუხვიეთ.

- მაპატიეთ. მათ დაცვას სულაც არ ვაპირებ, რადგან ეს თვითონაც არ მომწონს. უბრალოდ, ვცდილობ გითხრათ, რომ, მათი მხრივ, ეს ღრმა გრძნობა არაა. ის ნაკარნახევი არაა გაბოროტებით ან სიძულვილით. ზოგჯერ მამაჩემი ვილაცის დასამცირებლად იყენებს სიტყვას „ურია“, თუმცა ეს არ უკავშირდება მის შეხედულებებს. დროდადრო რაღაც ასეთი ხდება ხოლმე. ეს მართალია.

- რას იფიქრებენ, თუ ებრაელზე გათხოვდებით?

- დაახლოებით იმავეს, რასაც თქვენ ფიქრობთ იმაზე, რომ თქვენი ვაჟი კათოლიკეზე აპირებს დაქორწინებას. ჩემი ერთ-ერთი ბიძაშვილი ებრაელზეა გათხოვილი. ცოტათი აქილიკებდნენ ამის გამო, მაგრამ დიდი აურზაური არ ატეხილა.

- ისეთი ბებერი იყო, რომ ებრაელზე გათხოვებაც კი გაუხარდათ. რამდენი წლისა იყო, ასის?

- ოცდაათის. ამის გამო დიდად არავინ დამწუხრებულა. ამგვარ ფაქტებს მნიშვნელობას არ ანიჭებენ. სხვა შემთხვევაა, როდესაც ვინმე თქვენს შეურაცხყოფას ისახავს მიზნად.

- მაგრამ თუკი ისახავს?

- მაშინ შეიძლება დაგცინონ. თუკი ვინმე თქვენ მიმართ მტრულადაა განწყობილი. საერთოდ კი, არა მგონია, ებრაელზე გათხოვებამ ვინმე გააღიზიანოს.

- სანამ ბავშვების აღზრდის საკითხი არ წამოიჭრება.

- დიახ. მართალია.

- მერე, როგორ აპირებთ მშობლებს შეუთანხმოთ ეს საკითხი?

- ამ საკითხს თვითონ გადავჭრი.

- რას გულისხმობთ?

- მინდა, რომ ბავშვი მოინათლოს.

- ნამდვილად გენდომებათ.

- შეიძლება, ლიბერალურად აზროვნებდეთ, მისტერ ლევოვ, მაგრამ არა იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე მონათვლას ეხება.
- რა არის მონათვლა? რა არის მასში ასეთი მნიშვნელოვანი?
- ესაა პირველი ცოდვისგან განბანის მარტივი პროცედურა. თუ ბავშვს სიკვდილი უწერია, მონათლული სამოთხეში მოხვდება, მოუნათლავი კი - განსაწმენდელში.
- ეს, რა თქმა უნდა, არ გვსურს. ნება მიბოძეთ, სხვა რამ გკითხოთ. თუკი, დავუშვათ, დავთანხმდები ბავშვის მონათვლას, კიდევ რას მოისურვებთ?
- ვფიქრობ, როდესაც ბავშვები წამოიზრდებიან, კარგი იქნება, რომ მათ პირველი ზიარება მიიღონ. ეს ისეთი საიდუმლოა, რომელიც...
- ესე იგი, მთავარი, რაც გსურთ, მონათვლაა, რომელიც, თქვენი აზრით, გარდაცვლილ ბავშვს სამოთხეში მოახვედრებს, და ასევე - პირველი ზიარება. ამისხენით, რა არის ზიარება?
- ესაა ევქარისტის პირველად აღსრულება.
- რა არის ეს?
- ესე არს ხორცი ჩემი, ესე არს სისხლი ჩემი...
- იესოს შესახებაა?
- დიახ. არ იცოდით? ესაა წუთი, როდესაც ყველა იჩოქებს. „მიიღეთ, ჭამეთ: ესე არს ხორცი ჩემი. სუთ ამისგანი ყოველთა. ესე არს სისხლი ჩემი“. და მაშინ მთელი მრევლი ამბობს: „უფალი - ღმერთი ჩემი“, და ქრისტეს ხორცს ეზიარებიან.
- ეს ჩემთვის მიუღებელია, მაპატიეთ, ამაზე ვერ დავთანხმდებით.
- თუკი ბავშვი მონათლული იქნება, დანარჩენზე შეიძლება არ ვიზრუნოთ. იქნებ თვითონ გადაწყვიტოს, როდესაც ამის დრო დადგება?
- არა, დოუნ, ბავშვს ამის გადაწყვეტა არ უნდა ვანდოთ. მირჩევნია, თვითონ გადაწყვიტოს. ბავშვის გადასაწყვეტი არ უნდა იყოს, შეჭამს თუ არა ქრისტეს. უდიდეს პატივს ვცემ თქვენს ნებისმიერ ქმედებას, მაგრამ ჩემი შვილიშვილი ქრისტეს არ შეჭამს. მაპატიეთ, ამაზე ლაპარაკიც არ მინდა. ახლა მისმინეთ, რაზე დავთანხმდებით. უფლებას მოგცემთ, ბავშვი მონათლოთ. მხოლოდ ამაზე დავთანხმდებით.
- სხვა არაფერზე?
- და იმაზე, რომ აღნიშნოთ შობის დღესასწაული.
- აღდგომა?

- ალდგომა. მას ალდგომა სჭირდება, სეიმურ. იცით, ძვირფასო დო-
უნ, რა არის ჩემთვის ალდგომა? ალდგომა ის დღეა, რომლის წყალობი-
თაც ჩვენ უამრავ დაკვეთას ვიღებთ. უამრავ დაკვეთას ხელთათმანებ-
ზე, რომლებიც მაღაზიებში უნდა ეწყოს და ელოდოს მყიდველებს, სა-
ალდგომო აღკაზმულობის შესაძენად რომ გამოცხადდებიან. ახლა ერთ
ამბავს მოგიყვებით. ყოველ წელს, ოცდათერთმეტ დეკემბერს, დღისით,
მთლიანად ვაწესრიგებდით ერთი წლის დოკუმენტაციას, ყველას შინ
ვისტუმრებდით და საამქროს უფროსებთან ერთად შამპანურის დასა-
ლევად ვსხდებოდით. საკმარისი იყო, პირველი ყლუპი მოგვესვა, რომ,
როგორც წესი, უელმინგტონის მაღაზიიდან გვირეკავდნენ, შემდეგ -
დელავერის მაღაზიიდან. რეკავდნენ შემსყიდველები, რომელთაც ათას
ორასი მოკლე თხელი თეთრი ხელთათმანის დაკვეთა სურდათ. ოც წე-
ლიწადზე მეტი ხნის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილებით ვიცო-
დით, რომ როგორც კი ჭიქას ავწევდით და ახალ წელს ვადღეგრძელებ-
დით, აუცილებლად დარეკავდნენ და ათას ორასი ხელთათმანის მიწო-
ლებას გვთხოვდნენ. და ეს საალდგომო ხელთათმანები იყო.

- საკუთარი ტრადიცია გქონიათ.
- დიახ, ქალიშვილო. ახლა მიაბზეთ, რა არის საკუთრივ ალდგომა.
- ის ალდგება.
- ვინ?
- იესო. იესო ალდგება.
- მის, თქვენ მდგომარეობას მიმძიმებთ. მე კი მეგონა, რომ ამ დღეს
ლიტანიას მართავთ ხოლმე.
- დიახ, ვმართავთ.
- კარგი. ლიტანიას გიტოვებთ. კიდევ რა ხდება?
- ალდგომას ღორის ხორცს შევუქცევით.
- თუ ალდგომას ღორის ხორცის ჭამა გსურთ, შეგიძლიათ ჭამოთ. კი-
დევ რა?
- ეკლესიაში მივდივართ საალდგომო ქულებით.
- და, ვიმედოვნებ, ლამაზი თეთრი ხელთათმანებით.
- დიახ.
- გსურთ, ალდგომას ეკლესიაში იაროთ და ჩემი შვილიშვილიც ატა-
როთ?
- დიახ. ისინი ვიქნებით, ვისაც დედაჩემი ასე უწოდებს: „კათოლი-
კეები წელიწადში ერთხელ“.

- მართლა ასეა? წელიწადში ერთხელ? (მხიარულად შემოჰკრავს ტაშს). მოვილაპარაკეთ, წელიწადში ერთხელ. თანახმა ვარ.
- კაცმა რომ თქვას, წელიწადში ორჯერ. საშობაოდ და სააღდგომოდ.
- საშობაოდ რას აპირებთ?
- სანამ ბავშვი პატარა იქნება, უბრალოდ, წირვას დავესწრებით და საშობაო ქორალებს ვიგალობებთ. წესით, ეკლესიაში უნდა დარჩე, სანამ ყველა ქორალს არ იგალობებენ. სხვა შემთხვევაში არ ჩაგეთვლება. საშობაო ქორალებს რადიოთიც გადმოსცემენ, ეკლესიაში კი გალობა ჩვილის შობამდე არ იწყება.
- ეს ყველაფერი არ მაინტერესებს. ქორალების გალობა არ მაინტერესებს. რამდენ დღეს გრძელდება ეს?
- შობის წინაღღე. შემდეგ - ღამის მესა. ღამის მესა სადღესასწაულო მესაა...
- არ ვიცი, ეს რას ნიშნავს და არც მინდა ვიცოდე. გითმობთ შობის წინაღღეს და შობის დღეს, გითმობთ აღდგომას. მაგრამ არ გითმობთ იმ რაღაცას, სხეულის ჭამა რომ ჰქვია.
- კატეხიზმო? კატეხიზმოს რა ვუყოთ?
- ამის უფლებას ვერ მოგცემთ.
- იცით, რა არის?
- არც მჭირდება ამის ცოდნა. ვფიქრობ, საკმარისი ღმობიერება გამოვიჩინე. ჩემი ვაჟი აგიხსნით - ის კი კარგად მიცნობს - რომ ნახევარზე მეტი დაგითმეთ. კატეხიზმო რაღაა?
- საკვირაო სკოლაში ქრისტეს სწავლების ათვისება.
- აბსოლუტურად გამორიცხულია. გასაგებია? გესმით? მოვილაპარაკეთ? წერილობით გავაფორმით? შემიძლია, თქვენს სიტყვას ვენდო, თუ მაინც წერილობით გავაფორმით? რას იტყვით, დოუნ?
- ვშიშობ, მისტერ ლევოვ...
- შიშობთ?
- ჰო (ცრემლები ერევა). ვშიშობ, რომ ბრძოლას ველარ გავაგრძელებ.
- მე კი მომწონს, როგორ იბრძვით.
- მისტერ ლევოვ, მოდით, ეს ყველაფერი მოგვიანებით გადავწყვიტოთ.

- მოგვიანებით არ ივარგებს. ან ახლა, ან არასოდეს. გარდა ამისა, ბარ-მიცვისთვის მომზადების საკითხი უნდა გადავწყვიტოთ.
- თუ ბიჭი გაჩნდება და მას ბარ-მიცვისთვის მოამზადებენ... თავდაპირველად უნდა მოინათლოს, შემდეგ კი თვითონ გადაწყვეტს.
- რას გადაწყვეტს?
- როდესაც გაიზრდება, გადაწყვეტს, რა უფრო მოსწონს.
- არაფერსაც არ გადაწყვეტს. მე და თქვენ უნდა გადავწყვიტოთ, და თანაც, ახლავე.
- რატომ არ შეიძლება დავიცადოთ და ვნახოთ, რა იქნება?
- არაფერსაც არ ვნახავთ.
- (შვედს) ასე ვერ განვაგრძობ ლაპარაკს მამაშენთან. ძალიან მთრგუნავს. ამ ბრძოლაში დავმარცხდები. ვერაფერზე შევთანხმდებით, სეიმურ. ბარ-მიცვის მომხრე არ ვარ.
- ბარ-მიცვის მომხრე არ ხართ?
- თორით და ასეთი რამეებით?
- დიახ.
- არა.
- ვფიქრობ, შეთანხმებას ვერ მივაღწევთ.
- მაშინ შვილების გაჩენაზე უარი უნდა ვთქვათ. თქვენი შვილი მიყვარს. უშვილო ოჯახი გვექნება.
- ბაბუა არ გავხდები? ასე გადაწყვიტეთ?
- კიდევ ერთი ვაჟი გყავთ.
- არა, არა, ასე არ შეიძლება. თქვენთან არავითარი პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ იქნებ დავამთავროთ ლაპარაკი?
- ხომ არ სჯობს, დავიცადოთ და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, მისტერ ლევოვ? წინ იმდენი დრო გვაქვს! რატომ არ უნდა მივცეთ საშუალება ბიჭს ან გოგოს, თვითონ გადაწყვიტოს, რა სურს?
- აბსოლუტურად გამორიცხულია. არავითარ შემთხვევაში არ მივცემ უფლებას ბავშვს, დამოუკიდებლად მიიღოს ამგვარი გადაწყვეტილება. რა ჯანდაბა უნდა გადაწყვიტოს? რა ესმის? ჩვენ ზრდასრულები ვართ. ბავშვი ზრდასრული არაა (დგება და განაგრძობს). მის დუაირ, კალმით ნახატი ხართ. ვაღიარებ, რომ ბევრს მიაღწიეთ. ყოველ ქალიშვილს როდი შეუძლია მიაღწიოს ამდენს. მშობლები, ეჭვს გარეშეა, ამაცობენ თქვენით. გმადლობთ, რომ ჩემს ოფისში მობრძანდით. დიდი მადლობა და კარგად ბრძანდებოდეთ.

- არა. მაპატიეთ, მაგრამ ვრჩები. წასვლას არ ვაპირებ. კალმით ნახატი არ ვარ, მისტერ ლევოვ. მე მე ვარ - მერი დოუნ დუაირი ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ელიზაბეთიდან. ოცდაორი წლის გახლავართ. თქვენი ვაჟი მიყვარს. აი, რატომ მოვედი. მიყვარს სეიმური. მიყვარს. გთხოვთ, განვაგრძოთ.

ასე მიაღწიეს შეთანხმებას. ახალგაზრდები დაქორწინდნენ. მერი დაიბადა და მალულად მონათლეს. სანამ 1959 წელს დოუნის მამა მეორე ინფარქტისგან გარდაიცვლებოდა, მადლიერების დღეს ორივე ოჯახი ყოველწლიურად სტუმრად ჩამოდიოდა ოლდ-რიმროკში. ყველას გასაოცრად - დოუნის გარდა - ლუ ლევოვი და ჯონ დუაირი დამეგობრდნენ და უსასრულოდ უყვებოდნენ ერთმანეთს, როგორც იყო ცხოვრება მათი ახალგაზრდობის დროს. ორი მძლავრი მეხსიერება ერთ ნაკადად მოჩქეფდა და მისი შეჩერება შეუძლებელი იყო. საუბარი ეხებოდა კათოლიციზმსა თუ იუდაიზმზე უფრო მნიშვნელოვან თემებს - ნიუარკსა და ელიზაბეთს, და თანამოსაუბრეებს ერთმანეთისგან ვერავინ აშორებდა.

- ყველა იმიგრანტი ნავსადგურში მუშაობდა, - ჯიმ დუაირი თხრობას ყოველთვის ნავსადგურით იწყებდა, - ზინგერის ფაბრიკაში. მსხვილი ფაბრიკა იყო. გემთსაშენ ქარხანაშიც მუშაობდნენ, რა თქმა უნდა. მაგრამ ყველა, ვინც ელიზაბეთში ჩამოდიოდა, სხვადასხვა დროს ზინგერთან მუშაობდა. ზოგიერთი ნიუარკ-ავენიუმდეც აღწევდა - „ბარი ბისკიტის“ საკონდიტრომდე. ესე იგი, ან საკერავ მანქანებს ამზადებდნენ, ან - ნამცხვარს. უმეტესობა მაინც ზინგერთან მუშაობდა - მისი ფაბრიკა პირდაპირ ნავსადგურში, მდინარესთან იდგა. ისინი ყველაზე მსხვილი დამქირავებლები იყვნენ მთელ ოლქში. ყველა იმიგრანტს ჩამოსვლისთანავე შეეძლო მუშაობა დაეწყო ზინგერთან. უმსხვილესი საწარმო იყო. ზინგერი და „სტენდარდ ოილი“. „სტენდარდ ოილი“ ლინდენში იყო. ყურესთან. გარეუბნის განაპირას, რომელსაც დიდ ელიზაბეთს ეძახდნენ... მერი ვინ იყო? ჯო ბროფი. ნამდვილად. ქვანახშირის კომპანიის მფლობელიც იყო და ქალაქის მერიც. შემდეგ ის ჯიმ კერკმა შეცვალა... ჰო, რა თქმა უნდა, ქალაქის მერი ჰეიგი. უჰ, რა საშინელი ხასიათი ჰქონდა! ჩემს სიძეს, ნედს, ბევრი რამის მოყოლა შეუძლია ფრენკ ჰეიგის შესახებ. ჯერსი-სიტის ამბების ნამდვილი ექსპერტია. თუკი აქ არჩევნების დროს ჰკვიანურად მოიქცეოდი, სამუშაო გარანტირებული გქონდა. მე მხოლოდ სტადიონზე დავდიოდი.

ჯერსი-სიტყვი ბეისბოლის მშვენიერი სტადიონი იყო. რუზველტის სტადიონი. შესანიშნავი. ჰეიგის თაღლითობა, როგორც იცით, ვერ გამოაშკარავეს. სამსახური დატოვა და ახლა სანაპიროზე ცხოვრობს, ესნერი-პარკის მახლობლად. ჰო, კარგად მოეწყო... საქმე ისაა, რომ ელიზაბეთი ძალიან სპორტული ქალაქია, მაგრამ სათანადო პირობები თითქმის არ იყო. არ იყო საზამთრო დახურული სტადიონები ბეისბოლისთვის, სადაც ორმოცდაათ ცენტს გადაიხდიდი და შეხვიდოდი. მხოლოდ ღია სტადიონები გვქონდა: ბროფის მოედანი, მატანოს სტადიონი, ვარანანკოს სტადიონი - მუნიციპალური სტადიონები, და მაინც გვყავდა სახელგანთქმული გუნდები და შესანიშნავი მოთამაშეები. მიკი მაკდერმოტი ელიზაბეთის სენტ-პატრიკის ტაძრის მრევლიდან. ის შავი ნიუკომიც ჩვენი ბიჭია, ელიზაბეთის მკვიდრი. კოლონიაში ცხოვრობს, მაგრამ ისიც ელიზაბეთიდანაა, პიტჩერი იყო ჯეფერსონის გუნდში... რა კარგი იყო ცურვა ართურის სრუტეში! ნამდვილად. ჩემთვის ეს არდადეგები იყო. წელიწადში ორჯერ ესბერი-პარკში ჩავდიოდი. ჰოო! ეს მართლაც არდადეგები იყო. გეტალის ხიდის ქვეშ, არხში ვბანაობდი. ზურგზე დაწოლილი ვცურავდი. როდესაც შინ ტალახიანი თმით ვბრუნდებოდი, დედაჩემი მეკითხებოდა, ისევ ართურის სრუტეში იცურავო? მე კი ვპასუხობდი: „მდინარე ელიზაბეთში? კი არ გავგიჟებულვარ“. ტალახიანი თმა კი ყალყზე მედგა...

შვედის დედასა და სიდერს უფრო გაუჭირდათ სასაუბრო თემების გამოძებნა. მართალია, დოროთი დუაირი მადლიერების დღეს მჭევრმეტყველებდა - ისევე ბევრს ყბედობდა, როგორც ნერვიულობდა - მაგრამ მხოლოდ ეკლესიის შესახებ ლაპარაკობდა:

- თავდაპირველად ნავსადგურში სენტ-პატრიკის ეკლესია ააშენეს და ჯიმი მისი მრევლის წევრი იყო. გერმანელებმა შექმნეს თავიანთი მრევლი სენტ-მაიკლის ეკლესიასთან, პოლონელებმა - სენტ-ადალბერტის ეკლესიასთან, მესამე ქუჩისა და ისტ-ჯერსი-სტრიტის კუთხეში, აგრეთვე - სენტ-პატრიკის ეკლესიასთან, ჯექსონ-პარკის უკან, კუთხეში. ღვთისმშობლის ეკლესია ელიზაბეთის სამხრეთ ნაწილში, უესტ-ენდის რაიონშია. ჩემი მშობლები თავდაპირველად სწორედ იქ ცხოვრობდნენ. რძის პროდუქტების მაღაზია ჰქონდათ მარეის-სტრიტზე. სენტ-პატრიკის, წმინდა გულის (ელიზაბეთის ჩრდილოეთ ნაწილში), წმინდა ზიარებისა და უმანკო ჩასახების ეკლესიები ირლანდიელებისაა. სენტ-კეტრინისაც. ის მოშორებითაა, ვესტმინსტერში.

შეიძლება ითქვას, ქალაქის საზღვართან. იქ უკვე ჰილსაიდია, მაგრამ ქუჩის გადაღმა მდებარე სკოლა ჯერ კიდევ ელიზაბეთშია. და, რა თქმა უნდა, ჩვენი ეკლესია, სენტ-ჯენევიევის. თავდაპირველად ის მისიონერული ეკლესია იყო. ხის უბრალო შენობა. ახლა დიდი, ლამაზი ეკლესიაა. მაგრამ შენობა, რომელიც აღმართეს... მახსოვს, როგორ შევედი პირველად...

ამის ატანა ძნელი იყო. დოროთი დუაირი განუწყვეტლივ ლაქლაქებდა ელიზაბეთზე, თითქოს ის შუა საუკუნეების ქალაქი ყოფილიყო, რომლის ირგვლივაც, უკიდევანო მინდვრებზე, გლეხები შრომობდნენ, ხოლო შორს ეკლესიების შპილები ილანდებოდა. დოროთი დუაირი სულმოუთქმელად ლაპარაკობდა სენტ-ჯენევიევის, სენტ-პატრიკისა და სენტ-კეტრინის შესახებ, სილვია ლევოვი კი მის წინ იჯდა, თავაზიანად უკრავდა თავს და ილიმებოდა, თუმცა სახეზე ფერი არ ედო. იჯდა და ითმენდა - ზრდილობის გამო იკავებდა თავს. ასე რომ, ზოგადად, ყველაფერი არც ისე ურიგოდ იყო. წელიწადში მხოლოდ ერთხელ ხვდებოდნენ ერთმანეთს - მაღლიერების დღის ნეიტრალური, არარელიგიური მიზნებით. როდესაც ყველა ერთსა და იმავე კერძებს მიირთმევს და არავის უხდება უცნაური კერძებისგან თავის შეკავება. არც კუგელი, არც ფარშირებული თევზი, არც მომწარო მწვანილი. მხოლოდ ინდაური - უზარმაზარი ინდაური ორას ორმოცდაათ მილიონ მოქალაქეზე. ერთი ვეება ინდაური, რომელიც ყველას ყოფნის. და მორატორიუმი უჩვეულო კერძებზე, უჩვეულო ზნე-ჩვეულებებზე, რელიგიურ შეხედულებებზე; მორატორიუმი სამიათასწლიან ებრაულ ნოსტალგიაზე; მორატორიუმი ქრისტიანზე, ჯვარსა და ჯვარცმაზე. ასე ნიუ-ჯერსისა და ყველა სხვა შტატის მცხოვრებნი უფრო შემწყნარებლურად ეკიდებიან მეზობელთა აბსურდულ რწმენას, ვიდრე მთელი წლის განმავლობაში. მორატორიუმი უკმაყოფილებასა და აღშფოთებაზე, რომელიც ვრცელდებოდა არა მარტო დუაირებისა და ლევოვების ოჯახზე, არამედ ყველა იმ ამერიკელზეც, ეჭვის თვალით რომ უყურებენ მათგან განსხვავებულ ადამიანებს. სწორედ ესაა ამერიკული პასტორალი, რომელიც ოცდაოთხი საათი გრძელდება.

- შესანიშნავი იყო. საპრეზიდენტო კაიუტა. სამი საძინებელი და ერთი სასტუმრო ოთახი. აი, რას ნიშნავდა იმხანად „მის ნიუ-ჯერსის“ ტიტულის მოპოვება. ტრანსატლანტიკური კომპანიის ლაინერი. ვფიქ-

რობ, ეს კაიუტა არავის ჰქონდა დაჯავშნილი და როდესაც გემბანზე ავედით, ჩვენ დაგვითმეს.

დოუნი უამბობდა ზალცმანებს, როგორ მიცურავდნენ ატლანტის ოკეანეზე, შვეიცარიაში სამოგზაუროდ.

- მანამდე ევროპაში არ ვყოფილვარ. გზაში სულ მეუბნებოდნენ: „საფრანგეთი შეუდარებელია. როგორც კი დილას ჰავრში ჩავალთ, მაშინვე იგრძნობ საფრანგეთის სურნელს. ნახავ, როგორ შეგიყვარდება“. ამიტომ როდესაც დილაადრიან - სეიმური ჯერ კიდევ იწვა - შევიტყვე, რომ ნაპირს ვუახლოვდებოდით, გემბანზე გამოვვარდი და ჰაერი ჩავისუნთქე. და იცით, რისი სუნი მეცა? - გაიცინა დოუნმა, - ხახვისა და ნივრის.

შვედი მართლაც იწვა, დოუნი კი კაიუტიდან გამოვარდა მერისთან ერთად, თუმცა ახლა, მისი ნაამბობიდან გამომდინარე, იფიქრებდით, რომ გემბანზე მარტო იდგა, იმით გაოგნებული, რომ საფრანგეთის სურნელი ყვავილებისას სულაც არ ჰგავდა.

- პარიზში მატარებლით გავემგზავრეთ. მშვენიერი ხედები. უზარმაზარი ტყეები, თუმცა ხეები მწკრივებადაა ჩარიგებული. ტყეებს იქ ამგვარად რგავენ - მწკრივებად. მშვენივრად ვიმოგზაურეთ. ხომ ასეა, საყვარელო?

- ჰო, კარგი იყო.

- სეირნობისას ჯიბეებში გრძელ პურებს ვიწყობდით. ეს ამოჩრილი პურები თითქოს ყველას ამცნობდნენ: „ჰეი, შეხეთ, როგორ გამოიყურება ორი პროვინციული ნიუ-ჯერსიდან“. შესაძლოა, სწორედ ისეთი ამერიკელები ვიყავით, რომლებსაც ყოველთვის დასცინიან. მაგრამ ეს არ გვანაღვლებდა. ქალაქში დავხეტიალებდით, პურის ქერქს ვახრამუნებდით და ყველაფერს ვათვალთვლებდით: ლუვრს, ტუილრის ბაღს. დიდებული იყო. „კრიიონში“ ვცხოვრობდით, და ეს მოგზაურობის საუკეთესო ნაწილი გახლდათ. როგორ მომეწონა იქაურობა! შემდეგ ლამის მატარებელში - „აღმოსავლეთის ექსპრესში“ - ჩავსხედით და ციურიხში გავემგზავრეთ, მაგრამ გამცილებელმა დროზე არ გაგვალვიდა. გახსოვს, სეიმურ?

დიახ, ახსოვდა. როდესაც მერი ბაქანზე ჩამოსვეს, მხოლოდ პიჟამა ეცვა.

- რა გადავიტანეთ! მატარებელი უკვე დაიძრა. იძულებული გავხდი, ბარგისთვის ხელი მეტაცა და ფანჯრიდან მესროლა - იცით, იქ ასეც

ჩამოდინან მატარებლიდან. ნახევრადშიშვლები ჩამოვხტით. ჩვენ ხომ არ გავუღვიძებოვართ. საშინელება იყო! - ამ სცენის გახსენებისას დოუნმა მხიარულად გაიცინა. - მე და სეიმურს მხოლოდ საცვლები გვეცვა. და ჩვენი ჩემოდნები... ჰოდა, ბოლოს და ბოლოს, - დოუნი ისე იცინოდა, რომ თხრობა უჭირდა, - ციურხში მოვხვდით. იქ ვსადილობდით არაჩვეულებრივ რესტორნებში, სადაც ფაფუკი კრუასანებისა და შესანიშნავი პაშტეტების სუნი იდგა. საკონდიტროებს ყოველ ნაბიჯზე ნახავდით. და კიდევ ბევრ ასეთ რამეს. რა კარგი იყო! გაზეთები ჯოხებზე იყო მიმაგრებული და სპეციალურ ჩარჩოებზე ეკიდა. იღებ გაზეთს, ჯდება და საუზმობ - შესანიშნავია! იქ ავტომანქანა დავიჭირავეთ, შუა სიმენტალში, ცუგში ჩავედით და გზა გავაგრძელეთ ლუცერნისკენ - უმშვენიერესი ქალაქისკენ, იქიდან კი - ლოზანისკენ, „ბო-რივაჟისკენ“. გახსოვს „ბო-რივაჟი“? - ჰკითხა დოუნმა ქმარს, რომელსაც ჯერ კიდევ ჩაბლუჯული ჰქონდა მისი ხელი.

დიახ, ახსოვდა. არასოდეს დავიწყებია. უცნაური დამთხვევის შედეგად, სწორედ დღეს გაახსენდა „ბო-რივაჟი“, როდესაც სენტრალ-ავენიუდან ოლდ-რიმროკში მოდიოდა. გაახსენდა მერი, რომელიც ჩაის სვამდა კაფეში, სადაც ორკესტრი უკრავდა - მერი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ძალადობის მსხვერპლი. მან, ექვსი წლის გოგონამ, მეტრდოტელთან იცეკვა. ოთხი ადამიანი კი ჯერ კიდევ არ ჰყავდა მოკლული. მადმუაზელ მერი. „ბო-რივაჟში“ ყოფნის ბოლო დღეს შვედი ჩავიდა საიუველირო მალაზიაში, რომელიც სასტუმროს ვესტიბულში იყო და დოუნს ბრილიანტის ყელსაბამი უყიდა. მანამდე მერი და დოუნი სანაპიროზე სასეირნოდ წავიდნენ, რათა უკანასკნელად შეეველოთ თვალი ქენევის ტბაზე მოცურავე გემებისთვის და გზის გადაღმა აღმართული ალპებისთვის. შვედმა წარმოიდგინა ცოლი ამ ბრილიანტის ყელსაბამითა და გვირგვინით (რომელსაც დოუნი კარადის თავზე, ქუდის კოლოფში ინახავდა) - „მის ნიუ-ჯერსის“ ვერცხლის გვირგვინით, რომელსაც ხელოვნური ბრილიანტების ორი რიგი ამშვენებდა. მაგრამ ვინაიდან დოუნს ისიც კი არ სურდა, რომ ამ გვირგვინით მერის ენახა („არა, არა, რა სისულელეა, დედამისი ვარ და ეს სრულიად საკმარისია!“), შვედმა ვერ დაიყოლია, რომ ორივე სამკაულით ჩვენებოდა ქმარს. დოუნს კარგად იცნობდა და იცოდა, რომ ვერ დაითანხმებდა ამაზე თუნდაც თავის შესაქცევად, თუნდაც მხოლოდ მათ საძინებელ ოთახში. არასოდეს ჯიუტობდა ისე, როგორც იმ შემთხვევებში, როდესაც

ყოფილი „მის ნიუ-ჯერსის“ როლში გამოსვლა უწევდა. „ეს კონკურსი წარსულს ჩაბარდა, - პასუხობდა ის ყველას, ვინც ამის შესახებ ეკითხებოდა. - სილამაზის კონკურსის მონაწილეების უმრავლესობა მზადაა შეიძულოს ყველა, ვინც ამას აგონებს და მეც მათ რიცხვს მივეკუთვნები. ერთადერთი ჯილდო გამარჯვებისთვის - პრემიაა“. და მაინც, როდესაც ეს ყელსაბამი „ბო-რივაჟში“, მალაზიის ვიტრინაში შეამჩნია, შვედმა ის წარმოიდგინა არა პრემიით დაჯილდოებული ქალიშვილის, არამედ სილამაზის დედოფლის ყელზე.

საოჯახო ალბომში ჩაწებებული ფოტოსურათების თვალიერება შვედს ოჯახური ცხოვრების დასაწყისში ძალზე სიამოვნებდა, ზოგჯერ კი სხვებსაც აჩვენებდა ხოლმე. ამაყობდა ამ პრიალა ფოტოებით, რომლებიც 1949-50 წლებში იყო გადაღებული. მაშინ დოუნი ორმოცდათორმეტი კვირის განმავლობაში ასრულებდა იმ სამუშაოს, რასაც „მის ნიუ-ჯერსის“ საზოგადოებრივ მოვალეობათა მარეგულირებელი კომიტეტის თავმჯდომარე შტატის ოფიციალური „დიასახლისის“ როლის შესრულებას უწოდებდა. ეს სამუშაო გულისხმობდა რაც შეიძლება მეტი ადამიანის მიზიდვას „დიასახლისისთვის“ უკიდურესად დამღლე ღონისძიებებში. ამისთვის, პრემიის სახით - 500 დოლარს, საზოგადოებაში ყოველი გამოსვლისთვის კი 50 დოლარს იძლეოდნენ. რა თქმა უნდა, აქ იყო 1949 წლის 21 მაისს „მის ნიუ-ჯერსის“ კორონაციის ფოტოსურათი, რომელზეც დოუნს დეკოლტირებული, წელში გამოყვანილი, კოჭებამდე დაშვებული, ყვავილებითა და ბრჭყვიალა მძივებით მოქარგული აბრეშუმის სამეჯლისო კაბა ეცვა, თავზე კი გვირგვინი ედგა. „როდესაც სამეჯლისო კაბა გაცვია და თავზე გვირგვინი გადგას, კიდევ არა უშავს, - ამბობდა დოუნი, - მაგრამ როდესაც ჩვეულებრივად გაცვია და გვირგვინი გადგას, კომიკურად გამოიყურები. პატარა გოგონები გეკითხებიან, პრინცესა ხომ არ ხარო, მოზრდილებს კი აინტერესებთ, ნამდვილი ბრილიანტები გიკეთია თუ არა. ჩვეულებრივ ტანსაცმელში, ამ რალაციით თავზე, სეიმურ, ძალიან სულელურად ვგრძნობდი თავს“. მაგრამ ის სულაც არ გამოიყურებოდა სულელურად, როდესაც თავზე გვირგვინი ედგა და სადა ტანსაცმელი ეცვა - პირიქით, განსაცვიფრებლად ლამაზი იყო. იმ სურათებს შორის, რომლებზეც დოუნს გვირგვინი ედგა და ჩვეულებრივად ეცვა, „მის ნიუ-ჯერსის“ ლენტი კი ქამარზე ჰქონდა მიმაგრებული, იყო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, ფერმერთა შორის, და მეწარმეთა ყრილობა-

ზე, ბიზნესმენტა შორის გადაღებული ფოტოები. კიდევ ერთ ფოტოსურათზე სამეჯლისო აბრეშუმის კაბაში გამოწყობილი, მხრებმოშიშვლებული დოუნი გუბერნატორის სასახლეში, პრინსტონში, ნიუ-ჯერსის გუბერნატორთან, ალფრედ ე. დრისკოლთან ცეკვავდა. აქვე იყო ალუმების დროს, ლენტეხის გაჭრისას, საქველმოქმედო ბაზრობების გახსნისას გადაღებული სურათები. ერთ ფოტოსურათზე აღბეჭდილი იყო დოუნი - ადგილობრივ სილამაზის დედოფალთა კორონაციის მონაწილე. მალაზიებისა და ავტოსალონების გახსნის ცერემონიებზე გადაღებული ფოტოსურათები: „ეს დოუნია, მის გვერდით მდგარი ჩასუქებული კაცი მეპატრონეა“. ორიოდ ფოტოსურათზე დოუნი სკოლებში, ბავშვებით გადაჭედულ დარბაზებში, შოპენის პოლონეზის გამარტივებულ ვარიანტს უკრავდა. სწორედ ეს ვარიანტი შეასრულა „მის ნიუ-ჯერსის“ კონკურსის დროს, როდესაც იძულებული იყო, განუწყვეტლივ გამოეტოვებინა ნოტები, რათა ორ-ნახევარ წუთში ჩატეულიყო და არ გამოეთიშათ მომდევნო შეჯიბრებებიდან. და ყველა ამ ფოტოსურათზე, რაც უნდა სცმოდა, მის თავს ამშვენებდა გვირგვინი, რომელიც ქმრის თვალშიც და პატარა გოგონების თვალშიც პრინცესად აქცევდა, უფრო ჭემმარიტ პრინცესად, ვიდრე ევროპის სამეფო ოჯახების მრავალი წარმომადგენელი იყო, რომელთა ფოტოსურათებიც შვედს „ლაიფში“ ენახა.

გარდა ამისა, აქ იყო ატლანტიკ-სიტიში, სექტემბერში, „მის ამერიკის“ კონკურსის დროს გადაღებული ფოტოსურათები, რომლებზეც დოუნს საცურაო კოსტიუმი ან სამეჯლისო კაბა ეცვა. ამ ფოტოსურათების თვალჩინებისას შვედს ყოველთვის უკვირდა, რომ ვილაც სხვას მიანიჭეს უპირატესობა და არა - დოუნს. „ვერც კი წარმოიდგენ, რა სულელურად გრძნობ თავს პოდუიმზე, საცურაო კოსტიუმსა და მალაქუსლიან ფეხსაცმელში გამოწყობილი. ნახევარ გზას რომ გაივლი, სურვილი გიჩნდება, საცურაო კოსტიუმი ზურგზე ხელით გაისწორო...“. მაგრამ დოუნი სულაც არ გამოიყურებოდა სულელურად. რამდენჯერაც უნდა ენახა შვედს საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი დოუნის ფოტოსურათი, ალტაცებით ამბობდა: „რა მშვენიერი იყო!“ მაყურებლებიც ალტაცებულნი იყვნენ მისით. გასაკვირი არაა, რომ ატლანტიკ-სიტიში ყველა ძირითადად „მის ნიუ-ჯერსის“ გულშემატკივრობდა. ჩვენების დროს მქუხარე ტაშმა კი დაადასტურა, რომ ეს ალტაცება მხოლოდ ადგილობრივი პატრიოტიზმით არ იყო გამოწვეული. იმ

დროს კონკურსს ტელევიზიით ჯერ კიდევ არ აჩვენებდნენ. მისი ნახვა მხოლოდ დარბაზში მსხდარ მაყურებლებს შეეძლოთ. ჰოდა, როდესაც დარბაზში დოუნის ძმის გვერდით მჯდარმა შვედმა გოგონას მშობლებს დაურეკა და აცნობა, დოუნმა ვერ გაიმარჯვაო, გაუზვიადებლად დაამატა, მაგრამ მთელი დარბაზი მოხიბლათ.

ქორწილზე წინა წლების ხუთი „მის ნიუ-ჯერსი“ მოვიდა, მაგრამ დოუნს ვერც ერთი ვერ შეედრებოდა. კონკურსანტმა გოგონებმა ერთგვარი საზოგადოება ჩამოაყალიბეს და ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში აუცილებლად ესწრებოდნენ ყველა ქორწილს. ასე რომ, შვედმა გაიცნო შტატის გვირგვინით დამშვენებული, სულ ცოტა, ათი დედოფალი და კიდევ დაახლოებით ოცი პრეტენდენტი, რომელთაც მინიჭებული ჰქონდათ ტიტულები: „მის ზღვისპირა კურორტი“, „მის ცენტრალური სანაპირო“, „მის კოლუმბის დღე“ და „მის ჩრდილოეთის ციალი“. ვერც ერთი ვერ შეედრებოდა მის ცოლს ნიჭიერებით, ჭკუით, თვითმყოფობითა და თავშეკავებით. როდესაც აუცილებელი ხდებოდა ახსნა, თუ რატომ არ აირჩიეს დოუნი „მის ამერიკად“, შვედი გულწრფელად აღიარებდა, რომ ამის მიზეზი არ ესმოდა. დოუნი ყოველთვის სთხოვდა, არ გაემეორებინა ეს ყველგან, რადგან ამგვარი განმარტება ხალხს აფიქრებინებდა, დოუნი დამარცხებას განიცდისო. მან კი დამარცხების შემდეგ შვება იგრძნო. ყოველივეს თავი ისე გაართვა, რომ საკუთარი ღირსება და ოჯახის სახელი არ შეუბღალავს. ეს, თავისთავად, შვებას აგრძნობინებდა. რა თქმა უნდა, ნიუ-ჯერსის მცხოვრებთა მხურვალე მხარდაჭერის შემდეგ უკვირდა და გულნატკენიც იყო, რომ საუკეთესოთა სამეულში ვერ მოხვდა და ათეულშიც კი არ შეიყვანეს, მაგრამ შეიძლება ეს ღვთის წყალობა გახლდათ. ისეთ მებრძოლ ადამიანს კი, როგორც შვედი იყო, დამარცხება არც შვებას აგრძნობინებდა და არც ღვთის წყალობად ეჩვენებოდა, მაგრამ დოუნის თავშეკავება - დამარცხებულთა თავშეკავებულობის შესახებ ყველანი ლაპარაკობდნენ - ალაფრთოვანებდა, თუმცა მისთვის ამგვარი ქცევა გაუგებარი იყო.

კონკურსში დამარცხებამ, უპირველეს ყოვლისა, დოუნს საშუალება მისცა, მამასთან ურთიერთობა აღედგინა. ჯიმ ღუაირი გმობდა კონკურსში მონაწილეობისადმი გოგონას ჯიუტ სწრაფვას. „არ მანაღვლებს, რამდენ ფულს იშოვი იქ, - განუცხადა მისტერ ღუაირმა, როდესაც დოუნმა მოსალოდნელი პრემიის შესახებ უამბო, - მთელი ამ სისუ-

ლელის საფუძველი ავხორცობაა. ეს გოგოებიც იმიტომ მიჰყავთ. და რაც უფრო მეტს უხდიან, მით უარესია ეს ყველაფერი. ასე რომ, ჩემი პასუხია: არა!”

ის, რომ, საბოლოოდ, მისტერ დუაირი დათანხმდა ატლანტიკ--სიტიში ჩამოსვლას, დოუნის დეიდის, პეგის მცდელობების შედეგი გახლდათ. ეს ის პეგი იყო, რომელიც მდიდარ ბიძია ნედს მისთხოვდა და პატარა დოუნი თავისთან მიჰყავდა ხოლმე სასტუმროში, სპრინგს--ლეიკზე. „რა თქმა უნდა, არც ერთ მამას არ სურს თავისი შვილი იქ იხილოს, - უთხრა პეგმა სიძეს ალერსიანი ხმით, რომელიც დოუნს ალაფრთოვანებდა და მიბაძვის სურვილს უჩენდა. - ეს ყველაფერი ალვიძებს გარკვეულ წარმოდგენებს, რომლებიც არც ერთ მამას არ ეპიტნავენ. საქმე ჩემს შვილს რომ ეხებოდეს, მეც ასეთივე განცდები მექნებოდა. თანაც, მე ხომ არა მაქვს გრძნობათა ის კომპლექსი, რომელიც მამებს აქვთ შვილების მიმართ. ეს უთუოდ შემაწუხებდა. ვფიქრობ, შენს გრძნობებს მამების უმრავლესობა გაიზიარებს. ერთი მხრივ, სიამაყეს გრძნობ, მეორე მხრივ კი, ფიქრობ: „ღმერთო ჩემო, იქ ხომ ჩემი შვილი დგას ყველას წინაშე!“ მაგრამ, ჯიმ, ეს ყველაფერი, ზნეობრივი თვალსაზრისით, ისეთი უწყინარი და უზადოა, რომ საფიქრალიც არაფერია. უვარგისებს ძალიან სწრაფად მოიცვილებენ და ისინი თავიანთ ძველ სამუშაოს დაუბრუნდებიან. მონაწილეები ჩვეულებრივი გოგონები არიან პატარა ქალაქებიდან, წესიერი, გაურყვნიელი გოგონები, რომელთა მამებს, უბრალოდ, მალაზიები აქვთ და სოფლის კლუბების წევრები არ გახლავან. გოგონები ისე გამოიყურებიან, როგორც მაღალი საზოგადოების დებიუტანტები, მაგრამ სათანადოდ აღზრდილნი არ არიან. კონკურსის შემდეგ ისინი შინ ბრუნდებიან და მეზობელ ბიჭებზე თხოვდებიან. ჟიურის ყველა წევრი სერიოზული ადამიანია. ჯიმ, ეს ხომ კონკურსია „მის ამერიკის“ წოდების მოსაპოვებლად. მასში რაიმე შეურაცხმყოფელი რომ იყოს, აკრძალავდნენ. პირიქით, ამ კონკურსში მონაწილეობა დიდი პატივია. დოუნს სურს, რომ შენც გაიზიარო ეს პატივი. თუ იქ არ იქნები, ძალიან ეწყინება. ეს მისთვის შეურაცხმყოფელი იქნება, მით უმეტეს, თუ სხვა მამები მოვლენ“. „პეგი, ამ ღონისძიებაში მონაწილეობა დოუნს არ ეკადრება. ჩვენ არ გვეკადრება. არ წავალ.“ ამის შემდეგ პეგი ალაპარაკდა ჯიმის მოვალეობებზე არა მარტო დოუნის, არამედ მთელი ქვეყნის წინაშე: „არ მიხვედი, როდესაც მან ადგილობრივი კონკურსში გაიმარჯვა; არ მიხვედი, როდესაც შტა-

ტის კონკურსში გაიმარჯვა. ნუთუ იმის თქმა გსურს, რომ ეროვნულ კონკურსში მის გამარჯვებასაც არ დაესწრები? თუ დოუნს „მის ამერიკის“ ტიტულს მიანიჭებენ, შენ კი იქ არ იქნები, სცენაზე არ ახვალ და ამაყად არ მოეხვევი შენს ქალიშვილს, რას იფიქრებენ? იცი, რას იფიქრებენ? „ეს დიდებული ამერიკული ტრადიციაა, მამამისი კი აქ არ იმყოფება. „მის ამერიკის“ ფოტოსურათებზე - ოჯახის წევრებთან ერთად - მამამისი არ ჩანს“. მითხარი, როგორ იგრძნობს დოუნი თავს მომდევნო დღეს?“

ჯიმი ფარ-ხმალი დაყარა და, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, დათანხმდა, სხვა ნათესავებთან ერთად ატლანტიკ-სიტიში კონკურსის დასკვნით საღამოზე დასასწრებად გამგზავრებულიყო. შედეგი თავზარდამცემი აღმოჩნდა. როდესაც დოუნმა დაინახა გამოსასვლელ კოსტიუმში გამოწყობილი ჯიმი, რომელიც ცოლთან ერთად ბიძებს, მამიდებს, ბიძაშვილებს - იუნიონის, ესექსისა და ჰადსონის ოლქებში მცხოვრებ ყველა ღუაირს - შორის იდგა, მან, კომპანიონის ნებართვით, შეძლო მხოლოდ ხელი ჩამოერთმია მამისთვის, რომელიც ადგილზე გაქვავდა. დოუნის ქცევა ნაკარნახევი იყო კონკურსის წესებით, რომლებიც კრძალავდნენ ყოველგვარ ხვევნა-კოცნას, რათა შემთხვევით შესწრებულ ადამიანს (რომელსაც შეიძლება არ სცოდნოდა, რომ ეს მამაკაცი კონკურსანტის მამა იყო) რაიმე საძრახისი არ ევარაუდა. ეს ყველაფერი იმისთვის კეთდებოდა, რომ დაუშვებელი ქცევა გამორიცხულიყო. ჯიმ ღუაირმა კი, რომელიც ის-ის იყო, გამოჯანმრთელდა პირველი ინფარქტის შემდეგ და ნერვები დაძაბული ჰქონდა, დოუნის ქცევა არასწორად განმარტა - გადაწყვიტა, რომ ქალიშვილს თავის თავზე იმდენად დიდი წარმოდგენა შეექმნა, რომ გაბედა დაემცირებინა მამამისი და საჯაროდ, მთელი ხალხის წინაშე, გულცივად მოპყრობოდა.

რა თქმა უნდა, ატლანტიკ-სიტიში გატარებული კვირის განმავლობაში დოუნს შვედთან შეხვედრის უფლებას არ აძლევდნენ, არც კომპანიონი ქალის თანდასწრებით და არც ხალხში. ასე რომ, ვაჟი ბოლო საღამომდე ნიუარკში რჩებოდა და ისევე, როგორც დოუნის ოჯახი, სატელეფონო საუბრებით კმაყოფილდებოდა. ელიზაბეთში დაბრუნების შემდეგ დოუნმა გულწრფელად უამბო მამას, რა მძიმე განსაცდელი აღმოჩნდა მისთვის ერთკვირიანი დაშორება ამ ებრაელ ყმაწვილთან, მაგრამ ამას ჯიმ ღუაირზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. დო-

უნს მოუხდა მამის დაშოშმინება იმის გამო, რასაც ის შემდგომ, მრავალი წლის განმავლობაში, „შეურაცხყოფად“ მოიხსენიებდა.

- ის ძველებური ევროპული სასტუმრო გასაოცარი იყო, - უამბობდა დოუნი ზალცმანებს, - უზარმაზარი, დიდებული. ტბის პირას იდგა. ასეთი სასტუმროები კინოში თუ გინახავთ. ფართო ოთახების ფანჯრებიდან ჟენევის ტბა მოჩანდა. იქაურობა ძალიან მოგვწონდა. მაგრამ ალბათ თავი მოგაბეზრეთ, - უეცრად შენიშნა მან.

- არა, არა, - ერთად უბასუხა ცოლ-ქმარმა.

შეილა თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ყურადღებით უსმენდა დოუნის ყოველ სიტყვას. იძულებული იყო, ასე მოქცეულიყო. ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო იმ ელდის შემდეგ, მის კაბინეტში რომ განიცადა. როდესაც გონს მოვიდა, გაუჭირდა იმის განსაზღვრა, როგორი ადამიანი იყო დოუნი. ისეთი არ იყო, როგორც შვედს ეგონა. იმიტომ კი არა, რომ დოუნი ქმართან თვალთმაქცობდა, არამედ იმიტომ, რომ შვედი ისევე ვერ ერკვეოდა ცოლის ხასიათში, როგორც - ნებისმიერი სხვა ადამიანის ბუნებაში. ადამიანის შინაგანი სამყაროს წვდომა ის უნარი თუ ნიჭი იყო, რომელიც შვედს არ გააჩნდა. არ იცოდა ციფრების ის კომბინაცია, რომლის მეშვეობითაც ამ კლიტეს გაალებდა. მოჩვენებითი სიკეთე ჭეშმარიტ სიკეთედ ეჩვენებოდა, მოჩვენებითი ერთგულება - ჭეშმარიტ ერთგულებად, მოჩვენებითი ინტელექტი - ჭეშმარიტ ინტელექტად. ამის შედეგად ვერ გაუგო ვერც საკუთარ ქალიშვილს, ვერც - ცოლს, ვერც - ერთადერთ საყვარელს. შესაძლოა, ოდნავაც კი არ ესმოდა საკუთარი თავისა. როგორი იყო ის, გარეგნული საფარის მიღმა? ირგვლივ ადამიანები იყვნენ. ყოველი მათგანი ფეხზე დგებოდა და ყვიროდა: „ეს მე ვარ! ეს მე ვარ!“ საკმარისი იყო, შეგეხედათ, რომ დგებოდნენ და გეუბნებოდნენ, ვინ იყვნენ, სინამდვილეში კი საკუთარი თავის შესახებ მეტი ცოდნა როდი ჰქონდათ, ვიდრე - შვედს. მათაც სჯეროდათ გარეგნული ნიშნებისა. სინამდვილეში უნდა წამომდგარიყვნენ და ეყვირათ: „ეს მე არა ვარ! ეს მე არა ვარ!“ ყველა ამგვარად უნდა მოქცეულიყო, უფრო მეტად გულწრფელნი რომ ყოფილიყვნენ. „ეს მე არა ვარ!“ იქნებ ამ ყვირილის მეშვეობით შესაძლებელი გამხდარიყო აბსურდული სამყაროს არსის წვდომა.

შეილა ზალცმანს შეეძლო მოესმინა ან არ მოესმინა დოუნის მიერ ნათქვამი ყოველი სიტყვა, მაგრამ ისმენდა. დაკვირვებული ექიმის როლს როდი თამაშობდა - მართლაც დაკვირვებული ექიმი იყო. ახლა,

როგორც ჩანს, დოუნის ხიზლის ზეგავლენის ქვეშ მოექცა. ამ მოპირიალეებული ზედაპირის მეორე მხარეც, იმ სახით, რომლითაც დოუნი მას ადამიანებს წარმოუდგენდა, ასევე მომხიბვლელად გამოიყურებოდა. მას შემდეგ, რაც შეემთხვა, ისე იქცეოდა, თითქოს მის ცხოვრებაში არაფერი მომხდარიყო. შვედისთვის ყველაფერი ორწახნაგოვანი იყო, ნებისმიერ მოგონებას ორი მხარე ჰქონდა: ისეთი, როგორიც იყო და ისეთი, როგორაც ახლა გამოიყურებოდა. მაგრამ დოუნი ისეთი იყო, როგორიც ოდესღაც გახლდათ. ტრაგიკული მოვლენის შემდეგ მან შეძლო, ბოლო წელიწადს კვლავ დაბრუნებოდა საკუთარ თავს. ზოგიერთ საკითხზე, უბრალოდ, აღარ ფიქრობდა. თანაც, იმ „მეს“ კი არ დაუბრუნდა, რომელმაც სახის კანი აიჭიმა - ცდილობდა, მამაცი ყოფილიყო, ფსიქიატრიულ კლინიკაში დაწვა და გადაწყვიტა, თავისი ცხოვრება შეეცვალა - არამედ იმას, რომელიც ჰილსაიდ-როუდზე (ელიზაბეთი, ნიუ-ჯერსის შტატი) ცხოვრობდა. დოუნის გონებაში გაჩნდა კარი - ერთგვარი ფსიქოლოგიური მძლავრი კარი, რომელშიც ვერავითარი მტკივნეული განცდა ვერ გააღწევდა. ქალმა ეს კარი ჩაკეტა, ეს იყო და ეს. სასწაულიაო, ფიქრობდა შვედი, სანამ არ შეიტყო, რომ ამ კარს სახელი ჰქონდა. უილიამ ორკატ მესამე.

თუკი ეს ქალი, რატომღაც, ორმოციანი წლების შემდეგ აღარ გიხილავთ, შეხედეთ: თქვენ წინაშეა მერი დოუნ დუაირი, ქალაქ ელიზაბეთის ელმორის რაიონის მკვიდრი, ენერგიული ლამაზი ქალიშვილი მუშათა კლასის ოჯახიდან, სენტ-ჯენევიევის დიდებული კათოლიკური ეკლესიის მრევლის ღირსეული წევრი - ეკლესიისა, რომელიც მრავალი მილითაა დაშორებული ნავსადგურში მდებარე იმ ეკლესიისგან, რომელშიც მამამისი, შემდეგ კი ძმები ბავშვობისას მღვდლებს მღვდელმსახურების დროს ეხმარებოდნენ. კიდევ ერთხელ დაიბრუნა ხიზლი, რომლის მეშვეობითაც ოცი წლის ასაკში მამაკაცებს იზიდავდა და სულს უფორიაქებდა - განურჩევლად იმისა, რას ამბობდა ამის შესახებ თვითონ. ეს არ სჩვეოდათ მის კონკურენტებს, რომლებმაც შეძლეს გამარჯვების მოპოვება ატლანტიკ-სიტიში. დოუნს კი შეეძლო მოზრდილებში ბავშვური თვისებები გაეღვიძებინა. ამას აღწევდა მხოლოდ გულწრფელი ხალისით, რომელიც აცისკროვნებდა მის სრულყოფილ, უზადოდ გამოკვეთილ, გულის ფორმის სახეს. დოუნის ბრწყინვალე გარეგნობა, ალბათ, აფრთხობდა კიდევ ადამიანებს, მაგრამ ეს გრძნობა ქრებოდა, როდესაც ის ლაპარაკს იწყებდა და აშკარავდებოდა, რომ

არაფრით განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ადამიანებისგან. როდესაც რწმუნდებოდით, რომ ქალღმერთი არ იყო და არც ცდილობდა ყოფილიყო (სრულიად უპრეტენზიო პიროვნება გახლდათ), კიდევ უფრო გატყვევებდათ ეს მბზინვარე მუქი თმა, ეს კატისებრი პატარა სახე და უზარმაზარი ცისფერი, წარმოუდგენლად მშვენიერი, უმწეო თვალები. ამ თვალების შემყურე, ვერასოდეს დაიჯერებდით, რომ ეს გოგონა დროთა განმავლობაში აქტიურ საქმიან ქალად გადაიქცეოდა და შეუპოვრად იბრძოლებდა თავისი მესაქონლეობის ფერმის შემოსავლიანობისთვის. შვედს განსაკუთრებულად აღელვებდა ის, რომ დოუნნი, რომელიც სუსტი სულაც არ იყო, გარეგნულად სუსტი და დახვეწილი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა. აღელვებდა, რომ ქალი ჭემმარიტად ძლიერი იყო და, ამასთან, თავისებური სილამაზის წყალობით, სუსტიც იყო. ეს მის ქმარზე კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ზემოქმედებდა, არადა, ოჯახურ ცხოვრებას თითქოს უნდა დაეჩლუნებინა სიყვარულის მძაფრი განცდა.

როგორ უფერულად გამოიყურებოდა დოუნის გვერდით მჯდარი შეილა, რომელიც თითქოს უსმენდა მას - სადა, ულამაზო, კეთილგონიერი, მშვიდი, მოსაწყენი, გულჩათხრობილი, უსიცოცხლო. დოუნში სიცოცხლე ჩქეფდა. უწინ შვედშიც ჩქეფდა. და მის შინაგან არსს წარმოადგენდა. გაუგებარია, რატომ იზიდავდა მას ეს თავდაჭერილი, მკაცრი, საკუთარ თავში მიმალული ქალი უფრო მძლავრად, ვიდრე დოუნნი. როგორი საცოდავი, გამოფიტული, სულიერად გატეხილი და უმწეო უნდა ყოფილიყო შვედი, რომ წინდაუხედავად გაჰქცეოდა ცუდს (რაც დამარცხებულთ სჩვევიათ) და უარესისთვის შეეფარებინა თავი. პირველ რიგში, იზიდავდა ის, რომ შეილა სხვაგვარი იყო. მისი ლოგიკური აზროვნება, პირდაპირობა, შინაგანი წონასწორობა და სრული თვითკონტროლი თავდაპირველად თითქმის წარმოუდგენელი ეჩვენებოდა. უბედურებისგან თითქმის დაბრმავებულმა, სახელგატეხილმა, დაბნეულმა შვედმა მიმართა ერთადერთ ქალს, ცოლის გარდა, რომელიც გარკვეულ როლს ასრულებდა მის პირად ცხოვრებაში. აი, როგორ აღმოჩნდა მის გვერდით - ნუგემის მაძიებელი, ქანცვაწყვეტილი. ამას იმედის ძიებაში, ცოლთან განუყრელად დაკავშირებული, მონოგამიური პრინციპის ერთგული ქმარი ცხოვრების განსაკუთრებულ მომენტში იმ სიტუაციაში აღმოჩნდა, რომელიც მისთვის საძულველი უნდა ყოფილიყო. ეს იყო სამარცხვინო ფიასკო - დალატი. სიყვარული ამ

სიტუაციაში უმნიშვნელო როლს ასრულებდა. ვნებიანი სიყვარული შვედმა მთლიანად დოუნს უძღვნა. ჟინი ძალზე მიწიერი გრძნობაა ადამიანისთვის, რომელსაც ასეთი უბედურება დაატყდა თავს - ამაზრზენი ურჩხულის მამისთვის. აქ ილუზიამ მოიყვანა. შეილას ისე აწვებოდა ზემოდან, თითქოს თავშესაფარს ეძებდა. ისე შედიოდა მასში, თითქოს სურდა დაემალა ძლიერი მამაკაცური სხეული და მთლიანად გამქრალიყო, იმ იმედით, რომ, რაკი ეს ქალი სხვაგვარი იყო, თვითონაც შეიცვლებოდა.

მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს ქალი სხვაგვარი იყო, აქედან სასიკეთო ვერაფერი გამოვიდა. დოუნთან შედარებით, შეილა თითქოს კარგად მოვლილი მოაზროვნე მექანიზმი იყო - ტვინის ნემსში გაყრილი ძაფი, რომელთანაც არა თუ ფიზიკური ურთიერთობის, შეხების სურვილიც კი არ უნდა გაგჩენოდა. დოუნმა კი შვედი შთააგონა, გმირობა ჩაედინა, რისთვისაც საკმარისი არ იყო მხოლოდ ბრწყინვალე სპორტულ კარიერასთან გამომშვიდობების გამოცდილება: მამის ნება უნდა მოედრიკა, მას უნდა გაჯიბრებოდა. შთააგონა იმით, რომ უჩვეულოდ მშვენიერი და, ამასთან, ჩვეულებრივი გახლდათ.

იყო თუ არა ყოველივე ეს უფრო მნიშვნელოვანი, არსებითი, ღირებული, ვიდრე მიზეზები, რომელთა გამოც, ჩვეულებრივ, ქორწინდებიან? ან იქნებ ყოველი ქორწინების საფუძველი ირაციონალური, შეუსაბამო და უცნაურია?

შეილას ამის ახსნა შეეძლო. შეილამ ყველაფერი იცოდა. ნამდვილად გასცემდა პასუხს ამ კითხვაზეც. ვშიშობდი, რომ ასეთ შემთხვევაში უფრო ადვილად იპოვიდნენ. იმდენად შორს შეტოპა და იმდენად გაძლიერდა, რომ ვფიქრობდი, უკვე შეძლებს დამოუკიდებლად ცხოვრებას-მეთქი. ის მართლაც ძალიან ძლიერია, სეიმურ. შერეკილია. განა მამას არავითარი როლი არ აქვს ტანჯული შვილის ცხოვრებაში? უმნიშვნელოვანესი როლი აქვს, ამიტომაც ვერ შევძელი. მე ხომ მეგონა, რომ თქვენს ოჯახში რალაც საშინელება მოხდა...

ოჰ, როგორ უნდოდა, რომ ცოლი დაებრუნებინა, წარმოუდგენლად უნდოდა დაებრუნებინა ცოლი, რომელიც ასე სერიოზულად ეკიდებოდა თავის სერიოზულ დედობრივ მოვალეობებს; ქალი, რომელსაც იმდენად არ სურდა, გათამამებულ, პატივმოყვარე, დიდების მიმართ ნოსტალგიით შეპყრობილ ადამიანად მიეჩნიათ, რომ ოჯახში ხუმრობითაც კი არ იდგამდა თავზე ქუდების კოლოფში შენახულ, კარადის

თავზე შემოდებულ გვირგვინს. შვედს მეტის მოთმენა აღარ შეეძლო - დოუნნი ახლავე უნდა დაებრუნებინა.

- როგორი ფერმებია იქ? - ჰკითხა შეილამ. - ხომ დაგვპირდი, რომ ცუგის ფერმებზე გვიამბობდი.

შეილას ყოველთვის სურდა, ყველაფერი ნათლად წარმოედგინა - როგორ შეეძლო შვედს, ამ ქალთან რაიმე საერთო ჰქონოდა? ამგვარ ღრმად მოაზროვნე ადამიანებს შორის შვედი დიდხანს ვერ ძლებდა - იმ ადამიანებს შორის, რომლებიც არაფერს არ აწარმოებენ და არც კი უნახავთ, სხვები როგორ აწარმოებენ. არ იციან, რა რისგანაა შექმნილი. არ ესმით, როგორ მუშაობენ კომპანიები. ავტომანქანისა თუ სახლის გარდა, არაფერი გაუყიდიათ და ვერც შეძლებენ გაყიდვას. სამსახურში არ მიუღიათ და სამსახურიდან არ გაუთავისუფლებიათ არავინ, არ გაუწვრთნიათ მუშაკები და მათი თაღლითობის მსხვერპლად არ ქცეულან. არაფერი იციან ბიზნესის აწყობის ან ფაბრიკის მართვის დროს მოსალოდნელი სირთულეებისა და საშიშროებების შესახებ და მაინც დარწმუნებულნი არიან, რომ იციან ყველაფერი, რისი ცოდნაც საჭიროა. მთელი ეს გაგება, მთელი ეს ინტროსპექტული დაკვირვება ადამიანის სულის ხვეულებსა და ნაპრალებზე, შვედის აზრით, სიცოცხლის საფუძვლებს ეწინააღმდეგებოდა. მისი შეხედულებით, ყველაფერი მარტივად იყო. საჭიროა, ენერგიულად და მშვიდად - როგორც ლევოვების ოჯახში ხდებოდა - შეასრულო ყველა მოვალეობა და ცხოვრებაც თავისთავად მოწესრიგდება. თუ ყოველ დღეს მკაფიო და გააზრებულ ქმედებებს მიუძღვნი, ცვლილებები პროგნოზირებადი გახდება, კონფლიქტები - მართვადი, მოულოდნელობები - სასიამოვნო, და ყველაფერი ერთად ჩაგინერგავს ღრმა რწმენას, რომ ქარიშხლები ხდება მხოლოდ შორს, ათასობით მილის დაცილებით. ყველაფერი სწორედ ამგვარად წარმოუდგებოდა ოდესღაც. ოდესღაც მშვენიერი დედის, ძლიერი მამისა და ხალისიანი, ჰკვიანი გოგონას ოჯახი ისეთივე ურყევი იყო, როგორც სამი დათვის ზღაპარში.

- სულ დამავიწყდა, უამრავი ფერმა ვნახეთ! - წამოიძახა დოუნმა, რომელსაც სიამოვნებდა იმ ფერმების მოგონება. - სანიმუშო ძროხები გვაჩვენეს. შესანიშნავი დათბუნებული ბოსლები. იქ ადრიან გაზაფხულზე ვიყავით და ნახირი ჯერ კიდევ არ იყო გაშვებული საძოვრებზე. საქონლის სათავსოები სახლებქვეშაა. ლუმელები ძალიან ლამაზი ორნამენტებით... არ მესმის, ასე რამ დაგაბრმავა. როგორ აჰყევი ამგვარად

შერეკილ გოგოს. გაიქცა. მისი დაბრუნება შეუძლებელი იყო. შეიცვალა. რალაც უბედურება შეემთხვა. მის დაბრუნებას აზრი არ ჰქონდა. ისეთი მსუქანი იყო. ვფიქრობდი, სიმსუქნეც და გაღიზიანებაც ადასტურებს, რომ ოჯახში ყველაფერი რიგზე არ არის-მეთქი. და ეს ჩემი ბრალი იყო! არა, ასე არ ვფიქრობდი. ყველას ოჯახები გვყავს. და ოჯახებში, ჩვეულებრივ, ყველაფერი რიგზე არ არის... - შინაური ღვინით, შინაური ნამცხვრით გაგვიმასპინძლდნენ, საოცრად მეგობრულად მიგვიღეს, - ამბობდა დოუნი. - როდესაც მეორედ ვესტუმრეთ, უკვე შემოდგომა იყო. მთელი ზაფხულის განმავლობაში ძროხები მთებში იმყოფებიან და იქ წველიან. როდესაც ისინი ზამთრის სადგომისკენ მოჰყავთ, ნახირს წინ მოუძღვის ძროხა, რომელიც ყველაზე მეტს იწველიდა - მას კისერზე ყველაზე დიდი ეჭვანი აბია. რქებს ყვავილებით უმკობენ და საუკეთესო ძროხად აღიარებენ. მთის საძოვრებიდან ისინი მწკრივად ჩამოჰყავთ და საუკეთესო ძროხა წინ მოუძღვის... იქნებ იმისთვის წავიდა, რომ კიდევ ვინმე მოეკლა? ასეთი პასუხისმგებლობა როგორ იკისრე? იცი, შეილა, ასეც მოიქცა, დიახ, კიდევ სამი ადამიანი მოკლა. აბა, რას იტყვი? ამას იმიტომ მეუბნები, რომ გული მატკინო. სიმართლეს გეუბნები, კიდევ სამი ადამიანი მოკლა. ამის თავიდან აცილება შეგეძლო. შენ მაწვალე. განზრახ ცდილობ, გული მატკინო. მან კიდევ სამი მოკლა... - ყველა, ვინც ზაფხულობით მთებში დადის ძროხების მოსაწველად - ბავშვები, ქალიშვილები, ქალები - შვეიცარიულ ტანისამოსს იცვამს. მოედანზე ორკესტრი უკრავს და დიდი დღესასწაული იმართება. შემდეგ ძროხები ზამთრის სადგომებში, სახლებქვეშ შეჰყავთ. ყველაფერი ძალიან სუფთა და ლამაზია. გაგვიმართლა, რომ ეს ვნახეთ. სეიმურმა ყველა ძროხას ფოტოსურათები გადაუღო, ასე რომ, მათი ნახვა შეიძლება პროექტორში.

- სეიმურმა ფოტოსურათები გადაიღო? - იკითხა სილვიამ. - მე კი მეგონა, რომ საშინლად გძულდა სურათების გადაღება, - უთხრა შვედს და გადმოიხარა, რათა შვილისთვის ეკოცნა. - ჩემი არაჩვეულებრივი ბიჭი, - წაიჩურჩულა მან. თვალები სიყვარულით უბრწყინავდა.

- ამ არაჩვეულებრივმა ბიჭმა თავისი სიძულვილი დაძლია. იქ, მოგზაურობისას, „ლეიკას“ გვერდიდან არ იცილებდა და შესანიშნავი ფოტოსურათები გადაიღო, ხომ მართალია, საყვარელო?

დიახ, ასე იყო. ის მართლაც არაჩვეულებრივი შვილი იყო, რომელმაც ფოტოსურათები გადაიღო, მერის შვეიცარიული კაბა უყიდა, დო-

უნს კი - ბრილიანტის ყელსაბამი, და თავის ძმასა და შეილას უამბო, რომ მერიმ ოთხი ადამიანი მოკლა. თავის ოჯახს, ცუგის სამახსოვროდ, დიდებული შვეიცარიული ეპოპეის სამახსოვროდ, უყიდა კერამიკული შანდლები, რომლებიც ახლა დამდნარი ცვილითაა მოთხვრილი. მან, ვინც გვერდიდან არ იცილებდა „ლეიკას“, უამბო ამ ორს - რომლებიც სხვებზე გაცილებით ნაკლებად იმსახურებდნენ ნდობას და რომელთა ნაბიჯებსაც ვერ გააკონტროლებდა - რა ჩაიდინა მერიმ.

- კიდევ სად იყავით? - ჰკითხა დოუნს შეილამ და შეეცადა არ შეტყობოდა, რომ აპირებდა, ავტომანქანაში ყველაფერი მოეყოლა შელისთვის. შელი კი იტყვის, ღმერთო ჩემოო, შეიძლება ცრემლიც მოადგეს თვალზე - ის ხომ მშვიდი და ღირსეული ადამიანია - მაგრამ შინ მისვლისთანავე პოლიციაში დარეკავს. ერთხელ უკვე დამალა თავის სახლში მკვლელი. სამი დღით შეიფარა. ის დღეები შიშში გაატარა, ძრწოდა, ნერვები კინალამ დააწყდა. მაგრამ მამინ გოგოს მხოლოდ ერთი კაცი ჰყავდა მოკლული, რაც ძალიან ცუდი გახლდათ, მაგრამ მაინც შეიძლებოდა მისი გამართლება - ეს „ცალკეული შემთხვევა“ იყო. თანაც ცოლი უკიჟინებდა. სისულელე იყო, რა თქმა უნდა. მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. გოგონა ხომ უწინ მისი პაციენტი იყო. პირობა მივეცი, პროფესიონალური სინდისი უფლებას არ მაძლევს... მაგრამ ახლა ოთხი ადამიანი მოკლა. ეს უკვე მეტისმეტია, დაუშვებელია. ოთხი უდანაშაულო ადამიანის მოკვლა ბარბაროსობაა, წარმოუდგენელი სისასტიკეა. ახლა სხვა გზა არსებობს: კანონი. მოვალეობა კანონის წინაშე. მათ იციან, სად იმალება. ამის საიდუმლოდ შენახვა კანონით ისჯება. არა, ასე ვერ გაგრძელდება, შელი ყველაფერს გააკონტროლებს. შვედი ამას ხვდებოდა. შელი მყისვე დარეკავს პოლიციაში - მოვალე იქნება, ასე მოიქცეს. „ოთხი ადამიანი. მკვლელი ნიუარკშია. მისამართი ცნობილია სეიმურ ლევოვისთვის. დღეს ის მკვლელის ბინაში იმყოფებოდა“. შელი ზუსტად ისეთია, როგორც ლუ ლევოვი ახასიათებდა - „ექიმი, ღირსეული პიროვნება. ზნეობრივი, პასუხისმგებელი პიროვნება“ - და ის უფლებას არ მისცემს ცოლს, ამ უბადრუკი, საძაგელი გოგოს, ჩაგრულთა კიდევ ერთი შერეკილი დამცველის მიერ ჩადენილი ოთხი მკვლელობის თანამონაწილედ იქცეს. ცრუ იდეოლოგიაზე დაფუძნებული ტერორისტული ქცევა - საშინელი ბოროტმოქმედება. ასე ახსნის შელი მომხდარს და რა უნდა მოიმოქმედოს შვედმა ამ ინტერპრეტაციის შესაცვლელად? როგორ უნდა აიძულოს შელი, სხვაგვარად აღიქვას ეს

საკითხი, როდესაც თვითონაც არ შეუძლია მისი განსხვავებულად აღქმა? დაუყოვნებლივ უნდა გავიყვანო განზე და ყველაფერი უნდა ვუამბო, რათა ვცადო მისი შეჩერება, გადავაფიქრებინო ის, რომ, როგორც კანონმორჩილი მოქალაქე, ვალდებულია გასცეს მერი, რადგან ეს აუცილებელია უდანაშაულო ადამიანების დასაცავად. უნდა ვუთხრა: „ის გამოიყენეს. ყველას იოლად ენდობოდა. ბავშვობაში ყველა ებრალებოდა. შესანიშნავი ბავშვი იყო. ეს ბავშვი ბოროტი ადამიანების ზეგავლენის ქვეშ მოხვდა. თვითონ ასეთ რამეს ვერც მოიფიქრებდა, უბრალოდ, სძაგდა ომი. ყველას გვძაგდა. ყველანი აღშფოთებული ვიყავით, მაგრამ ვიცოდით, რომ ვერაფერს გავაწყობდით. ის კი ბავშვი იყო, თავგზააბნეული მოზარდი, მგრძნობიარე გოგონა. ძალიან ახალგაზრდა იყო, გამოუცდელი, და იმ საქმეში გააბეს, რომლისაც არაფერი ესმოდა. ადამიანთა გადარჩენა სურდა. არ ვცდილობ, გამართლება მოვუძებნო, რადგან ასეთი გამართლება არ არსებობს. მაგრამ მაინც შეუძლებელია განსჯა მხოლოდ შედეგის მიხედვით. მერის ყველა მოქმედებას ჰქონდა მიზეზები, რომლებიც, მისი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ახლა მათ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს: მან თავისთვის ახალი ფილოსოფია აღმოაჩინა, ომი კი დამთავრდა. ფაქტობრივად, არც ერთ ჩვენგანს არ ესმის, რა და რატომ მოხდა. ყოველივე ამის მიღმა გაცილებით მეტი რამ არის, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია გავიაზროთ. რა თქმა უნდა, მერი დამნაშავეა - ტრაგიკული, საშინელი, თავზარდამცემი შეცდომა დაუშვა. ამას გამართლება არა აქვს. მაგრამ ახლა აღარავისთვისაა საშიში. ძველი მერის გაძვალტყავებული, შესაბრალისი აჩრდილია და ახლა ჭიანჭველასაც არ დაადგამს ფეხს. მშვიდი და უწყინარია. გულცივი ბოროტმოქმედი როდია, შელი. სულიერად გატეხილი არსებაა, რომელმაც ამაზრზენი ბოროტმოქმედებები ჩაიდინა და ახლა ამას სულის სიღრმემდე ნანობს. რა აზრი აქვს პოლიციაში დარეკვას? რა თქმა უნდა, მართლმსაჯულებას უნდა ემსახურო, მაგრამ მერი უკვე აღარავისთვის წარმოადგენს საშიშროებას. შენი ჩარევა საჭირო არაა. არავისი ინტერესები არ მოითხოვს პოლიციის ჩარევას. შურისგებაც აღარაა საჭირო. დამიჯერე, სამაგიერო უკვე მიეზლო. ვიცი, რომ დამნაშავეა. ამაში ეჭვი არავის ეპარება. საქმე ისაა, რა უნდა მოვიმოქმედოთ ახლა. ეს მე მომანდებ. თვალს არ მოვაცილებ. ცუდს არაფერს იზამს, გპირდები. ვიზრუნებ იმაზე, რომ დახმარება გაუწიონ. შელი, მომეცი შანსი,

რომ ადამიანურ, ჩვეულებრივ ცხოვრებას დავუბრუნო. ნუ დარეკავ პოლიციაში!

მაგრამ შვედმა იცოდა, რომ შელი იფიქრებდა: შეილა უკვე საკმარისად დაეხმარა ამ ოჯახს. ორივენი დავეხმარეთ. ახლა ისინი კვლავ განსაცდელში არიან, მაგრამ შელი ზალცმანი აღარ დაეხმარება. საქმე სახის კანის აჭიმვას კი არ ეხება! ოთხი ადამიანია მოკლული. ეს გოგო ელექტროსკამზე უნდა დასვან. რიცხვი „ოთხი“ თვით შელისაც კი საზოგადოების განრისხებულ წევრად აქცევს, რომელიც მზადაა, ჩამრავი ჩართოს. წარბშეუხრელად ჩააბარებს პოლიციას და იტყვის, ამ ძუკნამ ეს დაიმსახურაო.

- მეორედ? ოჰ, ყველაფერი მოვიარეთ, - ამბობდა დოუნი, - ევროპაში შეიძლება ნებისმიერ ადგილას გაემგზავრო, ყველგან უამრავი რამაა საინტერესო. ასეც ვიქცეოდით.

მაგრამ პოლიციამ უკვე იცის. ჯერისგან. უეჭველია. ჯერი უკვე დარეკავდა გამოძიების ფედერალურ ბიუროში. ჯერი. ნეტავ რატომ მისცა მერის მისამართი ჯერის? როდესაც მას ესაუბრებოდა, იმდენად განადგურებული იყო, რომ არც კი უფიქრია საშიშროებაზე, რომელსაც მერის დანაშაულის გამხელა გამოიწვევდა. განადგურებულს, დამბლადაცემულს, დოუნის ხელი უჭირავს და იხსენებს ატლანტიკ-სიტის, „ბო-რივაჟს“, მერის, რომელიც მეტროლოგელთან ცეკვავს... არ ესმის თავისი წინდაუხედავი აღიარების შედეგები. ცხოვრების გზაზე აქამდე გაბედულად მიმავალმა შვედ ლევოვმა ეს უნარი დაკარგა და იქცა ოდენ ნაფოტად, რომელსაც მორევი ატრიალებს, და ოცნებობს, ოცნებობს, უმწეოდ ოცნებობს... ფლორიდაში კი მისი ფიცხი ძმა, რომელიც კიცხავს და ძმობას სულაც არ უწევს; რომელიც იმთავითვე მტრულად იყო განწყობილი ღვთის ნებისმიერ შვედის - უზადო სრულყოფილების მიმართ; ეს ფიცხი, თავნება და უღმობელი ძმა, რომელსაც ყველა საქმე ბოლომდე მიჰყავს და რომელსაც გაახარებს შურისგების შესაძლებლობა, ბოლოს და ბოლოს, იძიებს შურს და მთელ ქვეყანას დაუმტკიცებს...

თვითონ გასცა მერი. არა ძმამ, არა შელი ზალცმანმა, არამედ თვითონ, თვითონ. რა იქნებოდა, ენაზე კბილი რომ დამეჭირა? რისი იმედი მქონდა, როდესაც ენა წავიგრძელე? შვებას ვიგრძნობდი? ბავშვურ შვებას? მათი რეაქცია მაინტერესებდა? რალაც ისეთი სასაცილო და უცნაური, როგორიც მათი რეაქციაა? ენა წავიგრძელა და მდგომარეობა

დაამძიმა - უამბო, რაც მერისგან შეიტყო - ანუ, ფაქტობრივად, ოთხი ადამიანის მკვლელი გასცა. ახლა თვითონ დაუდო ბომბი შვილს, უნებურად, ისე, რომ არ ესმოდა, რას შვრებოდა. თავისი ნებით დამორჩილდა, ჩაიდინა ის, რაც უნდა ჩაედინა, ის, რაც არ უნდა ჩაედინა - მკვლელობათა გამო გასცა.

იმისთვის, რომ ღუმლის აუცილებლობა შეეგნო, კიდევ ერთი დღე იყო საჭირო - განსხვავებული დღე, რომელიც წინა დღეს წაშლიდა. რა იქნებოდა, ეს დღე რომ არ დამდგარიყო! ამდენი და ასე სწრაფად რომ არ მეხილა! როგორ უფრთხილდებოდა თავის უნარს, თვალეზი დაეხუჭა იმაზე, რისი დანახვაც არ სურდა; როგორ გასაოცრად შეეძლო ყველაფრის მოწესრიგება! მაგრამ სამი ახალი მკვლელობის შესახებ შეტყობინებაში იყო ის, რისი მოწესრიგებაც შეუძლებელი გახლდათ, თვით შვედისთვისაც კი. ამის შეტყობა თავზარდამცემი იყო, მაგრამ მხოლოდ ამ ამბის მოყოლის შემდეგ აღიქვა მთელი საშინელება. ერთს პლუს სამი. ოთხი. და მხოლოდ მერის წყალობით აეხილა თვალეზი. შვილმა აიძულა მამა, თვალეზი ახელოდა. შესაძლოა, სწორედ ეს იყო მისი მიზანი. მერის წყალობით მოიპოვა მხედველობის უნარი, იმდენად კარგი მხედველობის უნარი, რომ მკაფიოდ დაინახა ის, რისი მოწესრიგებაც შეუძლებელია, რისი დანახვაც შეუძლებელია - ის, რასაც ვერავინ ხედავს და ვერც დაინახავს, სანამ ერთს სამი არ დაემატება ოთხის მისაღებად.

დაინახა, როგორი წარმოუდგენელია, რომ ჩვენ ერთმანეთთან უნდა ვიყოთ დაკავშირებულნი და როგორი წარმოუდგენელია, რომ ერთმანეთთან ვართ დაკავშირებულნი. წარმოუდგენელია დაბადება, მემკვიდრეობა, თაობები, ისტორია...

დაინახა, რომ არავითარი კავშირი არა გვაქვს ერთმანეთთან, რომ ეს კავშირი მარტოოდენ მოჩვენებითია.

დაინახა, როგორ ხდება ყველაფერი სინამდვილეში. რიცხვ „ოთხის“ ფონზე დაინახა ყველაფერი, რაც ერთმანეთთან არავითარ კავშირში არაა. წესრიგი მხოლოდ წამიერია. ყოველთვის ფიქრობდა, რომ წესრიგი მსჭვალავს მთელ სიცოცხლეს, ხოლო ქაოსი შემთხვევითია. ყოველთვის თვალს ხუჭავდა ამაზე. საკუთარი სამყარო შეაკოწიწა, რომელიც მერიმ დაუნგრია. საქმე ეხებოდა არა იმ კონკრეტულ ომს, რომლის წინააღმდეგაც მერი იბრძოდა, არამედ - ომს, როგორც ასეთს. და მერიმ ეს ომი ამერიკაში შემოიტანა, საკუთარ სახლში შემოიტანა.

და ზუსტად იმწამს მოესმა მამამისის განწირული ყვირილი.

- არა! ღმერთო ჩემო, არა! - ხმამალლა დაიყვირა ლუ ლევოვმა. სამზარეულოდან მომსახურე გოგონების კვილი მოისმა და შვედი მაშინვე მიხვდა, რა მოხდა. იქ მერი მივიდა, თავისი ჩვრით! და უთხრა ბაბუას, რომ ოთხი ადამიანი მოკლა. რა თქმა უნდა. ნიუარკში მატარებელში ჩაჯდა, ფეხით გამოიარა ხუთი მილი და შინ დაბრუნდა. ასე რომ, ახლა ყველამ ყველაფერი იცის!

შვედს მთელი სალამოს განმავლობაში ტანჯავდა შიში, რომ მერი კიდევ ერთხელ ჩავიდოდა მიწისქვეშა გასასვლელში. ძონძებსა და დახეულ სანდლებში გამოწყობილი, სიბინძურესა და სიბნელეში მიდის უსახლკარო მაწანწალებს შორის, რომლებმაც იციან, რომ მას უყვარს ისინი... მაგრამ აღმოჩნდა, რომ მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ შვედი მაგიდასთან იჯდა და გადაწყვეტილებას ვერ იღებდა, მერი მიწისქვეშა გასასვლელთან კი არ იყო, არამედ აქ, მორისის თვალწარმტაც ოლქში, რომელსაც საუკუნეების მანძილზე შესტრფოდა ამერიკელთა ათი თაობა, და სახლისკენ მოდიოდა მთაგორიანი გზით, რომელსაც ახლა, სექტემბერში, წითელფოთლიანი და ოქროსფერფოთლიანი მცენარეები ამშვენებდა. მათი სახელწოდებები მერიმ ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე დაიმახსოვრა და მოთმინებით ასწავლიდა მამას - ქალაქელ კაცს. „მამა, ხედავ ამ დაკბილულ ფურცლებს?“ ვარდკაჭაჭა, მარწყვა-ბალახი, ნარშავი, მინდვრის მიხაკი, მინდვრის მდოგვის წვრილი ყვითელი ყვავილები, სამყურა, ფარსმანდუკი, ველური მზესუმზირა, იონჯა, რომელიც მეზობელ ფერმაში დათესეს, შემდეგ კი ირგვლივ ყველაფერს მოედო და ჰაერი ნაზი სურნელით გამსჭვალა; ქვიშამხალა თეთრი ყვავილების კუნწულებით და ფოთლებს მიღმა მიმალული პატარა ბუმტუკებით, რომლებსაც მერი სიამოვნებით იქცევდა მუჭში და ხმაურით ხეთქავდა; სწორღეროიანი გულსოსანა, რომლის ენისმაგვარ, ხავერდოვან ფოთლებს მერი წყვეტდა და ფეხსაცმელებში იფენდა, რადგან, ისტორიის მასწავლებლის თქმით, ასე იქცეოდნენ ამერიკელი ახალმონაშენეები; რძიანა, რომლის თესლებიან კოლოფსაც პატარა მერი ფრთხილად ხსნიდა და სულს უბერავდა, რის გამოც თესლები ჰაერში იფანტებოდა და გოგონა თავს ბუნების ნაწილად - სიოდ გრძნობდა... მარცხნივ მიჩუხჩუხებს მთიდან ჩამონადენი „ინდიელთა ნაკადული“ მასზე გადებული პატარა ხიდებით. ზოგან საცურაოდაა დაგუბებული. ის კალმახებით სავსე მდინარეს ერთვის, სა-

დაც მერი მამას ხშირად დაჰყვებოდა სათევზაოდ. მარცხნივ იზრდება ტირიფები, ნეკერჩხლები, ჭაობის ბუჩქნარი, მარჯვნივ - კაკლები, რომელთა ნაყოფიც უკვე მწიფდება და რამდენიმე კვირაში ძირს ჩამოცვივა. მერის თითები არაერთხელ შეუღებავს კაკლის წენგოთი, ასეთი სასიამოვნო მომჟავო სუნი რომ უდის. მარჯვნივ მოჩანს შავი ბალი, მინდვრის მცენარეები, ზვინებიანი ყანები. მალლა, გორაკებზე შინდის ბუჩქებია, მათ ზემოთ - ტყე: ნეკერჩხლები, მუხები, კერატის მაღალი, სწორი ხეები. შემოდგომით მერი, ჩვეულებრივ, მათ ნაყოფს აგროვებდა. საერთოდ, ბევრ რამეს აგროვებდა, ალაგებდა, ახარისხებდა. ყველაფერს განუმარტავდა მამამისს. მამის ნაჩუქარი გამადიდებელი შუშით ათვალეირებდა ქამელეონისებრ ობობებს, რომლებიც შინ მოჰყავდა, ტენიან დოქში სვამდა და მკვდარი ბუზებით კვებავდა. შემდეგ კვლავ გაჰყავდა გარეთ, ოქროწკეპლაზე ან ფარსმანდუკზე მოათავსებდა („შეხე, მამა, ახლა რას იზამენ!“) და აკვირდებოდა, როგორ იცვლიდნენ ფერს და მსხვერპლის მოლოდინში ერთ ადგილას შემდებოდნენ. ჩრდილო-დასავლეთის მხარეს, ჰორიზონტზე, ჯერ კიდევ ციალებს ჩამავალი მზე და შებინდებისას შაშვები ჭახჭახით უხმობენ ერთმანეთს. მერი მიდის და ხედავს ყველაფერს, რაც სძულს: საძოვრების თეთრ ღობეებს, გათიბულ მინდვრებს, სიმინდის ყანებს, ჭვავის ყანებს, თალგამის ნათესებს; ჩაუვლის ბელლებს, ძროხებს, ცხენებს, ტბორებს, ნაკადულებს, წყაროებს, ჩანჩქერებს, წიწმატის კვლებს, ლელიანს („იცი, დედიკო, პიონერები ამას ტაფებისა და ქვაბების სახეხად იყენებდნენ“), მინდვრებს, მრავალაკრიან ტყეს. უახლოვდება სოფელს და გადის იმ გზას, რომელსაც გადიოდა მამამისი, როდესაც ჯონი ეპლსიდად მიიჩნევდა თავს და, ბოლოს, უახლოვდება საუკუნოვან ნეკერჩხლებს, დიდებულ ძველ ქვის სახლს, რომელმაც დალი დაასვა მის ცხოვრებას, უახლოვდება მყარ ოჯახს, რომელმაც ასევე დაასვა დალი მის ცხოვრებას და ასეთივე საძულველია.

მიდიოდა მერი იმ კუთხეში, რომელიც ასე დიდი ხნის განმავლობაში უკავშირდებოდა წარმოდგენას სიმშვიდის, სილამაზის, ჰარმონიის, სიამოვნებისა და მშვიდობის შესახებ. მიდიოდა ყოფილი ტერორისტი, რომელიც თავისი ნებით დაბრუნდა ნიუარკიდან ამ ადგილას, რომელიც სძულდა და არაფრად მიაჩნდა. მიდიოდა იმ ნათელ, ჰარმონიულ სამყაროში, რომელიც ამ უცნაურ და ყველაზე მოულოდნელ ბოროტმოქმედს სძულდა და ახალგაზრდული ენერგიით შეძლო ყირაზე

დაეყენებინა. ნიუარკიდან შინ დაბრუნდა და მყისვე აცნობა ბაბუამისს, რა ჩაადენინა უდიდესმა იდეალიზმმა:

- ოთხი კაცი მოვკალი, ბაბუა.

ლუს გულმა ამას ვერ გაუძლო. განქორწინება საკმაოდ დიდი უბედურება იყო ოჯახისთვის, მაგრამ მკვლელობა და თანაც არა - ერთი, არამედ ერთს პლუს სამი ადამიანის მკვლელობა? ოთხი ადამიანის მკვლელობა?

- არა! - უყვირა ბაბუამ ამ დაუბატოებელ, აყროლებულ, ნილბიან სტუმარს, რომელიც ამბობდა, რომ მათი საყვარელი მერი იყო. - არა! - და მისმა გულმა ველარ გაუძლო ამას. გული გაუსკდა და ბაბუა მოკვდა.

ლუ ლევოს სახე სისხლით ჰქონდა მოსვრილი. სამზარეულოს მაგიდასთან იდგა, ხელი საფეთქელზე მიედო და ხმის ამოლების ძალა არ შესწევდა. ეს ოდესღაც წარმოსადეგი მამა, რომლის ერთი ვაჟი ექვსი ფუტის სიმაღლის, მეორე კი - ხუთი ფუტისა და შვიდი ღუიმის სიმაღლისა იყო, ახლა სისხლში ამოსვრილი იდგა და თავის თავს არ ჰგავდა, მხოლოდ ღიპი ჰქონდა ძველებურად გამობერილი. სახიდან გამომეტყველება წაშლოდა, მხოლოდ ის ეტყობოდა, რომ ცრემლებს იკავებდა, თუმცა - ამაოდ. სრულიად უმწეო იყო. უწინ ამას ვერც კი წარმოიდგენდა, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, ეჭვობდა, რომ ქალების შესანიშნავი ხელთათმანების კერვა საკმარისი არ იყო ისეთი ცხოვრების ასაწყობად, რომელიც იდეალურად მიესადაგებოდა ყველას, ვინც უყვარდა. არა, ასე არ იყო. გგონია, რომ შეძლებ საკუთარი ოჯახის დაცვას, სინამდვილეში კი საკუთარ თავსაც ვერ იცავ. აღარაფერი შერჩენოდა იმ კაცისა, რომელიც ყოველთვის მტკიცედ ასრულებდა თავის მოვალეობას, არავის ერიდებოდა ბრძოლაში უწესრიგობის წინააღმდეგ, შეცდომებისა და მარცხის მუდმივი პრობლემის წინააღმდეგ. ნიშანწყალად არ ეტყობოდა იმ შეუპოვარი, თავდაჯერებული კაცისა, რომელიც სულ რაღაც ნახევარი საათის წინ მზად იყო, თავის მომხრეებთანაც კი ეკამათა. საშინელი იმედგაცრუება განიცადა. აღარ შერჩა სიმტკიცე თავის დასაცავად. ის, რაც უნდა არსებობდეს, არ არსებობს. ირგვლივ მხოლოდ გადახრებია. ამას წინ ვერ აღუდგები. წარმოუდგენელია, მაგრამ, რაც არ უნდა მომხდარიყო, მოხდა, ხოლო რაც უნდა მომხდარიყო, არ მომხდარა.

წესრიგის ძველი სისტემა აღარ არსებობს, მისგან მხოლოდ შიში და გაოცება დარჩა, რაც ახლა ყველასთვის აშკარაა.

მაგიდასთან, ნახევრადცარიელ დესერტის თეფშთან და ხელუხლებელ რძიან ჭიქასთან, ჯესი ორკატი იჯდა და სისხლიანი ჩანგალი ეჭირა. ეს ჩანგალი დაარტყაო, ამბობდა ნიჟარასთან მდგომი გოგონა. მეორე გოგონა ყვირილით გავარდა სახლიდან, ასე რომ, სამზარეულოში დარჩა მხოლოდ ერთი მოწმე, რომელიც ტირილით ჰყვებოდა მომხდარის შესახებ. მისის ორკატი უარს ამბობდა ჭამაზე, ამიტომ მისტერ ლევოვმა გადაწყვიტა, თვითონ ეჭმია მისთვის ტორტი, ლუკმა-ლუკმა. ის უხსნიდა მისის ორკატს, რამდენად სასარგებლო იყო რძის და არა ვისკის დალევა, რამდენად უკეთესი იყო ეს თვით მისის ორკატისთვის, აგრეთვე - მისი ქმრისა და შვილებისთვის. ეუბნებოდა, მალე შვილიშვილები გეყოლება და მათთვისაც უკეთესიაო. როდესაც ჯესი ლუკმას ყლაპავდა, მისტერ ლევოვი ამბობდა, ჯესი კარგი გოგოა, ჯესი ძალიან კარგი გოგოაო, და უხსნიდა, როგორ გაუხარდებოდა ყველას, თავად მისტერ ლევოვის ჩათვლით, მას სმისთვის თავი რომ დაენებებინა. როდესაც მარწყვისა და რევანდის ტორტის თითქმის მთელი ნაჭერი შეაჭამა, ქალმა თქვა: „ახლა კი ჯესი თვითონ შეჭამს“. მისტერ ლევოვს ძალიან გაუხარდა, გაიცინა და ჩანგალი მისცა, ხოლო ჯესიმ ჩანგალი პირდაპირ თვალში ატაკა.

როგორ აღმოჩნდა, სულ ერთი დუიმიტ ააცდინა.

- არც ისე ცუდია, - განაცხადა მარშამ, - იმის გათვალისწინებით, რომ ეს პაწია ძალიან მთვრალია.

ორკატი შეძრწუნებული იყო ცოლის საქციელით. ამ სცენამ გადააჭარბა ყველა იმ სცენას, ქალი თავის არისტოკრატ, მექალთანე ქმარს რომ უწყობდა ხოლმე, რომელსაც ახლა არც ძღვევამოსილი და არც ღირსეული კაცის იერი აღარ ჰქონდა. ის ისევე სულელურად გამოიყურებოდა, როგორც იმ ოდინდელ დილას, როდესაც შვედმა ამხანაგური საფეხბურთო მატჩის დროს გადათელა. ორკატმა ჯესი ფრთხილად წამოაყენა სკამიდან. ქალს წინააღმდეგობა არ გაუწევია. თითქოს არაფერს ნანობდა და თითქოს ტვინის არც ერთი უჯრედი აღარ შერჩენოდა, რათა მიმხვდარიყო: იმ საზღვრებს გადააბიჯა, რომლებიც ცივილიზებული საზოგადოების საფუძველს წარმოადგენს.

- ერთი ჭიქით ნაკლები რომ დაელია, - უთხრა მარშამ შვედის მამას, რომელსაც ცოლი სველი ხელსახოციტ ფრთხილად უწმენდდა ნაკაწ-

რებს, - თვალის გარეშე დარჩებოდი.

როგორც კი ჩათქვირებულმა, ფართო კაბაში გამოწყობილმა მარშამ, არსებული საზოგადოებრივი წყობის შეურიგებელმა მოწინააღმდეგემ, ეს თქვა, თავის შეკავება ველარ შეძლო და ჯესის სკამზე დაეცა. მარშას წინ რძით პირთამდე გავსებული ჭიქა აღმოჩნდა, მან კი სახეზე ხელები აიფარა და ხარხარი დაიწყო - ეცინებოდა, რომ ვერავინ ხვდებოდა მთელი ამ ამბის უაზრობას. დიდხანს დასცინოდა იმ საზოგადოების ბურჯებს, რომელიც, მისდა სასიხარულოდ, სწრაფად ინგროდა და ეს აიძულებდა ეხარხარა და ელხინა, როგორც ხარხარებენ და ილხენენ გარკვეული ტიპის ადამიანები ყველა ისტორიულ ეპოქაში საშინელი ქაოსის დროს. ასე მაშინ იქცევიან, როდესაც რწმუნდებიან იმის სისუსტესა და უძლურებაში, რაც სულ ცოტა ხნის წინ, ერთი შეხედვით, ურყევი და მტკიცე იყო.

დიახ, მათი ციხესიმაგრე გაიბზარა აქაც კი, ამ საიმედოდ დაცულ ოლდ-რიმროკში, და ახლა, როდესაც ბზარი გაჩნდა, მისი ამოქოლვა უკვე ველარ მოხერხდება. ისინი ველარასოდეს გაიმართებიან წელში. ყველაფერი მათ წინააღმდეგაა - ყველაფერი და ყველა, ვისაც არ მოსწონს მათი ცხოვრების წესი. ყოველი მხრიდან გაისმის ხმები, რომლებიც გმობენ და უგულვებელყოფენ მათ ცხოვრებას.

მაგრამ რა არის მასში ცუდი? რა არის ამქვეყნად ლევოვების ცხოვრებაზე უფრო ნაკლებად გასაკიცხი?

1997 წელს ფილიპ როთს რომანისთვის „ამერიკული პასტორალი“ პულიცერის პრემია მიენიჭა. 1998 წელს მწერალს თეთრ სახლში ხელოვნების ნაციონალური მედალი გადაეცა, ხოლო 2002 წელს - ამერიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის აკადემიის უმაღლესი ჯილდო - ოქროს მედალი მხატვრული ლიტერატურის დარგში, რომლითაც მანამდე, სხვადასხვა დროს, დოს პასოსი, უილიამ ფოლკნერი და სოლ ბელოუ დაჯილდოვდნენ. როთს ორჯერ მიენიჭა წიგნის ნაციონალური პრემია და წიგნის კრიტიკოსთა ნაციონალური ჯილდო. მწერალმა სამჯერ მიიღო ამერიკული პენკლუბის ფოლკნერის სახელობის პრემია. 2005 წელს მის რომანს „შეთქმულება ამერიკის წინააღმდეგ“ ამერიკის ისტორიკოსთა საზოგადოებამ ჯილდო „2003-2004 წლებში ამერიკის თემაზე დაწერილი გამორჩეული ისტორიული რომანისთვის“ მიაკუთვნა.

რამდენიმე წლის წინ როთმა პენ-ის ორი ყველაზე პრესტიჟული პრემია მიიღო: 2006 წელს - პენკლუბის ნაბოკოვის სახელობის ჯილდო „გაუხუნარი ორიგინალობითა და შეუდარებელი ოსტატობით აღბეჭდილი ნაწარმოებისთვის“, 2007 წელს კი - პენკლუბის სოლ ბელოუს სახელობის პრემია ამერიკულ ლიტერატურაში გამორჩეული მიღწევებისათვის. ამ პრემიის გადაცემისას აღინიშნა, რომ როთის „მიღწევათა მასშტაბურობა ხანგრძლივი ლიტერატურული კარიერის განმავლობაში... მას ამერიკული ლიტერატურის კორიფეთა შორის უმკვიდრებს ადგილს“.

როთი ერთადერთი ცოცხალი მწერალია, რომლის თხზულებათა სრულ კრებულსაც „ამერიკის ბიბლიოთეკა“ გამოსცემს. ამ მრავალტომეულის ბოლო რვა წიგნი 2013 წელს გამოვა. 2011 წელს ფილიპ როთს თეთრ სახლში ჰუმანიტარული სფეროს სახელმწიფო მედალი გადაეცა. ამ მოვლენიდან ძალიან მალე კი იგი 2004 წელს დაარსებული მენ-ბუკერის საერთაშორისო პრემიის მეოთხე მფლობელი გახდა.

Table of Contents

I სამოთხის მოგონება	1
2	
3	
II დაცემა	4
5	
6	
7	
III დაკარგული სამოთხე	8